

ღმირთები, ბრატმანები, აღამირანები

თხი ათასი წლის
ჰინდუიზმი



ღმერთები,

ბრაჰმანები,

ადამიანები

(ოთხი ათასი წლის ჰინდუიზმი)

© კენჭოშვილი ნიკოლოზ

სამოქალაქო განათლების განყოფილება

© all rights are reserved The twelve Czech indologists - Bozi, Brahmani, Lide-Tisyachu Let Hinduizmu, (Prague-1969) translated into Georgian by - Dr.Nikloz kenchoshvili (Georgia, Tbilisi 2008) The translation is dedicated to Indo-Georgian-Czech friendship
თარგმნა და შენიშვნები დაურთო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გ.წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეც. თანამშრომელმა ფილ. მეცნ. დოქტორმა ნიკოლოზ კენჭოშვილმა. პირველი ქართული გამოცემა © მთარგმნელის უფლებები დაცულია თბილისი 2008.

ღმერთები, ბრაჰმანები, ადამიანები

(ოთხი ათასი წლის ჰინდუიზმი)

წინასიტყვაობა

თორმეტი ჩეხი ინდოლოგი, ინდოეთით დაინტერესებულ მკითხველებს თავაზობს ცხრამეტი თავისაგან შემდგარ წიგნს. ავტორების მიზანია, მკითხველს გააცნონ ჰინდუიზმი, უამბონ ამ მოძღვრების ნიშან-თვისებებსა და ისტორიულ განვითარებაზე. დავიწყოთ ჰინდუიზმის განმარტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ სიძნელეებს წავაწყდებით, რომელთა დაძლევა შეუძლებელი იქნება. არამცთუ, ინდოეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, ჯერ ვერავინ შეძლო გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი კითხვაზე - რა არის ჰინდუიზმი? ამ სიძნელეს ჯერ კიდევ ინგლისელები წააწყდნენ, როცა ინდოეთი მათი კოლონიური იმპერიის ნაწილი იყო და ინგლისელებისათვის ამ პრობლემას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა არ ქონდა. ყოველ ათ წელიწადში მოსახლეობის აღწერის დროს, როდესაც წამოიჭრებოდა საკითხი, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნოდა ესა თუ ის ინდოელი, ადმინისტრაციამ არ იცოდა, რომელი ინდოელი ჩაეწერათ გრაფაში „ჰინდუ“. ბრიტანეთის სამართალწამოებას თავი მოქონდა იმით, რომ პატივს სცემდა ჰინდუებისა და მუსლიმანების ტრადიციულ სარწმუნოებრივ უფლებებს, მაგრამ ამავე დროს დროს საჭირო გახდა მათშორის მკვეთრი ზღვრის გავლება. კოლონისტური არმიის ცალკეული ნაწილები რელიგიური ნიშანთვისებების მიხედვით იყოფოდნენ, რადგან ჰინდუთა კასტური კანონები ყოფა - ცხოვრების მრავალ სფეროს ეხებოდა (მაგალითად - საკვების მიღება და ა.შ.), ამრიგად, ათეული წლების მანძილზე ინდოლოგიურ ლიტერატურაში ამ საკითხზე დაუსრულებელი კამათია და ძალიან ხშირად, სრულიად საპირისპირო აზრიც გამოთქმება. შემთხვევითი როდია, რომ უკანსკნელ წლებში, მეცნიერთა უმრავლესობა იმ მისაზრებას იზიარებს, რომ ჰინდუიზმის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია და ამიტომაც, ცნება „ჰინდუ“ შესაძლებელია, მხოლოდ მიახლოებით განიმარტოს. მაგალითისათვის დავიმოწმოთ ინდოელი მეცნიერი გ.კ. პილაი - ავტორი წიგნისა, რომელშიც საუბარია ინდური კასტობრივი სისტემის წარმოშობასა და განვითარებაზე.

რა არის ჰინდუიზმი? ამ კითხვაზე ვერ მიიღებთ ზუსტ პასუხს და იძულებული იქნებით მიმართოთ „ვედებს“, განსაკუთრებით - „რიგვედას“ (საღვთო ჰიმნების წმინდა კრებული მთ. ნ.კ.), რომელშიც ჰინდუიზმზე ცოტა რამ არის ნათქვამი, ან „უპანიშადებს“ (საღვთო ლიტერატურა განდობილთათვის, იგივე ვედების რელიგიური ასრისის განმარტებები მთ.ნ.კ.), რომლებშიც ურთიერთ საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული, ან „სუტრებს“ (რელიგიური ლიტერატურა განდობილთათვის, დაწერილი, სხვადასხვა გრამატიკული, ფილოსოფიური სახელმძღვა ნელოების, შეგონებების, ფორმულირებებისა და წესების სახით. (მაგ. იხ. ქართულად პატანჯალის - „იოგა სუტრა“ - თბ. 2008., ანუ იოგას ფილოსოფიის სახელმძღვანელო. მთ. ნ.კ.). ამგვარად. ჩაიხედავთ-მათში, მაგრამ „ჰინდუიზმის“ გაგება საგანგებო დამატებითი

განმარტებების გარეშე შეუძლებელი გახდება, თუნდაც ჩაიხედეთ პურანებში (ე.ი. უძველესი საღვთო წიგნები: - დაახლოებით თვრამეტი მთავარი „პურანა“ არსებობს, ყველაზე ძველი ექვსი საუკუნისა ა.წ. ა., ანუ ძველი ინდური მითებისა და ლეგენდები კრებულები. თ. ნ.კ.) ისინიც, უთუოდ ასევე გულუბრყვილოთათვის მისაღებია, მაგრამ არა გონიერთათვის, და თუ სასოწარკვეთილება დაგეუფლათ, მაშინ უკვე იძულებული იქნებით მიმართოთ რომელიმე გურუს, რომელიც თქვენზე სულაც რომ არ არხდენდეს, ღვთისმოსავის შთაბეჭდილებას. ხოლო, ხოლო თუკი იგი ბრაჰმანია, იგი უსათუოდ მოცდას გირჩევთ მანამდე, ვიდრე „მეორედ“ ბრაჰმანად არ დაიბადებით, მაგრამ, თუ გურუ ვედანტიცაა - იგი შანკარის ფილოსოფიას შემოგთავაზებთ, რომელსაც მხოლოდ თქვენი სულიერი წონასწორობის დარღვევა შეუძლია, ან კიდევ მიგანიშნებთ რამანუჯის ფილოსოფიაზე, რომელიც მთლიანად აბსტრაქტული მსჯელობების სფეროში გადაიყვანთ, ხოლო თუ ის საზოგადოება „ბრაჰმოსამაჯის რეფორმატორული სექტის“ წევრია, უსათუოდ გეტყვით, რომ ჰინდუიზმი ბრაჰმანთა გადმოცემით, ქრისტიანობის ერთ-ერთი სახეაო. ამგვარად, დასმულ შეკითხვაზე პასუხის მაძიებელი ვერსად პოულობს მხსნელ „შუქურას“ და იძულებულია დაკმაყოფილდეს რომელიღაც „წმინდა მამის“, ან უფრო საშინელი არსების ახსნა-განმარტებით, რომელიც ნახევრადშიშველი, ან სრულიად შიშველი დადის, თმა თიხის მტვერით დაუწებავს, ხოლო მის ფერფლში ამოგანგულ ტანს კი ანაშისა და ოპიუმის სუნი ასდის და მათხოვრის ჯამით ხელში მოხეტიალე, შელოცვებს წარმოთქწვამს. ვინც ასეთი წმინდანის მოწაფეობას ისურვებს, ცხადია ორიოდე იოგური ვარჯისა და შელოცვის გარდა, სხვას ვერაფერს ისწავლის.

რა თქმა უნდა. ასეთი კატეგორიული მსჯელობის პირვნებებს უკიდურესი პოზიცია უჭირავს, მაგრამ მისი სიტყვების ჭეშმარიტებაშიც ექვსი შეტანა შეუძლებელია. ჰინდუიზმი არ არის ერთიანი სისტემა, რომ იოლი იყოს მისი დამახასიათებელ ნიშანთვისებების ჩამოთვლაც, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი რელიგიისა. ამიტომ, ერთ-ერთი და არა ერთადერთი. მთავარი სიძნელე ისაა, რომ ჰინდუიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის მხოლოდ რელიგია. მოკლედ თუ განვმარტავთ, იგი ინდოეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის რელიგიურ - სოციალური ორგანიზაციაა. ჰინდუიზმის, როგორც განსაკუთრებული ტიპის ორგანიზაციის დახასიათებას, რაშიც მკითველი ჩვენი წიგნის გაცნობისას დარწმუნდება, უაღრესად თავისებური და ზოჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წმინდა რელიგიური თვალსაზრისით, იოლი როდია ზღვრის გავლება ჰინდუიზმისა და ინდოეთში გავრცელებულ სხვა სარწმუნოების, უპირველეს ყოვლისა ისლამს, ბუდიზმსდიზმს, ჯაინიზმსა და ქრისტიანობას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითად, ინდოლოგი ბარტი ვერ განაცხადებდა, რომ „ბუდიზმი ჰინდუიზმის ერთ-ერთი სახეაო“. ასევე, ვერც აღმოსავლეთ-ბენგალიელი ასკეტი აბდულ ბარკი, ვერ დაიწყებდა მტკიცებას, რომ ის ერთდროულად ჰინდუცაა და მუსულმანიც. ამ გაურკვევლობის მიზეზი უთუოდ ისაა, რომ ჰინდუიზმს არ გააჩნია სარწმუნოებრივი მოძღვრების მწყობრი სისტემა, ერთიანი მრწამსი, რომ ის ითმენს მისი ადეფტის დოგმისგან გადახრას, მისთვის უცხოა მწვალებლის ცნება. შემთხვევითი როდია, რომ ჰინდუიზმს არა აქვს, არც საეკლესიო ორგანიზაცია, და არც პაპი ჰყავს სარწმუნოებრივი საკითხების გადასაწყვეტად. ჰინდუიზმი არც მონოთეისტურია და არც პოლითეისტური, ვინაიდან ჰინდუ აღიარებს ერთ ღმერთს და ამავე დროს ის

აურაცხელ ღმერთებსა და ქალღმერთებს ეთაყვანება. ჰინდუიზმის საზოგადოების წევრია ისიც, ვისაც საკუთარი თავი ღვთის განსხეულებად მიაჩნია და ვინაც ათეისტია, რომელიც მხოლოდ ბუნებასა და ბუნების კანონებს ცნობს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ინდოლოგ კეტკარის პრაქტიკული რჩევა, რომ „ჰინდუდ შიქიდლება ჩაითვალოს ყველა ინდოელი, ვინც არ განდგომია ჰინდუიზმს, მაშასადამე ვინც არ აღიარებს სხვა რელიგიას“. ყველა ასეთი ინდოელია, ამბობს კეტკარი, და აქ სიტყვა „ინდოელია“ მეტად მნიშვნელოვანია.. მართლაც, ჰინდუ მხოლოდ ინდოელი შიქიდლება იყოს. ინდოელი, რომელსაც მშობლები ინდოელი ჰყავს, ან ის, რომლისაც ერთ-ერთი — დედა, ან მამა ინდოელია. ჰინდუ ვერ გახდა ვერც სახელგანთქმული ინგლისელი თეოსოფი ქალი ანა ბეზანტი, თუმცა მან ამ მიზნით, სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის თავმჯდომარეს მიმართა, რომელიც ჰინდუიზმის მთავარი ციტადელია. ასევე ვერ გახდა ჰინდუ და - ნივედიტას სახელით ცნობილი ევროპელი ნოუბლი, მიუხედავად იმისა, რომ ჰინდური ღვთებების თაყვანისცემაში ჰინდუებს გადააჭარბა და ეს იმიტომ, რომ ყველა ამათი მშობლები არ იყვნენ ინდოელები. მაშასადამე, ჰინდუიზმი წმინდა ინდური რელიგიაა, მისი მიმდევარი ადამიანი დაბადებით ხდება ჰინდუ, ან თუ მის წინაპართა წიაღში ვინმემ შეიცვალა სარწმუნოება. ჩვეულებრივ ინდოელი ავტორები ჰინდუიზმზე წერენ, რომ ის ნაციონალური რელიგიააო. მაგრამ, ვერ დავეთანხმებით მათ მტკიცებას, რომ ინდოეთში მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობს, ვინაიდან ინდოეთი მრავალეროვანი ქვეყანაა. მეორე მხრივ ჰინდუები არიან ზოგიერთი სხვა ხალხის წარმომადგენლებიც, რომლებიც ინდოეთის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ: მაგალითად, ბირმაში, ტიბეტში, ავღანეთში. სურათი, რომ ნათელი გახდეს - უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკასა და წყნარი ოკიანის კუნძულებზე ცხოვრობენ ინდური წარმოშობის ეროვნული უმცირესობები, რომლებიც დღემდე ჰინდუიზმს აღიარებენ.. ამავე დროს, ინდოელი ხალხებისა და ერების დიდი უმრავლესობა დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო ტრადიციით, რომლებშიც ჰინდური ელემენტები ჭარბობს. მიუხედავად ლოკალური სარწმუნოებრივი უთანხმოებისა და განსხვავებისა, რაც ხშირად მნიშვნელოვანი პრობლემაა, ჰინდუიზმი, უწინარესად მისი სოციალური ორგანიზაციაა - როგორც ერთგვარი შედეგი სრულიად ინდოეთის ისტორიული სინთეზისა. ამასთანავე, იგი თანამედროვე ინდოეთის ისეთივე კუთვნილებაა, როგორც ნებისმიერი მისი კონკრეტული ეროვნული თვისება. უკანასკნელ წლებში ინდოეთში ძალზე პოპულარული გახდა ლოზუნგი - „ერთიანობა მრავალგვარობაში“. ეს ერთიანობა კი სწორედ ჰინდუიზმში გამოიხატება.

ჰინდუიზმი ინდოეთის გარეთ, წარსულში გავრცელდა: - ინდოჩინეთის ნახევარ კუნძულსა და დღევანდელ ინდონეზიაში. ჰინდურად ითვლება ინდონეზიის კუნძული ბალიც. ჰინდური ტაძრები მრავლადაა ლაოსსა და კომბოჯაში. ჩვენ დროში ჰინდუიზმი აღარ ვრცელდება. მართალია, რამა-კრიშნა და ვივეკანადა, ევროპასა და ამერიკაში, ქადაგებდნენ თავიანთ თეოლოგიურ - ფილოსოფიურ შეხედულებებს და იქ, მრავალი მიმდევარიც გაიჩინეს, მაგრამ ჰინდუებს, ისინი არ მიაჩნიათ თავიანთ თანამორწმუნეებად. ჰინდუიზმი, როგორც რელიგია, არსებითად „ინდოეთით შემოიფარგლება, ანუ - ის მის საზღვრებში ჩაიკეტა. არავინ დაობს ჰინდუიზმის გასაცარ შემწყნარებლობაზე, თუმცა ესეც იმდენად მართალია, რამდენადაც საუბარია საერთო

რელიგიურ კონცეფციაზე. ჰინდუიზმი, როგორც ავლნიშნეთ, არა მარტო რელიგიაა, არემედ ინდოეთის თანამედროვე სოციალური ორგანიზაციაა., რომელმაც თავისი მიმდევრები დაანაწევრა მრავალრიცხოვან ჯგუფებად, კასტებად და ქვეკასტებად. ჰინდუიზმი კრძალავს გადასვლას ერთი კასტიდან მეორეში. წმიდათა - წმიდად არის გამოცხადებული სხვა ათასგვარი შეზღუდვა და აკრძალვები, საზოგადოებრივი“ ოჯახური თუ ინდივიდუალური ყოფა-ცხოვრების ადათწესი, მისი ასპექტი. ამ საკითხებში შემწყნარელობის თაობაზე, ორთოდოქს ჰინდუსთან ლაპარაკი სრულიუად ზედმეტია.

სწორედ ამ გარემოების გამო თანამედროვე ინდოეთის შეწავლისას ჰინდუიზმის პრობლემას უბრალოდ გვერდს ვერ ავუვლით. აქ ყოველ ნაბიჯზე ისეთ მოვლენებს ვაწყდებით, რომელთა ახსნა-გაგებაც, ჰინდუიზმის ცოდნის გარეშე, შეუძლებელია. სწორედ ეს გარემოება გახლდათ ის მთავარი მიზეზი, რამაც გვიბიძგა ეს წიგნი დაგვეწერა. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით: - იმისათვის, რომ ადამიანი ღრმად ჩაწვდეს ინდოეთის ცხოვრებას, მის კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას, რამდენადმე მის პოლიტიკასა და ეკონომიკასაც, საჭიროა საფუძვლანდ გაეცნოს ჰინდუიზმს, რაც უფრო ღრმა იქნება ეს ცოდნა, მით უკეთესია. მართალია ჩვენი წიგნი უშუალოდ ინდურ რელიგიას არ ეხება, მაგრამ იძულებული ვართ წიგნის ყოველ თავში, მასზეც ვისაუბროთ, ვინაიდან, დღემდე ინდოეთის ცხოვრებასა და კულტურაში, ის მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ინდოეთის მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობს (ცხადია დღეს ეს სურათი გარკვეულ წილად შეიცვალა მთ ნ. კ.) მაგრამ ჯერჯერობით, რელიგიის როლი, მათ შორის ჰინდუიზმის, მეტად მნიშვნელოვანია. მართლა, ინდოეთის დიდი ქალაქები სულ უფრო და უფრო თავისუფლდებიან რელიგიური შეზღუდვებისაგან, მაგრამ სოფლებში, სადაც ხალხი განსაკუთრებით გაუნათლებელია, ჰინდუიზმი მთელი სისასვსით განაგრძობს არსებობას. ახალი იდეები ძალიან ძნელად იკაფავენ გზას ინდოეთში. ზღუდეები კი, რომლებიც ჰინდუიზმმა აღმართა თავისი მიმდევრების სოფლური დასახლებების გარშემო, ჯერ კიდევ მტიკიცე და მაღალია.

თუმცა მიუხედავად ყოველივე ამისა, თანამედროვეობის ზეგავლენა აქაც იგრძნობა. მაჰატმა განდის ტიპის განმანათლებლურმა მოღვაწეობამ, ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვევებამ, ყველა პირობა შექმნა რათა,თანდათან შეიცვალოს ინდოეთის სოფლის ცხოვრება, ამაღლდეს მისი მატერიალური და კულტურული დონე, რასაც ჰინდუიზმი მუდამ ვერ გაუწევს წინააღმდეგობას.

დროთაგანმავლობაში, ინდოეთში, ასევე წარსულს ჩაბარდება ბევრი ისთი, რაც ჯერ არსებობს. ნებისმიერი მცდელობა თანამედროვე ჰინდუიზმის სრული განმარტებისა წარუმატებლად დამთავრდება, თუ არ მოვიშველიებთ მისი ისტორიული განვითარების საფუძვლიან ანალიზს, რადგან ამ მოძღვრების დიდი ნაწილი იმ ტრადიციას ეფუძვნება, რომელიც უხსოვარ დროიდან მომდინარეობს. ამიტომ ჩვენს

წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც ჰინდუიზმის განვითარების სამუალო საუკუნეების პერიოდს, ასევე მისი ისტორიის იმ ეტაპებსაც, რომლებიც ჰინდუიზმის წარმოქმნის წინსწრებია, ანუ ინდოეთის წინარე ისტორიას, ვედურისა და ბრაჰმანიზმის პერიოდებს, მეტადრე, რომ სწორედ ამ ორი მომღვრებისა და არაარიული ზეგავლების შედეგადაც, წარმოიშვა ჰინდუიზმი. თუკი მისი რომელიმე ასპექტი მკითხველისათვის, სრულიად გასაგები არ აღმოჩნდა, ნუ აჩქარდება და ავტორების უმეცრებას ნუ მიაწერს, რადგან ინდოეთის ისტორიაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია ისეთი საკითხი, რომელიც დღემდე მეცნიერულად აუხსნელია და შეუსწავლელი. ჰინდუიზმის განმასხვავებელი ნიშან-თვისებაა მისი მრავალგვარობა (მრავალსახიობა), მისი კავშირი ადამიანის ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროსთან, როგორც წესი, რაც არაერთხელ აღინიშნა, ყველა მცდელობა ჰინდუიზმის ამოწურავად აღწერისა, წარუმატებლად დამთავრდა, ვინაიდან ამ ცდებს ცალკეული პირები აწარმოებდნენ, და როგორც ირკვევა, არცერთ მათგან ძალა არ ეყო მრტო ჩაწვდომოდა „ზღვა“ მასალას. ამიტომ, გადავწყვიტეთ ეს საკითხი კოლექტიურად შეგვესწავლა და წიგნი თემის შესაბამისად თავებად დაგვეყო. თუმცა, ვერც ჩვენ შევძელით სათანადოდ და ამომწურავად გაგვეშუქებინა ჰინდუიზმის ყველა საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი და ზოგი მათგანი დასკვნით „კალიდოსკოპში“ მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები, ზოგიერთი თემა კი, უბრალოდ გამოვტოვეთ. მაგრამ ყველა შემთხვევაში, წინამდებარე წიგნი, ჰინდუიზმისადმი მიძღვნილი, პირველი ჩეხური პუბლიკაციაა, რომლითაც ცხადია არ ამოიწურება ჩეხი მეცნიერების წვლილი, ყველა აქ დასმლი საკითხის შესწავლაში: - მათ მიერ თარგმნილია ძველი და ახალი ინდური ლიტერატურის ნიმუშები, ჩეხურ ენაზე გამოიცა რადჰაკრიშნანის (ინდოეთის პირველი პრეზიდენტი) ფუძემდებლური შრომა - „ინდური ფილოსოფია“, გამოქვეყნებულია ასევე მრავალი მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი თუ მეცნიერული გამოკვლევა და სხვა. რათა, არ დაიბნეს მკითხველი, მას შევახსენებთ, რომ ჩვენი აზრით ერთნაირად უნდა იწერებოდეს ის სიტყვები და სახელები, რომლებიც ძველა და ახალ ინდურ ენებზე, სხვადასხვაგვარად ჟღერს. მაგალითად არა „კრიშანი და რამი“ უნდა ვწეროთ (როგორც ჰინდისა და ბენგალიურ ენებზე ჟღერს), არამედ „კრიშნა და რამა“, როგორც ეს ძველ ინდურ-სანსკრიტულ (სანსკრიტზე) ენაზე წარმოითქმის.

დასასრულ, მკითხველს, ასევე გვსურს შევახსენოთ, რომ წიგნში მოტანილი ზოგიერთი ფაქტის გამო, ნუ განიმსჭვალება ქედმაღლობითა და უპირატესობის განცდით, ინდოეთისა და მისი ხალხისადმი (რაც ძალზე ცუდია და უმართებულო), რამეთუ მსიფლიოს ნებისმიერი რელიგიის ისტორიაში მოიპოვება ფურცლები, რომელთა გაცნობაც თანამედროვე ადამიანს სულაც არ აღაფრთოვანებს. ბოლოსდაბოლოს ჰინდუიზმს, თუნდაც „წმინდა ინკვიზიციის“ მსგავსი, არაფერი ჩაუდენია, არასოდეს სხვა ქვეყანას თავს არ დასხმია და არც იარაღის შექმნა უქია ოდესმე, არ გაუჩაღებია რელიგიური ფანატიზმისა და შეუწყნარებლობის ცეცხლი. ჩვენ კი, როგორც ინდოლოგები, დიდი პატივით და სიყვარულით ვართ გამსჭვალული ინდოეთისადმი და თუ გულახდილად ვწერთ მის უარყოფით მხარეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა თანამედროვე ინდოეთში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გავისვათ მიშნელობას იმ ბრძოლისა, რომელშიც ჩაბმულია ინდოელი ხალხი, საკუთარი, უფრო ნათელი მომავლისათვის.

ჰინდუიზმის წინარე ისტორია

ვილემ გამპერტი

ინდური რელიგიური აზროვნების ისტორიას, რომელიც დიდხანს შეუსწავლელი იყო, ევროპული მეცნიერება, უფრო ახლოს, მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაეცნო. ტექსტები ჰიმნებისა, რომლებიც თავმოყრილია უძველეს ინდურ ლიტერატურულ წყაროში - „რიგვედებში“, გვაფიქრებინებს, რომ ინდოევროპელებს, ანუ არიელებს წამდათ მრავალრიცხოვანი ანთროპო მორფული ღვთებებისა, რომლებიც თავისი ხასიათით, გარეგნობითა და ქცევებით, ძალიან ჰგავდნენ ბერძნულ - რომაულ და იმ ხალხთა მითოლოგიურ პერსონაჟებს, რომელთაც არიელებთან ენობრივი ერთობა ჰქონდათ. მაგრამ შავი იაჯურვედის პროზული ვერსია, შექმნილი „რიგვედებზე“ დაახლოებით 200-500 წლით გვიან, ასევე „ბრაჰმანები“, ადასტურებს იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც ძველმა ინდურმა რელიგიამ განიცადა.

ბრაჰმანთა ვარნამ (იერარქიამ) შემოიღო მსხვერპლშეწირვისა და ადათ-წესების, მეტისმეტსად მკაცრი კანონები, რომლებიც ეხებოდა, არა მარტო ინდოელი ხალხს, არამედ თვით „ინდოევროპულ ხანაში“ განდიდებულ ყველაზე ციურ ღვთაებებსაც კი, რომლებიც ახლა თავიანთი წარსულის მხოლოდ აჩრდილებსდა წარმოადგენდნენ. მხოლოდ, გაცილებით გვიან ჩვენს ერამდე - უკანასკნელ საუკუნეებში, როცა ინდურმა რელიგიამ დღემდე შემორჩენილი თვისებები შეიძინა და იმად იქცა, რასაც, სამართლანად ჰინდუიზმს ვუწოდებთ, მიუხედავად, მკაცრად ორად გაყოფილი ინდოეთის მოსახლეებისა, სწორედ მას შეერწყა არაარიული ტომების სხვადასხვა ღვთაებების ხალხური კულტები.

რამ გამოიწვია თავდაპირველი ინდოარიული რელიგიის ძირეული სტრუქტურული ცვლილებები? მეცნიერები ამ კითხვას დიდხანს პასუხს ვერ ცემდნენ. მათ ხელს უშლიდა მცდარი შეხედულებები, რომ ინდოარიული დამპყრობლები იყვნენ პირველები, ვინაც ინდოეთში შემოიტანეს ცივილიზაცია და კულტურა და მანამდე კი, თითქოს, აქ სახლობდნენ დღევანდელი დრავიდების წინაპარები - მუნდები, კოლები და სხვა პრიმიტიული ტომები.

მხოლოდ 1875 წელს, ინგლისელმა არქეოლოგმა - გენერალმა ალექსანდრე კენინგჰემმა გამოაქვეყნა ცნობა ჰარაპაში - თანამედროვე დასავლეთ პანჯაბში (იგულისხმება დღევანდელი პაკისტანის ტერიტორია ნ. კ.) ნაპოვნი უცხო წარწერიანი უნიკალური ბეჭდების თაობაზე. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1923 წლიდან დაწყებული

გათხრებმა მოჰქენჯო დაროში, მდინარე სინდჰუს („მდ. ინდი“ მდ. სინდჰუს რუსულენოვანი კალკა მთ. შე. ნ.კ.) მთელი მისი კალაპოტის გაყოლებით ჰიმალაის მთებამდე “შემდეგ ჰარაპასა და რუპარუში, რაჯასტანსა და გუჯარატში, თვალწინ გადაგვიშალა, გათხრების ადგილის სახელწოდების მიხედვით, თუ ვიტყვით - მაღალგანვითარებული ქალაქური თვითმყოფადი ცივილიზაცია, ე.წ. პროტოინდური - ჰარაპული კულტურა, ან კიდევ თუ თავდაპირველი გეოგრაფიული აღწერილობების შესაბამისად - ე.წ. „მდ. სინდჰუს ხეობის კულტურა“. დღეს ჰარაპის კულტურას ღირსეული ადგილი უკავია ახლო აღმოსავლეთის ისეთ კულტურათა შორის, როგორცაა ძველი ეგვიპტური და განსაკუთრებით ძველი მესოპოტამიური კულტირები. კერძოდ მესოპოტამიურ (შუამდინარულ) ცივილიზაციასთან, ძველ ინდოეთს საუკუნეების მანძილზე ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ქონდა. ამ ურთიერთობების შესწავლამ, საშუალება მოგვცა, უფრო ზუსტად დავადგინა ზოგიერთ თარიღი, რომ ჰარაპა - მოჰქენჯოდაროს ცივილიზაცია მოიცავს 2500-1500 წლებს ჩვენს წელთ აღრიცხვამდე. რაც შეეხება დღევანდელი გუჯარატის ტერიტორიის ჰარაპის კულტურას, რომლის თარიღის დადგენაც მასალების რადიოკარბონილ ანალიზით მოხერხდა, (შედეგების თანახმად,) ორგანული ნივთიერებები შეიცავს რადიოაქტიურ ნახშირბადს C-14-ს), რაც იმას მოწმობს, რომ ლოთჰალში ჰარაპის კულტურა, ძველწელთაღრიცხვით, დაახლოებით, 2000 წელს წარმოიშვა, ხოლო პრაბჰასას ტერიტორიაზე კი, 1500 წელს ძვ.წ.ა. ეს კულტურები უთუოდ დაკავშირებულია იმ ხალხებთან, რომელთაც ქვეყნის დასავლეთიდან და ჩრდილოდ ასავლეთიდან, დამპყრობთა შემოტევებს ვეღარ გაუძლეს და საკუთარი ძირძველი ადგილსამყოფელი მიატოვეს. ბელუჯისტანში აღმოჩენილი ამგვარი შემოტევების პირველი კვალი ძვ.წ.ა-ის 2000 წლით თარიღდება. ძვ.წ.ა-თ, დაახლოებით 1500 წელს, არიელთა შემოსევების მთავარმა ტალღამ გაანადგურა მოჰქენჯო - დაროსა და ჰარაპის ცივილიზაციები. მიუხედავად მეცნიერთა მრავალი მცდელობისა, (კერძოდ ბერჯიჰ გროზნისა) ამ კულტურისათვის დამახასითებელი - პროტოინდური დამწერლობის გამიფვრა ვერ მოხერხდა, თუმცა დადგენილია, რომ დრავიდულ ენებს და ისეთ ენებს, როგორცაა მუნდა, რომელთა წარმომავლობაც პროტოინდურ დამწერლობას უნდა უკავშირდებოდეს, განეკუთნება კარგად შესწავლილი ენა „ბურუშასკი“-გავრცელებული ინდოეთის ჩრდილო - დასავლეთის საზღვრების მახლობლად, ასევე ცენტრალურ ინდოეთში გავრცელებული ენა - „ნაჰალი“, შეადლოა კიბერნეტიკული მანქანების გამოყენებამ გაადვილოს ამ მეტად რთული ამოცანის გადჭრა.

სანამ ჰარაპის დამწერლობის მემკვიდრეობა არ იქნება ამეტყველებული, მანამდე ყოველგვარი მსჯელაბა იმ შორეული წარსულის რელიგიაზე და მის გავლენებზე გვიანდელ ჰინდუიზმზე, დარჩება მეტ-ნაკლებად სიმართლის მსგავს ჰიპოთეზებად. თუმცა, ერთი კი აშკარაა, თუ ჩანდჰუდაროში (სინდი) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ადგილობრივი - მხატვარი-მოხელეები თავანთი ქალაქის განადგურების შემდეგაც განაგრძობდნენ ფაიფურის ნაკეთობების წარმოებას თავიანთ ახალი ჯჰუქარელი მეპატრონეებისათვის, მაშინ, უთუოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰარაპული რელიგია არ გამქრალა კულტურის განადგურებასთან ერთად, რომ ის ძველებურად ცოცხლობდა ცნობიერებაში იმ ადამიანებისა, რომლებიც ემსახურებოდნენ დამპყრობებს და უნარი შეწყვედათ მათ რელიგიურ აზროვნებაზე

გავლენა მოეხდინათ. მსგავსად ქრისტიანობამდელი ბერძნების, რომაელების, გერმანელებისა და სლავების რელიგიური შეხედულებებისა, რომელთაც თავი იჩინეს შუასაუკუნეების საკულტო პრაქტიკაში და ასახვა პოვეს „წმინდა მამათა ცხოვრება“, ჰარაპულმა რელიგიამ, მეტად თუ ნაკლებად, უთუოდ, ზეგავლენა იქონია ინდოარიელთა საკულტო ცხოვრებასა და მითოლოგიაზე. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ჰარაპულმა რელიგიამ გამოიწვია სტრუქტურული ცვლილებები „რიგვედის“ რელიგიაში და ის სახე მისცა, რომლის შესახებაც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ „შავი იაჯურ-ვედის“ და „ბრაჰმანების“ მიხედვით. ჰარაპა-მოჰენჯო-დაროს მოსახლეობა, დაღუპვას რომ გადარჩენოდა, შეეცადა გაქცეულიყო აღმოსავლეთის მიმართულებით, ხოლო დროთა განმავლობაში იგი, ან პრიმიტიულ ტომთა კულტურის დონემდე დაეშვნენ, ან ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. მათი რელიგია შეერწყა სხვა კულტურებს, რომელიც შემდგომ ბრაჰმანიზმს შეეზავა, განაგრძო მასში განვითარება, ვიდრე საბოლოოდ ჰუნდუიზმად არ გადაიქცეოდა.

ახლა ვნახოთ, ადასტურებს თუ არა ამ მოსაზრებას არქეოლოგიური მასალები. მართალია, ჰარაპის მცხოვრებლები იცნობდნენ სპილენძს, ბრინჯაოს და ვაჭრობდნენ ტექნიკურად უაღრესად განვითარებულ მესოპოტამიასთან, მაგრამ მათი შრომისა და ყოფის საგნების წარმოების ტექნიკას არ განუცდია დასავლეთის სრულყოფილი ტექნიკის გავლენა და ჰარაპელები განაგრძობდნენ ფესვები კი უთუოდ იმალებოდა მათ რელიგიურ შეხედულებებში, ახალი ნიმუშებისა და ახალი მასალების გამოყენების რიტუალურ აკრძალვაში. ახლაც ჩვენი პლანეტის ზოგიერთ კუთხეში წინდაცვეთის წეს-ჩვეულების შესრულებისას ქვის დანებს ხმარობენ. შესაძლებელია ჰარაპული კულტურის კონსერვატიზმი ცხოვრების ყველა მხარეს ეხებოდა, რაც რელიგიასა და ადათ-წესებს ემორჩილებოდა - სწორედ ეს მოვლენა ტიპურია დღევანდელი ჰინდუიზმისათვისაც. გაოცებას იწვევს აგრეთვე განსაკუთრებული ზრუნვა სისუფთავეზე, რასაც მოწმობს მოჰენჯოდაროს ციხე-გალავნის თითქმის ყველა სახლთან თუ სხვაგან აღმოჩენილი პირსაბანები, ტუალეტები, ჭები, ოჯახისა და ქუჩის კანალიზაცია, დიდავზიანი აბანო. ამგვარი ფაქტის ახსნა, სხვა არაფრით შეიძლება, თუ არა რიტუალური შებილწვის უკიდურესი შიშით. მორწმუნეთა ამ შიშზე მეტყველებს ძველი ინდური რელიგიური ლიტერატურა „შავი იაჯურვედით“ დაწყებული და „ბრაჰმანებით“ დამთავრებული, ასევე აღმოჩენილი მეტად მნიშვნელოვანი ტექსტები როგორცაა - შრაუტასუტრები, საშიანაო წეს - ჩვეულებები (გრიჰიასუტრები) და დჰარმასუტრები, გვიანი ანტიკურობისა და ადრეული შუა საუკუნეების (დჰარმამასტრები), სმრიტები (კანონთა წიგნები), ე.ი. როცა „ცოდვის ჩადენის“ ცნება, არავითარ ზნეობრივ შინაარსს არ შეიცავდა. მავნე მატერია, რომელსაც ეხებოდა ნაკლებად ცოდვილი, და ამ გზით ეს უკანასკნელი უფრო ცოდვილი ხდებოდა, არის ჭუჭყი, რომელიც სასწაულმოქმედების თანახმად, მხოლოდ წყლით განიბანება. ამიტომ დაბანას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰინდუთა მრავალრიცხოვან წეს-ჩვეულებებში, რომლებიც რიტუალის შესრულებისას, ადამიანს არ ათავისუფლებენ ცოდვებისა და შეცდომებისაგან (ზემოხსენებული სანსკრიტული ლიტერატურის თანახმად, მათი შესრულება კანონადაა ქცეული). თანამედროვე ჰინდუიზმის მიხედვით, განბანვა და ბანაობა, განსაკუთრებით წმინდა მდინარე განგში, ან ტამართა აუზებში, ჰინდუიზმის ყველა მიმდევრის მთავარი რელიგიური წესჩვეულებაა.

არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლებიც ადასტურებს ჰარაპის კულტურის კავშირს გვიანდელ ჰინდუიზმთან. გავიხსენოთ მაგალითად, ტერაკოტის პატარა ქანდეკები შიშველი თუ ნახევრადშიშველ მუცელგამოხრილი ქალებისა, ეგრეთ წოდებულ „ვენერებს“, რომ გამოხატავენ, რომელთაც მაღალი ვარცხნილობა აქვთ, სამკაულებით, პირველ ყოვლისა გულქნდებით არიან მორთული, და უთუოდ სწორედ ესენი წარმოადგენენ ჰარაპულ ქალღმერთებს. სხვა ქანდაკებებისაგან განსხვავებით, ისინი ძალიან უხეში და პრიმიტიულია, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ისინი მოსახლეობის უმდაბლესი ფენის კულტს ეკუთვნოდნენ, და მხოლოდ მოგვიანებით პრივილეგირებული წრის ოჯახურ კულტად იქცნენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ასეთი სტატუეტები, თუმცა ძვირფასეულობით ნაკლებად მორთული, ნაპოვნია ბულუჯისტანისა და სინდჰის (მდ. სინდჰუნადი) რეგიონის სოფლებშიც. ქალღმერთის კულტი თითქმის ყველა პრეისტორიულ კულტურაში არსებობდა და ისტორიულად პრიმიტიულ ტომებს ეკუთვნოდათ, ამიტომ ძნელია იმის მტკიცება, რომ ქალღმერთის კულტი ხალხურ ჰინდუიზმში გენეტიკურად სწორედ ჰარაპის კულტურასთანაა დაკავშირებული.

ზემოხსენებული გამოსახულება უფრო ჰინდუთა „რამადევას“ - (სოფლის ღვთაების) წინამორბედი უნდა იყოს, რომელიც ბექედზე ქალადაა გამოსახული, რომლის წიაღიდან (ტანიდან) ამოზრდილია ხე, ამიტომ ის - უთუოდ დედამიწის ქალღმერთი, მცენარეთა მფარველი უნდა იყოს.

ამ კავშირს, ყველაზე უფრო დამაჯერებლად მოწმობს სამ ბექედზე აღმოჩენილი ეგრეთ წოდებული პროტომივას გამოსახულება (ისინი ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისგან). ჩვენს წინაშეა დაბალ ტახტსა თუ მიწაზე იოგივით მჯდარი შიშველი ღმერთი. იგი სამსახოვანია და შივას მოგვაგონებს კუნძულ ელეფანტაზე გამოსახული გაშიშვლებული ფალოსით, მაშასადამე, ნაყოფიერების ღმერთია), ასევე ჰგავს იგი იოგის პოზაში მჯდომ ლაკულაშის სამკაულებით მორთულ შივას, რომელსაც თავზე აქვს მარაოსებური რქები თანდათან რომ განიერდება. ასეთივე მორთულობით გამოირჩევა ჰარაპული ქალღმერთები, რომლებიც ასე თუ ისე შივას დიადემას მოგვაგონებს, მაგალითად მაჰამაბალი-პურამში შემონახული მსგავსი გამოსახულება წაწვეტებულია, მის მკერდზე სამწახნაგოვან სამკაულთა შორის მოჩანს გვიანდელი შივას ოქროს კვერთხი. ღმერთს გარს ახვევია ცხოველები (სპილო, ვეფხვი, მარტორქა და კამეჩი, ტახტსქვემოთ ორი გაზელია), რაც შივა პაშუპატის (ცხოველთა მფარველს) მოგვაგონებს. მართალია, ჰინდუიზმში არ გვხვდება შივას ისეთი გამოსახულება, ზუსტად რომ იმეორებდეს ჰარაპის ღვთის გამოსახულებას, მაგრამ პარალელების გავლება შესაძლებელია იმ ღვთაებებთან, რომლებიც ბუდისტურ იკონოგრაფიაშია შემორჩენილი. მეცნიერთა აზრით - საქმე გვაქვს, გვიანდელი შივას ჰარაპულ პროტოტიპთან.

აღსანიშნავია, აგრეთვე, შიშველი მოცეკვავეყმაწვილის პატარა ქანდაკება, რომელიც თითქმის ისეთივე პოზაშია, როგორც შივა ნატარაჯა. ფალოსის კულტი (ლინგა, ლინგამი) პროტომივასგან, რომ იღებს სათავეს და დღემდე ესოდენ მნიშვნელოვანია ჰინდუიზმში, ჰარაპის დასახლებებში ნაპოვნი კონუსისებური საგნების სახითაა წარმოადგენილი; მათ მიიჩნევენ მამაკაცის სასქესო ორგანოს უკიდურესად განზოგადებულ და სტილიზებულ გამოსახულებად. ასევე შესაძლოა, ბრტყელი, მომრგვალებული, შუაში გახვრეტილი ქვები ქალის სასქესო ორგანოს (იონი) გამოსახულების ჰინდური წინამორბედი იყოს.

პროტომივას პოზა აშკარად მიუთითებს, რომ ჰარაპის ხანაში არსებობდა იოგური აზროვნება. სამყურათი მოხატულ ძონძებში გამოხვეული წვერიანი მამაკაცის ქანდაკებაც იოგას წარმოადგენს. მისი მოჭუტული თვალი ცხვირის წიბოს უყურებს. თუმცა ამის განსაზღვრა ძნელია, ვინაიდან მონგოლოიდური ტიპის ირიბ თვალებთან შეიძლება გვექონდეს საქმე.

ჰარაპის რელიგიაში, როგორც ჩანს, ძალიან იყო გავრცელებული ცხოველთა კულტი, განსაკუთრებით, თუკი ბეჭდებზე გამოსახულ ცხოველებს საკრალურად მივიჩნევთ, რაც მართლაც დამაჯერებელია. აქ შინაური ცხოველებიცაა და გარეულიც - ვეფხვი, სპილო, მარტორქა, ნიანგი - ხანდახან სხვადასხვა ცხოველი ერთად არის, ხან კი ადამიანებთან ერთადაა გამოსახული. ვინაიდან ამჯერად, გვაქვს საქმე ტოტემიზმის მოვლენებთან, რაც ინდოეთში ყველგან შეიმჩნევა, ამიტომ ძნელია ვიმსჯელოთ ჰინდუიზმთან მის უტყუარ კავშირზე.

ჰარაპის რელიგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცენარეთა კულტსაც, უპირველეს ყოვლისა ხეთა კულტს. განსაკუთრებით საგულისხმოა პიპალი - ჰინდუიზმისა და ბუდიზმის წმინდა ხე. ერთ-ერთ ბეჭედზე გამოსახული სამრქიანი ღვთაება, პროტომივა თმის სამკაულს რომ მოგვაგონებს, ამ პიპალის ტოტზე ზის.

დასასრულ, გვინდა, კვლავ შეგახსენოთ მკითხველს, რომ მომავალი არქეოლოგიური აღმოჩენები, განსაკუთრებით პროტო-ინდური დამწერლობის საიდუმლოებათა ამოხსნა არა მარტო გაამდიდრებს, არამედ ძირეულად შეცვლის ჩვენს დღევანდელ წარმოდგენას ჰარაპის კულტურის კავშირზე ჰინდუიზმთან.

ვედებიდან ბრაჰმანიზმისაკენ

ელიშკა და ბორის მერგაუტები

პროტონდური კულტურის გაქრობასა და ინდოეთში არიელების გამოჩენის თაობაზე, მცირეა ისტორიული ცნობები. ეპიკურ პოემას „რამაიანას“ თუ ვირწმუნებთ, მაშინ ძველ ინდოეთში ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ორი ტომი ცხოვრობდა: „კირატუს ტომი, ანუ უძველესი, ძლიერი ხშირთმიანი, ოქროსფერკანიანი, მიმზიდველი გარეგნობის ხალხი, რომელიც ადამიანის ხორცს ჭამდა“, და „საშინლად შავსახიანი (შავკანიანი) ადამიანები“, უახლესი გამოკვლევების თანახმად, რომლთა პირველი შთამომავლები კოლები არიან; მათი ცელკეული ჯგუფები შემორჩენილია მალაის ნახევარკუნძულზე, კამბოჯისა და ნიკობარის კუნძულებზე. ეს შავკანიანი ტომები პროტოდრავიდებს მიეკუთვნება.

ჰეროდოტეს შეხედულებით, კოლები კაციჭამიები იყვნენ, თავიანთ ღმერთებს შესწირავდნენ ხოლმე უმხორცს, თბილ სისხლასა და ხშირად ადამიანსაც კი. სინამდვილეში კი პროტოდრავიდული რალიგია პირიქით, სისხლიან მსხვერპლს არ ითხოვდა. პროტოდრავიდები თაყვანს სცემდნენ ხეებს, ქვებს, მორებს, ყოველდღიურ საოჯახო საგნებს, რომლებსაც ასხურებდნენ წყალს, ამკობდნენ ყვავილებით, უცხებდნენ სურნელოვანი ზეთებს, და იქვე ახლოს სამსხვერპლო ცეცხლს ანთებდნენ. ყველა ეს ელემენტი მოგვიანებით გაჩნდა ჰინდუიზმში, როგორც უსისხლო შეწირვა, რომელსაც პუჯადა ეწოდებოდა.

დაახლოებით ორიათასწლეულის შუალედში ჩვენს ერამდე, ინდოეთში მოვიდნენ არიელები და თან მოიტანეს მსხვერპლშეწირვის (იაჯნა) ეფექტიანობაზე დაფუძნებული რელიგია. ამ რელიგიას ვედურს ვუწოდებთ, ვინაიდან მას ყველაზე ძველი ინდური ტექსტებით - „ვედებით“ გავიცანით. ეს რელიგია გულისხმობდა ურთულესი რიტუალის შესრულებას და ასევე უხვ შესაწირს - უმთავრესად სამსხვერპლო საქონლის ხორცსა და მათრობელა სასმელს - სომას, რომელსაც მცენარის წნეხვისას და გაწურვის შედეგად ღებულობდნენ, მაგრამ ზუსტად რანაირად ამზადებდნენ, დღემდე უცნობია. არიელები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და უწინარეს ყოვლისა მთა ინდის („ინდი“ რუსული კალკაა. სწორია მდ. სინდჰუს მთ. შენ.) ხეობაში სახლდებოდნენ. მათ გზა გადაუღობეს შავკანიანმა ტომებმა, რომელთაც არიელები „დასიუს“ მონებს უწოდებდნენ. თუმცა ეს ტომები საკმაოდ მაღალგანვითარებულ კულტურულ დონეზე იდგნენ, უთვალავი საქონელი ჰყავდათ, კარგად იცნობდნენ მოწათმოქმედებას, დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს (არიელებს), ისინი ნაწილობრივ მაინც განადგურდნენ, დანარჩენები კოლების ველურ ტომებთან ერთად მთებში გადაიხიზნენ. ზოგიერთი ტომი იძულებული შეიქნა დამპყრობელთა ცხოვრების წესი მიეღო და მათ სამსახურში ჩამდგარიყო. გარკვეული დროის შემდეგ ამ ტომებმა მათ მიწაზე მოსულთა კასტობრივ სისტემაში განსაზღვრული ადგილი დაიკავა. არიელებმა დამპყრობელთაგან ისწავლეს

ხელოვნური სარწყავების შენება და ისეთი კულტურული მცენარეების მოშენება, როგორცაა ფეტვი, შვრია, სელი, მოგვიანებით კი ბრინჯი და ქურჯუთი.

ვედების ეპოქაში ინდოელი მკაცრ ზღვარს არ ავლებდა ცოცხალსა და მკვდარს, სულსა და მატერიას, კონკრეტულ საგნებსა და აბსტრაქტულ ცნებებს შორის. სწამდა, რომ მის ირგვლივ ათასნაირი მისი მსგავსი არსებაა - ცხოველები, მცენარეები, ღმერთები და დემონები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ მის ცხოვრებაზე. ძველ ინდოელებს ყოველთვის ეს ისე ღრმად სწამდათ, რომ „სულიერ“ არსებებად მიაჩნდათ საკუთარი ხელით გაკეთებული საგნებიც, მაგალითად სამსხვერპლო, ავეჯი, იარაღი, ფერსო, სამკურნალო მალამოები, კამათლები, თითოეულ მათგანს მიეწერებოდა სიცოცხლისუნარიანობა.

ბუნებრივი მოვლენები უდიდეს გავლენას ახდენდა ვედური ხანის ადამიანზე. კაშკაშა მზის სინათლე, ძლიერი ხანძარი, ქარების ქროლა, ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, დილის ვარსკვლავის გამოჩენა და მისი ჯადოსნური ციმციმი - ყოველივე ეს, მას, ან აღტაცებას გვრიდა, ან შიშის ზარს სცემდა. ძველ ინდოელს ვერ აეხსნა ამ მოვლენათა მიზეზი, არ იცოდა მათი კანონზომიერება და ამიტომ ბუნების სამყაროში შეჰქონდა ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება, ასულიერებდა და აღმერთებდა სტიქიის ძალას. ვედურ ჰიმნებში ვხვდებით ცეცხლის ღმერთს (აგნი), ცისკარსა და მის პერსონიფიკაციას (უშასი), ცასა და ზეციურ ღმერთს (დიაუსი), მზესა და მზის ღმერთს (სურია), ქარსა და ქარის ღმერთს (ვაიუ). თანდათან ფართოვდებოდა ამ ღვთაებათა არე, მაგრამ ამასთან ერთად მორწმუნეს ჯერ კიდევ არ გააჩნდა მათზე ჩამოყალიბებული კონცეფცია. ზოგერთ ღმერთს იგი ერთნაირ თვისებებს მიაწერდა, ზოგიერთი თვისება მის წარმოდგენაში არასაკმარისად იყო გამოკვეთილი. ზოგჯერ ამა თუ იმ ღმერთის ხასიათი მხოლოდ მეორეხარისხოვანი ინდივიდუალური თვისებებით ისაზრდობდა და ერწყმოდა იმ საერთო თვისებებს, რომელთაც ყველა სხვა ღმერთს მიაწერდნენ (მაგალითად, ძალას, სიკეთეს, სიბრძნეს), ზოგ შემთხვევაში მორწმუნეთათვის არ არსებობდა განსაზღვრული ღმერთის პირადული თვისებები.

არც ღვთაებათა მკვეთრი იერარქია არსებობდა: იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვედების ყოველი თაყვანისცემელი პირველ ადგილზე იმ ღმერთს აყენებდა, რომელსაც ადიდებდა და უზენაეს პატივს მიაგებდა. ამიტომ ერთ ჰიმნში უზენაესად შერაცხული ღმერთი, სხვა ჰიმნში უკვე მეორე პლანზე დგებოდა. არ იყო გამოკვეთილი ნათესაობრივი კავშირი - ერთ ჰიმნში მამად წოდებული ღმერთი მეორეში შვილად გვევლინება, ძმა - ქმრად, თუ ქალღმერთი ერთ ჰიმნში რომელიღაც ღმერთის დედაა, მეორეში ცოლია. არიელთა ღმერთების წარმოშობაზე მრავალი მოსაზრება არსებობს - დაუდგენელია, თუ რამდენ ღვთაებას სცემდნენ თაყვანს; ვედებში ხშირადაა იმაზე ლაპარაკი, რომ არსებობდა სამჯერ თერთმეტი ღმერთი, მაშასადამე, ოცდაცამეტი; აქედან თერთმეტი ცაში იყო, თერთმეტი მიწაზე და თერთმეტიც ცასა და დედამიწას შორის. ვედების ჰიმნებში ბევრი ბუნდოვანი და გაურკვეველი ადგილია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საკმაოდ გვიანდელ წერილობით რედაქციამდე ჰიმნები არ წარმოადგენდა ერთ მთლიან ერთეულს, მაგრამ ვედების საფუძველზე, ყოველ შემთხვევაში, ძირითადად მაინც, შეგვიძლია აღვადგინოთ, ვედური პანთეონის ცელკეული სახეები.

უძველესი ღმერთი იყო დიაუსი, ეგრეთ წოდებული მამა დიაუსი (დიაუს - პიტარი). არიელები რომ მას ინდოეთში მოსვლამდე თაყვანს სცემდნენ, ამას შემდეგი რამ მოწმობს: დიაუსს საბერძნეთში როგორც ზევსს, ისე ეთაყვანებოდნენ, რომში ვით იუპიტერს, გერმანულ ტომებში კი, როგორც ტირუსა და ზიუსს. „რიგვედაში“ დიაუსი ასოცირებულია ყოველგვარ ზეციურ გამოვლინებასთან. მაგალითად, ვარსკვლავებით მოჭედული ღამეული ცა გაიგივებულია მარგალი თებით შემკულ შავ ცხენთან. ჭექა-ქუხილთან დაკავშირებით დიაუსს გააფრთხეულ ხარს ეძახდნენ. დიაუსის ცოლი მიწა (პრიტვი) იყო. ორივეს ხოტბას ასხამდნენ, როგორც მთელი სამყაროს, ღვთისა და ადამიანების შემქმნელებს. მაგრამ, ადრინდელი ვედების ხანაში ამ ღმერთების მზე ჩაესვენა და მათი ადგილი ინდრამ, აგნიმ, სომამ და სხვებმა დაიკავეს.

ვედური პანთეონის ყველაზე პოპულარული ღმერთია ინდრა: „რიგედას“ 1028 ჰიმნიდან მას მიეძღვნა 250. ოდითგანვე იგი არიელთა წარმოდგენაში სინათლისა და სითბოს ღმერთი იყო, ზამთრის სუსხს რომ თრგუნავდა. ინდოეთის სუბტროპიკულ რაიონებში ერთ შეხედულებას ახალი შეხედულება ცვლის - სითბოს ღმერთი ხდება ქარიშხლისა და წვიმის ღმერთი ებრძვის გვალვის დემონს, იმ საშინელ გველს ვრიტრას, რომლის წიაღშიც იტანჯებიან ციური ძროხები - ღრუბლები და ზეციური წყალი.

ინდრას წარმომავლობა არ არის მთლად გარკვეული, მაგრამ ყველაზე სავარაუდოა, რომ იგი ცისა და მიწის შვილია, მაშინ ჩაისახა და იშვა, როცა ცოლ-ქმარი საერთო სახლში ერთად ხცოვრობდა, და სანამ ინდრა საიდუმლო თავშესაფარში იმყოფებოდა და სომის იშვიათ ნექტარს შესვამდა, რის შედეგადაც მისი იქ ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა, ვინაიდან ისე გაიზარდა, რომ ცა და დედამიწა სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს, შეავსო მათ შორის სივრცე და იქმნა გამგებელი ჰაერისა, სადაც ღმერთები დადიან და მოქმედებენ და ადამიანები. მისი სამეფოს ემტერებოდა დემონების (ასურებისა და რაქმასების) სამეფო, ბოროტების განსახიერება, ღმერთების მარადიული მტერი და მათთან მორკინალი. თავდაპირველად ღმერთებს უძლეველს არ უწოდებდნენ, მათ მხოლოდ მაშინ გაიმარჯვეს, როცა მათ სათავეში ჩაუდგა მამაცი ინდრა, შესანიშნავი მებრძოლი, შემდგარი ოქროს ეტლზე, რომელშიც გაელვებაზე სწრაფი ცხენებია შებმული. მას მიმართავენ ღმერთები და ვედების მგალობელნი: ო, მოდი ჩქარა, ინდრავ, შენ მკვირცხლი ცხენებით, ფარშავანგივით ფრთებგაშლილი ფლული ფარფლებიანი, ვინც მახეს უგებს ყველა ფრინველს, მან იცის უკეთ რაა ფრინველი. შენც, ასე ვინმემ, თუ ვერ გაგიგო მას ჩაუქროლე, ისე როგორც უწყლო უდაბნოს. შენი სიბრძნე ხომ ისე ღრმაა, ვით ოკეანე, ვით უთვალავი, ქვეყნად წმინდა, ძროხის ნახირი, ჩამოიღვარა შენში სიბრძნე, როგორც ჩანჩქერი და გიცავს ისე, ვით ამ ნახირს, მწყემსი კეთილი.(ნ.კ) საოცარი მაღალფარდოვანობითაა დახატული ინდრას ძალა და სიდიადე: ვერც ერთი ღმერთი და ადამიანი, უკვე შობილი თუ ახლა რომ იბადება, მას ვერ გაუტოლდება; ის არის მთელი ქვეყნიერების მეუფე, ადამიანებისა და ღმერთების გამგებელი, რისხვა დემონებისა, ჰაერში რომ ცოცხლობენ, მბრძანებელია, უკვდავებისა და წყლის მფარველი, ხანდახან თვითონაც უხვად რომ სვამს სომის - მათრობელა ნექტარს დათვრობამდე. მოგვიანებით, როცა არიელებმა დაიმორჩილეს ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობა, ამ უკანასკნელმაც დაიწყო, თეთრკანიან მეომართა მფარველი ღმერთის ინდრას თაყვანისცემა.

ინდრა არ არის კანონმდებელი ღვთაება. იგი უზენაესი გამგებელია, ამ ქვეყნად

ფიზიკურად ყველას სჯაბნის, უძლეველი გმირია, მისი მხარდაჭერა გამარჯვების საწინდარია, და იგი უხვად აჯილდოვებს ყველას, ვინც მისთვის დალევს სომის ნექტარს. იგი მეფე-ღმერთია. ინდრა ჰინდუიზმშიც მიწიერი მეუფის ღვთაებრივი ანტიპოდა, ციური ანარეკლია, მაგრამ იგი კარგავს ვედურ დიდებასა და ძლიერებას. ჰინდურ ინდრას სისუსტეები და ნაკლოვანებები აქვს. დემონები მას ხშირად აძევებენ სამეფოდან, იგი თავის ტახტს მხოლოდ ჰინდუთა მთავარი ღმერთების - შივასა და ვიშნუს დახმარებით იბრუნებს.

თითქმის 200 ჰიმნი ეძღვნება მიწიერ ღმერთებს შორის უმთავარეს, ახალგაზრდა, ბრწყინვალე ცეცხლის ღმერთს - აგნის. ვედურ საგალობელში ნათქვამია, რომ აგნის უყვარს დამალობანას თამაში და ამიტომაც ღმერთები მას მუდამ თავშესაფარში პოულობენ: წყალში, ღრუბლებში, ხეებსა და მცენარეებში. იგი ხან წყლიდან იბადება და დედამიწაზე ელვასავით მოფრინავს, ხან ხმელი ხის ხახუნით ჩნდება და იწვის ხოლმე. ამ შემთხვევაში მასზე, როგორც ბავშვზე იმ ისე ლაპარაკობენ, როგორც არსებაზე - თავისსავე მშობლებს რომ ჭამს. აგნი ყველა ოჯახში სანატრელი სტუმარია, გულუხვი, ოჯახური ბედნიერების მომნიჭებელი, ჯანმრთელი მემკვიდრეობის, წარმატებისა და უკვდავების მწყალობელი. იგი სამსხვერპლო ცეცხლია და დიდ როლს ასრულებს ყველა ზნეჩვეულებაში - შუამავალია ცისა და დედამიწას შორის და ღმერთებს მსხვერპლს წირავს.

მესამე ადგილი ვედურ პანთეონში სომას უჭირავს. იგი მათრობელა სასმელია, ესოდენ რომ უყვარს ინდრას. მსხვერპლის შემწირველი უპირველეს ყოვლისა ღვთაება სომაზე ფიქრობდა, როცა ამავე სახელწოდების მცენარისაგან სასმელს ამზადებდა. სუფთა სითხეს ან თაფლგარეულ რძეს შესწირავდნენ ხოლმე ღმერთებს, ზოგი რამ წილად ადამიანებსაც შეხვდე ბოდა. წეს ჩვეულების შესრულების შემდეგ მსხვერპლგალების მონაწილენი სვამდნენ დანარჩენ სომას, სვამდნენ ღმერთებიცა და ადამიანებიც. ამგვარად ყველაფერ იმას, რაც მათზე უჩვეულო გავლენას ახდენდა, ზებუნებრივ ძალასა და იმ მათრობელა სასმელს მიაწერდნენ. თავდაპირველად ეს ღმერთი თითქოს ცაში ცხოვრობდა, მაგრამ ერთხელ იგი არწივმა მიწაზე ჩამოიყვანა. მას მერე სომას ზეციურ ბავშვს უწოდებენ. უფრო მოგვიანებით სომას თვესთან აიგივებდნენ. ამას იმით ხსნიდნენ, რომ თვე იცვლის თავის მოხაზულობას, იგი უკვდავების წყლით სავსე ფიალაა: როცა ღმერთები ამ სასმელს სვამდნენ, თვეები იკლებენ და უნდა დაიცადო, ვიდრე მზე ფიალას კვლავ არ შეავსებს.

პირველი სამეულის შემდეგ დაახლოებით ორმოცდაათ ჰიმნში, აშვინებია შემკული ხოტბა-დიდებით, ისინი ბევრ სხვა ჰიმნშიც იხსენიებიან. მათ წარმოშობასაც ასევე წინავედურ ხანას მიაკუთვნებენ. ისინი ღმერთებს შორის ტყუპები - ყველაზე ლამაზები, მოკაშკაშენი, ახალგაზრდები, ძლიერები, ელვასავით და არწივივით სწრაფები. ისინი ადგილიდან ადგილზე გადადიან თაფლითა და საგანძურით სავსე ოქროს ეტლით, რომელსაც სამი ბროლი და სამი ხელნა აქვს, ცხენებს ან ფრინველებს მიჰყავთ. ეტლში ორი ადგილი აშვინებს ეკუთვნის, მესამე - მზის ღვთაებას სურიას, ამ შემთხვევაში ქალიშვილს, რომელმაც ისინი ქმრად აირჩია და თავისი ნებით ავიდა ეტლში. ძალიან გაურკვეველია აშვინთა სახე; სხვადასხვა აზრი არსებობს იმის თაობაზე თუ რა მოვლენას განასახიერებენ ისინი. ხანდახან განთიადზე არიან დანიშნული, ზოგს სიბნელედ მიაჩნია, ზოგს აისად და დაისად, მარჩვიბის თანავარსკვლავედად,

ზოგთათვის წვიმის ღმერთები იყვნენ, ან ალიონი და აშვინების და იყო დილის ვარსკვლავი - უშასი, ცის მანათობელი ქალიშვილი. ყოველ დილით ის ემზადებოდა და მოცეკვავედ ცხადდებოდა, რათა გაეგდო საკუთარი და - ღამე, ნათელის ბჭე გაეღო და ღია ფერის სამოსელში გამოწყობილი, მის სილამაზეს ვერაფერი ჩრდილავდა მჯდარს, მოკაშკაშე ელვარე ეტლში, რომელსაც ჟღალი ცხენები ყველას წინაშე მიაქროლებდნენ: თავად მორთული და მოკაშკაშე. მომჯადოები მკერდგაღელი, ვით ცური თეთრი, ციური ძროხის მთელს სამყაროს რომ უგზავნის ნათელს. დაისის სხივმა შემოაღო სიბნელის კარი, და სადგომიდან გამოცვივდნენ თეთრი ძროხები, და განთიადი გამობრწყინდება ცის კამარაზე რომ გადადენოს კაბადონიდან სიბნელის ჯოგი, დედამიწაზე რომ აღმართოს სხივი ცხოველი ვით ადათ-წესის სამზადისის სამსხვერპლო ბურჯი. რა გასაკვირია, თუ ვედური პანთეონის ამ ყველაზე პოეტურ არსებას, ახალგაზრდა, უბერებელ, უკვდავ ქალს მზის ღმერთი სურია შეუყვარდა. როგორც შეყვარებული ვაჟი დასდევს თავის სატრფოს, ასევე დასდევს სურია ვარდისფერმკერდიან უშასს, მაგრამ სწორედ იმ წამში, როდესაც სურია ეწევა მას თავისი სხივებით, უშასი თვალს ეფარება და მხოლოდ დილით გამოჩნდება, ხიბლავს სურიას და აიძულებს, კვლავ გაიაროს მთელი გზა.

თმაცეცხლოვანი სურია შვიდ ლურჯა ცხენებზე ამხედრებული დაქრის ცის კამარაზე, მთელ ქვეყანას ანათებს და თვალყურს ადევნებს თუ რას შვრებიან ადამიანები. სურიას სხვადასხვანაირად გამოსახვენ: მას ხან ფრინველის სახე აქვს, ხან ცხენისა, ხან ხარია იგი და ხანაც ბორბალი, ცის კამარაზე რომ მიგორავს.

მზის ღმერთთანაა დაკავშირებული ღვთაება სავიტრი (შეგულიანებული თუ მამომრავლებელი); ოქროსთავიანს, ოქროსტანიანს, ოქროპირიანსა და ოქროსთმიანს, ხელში მბზინავი ოქროს იარაღი რომ უპყვრია და მსხადარს ოქროს ეტლში, რომელსაც ოქროსფეხებიანი ქურანა რაშები მიაქროლებენ. სავიტარი აცოცხლებს ბუნებას, სულს უდგამს ყოველივეს, დილით სამუშაოდ აღვიძებს ადამიანებს, საღამოს კი ოქროს ხელებს აღმართავს და მათ აძინებს. იგი ოჯახის მეგობარი და მაკურთხეველია, ფანტავს ცუდ ზმანებებს, დევნის დემონებსა და ყველას ათავისუფლებს ცოდვებისაგან. არა ღმერთს ძალუმს მისი ძლევა, ქება-დიდებათ ამკობენ მას დროის მიღმა მყოფნი დედა ადიტი და ადიტის ძმები.

მთავარი ჰინდური ღმერთი ვიშნუც, რომელსაც მეორეხარისხოვანი როლი ეკისრება, მზის ღმერთადაა შერაცხული. „რიგვედის“ ექვს ჰიმნში მას ხოტბა ესხმება იმისთვის, რომ სამი ნაბიჯით გადასერა მან დედამიწა, ციური სივრცე და ზეცა. ეს ლეგენდა ჰინდუიზმშიც გადავიდა, და „ვიშნუს ათი ნაბიჯი“, რაც ვედების კომენტატორებს სინათლის სამ გამოვლინებად (ცეცხლი, შუქი და მზე) ან მზის სამ მდგომარეობად (ამოსვლა, ბუნიობა, ჩასვლა) მიაჩნიათ, ვიშნუს ქონდრისკაცად გარდაქმნა, მთავარ მოტივად იქცა.

მზის ღმერთად უშანიც ითვლებოდა - პირუტყვისა და გზების დამცველი, დაკარგული ნივთების მპოვნელი, ზრდა - განვითარების ღმერთი და მიცვალებულთა გამცილებელი, ერთთავად ფაფას რომ მიირთმევდა, რადგან კბილები აკლდა. ხან მზესა და ხან სინათლეს ანსახიერებდა ყოვლისმხედველი და სამართლიანი ღვთაება მიტრა (მეგობარი), რომელიც იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე. იგი ვარუნას მეგობარია

და, ჩვეულებრივ, ლოცვისას ერთავს ერთად მიმართავენ. მიტრა დღისით ბატონობდა ამ ქვეყანაზე, ვარუნი კი ღამით.

უზენაესი გამგებელი ვარუნა არ შეესაბამება ვედურ წარმოდგენათა ჩვეულებრივ კონცეფციას. ვედებში არ არის აღწერილი მისი გარეგნობა. სამაგიეროდ, დაწვრილებითაა ლაპარაკი მის ზნეობრივ თვისებებზე. ვარუნა იცავს ამქვეყნიურ ფიზიკურ და მორალურ წესრიგს (რიტუ). მისი ბრძანებით იცვლება წელიწადის დრონი, ქრის ქარი, ყვავის ხეები. მისი თქმით უთენებია ღამეს დღე, მზისთვის გზა უჩვენებია, მდინარეები თან ერთვის ოკეანეს, მაგრამ არ ავსებს, მისთვის ყველაფერი ცნობილია, ცხადია და ფარულიც. ორნი რომ თათბირობდნენ, ისიც მათთან არის. ღამის მეუფეს ბევრი ბრძენი და უცდომელი მეთვალყურე ჰყავს - ვარსკვლავები ათასი თვალით დასცქერიან სამყაროს (დღისით ყველაფრის მხილებელია მზე), სჯის დამნაშავეებსა და შეუნდობს მათ, ვინც შეუნდობას ითხოვს.

ზნეობრივი საფუძველი, რომელიც უცხოა ვედური პანთეონის ღმერთების უმეტესობისათვის, ისე ძალუმადაა გამოკვეთილი, რომ იგრძნობა უცხო, როგორც ჩანს, ბაბილონური გავლენა. ვედური პერიოდის შემდეგ ვარუნას სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა. მას სულ უფრო ხშირად უკავშირებენ წყალს, მაგრამ ამასთანავე უმაღლესი რანგის, „სამართლიანობის“ ღმერთისგან „ზღვის ღმერთი“ წარმოიქმნება.

კიდევ ერთი ღვთაება არ შეესაბამება ჩვეულებრივ ვედურ წარმოდგენას, ესაა რუდრა (ბობოქარი), ქარიშხლის ღმერთი და ქარის მამა, ერთადერთი ღმერთი, რომელსაც უარყოფით თვისებებს მიაწერდნენ. ვედური რუდრა ყველაფერს ანგრევს, იგი არის წითური ტახი, გულზვიადი, მძლეთამძლე, უკარება, საოცრად სწრაფი. ამ მოწითალო - მოყავისფრო ვეება ტანის ნადირს, განასკული თმა, ოქროს სამკაულები და შესანიშნავი ფარდული რომ ამშვენებს, თაყვანს სცემდნენ აგრეთვე როგორც მკურნალს, სამკურნალო მცენარეთა მბრძანებელს, თაყვანისმცემლების მორჩენა და სიცოცხლის გახანგრძლივება რომ შეეძლო.

რუდრას განსაკუთრებული მდგომარეობა რიტუალშიც ჩანს. ციურ ღმერთებისთვის შესაწირთაგან მას მხოლოდ ნარჩენები ერგებოდა. ამასთანავე რუდრას თაყვანისცემის ეს წესი სრულდებოდა სოფლის მოშორებულ, მიყრუებულ, გაუშენებელ ადგილებზე, გზაჯვარედინებზე, ხშირად ცეცხლსაც არ ანთებდნენ ეს რიტუალი ძალიან ჰგავდა ადამიანებისადმი მტრულად განწყობილ დემონებისათვის მსხვერპლშეწირვის წესს. ამგვარი დამოკი დებულება ღვთისადმი, მათ უფრო მითოლოგიურად არ შეესაბამებოდა რუდრას ძალოვნებას, იგი ხომ მუდამ თავზარს სცემდა ადამიანებს. რუდრას აღმოსავლეთით, სხვა ღმერთებთან ერთად კი არ სვამდნენ, არამედ ჩრდილოეთით. ყველაფერი ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად რუდრა არ ეკუთვნოდა არიელთა ღმერთებს, იგი ნასესხებია წინაარსიელთა მკვიდრთაგან, და გარკვეული ტრანსფორმაციისა და იმ თვისებების გაკეთილშობილების შემდეგ, რომლებიც აფრთხობდა მის თაყვანისმცემლებს და არ შეესაბამებოდა ჩვეულ წარმოდგენას ღვთაებაზე, რუდრას მყარი ადგილი უკავია ვედურ პანთეონში, მაგრამ მნიშვნელოვან ღვთაებად არასოდეს ქცეულა. თუმცა მოგვიანებით მან ნებისმიერ ვედურ ღმერთზე მეტი ცვლილება განიცადა, მისი მნიშვნელობა შესამჩნევლად გაიზარდა, შივას შეუერთდა და ჰუნდაიზმის ერთ - ერთ ყველაზე მთავარ ღმერთად

იქცა.

ცოლი: აგნის - აგნაი, ინდრას - ინდრანა, ვარუნას - ვარუნანი, თუმცა ვედებში ისინი იშვიათად იხსენიებიან. რამდენიმე ქალს, მაგალითად, პრითჰვის, ადიტისს და უშასს თაყვანს სცემდნენ პირადული თვისებების გამო; მათ რიცხვსავე ეკუთვნოდნენ სარასვატი და ვაჩი.

„რიგვედაში“ სარასვატი მდინარის სახელწოდებაც იყო და ქალღმერთისაც, რომელსაც ამ მდინარის ნაპირას მსხვერპლს სწირავდნენ. მას უწოდებდნენ ყველაზე ღირსეულ დედას, მდინარესა და ქალღმერთს; სავარსატს ეთაყვანებოდნენ მომღერლები, რომელთა რომელთაც იგი ჰიმნების თხზვაში ეხმარებოდნენ.

ვაჩი მეტყველების განხორციელებაა, ვედების დედა და ინდრას მეუღლეა. იგი პრაჯაპატიმ გააჩინა და სომაში გაუცვალა ნახევარღმერთებს - განდჰარვეებს. ვაჩი და სარასვატი მოგვიანებით გარდაიქმნენ სიბრძნის ქალღმერთებად, რომელიც ჰინდუიზმში სხვადასხვა სახელით ბრაჰმას ცოლად გვევლინება. ჰინდურ პანთეონში შვიდა ნახევარღმერთების ვედური სამყაროც და საპატოო ადგილი დაიკავა. აფსარები ვედებში ნისლს ანსახიერებენ. ჰინდუიზმში ისინი მშვენიერ ციურ ფერიებად იქცნენ, პურანებისა და „რამაიანას“ თანახმად რძის ოკიანის შედღვეებით წარმოიშვნენ. ქაფიდან რომ ამოვიდნენ, ფერიები წყლით არ განბანილან, ამიტომ ისინი არც ღმერთებმა ითხოვეს და არც დემონებმა. აფსაები ნახევრად ღვთაებრივ ქალებად დარჩნენ. ისინი მოწოდებული იყვნენ საამოდ ექციათ ბრძოლებში დაცემული ღმერთების და გმირების ცხოვრება. მათ შორის ყველაზე ლამაზები მიწაზე ჩამოდიოდნენ, რათა ღმერთების ბრძანებით, თავბრუ დაესხათ ასკეტებისათვის და ეხსნათ ისინი მკაცრი მონანიებისაგან. ეს ლოგიკურად არ მოგვეჩვენება, თუ არ გავიხსენებთ, რომ ძველი ინდოელები ასკეტიზმს სამყაროს მამოძრავებელ ძალად თვლიდნენ. ასკეტიზმმა შექმნა ღმერთები, განაახლა და განადგურებას გადაარჩინა ქვეყანა; მოკვდავთა უკიდურეს განდგომილებას შეეძლო ღმერთები ტახტიდან ჩამოეგდო. ცხადია აფსარების ჯადოქრობა დიდად ფასდებოდა. ინდრას კარზე ისინი საამურად ცხოვრობდნენ, ერთობოდნენ განდჰარვეებთან, ციურ მგალობლებთან, კინარებთან - ციურ მოცეკვავეებთან, ნახევრად ადამიანებსა და ნახევრად ფრინველებთან (თუ ცხნებთან). გასაოცარია, რომ სწორედ მშვენიერ აფსარებს ხვდათ ასეთი უცნაური პარტნიორები, საუცხოო ხმებითა და პლასტიკურობით რომ გამოირჩეოდნენ.

ამ ათასი რჯულის ღმერთებსა და ნახევარღმერთებს, მემკვიდრეობით რომ გადმოსცა წინაარსულმა მოსახლეობამ და ძალიან მრავალრიცხოვანი გახდა, შემდეგ უდიდესი ჰინდური პანთეონი წარმოიშვა. მათ შორის ნათესაური კავშირი არსებობდა, მაგრამ ეს კავშირი ანტიკურ მითოლოგიაში ნათესაური დამოკიდებულებების საპირისპიროდ მეტად ბუნდოვანი იყო. სამყაროზე, არც ვედურ წარმოდგენას აკლდა ბუნებრივობა, ვედურ ხანაში ხალხი ღმერთებს თუნცა ძალიან ენდობოდა, მათ გულში მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ უნდა მოეგოთ ღმერთების გული და შეძლებისდაგვარად აეცილებინათ მათი რისხვა. ამიტომ წეს-ჩვეულებათა პროფესიონალი შემსრულებლები მთავარ ყურადღებას აქცევდნენ იმ რიტუალს, რომლის მთავარი მომენტი მსხვერპლშეწირვა იყო, შედარებით ადრე განისაზღვრა ამ რიტუალის მონაწილეთა ფუნქციების სპეციალიზაცია: ჰოტარი, „რიგვედის“ ჰიმნების მცოდნე, მოუწოდებდა

ღმერთებს მიეღოთ მსხვერპლი, სამსხვერპლო წესს თან სდევდა „სამავედის“ მცოდნის უდგატარის სიმღერა „იაჯურვედის“ მცოდნე ადჰავარტიუ მსხვერპლს სწირავდა, ხოლო უმაღლესი ქურუმი - ბრაჰმანი, ყველივე ამას, თვალყურს ადევნებდა.

გვიანდელ ვედურ ხანაში, ინდური საზოგადოება ოთხ ძირითად სოციალურ ჯგუფად - ვარნად (იგულისხმება კასტები ნ.კ. დაიყო, და როდესაც დიდი სახელმწიფოები შეიქმნა, შესამჩნევლად გაძლიერდა მეფის ძალაუფლება, უფრო გამოიკვეთა ქურუმთა სპეციალიზაცია. ბრაჰმანი, ვედების მცოდნე და მსხვერპლშეწირვის წარმოდგენის რეჟისორი, იმდენად მაღლა იდგა, რომ ის ჩვეულებრივი წეს - ჩვეულებების შესრულებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ახალმა სოციალურმა წყობამ შინასაეკლესიო მსახურის - პუროჰიტის ახალი ფუნქციები წარმოშვა მეფეს განსაკუთრებით სჭირდებოდა სულიერი მოძღვარი, ვინც მის ხელისუფლებას მაგიური რიტუალებით დაიცავდა.

ეს პერიოდი „ათჰარვავედის“ (მაგიური ფორმულების ცოდნა) მეოთხე კრებულში. მასში უფრო ძველი რელიგიური შეხედულებებია ასახული, ვიდრე სამ ვედურ კრებულში. ამ კრებულში შემოინახა წინარეარული ელემენტები. ვინაიდან ორთოდოქსები დიდხანს არ ცნობდნენ ვედად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენამდე მოღწეულმა „ათჰარვავედამ“ ბევრი თავდაპირველი თვისება დაკარგა.

ფორმალურად ქურუმები იყოფოდნენ ათჰარვანებად, კეთილისმყოფელი ადათ - წესების - შემსრულებლებად, და აგნირასებად, „ბოროტი მაგიის“ წეს-ჩვეულებებს რომ ასრულებდნენ. ათჰარვანები ვედურ ღმერთებს ცნობდნენ, მაგრამ მთლიანად არ ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვის რიტუალს. ტრადიციული ვედური მსხვერპლშეწირვა, ძალიან ძვირი ჯდებოდა და ამიტომ, ის მხოლოდ ძალიან მდიდრებისთვის იყო ხელმისაწვდომი, ამ ფაქტმა წარმოიშვა გაუბრალოებული წესჩვეულებები; ამით ჩაეყარა საფუძველი საშინაო რიტუალს, რაც ჰინდუიზმში დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

არიელების შეჭრამ მდინარე განგის ხეობაში და უფრო იქით, სამხრეთითა და აღმოსავლეთით მავნე, ნოტიო ჯუნგლებში, ასთაჰარვანების წინაშე ახალი ამოცანა წამოჭრა - დაეცვათ ავადმყოფობისა და სიკვდილის საფრთხეში მყოფი ადამიანები, რომელთაც არ შეეძლოთ ბრძოლა ბუნების ძალებისა და სტიქიური უბედურებების წინააღმდეგ. ყველა ათჰარვანის არსებაში შეთავსებული იყო მსხვერპლის გამღების, ჯადოქრისა და ექიმის ფუნქციები. ათჰარვანს შეეძლო ეხსნა ადამიანი ჭირისგან.

„ათჰარვავედა“ ათჰარვანებს ზებუნე რივ ძალებს მიაწერს. როგორც კი ათჰარვანი სოფელში შემოვიდოდა, მაშინვე გაქრებოდნენ ბოროტი სულები. ათჰარვანებს შეეძლოთ ადამიანის სიცოცხლე ას წლამდე გაეხანგრძლი ვებინათ და თავიდან აეცილებინათ ნაადრევი სიკვდილი. სიკვდილი ხომ ჯადოქრობასა და შელოცვებს მოჰქონდათ ხალხისათვის. ათჰარვანები ემორჩილებოდნენ თავიანთ პატრონს, უზრუნველჰყოფდნენ მათ დოვლათით, საქონლისა და ხორბლის სიუხვით, ასწავლიდნენ მას, როგორ მოეგო სატრფოს გული, სიკეთე და ბედნიერება რომ ჰქონოდა ოჯახში, შეხმატკბილებულად ეცხოვრა ბავშვებსა და ნათესავებთან.

საერთოდ, ლოცვები და შელოცვები იცავდნენ ადამიანებს ავი სულების, მტრებისა და ასევე ავადმყოფობისაგან. მეტოქის შელოცვას, თუ უბედურება მოჰქონდა, მისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა „იერიში“ - უფრო ძლიერი შელოცვები მტრის მოსათილისმებლად და გასანადგურებლად. ბუნებრივია, მტერიც იგივე მეთოდებს მიმართავდა. მაშასადამე, როგორც წესი, ბრძოლა მაგიის ტექნიკის სფეროში იმართებოდა, და ორ ათჰარვანს შორის უძლიერესი იმარჯვებდა. მათ ძალა არა მარტო გამოცდილებითა და უნარით ისაზღვრებოდა, დამოკიდებული იყო ტაპასაზეც - უკიდურეს თვითგვემაზე ასკეტიზმზე, თვითგანდგომაზე.

ხალხი ავადმყოფობისა და უბედურებისაგან რომ გადაერჩინათ, ათჰარვანები წამლებს აძლევდნენ, პრაქტიკოსი მაგიკოსებისგან იცოდნენ ცალკეული ბალახისა და მინერალის სასარგებლო მოქმედება, მაშასადამე, პირველი მკურნალები იყვნენ მანამდე, ვიდრე გაჩნდებოდა ტრადიციული ინდური მედიცინა - „აიურვედების“ სისტემატური ცოდნის კრებული. „ათჰარვავედაშიც“ შემონახულია მსხვერპლშეწირვის აღწერა, რაც სხვა ვედებითაც ფართოდაა ცნობილი, არანაკლებ მდიდარია მისი სარიტუალო ტერმინოლოგია. მსხვერპლშეწირვის მთავარი მიზანია, ადამიანმა იპოვოს ადგილი ზეცაზე და ამგვარად მიაღწიოს კეთილდღეობას დედამიწაზე. აგრეთვე, რათა თავიდან მოიშოროს მტრები და მეტოქეები წეს - ჩვეულების მაგიის მეშვეობით. შემდგომ, ბრაჰმანულ სტადიაზე ჩვენ ვხვდებით უკვე სიმბოლურ შეწირვებს, რომელთა შესრულებისას მაგიური წესები მნიშვნელოვნად გაუბრალოებულია. ასეთი იყო ყველა მსხვერპლშეწირვა „სავას“ სახელწოდებით. განსაკუთრებულ ვითარებასთან დაკავშირებული და რაღაც კონკრეტული სურვილის აღსასრულებლად მსხვერპლშეწირვა. „სავა“ ადამიანებს უნდა დახმარებოდა, ცაზე მოხვედრილიყვნენ, დიდხანს ეცოცხლათ, გამდიდრებულიყვნენ და შვილები ჰყოლოდათ, გაენადგურებინათ მტრები და ა.შ. შევჩერდეთ ერთ - ერთ ასეთ მსხვერპლშეწირვაზე, ანუ „ბრაჰმაუდანასავაზე“, რომელიც სომას ზედაშეს შეწირვის წეს - ჩვეულებას ცვლის. ამ წეს - ჩვეულების მიხედვით, ბრაჰმანებს სწირავდნენ მოხარშულ ბრინჯს. ბრაჰმანები შეწირვის სახით ოქროსაც იღებდნენ. ჯერ შესაბამის სიტყვებს წარმოთქვამდნენ, მერე კი ცეცხლს ანთებდნენ. სახლის პატრონის ცოლი ტყავზე დადებულ როდინში ყრიდა ბრინჯს, აცლიდა ჩენჩოს, ბზეს კი დაწნულ კალათაში ყრიდნენ. ჩენჩო და ბზე განსაკუთრებული იყო აგნსათვის და კერაზე წვავდნენ, თან ლოცულობდნენ. გალობის დროს სახლის პატრონი იქ, სადაც წეს - ჩვეულება სრულდებოდა, სამჯერ შემოუვლიდა გარს ქოთანს. მოხარშულ ბრინჯს იღებდნენ მოსარევით, რომელიც სიმბოლურად ქალღმერთ ადიტის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა, და ასხურებდნენ რძეს და ერბოს. ბრინჯის მასის ჩაზნექილ სიღრმეში, ცხიმს ასხამდნენ და მას „ათჰარვავედას“ მცოდნე ოთხ ქურუმს სთავაზობდნენ. ასეთი ბრინჯის ჭამის უფლება მხოლოდ ამ ბრაჰმანებსა და მათ მემკვიდრეებს ჰქონდათ, სხვებისათვის ამას დიდი ზიანი შეეძლო მოეტანა. ამ საკმაოდ უბრალო წეს - ჩვეულებას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც სომის ნექტარის შესმას (ცალკეული წვრილმანები სომის ვედურ მსხვერპლშეწირვას მოგვაგონებს) საბოლოოდ მრავალჯამიერების, გამდიდრების, მემკვიდრეობის, ხოლო სიკვდილის შემდეგ ზეციური ცხოვრების მომასწავლებელი იყო.

თუმცა სიმბოლური მსხვერპლშეწირვა არ წარმოადგენდა ათჰარვანების საკულტო პრაქტიკის უკანასკნელ სიტყვას. მათი ტრადიციების განვითარების დამამთავრებელ სტადიაზე წეს - ჩვეულებათა მაგიური ძალა, ბრაჰმანი რომ ეწოდებოდა, თვით

მსხვერპლს გაუტოლდა. ბრაჰმანი მსხვერპლშეწირვის ყველა ელემენტს მოიცავდა: შემწირველებს, რიტუალურ საგნებს, სამსხვერპლოს და ამ აქტის იდეალური საფუძველი გახდა. ათჰარვანების რწმენით, ეს იდუმალი ბრაჰმანი ასკეტიზმის და განდობის შედეგად წარმოქმნილი უზენაესი ზებუნებრივი ძალაა. ასე განვლო მსხვერპლშეწირვამ რამდენიმე ეტაპი - მატერიალური წეს - ჩვეულების, სიმბოლური წეს - ჩვეულების შესრულებისა და „შინაგანი“ წეს-ჩვეულებისა, ბრაჰმანის წმინდა ხილვის წეს - ჩვეულებად რომ იქცა. ბრაჰმანის წეს-ჩვეულებაზე წარმოდგენა მოგვიანებით უპანიშადებში განვითარდა და დამუშავდა.

იმის აუცილებლობამ, ნათელი და გამართლებული რომ ყოფილიყო წინარეარული მოსახლეობისგან მიღებული, არიული რიტუალებისგან, ესოდენ განსხვავებული რიტუალები, ახალი მითოლოგია შექმნა. ამ მითოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ატიტის, ბრაჰმაჩარინსა და ვრატიას, რომელთაც შეიძლება საზოგადოებრივი ღმერთები ეწოდოს, ვინაიდან ათჰარვანების სარწმუნოების გავრცელებისა და გაბატონების დროს წარმოიქმნენ. გარდა ამისა, აქ ვხვდებით აბსტრაქტულ, უპანიშადების ღვთაებათა ანალოგიურ ღმერთებს, ისეთებს, როგორცაა ვენა, რომელშიც ყოველივე ითქმება და რომლისგანაც კვლავ ყოველივე წარმოიქმნება; კამა - სიყვარული, კალა - დრო და განსაკუთრებით სკამბჰა, რომელიც ყველაფრისა და ყოველის სიცოცხლის ერთიანობაა, როგორც ხილული, ასევე უხილავი მთელი სამყაროა.

„ათჰარვავედის“ პანთეონის მეორე ნიშნული თვისებაა ქალთა სახეების სიუხვე. მაგალითად, მთვარის ავსება ქალღმერთ პაურნამასისთანაა გაიგივებული, ახალი მთვარე - ქველმოქმედ ამავასოასთან, სიმდიდრის, საწმელს რომ ამრავლებდა და სიკეთეს თესავდა, ღამე მშვენიერი ქალიშვილის რატრის იგივეობაა; ციური ძროხა, რომლის დაუმრეტელი ჯიქნის ცურებიდან ათასი ნიაღვარი მოედინება, ქალღმერთი მადჰუკაშისა და აგრეთვე კეთილგანწყობილი ვერაჯის განსხეულებაა, ყველას სანატრელ საჭმელს რომ უბოძებს ხოლმე.

ჯუნგლებში მცხოვრებ პრიმიტიული ტომების რელიგიურმა წარმოდგენებმა დაამკვიდრეს „ათჰარვავედას“ სამყაროს დემონები, მიცვალებულთა უსახო მოჩვენებანი და სულები. ადამიანებივით ცოლ-შვილთან მცხოვრები რაქმასები და იატუდჰანები, მთვარის შევსების დროს ბობოქრობდნენ თავს ესხმოდნენ ადამიანებსა და პირუტყვს, ავად ხდიდნენ მათ, უმი ხორციით იკვებებოდნენ, სისხლსა და სასიცოცხლო ძალას გამოსწოვდნენ, თვალბედითი კიმიდინები ბადროთი კლავდნენ თავის მსხვერპლს, ხოლო თავზადამცემი კრავიადები ცეცხლზე წვის დროს ჭამდნენ გვამებს. დემონების ცოლებსა და სატრფოების გარდა აქ მოქმედებდნენ დამოუკიდებელი და სიავის მომტანი ქალები - გაუმადლარი არათი შიშველი გამოეცხადებოდა მძინარე მამაკაცებს, მიეკვრებოდა მათ და ძალას ართმევდა: ოქროსკულულებიან ნირითს სიკვდილი და უბედურება მოჰქონდა; აპვა მუცლის დაავადებებს იწვევდა; სადანვები - ავი სულების ქალიშვილები, ყმუოდნენ და წიოდნენ ბოსლებსა და ბელლებში, გრაჰინები კი ადამიანებს სახსრებში უტევდნენ და რევმატიზმით აავადებდნენ.

საგულისხმოა, რომ ეს დემონები და ავი სულები, არ იყვნენ დაკავშრებული ბუნების

ძალეებსა და მოვლენებთან. თვით გვიანდელი ვედების ხანის ინდოელთა უფრო განვითარებულ აზროვნებაშიც კი, ეს არასახარბიელო მოვლენები, ავადმყოფობის, უშვილობისა თუ საცოდვილო მოქმედების გამომწვევი მიზეზები, უკავშირდებოდა არ რაღაც ნივთიერს, არამედ მტრის თილისმით გამოგზავნილი, არასუბსტანციური ფლუიდი ჰაერში ტრიალებდა, რომ ირგვლივ ყოველივე მოეწამლა.

„ათჰარვავედის“ რელიგია მკვეთრად განსხვავდებოდა „რეგვედის“ მთელი სულიერი ატმოსფეროსაგან, სადაც მეხოტბეები (რიშები) აღფრთოვანებით, სიხარულით, მაღლიერებით ადიდებდნენ ადამიანებისადმი კეთილად განწყობილ ღმერთებს; მისი ჰიმნები ღმერთების უდიდესი თაყვანისცემითაა გამსჭვალული. უფრო ადრინდელი ხანის ქურუმებსა და მეხოტბეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ღმერთები ადამიანებს საკუთარი ნება - სურვილითა და ხალისით აჯილდოებდნენ; ათჰარვანებისთვის უპირველეს ყოვლისა შელოცვები (მანტრები) მტრული ჯადოსნური ძალების მართვის იარაღად იქცნენ. ღვთის სიყვარული და ნდობა შიშმა და უნდობლობამ შეცვალა, მორწმუნენი მათ ელაქუცებოდნენ. მანტრები სასწაულმოქმედ, არა მეგობრულად განწყობილ ზეცის მკვიდრთა გულის მოგების საშუალებად იქცა.

„ათჰარვავედაში“ აისახა იმ ტიპის წეს-ჩვეულებებზე გადასვლა, ხშირად რომ მოიხსენიება გვიანდელ რელიგიურ წყაროებში - ბრაჰმანებში. ისინი შეიცავდნენ მსხვერპლშეწირვის რთული წეს-ჩვეულებების ვრცელ პროზაულ აღწერასა და განმარტებებს. წვრილმანთა განსხვავებულმა განმარტებამ ხელი შეუწყო რამდენიმე სკოლის ჩამოყალიბებას, რომლებიც ამა თუ იმ ტექსტს აღიარებდნენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „აიტრეიაბრაჰმანა“ და იმ დროს, როდესაც „ბრაჰმანები“ იქმნებოდა, არიელები აღმოსავლეთითა და სამხრეთით მიიწევდნენ. მათმა ცენტრმა, თანამედროვე დელის მიდამოებში მდებარე ლეგენდარული კურუსა და პანჩალას ქვეყნიდან დოაბის მთიან რაიონში მათჰურამდე გადაინაცვლა. შემდგომ ამ რაიონს ბრაჰმავარტი ეწოდა, რომლის ტრადიციები და წეს - ჩვეულებები ძველ კანონთა კრებულის თანახმად მთელი ინდოეთის სამაგალითო ნიმუშად უნდა ქცეულიყო.

იმ ხანებში ყველა „ორჯერდაბადებულს“ (დვიჯას) როდი ჰქონდა საკამათო კულტურა, მონოპოლია ქურუმ-ბრაჰმანთა უმაღლესმა კასტამ ჩაიგდო ხელში. უკვე შეიძლება ლაპარაკი კასტობრივი სისტემის გარკვეულ განმტკიცებაზე. უკიდურესად რთული და დახლართული რიტუალის ცოდნამ ბრაჰმანთა მდგომარეობა განამტკიცა, რომ თავიანთი თავი ღმერთებზე მაღლა წარმოიდგინეს. „მატაპატაბრაჰმანში“ ნათქვამია: „არსებობს ორი სახე ღმერთებისა - ღმერთები და ისინი, რომელთაც ჰიმნებით ადიდებენ, ადამიანი - ღმერთები - ბრაჰმანები. მათ შორის უნდა გაიყოს მსხვერპლი: ღმერთებს მსხვერპლი უნდა ერგოთ, ხოლო სწავლულ ბრაჰმანებს - ადამიანურ ღმერთებს - ჯილდო. თუკი ეს ღმერთები კმაყოფილი იქნებიან, ისინი შემწირველს ცამდე აამაღლებენ“

ბრაჰმანს ოთხი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული: ჭეშმარიტად ბრაჰმანული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, შესაფერისად უნდა მოქცეულიყო, სწავლულის სახელი ჰქონდა, ასევე ხელი შეეწყო „ადამიანთა სიმწიფისათვის“, მაშასადამე, განეხორციელებინა მსხვერპლშეწირვა, რაც ამქვეყნიურ ადამიანის მომწიფების საწინდარი იქნებოდა.

მაგრამ ადამიანებსაც ეკისრებოდათ გარკვეული მოვალეობა ბრაჰმანების მიმართ - თაყვანი უნდა ეცათ მათთვის, ძღვენი ებოძათ, არ შეეწუხებიათ ისინი, არ მოეკლათ. მათ ქონებას მეფეც კი ვერ შეეხებოდა, და თუ იგი აჩუქებდა ვინმეს სამფლობელოს, ცოცხალითა თუ უსიცოცხლო ინვენტარითურთ, ბრაჰმანების ქონებას ხელს არავინ მოჰკიდებდა. მკვლელობად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მხოლოდ ბრაჰმანის მკვლელობა ითვლებოდა. ბრაჰმანისა და სხვათა შორის ატეხილი დავის დროს მოსამართლეს, როგორც წესი, პირველს ემხრობოდა, რადგან არ შეეძლო მას შეწინააღმდეგებოდა.

ვედურ პანთეონში ამ დროს ხდება შემდგომი ცვლილებები. აგნის გარდა, თავისი მეგობრობა რომ შეინარჩუნა, პირველ ადგილზე გამოდიან ვიშნუ და შივა; უკანასკნელი თითქოს თავისი პროტოტიპის რუდრის კეთილმოსურნე ვარიანტია. მაგრამ ბრაჰმანების უმნიშვნელოვანეს ღმერთად პრაჯაპატი („არსებათა მეუფე“) იქცა. ის აღიარებს „პირველარსებად“. თავდაპირველად სიცარიელე იყო, არც ზეცა არსებობდა, არც მიწა და არც ატმოსფერო. არარაობიდან სული წარმოიშვა, სულიდან პრაჯაპატი, პარაჯაპატიდან კი დარანჩენი არსებები. სხვათა შორის, პრაჯაპატს მხოლოდ იმიტომ ეთაყვანებოდნენ, რომ ის ყოვლისშემძლე მსხვერპლის სამყაროს წარმოადგენდა, ის კი ყველა ღმერთზე მნიშვნელოვნად აღიქმებოდა.

მსხვერპლი რელიგიური წეს - ჩვეულებებისა და წმინდა გამონათქვამთა ნაერთს წარმოადგენდა, რომელთა კომბინაციისგან იქმნებოდა შეუმჩნეველი, დაუძლეველი უდიდესი ძალა, იმისი დარი, ქომიური რეაქციის დროს წარმოიქმნება ახალი ნივთიერება. ეს გამოთავისუფლებული ფლუიდი, ან პრანჯაპატში იყო ხორცშესხმული (ვიშნუს შესაბამისად), ანდა მორწმუნის არსებაში, ან ერთდროულად მასშიც და ქურუმშიც შუამავლად გამოდიოდა მსხვერპლშეწირვისას. მსხვერპლი - ძალათა ძალა ყველაფერში აღწევს და ფარულად ყველაფერშია. ქურუმი სულ უნდა იცავდეს ამ ძალას, ვინაიდან ეს ძალა მეტად ნაზია და როგორც კი ყურადღებას მოაკლებ, მაშინვე გაიფანტება. სულ მცირე გაუფრთხილებლობასაც კი შეუძლია არახელსაყრელი შედაგები გამოიწვიოს. ამიტომაც კრებულში ჩამოთვლილია იმის მრავალი საშუალება, რომ მსხვერპლი არავინ შეუწუხოს.

ქვეყნად ისეთი არავინაა, უშუალოდ რომ არ აინტერესებდეს მსხვერპლს: „ის არსებები, მსხვერპლშეწირვაში რომ არ მონაწილეობენ, ყველაფერს კარგავს. მაგრამ მათ, ყველაფერი რომ არ დაუკარგანთ, მონაწილეობა უნდა მიიღონ მსხვერპლშეწირვაში: ადამიანების შემდეგ ცხოველები, ღმერთების მერე ფრინველები და მცენარეები, ხეები - ყოველივე არსებული, მთელი სამყარო მონაწილეობს მსხვერპლშეწირვაში.“

როდესაც მსხვერპლშეწირვისას ერთად ილხენდნენ ღმერთები, ადამიანები და წინაპრები, მსხვერპლი მათ საერთო ტრაპეზს წარმოადგენდა. ასეთ დროს ჩანდა, როგორ მიდიან ღმერთები მსხვერპლთან. ახლაც იქ არიან, მაგრამ არ ვერ ვხედავთ.

მსხვერპლი აერთიანებს ცას და მიწას: „ღმერთები იმით ცხოვრობენ რაც მათ, აქ, ქვემოთ შესწირავენ ხოლმე, ადამიანები იმ საბოძვართ ცხოვრობენ რასაც ზეციდან იღებენ“.

მორწმუნეებს არ უნდა შეეშინდეთ, თუკი მათი მსხვერპლი დროულად არ იქნა შეწირული: ღმერთებს ყოველთვის შიათ და მოუთმენლად მოელიან მსხვერპლშეწირვას. მაგრამ იმას საიდან იგებენ, რაც ვინმე მსხვერპლის შეწირვას მოისურვებს? „გადაწყვეტილებას“ ადამიანი გულში იღებს, მერე ეს სულში გადადის, შემდეგ ქარში, ხოლო ქარი ღმერთებს ატყობინებს, ადამიანს გულში რაც უდევს. ღმერთები შემწირველის სახლთან ადრე მიდის. ყველაზე კრიტიკული წუთი მაშინ დგება, როდესაც მასპინძელი ხელს შეახებს იმას, რაც შესაწირადაა გამიზნული. ღმერთები ერთმანეთს გადაახტებიან ხოლმე: ყველას ჰგონია, მსხვერპლი სწორედ მე მეკუთვნილი. ამიტომაც ბრაჰმანმა უნდა უხელმძღვანელოს წეს - ჩვეულებას იერარქიის შესაბამისად - დაასახელოს ის, ვისაც მსხვერპლი შეეწირა, და ამით შეწყვიტოს ღმერთების დავა, სხვანაირად მსხვერპლს აზრი არ ექნება.

მართებულ მსხვერპლშეწირვას მდიდარი ნაყოფი მოაქვს: „თუკი ღმერთებმა ერთხელ მაინც წაიხემსებს, მასხვერპლშემწირველს უკვდავება ელის“.

თუმცა ღმერთები მუდამ როდი ელტვიან ადამიანებთან ურთიერთობას: ცუდი მოგონებები დაუგროვდათ ერთად ცხოვრებიდან. მაშინ მათ ადამიანები ხან რას თხოვდნენ და ხან რას, რას, და ისე მოაბეზრეს თავი გაუთავებელი ხვეწნა - მუდარით, რომ ღმერთებმა გადაწყვიტეს ცაში გადასახლებულიყვნენ. თქვეს: „როგორ მოვიქცეთ, რომ ადამიანები არ გამოგვედევნონ“? და მსხვერპლს თაფლივით გამოსწოვებს წვენი; ამგვარად გამოაცალეს მსხვერპლს მთელი რძე, აიღეს სამსხვერპლო სარი, მათ გააქრეს კვალი და გაუჩინარდნენ. სხვათა შორის, მათ ჯეროვნად ვერ შეაფასეს რიშების ჭკუა, მათ გამოიცნეს ღმერთების ეშმაკობა.

ღმერთებმა იმით დაიცვეს თავი ადამიანებისაგან, რომ ყველა დანარჩენი არსების საუბედუროდ, შეთანხმება დადეს სიკვდილთან: სიკვდილმა თქვა: „რაღა დამრჩენია, თუ ადამიანები მსხვერპლშეწირვის წყალობით უკვდავები გახდნენ?“ ჰოდა, ღმერთებმა ასე გადაწყვიტეს: „ყველა სხვა არსებას საკუთარი სხეული უნდა გადმოეცა, უკვდავებას მხოლოდ ტანიდან გამოსვლის შემდეგ მიაღწევდნენ“.

ვინაიდან ნამდვილ მსხვერპლშეწირვაში იდო ღმერთების წარმატების საიდუმლოება, აუცილებლად ითვლებოდა რიტუალის ყველა ტექნიკური წვრილმანით შესრულება, „მსხვერპლშეწირვა ახლაც ისე სრულდება, როგორც ღმერთები ასრულებდნენ“.

ამ წარმოდგენებიდან გამომდინარეობდა შეხედულება, რომ მსხვერპლი ღვთაებრივი აქტია, რომლის მიზანია ადამიანის ღმერთად ქცევა; ამიტომაც ყოველივე ადამიანური უცხოა მსხვერპლისთვის, თუ პირდაპირ არ ეწინააღმდეგება მას. ღმერთის მიბაძვა, იმავდროულად ადამიანური მდგომარეობიდან გამოსვლაა. ამიტომ შესაწირავი წეს-ჩვეულებების შესრულებისას ჯერ მარჯვენა ხელზე ჭრიდნენ ფრჩხილებს, ადამიანები ხომ ჯერ მარცხენაზე იჭრიან, მარჯვენა თვალზე ისვამდნენ მალამოს, რადგა ადამიანები ჯერ მარცხენათი იწყებენ და ა.შ. ღმერთების სამყაროსა და ადამიანების სამყაროს შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ რაც ღმერთებისთვის ცუდია, ის კარგია ადამიანებისთვის.

მსხვერპლმა მოსალოდნელი შედეგი მოიტანა, ქურუმს საზღაური თან უნდა ახლდეს. ბრაჰმანებში ამ საკითხს დიდი ადგილი უკავია. საზღაურის ოთხი ფორმაა განსაზღვრული: ოქრო, ძროხა, ცხენი და სამოსელი, მსხვერპლის მნიშვნელობის შესაბამისად; წყაროთა მიხედვით საზღაურის მეტისმეტად დიდი მონაცემები, აშკარად გაზვიადებულია. დაუჯერებელია, რომ სომის მსხვერპლი „ასი ძროხა მაინც“ უნდა ყოფილიყო ანდა ის ამბავი, რომ საგანგებო მსხვერპლშეწირვამ, სამი ღამე რომ გრძელდებოდა, ბრაჰმანებს ათასი ძროხა შესძინა.

რიტუალის უმცირესი წვრილმანების შესრულებისას იოლად შეიგრძნობა უკიდურესი ფორმალიზმი დუროჰანის „ძნელი აღმართი“, წესის მაგალითზე. რომელშიც ორი ფაზაა: აღმავლობა და დაღმავლობა. უპირველეს ყოვლისა შესაწირველი უნდა გაუტოლდეს ზეციურ მკვიდრს, მაგრამ რადგანაც მიწიერ ცხოვრებასაც აქვს თავისი სიანტკბილობა, იგი არ ჩქარობს ნაადრევად გაშორდეს დედამიწას. წეს - ჩვეულების პირველი ნახევარი მას უკვდავებით ასაჩუქრებს, მეორე კი მოკვდავთა საუფლოში აბრუნებს. თავდაპირველად ამ მიზნით კითხულობენ ჰიმნებს, ლექსის ყოველი მეოთხედის შემდეგ შეისვენებენ, რათა ცაში მოხვდნენ, ნახევარი ლექსის სამი მეოთხედის შემდეგ კვლავ ისვენებენ, სააქაოს დასაბრუნებლად. შემდეგ მწირველი ერთი სულის მოთქმით ჩაიკითხავს ლექსს მტკიცედ დასამკვიდრებლად მზეზე, მაღლა რომ კაშკაშებს. შემდეგ პირიქით იქცევა, რათა ატმოსფეროში მოიკიდოს ფეხი, მერე კი ამ ქვეყნად დაფუძნდეს. მაგრამ, თუ ადამიანი მხოლოდ ზეცაზე ოცნებობს, მიწაზე დაშვების წესის შესრულება არ არის საჭირო. ამგვარად, იგი ცათა სამყაროში ხვდება და, მამასადამე, ამ წესის შესრულების შემდეგ მიწაზე დიდხანს აღარ დაყოვნდება.

შემწირველის აღმავლობა ვედური კოსმოლოგიის ლოგიკას შეესაბამება. იგი ცაში ხვდება, რათა დატკბეს მსხვერპლის მიერ ნაბოდები უკვდავებით: „ის, ვინც იცის, როგორ მიაღწიოს ამას, მეორე სიკვდილზე იზეიმებს გამარჯვებას და მთელ სიცოცხლეს შეეგება“. მისი ვადა იმდენ დღე-ღამეს მოიცავს, სიბერემდე რომ არ გასრულდება. ამას გარკვეულად ადასტურებს ტექსტები: „ვინც ას წელსა და მეტს ცოცხლობს, უკვდავებას აღწევს“. მიწიერი ცხოვრების ხანგრძლივობასა და ცაში ყოფნას შორის მჭიდრო კავშირია: „მათთვის, ოც წლამდე რომ კვდებიან, ცაში სიცოცხლის ვადა დღე და ღამით განისაზღვრება; მათთვის, ოციდან ორმოც წლამდე რომ ცოცხლობენ, თვენახევრით; მათთვის, ორმოციდან სამოც წლამდე რომ ცოცხლობენ, ერთი თვით; მათთვის, ოთხმოციდან ას წლამდე რომ იცოცხლებს, ერთი წელი. მაგრამ ასსა და მეტ წელს ვინც იცოცხლებს, უკვდავებას ეზიარება.“

ბრაჰმანების შეხედულებით, ეს კავშირი სამსხვერპლო საჭმლის ღირსებასა და ფასეულობაზე იყო დამოკიდებული. საჭმლის მოთხოვნილება პირუკუ კავშირშია სასიცოცხლო ძალასთან, ვინაიდან შიმშილი სიკვდილს მოასწავებს. მამასადამე, მსხვერპლი უკვდავებაა, ვინაიდან სამსხვერპლო საჭმელი, ამრიტი - ძველი ინდოელების ამბროზია - უკვდავების საჭმელის, რისთვისაც ღმერთები დემონებს უნდა შეებრძოლონ.

უკვდავების (მარადიული სიცოცხლე ზეცაში) საწინააღმდეგოა „მეორე (განმეორებითი) სიკვდილი (პუნარ-მრითიუ). შეცდომა იქნებოდა მასზე წარმოდგენაში მოგვეძია გარდაქმნის იდეის ჩანასახი, ძველი ინდური რელიგიის ისტორიის უფრო გვიანდელ

ხანაში რომ იყო გაბატონებული. ბრაკმანები არსებული შეხედულება „მეორე სიკვდილის“ თაობაზე ბევრად პოპულარულია: იგი შემდგომ სიკვდილს ნიშნავს. გარდაცვლილები იყოფიან უკვდავებად, უკვე აღარასდროს რომ არ გარდაიცვლებიან, და დანარჩენებად, რომლებიც ხელახლა მოკვდებიან: ისინი, რომლებმაც იციან როგორ მიაღწიონ ამას, და ამ წეს-ჩვეულებებს აღასრულებენ, სიკვდილის შემდეგ ისევ იშვებიან უკვდავებისათვის. ისინი, რომლებმაც არ იციან და არ ასრულებენ ამ წეს-ჩვეულებას, სიკვდილის შემდეგ კვლავ იშვებიან და ისევ სიკვდილის მსხვერპლი იქნებიან”.

მიცვალებული, მსხვერპლშეწირვით უკვდავებას რომ ეზიარა, ტოვებს თავის სხეულს - ღმერთების სიკვდილთან შეთანხმებით, დედამიწაზე ტოვებს - და ცაში ადის. სხვანაირად იგი წინარების გზას ადგება, ე.ი. მათ გზას ვინც მოკვდა, მაგრამ ისევ მოკვდავია გათავისუფლდა ბოროტების მონობისგან. წინაპრები უსხეულონი, სულები არიან, ამ სამყაროს მესამე სფეროში რომ ცხოვრობენ. ადამიანებთან შედარებით ისინი უფრო მოწესრიგებული არსებებია.

წინპრებისათვის მსხვერპლშეწირვის დროს თავი გვერდზე უნდა მიაბრუნო, რათა უღირსად არ მიიჩნიონ მსხვერპლის მიღება. წინაპრები გაღიზიანებულები არიან, მათი რისხვა სახიფათოა, ამიტომაც კარგად უნდა მოიქცე. ტექსტებში ასეა განმარტებული ის მიზეზები, მათ მსხვერპლი უნდა შეწირო. წეს-ჩვეულება იმიტომ სრულდება, რომ წინაპრებმა არ მოკლან რომელიმე თქვენგანი. მეორე მიზეზი ისაა, რომ წინაპრებზე გაცემულს ღმერთები გაიღებენ. ეს კეთილი ნებაა მათ მიმართ, ვინც ღმერთებმა გააცოცხლეს. კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ მსხვერპლი აღამაღლებს წინაპრებს სხვა, უკეთეს საუფლოში. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ გამოსწორდეს შეცდომები და შესუსტდეს შურისგების ძალა, ადამიანს მაშინ რომ იწვნევს, როდესაც საქციელი წაუხდება.

მანამდე, ვიდრე საბოლოოდ გაირკვეოდეს მიცვალებულის შემდგომი ბედი, იგი გამოცდის წინაშე დგას, აწონით სასამართლოს რომ მოგაგონებს: ერთ პინაზე კეთილ საქციელს დებენ, მეორეზე - უკეთურს. საქმე ისაა, რომელი რომელს გადასძალავს. სიკეთისა და ბოროტის ცნებას ეთიკური შინაარსი აკლია; ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ რიტუალის თვალსაზრისით ფასდება: კარგი საქციელი ეს წეს-ჩვეულებათა მითითების დაცვაა, ცუდი კი - მათი დარღვევაა. ამ ნათქვამის სინამდვილე შემდეგი ამბით დასტურდება:

„ბრჰიგუ, ვარუნის შვილი, წმინდა ვედებს სწავლობდა, მაგრამ თავი მამამისსა და ბრაკმანებზე მაღლა წარმოიდგინა. მაშინ ვარუნამ იფიქრა: „ჩემმა შვილმა არაფერი იცის, ჭკუა უნდა ვასწავლო“, წაართვა მას სუნთქვა, და იგი აღარ სუნთქავდა. და როგორც მკვდარი, საიქიოს გადავიდა. იქ ნახა, რომ ერთი კაცი მეორეს ოთხად ჭრიდა და ჭამდა. ბრჰიგუმ შეხედა და ჰკითხა: „ასე რატომ იქცევით?“ მან უპასუხა, მამაშენს, ვარუნას ჰკითხეო. ბრჰიგუმ გზა განაგრძო და კვლავ წააწყდა ადამიანს, რომელიც მეორეს ჭამდა, განწირული შველას ითხოვდა. ბრჰიგუმ გაიკვირვა, ეს როგორ შეიძლებაო და იკითხა, ეს რას ნიშნავს ეს ყოველივეო. მას ისევ ურჩიეს, ვარუნას ჰკითხეო. მესამე ადგილასაც იგივე სურათს წააწყდა, მაგრამ შესაჭმელი ადამიანი აღარ იმძრეოდა. კვლავ ვარუნას ნახვა ურჩიეს. მეოთხე ადგილას ორი ქალი ეძებდა დიდ განძს, მეხუთე ადგილას ორი მდინარე მიედინებოდა ერთმანეთის გაყოლებით:

სისხლის მდინარე და ერბოს მდინარე. პირველს გამიშვლებული შავკანიანი მამაკაცი იცავდა. კომბალი იყო მისი იარაღი. მეორედან ოქროს ადამიანები თასებით იღებდნენ ყველაფერს, რაც უნდოდათ. მეექვსე ადგილას ლურჯი და თეთრი ლოტოსებით დაფარული ხუთი მდინარე იხილა, თაფლი მოჟონავდა ლოტოსებიდან. ჯგუფურად შეყრილი აფსარები ცეკვავდნენ და მღეროდნენ, არფაზე უკრავდნენ იქ ყველივე სურნელს აფრქვევდა, ყველაფერი მოძრაობდა. გოცდა „ბრჰიგუ“ - რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს. კვლავ ურჩიეს, მამაშენს ჰკითხო. დაბრუნების შემდეგ ვარუნამ ჰკითხა მას: „რა ნახე შვილოო?“ „ერთი კაცი ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხილ მეორე კაცს ჭამდა“.

„ისინი არიან, ვინც იმ ქვეყნად ხეებს რომ წვავდნენ და ანადგურებდნენ, ისე რომ სავალდებულოდ არ მიაჩნდათ ცეცხლის გაჩაღებამდე ყოველდღური ლოცვა მაინც წაეკითხა. სააქაოზე კი დამწვარმა ხეებმა ადამიანების სახე მიიღეს და შურისძიებით შეპყრობილნი ახლა მათ ჭამენ“. „არ შეიძლება ამის მოსპობა?“ „შეიძლება! მხოლოდ წესისამებრ ხეების ცეცხლზე დალაგებით. ასეთივეა შემდგომი განმარტებებიც. მეორე წყვილი საზღაურს იხდის ცხოველების გამო, შესაბამისი წეს-ჩვეულების შეუსრულებლად რომ დახოცეს, მესამე წყვილი მცენარეთა შურისძიებაა, წეს-ჩვეულებათა შეუსრულებლად რომ მოსპეს. ორი ქალი - შრადჰა („რწმენა“) და აშრადჰა „ურწმუნობა“, სისხლის მდინარე მოკლული ბრაჰმანის სისხლია, ხოლო შავი მამაკაცი - რისხვა. ზეთის მდინარე სარიტუალო წყლიდან წარმოიშვა, ხუთი მდინარე ვარუნას ხუთ სამყაროს ნიშნავს. ყოველივე აქედან დასკვნის გამოტანა ადვილია: „მას, ვინც იცის, თუ რატომ ხდება ეს და ცეცხლისთვის მსხვერპლშეწირვის წესებს ყოველდღე ასრულებს, სხვა სამყაროში არ შეჭამენ არც ადამიანის სახის მქონე ხეები, არც მხეცები, არც ბრინჯი, არც ქერი. მის მსხვერპლს არ მიიღებს არც ბრაჰმა, არც აშრადჰა. იგი თავს დააღწევს სისხლის მდინარეს და ზეთის მდინარეს მიაღწევს“. ვინაიდან ადამიანს არ ძალუძს ზეცაში წაიღოს სხეული, მან უნდა შეასრულოს ზოგიერთი განსაკუთრებული წეს-ჩვეულება ეგრეთწოდებულ დიქშასთან ერთად. ამგვარი უსაზღვროდ რთული სარიტუალო პროცედურის მიზანია განადგებული იქნას ახალი სხეული ჩასახვისა და დაბადების სიმბოლოებით, რათა მომავალში ჰინდუმ ხორცი შეისხას: ერთი ნივთიერი და მოკვდავი, მეორე კი რიტუალური უკვდავი. პირველ მათგანი მსხვერპლად შეწირავა: „ვინც ასრულებს დიქშას, თავის თავს მსხვერპლად სწირავს ღმერთებს, მაგრამ ვიდრე სხეულს მსხვერპლად შეწირავენ, უნდა განიწმინდოს ჭუჭყისაგან, რომელმაც შებილწა იგი. მსხვერპლის მიმტანი იპარსავს თმასა და ულვაშს, იჭრის ფრჩხილებს, ვინაიდან ყოველივე ეს „მკვდარი კანია და სამსხვერპლოდ უვარგისია“ და ყოველივე ამის შემდეგ ხდება იგი რიტუალურად წმინდა.

დიქშა მეორე დაბადებაა, რომელიც ინდივიდს ღმერთად აქცევს, „ადამიანი მხოლოდ ნაწილობრივ იბადება, ოდენ მსხვერპლშეწირვის წყალობით ნამდვილად იბადება“. („მაიტრეიანისამჰიტა“ 3,6,7)

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ახალი დაბადების შესაძლებლობას იყენებდნენ თეორიასა და პრაქტიკაში. სქესობრივ განსხვავებას იყენებდნენ რიტუალის ზოგიერთი ნაწილის შესასრულებლად. ასე მაგალითად ჰიმნების კითხვის დროს ქურუმი ლექსის პირველ ორ მეოთხედს ნაწილ-ნაწილად წარმოთქვამს, ხოლო დანარჩენ ორს კი ერთად, რათა სიმბოლურად გამოხატოს ის, რომ სქესობრივი აქტის დროს ქალი თედოებს შლის, ხოლო მამაკაცი აერთებს. ქურუმმაც თითქოს „შეასრულაო“ სქესობრივი აქტი, რათა

მსხვერპლმა მრავალრიცხოვანი მემკვიდრეები გააჩინოს. რიტუალის დამთავრების შემდეგ, ერთ წელს რომ გაგრძელდება, და იმდენსავე თავშეკავების მერე შემწირველს კვლავ უნდა გაელვიძებია თავისი მამაკაცური პოტენცია; ამიტომაც ნაკურთხ ადგილზე სარიტუალო სქესობრივი აქტი სრულდებოდა. ამ გვარად ბრაჰმანების არსებაში გზა ეხსნებოდა ტანტრიზმის გვიანდელი ორგიული წეს - ჩვეულებებს.

დიქმას გაგება მჭიდროდ იყო დაკავშირებული რწმენასთან (შრადრასთან, მაგრამ ამჯერადაც ლაპარაკია არა ზნეობრივ კატეგორიაზე, არამედ ჰინდუს (ინდოელის) გაგებით, სატვასთან, ანუ „სიმრავლესთან“ როგორც „ჭემმარიტებასთანაა“ დაკავშირებული. სარწმუნოების ერთ-ერთი უმთავრესი შემწირველის ღრმა რწმენა იყო, რომ იგი მოიძვის იმ წეს-ჩვეულებათა ნაყოფს, მის ნაცვლად რომ ასრულებენ ქურუმები. ეს რწმენა იქცა დოგმად: „ღმერთებს მსხვერპლი, შემწირველს - ლოცვა-კურთხევა“. ერთი სიტყვით, რწმენა ღმერთების მაგივრობას წევდა, მათ ადგილს იკავებდა. დიდმა მოღვაწეებმა მიიღეს შრადჰადევას ტიტული. ეს არის ის, ვისაც ღვთაებრივი რწმენა ჰქონდა. ეს არის ის, ვისაც ღვთაებრივი რწმენა ჰქონდა. მას ეკუთვნოდა ადამიანის წინაპარი მანუ. მაშასადამე, თავდაპირველად იგი იყო „რწმენის გმირი“ და უდიდესი ავტორიტეტი მსხვერპლშეწირვის რიტუალის დარგში. ამ ავტორიტეტს მოგვიანებითაც ინარჩუნებს, როდესაც საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებებმა „მსხვერპლშეწირვის წეს - ჩვეულების“ კანონის შეცვლა გამოიწვია. მასთან შეიცვალა წარმოდგენაც მანუზე - იგი კანონმდებელი გახდა, აღიარებულ იქნა „მანუსმრიტის“ ავტორად, იმ კანონების კოდექსისა, საზოგადოების შიანაგანი აგებულების, სამართალს, ზნეობას რომ არეგულირებდა.

წეს - ჩვეულება, ბრაჰმანების გაგებით, ეს სწორად შერჩეული გარკვეულ დროსა და განსაზღვრული ვადით წარმოებულ მოქმედებათა შეხამებაა. შესაბამისი ელემენტების შესაბამის კომბინაციას იმის მიხედვით ირჩევენ, რისი მიღებაც სურთ. მაგალითად, დიდხანს რომ იცოცხლო, უნდა წაიკითხო 100 ლექსი, გამრავლებისთვის - 720. თუ მსხვერპლის შემწირველი შებილწულია და ბრაჰმანის უცოდნელად სწირავს მსხვერპლს, 800 ლექსი უნდა წაიკითხოს, ზეცაში მოსახვედრად - 1000 ლექსი. წმინდა მანტრების წარმოთქმაც მსხვერპლშეწირვის სხვადასხვა ეტაპს შეეფარდებოდა.

დადგენილი წესებიდან ყველაზე უმცირეს გადახრასაც კი შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. ადამინს საფრთხე ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოელის: „თუ ქვაბი ცარიელია, შეხედვა არ შეიძლება, შემწირველს დაგლეჯის საშიშროება ემუქრება. მსხვერპლშეწირვის სამხრეთ ადგილიდან უნდა წამოდგეს, ვინაიდან იქ წინაპრები ცხოვრობენ. თუკი სამხრეთიდან წამოვა, მაშინ მათ შორის აღმოჩნდება“.

წამოცდენა, სიტყვათა წყობის შეცვლა, ლექსის კითხვისას არასწორი მახვილი მსხვერპლის შემწირველს საშიშროებას უქადის. შატაპათჰაბრაჰმანში - ნათქვამია: ინდრამ ტვაშტარს შვილიმოუკლა, ამით გაცოფებულმა და შეძრულმა ტვაშტარმა დააჩქარა სომის წეს - ჩვეულების შესრულება და ინდრას თავისი წილი არ არგო. ინდრა თავისით მოვიდა, სამართლიანად აიღო საკურთხეველი და პირველმა დალია. გააფთრებულმა ტვაშტარმა ჯადოსნური სიტყვა - „ინდრა შატრურ ვარდჰასვა“ წარმოთქვა, მაგრამ განრისხებულმა მახვილი მესამე მარცვალზე კი არა, პირველზე

დასვა, რის გამოც სიტყვებს მნიშვნელობა შეეცვალა „დაე, გამრავლდეს ინდრას მტრები“ ნაცვლად „დაე, იზარდოს, ანუ გაძლიერდეს ინდრას მტრები“. სწორედ ამიტომ დაამარცხა ინდრამ ვრიტრუ, რომელიც შელოცვით გაჩნდა. ტვაშტარს მართებულად, რომ წარმოეთქვა მანტრი, ვრიტრა დაამარცხებდა ინდრას. ზოგიერთ ბრაჰმანს შემოაქვს ძველი რიტუალისთვის უცხო მაგიური ხერხები. „შენი ჯარის გამარჯვება თუ გინდა, გამოდი ბანაკიდან, ორივე მხარეს მოჭერი მთავარი ბალახი და მტერს დაუყარე და ტან წარმოთქვი: ვინ გხედავს? როგორც შერცხვენილი რძალი გაურბის მამამთილს დაე, ისე გაიქცეს და გაქრეს დაფანტულ-დაბნეული ჯარი“.

თუმცა ბრაჰმანები ადამიანის მსხვერპლშეწირვასაც ახსენებენ, მაგრამ არიელები რომ ასე იქცეოდნენ, სადაოა. ჩვენი აზრით, ეს მსოლოდ არიელთა ბარბაროსობის შორეული წარსულის მოგონებაა, რომელიც ტექსტში სურათის შესავსებადაა შეტანილი. ადამიანები აქ ნახსენებია, როგორც ყველაზე ეფექტური ხუთ მსხვერპლს შორის, რომლებიც მნიშვნელობის მიხედვით შემდეგნაირადაა დალაგებული: „ადამიანი, ცხენი, ხარი, ცხვარი და ურქო თხა. ქვის საკურთხევლის მშენებლობის წეს-ჩვეულების შესრულებისას ჯერ ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად, ვინაიდან პირველი ადგილი უჭირავს ცოცხალ არსებათა შორის, შემდეგ ცხენს, მერე ცხვარს, რომელიც ხარის მომდევნოა, შემდეგ კი თხას, ცხვრის მერე რომ უჭირავს ადგილი. მსხვერპლის გაღება ღირსების მიხედვით ხდება“. ბრაჰმანების დროს მსხვერპლს მხოლოდ სიმბოლურად კლავდნენ. ტრადიციების ზუსტი დაცვა სახემეცვლილ საზოგადოებრივ პირობებში იმით გამოიხატებოდა, რომ მსხვერპლის თავი ოქროს, ან თიხისგან კეთდებოდა. მით უფრო სავარაუდოა, რომ მსხვერპლშეწირვისას ადამიანს ცხოველი ენაცვლებოდა.

მოგვიანებით დაზოგვის მიზნით უარი თქვეს ცხენებისა და ხარების შეწირვაზე და ყველაზე იაფ, გავრცელებულ შესაწირ ცხოველად თხა იქცა. ეს უთუოდ ეშმაკობა იყო, რაც გონიერი ქურუმებისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. „თუკი მსხვერპლად შეწირულია ურქო თხა, შენარჩუნებულია ყველა ჯურის მსხვერპლის გარეგნული მონაცემები: არა აქვს რქები, აქვს წვერი, როგორც ადამიანსა, არა აქვს რქები და ცხენივით ფაფარი აქვს, ხარივით გაყოფილი ფლოქვები და ცხვარივით ჩლიქები, და მაინც ყველა მონაცემით ის თხა არის. ასე რომ როცა შესაწირად თხა მოყავთ მისი სახით ყოველგვარი მსხვერპლია წარმოდგენილი“.

როგორც ჩანს, წეს-ჩვეულებათა მეცნიერება თავისი ჩამორჩენილი რიტუალით განუხრელად კარგავდა მნიშვნელობას. სულ უფრო ხშირად გაისმოდა ხმები მათ სადიდებლად „ვინც იცის ეს“, ანუ ვინაც ზენაარიდან მიიღო ცოდნა...

ბრაჰმანები პრინციპულად განასხვავებდნენ მსხვერპლშეწირვის ხუთ სახეს: ცოცხალი არსებებისთვის, ადამიანებისთვის, წინაპრებისთვის, ღმერთებისა და ბრაჰმანისათვის. „ყოველდღე სრულდება საჭმლის წეს-ჩვეულება - ცოცხალი არსებების წეს - ჩვეულება. ყოველდღე უნდა გაიცეს მოწყალება - წეს-ჩვეულება ადამიანებისათვის. ყოველდღე უნდა შესრულდეს სულის ხსენების ცერემონია - წეს-ჩვეულება წინაპრები სთვის. ყოველდღე უნდა შეეწიროს ღმერთებს მსხვერპლი, რაც ეგრეთ წოდებულ შეშის დაწვას ნიშნავს, ანუ წეს-ჩვეულება ღმერთების სათაყვანებლად. ბრაჰმანისათვის რაღაა შესაწირი? წმინდა მოძღვრების არსში ჩაწვდომა“. აქ ვხედავთ სრულიად ახალი ორიენტაციის ჩასახვას, რაც უცხო და პირდაპირ საპირისპიროა ბრაჰმანის

სულისათვის, რამაც გზა გაუხსნა „უპანიშადების“ ბრძენკაცების სპეკულაციას (სანქციასა და ვედანტას), რომელთა მოძღვრების თანახმად სულის განთავისუფლებისათვის არ არის აუცილებელი წეს-ჩვეულებების შესრულება, ამისთვის სრულიად საკმარისია თვითშეცნება (ჯანანა).

ბრაჰმანიზმიდან ჰინდუიზმისაკენ

ივო ფიშერი

წეს - ჩვეულებებიდან ცოდნისაკენ, ცოდნიდან მოქმედებისაკენ, მოქმედებიდან ერთგულებისაკენ, ერთგულებიდან განთავისუფლებისაკენ (მოქშა), - ასეთია, ალბათ საერთო ზღვრები იმ გზაზე, რომელიც ინდურმა რელიგიამ განვლო თავისი განვითარების ოთხი ათასი წლის განმავლობაში. ჩვენთვის ამ პროცესის ჯერ კიდევ ბევრი მოვლენა უცნობია - ამ შეუსწავლელ, გაუვალ ჯუნგლებს მხოლოდ ერთი ვიწრო ბილიკი მიუყვება. იგი ხშირად გვერდს უვლის იმ ადგილს, სადაც რწმენა და ცრურწმენა მჭიდროდ არიან გადახლართული. ევროპული ინდოლოგია თვით ტერმინ „ჰინდუიზმს“ იმისთვის იყენებს, რომ დაფაროს თავისი უმეცრება იქ, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეძლო გზის გაკაფვა. და ჩვენ სხვა არა გვრჩება რა, ლამის ბრძემმა, შევახოთ ხელი იმ ქვის ფილას, რომელსაც შემთხვევით შევხებით, რათა შევისწავლოთ ყოველივე, რაც შეუსწავლელია.

ინდურ რელიგიას საფუძვლად უდევს ჩვენთვის კარგად ცნობილი მოძღვრება სიცოცხლის წრებრუნვაზე და მასთან დაკავშირებულ მიზღვევა - შურისგების მოძღვრებაზე ყოვეგვარი კეთილი და უკეთური საქციელისათვის (კარმა). არავინ ვიცით - ზუსტად როდის და რა გარემოებაში წარმოიშვა კარმის იდეა. შეგვიძლია მხოლოდ თვალი ვადევნოთ ამ იდეას მხოლოდ იმ წამიდან, როდესაც ის პირველად გამოჩნდა ძველი ინდოეთის ლიტერატურულ ძეგლებში. იდეა, რომელიც საგრძნობლად იცვლებოდა ასეული წლების მანძილზე, ცხოვრებაზე ჰინდური შეხედულებების ქვაკუთხედი, იმ შეხედულებისა, რომელმაც თითქმის ყველგან ინდოეთში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შუა საუკუნეების საზოგადოების ჩამოყალიბებაში საკუთარი ისტორიის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჭრილით. იმისთვის, რომ სწორად გავიგოთ მოძღვრება კარმის თაობაზე და რა დამოკიდებულებაშია იგი სხვა ფაქტორებთან, მის სათავეს ჩვენს ერამდე I ათასწლეულის საწყისს უნდა დავუბრუნდეთ.

ჩვენს ერამდე დაახლოებით მე-VII საუკუნის ეპოქა მთელი უძველესი სამყაროს კულტურულ ცხოვრებაში ძირეული ცვლილებებით ხასიათდება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ცვლილებები უშუალოდ იყო დაკავშირებული ყველა დროის უდიდეს აღმოჩენასთან - რკინის წარმოებასთან. არც ელექტრონის აღმოჩენას, არც ატომის „მოლეკულარულ გახლეჩას“ არ მოუტანია კაცობრიობისთვის ესოდენ დიდი ნაყოფი. შხვანაირად, რით უნდა აიხსნას ამ პერიოდში, ასეთი დიდი ნახტომი აზროვნების განვითარებაში? თითქმის ერთდროულად ჩნდებიან ლაო ძი და კონფუცი ჩინეთში, სოკრატე და კლასიკური ფილოსოფიის სკოლა საბერძნეთში, სხვადასხვა რელიგიურ - ფილოსოფიურ მეცნიერებათა მქადაგებლები ინდოეთში, უპანიშადების ბრძენ კაცებით დაწყებული და ბუდაჰასა და ჯინას (იგულისხმება - ჯაინიზმის ფუძემდებელი მაჰავირა ნს. ძვ.წ.აღ.) უდიდესი პიროვნებებით დამთავრებული.

ყოველი დიდი ტექნიკური აღმოჩენა პროგრესის უსაზღვრო შესაძლებლობას ქმნის, ადამიანი უფრო სწრაფად და უკეთ მუშაობს, იოლად ცხოვრობს, უხიფათოდ ანგრევს და ანადგურებს. ყოველი რევოლუციური ეპოქა, თავის მხრივ, შესაბამის გავლენას ახდენს მოსახლეობის გარკვეულ ფენებზე: ბადებს მომავლის, სწრაფად ცვალებადი სამყაროს წინაშე შიშს, არის მცდელობა თავიდან აიცილონ ის ცლილებები, რომლებიც ამსხვრევენ ტრადიციებით დამკვიდრებული წესრიგის საფუძვლებს. ადამიანი უფრო ღრმად იხედება თავის არსებაში ანცდილობს მტკიცე საყრდენი მონახოს სამყაროში, მაგრამ როცა ვერ პოულობს, ფიქრობს სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეზე, ეძებს მასში ურყევ ჭეშმარიტებას.

ინდოეთში ამ ცვლილებებმა მეტად მკვეთრი გამოსახულება პოვეს ადრეული ვედური ხანის ლიტერატურულ შემოქმედე ბაში, რომლის შედეგია უპანიშადები. სიტყვა „უპანაშიდა“ ნიშნავს დასხდომას, მოწაფეთა დასხდომას მასწავლებლის გვერდით, რომელიც მათ მსხვერპლშეწირვის ტრადიციული მოძღვრების ანაბანას ასწავლის, განუმარტავს სამყაროს ნამდვილ აზრსა და ადამიანის სიცოცხლის არსს. მოგვიანებით ზემოაღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა ფართოვდება და აღნიშნავს ნებისმიერ „იდუმალ“ მოძღვრებას, რაც ოდენ განდობილია რჩეული წრისთვის არის ცნობილი, თუნდაც რელიგიურ საგანზე იყოს ლაპარაკი და თანაც საეროზე. ძველად ეს ტერმინი, რა თქმა უნდა, რელიგიურ - ფილოსოფიურ განმარტებათა ერთგვარ კრებულს ნიშნავდა: ცალკეული სკოლების მასწავლებლები თავისი შეხედულებებისამებრ ავსებდნენ ამ კრებულს ზეპირი ქადაგებებით, მხოლოდ მოწაფეებისათვის აუცილებელი მთავარი მუხლები შევიდა დიდი ხნის შემდეგ წერილობით წყაროებში, რომელთაც უპანიშადები ეწოდათ.

ჩვენს ერამდე I ათასწლეულის დამდეგს ინდოეთის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრმა დასავლეთის რაიონებიდან მდინარე განგის შუა წელის მიდამოებში, ქვეყნის ყველაზე ტიპიურ ნაწილში გადაინაცვლა. ამ გადაინაცვლებამ არიელები ახალ ბუნებრივ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ პირობებშიო ჩააყენა. ტროპიკულ ჰავაში ყველაფერი სწრაფად ყვავილობს და მალე ჭკნება. აქური ბუნება ისევე უხვი და ლამაზია, როგორც საშიში და ვერაგი. მთელი სამყარო ადამიანის ირგვლივ იცვლება, სულ მოძრაობს. წარმოიშვება ტომთა დიდი გაერთიანებები, რომელთაც სათავეში მბრძანებლები უდგათ, განუწყვეტლივ რომ ძლიერდებიან. ჩნდება ქალაქები, რომლებიც მდიდრდებიან ვაჭართა მცირერიცხოვან, მაგრამ ძლერი ფენის, მოგვიანებით კი, მევახშეების წყალობით. აქ თავს იყრის ხელოსნების მრავალრიცხოვანი ნაკადი, ისინი ახალი მეთოდებით ქმნიან უფრო და უფრო სრულყოფილ ნაწარმას. ვითარდება ქალაქური ცივილიზაციის ტიპი, რომელსაც დაებადა ყოფილიყო პროგრესისა და სიმდიდრის, განათლებისა და აღვირახსნილობის მატარებელი.

მაგრამ სწორედ ამ ღირსშესანიშნავ დროს ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც არ ცნობენ ახალი ცხოვრების ყაიდას. ინდოეთის საზოგადოების ისტორიაში მათმა რწმენამ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კრიზისი განიცადა. ქრება ძველი წარმომადგენლები ღმერთებისა და მსხვერპლშეწირვის ყოვლისშემძლეობაზე. თუმცა, აღმოსავლეთის რაიონების მკვიდრნი არასდროს ყოფილან ამ სარწმუნოების მიმდევრები, ბრაჰმანთა

ბატონობამ აქ ვერ გაიდგა ღრმა ფესვები. ამ კუთხეების მკვიდრთა ძარღვებში სხვა სისხლი ჩქეფდა, მათ თავისებური შეხედულებები ჩამოუყალიბდათ საოცარ მაგიკურ ძალებზე, რომელთა დაუფლება მხოლოდ მკაცრი ასკეტიზმის გზით შეძლება. აღმოსავლეთის რაიონებიდან ბევრი ისეთი მოღვაწე გამოვიდა, უფრო დიდი მიზნის მიღწევას რომ ცდილობდა, ვიდრე ამას მსხვერპლშეწირვაზე დამყარებული ბრაჰმანული რელიგია ისახავდა.

უპანიშადების პერიოდის ინდოეთის ინტელექტუალურ განვითარებაში ძირითადი როლი ბრაჰმანებმა და ქურუმებმა კი არ შეასრულეს, არამედ იმ ადამიანებმა, რომლებმაც უარი თქვეს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე მთელი თავისი ვნებებითა და განცხრობით. გაუვალ ჯუნგლებში, ქალაქებს დაშორებულ ტყეებსა და ჭალებში, გვამებზე დასაწვავ მდელოებზე სახლდებოდნენ განდეგილები. იცინი თვითონ იწამებდნენ თავს შიმშილით, წყურვილით, სიცივით, სინესტით, თავიანთ გაძვალტყავებულ სხეულს აუტანელ ტკივილებს აყენებდნენ: ირუჯებოდნენ გავარვარებულ ტროპიკულ მზეზე, სხდებოდნენ აგიზგიზებული კოცონების წრეში, წვებოდნენ ძეძვით ან შუბის ბუნიკებით დაფარულ ფიცარნაგზე, იღებდნენ არაბუნებრივ მდგომარეობას და მანამდე იყვნენ ასე, ვიდრე მათი სხეულის რომელიმე კიდური არ გახმებოდა და დანიშნულებას დაკარგავდა. ზოგი განდეგილი განსაკუთრებულად დაწნული თმით /ბრაჰმანაბისაგან განსხვავებით, კონებად ქონდათ დაწნული/ ადგილიდან ადგილზე გადადიოდა და ყველა მსურველს უქბდა თავისი ცხოვრებისგზას უმაღლესი ცხოვრებისეული იდეალის მისაღწევად. ისინი მსჯელობდნენ ამქვეყნიურ საგნებსა და მოვლენებზე, კიცხავდნენ მათ, სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეს რომ უარყოფენ. ყველა მათგანს იმის უსაზღვრო სურვილი ამოძრავებდა, შეეცნოთ უზენაესი ჭეშმარიტება. ცოდნა მათი მთავარი მიზანი იყო და სამყაროს ყველაზე დიდ ძალად მიიჩნევდნენ, სხვადასხვა მეცნიერება აყვავდებოდა და დაჰკნებოდა ვით ყვავილი წვიმიანობის დროს. სულ უფრო იზრდებოდა განდეგილებისა და მოხეტიალე ასკეტების რიცხვი. მათ უერთდებოდნენ ბრაჰმანი ბრძენკაცებიც. თავგადაპარსულები და ბამბუკიანები ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადადიოდნენ, შიშველ მიწაზე ეძინათ, ტანს ძონძით, ანტილოპას ტყავით ან მხოლოდ ბალახით იფარავდნენ. ასკეტთა ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებზე ძალიან ცოტა რამ ვიცით და ისიც უმთავრესად მათივე მოწინააღმდეგეების წიგნებიდან. ამ პერიოდის ერთადერთი ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მთლიანად მოაღწია, უპანიშადებია. მათი შექმნის დრო და ადგილი ჩვენთვის თითქმის უცნობია. თავდაპირველად ისინი შედიოდა ბრაჰმანთა ტექსტებში, ვედურ მსხვერპლთა ღრმა, სიმბოლურ მნიშვნელობასა და აზრს რომ განმარტავდნენ. შემდეგ ამ ტექსტების ყველაზე იდუმალი ნაწილები, ფარულ ცოდნას რომ შეიცავდნენ, თანდათანობით განკერძოვდნენ ბრაჰმანებისაგან და მათ ისე განიხილავდნენ, როგორც დამოუკიდებელ ერთეულებს. იმ ნაწილების მოცილება, მოგვიანებით უპანიშადები რომ გახდა, ხშირად დაუფიქრებლად ხდებოდა: ხანდახან გამოეყოფოდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა ყველაზე სპეკულაციური განყოფილებები, ხანდახან კი - ის განყოფილებები, დაწვრილებით რომ განმარტავდნენ რიტუალებს. ცხადია, ეს მნიშვნელოვნად ართულებდა უპანიშადების მასალათა შესწავლას. საჭირო ხდებოდა ბეჯითი არჩევა - მხოლოდ სწავლულის გამოცდილ თვალს შეეძლო ძვირფასი ქვის ხანისგან გამოირჩევა. ერთ-ერთმა მკვლევარმა წარსულში ტყუილად როდი დაარქვა ჩვენს წყაროს „ნაგვის გროვა, რომელშიც ოქროს ნატეხებია“.

იმ პერიოდში, როცა უპანიშადებმა დღევანდელი სახე მიიღეს, მათი მოძღვრება ბრაჰმანთა საკუთრებად იქცა. თავდაპირველად ყველაფერი პირიქით იყო: მათ დამუშავებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბრძენი განდეგილები, მოხეტიალე ასკეტები, ძლიერ საგვარეულოთა წევრები და სხვადასხვა ტომთა მხედართმთავრები. ფილოსოფიური დისკუსიებში მონაწილეობას იღებდნენ ქალები და მოსახლეობის დაბალი ფენის წარმომადგენლები. მხოლოდ საბოლოო რედაქცია შეიძლება მიეწეროს ბრაჰმან მოაზროვნეებს, განმარტოებით რომ ცხოვრობდნენ სოფლად ან ტყეში თავიანთ ოჯახებთან და საქონელთან ერთად უახლოეს მოწაფეთა გარემოცვაში.

ზემოთ, უკვე აღინიშნა, რომ უპანიშადების სისტემა სხვადასხვა ეპოქისა და სკოლის აზროვნების ნაყოფია. მათი კონცეფცია ძალიან არაერთგვაროვანია როგორც შინაარსით, ისე მხატვრული ღირებულებით. ამიტომ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს მოვიხსენიებთ, მას, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მომდევნო ხანაში ჰინდური რელიგიისა და ფილოსოფიის განვითარებისათვის. არ შევჩერდებით მსხვერპლშეწირვის მისტიკისა და სიმბოლიკის აურაცხელ წვრილმანებზე, ასევე წარმატებულ ცდებზე, აეხსნათ ამ სამყაროს ბნელით მოცული მოვლენები, ამ ცდებზე, მოგვიანებით ხელი რომ აიღეს და როგორც უნაყოფო დაივიწყეს.

ცენტრალური პრობლემა, უპანიშადების მოაზროვნეები იყვნენ გატაცებული, სიკვდილ - სიცოცხლის პრობლემაა, ის საკითხია, თუ რა არის სიცოცხლის მატარებელი. მოგვიანებით ამას დაემატა ძილის გამოცანასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ოდითგანვე ითვლებოდა სიკვდილის მონათესავე მოვლენად. ცალკეული ბრძენკაცები და მათი სკოლები ამ საკითხს სხვადასხვანაირად განიხილავდნენ. ერთნი სიცოცხლის მატარებელს წყალში ეძებდნენ, სხვები - ქარში, კიდევ უფრო ხშირად - სუნთქვაში (პრანა). მესამენი - ცეცხლში და ა.შ. წინანდელი იდეები გადაფასდებოდა და ახალი იკვლევდა გზას. ყველანაირი ცოდნის კომპლექსი ერთი მიზნით გაერთიანდა - თანამედროვეობის ენაზე აღინიშნოს ის ძალები, სამყაროსა და ადამიანურ ცხოვრებას რომ მართავენ.

ყველა მაშინდელი მოძღვრებიდან „სიცოცხლის მატარებლის“ შესახებ, ყველაზე მეტი მთლიანობის შტაბეჭდილებას ახდენს ძველი კონცეფცია, რომლის შემქმნელები „მატარებელს“ წყალში ეძებდნენ. მათ შეიცნეს წყლის ცხოველმყოფელი ძალა, ტროპიკული ეკონომიკის ყველაზე მთავარი ფაქტორი. გამხმარ მიწაზე ნიაღვრად მოსული წვიმა აღვიძებს მცენარეებს ადამიანის ძირითად საკვებს. საჭმელთან ერთად ყლაპავს ძვირფას სითხეს, რომელიც მას სიცოცხლეს უნარჩუნებს და აგულიანებს თავისი მოდგმის გასაგრძელებლად. როდესაც ადამიანი კვდება და მის სხეულს წვავენ, სითხე მისი სხეულიდან კვამლის სახით გამოდის და ისევ ცაში ადის. მთელი პროცესი მეორდება. ცხოველმყოფელი სინოტივე მთვარიდან იწყება და ისევ იქ ბრუნდება. ამგვარად ხსნოდნენ თვეების ფაზების მოძრაობას და წყლის წრებრუნვას. ამგვარ შეხედულებებთანაა დაკავშირებული სულის მოგზაურობის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა. ამ იდეის გამოხატულებაა შეხედულება, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი წინაპართა სამყაროში ცხოვრობს, სადაც პირველი - ადამიანი მეფობს. მოგვიანებით მკვდართა სავანედ მიჩნეულია „იამის“ მიწისქვეშა ქვეყანა. მაგრამ თული ყოველივე ამქვეყნიურის ხვედრი დაღუპვაა, იქნებ სიკვდილის შემდეგდროინდელი სიცოცხლეც დროებითია? ძველი ბრძენკაცები ამ შეკითხვაზე დადებითად უპასუხებდნენ:

სიცოცხლეს საიქიოშიც აქვს დასასრული, ამიტომ ადამიანი კვლავ ამქვეყნიურად უნდა მოვიდეს. ამით პრინციპულად საფუძველი ჩაეყარა მოძღვრებას სიცოცხლის წრებრუნვის თაობაზე, რომელიც დაწვრილებით დამუშავდა ჰინდუიზმის განვითარების შემდგომ პერიოდში. მაგალითად, ერთ ადრეულ უპანიშადში მოთხრობილია, მიცვალებულთა სულების გადასვლა იამის სამეფოდან, სადაც ერთი თვე ნეტარებდნენ, სიცარიელეში, შემდეგ ატმოსფეროში და ბოლოს წვიმად უბრუნდებოდნენ დედამიწას.

საგულისხმოა, რომ სულების მოგზაურობას ბრაჰმანებს პირველად პანჩალების მეფე, მეომარი ქმატრიების კასტის წევრი აუწყებს. მოგვიანებით ამ მოძღვრებას, რასაკვირველია, ქურუმები, ბრაჰმანები ანვითარებენ და ავრცელებდნენ, სიმბოლურ ხასიათს ანიჭებდნენ მას: წრებრუნვის ცალკეული ფაზები გაიგივებული იყო მსხვერპლშეწირვის გარკვეულ თვისებებსა და ეტაპებთან, რომლებშიც უმთავრეს როლს ასრულებს სამსხვერპლო ცეცხლი. თვით ტექსტების ენა, მკაცრი და საზეიმო, გაჟღენთილია სარიტუალო სიმბოლიკითა და მისტიკით. არ არის გასაკვირი, რომ ამ მოძღვრებამ დიდი ადგილი დაიკავა ვედანტურ ფლოსოფიაში. შეხედულება წყლის წრებრუნვის ხუთი საფეხურის თაობაზე, შემდეგ ასოცირებულ რომ იქნა ხუტ სამსხვერპლო ცეცხლთან, „ხუთი ცეცხლის მოძღვრება“ წარმოქმნა, რომელშიც არსებითია „ორი გზის“ კონცეფცია - „მამების გზისა“ და „ღმერთების გზისა“. ეს მოძღვრება დაედო საფუძველად ვედანტური ფლოსოფიის შემდგომ განვითარებას.

მრავალი ადამიანი სიცოცხლის მატარებლს სუნთქვაში (პრანა) ხედავდა: ადამიანი მანამდე ცოცხლობს, სანამ სუნთქავს. ზოგ ეპიზოდში სხვადასხვა სასიცოცხლო ძალა გამოდის, ერთმანეთს ელაპარაკება და ედავება, ეს პერსონაჟები პირველობისა და ბატონობისათვის იბრძვიან. მაგრამ ყველა დავა და დისკუსია სუნთქვის სრული გამარჯვებით მთავრდება: მის გარეშე ვერ იცოცხლებ, ის ხომ ძილშიც კი არ ტოვებს ადამიანს, თუმცა ყველა სხვა სასიცოცხლო ძალა იძინებს დაღლილ დაქანცული. თუმცა მეცნიერება სუნთქვის თაობაზე არ იყო იმდენად დამაჯერებელი, რომ აეხსნა სიცოცხლის ყველა გამოვლინება, კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი პროცესი, როგორცაა შემეცნება. ამიტომ ამ მეცნიერების განვითარება ხდება სუნთქვაზე დაკვირვების, მისი სხვადასხვა ფაზების (ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა და ა.შ.) კლასიფიკაციით, რაც მოგვიანებით იოგას სისტემის ამოსავალ წერტილად იქცა.

უპანიშადების მესამე ძირითადი მოძღვრების მომხრეები სიცოცხლის ცხოველმყოფელ ძალას ცეცხლში ეძებდნენ. ამ გზაზე ვედური პერიოდის გონებით ჰვრეტამ თავის მწვერვალს მიაღწია. ეს მოძღვრება ეყრდნობოდა დაკვირვებას სხეულის სითბოზე, რაც მაშინ სიცოცხლის ძირითად პირობად მიაჩნდათ. ცეცხლი, რომელიც ყველა ადამიანშია, შეიძლება გავიგოთ, თუკი ყურებს მაგრად დავიცობთ. ამისათვის ის შთანთქავს მთელ საკვებს რომელსაც ორგანიზმი იღებს. სხეულში იგი მზის სხივების საშუალებით შედის და ადამიანის სიკვდილის შემდეგ მზეს, სიცოცხლის ყველაზე დიდ წყაროს უბრუნდება. ცეცხლის წრებრუნვა წყლის წრებრუნვასა ჰგავს: ადამიანს ამ წრებრუნვისაგან თავის დაღწევა მხოლოდ სრულყოფილი შემეცნებით ძალუძს, შემეცნება კი, ძველი ინდოელების წარმოდგენით სინათლესთანაა გაიგივებული. აღნიშნულ ცნებასთან დაკავშირებულია უფრო გვიანდელი წარმოდგენა სულსა და გონებაზე, სასიცოცხლო ძალებზე (აზროვნების ორგანოებზე), სიზმრის ხასიათსა და

უსიზმრო ღრმა ძილზე. პირველად სწორად ცეცხლის საფუძველზე სიცოცხლი მოძღვრება ძველ ინდურ რელიგიურ - ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის უმთავრეს მომენტს - ადამიანის ქმედების კონცეფციას, რომ თითოეული ადამიანის ქმედება განსაზღვრავს მის შემდგომ ბედს სიცოცხლის მუდმივ წრებრუნვაში.

როგორც კი სულთა გადასახლების მოძღვრება განვითარდა, წარმოიშვა იმის აუცილებლობა, პასუხი გასცემოდა შეკითხვას: რატომაა იძულებული ადამიანი გამუდმებით ბრუნდებოდეს ამქვეყნად, და რატომ ხდება მას წილად ერთ სიცოცხლეში ბედნიერება და წამატება, მეორეში კი ტანჯვა და უბედურება. ზოგიერთის აზრით, მომავალი არსებობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია მომაკვდავი ადამიანის უკანასკნელი სურვილი. ეს აზრია უძველეს ბუდიზმსა და „ბჰავაგინდიტაში“. მაგრამ უკვე „ცეცხლის მოძღვრებაში“ წინა პლანზე სხვა შეხედულებებია: ადამიანის ბედი შემდგომ სიცოცხლეში დამოკიდებულია მის კეთილ და ბოროტ საქმეებზე, რომლებსაც იგი მოცემულ მიწიერ სიცოცხლეში სჩადის; ეს საქციელი, თავის მხრით, განისაზღვრება განვლილი ცხოვრების საქმეთა ერთიანობით და ა.შ.

სამაგიეროს გადახდის იდეა ცუდ და კეთილ საქმეთათვის (საქმე, ქცევა, მათი მთლიანობა - ყოველივე ეს კარმაა, ამავე აზრითაა ლაპარაკი „კარმის კანონებზე“) თავდაპირველად საიდუმლოდ ინახებოდა. მაგრამ უკვე ცნობილ უპანიშადში ძველი დროის სახელგანთქმული ბრძენკაცის იაჯნიავალკიას ვიდეჰის მეფე ჯანაკასთან საუბარში ეს იდეა დაკავშირებულია სიცოცხლის მარადიულ წრებრუნვაზე ან წარმოდგენასთან) სანსარა. ამით საფუძველი ჩაეყარა ინდოეთის თითქმის ყველა გვიანდელი რელიგიური და ფილოსოფიური სისტემის კონცეფციას (მატერიალიზმის, სკეპტიციზმის, აგრეთვე ცალკეულ რეფორატორულ მოძრაობას, ალბათ, ქრისტიანობის ძლიერ გავლენას რომ განიცდიდა). უპანიშადების აზრებისა იდეების უმეტესობა იმ წინანდელი მითოლოგიური შეხედულებების ჩარჩოებშია მოქცეული, რომლებიც საგანგებოდ არ გვიხსენებია (მამაკაცი მზეზე, ადამიანი თვალში და სხვა).

მეტად არასრულყოფილი იყო უპანიშადების ბრძენკაცთა კოსმოლოგიური შეხედულებები სამყაროს წარმოშობასა და აგებულებაზე. ხშირად გვხვდება გადაუწყვეტელი თუ შუაგზაზე მიტოვებული პრობლემები, როგორცაა მაგალითად, იდეალისტური ახსნის ცდა გარე სამყაროსი, რომელიც თითქოს შემეცნებიდან აღმოცენდა და ა.შ. მაგიური სიმბოლიკის, მისტიკისა და მოუაზრებელი დასკვნების ფანტასტიკურ დინებაში, ცოტაოდენი დაჟინებითა და მოთმინებით, მაინც შესაძლებელია ნათელი აზრების პოვნა. ეს მოწმობს სერიოზულ და გულწრფელ სწრაფვას ჭეშმარიტების დადგენისაკენ, შემეცნების უტყუარი გზის პოვნისაკენ. ასეთ სწრაფვაზე მეტყველებს ჰინდუიტურ ბრძენკაცთა აზროვნების განვითარების შემდეგი ფაზა, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს რელიგიის შემდგომი განვითარებისთვის.

რწმენა გარდასახვისა და მასთან დაკავშირებული მოძღვრებისა ყოველივე ჩადენილისათვის პასუხისგების შესახებ, თავდაპირველად, ზოგიერთი მეტად პრიმიტიული წარმოდგენით ვითარდებოდა და, როგორც ჩანს, ამიტომაც არ მიიღო მოსახლეობის ყველა ფენამ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბუდას გამოჩენის დროისათვის /VI საუკუნის მეორე ნახევარი ჩვენს ერამდე/ ბევრი არ იზიარებდა ამ

შეხედულებებს, თუმცა უკვე V საუკუნეში სულის გარდასახვის მოძღვრება მთელ ინდოეთში გავრცელდა და მალე საყოველთაო ინდური რელიგიის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. იგი მთლიანად აკმაყოფილებდა ეპოქის მოთხოვნილებას, რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების პროგრესს ისეთი შესაძლებლობები შეუქმნა, რაც ძველ ინდურ საზოგადოებას არ ძალუძდა. ამ მოძღვრების ყველაზე ძლიერი მხარე მისი გამოკვეთილი ეთიკური მიმართულება იყო. სიცოცხლის წრებრუნვის რწმენა ყველა არსებისა და ინდივიდის, ამქვეყნად დაბრუნების მარადიულ გამეორებას გულისხმობდა, რის შედეგადაც ადამიანი იზადებოდა ყველანაირი არსების სახით, ხოლო ზოგიერთი სკოლის თანახმად, მცენარის სახითაც კი. რწმენა „სიცოცხლის წრებრუნვისა“ (სანსარა ნ.კ.) მხოლოდ იგი (ადამიანი) განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგა, მთელი ამ წრებრუნვის პროცესში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იყო ბატონ-პატრონი ბუნებისა და ცოცხალი არსებებისა, დამოკიდებულნი საკუთარ ნებაზე. სიცოცხლის წრებრუნვას მარადიულ და გარდაუვალ კანონად მიიჩნევდნენ, (რომელსაც არამარტო ეს ქვეყანა ემორჩილებოდა), ასევე ყველა ცოცხალი არსება ამ სამყაროში ღმერთებისა და სხვა მიწიერ სამყაროთა მკვიდრთა ჩათვლით. ადამიანს თუმცა შეუძლია ღმერთს გაუტოლდეს, მაგრამ ადრე თუ გვიან იძულებული იქნება დედამიწაზე დაბრუნდეს და „დაბადებათა წრეში“ ამქვეყნიური ტვირთი ზიდოს.

იმ გარემოებამ, რომ რელიგიური მოძღვრება გამსჭვალული იყო „გარდასახვის“ იდეებით, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეცვალა როგორც ცალკეული ადამიანის, ისე საზოგადოების ცხოვრებაში. ადამიანი, დანარჩენ არსებათა უფრო ბედნიერი მეგობარი ხდებოდა. იგი ცდილობდა, ყური დაეგდო ბუნებისათვის, ყურადღებით მოპყრობოდა მას. გარემომცველი სილამაზის ღრმა გაგება და შეცნობა, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს კანონების გასაოცარი ცოდნა, სწრაფვა იმისაკენ, რომ არ ევნო სიცოცხლის ნებისმიერი გამოვლინებისათვის, ყოველივე ეს ამ იდეის ბუნებრივი შედეგი იყო. მაგრამ რელიგიაში ამას უარყოფითი გავლენაც შეეძლო ჰქონებოდა: ღმერთები კარგავდნენ თავიანთ ბრწყინვალეებასა და შემზარავ ძალას. მათი ზებუნებრივი ძლიერება უკვე აღარ იწვევდა გაოცებას, და ციური საუფლო, მნიშვნელოვნად უახლოვდებოდა ადამიანს. ამრიგად იქმნებოდა წინაპირობა რელიგიური აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის: ერთი მხრივ, საღი და გონიერი მსჯელობა აქრობდა ძველი ღმერთების წარსულ დიდებას, მეორე მხრივ კი, გამოუცნობი საშინელების ბნელეთიდან იხმობდნენ ახალ, იდუმალ, თავზარდამცემ ღმერთებს, რომლებმაც ერთი გამოჩენით შეძლეს რელიგიური გრძნობების იძულებით სტიმულირება და, თითქოს მეხი დაეცაო, შეშინებული, თავზარდაცემული ადამიანის დაჩოქება, მისი აღვსება ღვთისმომშიშობით, ძრწოლვით, მოწიწებითა და აღტაცებით.

ასეთივე გავლენას ახდენდა მოძღვრება კარმის შესახებ. იგი დამაკმაყოფილებლად (უნიკალური მოვლენაა) განმარტავდა ყველა დროის ერთ აქტუალურ პრობლემას - ამქვეყნად ბოროტებისა და ადამიანის ტანჯვის მიზეზის საკითხს. ის, რასაც ადამიანი განიცდის, წინა დაბადებებისას თავისი ქცევის შედეგია. გარდა თავისი თავისა მას სხვა უმაღლესი მსაჯული არ გააჩნია. თვითონვეა მიზეზი თავისი ახლანდელი ბედისა, იგი განსაზღვრავს თავის მომავალს, რომელიც მხოლოდ მასზეა დამოკიდებული (ალბათ, ის გარემოებებიც, ადამიანმა თავისი მოქმედებით რომ შექმნა). ამ წარმოდგენამ უდიდესი ზემოქმედება იქონია ინდური საზოგადოების ცხოვრებასა და ცალკეულ პირთა აზროვნების ხასიათზეც. ინდოელთათვის არ არსებობდა ცოდვების

მემკვიდრეობით გადაცემის პრობლემა, ღვთის - სამყაროს შემქმნელისა და მეუფის, ყოვლისმცოდნესა და ყოვლისშემძლეს, რჩეულთა და განკიცხულთა შორის წინააღმდეგობათა საკითხი. არ არის გასაკვირი, რომ რომანტიკული და განმანათლებლური ევროპა აღფრთოვანებით შეხვდა ამ მოძღვრებას. XII საუკუნის არაერთმა დიდმა მოაზროვნემ იგი აღმოჩინად მიიჩნია. გავიხსენოთ არტურ შოპენჰაუერის აღტაცება, რომელმაც ეს მოძღვრება (კარმის შესახებ) ადამიანის სულის უდიდეს ჯილდოდ და მთელი ფილოსოფიური აზროვნების აპოგეად აღიარა.

ახლაც ბევრ ვინმეს დასავლეთში კარმას იდეა ძალიან ესიმათიურება და მას უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე სამოთხისა და ჯოჯობეთის სტატიკურ ქრისტიანულ გაგებას, რომელსაც არ ძალუძს პასუხი გასცეს ეთიკურ კითხვებს, მომდინარეს ცხოვრების მყისიერობიდან, ერთადერთო ბიდან და განუმეორებლობითოდან.

ამასთანავე, ზოგიერთს ავიწყდება, რომ უპირატესობის მოძღვრებას ბუდოვანი ადგილებიც აქვს. ჯერ ერთი, ბოროტებისა და ტანჯვის წარმოშობის საკითხი არ წყდება, მხოლოდ შორეული წარსულისაკენ იხევს. კარმის იდეაში არანაკლებია დოგმატური რწმენა, ვიდრე სხვა თეოლოგიურ იდეებში. მეორეც, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვა ნეგატიური ასპექტიც - ინდური საზოგადოებისათვის, პირდაპირ კატასტროფული, კარმის მოძღვრების გავრცელებასთან დაკავშირებით: ეს მოძღვრება უდიდეს საშუალებას აძლევდა ბრაჰმანებისა და ქშატრიებს, უმაგალითოდ დაემონებია ადამიანი კასტური სისტემის ჩარჩოებში. არა მარტო მახინჯები და დამნაშავეები, არამედ დაბალი კასტის პატიოსანი ადამიანები ზიზღს იწვევდნენ, ვინაიდან თითქოს, მათ თვითონ მიუძღოდათ ბრალი, რომ ასეთ უბედურ დღეში აღმოჩნდნენ. მართალია, მათაც „უმწიკვლოთა“ დონემდე შეუძლიათ ამაღლდნენ, მაგრამ ერთ რომელიმე მომავალ სიცოცხლეში, მას შემდეგ, რაც მოინანიებენ წინანდელ შეცდომებს, უყოყმანოდ შეასრულებენ ყველა მოვალეობას. როცა ადამიანი აიტანს თავის წილ უბედურებას, ჭრილობასა და დარტყმას, სამართლიან საზღაურს ჩადენილი ცოდვებისათვის, - როცა ოფლის მოდენამდე მოემსახურება მეპატრონეს, მაშინ დაუდგება ბედნიერი წუთი და უკანასკნელად ამოისუნთქავს იმ მხრივ, რომ, მხოლოდ შემდგომი დაბადებებისას მას უკეთესი მერმისი ელის. არსებითად ახალი არაფერია მზის ქვეშ, გარდა იმის იმედისა, რომ სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეში ადამიანს ჯეროვნად მიეზღვევა მისაზღვევი.

ძნელია იმის თქმა, რომ I ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული კასტობრივი სისტემა ყოფილიყო, ან კიდევ ახლახან ჩასახულ მეცნიოერებებს რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონოდათ. უფრო პირიქით - უკანაშიდების ბრძენკაცთა იდეებმა საშუალება მისცეს ძველ ინდოელებს შეეცნოთ ქვეყანა მარადიული მოძრაობისა და პროგრესული დინამიკურობის თვალსაზრისით, ხოლო მათი მძლავრი ინტელექტუალური იმპულსები შეიცავდნენ აბსტრაქტულ აზროვნებასა და ზუსტი მეცნიერული სისტემების საოცარი განვითარების ჩანასახს. ამის წყალობით მაშინდელ ფილოსოფოსებს მიეცათ იმის საშუალება შეექმნათ შემეცნების საოცრად გაბედული თეორიები, რომელთა შესადაარს იმდროინდელი სხვა ქვეყნების კულტურაში ამაოდ დავიწყებდით ძებნას.

ურთიერთდაკავშირებული სიცოცხლისა და სიკვდილის განუწყვეტელ ჯაჭვზე ფიქრი, რასაკვირველია, იმ დროის დიდი ფილოსოფოსების ენთუზიაზმს ვერ გამოიწვევდა.

სიკვდილი ყოველთვის შიშით აღავსებდა ადამიანს, და მის გარდაუვალობაზე წარმოდგენა მის წინაშე სანუგეშო პერსპექტივებს არ შლიდა. ამას შედეგად მოჰყვა გარდასახვის მოძღვრება. აქედანაა ჰინდუიზმისათვის თვალშისაცემი პესიმიზმისა და სკეპტიციზმის ზრდა: ციურ ქვეყნებში დროებითი ნეტარებით ადამიანი თავს ვერ ინუგეშებდა. საჭირო ოყო პოვნა იმ გზისა, საბოლოოდ რომ გაათავისუფლებდა ადამიანს - თავიდან ააცილებდა უსაზღვრო დაბადებასა და სიკვდილს. დადგა გადამწყვეტი მომენტი - დიდი სულიერი აღორძინების პერიოდი.

„მოკვდავი მარცვალივით მწიფდება და ნათესივით იბადება”. ყურში ახლაც გვესმის უბრალო სიტყვები, ყოველივე ცოცხალის მარადიულ კანონს რომ ფორმულად აქცევენ, მაგრამ უცებ ჯადოსნური ჯოხის გაქნევით დეკორაცია სცენაზე უცებ იცვლება. ძველი მითოლოგიური შეხედულებები დავიწყებას ეძლევა და თავს იჩენს აბსტრაქტული აზროვნების საოცარი უნარი, წარმოიშვება უჩვეულო იდეები - გაბედული და თავისუფალი გონების ნაყოფი. ახალი ქარი დაქრის სულიერ სამყაროში, ახალი იდეები იღებენ გარკვეულ, ნათლად გამოხატულ ფორმებს ცხოვრებასა და გარე სამყაროზე. ძველ შეხედულებას საზრზე, როგორც ცეცხლოვანი სულის საფუძველზე, შემეცნების აბსტრაქტული გაგება ცვლის. სულს, როგორც ცოდნის მატარებელს უნარი აქვს შეიმეცნოს ყველაფერი, მაგრამ თვით გონებას კი არ ძალუძს შეიცნოს იგი, რადგან მიუწვდომელია ინტელექტისათვის. ეს სული არც უხეშია და არც ფაქიზი, არც მოკლეა და არც გრძელი, არც ქარია და არც სივრცე, არც უგემურია და არც უსუნო, არც უჩინარია, არც ყრუ, არც უენო და არც უაზრო, ის არც სუნთქავს და არც უსაზღვროა. ერთადერთი რაც მასზე შეიძლება ითქვას, იგი შეუცნობადია; სწორედ მასზე ითქმის, არც ისაა და არც ესო (სანსკრტზე-ნეტი - ნეტი მთ.ნ.კ.).

შეუცნობელი და განუსაზღვრელი სულის გარდა, კიდევ ერთი ცნება (გაგება) ჩნდება. ნაცვლად ცეცხლისა - სიცოცხლის მატარებლისა, ჩვენს წინაშე წარმოდგება „ის, ვინაც ფლობს მთელი ქვეყნის სულელებს”, ვინც უზენაესი ყოფიერებაა, ღმერთებსა და ძალებზე მაღლა დგას, საყოველთაო პირველსაწყისია. განუწყვეტლივ, სხვადასხვა ვარიანტით, ადიდებენ ამ პირველსაწყისის უზენაესობას, ამ იდუმალ სამყაროს ძალას, უხსოვარი დროიდან „ბრაჰმან“-ს რომ უწოდებენ. თავდაპირველად ეს ტერმინი აღნიშნავდა წმინდა სიტყვის სასწაულმოქმედ ძალას. საკმარისი იყო ნაბიჯის გადადგმა და ძველი ბრძენკაცების თვალწინ გაჩნდა მხსნელი ცოდნა - ამაღლებული, ყოვლისშემძლე ბრაჰმანი, რომელიც მთელი სამყარო და იმავდოულად „ჩემი სულის” ნაწილია, ეს „მე ვარ თვითონ”. უმაღლესი ყოფიერება, „ჩემი სული” - „ჩემი ატმანი” აქ სამყაროსეულ ბრაჰმანთანაა გაიგივებული. ატმანი არა მარტო ადამიანის სულშია, არამედ თვითონაა სული, ატმანი - „მე ვარ”.

დიდ მისტიკურ ექსტაზში, ან, უფრო სწორედ იოგური გარინდებისას, სწვდებოდნენ ძველი მოაზროვნეები საკუთარი სულისა და ყოვლად ძლიერი კოსმოსური პირველსაწყისის ერთიანობას. უპანიშადებში ხშირად ვხვდებით აღტაცების გამომხატველ სიტყვებს ატმანისა და ბრაჰმანის ერთიანობის თაობაზე.

ადამიანი, რომელიც მთლიანად ჩაწვდა ამ ერთიანობას, თავისუფალია სიცოცხლის შემდეგ წრებრუნვისაგან. მისი სული შეუერთდება ბრაჰმანს და ამაღლდება სევდასა და სიხაურლზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე. ძილში ადამიანის სული თავისუფალია, იგი

ჩიტივით მსუბუქად დაფრინავს, ხან მეფეა და ხან ქურუმი - ბრაჰმანი. სიზმრების მიღმა უსიზმრო ძილია, განსაკუთრებული უგონო მდგომარეობა, გულის წასვლასა და სიკვდილს რომ ჰგავს. ასეთ ყოფაში სულის გამოცდილების აღწერა შეუძლებელია, მის უკან ბრაჰმანია. ვინც ბრაჰმანს ჩასწვდება, იგი თავისუფალია.

ამოდ ცდილობდა კაცობრიობის აზროვნება ჩასწვდომოდა ჩაუწვდომელს, ხოლო ადამიანის მეტყველება - ეთქვა უთქმელი. უპანიშადების სიმბოლური სახეები და სიტყვაციები უთუოდ ამ ფაქტს უსვამდნენ ხაზს. მამა შვილს უბრძანებს, ლელვი მოიტანე და შუაზე გახლიჩეო. შვილი ხედავს უამრავ წვრილ მარცვალს, და მამა კვლავ თხოვს შვილს, ლელვის ერთ-ერთი მარცვალი შუაზე გაყოს. და, როცა შვილი მარცვალში ვეაფერს პოულობს, მაშინ მამა შვილს ჰკუთხავს არიგებს: - რისი დანახვაც შეუძლებელია, არსია, რომელსაც უზარმაზარი ხე თავის თავში მალავს. არსი კი ყოველივე არსებულის საფუძველია. იგი სწორედ „მე“-ა. ეს კი შენ ხარ, შვეტაკუტუ!”

უგვიანეს „უპანიშადებში“ ეს მთავარი აზრი, ისევ და ისევ მეორდება. ძალზე მოკლეაა ჩამოყალიბებული იგი მამის სიტყვებში შვილის მიმართ. ეს სიტყვები სანსკრიტულ დედანში შემდეგნაირად ჟღერს: ტატ ტვამ ასი - „შენ ხარ ის“) ტატ - „ეს“, ანუ „ის“, ბრაჰმანი, აბსოლუტი, „ტვამ“ - „შენ“, ინდივიდუალური „მე“, ატმანი). აღნიშნული ფორმულა გამოხატავს ყოველივე იმის ერთიანობას, რაც თავს იჩენს ერთიანი გამომჟღავნებული პრინციპით, რომელიც ბოროტებისა და სიკეთის, ღრმა ძილის მიღმა, მაგრამ თვითონაა ზღვრული სიცოცხლე და მხნეობა. მაშინ, როდესაც „ატმანი“ სულს, „მე“-ს აღნიშნავდა, და ამგვარად სიტყვა „ბრაჰმანი“, თანდათან თავის თავში სამყაროსეული „მე“-ს - ერთისა და ერთადერთის (სანსკრიტში ბრაჰმანი - საშუალო სქესისაა) ინდივიდუალური (ცალკეულ) განსხვავებების არქონას გულისხმობდა. ატმანის - ბრაჰმანის ასეთი გაგება გამორიცხავს სამყაროსეულ მოვლენათა სიმრავლეს. როგორც წყალში გახსნილი მარილი ამლაშებს წყალს, თვითონ კი უჩინარი ხდება, ასევე ყოველივე არსებულს თავისი საფუძველი და თავისი ჭეშმარიტი ყოფიერება აქვს ერთადერთი, მიუწვდომელი სამყაროსეული არსით, რაც ყველაფერშია. „ეს სინამდვილეა! ეს ატმანია! ეს კი შენ ხარ, შვეტაკუტუ!“.

მიუვახლოვდით იმას, რაც ინდური აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპის აზრი და მიზანია. ამჯერად სრულყოფილ, დასრულებულ ფილოსოფიურ სისტემაზეც კი არ არის ლაპარაკი: მრავალი საკითხი გადაუჭრელი რჩება, მრავალი პრობლემა ხელშეუხებელი. ჩვენს წინაშეა ძველი აზროვნებისა და იდეების უდიდესი მიღწევები, რომლებმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინეს ჰინდუიზმზე. აქ იხატება ის მიმართულება, საითკენაც იღებს გეზს რელიგიურ - ფილოსოფიური შეხედულებების განვითარება თავისი ისტორიის შემდეგ ფაზაზე. უპანიშადებში პირობნული (ინდივიდუალური) და ქვეყნიური სულები ხშირად უარყოფითად ხასიათდებოდნენ. ზოგან ბრაჰმანი აღწერილია, ვით თავისთავად არსებული. გვიანდელ უპანიშადებში იგი წარმოდგენილია როგორც მამაზეციერი, გარშემოტყმული ყველა ბრწყინვალე და უსხეულო საგნით, რომლებიც ბოროტებას ვერ შეუბილწავს, ყოვლისმომცველი, ყოვლისმცოდნე და თავისთავად არსებულია. სხვა, უფრო გვიანდელ ტექსტში, ბრძენკაცები უფრო შორს მიდიან და ბრაჰმანში, პირადულ პრინციპს კი არა, ღვთაებრივ შემოქმედს - ღმერთ რუდრუს ან შივას ხედავენ, რომლის შეცნობა ადამიანს არა მარტო ასკეტიზმითა და მონანიებით, არა მარტო გონებაჭვრეტითა და შემეცნებით,

არამედ უსაზღვრო ერთგულებითა და სიყვარულითაც ძალუძს. ამ შემთხვევაში უკვე ახალი პერიოდის ზღურბლზე ვდგავართ, როცა მსხვერპლშეწირვისა და ცოდნის ძველი ბრაკმანული რელიგია სიყვარულისა და თაყვანისცემის მოძღვრებად იქცა, რამაც ყველაზე ძლიერი დასაყრდენი პოვა „ბჰაგავადგიტაში“, იმ წიგნში, რომელსაც ხანდახან - და არც თუ უსაფუძვლოდ - ჰინდუიზმის „ახალ აღთქმას“ უწოდებენ.

თუმცა უპანიშადების იდეებმა გავლენა იქონიეს უფრო ძელ მოძღვრებაზეც, ჩვენ რომ ვახსენეთ. მაშინდელი გონებახედვითი ტენდენცია იმით გამოიხატებოდა, რომ რამდენიმე სხვადასხვა მოძღვრება გაარეთიანებიანათ, თავიდან აეცილებინათ წინა პერიოდში დაგროვილი წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა. ამ მონისტურმა ტენდენციამ მაინც ვერ შეარიგა მარადი ბრაკმანის დუალიზმი, მთელი ყოფიერების მიზეზები და ინდივიდუალური სულის ჭეშმარიტი საფუძვლები ეფემერულ არსებობასთან, ტანჯვისა და სიკვდილის ილუზორულ სამყაროსთან. არ ქრებოდა წინააღმდეგობა ერთი სიცოცხლიდან მეორეში მოხეტიალე მოუნანიებელ სულსა და მონანიე სულს შორის, რომელმაც ყველა ცოდვა რომ მოინანია, ძლია სიკვდილი და უმაღლეს მიზანს მიაღწია.

აზროვნების ამ ორი მიმართულებიდან წარმოიშვა შეხედულება, რომ სიკვდილის სამეფოში სულის „ხეტიალი“ (გადასახლება) ბრაკმანთან ერთიანობის უქონლობით იყო გამოწვეული, ხოლო სიცოცხლის წრებრუნვიდან თავის დაღწევა (ანუ სულის ახსნა), ამ ერთიანობად იქნა მიჩნეული. მისწრაფებასა და მოქმედებაში თავს იჩენდა ის ძალები, რომელთაც მტკიცედ უჭირავთ სული შეზღუდულობისა და სასრულობის ქსელში. მსხვერპლშეწირვასა და სხვა გარეგნული აქტებს არ ძალუძს, ადამიანის მიყვანა ატმანთან, გახსნას საკუთარი - ინდივიდუალური „მე“- მსოფლიო „მე“-სთან გაიგივებით. მაშასადამე, ადამიანი უნდა გაექცეს სიძულვილსა და სიყვარულს, შიშსა და იმედს, მან უნდა იცოცხლოს და „თითქოს არც იცოცხლოს“.

უპანიშადების მრავალი იდეა ტიპიურია იმ ეპოქის ზოგიერთი სხვა კონცეფციისათვისაც. ამ იდეებს ვხვდებით მოგვიანებით განვითარებულ ბუდიზმში, თუმცა ერთგვარად სხვა, ხანდახან კი სრულიად შეცვლილი ფორმით. უპანიშადებში, მაგალითად, ნათლადაა ჩამოყალიბებული აზრი წარმავლობასა და ადამიანურ ტანჯულ არსებობაზე, მაშასადამე იმაზე, რაც ბუდისტური სარწმუნოების საფუძვლად იქცა. ორივე სისტემაში თან ხვდება იმის შესაძლებლობების რწმენა, გათავისუფლდეს საკუთარი ცნობიერება თვითგანდგომის, ჭვრეტის გზით ისევე, როგორც მივალწიოთ სულის სიმშვიდის იმ ნეტარ მდგომარეობას, როდესაც სამუდამოდ ქრება ყოველივე არასრულყოფილი და ბილწი.

ამასთან ერთად უპანიშადებისა და ბუდიზმის მოძღვრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება ზოგიერთ ისეთ კარდინალურ საკითხში, რომლებიც ორთავე სისტემისათვის პრინციპულია. პირველ რიგში ეს ეხება უპანიშადების იდეებს ერთადერთ და უმაღლეს რეალობაზე, ყოფიერების პირველსაფუძველზე, რომლისგანაც წარმოიშვა ყოველივე და რომელსაც უბრუნდება ყველაფერი დროებით, ან სამუდამოდ, იდეები, გვიანდელი ჰინდური სკოლების მონისტური მეტაფიზიკის ქვაკუთხედი რომ გახდა. ასეთი რეალობის ცნება ეწინააღმდეგება სამყაროს მარადიულ ცვლილებათა პლურალისტურ ფილოსოფიას, რაც ნიშნეულია ადრეული ბუდიზმისათვის, რომელიც

გვასწავლის, რომ ემპირიულ სამყაროში არაფერია უცვლელი, ცალ - ცალკე, დამოუკიდებლად არა არსებობს არც ნივთიერი და არც სულიერი სუბსტანციები. ამიტომ სიცოცხლის წრებრუნვიდან გათავისუფლება ვერ მოხდება მარადიულ აბსოლუტში გათქვევით, გათავისუფლება მხოლოდ ყველა იმ ფაქტორს სრული განადგურებით მოხდება, იმ პროცესებს რომ იწვევს, რომელთა შედეგადაც წარმოიშვება სიცოცხლე და მთელი გარემომცველი სამყარო. სწორედ ესაა ის ღრმა უფსკრული, რომელიც ამ ორ მოძღვრებას შუაზე ჰყოფს. ერთ ძველ ბუდისტურ ტექსტში, ატმანისა და ბრაჰმანის იგივეობის უპანიშადური იდეა, უბრალოდ მიამიტურადაა მონათლული.

სრულიად აშკარაა, რომ დიდი ხნის თანაარსებობის პერიოდში ეს სისტემები გავლენას ახდენენ ერთიმეორეზე. მაგრამ შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ უშუალო „ნასესხობასთან“ გვაქვს საქმე, თუმცა ცნობილია, სულ ცოტა ხუთი ძველი პროზაული უპანიშიდი, ბუდას დაბადებამდე შეიქმნა. ორთავე მოძღვრების მთავარი პრობლემები, ისეთივე იყო, როგორც ყველა სხვა მაშინდელი ფილოსოფიური სკოლებისა და არ არსებობს იმის მიზეზიც, რომ უპანიშიდები მივიჩნიოთ, ბუდიზმის გონებაჭვრეტის უშუალო წყაროდ, მხოლოდ იმის იმიტიომ, რომ ჩვენამდე ვერ მოაღწია ამ პერიოდის სხვა არაბრაჰმანულმა ლიტერატურამ.

თუმცა დროისა და იდეის პოზიციებიდან შეიმჩნევა ერთგვარი პირდაპირი და იდეური მემკვიდრეობითობა უპანიშიდებიდან ბუდიზმის მეოხებით ჰინდუიზმისაკენ. ასე მაგალითად, ბუდიზმა ბოლომდე განავითარა მონანიების კონცეფცია. უძველეს ბუდისტურ მოძღვრებაში, რომელიც, უთუოდ, ბუდამდე შეიქმნა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სრული მონანიების შესაძლებლობას, ტანჯვისა და სიცოცხლის წრებრუნვისგან განთავისუფლებასა და მისი მიღწევის საშუალებას. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იოგას პრაქტიკამ, რასაკვირველია, ყველაზე პრიმიტიული ფორმით, რომელიც ჰინდუიზმში ძალზე აწონილ-დაწონილი და თეორიულად დამუშავებული სისტემის საფუძვლად იქცა. ასევე მძლავრი ზემოქმედება მოახდინა ბუდიზმმა უფრო გვიანდელ სისტემაზე, ასკეტიზმზე დაყრდნობით, სიცოცხლის გამოკვეთილი ლტოლვით, ჭვრეტით რომ იქნებოდა აღსავსე და დიდ სულიერ მიზნებს განახორციელებდა. ბუდისტური თემის თავისი ხასიათით ძალიან ნათელი დემოკრატიული სტრუქტურაც, მაგალითად იქცა მრავალი ჰინდური მონასტრისა და სექტისთვის, მხოლოდ სასკოლო განათლების ორგანიზაცია - ბრაჰმანული სკოლებისათვის.

გაირკვა, რომ ყველაზე დიდი გავლენა ბუდიზმმა ბრაჰმანთა ვარნის მდგომარეობაზე იქონია. ბუდამ „ამომრავა კანონის ბორბალი“, იგი ყველას უქადაგებდა, ამიტომაც კასტობრივ განსხვავებას ვერ გაითვალისწინებდა. თუმცა, მაინც აღიარებდა ბრაჰმანების უპირატესობას, რომელებიც იმ პერიოდში მიიწერდნენ სულიერი და ინტელექტუალური ცოდნის განსაკუთრებულ უფლებას მხოლოდ იმიტიომ, რომ უმაღლეს კასტას ეკუთვნოდნენ. „ადამიანი ბრაჰმანად არ იბადება, არაბრაჰმანად ადამიანი არ იბადება, ბრაჰმანი (ე.ი. განათლებული) ადამიანი თავისი საქმის მეოხებით ხდება, არაბრაჰმანი ადამიანი თავისი საქმით ხდება” - ვკითხულობთ ერთ უძველეს ბუდისტურ ტექსტში. ამას ის დავუმატოთ, რომ აზრმა ქალების სულიერ თანასწორობასა და განათლების უფლებაზე გამძახილი პოვა ჰინდურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოგვია - ნებით ბჰაქტის მოძღვრებაში.

ბუდიზმის გაწონასწორებულმა და მშვიდმა ხასიათმა საშუალება მისცა მას რაღაც შუალედური ადგილი დაეკავებია უპანიშიდების ფილოსოფიურ სისტემებსა და უკიდურეს ასკეტურ სკოლებს შორის, რომლებიც ხსნას სულისა და ხორცის გამუდმებულ თვითგვემაში ხედავდნენ. შემდეგ ბუდიზმი და ჰინდუიზმი სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. უფრო გვიანდელი მაჰაიანური მიმართულების ფილოსოფებისათვის ემპირიული სამყარო, მაგალითად, მოჩვენებითი, ილუზორული იყო; სხვა ბუდისტური მიმართულებების თანახმად, სინამდვილის უმაღლესი ფორმა წმინდა, დაუყოფელი სულიერი ელემენტი, ღვთაებრივი პირველსაფუძველი გახლდათ. მხოლოდ ერთ რამეს არასოდეს აღიარებდნენ ბუდისტები - უზენაესი აბსოლუტის თანადამთხვევას ემპირიულ სამყაროსთან. მათი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი „განუყოფელი და არაგანუყოფელი“ იყო. ბუდიზმის ყველაზე გვიანდელი ფორმები კი, ინდოეთში მის გაქრობამდე რომ არსებობდა, ნაკლებად განსხვავდება ჰინდუიზმის მახლობელი ფორმებისგან. ტანტრისტული კულტები, რომლებიც თითქოს სულის მოსათქმელად იქცა გვიანდელი პერიოდის ინდური რელიგიის ყველა ოკულტური ტენდენციისათვის, თითქმის შეუძლებელია დაიყოს ბუდისტურ (ტანტრისტული ბუდიზმი) და საკუთრივ ჰინდურად.

სწორედ ასეთნაირად, მაჰაიანურმა ფილოსოფიამ გავლენა მოახდინა ვედანტურ მოძღვრებაზე. ხოლო ამან კი ის გამოიწვია, რომ გვიანდელი ვედანტის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის თვით სინამდვილე, როგორც ასეთი, ერთად აღებული, „მარად წმინდა, მარად ცხოველმყოფელი, მარადმომნანიებელი ამქვეყნიური სულია“, მაშინ როცა მთელი მრავალფეროვნება სამყაროსი - უბრალოდ, ილუზიაა და სხვა არაფერი (მაია). ამიტომ ბრაჰმანი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ქვეყნის უძრავი ფონი, ტილოსებური, რომელზეც გამოჩნდება ჩრდილების თეატრის რეალურად არარსებული, შეცვლილი სახეები. ორივე სისტემის ურთიერთგაჯერება, კიდევ უფრო გაძლიერდა ახალი ერის პირველ ასწლეულში, ვიდრე აპოგეას მიაღწევდა ვედანტური ფილოსოფიის შემქმნელთა იდეებში; ერთ მათგანს შანკარას, ხშირად „იდუმალ ბუდისტს“ რომ უწოდებენ, დღემდე პატივს მიაგებენ ინდოეთში, როგორც თანამედროვე ჰინდუიზმის უდიდეს ავტორიტეტს.

ჰინდუიზმი - როგორც ფილოსოფიური მოძღვრება

ბორის მერგაუტი

ჰინდური სარწმუნოებების ძირითადი საფუძვლები

ჰინდუიზმის მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს ის იდეა, რომ სამყარო არა შემთხვევითი შერწყმაა, ანუ საგანთა და მოვლენათა ქაოსია, არამედ იერარქიულად მოწესრიგებული მთლიანობაა, ანუ კოსმოსია. საყოველთაო, მარადიულ წესრიგს, სამყაროს, როგორც ერთიან მთლიანობას ასე რომ ინახავს, ეწოდება- „დჰარმა“ (სანსკრიტული ძირია - „დჰრ“ - „ჭერა“ პყრობა.). უდჰარმოდ ქვეყანა ვერ იარსებებდა, დაინგრეოდა. ეს არ ხდება, თუმცა განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ ადგილას სამყაროში ჭარბობს ადჰარმა, წესრიგის უარყოფა. რამდენადაც ეს მხოლოდ სამყაროს ნაწილს შეეხება, დჰარმის მთლიანად მოსპობა სეუძლებელია.

დჰარმა არ არის კანონმდებელი - ღმერთის სიმბოლო, ვინაიდან ის თვით მოვლენებსა და საგნებშია. უპირველეს ყოვლისა იგი თავის თავში განახორციელებს სამყაროსეულ მთლიანობას - რომელიდაც უპიროვნო კანონზომიერებას და ის მხოლოდ ხელმეორედ გვევლინება კანონის სახით, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს პიროვნების ბედს. ასეთნაირად აიხსნება და დგინდება თითელი ნაწილის ადგილი მთლიანობასთან დამოკიდებულებაში.

საყოველთაო, სამყაროსეული დჰარმიდან გამომდინარეობს დჰარმა ყოველნაირი ცალკე არსებული ნაწილისა. დჰარმა უნდა გავიგით, როგორც ადამიანთა თითელი ფენის რელიგიური და საზოგადოებრივი ვალდებულებების ერთობლიობა.

იმის გამო, რომ დჰარმა თვით საგნებსა და მოვლენებშია, ერთგვარი იმანენტური სამართლიანობაა, ყოველ ჰინდუს რჩევა ეძლევა, გულდასმით აწონ-დაწონოს თითოეული თავისი მოქმედება: მართებული მოქმედება კეთილ ნაყოფს იძლევა - სიკეთეა, ხოლო უმართებულო მოქმედება - ბოროტება. მოქმედება იმის მიხედვით ფასდება, შეესაბამება თუ არა იგი დჰარმას. დადებით შემთხვევაში იგი კარგია და კარგ შედეგებს იძლევა, ხოლო ის მოქმედება, წესრიგს რომ არღვევს, ცუდია და გვტანჯავს.

ვინაიდან ყოველი მოქმედება, ინდივიდის ზრახვებისა და სურვილების შედეგია, ამიტომ სული განუწყვეტლივ იბადება და ამქვეყნად ხორცს ისხამს (განსხეულდება სხვადასხვა სახით) მანამდე, სანამ ის არ გათავისუფლდება სურვილის ყველა ელემენტისაგან. ამ იდეამ ზუსტი გამოსახულება პოვა „მარადიული დაბრუნების“ მოძღვრებაში; დაბადება და სიკვდილი მხოლოდ სხეულის წარმოქმნასა და გაქრობას

ნიშნავს, ახალი დაბადება სულის მოგზაურობაა - სიცოცხლის წრებრუნვაა (სანსარა).

ეს ქვეყანა სიხარულისა და ტანჯვის შეხამებაა. ჰინდური საზოგადოების ბრაჰმანული იდეოლოგიის თანახმად, ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ წარმავალ ბედნიერებას: ე.ი. განიცადონ ნებადართული გრძობითი სიამოვნება (კამა), და სარგებელი (ართჰმა) საკუთარი ნივთებითა და საზოგადოებაში თავიანთი მდგომარეობით, მხოლოდ მუდამ დჰარმას შესაბამისად. ამასთანავე ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ ადამიანის მოწიფული სული, როდესაც სულიერი განვითარების გარკვეულ დონეს აღწევს, აღარ ილტვის ნივთიერი კეთილდღეობასა და ფიზიკური სიამოვნებისაკენ, და ეძიებს მარადიულ სიცოცხლეს - აბსოლუტურ რეალობას, რაც ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ ხედავს, რამეთუ ის ილუზიის სქელი საფარგველითაა დაფარული. რეალობას ვერ ჩაწვდები ემპირიული ცნობიერებით. დღესაც კი ჭეშმარიტ, მართლმორწმუნე ჰინდუში დიდ სიმპათიებს არ იწვევენ სამხედროები, მთავრები და მდიდრები, მაშინ, როცა ასკეტები, განდეგილები, წმინდანები, მაგალითად - მაჰათმა განდი, XX საუკუნის უდიდეს ადამიანებად ითვლება.

ადამიანის არსებობის არსი იმაშია, რათა გუმანით შეიცნოს, რომ სამყაროთა მრავლობა - სიცრუეა, ვინაიდან არის მხოლოდ „ერთი სიცოცხლე“, „ერთი არსი“ და „ერთი მიზანი“. ჰინდუები ამ ერთიანობის მიღწევას მიიჩნევენ უდიდეს სიკეთედ, ხსნად. გათავისუფლებად და უზენაეს მნიშვნელობად. სიცოცხლე მარადიულია, უსაზღვროა არა თავისი ხანგრძლივობით, არამედ საკუთარ თავში და ყველაფერში საკუთარი თავის შეცნობით. „ჩემს გულს ყველაზე მეტად ის სიყვარული ახარებს, რომელიც შესაძლებლობას მაძლევს ჯერ კიდევ ამქვეყნად ვიცოცხლო უსასრულოდ“.

იმ საშუალებათა ნაზავს, რომელთა მეოხებითაც შეგვიძლია ჩაწვდეთ რეალობას, გათავისუფლდეთ, იოგა ჰქვია. „გათავისუფლდე“ - ეს იმას ნიშნავს, ყოფიერების უმაღლეს დონეზე ახვიდე. შეიცნო, რომ ქმნილებები და საგნები ყველაფრის თავის თავში გამაერთიანებელი, თავისუფალი სულისგან წარმოიშობა. ეს ერთიანობა კი ტრანსით, ექსტაზით მიიღწევა: ადამიანი მოკვდავის დონიდან უერთდება წმინდა ყოფიერების, ცნობიერებისა და სიხარულის (სატ, ჩიტ, ანანდა) ოკეანეს.

ადამიანის ცნობიერების ღვთაებრივად გარდაქმნა შეუძლებელია ერთი სიცოცხლის მანძილზე, ამიტომ ყოველი ინდივიდი არსებობის წრებრუნვაში განმეორებითი დაბადებისა და სიკვდილის მთელ სერიას გაივლის. ადამიანთა თითოეული ჯგუფისათვის წინასწარ დადგენილია ქვევის გარკვეული ნორმა, რომელიც შეესაბამება სასიცოცხლო გზის კონკრეტულ ეტაპს, ამ ნორმის დაცვა კი სიცოცხლის უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლის საშუალებას იძლევა.

ჰინდური იდეოლოგიის ფასეულობათა იერარქიაში პირველი ადგილი უკავია წმინდა მეტაფიზიკურ მონიზმს (ადვაიტა), რომელიც მხოლოდ ბრძენთათვისაა გასაგები. მათ, ვისაც ეს იდეალი ძალიან აბსტრაქტულად ეჩვენება, უფრო თეოლოგიური იდეალი უნდა დაისახონ. მოცემულ ეტაპზე არაპირადული აბსოლუტი - პირადი ღმერთია, სრულყოფილება სიკეთედ იქცევა, გათავისუფლება - სამოთხეში სიცოცხლედ, ხოლო სიბრძნე - (ჯნიანა) ინდივიდუალური (ცალკეული) ღვთის სიყვარულით (ბჰაქტით) იცვლება, რომელსაც მორწმუნე თავისი ბუნებრივი მიდრეკილებების შესაბამისად

ირჩევს. თუკი ადამიანისთვის ეს დონეც მიუწვდომელია, მან მკაცრად უნდა დაიცვას ზნეობრივი და რიტუალური მითითებების გარკვეული კომპლექსი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კონკრეტულ - (ინდივიდუალურ) ღმერთს ცვლის მისი გამოსახულება ტაძარში, ჭვრეტასა და ყურადღების მოკრებას - წეს-ჩვეულება, ლოცვა და საღმრთო ფორმულების წარმოთქმა, სიყვარულს - მართებული საქციელი. აქედან გამომდინარეობს ჰინდუიზმის უნივერსალური ხასიათი. იგი საკუთარ დოგმებს არ ახვევს თავს ყველას, იგი არამარტო მათზე ზრუნავს, ვინც ახლოსაა მიზანთან, არამედ მათზეც, რომლებსაც ჯერაც ვერ უპოვიათ გზა და რომელთა მონაწილეობა ტრადიციებში პასიურადაა გამოხატული.

ყოველივე ზემოთქმული გვადლევს იმის საშუალებას, დავინახოთ, რა დიდია განსხვავება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებას შორის. ზუსტ ლოგიკურ დეფინიციებსა და არისტოტელეს კატეგორიებს მიჩვეული ევროპელი ფილოსოფოსისათვის, ჩაუწვდომელია-გაუგებარია, რომ ერთიდაიმავე ტრადიცია ერთდრულად შეეგუოს რამდენიმე თვალსაზრისის არსებობას და ამასთანავე, არ დაირღვეს თავად მოძღვრების მთლიანობა. ამ განსხვავებულ თვალსაზრისსა და მათთან დაკავშირებულ მრავალმხრივი სინმადვილის ინტუიციური გაგების მეთოდებს „დარშანები“ ეწოდება) (მომდინარეობს სანსკრიტული ფუძე „დრშ“ ნიშნავს - „დანახვას“ - „ხედვას“).

პოზიტივიზმის აყვავების დროს ანალიტიკური მეთოდების მომხრე მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ექვსი „დარშანი“ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და ფილოსოფიური სისტემებით კონკურენციას უწევდა ერთი მეორეს. ამ აზრს იზიარებდა ზოგიერთი ინდოლოგი, რომერლსაც ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული. ამას მოყვა უსასრულო და სავსებით უნაყოფო დისკუსიები, მაგალითად იმის თაობაზე, იყო თუ არა ვედანტაში ეთიკა და ა.შ. დარშანების სისტემატური, უფრო ღრმა შეცნობის კვალობაზე მკვლევართა მიმართება ამ საკითხებისადმი შეიცვალა. ასე მაგალითად, ციმერმა, გენონის შრომებს რომ ეყრდნობოდა, დაასკვნა: დარშანები ერთიანი ორთოდოქსული ტრადიციის ექვსი ასპექტიაო. „თუმცა მათში შეიძლება ვიპოვოთ მოჩვენებითი, ხანდახან კი აშკარა წინააღმდეგობები, ისინი ადამიანური შემეცნების სხვადასხვა დონის ჭეშმარიტების ერთმანეთის შემაჯავებელ პროექციებად უნდა მივიჩნიოთ“.

ასეთივე შეხედულებისაა დარშანებზე ვრეედეც: „დარშანები არ არის ანტაგონისტურ - ურთიერთსაპირისპირო, ვინაიდან ერთ მთლიანს ქმნიან, მხოლოდ სხვადასხვანაირად მოწესრიგებულს. ნიაია ლოგიკას ეძღვნება, ვაიშეშიკა - ფიზიკას, სანქჰია - ნაწილთა კლასიფიკაციასა და ყოფიერების კატეგორიას, იოგა - ადამიანის პიროვნების მეთოდურ განვითარებას, მიმანსა - ეთიკას და ვედანტა - „მეტაფიზიკას“.

ჩვეულებრივ დარშანებს წყვილ - წყვილად აღწერენ, რათა გვაჩვენონ სისტემათა უდიდესი სიახლოვე და ნათესაობა: ნიაია და ვაიშეშიკასი, სანქჰია და იოგასი, მიმანსა და ვედანტასი.

„ნიაიას“, რომელიც უპირატესად ლოგიკას ეხება, და ვაიშეშიკას, საკუთარი კოსმოლოგიით ძირითადად საგანთა ანალიტიკურ კვლევას, რომ ანიჭებს უპირატესობას რელიგიური აზროვნების განვითარებისათვის, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ძველი ინდური ფილოსოფიური სისტემის დანარჩენი ოთხი, უფრო სპეკულაციურ ხასიათს ატარებდა.

სანქჰია შეიძლება განხილული იქნას როგორც დუალისტური რეალიზმი და რელიგია - ღვთის და რწმენის გარეშე. სანქჰიას მოძღვრების თანახმად, მარად არსებობს ორი დამოუკიდებელი საწყისი: სული (პურუშა) და მატერია (პრაკრიტი). პურუშა წმინდა უმოქმედო შემეცნებაა, პრაკრიტი ამოუწურავი შემოქმედებითი ენერგია; თუმცა მას აკლია ცნობიერებობა და ინტელექტუალური ენერგია. თავისი გამოუმჟღავნებელი სახით პრაკრიტი არსია ერთობისა იმ წინააღმდეგობრიობებისა, რომლებიც ერთმანეთთან წონასწორობაში ყოფნისას, ყოველგვარი ქმედების შესაძლებლობას გამორიცხავენ. სამყაროს წარმოქმნა აიხსნება პურუშას (იგულისხმება ბრაჰმად დაბადებული ღვთაება-ამავდროულად მამაკაცურ საწყისს რომ განასახიერებს მთარგ. ნ.კ.) ზემოქმედებით პრაქტიკაზე, რაც იწვევს წარმოქმნას 25 ელემენტისა, ყოველი არსისა დაწყებული ყველაზე დახვეწილი ინტელექტიდან (ბუდჰი), „მეს“ - ს (აჰამკარა) შეგრძნებით ან გონებით (მანასი) და დამთავრებული ხუთი „უხეში“ ფიზიკური ელემენტით - ეთერით, ჰაერით, ცეცხლით, წყლითა და მიწით.

პრაკრიტი სამი გრეხილისაგან დაწნული ბაწარივითა: იგი შედგება სამი ნაწილისაგან ძალისაგან, -მიდრეკილებებისაგან, ანუ ტენდენცი ისაგან და თვისებებისაგან, ანუ ხარისხისხეებისაგან ზოგადად, ამ სამს - „სამი გუნა“ ეწოდება, რომელთა ერთმანეთთან სხვადასხვანაირი შერწყმის კომბინაციებიც, ქმნიან სამყაროში საგანთა, ქმედებათა და მოვლენათა მრავალფეროვნებას. გუნები უშუალოდ არ აღიქმება. მათი არსებობა მხოლოდ მათი მოქმედების შედეგებზეა დამყარებული. პირველი გუნა - „სატვა“ ქმნის წონასწორობას, სიმშვიდეს, სინათლეს, ბედნიერებას, სიხარულსა და ჰარმონიას. მეორე გუნა - „რაჯასი“ ინსტიქტური ლტოლვაა მუდმივი ძალისხმევისაკენ, აღზნებისკენ, აქტიურობისაკენ, ვნებებისაკენ. ხოლო მესამე „გუნა“ - „ტამასი“ ხელს უწყობს ყოველივე დამძიმებას, ინერტულობას, უნიჭობასა და გონებრივ ჩამორჩენილობას, გულგრილობას, უცოდინრობას, ანუ უმეცრებას. ეს სამი გუნა ყოველთვის ერთადაა და მხოლოდ ზოგჯერ, ერთერთი მეტ - ნაკლებად ჭარბობს დანარჩენ ორზე.

პურუშა, ზემთმაგონებელი უკვდავი საწყისი, პრიციპულად განსხვავდება სხეულისაგან, აზრისაგან, პიროვნული „მე“-სგან, შეგრძნებისაგან, მაგრამ კონკრეტულ პროფანულ ცხოვრებაში, ის (პურუშა) გუნათა გავლენის შედეგად გაიგივებულია მატერიალური სამყაროს მრავალ არსებასა და გამოვლინებასთან, რაც იწვევს დაბნეულობას ადამიანში და ხელს უშლის მის სულიერ განვითარებას.

„სანქჰიას“ მიზანია სულის განთავისუფლება მატერიისა და სხეულის ტყვეობიდან. ეს მოძღვრება გვთავაზობს თავის მეთოდს, თუ გონივრულად როგორ უნდა გაემიჯნოს პურუშა მატერიის 24 ელემენტს, ვინაიდან მხოლოდ რწმუნა და ღვთისმოყვარეობა სიბრძნის გარეშე ვერ იხსნის ადამიანს ამქვეყნიური ტანჯვისაგან. მოვლენის რაციონალისტური და კრიტიკული ანალიზით იმას შევიცნობთ, რომ სული

(სამშვიდობო) ზეგრძნობელობითი, ტრანსცენდენტალური რეალობაა, რომელიც არც იბადება და არც კვდება, არც იბილწება და არც იტანჯება. იმისათვის, რომ ადამიანმა ეს ჭეშმარიტება მომხანიებლურად შეიცნოს, თავისი ვნებები უნდა დაითრგუნოს და იმ ვარჯიშებით განიწმინდოს სხეული და აზრები, რომლებიც დაწვრილებით იქნება აღწერილი იოგას ტექნიკაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლაპარაკია არა რაციონალურ, ემპირიულ განსაზღვრაზე სულსა და ხორცს შორის არსებული განსხვავებისა, არამედ ჭეშმარიტების უშუალო წვდომაზე, რომელიც სპობს უმეცრებას და რთხელ და სამუდამოდ ათავისუფლებს ადამიანს სულიერი ბრკოლებისაგან შებოჭილობისაგან).

იოგა

კლასიკური იოგა იქ იწყება, სადაც სანქჰია მთავრდება. „იოგა-სუტრას“ ავტორმა პატანჯალიმ თითქმის მთელი დიალექტიკა სანქჰიიდან გადმოიღო, მაგრამ არ მიიჩნევდა, რომ ფიზიკურ შენებას ძალუმს ადამიანის გათავისუფლება. „იოგა-სუტრა“ იმას ამტკიცებს, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ საკუთარ ტავთან ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლით, პირველ ყოვლისა ურთულესი ფსიქო-ფიზიოლოგიური ტექნიკის დახმარებით. იოგა, ისევე როგორც სანქჰია, ცდილობს მოსპოს ჩვეულებრივი ცნობიერება და იგი ახალი, ხარისხობრივად სხვა ცნობიერებით შეცვალოს, რომელდაც მეტაფიზიკური ჭეშმარიტების შეცნობის განსაკუთრებული თვისება აქვს.

იოგა არ გაურბის ჩვენი ჩვეულებრივი, ნორმალური შემეცნების ჩახშობის სიძნელეებს: თეორიული ცოდნის გარდა საჭიროა სიბუჯითე, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა და უმკაცრესი თვითდისციპლინა, რომელიც დაკავშირე ბულია მკაცრი ასკეტური ცხოვრების წესების დაცვასა და ფსიქოტექნიკს ყველა წვრილმანის დაუფლებასთან. თვით - ჰიპნოზის (თვითთავონების) ყველა წვრილმანის დაუფლებასთან. ხოლო სანქჰიაში თვითჰიპნოზის, ფსიქონალიზისა და ფსიქოტექნიკის კომპლექსს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

სულიერი განვითარებისათვის წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად იოგა გვთავაზობს „რვიან მეთოდს“ (იგულისხმება „ათჰშთანგა“ - „რვა საფეხური“, რომელიც სულიერობის მაძიებელმა იოგმა უნდა გაიაროს. მთარგ. ნ.კ.). რომელიც მოიცავს თავშეკავებას (იამა), მითითების შესრულებას (ნიამა), სხეულის ვარჯიში (ასანა), სურთქვის შეგნებულად წარმართვა (პრანაიამა), გრძნობათა განრიდება მათი ობიექტებისაგან (პრატიაჰარა), ცნობიერების დამაბვა (დჰარანა), ჭვრეტა (დჰიანა) და ტრანსში ყურადღების მოკრება (სამადჰი). ამ რვიდან არ შეიძლება არც ერთი ნაწილის გამოტოვება, ან უყურადრებოდ მიტოვება. ასეთი დაყოფა დამახასია- თებელია არა მარტო პატანჯალის კლასიკური იოგასათვის (იხ. ქართლ ენაზე „პატანჯალი - იოგასუტრა“-თბ.2008, თარგმნა ნ.კ.) არამედ აღიარებულია ჰინდუიზმის თითქმის ყველა სექტისა და მოძღვრების მიერ.

1. პირველი ორი ნაწილი - იამა და ნიამა - ხაზს უსვამს ეთიკური ასპექტის მნიშვნელობას. საჭიროა მუდამ მხარს უჭერდე არამოძალადეობას (აჰიმსა), იყო

მართალი, პატიოსანი, თავშეკავებული, ე.ი. თავი აარიდო ვნების მიყენებას ნებისმიერი მოქმედებით, მათ შორის ცუდი ფიქრით-განზრახვით, სიტყვით. აჰიმსა ნიშნავს ყველა ცოცხალი არსებისათვის - სულდგმულისათვის რაიმე ქმედებით ზიანის მიუყენებლობას, ამავე დროს მტრობისა და სიმულვილის გრძნობის სრულ უქონლობას. „არა კაც ჰკლა“ კატეგორიული იმპერატივია; უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში თავდაცვასაც კი არ ძალუძს გაამართლოს მკვლელობა. ალალმართლობა - ეს სიტყვათა, აზროვნებისა და სინამდვილის ჰარმონიაა. სქესობრივი კავშირის აკრძალვა ინსტიქტის ჩახშობას კი არ გულისხმობს, არამედ ვნების მოსპობას; სქესობრივი კავშირი როგორც ცოდვა არ განიკიცხება, არამედ იგმობა, როგორც ძვირფასი სასიცოცხლო ძალის ფუჭად ხარჯვა, რაც ხელს უშლის ადამიანს ყურადღების მოკრებაში.

2. წესების დაცვა ეხება გარკვეული ჩვევების გამომუშავებას, რომელიც პიროვნების ხასიათის შემადგენელ ნაწილად, ბუნებრივ მოთხოვნილებად უნდა იქცეს. ეს წესებია: სხეულის გაწმენდა, აზრის სიწმინდე, კმაყოფილება, ასკეტიზმი, საღვთო წიგნის შესწავლა და ღმერთზე მუდმივი ფიქრი.

3. სხეულის დიციპლინა მნიშვნელოვანად გულისხმობს ასანების დაუფლებას, ე. ი. პოზებისა, რომლებიც ყველაზე კეთილნაყოფიერ ფიზიკურ პირობებს ქმნის ყურადღების მოკრეფისათვის (ჩვეულებრივ ადამიანს არ ძალუძს ყურადღება მიაქციოს ობიექტს, როდესაც დარბის ან სეირნობს). საჭირო პოზაში ჯერ კიდევ ყურადღების მოკრებამდე უნდა დადგე. პატაჯალი პირდაპირ აღნიშნავს, რომ სხეულის მდგომარეობა სიამოვნებასა და სიმტკიცეს უნდა განიჭებდეს. „იოგა-სუტრის“ კომენტატორებმა დეტალურად დაამუშავეს სხვადასხვა პოზის მოძღვრება. ყველაზე გავრცელებულია „ლოტოსის პოზა“: ფეხები გადაჯვარედინებულია, მარჯვენა მარცხენა თემოზე დევს, მარცხენა - მარჯვენაზე, ხოლო ხელის თითები მუხლის თავებზე. ვინაიდან იოგური ვარჯიშები დიდ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს, საწიროა სხეულის გაკაჟება და მისი მართვის დაუფლება. ჰათჰა-იოგას სისტემა, მაგალითად, არა მარტო აკაჟებს სხეულს, არამედ აჩერებს ორგანიზმში სიბერით გამოწვეულ ბუნებრივ პათოლოგიურ მოვლენებს. იოგა უნდა მოერიდოს ცხარე საჭმელებსა და ალკოჰოლს.

4. თანაბარი, რიტმული სუნთქვა კეთილყოფელად მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაზე, რაც ექსპერიმენტებმა და ევროპელმა ექიმებმა დაამტკიცეს. ვარჯიში იწყება ნელი, ღრმა ჩასუნთქვით, შემდეგ სუნთქვა უნდა შეჩერდეს, ბოლოს ხდება ამოსუნთქვა. ამ სამ ფაზას სხვადასხვა ხანგრძლივობა აქვს, რომელიც იცვლება ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებებისა და გავარჯიშების დონის კვალობაზე. სუნთქვის დაუფლება საშუალებას აძლევს იოგას, დიდხანს შეაყოვნოს იგი და ამით გაიხანგრძლივოს ექსტაზური მდგომარეობა: რასაც მოწაფეს მხოლოდ გამოცდილი მასწავლებელი თუ ასწავლის.

იმ ხანებში, როდესაც იოგა ძალიან მოდური გახდა დასავლეთში, ევროპაში დაიბეჭდა მრავალი წიგნი და ბროშურა, რომლებიც იოგების ვარჯიშის პროპაგანდას ეწეოდნენ. ზოგიერთი ენთუზიასტი ლოტოსის პოზაში დაჯდომას შეეცადა და დაივიწყა, რომ ეს პოზა მტკივნეულია მათთვის ვისაც დაკუნთული კოჭები აქვს, თუ ბავშვობიდანვე არ ვარჯიშობდა. უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა სუნთქვითმა ვარჯიშებმა, რომლებიც თითქოს იოლია. თუმცა მათაც შეუძლიათ გამოიწვიონ გულის გართულებები, ასთმა

და ვეგეტატიური ნერვული სისტემის მოშლა. საერთოდ, ხშირად ავიწყდებათ, რომ ფიზიკური იოგა შესაძლებელია მხოლოდ აბსოლუტურად ჯანმრთელებისათვის და არ ძალუძს ადამიანს დაკარგული ჯანმრთელობა. მით უფრო საშიშია ვარჯიში აზრის მოსაკრებად, ომლის დროს თითქოს ხდება შეჭრა ფსიქიკის ქვეცნობიერ სამყაროში.

5. გრძნობების დაცემა მათი ობიექტებისაგან (ან მათი ბუნებრივი გარე ფუნქციონირებისთვის გრძნობების წართმევა) მიიჩნევა მათი გრძნობათა ორგანოების გამოთიშვის გზით - გამაღიზიანებლებისაგან - საგნებისაგან, ბგერებისაგან, სუნისაგან და ა.შ. იოგი მიდის უკაცრიელ ადგილას იღებს პოზას, ხუჭავს თვალს და ყურებში თითებს იცობს, რათა სასინათლო, ბგერითმა, სმენითმა და გემოვნებითმა შეგრძნებებმა არ დაარღვიოს მისი ფიქრების ნაკადი (დინება).

ეთიკური მომზადება (იამა და ნიამა), სხეულის პოზა (ასანები), სუნთქვის რეგულირება (პრანაია) და მათი ფუნქციონირებისათვის გრძნობების წართმევა (პრატიაჰარა) - არსებითად მოსამზადებელი და დამხმარე პირობების ის კომპლექსია, რომელიც აუცილებელია ფიზიკური და მორალური გაწმენდის სტადიაზე, მაშინ როდესაც დჰარანა და დჰიანა კურთხევის სტადიაა, სამადჰვი კი - ერთიანობისა.

6. ყურადღების შეჩერება გარკვეულ წარმოდგენაზე, მაგალითად საყვარელ ღვთაებას ან საკუთარი სხეულის რომელიმე ნაწილზე, იმას ნიშნავს, რომ იოგს შეუძლია სულიერი თვითსრულყოფის საფეხურზე ავიდეს.

7. გონებაჭვრეტისას ფიქრები აბსოლუტურად მშვიდია და ერთი ობიექტისაკენ არის მიმართული. ეს მანამდე გრძელდება, ვიდრე აზრი არ დაივანებს მის არსებაში და იგი არ შეიცნობს მის შინაგან არსს. ამგვარად, ჭვრეტით ყოველი საგნის რეალური არსი ვლინდება.

8. როდესაც დჰიანა უმაღლეს მწვერვალსა და გონებით მჭვრეტეები აბსოლუტურ ექსტაზს აღწევს, იგი მთლიანად კარგავს საკუთარ „მე“-ს. სხეული და გონება მკვდარია გარეშე სახეებისა და შთაბეჭდილებებისთვის; მხოლოდ მის მიერ განჭვრეტის ობიექტი აღიქმება. სამადჰვი უშუალოდ წინ უსწრებს სული განთავისუფლებას, იგი თითქოს მის კარიბჭესთანაა და უკვე მოიცავს გარე სამყაროსთან „მე“-ს დარღვეულ კავშირებს. სწორედ განთავისუფლებული მდგომარეობაა ყოველგვარი იოგური თვითდისციპლინისა და ფსიქოთერაპიის საბოლოო მიზანია. თავისთავად წმინდა ფიზიკურ ეფექტებს ღირებულება არ გააჩნია. ჰათჰა-იოგას და სხვა ვარჯიშების აზრი ისაა, რომ ადამიანი უმაღლეს და ფიზიკურად შეუპირობებელ მდგომარეობაში გადავიდეს.

სამადჰვი ეს ჭეშმარიტების ინტუიციური წვდომაა („სული კვლავ აღწევს თავის მარადიულ მდგომარეობას“). ამ დროს იოგი იმ დონეზეა, როცა ქვეყანა მის წინაშე პურუშასა და პრაკრიტის შორის ელემენტალურადაა განსხვავებული. უგონო ექსტაზში, მატერიის ბორკილებიდან ხსნილი სული, კვლავ უბრუნდება თავის ბუნებრივ საფუძველს.

„იოგა სუტრას“ თანახმად, გარკვეული საფეხურების დაუფლება საშუალებას იძლევა

ზებუნებრივი თვისებები შეიძინო. ასე მაგალითად, ასანების დაუფლება, თითქოს იმას უწყობს ხელს, რომ იოგმა იოლად აიტანოს სიცხე და სიცივე, ძალუძს იხილოს, გაიგონოს და დიდ მანძილზე გადასცეს აზრები, შეიცნოს კოსმოსური სივრცე, ვარსკვლავეთის სამყაროები, პოლარული ვარსკვლავის მოძრაობა და სხეულის სტრუქტურა და ბოლოს, სხეული გააუჩინაროს კიდეც.

თუმცა კომენტატორები გვაფრთხილებენ, რომ ზებუნებრივი ძალები არ გამოიყენოთ და მიგვითითებენ, რადგან ისინი სულიერი ხსნის (განთავისუფლების) გზაზე დაბრკოლებას ქმნიან. ისინი სამადჰის საწინაარმდეგო ფაქტორად მიაჩნიათ, ამასთან სრულყოფილება წარმოუდგებათ, რისი მიღწევაც იოგის სულიერი პროგრესის თანამდევია. ჭეშმარიტმა იოგმა თავის დამსახურებად არ უნდა მიიჩნიოს ამგვარი ნიჭისა და უნარის ქონა, რადგან ამან შეიძლება ძალიან შეუშალოს მას ხელი სრულ განთავისუფლებაში და იგი მსხვერპლი გახდეს ამ თავისსავე იშვიათი ნიჭისა და უნარის, რომლებიც თვითონვე წარმოშვა საკუთარ თავში. „იოგა-სუტრას“ ავტორს წამს, რომ ყოველგვარ ზებუნებრივ მოვლენასა და საოცრებას, თავისთავად არავითარი სულიერი ღირებულება არა გააჩნია.

„მაჰაბჰარატაში“ აღწერილია მრავალი იოგური პრაქტიკა, რომელიც ძველად, როგორც ჩანს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ მისტიკურ სექტებთან, რომლებიც საკუთარი ღმერთის ერთგულებას ქადაგებდნენ. ბრაჰმანული ორთოდოქსიის ტრადიციულმა გატაცებამ მდგრადი რიტუალებით, უკვე დრო მოჰამა და მორწმუნეთა უფრო ფართო წრე ეწაფებოდა კონკრეტულ რიტუალურ გამოცდილებას. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაშინ მხოლოდ იოგას შეეძლო თავისი თეორიით, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ფსიქო-ფიზიოლოგიური ვარჯიშების სისტემისაგან. შემდეგ იგი ინტენსიურად განვითარდა ვიშნუიტებისა და შივაიტების ჰინდურ სექტებში, განსაკუთრებით კი ტანტრიზმში; რომელიც მართლმორწმუნე ჰინდუების „ხსნის“ - ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ საშუალებად მიაჩნიათ.

ინდოელი იოგებისა და ფაკირების (თავდაპირველად ფაკირი მუსულმან ასკეტს ნიშნავდა) საოცრებებსა და ფოკუსებზე დიდი ლიტერატურა არსებობს. და თუმცა მათ შორის ბევრი თაღლითი და ონინბაზი გახლდათ, თუმცა მაინც არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგ მათგანს ჰიპნოზის და მასობრივი შთაგონების უჩვეულო უნარი ჰქონდა. ერთ ყველაზე უფრო ცნობილ მასობრივ ჰიპნოზზე მოგვითხრობს XIV საუკუნის არაბი მოგზაური იბნ-ბატუტა. ილუზიონისტი ჰაერში ისროდა ბაწარს და თავის თანაშემწეს უბრძანებდა მასზე გასულიყო, მერე ადანიანი ყმაწვილს უკან მიჰყვებოდა და გზა დაგზა ყმაწვილის დაჩეხილ სხეულის ნაწილებს მიწაზე ყრიდა. ძირს ჩამოსული ილუზიონისტი დანაკუწებულ ტანს თავს უყრიდა და ბიჭუნა მაშინვე წამოხტებოდა და მაყურებელს თავს უკრავდა. ჩვენს საუკუნეში ამგვარი ოინი ფირზე გადაიღეს და გამოირკვა, რომ მთელი წარმოდგენის დროს ბიჭუნა მიწაზე წევს, ფაკირის მოსასხამი აქვს გადაფარებული. ამგვარად, ამ შემთხვევაში საუბარია მასობრივ ჰიპნოზზე.

თუმცა, მრავალი ევროპელი ცოცხლად დამარხვის მოწმე ყოფილა. ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე საყურადღებოა იოგი ჰარიდასი, რომელმაც ექვსი კვირით დაამარხვინა თავი (1837 წელს ლაჰორში). ეს მოხდა სიქჰთა მთავრის რანჯიტ სინგჰის სასახლის კარზე. მან

სიფრთხილის ყველა ზომას მიმართა, რათა მოტყუების ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხული ყოფილიყო. ჰარიდასი ჰერმეტიკულად დახურულ კუბოში ჩააწვინეს, რომელიც მბრძანებლის პირადი ბეჭდით იყო დალუქული. კუბო ბადის პავილიონში მოათავსეს, რომლის სამი კარი ამოქოლეს, მეოთხეს კი ბოქლომი დაადეს და თიხით შელესეს. მბრძანებელმა ინგლისელ კაპიტან ოსბორნთან ერთად ყველაფერი შეამოწმა, რათა დარწმუნებულიყო, რომ პატარა ხვრელიც არ დარჩენოდა ამოუქოლავი. სკეპტიკურად განწყობილმა მბრძანებელმა ამასთანავე უბრძანა გვარდიელ ჯარისკაცების ორ ასეულს, დღე და ღამე ეყარაულათ პავილიონში. ექვსი კვირის შემდეგ რანჯიტ სინგჰმა გასცა ბრძანება, კარებზე თიხა მოეძროთ და გაეღოთ. ბეჭედი ბოქლომსა და კუბოზე ხელუხლებელი აღმოჩნდა. მსახურებმა ამოიღეს ჰარიდასის გაცივებული გვამი, და ექიმებმა შეამოწმეს. იოგს მაჯა არ უცემდა, არ სუნთქავდა, მაგრამ სხეულის სხვა ნაწილებზე მეტად, მხოლოდ თავი ჰქონდა ოდნავ თბილი. თანაშემწეებმა ჰარიდასი ცხელ აბაზანაში ჩააწვინეს, ტანი დაუზილეს, ცხვირიდან და ყურებიდან ბამბა და ცვილი ამოუღეს, ძლივს გაუღეს პირი და ჩავარდნილი ენა გაუსწორეს. ამავე დროს კეფაზე დაადეს ხორბლის ცხელი ცომი და საფეთქლები ერბოთი დაუზილეს. მალე სხეულს ჩვეულებრივი ელფერი დაედო, ამუშავდა გული. მსახურმა იოგ-ჰარიდას პირში ცოტაოდენი ერბო ჩაუდო, ჰარიდასმა გადაყლაპა იგი და მალე თვალები გაახილა და მბრძანებელი რომ დაინახა, ძლივს, მაგრამ ყველას გასაგონად თქვა: „ახლა გჯერა ჩემი?“. ეს ყოველივე ნახევარი საათის შემდეგ მოხდა, რაც ის კუბოდან ამოასვენეს, ხოლო კიდევ ნახევარი საათის მერე იგი უკვე მშვიდად ესაუბრებოდა დამსწრეთ.

უფრო დეტალური სამედიცინო შემოწმება იოგამ ბჰიმასენმა გაიარა ბუდაპეშტიში 1896 წელს. ბჰიმასენი რეფორმატორული სექტის არია სამაჯის წევრი გახლდათ; ათი დღე იწვა მინის კუბოში. ყოველდღე მოწმდებოდა ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის რაოდენობა, მაჯისცემა, სიცხე. ლეთარგიული ძილის დროს მან 6 კილოგრამი დაიკლო.

როგორც უკვე აღინიშნა, იოგას მოძღვრების თანახმად, ამგვარი წარმატების მიღწევა არ ითვლება არსებით ღირსებად, პირიქით, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ზეზუნებრივი ძალების გამოყენება ხელს უშლის სრულ სულიერ ხსნას. არ არის რეკომენდირებული ნარკოტიკების გამოყენებაც, თუმცა თვით „იოგასუტრაში“ ნახსენებია, რომ ნარკოტიკი შეიძლება ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდეს სულიერი სრულყოფის მისაღწევად. (ასეთი მოსაზრება არ გვხდება პატანჯალის „იოგასუტრაში“ მთარგ. ნ.კ.)

მიმანსა

/პურვა-მიმანსა/

„მიმანსას“ მთავარი მიზანი დრაჰმის არსში ჩაწვდომაა. ამ კონცეფციაში მთავარია წეს - ჩვეულებების, განსაკუთრებით მსხვერპლზე - წირვის განუხრელი შესრულება. ამ რიტუალს უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ვიდრე ჭეშმარიტების შესაცნობად მიმართულ ფილოსოფიურ აზროვნებას. მიმანსა განმარტავს და ასაბუთებს ვედური რიტუალური ტრადიციების გაგრძელებას. ვინაიდან წეს-ჩვეულებათა მიმანსასეულ განმარტებას ბრაჰმანები არ უჭერდნენ მხარს - მორწმუნენი უკვე დიდი ხანია ვერ

იგებდნენ მათ სხვის დაუხმარებლად ისევე, როგორც, სხვათა შორის, ვედური წეს-ჩვეულებების აზრს. აიტომ წარმოიშვა რიტუალის ახალი ახსნა-განმარტების მოთხოვნილება. ამ მიმართულებით IV-II საუკუნეებში ჩვენს ერამდე ცდა ჩაატარა ჯაიმინიმ, როდესაც „მიმანსა-სუტრაში“ აღწერა სხვადასხვა მსხვერპლშეწირვა, უპანიშადების ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ, სადაც წეს-ჩვეულებები (კარმას კატეგორიისა - „მოქმედება“) ცოდნას ექვემდებარებოდა, და ბუდისტებისაგან განსხვავებით, რომელთაც არ სწამდათ ვედები, ჯაიმინიმ მათი აბსოლუტური ავტორიტეტიც აღიარა. ვედა, ჯაიმინის თანახმად, ღვთისა და ადამიანებისაგან არ მომდინარეობს, მეგრამ ეს წმინდა წიგნი ცოდნისა და წეს-ჩვეულებათა შესრულებების მითითებების უპიროვნო ღვთაებრივი წყაროა. ამ სკოლის ზოგიერთი მიმდევარი იმდენად თაყვანს სცემდა რიტუალს, რომ ვედების ნაწილი, რომლებიც უშუალოდ არ ეხებოდა წეს-ჩვეულებებს, სრულიად უმნიშვნელოდ და ზედმეტად მიიჩნიეს.

რაკი ეს ბრაჰმანთა შორის ხდებოდა, მიმანსას მომხრეებმა ყურადღება შეაჩერეს რიტუალის სხვადასხვა დეტალებზე; ღმერთები თანდათან მეორე პლანზე გადადიოდნენ. მათ ცოცხალ არსებებათაც კი მიიჩნევდნენ, როცა წეს-ჩვეულებებს ასრულებინებდნენ.სამაგიეროდ ყველაფერს, რაც წეს-ჩვეულებათა შესრულებასთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამის შედეგად შეიქმნა დამხმარე ვედური მეცნიერებები - ვედანგა, მაგალითად ფონეტიკა, რომელიც მანტრების მართებულად წარმოთქმას ასწავლიდა, ახდენდა მათ კლასიფიკაციას სხვადასხვა მეტრის, ეტიმოლოგიისა და ასტრონომიის საფუძველზე, რაც აუცილებელი იყო პლანეტების ხელსაყრელი განლაგების დასადგენად და წეს-ჩვეულებების შესრულების დროის დასაზუსტებლად.

მეტაფიზიკა მიმანსაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. სინამდვილე რთულია, მაგრამ ერთი მთლიანობაა და შედგება მატერიალური ნაწილების, ატომების, ზეცის, ჯოჯობხეთის, ინდივიდუალური სულებისა და ღმერთებისაგან. სულები ელემენტებივით მარადიული არიან, უხეშ მატერიალურ სამყაროს რომ წარმოქმნიან. ყველა მოვლენა, რაც იქ ხდება, კარმის კანონის მოქმედების ნაყოფია. სამყაროს წარმოშობის ასახსნელად არ არის აუცილებელი ღვთის არსებობა, რადგანაც კარმის კანონი ავტომატურია და ატომთა დაჯგუფებას, შეხამებას არეგულირებს; ნივთიერი სამყარო ისეთნაირად იქმნება, რომ სულებმა, რომლებიც სხეულთან ერთად არ კვდებიან და სხვა სხეულში გადადიან, უნდა მოინანიონ წარსულ სიცოცხლეში საკუთარი საქციელის მორალური შედეგები.

უფრო გვიანდელ პერიოდში მიმანსამ ზოგიერთი ცვლილება განიცადა და თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა „სულის ხსნის“ დამოუკიდებელი გზის საპოვნელად. ღმერთის, ან ღმერთების არსებობის რწმენამ, თავდაპირველად მიმანსაში რომ გაქრა, ისევ იჩინა თავი და იმ სისტემის ახალი ვარიანტის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, რომელიც მსხვერპლშეწირვა უფრო არა საკუთრივ მორწმუნისათვის ნაყოფის მოსატანად ხდება, არამედ ჰინდური პანთეონის ღმერთების დასამშვიდებლად და გულის მოსაგებად.

(უტარა-მიმანსა)

თუ მიმანსა თავისი ადეპტების ყურადღებას ვედეებში მითითებულ მოვალეობაზე მიაპყრობდა, ვედანტა უპანაშიდების ფილოსოფიურ - მეტაფიზიკურ შეხედულებებს ანვითარებდა. მისი ძირითადი ტექსტი „ვედანტა - სუტრა“ დათარგმნებულია დაახლოებით II ასწლეულით ჩვენს ერამდე. ყველაზე ცნობილი კომენტარი მიეკუთვნებოდა შანკარას (VII ბოლო და VIII საუკუნის დამდეგი). მისი გავლენა და მნიშვნელობა იმდენად დიდი, რომ დღემდე, როცა ვედანტაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩვეულებრივ, შანკარასეულ ვედანტას გულისხმობენ.

შინკარას თანახმად, უპიროვნო ბრაჰმანი აბსოლუტური რეალობაა და მის გარდა სხვა რეალობა არ არსებობს. ბრაჰმანი წმინდა არსებობაა და მის გარდა სხვა რეალობა არ არსებობს. ბრაჰმანი წმინდა არსებობსაა, შეგნება და სიკეთე, მაგრამ რაც არა მისი თვისებებია (ისინი მას არ გააჩნია) არამედ არსი.

ქვეყანა იმ ბრაჰმანის მაგიური ძალის ქმედების შედეგია, რომელსაც მათა ჰქვია. მხოლოდ პროფანს შეუძლია ეს ქვეყანა რეალობად მიიჩნიოს და მარტო ბრძენკაცს ძალუმს ჩაწვდეს მას, თვითმაქცური, ილუზორული თამაშით იპოვოს ერთადერთი რეალობა, ბრაჰმანი. მას ვერ გამოხატავ სიტყვებით, ვინაიდან ის შეუცნობადია. მის ტრანსცენდენტალურ ასპექტს, შანკარა პარაბრაჰმანს - უზენაესს, ანუ აბსოლუტურ ღვთაებას უწოდებს. პრაქტიკული თვალსაზრისით ბრაჰმანში გონებით წვდომა, როგორც აბსტრაქტულ აბსოლუტში, არასაკმარისია. იგი აღქმული უნდა იქნეს, როგორც ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე არსება, შემოქმედი, ქვეყნის მფარველი და დამანგრეველი. ამ აზრით, ის იშვარაა (ღმერთი) და თაყვანისცემის საგანია მათთვის ვისაც სამყაროს რეალობა სწამს. თუმცა ბრძენკაცებმა იციან, რომ ნამდვილად არ არსებობს ეს ქვეყანა, არც შემოქმედი ისევე, როგორც ილუზიონისტის ფოკუსების შემყურე თვალგამჭრიახმა და ყურადღებიანმა კაცმა იცის: არ არსებობს არც ფოკუსი და არც ილუზიონისტი.

შანკარა უარყოფს ყოველგვარ განსხვავებას სუბიექტსა და ობიექტს შორის. ადამიანი სხეული, აზრი და სულია, მაგრამ სხეულიცა და აზრიც ისევე მოჩვენებითია, როგორც ყველა დანარჩენი მატერია (ნივთიერი საგან). სიფხიზლეში ადამიანი აიგივებს თავს თავის აზრსა და სხეულთან, ხოლო, როცა სძინავს და სიზმარს ხედავს, საგნები ამათუიმ ფიქრით შექმნილ სურათებად ეჩვენება. ღრმა ძილში, როცა სიზმარს არ ხედავს, ადამიანს წარმოდგენა არა აქვს საგნებზე, მისი სული გაიგივებულია ბრაჰმანთან - წმინდა გონებასა და სიკეთესთან.

ხორცთან დაკავშირებულ სულს, ავიწყდება თავისი ღვთაებრივი არსი და ისე იქცევა, როგორც შეზღუდული, პროფანი არსება. ნების ხსნა (განთავისუფლება) ეს საკუთარი თავის-ბრაჰმანთან გაცნობიერებული „გაიგივება“ (შერწყმა). უნდა განვასხვაოთ, მარადიული არსის მქონე საგნები და წარმავალი, ე.ი. უცვლელი სინამდვილე და ცვალებადი ქვეყანა. შედმეგ, ადამიანმა ამქვეყნად მთლიანად უარი უნდა თქვას გასამრჯელოსა და მისაგებელზე შემდგომ სიცოცხლეში, აუცილებელია ჰქონდეს საკმარისი ზნეობრივი მომზადება იმისათვის, რომ საბოლოოდ უარყოს ყოველივე,

საკუთარი თავიც კი. სულიერი პროგრესის აუცილებელი პირობაა სულიერი მოძღვარი, რომელმაც უკვე მიაღწია ბრაჰმანთან ერთიანობას. არ არის საჭირო წეს-ჩვეულებათა ახსნა - განმარტება, გაგება თუ შესრულება, ნების განთავისუფლება ხომ მხოლოდ უარყოფითად გაგებულ მდგომარეობა არ არის, მაგალითად, ვნებებისაგან ტანჯვა-ტკივილის შეწყვეტა, ბრაჰმანი - სიკეთეა, განთავისუფლება კი - მასთან შერწყმა, ერთიანობის მიღწევა.

უკანასკნელი სამოცდაათი წლის განმავლობაში დასავლეთი გაეცნო ცხოვრებაზე, ჰინდუების შეხედულებათა მრავალ ფორმას, თითქოსდა შანკარას მეტაფიზიკური თეორიიდან გამომდინარეს. მათგან ყველაზე ცნობილია „ვედანტა“, რომელსაც ვივეკანდა (1863-1902) ქადაგებდა ევროპასა და ამერიკაში ორჯერ მოგზაურობისას. მაგრამ მისი მოძღვრება ზოგ თანამედროვე იდეას შეიცავს, რაც უცხოა შანკარას ფილოსოფიისათვის, ასე რომ, უმჯობესია მათ „არავედანტური“ ვუწოდოთ. ახალი დროის სხვა მოძღვრებები კი, ვთქვათ ცნობილი ტამილელი იოგას რამანა მაჰარაშის (1879-1950) ქადაგება არ სცილდება ორთოდოქსული ვედანტური კონცეფციის ჩარჩოებს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ დარშანებს შორის განსხვავება უპირველესად მოძღვრების მეორეხარი - სხოვან პუნქტებს ეხება. არც ერთი მათგანი არ ეკუთვნის განსაზღვრულ სკოლას; ისინი გავლენას ახდენენ ერთი მეორეზე და ავსებენ ერთმანეთს. სიტყვამ მოიტანა და შეგახსენებთ, რომ ინდოეთში მოაზროვნის ორიგინალობისა და სიახლის ქება - დიდება თითქმის შეურაცხმყოფელია. ყველა ჰინდური რეფორმატრი, ფილოსოფოსი და მეტაფიზიკოსი იმოწმებს ვედებისა და ვედანტების ავტორიტეტს, დარწმუნებული არიან, რომ ისინი მხოლოდ ამუშავებენ, ან ორიგინალურად განიხილავენ იმას, რაც ძველთაგან იყო დადგენილი.

ჰინდური სექტები

იმის სათავესთან რომ მივიდეთ, რასაც არც თუ ისე სწორად ჰინდურ სექტებს (სამპრადაია) უწოდებენ, ჩვენი ახ.წ. აღრიცხვის პირველ საუკუნეებს უნდა დავუბრუნდეთ. იოგების პრაქტიკა თანდათან ერწყმოდა სტიქიურ - რელიგიურ დინებას, რომლის მთავარი იდეა საკუთარი ღმერთისადმი უსაზღვრო ერთგულება იყო /ბჰაქტი/. ბრაჰმანული კანონმდებლები და ვედური მეტაფიზიკოსები იძულებული გახდნენ ახალი ტენდენციების გამარჯვებას შეგუებოდნენ და რამდენადმე დაეთმოთ. „მანუს კანონები“ ამოდ ამტკიცებდა, რომ ადამიანი უფრო მალე მიაღწევს მიზანს, თუ საკუთარ თავს დაუმორჩილებს გონებასა და გრძნობებს, არ არის საჭირო თავი გაიტანჯო ასკეტური იოგათი; შანკარა ტყუილუბრალოდ შეახსენებდა მორწმუნეებს, რომ ცხოვრების გზაზე შეძენილი ზებუნებრივი ძალები არ ანიჭებს ადამიანს უმაღლეს ნეტარებას. იოგას მქადაგებლები იმ აზრის იყვნენ, რომ უატრიბუტებოდ (ნირგუნა) ღვთის თაყვანისცემა შეუძლებელია, საჭიროა ატრიბუტების აღსავსე (საგუნა) ღვთის ასპექტზე გაამახვილო ყურადღება (იშვაები). იშვარას სამი ფუნქცია აქვს სამყაროს მიმართებით: შექმნა, შენახვა და დანგრევა. ამიტომ არსებობს ჰინდუიზმის „დიდი სამპიროვნების“ (ტრიმუტი-სამსახოვნება-სამი ღვთიური სახე) ცნება, რაც სამ ღმერთს

გულისხმობს: ბრაჰმას - შემოქმედს, ვიშნუს - მფარველს და შივას - დამანგრეველს.

ჰინდუებისათვის, რომელთაც სწამთ ახალი დაბადებებისა და ძირითად მიზნად სიცოცხლის წრებრუნვიდან გასვლას მიიჩნევენ, შექმნისა და განადგურების ცნებაში სულ სხვა აზრს აქსოვენ, ვიდრე ჩვენ. ქმნილება, მათი აზრით, თავდაპირველი ერთიანობის დაკარგვაა და მეტად არასასურველი სიმრავლის შექმნა, ხოლო დაქცევა - განადგურება - განმასხვავებელი ცნობიერების გაქრობა და თავდაპირველ ერთიანობაში დაბრუნებაა. ამიტომ ბრაჰმანს ისინი, მართალია როგორც საკუთარ ვაჟიშვილს ღრმა პიტივისცემით ეპყრობიან, მაგრამ მასში ღმერთს ხედავენ, რომელმაც ადამიანის სიკვდილისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულივლის, სიცივისა და სიცხის საუფლოში მოაქცია, და ამით განდევნა იგი აბსოლუტური ერთიანობის სამოთხიდან. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ მთელ ინდოეთში ბრაჰმასადმი ექვსზე მეტი ტაძარი არ არის მიძღვნილი.

ხშირად გვესმის იმის მტკიცება, რომ თანამედროვე ჰინდუები ვიშნუიტურ, შივაიტურ და შაქტურ ურთიერთმეტოქე სექტებად იყოფიან და მათი დამოკიდებულება, ძალიან მოგვაგონებს ურთიურტობას, პროტესტანტობაში რომ ჩამოყალიბდაო. ასეთი მსჯელობა კი შორსაა სინამდვილისაგან. ვიშნუიზმი, შივაიზმი და შაქტიზმი მხოლოდ ღმერთის გამოვლინების შესაცნობი სხვადასხვა ფორმებია, რომლებიც ერთნაირად სამართლიანი და ჭეშმარიტია. ყოველ მორწმუნეს შეუძლია აირჩიოს ღმერთის ისეთი ასპექტი და მისკენ მიმავალი გზა, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება მის (მორწმუნის) ხასიათს. მაგრამ ინდივიდუუმის სულიერი მისწრაფებები ვერ დაკმაყოფილდება, თუ კი იგი თავის მცდელობას რამდენიმე ღვთაებას გაუყოფს, ამიტომ ერთი ღმერთის რომელიმე ასპექტი უნდა აირჩიოს და სიცოცხლის ბოლომდე მისის ერთგული უნდა დარჩეს.

დიდი ინტელექტის მქონე ჰინდუ, რომელსაც ანალიტიკური აზროვნების უნარი გააჩნია და შეუძლია გაარკვიოს ზემოაღნიშნული განსხვავება, ის უდაოდ შეაჩერებს ყურადღებას რჩეულთათვის ყველაზე გავრცელებულ რელიგიაზე ასპექტებისათვის-შივაიზმზე. მათი ღმერთისთვის ნიშნეულია ორი გარეგნულად შეუთავსებელი თვისება, თუმცა სინამდვილეში ერთი მეორისგან განუყოფელი. კეთილმოქმედების ასპექტის მქონე ღვთაება შივაა (მოწყალე), ცოცხალ ქმნილებათა მშვიდი და ძლიერი მბრძანებელია, რომელსაც მორწმუნე სიყვარულით ეპყრობა და მას ერთგულებას უცხადებს. მრისხანების ასპექტში, იგი მძვინვარე რუდრაა, ან ბჰაირავია, ულმოზღადა რომ ანადგურებს ყველაფერს, რაც სულიერ პროგრესს უშლის ხელს. ვინაიდან სიკვდილი დროსა და სივრცეში ერთდროულად დაბადებაცაა მარადიული სიცოცხლისათვის, შივა, ნგრევის ღმერთი, სიმბოლურად გამოიხატება მამაკაცის სასქესო ორგანოს (ლინგამი) სახით.

თუკი მორწმუნე ემოციურია, მისთვის უფრო ახლობელი იქნება ვიშნუს ხატება ღმერთისა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ტანჯვისა და მწუხარების ველებზე, სადაც მას მუდამ მფარველობს კიდევ. ვიშნუ თავდადებული და ერთგული მეგობარია, იგი კვლავ და კვლავ ბრუნდება დედამიწაზე სხვადასხვა სახით, როგორც ქვეყნის ბოროტების გამომსყიდველი.

ღვთის ყოველ ასპექტს ორი მხარე აქვს: მამრობითი და მდედრობითი. მდედრობითი გამოხატავს შესაბამისი ღმერთის შემოქმედებით ენერჯიას, ან ძალას (შაქტი). აქედან წარმოშობა ღვთაებრივი წყვილები: ბრაჰმა - სარასვატი, ვიშნუ - ლაქშმი და შივა - პარვატი. შივაიტებშიც და ვიშნუტებშიც არსებობდნენ განსაკუთრებული ჯგუფები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალის შემოქმედებით ძალას და საკუთარ ღვთაებად შაქტის - „დიდი დედის“ რომელიმე ასპექტს ირჩევდნენ. ამ მესამე მიმდინარეობას შაქტიზმი ეწოდება.

შივაიზმს, ვიშნუიზმსა და შაქტიზმს შორის არ არის თეორიული შეუთავსებლობა, ისევე, როგორც, ვთქვათ, კათოლიკურ ეკლესიაში არ შეიძლება ურთიერთდაპირისპირება იყოს იესოსა და მარიამ ღვთისმშობელს შორის. ეს შეხედულება ღმერთის ერთიანობაზე იკონოგრაფიითაც დასტურდება. ხშირად გვხვდება უზენაესი სამეულის გამოსახულება, სადაც ბრაჰმას, ვიშნუსა და შივას თავები ერთი ტანიდან ამოზრდილან, ღმერთისა და ქალღმერთის ერთად შერწყმულ ფიგურებს, ან შივასა და ვიშნუს, ერთად გამოსახულს /ჰარიჰარი/. ხალხურ გადმოცემაში დასცინიან ფარისეველ ვიშნიუტს, რომელიც დანარჩენ ღმერთებს ეწინააღმდეგება. როდესაც ჰკუის დასარიგებლად ჰარიჰარის სახით მის წინაშე ვიშნუ გამოცხადდება, ფანატიკოსი თვალსა და ცხვირს ამოუქოლავს იმ ნახევარს, რომელიც შივას წარმოადგენს, რათა არ იხალისოს და იყნოსოს სურნელება ყვავილებისა, რომელიც მხოლოდ ვიშნუს საჩუქარია.

ვიშნუიტები და შაქტისტები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ გარეგნულ წეს - ჩვეულებებს, ვიდრე შივაიტები, ამიტომაც როგორც წესი, მათი ტაძრები არაპინდუსთათვის დაკეტილია.

ვიშნუიზმი

ინდოელი ვიშნუიტების ყველაზე პოპულარული საღვთო წიგნი, გარდა მითოლოგიური „ბჰაგავატა - პურანისა“, არის სახელგანთქმული პოემა „მაჰაბჰარატადან“ - „ბჰაგავატგიტადა“ (საღვთო საგალობელი), შემოკლებით „გიტა“. ამ გასაოცარი, თავისი შინაარსით უნივერსალური წყაროს როლი ვიშნუიზმის ჩარჩოებით არ იფარგლება: ეს წიგნი ერთგვარად საერთოდ ინდუიზმის ფილოსოფიურ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს. მასში ვხვდებით გარკვეული პერიოდის ყველა მთავარი ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთგვარ სინთეზს. „გიტა“ უპანიშადების მოძღვრების კვინტესენციას ცივი, აბსტრაქტული ფორმით კი არ გადმოსცემს, არამედ მჭიდრო კავშირში ეპოქის რელიგიური ცხოვრების კონკრეტულ მოვლენებთან. ზოგიერთ უპანიშადაში წარმოდგენილი უძრავი, უფერული და მიუწვდომელი აბსოლუტი, აქ ცოცხალი და საყვარელი პირადი ღმერთია, რომელსაც მთლიანად, მაინც რომ არ დაუკარგავს აბსოლუტის მნიშვნელობა.

„გიტას“ თანახმად, ღმერთი უზენაესი „მსოფლიო გონია“, რომელსაც ორი ასპექტი აქვს: ტრანსცენდენტალური და იმანენტური, არაპირადული და პირადული, არაატრიბუტული და ატრიბუტული. მან არაფრისაგან კი არ შექმნა სამყარო, არამედ თავისთავისგან, იგი ყველა საგნისა და მოვლენის გულშია, მარჯნის მძივივით,

რომლებიც მასზე აკინძული. ღმერთით გამსჭვალულია მთელი სამყარო და ის ყველა არსების გულია, მათი შინაგანი მეუფეა და მოძღვარი. იგი იცავს ქვეყნის ზნეობრივ საფუძველს, ადამიანის მარადიული მეგობარია, გზის მაჩვენებელი და ქვეყნის მხსნელია. იგი ყოველთვის თანაგრძნობით გარდაიქმნება და, ამგვარად, ადამიანის სიხარულსა და მწუხარებას იზიარებს. ამ გარდაქმნასა და თვითგამოვლენაშია ფენომენალური ქვეყნის გარდაქმნათა და თვითგამოვლენათა არსი, თითქოს უზენაეს ღვთაებათა სატრფიალო თამაშიაო (ცეკვა „ლილა“, ანუ „რამლილა“ ნ.კ.)

ამ ყოვლისმაცოცხლებელი თავისუფალი გონიდან (სულიდან) გადმოიღვრება სიცოცხლე და სინათლე ბუნების წიაღში. იგი მამაა, ბუნება კი - დედა, რომელიც შობს ქვეყანას, ამიტომ ქვეყანა არც მატერიის მექანიკური პროდუქტია და არც მაცდური ილუზია, იგი ნამდვილია და შეცნობადი.

ხოლო ცალკეული - ინდივიდუალური სულები შეგნებულნი, მარადიულნი და უსასრულონი არიან. ისინი სუვერენული სულის უმაღლესი მოწყალების გამოხატულების არსი და მისი ცხოვრების ინტეგრარული ნაწილებია; არ ექვემდებარებიან დაბადებისა და გარდაცვალების კანონებს, ჟამთაგვლასა და განადგურებას, არსებობენ დროის, სივრცისა და მიზეზობრიობის გარეშე. კარდინალურად განსხვავდებიან გონების, გრძნობის ორგანოებისა და სხეულებისაგან. დაბადება და სიკვდილი სულის სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპებია ისევე, როგორც ბავშვობა, მოწიფულობა და სიბერე ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპია. სულიც მხოლოდ მაშინ იტანჯება, როდესაც იგი ინდივიდუუმის „მე“- სთანაა გაიგივებული. ასეთი სული შებოჭილია და ბოროტების, ვნებების, დაბადებისა და სიკვდილის ქმედებას ექვემდებარება.

სულის უმაღლესი მიზანი განთავისუფლებაა, რომლის მიღწევაც შეიძლება სულის იწმინდის შეცნობით, ღვთაებრიობისა და სამყაროს უზენაეს სულთან გაიგივების პრინციპით. „გიტა“ ამ მიზნის მისაღწევად ოთხ გზას მიუთითებს:

1. იოგა. აქ იგი იმდენად სისტემატიზირებული არის როგორც პატანჯალისთან, და მოსამზადებელი (განწმენდა სხეულის გრძნობათა და გონებრივი ორგანოების დაუფლება) და საკუთრივ იოგური ვარჯიშებისაგან შედგება, რომელიც მოწოდებულია დამაბოს და გამუდმებით ცვალოს ცნობიერება, ხოლო მათი მეოხებით ადეპტის სული ღმერთს გაუთანაბროს.

2. ჯნიანა მარგა. უზენაესი სულის შესაცნობად ინტუიციური ჩაღრმავებით, საჭიროა გონება ღვთაებაზე იყოს მიმართული. გონება უნდა დაემსგავსოს ტბის აუზღვრეველ, უძრავ ზედაპირს, რომელიც უდიდეს სიბრძნეს გამოხატავს. ამის საფუძველია იოგას ტექნიკა, ხოლო იდეოლოგიური ზედნაშენი - ვედანტას თეორია, უპიროვნო ღმერთსა და მასთან გაიგივებულ ადეფტს რომ შეგვაცნობინებს.

3. კარმა-მარგა. ამ თეორიის თანახმად, განუვითარებელი ინტელექტის, მაგრამ მაგრად პრაქტიკულად საქმიან ინდივიდუუმებსაც კი აქვთ იმის საშუალება, მართებული ქცევით მიაღწიონ უმაღლეს მიზანს. „გიტა“ ასეთ ადამიანებს არ ურჩევს ასკეტური ნორმების დაცვას. მათი იდეალი საერთოდ ვერ იქნება მოქმედებაზე უარის თქმა, მხოლოდ იმ

მოქმედებისაგან უნდა შეიკავონ თავი, ანგარებით, ან საზღაურის მიღების იმედით რომაა გამოწვეული. შენივე მსგავსის მსახურება იგივე ღვთისმსახურებაა (თაყვანისცემა).

4. ბჰაქტი-მარგა. საკუთარი ღმერთის ერთგულების გზა - შედარებით იოლია, ყველასათვის ხელმისაწვდომია - სუსტების და მდაბიოთათვის, გაუნათლებლებისა და შეუგნებელთათვის. ემოციური კაცისთვის ღვთის სიყვარული ბუნებრივია, ვინაიდან ღმერთი საყრდენივით ესაჭიროება, მთლიანად მის სურვილს ემორჩილება, მხოლოდ მასში ხედავს თავისდი ერთგულების საგანს, მარტო მასზე ფიქრობა და ლაპარაკობს. ღმერთი ადამიანის სულში სხვადასხვა სახით ვლინდება, მათგან უმაღლესი ჰურუმოტამაა. მას ემორჩილებიან ბრაჰმა, შივა, ვიშნუ და მათი განსახიერება (ავატარა) კრიშნა და რამა. შეიძლება აგრეთვე თაყვანს სცემდე ვედურ და თვით შინაურ ღმერთებსაც კი, რადგანაც დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ხდება, რაც მუდამ ასუფთავებს გულს და გონებას დიდი ცოდნისკენ უბიძგებს.

„გიტა“ ცდილობს მოახდინოს სხვადასხვაგარი რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების სინთეზი (მასში არ არის ერთიანი ღვთაებრივი ცოდნის ქადაგება) ამიტომ უხვადაა ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებები. უპირატესად ეს ყველაზე ხშირად კომენტირებულ ადგილებს ეხება. მოცემული კომენტარები (მათი შედგენა ძველთაგანვე დაიწყო და დღემდე გრძელდება) სულ სხვადასხვა ფილოსოფიურ შეხედულებებსა და სექტანტურ ტენდენციებს გამოხატავს. XX - საუკუნეში „გიტას“ კომენტირება მოახდინეს, მაგალითად, ცნობილმა ინდოელმა საზოგადო ოღვაწემ ბ. გ. ტილაკმა, გაეღვიძებინა ინდოელი ხალხის გულში აქტივობა, კარმა-მარგის სულისკვეთება, ხოლო რევოლუციონერი - მისტიკოსის აურაბინდო გჰოშის კომენტარები დინამიკური ტანტრისტული შაქტიზმის სულით იყო გამსჭვალული.

ახალი ათასწლეულის დამდეგს განსაკუთრებით ძლიერდება ბჰაქტისტური რელიგიური ფორმები, როგორც რეაქცია მიმანსას მექანიკურ რიტუალიზმსა და კასტური სისტემის განმტკიცებასა და გართულებაზე. ოთხი ძირითადი ვიშნუიტური სექტა, მიუხედავად მათი განსხვავებული დოგმებისა, თ, თანაბრად უარყოფს ქვეყნის ილუზორობის კონცეფციას და სულის რეალობასა და ინდივიდუალობას ცნობენ.

XI საუკუნეში რამანუჯა ცდილობს შანკარას ვედანტა შეუსატყვისოს ტამილელი ბჰაქტების-ალვარების ვიშნუიზმს. მისი მოძღვრების თანახმად, ბრაჰმანი აბსოლუტური რეალობაა, რომელიც სულსაც მოიცავს და მატერიასაც. უმისოდ თუ მასზე დამოუკიდებლად არაფერია ისეთი, რაც მას ჰგავს ან მისგან განსხვავდება. მთლიანი კი არის, მაგრამ მრავალ ამქვეყნიურ ნივთიერ საგანსა და სულს მოიცავს. მას უთვალავი თვისება აქვს: ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა, მოწყალეა და ა.შ.

ქვეყანა არსებობს, რაკი მარადიული მატერიისაგანაა შექმნილი. გამოუყლავნებლობის პერიოდში იგი ბრაჰმანშია ჩაბუდებული ფარული, გაურკვეველი ფორმით, ვინაიდან მისი სამი გუნა გაწონასწორებულია. მატერია მაშინაც კი არ არის შექმნილი, როცა მისი ფორმები თავს იჩენს, მაგრამ კვლავ ქრება. ქვეყნიერების წარმოქმნისას უფრო არადიფერენცირებული უწმინდესი სუბსტანცია სქელდება, რომლის შედეგად სამი გუნის წონასწორობა ირღვევა და სამი ელემენტი წარმოიშვება - ცეცხლი, წყალი და მიწა,

რომლებიც ერთმანეთს სხვადასხვა პროპორციით ეხავებიან. სწორედ ამ ნაზავისაგან წარმოიშობა ხილული ქვეყნის ტლანქი - ნივთიერი (მატერიულური) საგნები. ამგვარად, წარმოქმნილი ქვეყანა ილუზორული კი არ არის, როგორც შანკარა ამტკიცებდა, არამედ რეალური. თუკი როდესმე ბრაჰმანს სასწაულმოქმედად სახავდნენ, ეს იმიტომ, რომ, მისი შემოქმედებითი ძალა ადამიანებს ზებუნებრივად და საოცრად ეჩვენებოდათ, თითქოს ჯადოქრის გრძნებააო. უმაღლესი ყოფიერება ქვეყნისა და სულიერების იმანენტური პრინციპია. ბრაჰმანი, სამყარო და სულები - ერთი მთლიანობაა. ბრაჰმანი ერთდროულად ტრანსცენდენტურიცაა და იმანენტურიც. ინდივიდუალური სული (ჯიავა) რეალურია, მარადიული და განუყოფელია. მისი ძირითადი თვისებაა საკუთარი „მე“-ს შეგრძნება, რაც უსიზმრო ძალაშიც გრძელდება. სულ არ არის შერწყმული ღმერთთან, ვინაიდან მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან, მაგრამ იგი ღვთის ნაწილია და იმითაა გაჯერებული. ბრაჰმანი შიგნიდან ხელმძღვანელობს ყველა სულს და მატერიალურ საგანს, ამიტომ მას და სულს შორის ისეთივე მსგავსებაა, როგორც მთელსა და ნაწილს შორის; ეს ერთი და იმავე რეალობის ორ სხვადასხვა ფორმის იგივეობაა. აქედან მომდინარეობს რამანუჯის - ვიშიშტაადვაიტა, ან „განსხვავებადი არადუალიზმი“. გაუცნობიერებელი იმპულსების გავლენით ხდება სულის სხეულთან გაიგივება და ამის გამო სული განიცდის სიხარულს, მწუხარებასა და ვნებათაღელვას. მისი განთავისუფლება კი ნელ-ნელა ხდება. უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა თავისი კასტის და მდგომარეობის შესაბამისად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა და წეს-ჩვეულებები, მისგან არ უნდა მოელოდეს საზღაურს არც მიწიერ და არც ციურ სამყაროში. მიმანსას შესწავლა იმას გვასწავლის, რომ წეს-ჩვეულებების შესრულებასა და მსხვერპლშეწირვას, შეუძლია უზრუნველგვყოს ცისიერში ყოფნა, მაგრამ ეს მაინც არ არის ხსნა. შემდეგ ადამიანს შეუძლია ვედანტა შეისწავლოს, და მიხვდება, რომ ბრაჰმანი სამყაროსა და სულიერ არსებათა შემქმნელია, მფარველია და გამგებელი, მაგრამ ადამიანის სული არ არის იგივე სხეული, რადგან სული ბრაჰმანის ნაწილია. მაგრამ მარტო ფიქრი და ფილოსოფიურ ჭეშმარიტებათა შესწავლა არ არის საკმარისი. ვედანტა რელიგიური ტექსტების თეორიული ათვისება კი არ არის, არამედ აზრითა და ლოცვებით ღვთისადმი მიზანსწრაფული, მუდმივი მიმართვაა, მისი სახელის განუწყვეტლივ გამეორებაა და მისდამი უსაზღვრო ერგულებაა. ეს ყოველივე ხელს უწყობს ბრაჰმანის პირდაპირ და უშუალო გაგებას, უმეცრების კარმის გაქრობას და ამით წყვეტს სულის კავშირს ხორცთან. ამრიგად, სული, რომელიც ჩაწვდა ბრაჰმანს, სამუდამოდ თავისუფლდება ახალი დაბადებებისაგან.

ინდივიდი ვერ მიაღწევს საბოლოო მიზანს მხოლოდ საკუთარი ძალებით აუცილებელია ღვთის წყალობაც. მორწმუნე მუდამ უნდა ეძიებდეს თავშესაფარს ვიშნუსა მის განსახიერებაში, გაუმჟღავნოს უსაზღვრო სიყვარული, რაც საასწრაფოდ მოსპობს ყველა წინააღმდეგობას. ხსნა არ ნიშნავს სულის ბრაჰმანთან ერთიანობას. განთავისუფლებული იძენს მხოლოდ წმინდა ცოდნას, შეუბილწავს ყოველივე არასრულყოფილებისაგან, ღვთაებრივისადმი მისწრაფება ისეთ ძალას იძენს, რომ მეტი აღარაფერი სჭირდება და ტოვებს ფროფანული არსებობის მარადიულ წრებრუნვას. რამანუჯის მოძღვრებას დღესაც მრავალი მიმდევარი ჰყავს ჩრდილო ინდოეთისა და სამხრეთ ინდოეთის ვიშნუიტური კასტების წრეებს შორის.

მერე უდიდესი ვიშნუიტ მოაზროვნეს - ნიმბარკას (XII ადვაიტადვაიტის „არადუალისტური დუალიზმის“ ფუძემდებელს) ღმერთი წარმოდგენილი ჰყავს,

ყოველისმომცველ სინამდვილედ, რომელშიც ირეკლება და არსებობს სამყარო წარსული, აწმყო და მომავალი; ამ ღმერთს ვასუდევა ჰქვია (კრიშნას ერთ-ერთი ეპითეტია). ეს ყოველისმომცველი, უნივერსალური და ყველგან შემღწევი სული ყველაფერს მართავს ამქვეყნად და ყველას სულს ფლობს შიგნიდან. სამყარო და სული ცოცხლობენ მასში, მოძრაობენ და არსებობენ. ამ ჭრილში იგი უცვლელია და განურჩეველი ობიექტის, სუბიექტისა და შემეცნებითი პროცესისაგან. - ესაა უმოქმედო ბრაჰმანი, გამოუმჟღავნებელი ღვთაებრიობა; მეორე ასპექტით ის გამჟღავნებულია, პირადი ღმერთია, მეუფეა სამყაროსი, მისი შემქმნელია, მისი მფარველიცაა და დამაქცეველიც, მას უამრავი განსაზღვრება და ფორმა აქვს. სამყარო სრულყოფილი არ არის, შეზღუდული და შეუცნობელია მაშინ როდესაც ღვთის ნაწილი ნამდვილი და მარადიულია; იგი სამ სფეროს მოიცავს: ღმერთების სამყოფელს, ბუნებას, რომელიც გამსჭვალულია განურჩეველი პირველადი სუბსტანციით (პრაკრიტი) და სიცოცხლეს. წარმოშობამდე სამყარო გამოუმჟღავნებელი ფორმით, როგორც ღმერთის იდეა არსებობდა. შემდეგ ობიექტური, თვითშეუცნობადი ენერჯის (შაქტი) ზეგავლენით ღმერთმა დაიწყო გამოვლინება. საბოლოო შეკუმშვის მერე იგი კვლავ გამოუმჟღავნებელი და უმოქმედო ხდება. ნიმბარკა ხალხს მოუწოდებს დაიცვან ცხოვრების (აშრამა) ოთხი სტადია და ოთხივე კასტამ შეასრულოს საკუთარი. მოვალეობა.

XIII საუკუნეში ვიშნუიტმა მადჰვამ ვედანტას საფუძველზე შექმნა დუალისტური თეიამის გვიანი სისტემა - დვაიტა. იგი ორ მთავარ კატეგორიას ანსხვავებდა: აბსოლუტს, რომელიც არაფერზეა დამოკიდებული, და რელატივს, რომელიც მთლიანად აბსოლუტზეა დამოკიდებული. ღმერთი, ანუ ბრაჰმანი, აბსოლუტურად რელურია და ქვეყნის მეუფის ვიშნუს იგივეობაა. ცალკეული სულები და ნივთიერი საგნები არსი, შეფარდებითი სინამდვილეა.

ღმერთის, მხოლოდ გონებით შეცნობა შეუძლებელია. როგორც ხილული ღვთაება ვიშნუ ცოლთან - ლაქშმისთან - თავისი შემოქმედებითი ენერჯის წყაროსთან ერთად, ცხოვრობს ზეციურ სამყოფელში. ქვეყანას იგი ამა თუ იმ ფორმით მოევლინება, მას შეუძლია სხვა ინდივიდუალურ ღვთაებადაც გარდაიქმნას. იგი შემოქმედი, მფარველი, ყველაფრის დამაქცეველი და სამყაროს უზენაესი არსებაა. ქვეყანა ხომ თავისგან არ არის შექმნილი, ზოგიერთი უმცირესი ნამდვილი და მარადიული სუბსტანციიდან წარმოიშვა.

ცალკეული სულები უცვლელნი და მარადიულნი არიან, მეტისმეტად პატარ - პატარა და ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მათი შემრყვნელი და შემბილწავი ფაქტორებია უმეცრება და ვნება. ისევე, როგორც მსახური არ არის თავისი ბატონის ტოლი, ის არც ღმერთის თანატოლია, ის ყოველთვის მასზეა დამოკიდებული. როცა სული ხსნილია, მხოლოდ მაშინ ემსგავსება ღმერთს, თუმცა არასოდეს შეერწყმის მას; ამ მდგომარეობაში იგი განსხვავდება სხვა სულებისგან.

არსებობს სამი სახის ცნობიერი სული: 1) ოდითგანვე და მარად თავისუფალი (ლაქშმის სადარი), 2) ოდესღაც შებოჭილი რომ იყო, მაგრამ შემდეგ რომ გათავისუფლდა სიცოცხლის წრებრუნვისა და სიკვდილისაგან, 3) სული შებოჭილი. ყველა ამათი უმაღლესი მიზანია ხსნა, ესე იგი, პროფანული სამყაროს ბორკილებისგან

გათავისუფლება. ამ მიმართებით პირველი ნაბიჯია სულისა და ღვთის არსის ქეშმარიტი შეცნობაა. მაგრამ თუ არა ღვთის მოწყალება, ხსნა არ არსებობს. ამიტომ ბჰაქტის, ერთგულებას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ცოდნას. ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს ღმერთი, მისგან წყალობას უნდა ელოდეს და ხსნასაც დაიმსახურებს; სიკვდილის შემდეგ ასეთი ვინმეს სული დასტოვებს სხეულს და მარადიულ ნეტარებას ეზიარება.

მადჰვის მოძღვრება დღემდე პოპულარულია ვიშნუიტა შორის, უწინარეს ყოვლისა სამხრეთ ინდოეთში.

ვიშნუიტურ სარწმუნოებას ახალი სახე მისცა დიდმა რეფორმატორმა ჩაიტანიამ (XVII ს.) რომელიც თავის სექტაში სიამოვნებით იღებდა მუსულმანებსაც. თავისი მოძღვრების ანტიკასტურმა ტენდეციების წყალობით მან მრავალი მიმდევარი გაიჩინა ბენგალიასა და ჩრდილო ინდოეთში. ჩაიტანას აზრით, ვიშნუპი რველადი რეალობაა, ის მოწყალების, სიკეთისა და სიყვარულის ღმერთია, კვლავ და კვლავ ხორცშესხმული ქვეყნას დასახმარებლად რომ ევლინება. ვიშნუს ყველაზე გამოკვეთილი განსხეულებაა (ავატარა) კრიშნა. ხილვადი სამყარო ნამდვილია, რადგან გამუდმებით იცვლება. არსებობს ინდივიდუალური სულების ორი სახე: შებოჭილი და თავისუფალი(ხსნილი). სიკვდილისა და დაბადებების სამყაროს ბორკილებიდან მოცილება კი მხოლოდ კრიშნას მხურვალე სიყვარულითაა შესაძლებელი. ამგვარი ზრახვებიდან, ყველაზე ეფექტური საშუალებაა გონების მისკენ მიპყრობა და მისდამი ერთგულება, მისი სახელის განუწყვეტლივ ხსენება და ურთიერთობა მათთან, ვინც უკვე მიაღწია სულიერ ხსნას - გათავისუფლდა.

შივაიზმი

შივაიზმი, როგორც ფილოსოფია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მიწურულს დამუშავდა. მისი ორივე მნიშვნელოვანი სექტა სამხრეთინდური შაივასიდჰანტა და ქაშმირული პრაქიაჰიჯნა თეისტურია იმ გაგებით, რომ აღიარებენ პირადი ღმერთის არსებობას, და მონისტურისაც, ვინაიდან ღმერთს პირველად და უზენაეს რეალობად განიხილავენ, ხოლო ყველა დანარჩენ რეალობას ღვთაებრივ შემოქმედებით ენერგიას.

შაივასიდჰანტა სინამდვილის სამ კატეგორიას აღიარებს: ღმერთს, სულსა და მატერიას. უზენაესი სინამდვილე შივაა. იგი თავისთავად მარადიულია და პრინციპულად განსხვავდება იმ სულებისაგან, რომლებსაც ცნობიერება აქვთ და მასზე არიან დამოკიდებული, და განსხვავდება მატერიისაგანაც, რომელსაც არ გააჩნია ცნობიერება. ეს მარადიული, წმინდა და სრულყოფილი სულია, პაშუპატი - ცოცხალ არსებათა მეუფე ჰქვია. უსახო ღმერთი ათასნაირ ფორმას იღებს ცოცხალი არსებების თანაგრძნობითა და სიყვარულით, რადგან მათ არ ძალუძთ თავყვანი სცენ ღმერთს მისი ასპექტით უთვისებოდ და უატრიბუტოდ. არსებათა მეუფე თავისი კონცეპტორებული სულიერი ენერგიით (შაქტი) ქმნის.

სულები მარადიული და უსასრულონი არიან, არ შემოიფარგლებიან დროითა და სივრცით. გონიერი ქმედება არსებითად მათ ღვთის მონაწილედ ხდის, მაგრამ კარგავენ ამ თანამონაწილეობას, ვიანიდან მატერიალურ სამყაროსთან არიან დაკავშირებული. ეს კავშირი სამგზისია: უცოდინარობა, სამყაროსეული ილუზია და მოქმედების ნაყოფი. ხსნა მატერიალური ხუნდებისაგან თავის დაღწევას. მისი საშუალებებია სულიერი სრულყოფა, ეთიკური და საზოგადოებრივი ნორმების დაცვა, იოგური ვარჯიშები და მართებული ქცევა, მაგრამ ყველაზე მთავარი ფაქტორია შივას წყალობა, რომელიც იხსნის ადამიანს.

პრაქტიკაში, რომელიც კაშირში წარმოიშვა X და XI საუკუნეების მიჯნაზე და უშუალოდაა დაკავშირებული შანკარების მონიშნთან, ფრაუვალნერის აზრით, შივაიზმის უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური სისტემაა.

შივა აბსოლუტური რეალობაა, რაიმე მატერიალური მიზეზებით კი არ ქმნის სამყაროს, არამედ მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილით. მისი შემოქმედებითი აქტივობა სამყაროს უზენაესი მბრძანებლის მიერ გამოვლინებაა იმ ძალისა, მისგან რომ მოდის მხოლოდ. სამყაროსა და გონიერ არსებებთან დამკვიდრებულებაში, ეს ღვთაება იმავდროულად იმანენტურიცაა და ტრანცენდენტურიც. იგი უცვლელი რეალობა, სამყაროს საფუძველია. მის ენერგიას (შაქტი), უამრავი ასპექტი აქვს, რომელთაგან მთავარია - სიბრძნე, ნეტარება, ნება-სურვილი, ცოდნა და შემოქმედებითი აქტივობა.

ინდივიდუალური სული, როგორც გონიერი და ქმედითი პრინციპი შივას იგივეობაა, რადგან მისთვის ღვთაებრივი პრინციპებია ნიშნეული - სამყაროს შეცნობის უნარი და თავისუფალი ნება-სურვილი. მაგრამ, სამყაროსეული ილუზიის გავლენით, შივა შეცდომით მიიჩნევს თავს საკუთრივ შივასაგან რაღაცით განსხვავებულად. ამიტომ ადამიანი უპირველეს ყოვლისა შივასთან თავისი იგივეობის აშკარა შეცნობით (პრაქტიკაში) - აქედან წარმოდგება მთელი ფილოსოფიური სისტემის სახელწოდება. მორწმუნემ, რომელმაც ხსნას მიაღწია, ყველასთან მშვიდად და წყნარად ცხოვრობს, არაფერზე ოცნებობს, რადგან უკვე აისრულა ცხოვრების მიზანი.

ამ ორი მონისტური სკოლის საწინააღმდეგოდ, ინდოეთის უძველესმა შივაიტურმა სექტამ შაივადარშანამ შექმნა დუალისტური ხასიათის ფილოსოფიური სისტემა, რომელსაც სატიოჯოტი IX საუკუნეში ქადაგებდა კაშირში, საიდანაც გავრცელდა გუჯარატსა და მალვაში, მოგვიანებით კი სამხრეთ ინდოეთშიც შეაღწია.

აღნიშნული სისტემა განასხვავებს სულსა და მატერიალურ სამყაროს. თავისი არსით ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე სული არა მარტო შეიცნობს არამედ მოქმედებს კიდევაც. მაშასადამე, ღმერთი სულია, რომელიც მარად ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნეა და არასოდეს ყოფილა სხვა მდგომარეობაში. შერყვნის შედეგად ასეთი თვისებები არ ექნებათ სხვა არსებებს ამიტომ ღვთაებრივ წყალობაზე არიან დამოკიდებული, რომლსაც ერთადერთს ძალუმს მონანიება. სულიერი მოძღვარი (გურუ), ღმერთს რომ ცვლის და მისი უმაღლესი მიწიერი გამოხატულებაა აკურთხებს მოწაფეს და თანდათან მიჰყავს იგი წვდომის ერთი საფეხურიდან მოერეზე.

ქალღმერთების კულტი

ოტაკარ პერტოლდი

საგულისხმოა, რომ ვედურ მითოლოგიაში ისევე, როგორც ძველ ბერძნულში წარმოდგენილია ერთნაირი საზოგადოებრივ - ოჯახური ორგანიზაცია - პატრიაქტი. ვედებში ვხვდებით ღმერთების ცოლქმრულ წყვილებს, მაგრამ გამოთქმები „ღმერთი“ (დევა) და „ქალღმერთი“ (დევი) მუდამ საზოგადო სახელია და არა პიროვნების აღმნიშვნელი. ამ წესისგან გადახრა უფრო მოგვიანებით ხდება ადგილობრივ რელიგიურ ხალხურ წარმოდგენათა ზეგავლენით. თავდაპირველი არიელი ქალღმერთების თაყვანისცემა ინდოეთში დღემდე შემონახულია, თუმცა ეს თაყვანისცემა უფრო ძველის, როგორც არაარიულის, ისე ხალხურ წეს - ჩვეულებების ზეგავლენას განიცდიდა. ინდოარიული კულტურის საწყისის თაობაზე მასალის მოპოვებისას არქეოლოგები უფრო ძველი კულტურების ნაშთებს წააწყდნენ და მათ შორის იპოვეს უცნობი ქალღმერთის კვალიც. მდინარე სინდჰუს ხეობაში, მოჰენჯოდარაში, ჰაპაჰსა და ზოგიერთ სხვა რაიონში სინდჰუს დასავლეთით ნაპოვნი იქნა არაპროპორციული, დიდმუცლიანი ქალის პატარა ქანდაკებები, რომელთაც უმართებულად უწოდებენ „ვენერას“ და რომლებიც, ალბათ, ორსულ ქალს გამოხატავენ, და დიდი, მრგვალი, ბრტყელი ქვები, შუაში ნახვრეტები რომ ჰქონდათ და ქალის სასქესო ორგანოს (იონი) ჰინდურ სიმბოლოს მოგვაგონებენ, მაგრამ ლინგამის გარეშე, რომელიც თან ახლავს ხოლმე იონს. ეს აღმოჩენები მოგვაგონებენ ქალღმერთის კულტის მნიშვნელოვან როლზე; შესაძლებელია, აქ ოდესღაც არსებობდა მატრიარქატი.

სამხრეთ ინდოეთში, ტამილნადის ტერიტორიაზე (იგულისხმება დღევანდელი ინდოეთის სამხრეთი ნ.კ.), აღმოჩენილ იქნა პროტოდრავიდული კულტურის თავისებური ძეგლები. მათ მადრასის მუზეუმში თავი მოუყარა არქეოლოგმა რ.ვ. ფუტმა. ამ კოლექციას დღემდე „ფუტის კოლექციას“ უწოდებენ. კოლექციის მასალებიც მოწმობს ქალღმერთთა თუ ღმერთების კულტის არსებობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძეგლები დუმან - მათგან ვერ შევიტყობთ, ვის სცემდნენ თაყვანს. უცნობია, ინდოეთის რომელ ქალღმერთებთან, სახელები დღემდე რომ შემორჩენილია, შეიძლება გავაიგივოთ მივიჩნეული ქალი ღვთაებების კულტის გადმონაშთები.

ჰინდუიზმის განვითარების ისტორიული პერიოდის ღმერთები და მათი თავისებურებები

ვედურ ლიტერატურაში უკვე ჩნდება სიტყვა „დევი“ უფრო ზუსტად დაუხასიათებლად, თუმცა ხშირად იმ არიულ სახელთან დაკავშირებით, რომელსაც

ღვთაებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქა-იქ ეს სიტყვა დამოუკიდებლად იხმარება, შემდეგ თანდათან იჭრება უფრო გვიანდელ ფენებში და რაც ხანი გადის, უფრო ხშირად გვხვდება. ინდური ეკზეგეტიკა ამ სიტყვის მნიშვნელობას არ უთმობს ყურადღებას, ე. ი. უპირველეს ყოვლისა იმ საკითხს, რომ ამ სიტყვის უკან ორი მნიშვნელობა იმალება, ხოლო ევროპელი მკვლევარები ინდოელების კალს მიჰყვებიან. ჩნდება მაჰადევი („დიდი ქალღმერთი“), ან შესაძლოა, უფრო მართებული ვწერით - „მაჰა - დევი“, რაც არა წინააზიური „მაგნა მატერ“-ის („დიდი დედა“) მნიშვნელობისაა, არამედ ის უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი კომპოზიტივი, რომელშიც გაძლიერებულია სიტყვა „ქალღმერთის“ მნიშვნელობა.

პურანების დროს ისწრაფოდნენ მიენიშნათ ამ ღმერთებს შორის ადგილობრივ თუ ფუნქციონალურ განსხვავებაზე, მას მიაწერენ სხვადასხვა თვისებებს, და ეს ღვთაება რამდენიმე დამოუკიდებელ ღვთაებად გვევლინება. არ არის გამორიცხული, რომ სხვა სახელებზე ადრე ჩნდება პარვატის („მთის“) სახელი, მასთან ერთად კი გაური („თეთრი“ ან „უბიწო“). მათი წარმოდგენით, ეს ღვთაებები ჰიმალაის უმაღლეს მყინვარებზე ცხოვრობდნენ ჰინდუიზმის განვითარებასთან ერთად გაიზარდა ამ ხასიათის და თვისებების რიცხვიც. დაიწყეს სანსკრიტსა და ადგილობრივ ენებზე ღმერთქალების სახელებისა და ეპითეტების სიების შედგენა. ტრადიციისამებრ ამ სახელთა რიცხვი მაგიური სამკუთხედის -1-22-333 შესაბამისად 108 უდრიდა, მაგრამ მოგვიანებით ეს რიცხვი გაიზარდა და გვიანდელი ტანტისტულ ლიტერატურაში მან 1008 მიაღწია. დამოუკიდებელ ქალღმერთად, შვედომით დევსთან იქნა გაიგივებული, ქალღმერთი კალი („შავი“), რომელიც დურგას („მიუწვდომელი“) სახელითაცაა ცნობილი. ამ ღვთაების კულტი მთელ ინდოეთში გავრცელდა. მისი არაარსიული წარმოშობა იმით მტკიცდება, რომ განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ არაარსიული წარმოშობის ტომებიცა და სხვა ყველაზე ჩამორჩენილი ტომებიც. ამას მოწმობს აგრეთვე მათი სისხლიანი კულტების სისასტიკე, რასაც თან სდევდა საშინელი წეს - ჩვეულებები, ასევე ის, რომ ამ ქალღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ შავი ფერის ცხოველებსა და ფრინველებს (ცხვრებს, თხებს, მამლებს) და კამეჩებს: არსიული ინდური რწმენით კამეჩი (მაჰიშა; აქედან მომდინარეობს ქალღმერთის სახელი - კალი მაჰიშასური), უწმინდური პირუტყვის დემონური გარეგნობა იმით აიხსნება, რომ კამეჩზე ამხედრებული დადის ღმერთი იამა, ჯოჯოხეთის მეუფე. საგულისხმოა, რომ არსიული ტრადიციის გავლენით ეს ქალღმერთი ამ დემონისაგან სამყაროს გამათავისუფლებელი ხდება და, ამგვარად, თვით სიკვდილის დემონისაგან იძენს ახალ ატრიბუტებს, - და მას „კამეჩის მკვლელს“ უწოდებენ. ინდოეთის მრავალ რაიონში ვხვდებით მის განსხვავებულ სახელებს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ რაიონებში.

თვდაპირველად კალის პატივს მიაგებდნენ დედის მხრიდან გარდაცვლილი წინაპრების აღსანიშნავა დღესასწაულებზე /იმართებოდა სექტემბრის პირველ ნახევარში/. ზოგიერთი არაარსიული ტომი ამ რიტუალს ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს იცავდა. მსხვერპლად სწირავდნენ კამეჩების დიდ რაოდენობას, რომელთა სისხლის სარგებლობა მოჰქონდა წინაპრებისათვის. ჰინდუიზმში ეს ძველი წეს - ჩვეულება სრულდებოდა ნავარატრის საზეიმო დღეებში, მასთან ერთად სრულდებოდა დაშაჰრას წეს-ჩვეულება (ხალხური - დასარა) შუა სექტემბერში. ჰინდური მითი, რომელიც ამ ზეიმს ეხებოდა, ასახულია „მარკანდეა-პურანში“, ეს იკანასკნელი კი სულ სხვადასხვა არაარსიული და არსიული ტომებისა და ხალხების მიერ არის შექმნილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავი, რომ პირველივე დღეს ნაშიერს თავისივე დედის მხრიდან ბაბუასთვის მოაქვს მსხვერპლი (შრადჰა). ტრადიციების დაცვა და გამოცემების მნიშვნელობები იმას მეტყველებს, რომ კულტი მხოლოდ და მხოლოდ მატრიარქატის დროს წარმოიშვა. დევსთან დაკავშირებული სხვა კულტი უთუოდ უძველესი წარმოშობის უნდა იყოს, იგი დაკავშირებულია ტჰაგებთან - ავაზაკებთან, რომლებიც ადამიანებს რიტუალურად გუდავდნენ ხოლმე.

შაქტის კულტი

როგორც უკვე აღინიშნა, განსაზღვრული დროიდან პირველი ადგილი ვედურ პანთეონში რუდრამ დაიკავა, მეორე პლანზე გადასწია ინდრა. რუდრა ბოროტი ძალების განსახიერებაა, ისეთი ძალის პატრონია, ყველაფერს ანადგურებს, მაგრამ ისიც მფარველობს ადამიანს, თუკი დახმარებას სთხოვს მას, როცა ბოროტ ძალას შეეჯახება. უმთავრესად ჩრდილოეთ ინდოეთში წარმოქმნილი პირველი ჰინდური სექტები დიდ პატივს მიაგებდნენ რუდრას; მის სახელს დაუმატეს ეპითეტი შივა „ხელის მომმართველი“, „მოწყალე“. ამგვარად აღიქვამდა მას ხალხი, როგორც იდუმალს, ჩაუწვდომელს. ამის მეოხებით, სამყაროს გამაერთიანებელი უპანიშიდებში სწორედ მასთან მივყავართ. საყოველთაო სულს „შვეტაშვატაროპანიშადებში“ ეწოდება რუდრა, შივა, იშა, მაჰემვარა. შივა სრულყოფილი იოგის ნიმუშია, რომელიც სულის ზსნისასკენ მიმავალი გზის მაჩვენებელია.

უძველეს შივაიტურ პაშუპატის ერთადერთ რეალობად მიაჩნია შივა, აბსოლუტი, რომლის ჩაწვდომა შესაძლებელია მხოლოდ შაქტის - უნივერსალური ქალური საწყისის ენერგეტიკული გამოვლინებით. ვედანტისის გავლენით მოძღვრება, რომლის თანახმად შეუძლებელია შაქტის შივასაგან განცალკევებით აღქმა, ამიტომ იგი როგორც შივას იგივობა, ისე განიხილება. მას, ვისაც არ ძალუძს მიმართოს ღმერთს-აბსოლუტს, უმაღლეს მიზანს მიაღწევს, თუკი მის ქალურ მანიფესტაციას - შაქტის მიმართავს, რაც უფრო კონკრეტული, შეცნობადია, აქვს მრავალი ღირსება და თვისება. თუმცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები, ამ შემთხვევაში ღრმა ფიქრებს ეძლევიან და მათი ყურადღება მთლიანად ტრადიციას აქ მიჰყვებილი - პატიზე („ბატონი“), პაშაზე („ბორკილები“) და პაწუზე („სული“), ამასთან მათი ერთგულების ნამდვილი ობიექტი პატია, მაშასადამე, თვით შივა. მოგვიანებით ვედანტა კვლავ იმეორებს პაშუპატის სექტის ძველ იდეას იმის თაობაზე, რომ შივას მხოლოდ შაქტის მეოხებით შეიძლება ჩაწვდე. შივა მრავალნაირად გამოისახება - ახალი წარმოშობას იგი, მაგალითად, იგი, როგორც დედა, ისე ესწრება, ამიტომაც მისი კულტი დაკავშირებულია სქესობრივ ფუნქციებთანაც. ხესა და ქვაზე ამოკვეთილ ბარელიეფებსა და ჰორედიეფებს, რომლებიც სხვადასხვა ეროტიკულ სცენებს გამოხატავენ, ვხვდებით ბენარესში, ნეპალური ტაძრის კარებზე და სხვა შივაიტურ სალოცავებზე.

თუმცა, მრავალი ოჯახური, გვაროვნული, ტომობრივი ნაყოფიერების ქალთა ღვთაებებიც შაქტიდ იწოდებოდნენ. ხანდახან მათ თაყვანისცემას თან სდევდა სისხლიანი, წარსულში ადამიანის მსხვერპლად შეწირვა (ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი). ზოგან ამ ქალღმერთებს სიმბოლურად გამოხატავდნენ შივაიტური არდჰანა

ნირაშვარის (ნახევრად მამაკაცი, ნახევრად ქალი: როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქალღმერთი მრგვალი ან ოთხკუთხედი, შუაში გახვრეტილი, ქვის ფილით გამოიხატებოდა, ხოლო მამაკაცი - ამ ნახვრეტში ჩადებული ქვის პატარა სვეტით. შივა ლინგამად გამოსახებოდა, რომელსაც არ გააჩნდა თავისი ღირსებები და გამოვლინებები, მხოლოდ ქალური საწყისი ანიჭებდა მას ქმედითობას, განვითარებას, სიცოცხლეს.

„დიდი შაქტის“ თაყვანისცემაზე, შაქტისტების რელიგიურ - ფილოსოფიური აზროვნების თანახმად, მოთხრობილია ტანტრებში, ეზოთერულ ტექსტებში, რომლებიც შივასა და შაქტის დიალოგია. ეს ტექსტები არა მარტო მისტიკურ ამბებს შეიცავს, არა მაგიკური წეს-ჩვეულებების, რიტუალების, გრძნეულ ქალთა შელოცვებს, მამაკაცისა და ქალის ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებულ რჩევებს, მეტაფიზიკურ მსჯელობასაც. ამჟამად ისინი გამიზნულია ყველა კასტის ადამიანებისათვის. ტანტრებში გამოხატული იდეები მოგვიანებით ქალების ღვთაებათა ადგილობრივი კულტების შემადგენელ ნაწილად იქცა. ამასთან დაკავშირებულმა სისხლიანმა მსხვერპლშეწირვამ, ავხორცმა და ზოგჯერ უწმაწურმა წეს-ჩვეულებებმაც კი, ტანტრიზმის ზეგავლენით, წმინდა რელიგიური, მისტიკური ხასიათი მიიღო. მხოლოდ ხელდასხმის გარკვეულ საფეხურს მიღწეულ შაქტისტებს შეეძლოთ შრიჩაკრას წეს - ჩვეულების შესრულება, როდესაც მორწმუნენი შაქტას შიშველი ქალის სახით სცემდნენ თაყვანს.

ღვთაება „დევი“ დჰანორელი ბჰილების წარმოდგენაში

ბჰილების ტომი ცენტრალური ინდოეთის დასავლეთ ნაწილში, მდინარეები ტაპტისა და ნარბადას შორის საკმაოდ განკერძოებულად ცხოვრობენ. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ბჰილები მუნდას განეკუთვნებიან, მაგრამ გუჯარათულ ენაზე ლაპარაკობენ. ალბათ, იმის გამო, რომ მოსაზღვრე რაიონებში ისინი სულ უფრო და უფრო ერწყმიან გუჯარათელებს, მათი რიცხვი თანდათან მცირდება. მდინარე ტაპტის მახლობლად მცხოვრები ბჰილები ტომობრივი კულტის სხვადასხვა წეს-ჩვეულებებს ასრულებენ, მათი კულტი, უთუოდ, თავიანთი უწინდელი რელიგიის ჩვეულებრივი ჰინდუიზმის გუჯარათულ ფორმებთან ნარევია. მათი თავდაპირველი რელიგია მკვლევართათვის ჯერჯერობით ამოცანად რჩება. წინამდებარე თავის ავტორმა ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თავისი თანამოსაუბრე, დჰანორის ევანგელიკური ეკლესიის მისიონერი დოქტორი ჰედბერგი, როდესაც მას ამის თაობაზე ჰკითხა, ვინაიდან ნებისმიერი პასუხი ასეთ შეკითხვაზე მხოლოდ სავარაუდო შეიძლება იყოს. დოქტორმა ჰედბერგმა უამბო მას ბჰილების ლეგენდა ამ რიტუალის წარმოშობის თაობაზე, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ძველ ტრადიციასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

დჰანორელი ბჰილების წინაპრები თავდაპირველად თითქოს ბუნების სულებს სცემდნენ თაყვანს და მათ ადამიანებს - ყოველწლიურად რამდენიმე კაცსა და ქალს სწირავდნენ მსხვერპლად, ამასთან ყველაზე მნიშვნელოვანი საშემოდგომო მსხვერპლშე- წირვა იყო. მსხვერპლს თავისი მახვილით სჭრიდნენ და მას სულებს სწირავდნენ სისხლთან ერთად, რომელსაც ჭურჭლით აგროვებდნენ ან სამსხვერპლო

ქვის ღრმულებში გუბდებოდა. მაგრამ ეს მსხვერპლი თითქოს დიდ იდეას არ ჰყოფნიდა, ამიტომ კიდევ უფრო მეტ ადამიანს ხოცავდნენ. ამრიგად, ტყუილუბრალოდ იღუპებოდა ქალღმერთის მრავალი თაყვანისმცემელი, მასთან ერთად რომ ებრძოდნენ ავ სულებს. ბჰილები დღემდე თაყვანს სცემენ ამ ქალღმერთს - ტუიასი ბჰოვანის (სანსკრიტულად - ტულასი ბჰოვანი). თავდაპირველად იგი დემონი - ბჰუტების ქალღმერთი იყო, საკუთარ დედად რომ მიიჩნევდნენ. ადამიანთაგან მას მხოლოდ ზოგიერთი ხელდასხმული თუ იცნობდა. ისინი ხის ქვეშ მისტერიებს აწყობდნენ და თაყვანს სცემდნენ მას, ვით მფარველსა და დემონებისათვის მოწყალეების მთხოვნელს.

ერთხელ ტუიასი დჰანორში მივიდა და ფულურო ხეზე ჩამოჯდა, რომელიც დღემდე დგას მდინარის მარცხენა ნაპირას შუა ბაზარში. ეს იყო ადგილი, სადაც თავს იყრიდნენ ტუიასის ხელქვეითი დემონები, მოსახლეობას მსხვერპლს რომ სთხოვდნენ იმ პირობით, რომ დანარჩებს ხელს არ ახლებდნენ და სენსა და უბედურებას თავიდან ააშორებდნენ. და აი, რა მოხდა იმ დროს, როდესაც მართლმორწმუნე ჰინდუები დაჰაპრას ზეიმობდნენ: ბჰილები მოვიდნენ მდინარის მარცხენა ნაპირზე, რათა აქ ხის ქვეშ დემონებისათვის მსხვერპლი შეეწირათ და ამით გული მოეგოთ მომავალი წლისათვის, მაგრამ ძალიან გაუკვირდათ, როდესაც ხის ძირას ლამაზი ყმაწვილი ქალი იხილეს. კიდევ უფრო გაოცდნენ, როდესაც ქალმა მათ უბრძანა, თოკი შეეხსნათ და გაეშვათ შეკოჭილი ადამიანები. დემონების შიშით ბჰილებმა ვერ გაბედეს მისი ბრძანება შეესრულებინათ, მაგრამ ქალი გამოუტყდა, რომ ტუიასი ბჰოვანი, დემონების მბრძანებელია, რომელთანაც შერკინებას ვერც ერთი მათგანი ვერ გაბედავდა. მან ხალხს აუხსნა, როგორ ებრძოლათ დემონებთან და თვითონ გარეკა ისინი შორს უდაბნოში, შემდეგ დაპირდა ბჰილებს, რომ მსხვერპლ-შეწირვას ასწავლიდა. ქალღმერთმა უბრძანა მათ, კამეჩები და შავი თხები მოეყვანათ, ხიდან ყვავილები მოწყვიტა, მაგარი სასმელი დარუ დაამზადა, რომელიც მსხვერპლშეწირვისას უნდა შეესვათ, აუხსნა ხალხს როგორ უნდა შეეწირათ ზვარაკად ცხოველები. ბჰილებს ძალიან გაუხარდათ და სთხოვეს ქალღმერთს დარჩენილიყო მათთან. ტუიასიმ მისცა მათ დარუ, რაც ძალიან მოეწონათ და ისინი ღმერთს მიუახლოვა. რაკი ბუნებით თავშეუკავებელი ადამიანები იყვნენ, ძალიან ბევრი დალიეს და ჩაეძინათ, ქალღმერთი კი ჩუმად გაიპარა და აღარ დაბრუნებულა.

ეს ლეგენდა საოცრად ჰგავს დევი-მაჰამატის ლეგენდას „მარკანდეიაპურადან“, განსაკუთრებით, მისი დასასრული, „როცა დემონებმა შუმბჰამ და ნიშუმბჰამ ღმერთები დაამარცხეს, ჰიმალაიში წავიდნენ და დევის ლოცავდნენ. უცებ პარვატი, შივას ცოლი იხილეს, რომელიც განგაში საბანაოდ მიდიოდა. მისი სხეულიდან გამოვიდა ულამაზესი ყმაწვილი ქალი. შუმბჰა შეევედრა სუგრივას, იმ ქალისთვის ებრძანებინა, ცოლად გაჰყოლოდა მას, მაგრამ რაკი წარმატებას ვერ მიაღწია, დემონების მეფემ შუმბჰამ ქალის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა, მაგრამ ქალმა ჯარის უმეტესობა გაანადგურა, დანარჩენი კი ლომმა ამოწყვიტა, რომელზეც თვითონ იჯდა“.

დევიმაჰატმას ლეგენდაში არსად იხსენიება ვიშნუიტების წმინდა ბალახი, ტულსი; დევისთან მიმართებით იგი შეიძლება ნახსენები ყოფილიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხურ რწმენაში დაიწყო შივაიტური და ვიშნუიტური კულტების შერევა, მაშასადამე, ბევრად უფრო გვიან, როცა ველის ბჰილებმა გუჯარატელ ვიშნუიტებთან კონტაქტი დაამყარეს; სატპურელ ბჰილებს შემორჩათ კულტის წმინდა შივაიტური ხასიათი.

ბჭილები რეგულარულად არ ასრულებენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, მაგრამ ყოველწლიურად აღნიშნავენ ოთხ დღესასწაულს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია საშემოდგომო ზეიმი. მათ არ გააჩნდათ ტაძრები, ამიტომ წეს-ჩვეულებების შესრულებისა და მსხვერპლშეწირვის ადგილებს დევასთჰანს /ტაძარს/ უწოდებდნენ, ხოლო იმ ადგილებს, მაგიკური ქმედება სრულდება და შელოცვა წარმოითქმება ბჭუტასთან. იგი ცარიელი ადგილია ზოგჯერ შუა ტყეში, სადაც რომელიმე ძველი ხე დგას, მაგალითად, მაჭუდა, პიპალი ან ნიმი. არცთუ ისე იშვიათად ხის ირგვლივ აღმართავდნენ დაბალ ტერასს საკრალურ ადგილზე დებდნენ უთლელ ქვას, რომელზეც სინგული იყო წასმული, ან შავი წერტილებით თუ წითელი წერტილებითა და ხაზებით იყო მოხაზული. აქვე იდგმებოდა ცხენის ორი თიხის ფიგურა, ორი ერთმანეთის შემყურა თავი რომი ება, ხოლო მათ შორის პალო ან დიდი ქვა იყო, ხანდახან კი გადაბრუნებული ქოთან იდო - დიდები ქვემოთ და პატარები ზემოთ.

ჩვეულებრივ დღეებში ბჭავანის არ მიმართავენ არც ქალები, არც კაცები. ისინი მსხვერპლად სწირავენ დემონებს ყვინჩილებს, რომელთაც თვითონ მიირთმევენ, რაკი ბჭუტებს მხოლოდ ფრინველის სისხლი სჭირდებათ.

ღვთაება „დევი“ მუნდებსა და დრავიდების წარმოდგენაში

მუნდები ცხოვრობდნენ ძირითადად ჩრდილოეთ ინდოეთის შუაგულში, განგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ კომპაქტურად კი არ სახლობენ, არამედ ცალკეულ, ერთმანეთისგან მოწყვეტილ ტომებად და გვარებად ცხოვრობენ.. ძველად ისინი აღმოსავლეთით სახლდებოდნენ, რასაც მათი ანთროპოლოგიური ტიპი მოწმობს. ტრადიციამ შემოგვინახა გადმოცემები მათი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადმოსახლების თაობაზე. ამავე დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავდაპირველად ინდოეთის მკვიდრნი იყვნენ დრავიდები, რომლებმაც ახალმოსულთა (მათ შორის მუნდებისაც) ძალდატანებით სამხრეთისკენ დაიხიეს. ამ ისტორიულ პერიოდში ორივე ტომი არიელებს შერია, რომლებმაც მათზე კულტურული ზეგავლენე მოახდინეს.

მუნდას ღვთაებებს, რომელთაც „ბუნგო“ ეწოდება, სქესის მიხედვით არ განსხვავდება.. ისინი, კაცმა რომ თქვას, დემონები იყვნენ (სანსკრიტ. „ბჭუტა“), და მხოლოდ დამატებითი თვისებები, სანსკრიტული სიტყვებით რომ აღინიშნებოდა, მიუთითებდნენ დემონის სქესს. ის, რომ ქალურ საწყისის მუნდები ოდესღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამას მოწმობს მათი საზოგადოების პატრიარქალური ორგანიზაციის გადმონაშთები. ამასვე ადასტურებს გვაროვნული ენდოგამური ჯგუფის თავდაპირველი არსებობა, რაც დედის მხრიდან მემკვიდრეობითობასთან იყო დაკავშირებული, და, ალბათ, პატრიარქატთან დაკავშირებული ევზოგამური ჯგუფის არსებობასთან. ასეთივე საზოგადოებრივ ორგანიზაციას ვხვდებით მრავალ დრავიდულ ტომშიც. ამით აიხსნება ისიც, რომ მუნდებსა და დრავიდებში ძველად გავრცელებული იყო მრავალქმრიანობა, რომელიც უახლოვდება ავსტრალიის ორგვაროვან პოლიანდრიას.

ამგვარ ორგანიზაციათა გადმონაშთები ყველაზე უფრო შემორჩენილია ნაიართა დრავიდულ კასტაში. ამაზე ჯერ კიდევ 1563 წელს წერდა ვენეციელი ვაჭარი ჩეზარე ფრედერიკი, რომ მეფედ აქ მისი ერთ-ერთი მემკვიდრე ვაჟიშვილი კი არ ხდება, არამედ მისი დის ვაჟიშვილი...

XVIII საუკუნის მონაცემებით, ამ კასტაში შვილები მამას კი არ ეკუთვნოდნენ, არამედ დედის ძმას. ჩვენ საუკუნემდე ახალგაზრდა ნაიარელ ქალს, რომელმაც სიმბოლოურად იქორწინა მამაკაცთან, პალმის ფოთოლსა ან მახვილთან, უფლება ჰქონდა ეცხოვრა თავის უმაღლესი კასტის ნებისმიერ მამაკაცთან, მაინც მასთან მივიდოდა. კაცი ქალის სახლში შესვლამდე კართან ტოვებდა ფარ-ხმალს ან სხვა რამე იარაღს. ეს იმას ნიშნავდა, რომ საწამ იგი სახლში იმყოფებოდა, სხვას სახლში შესვლის უფლება არ ჰქონდა. მოგვიანებით ასე თავისუფლად დაქორწინებული მხოლოდ ათი კაცი იყო. XX საუკუნის დამდეგს მრავალქმრიანობა ნაიარებში მხოლოდ დეკანის რაიონების ძალიან შორეულ კუთხეებში შემორჩა.

მრავალქმრიანობა არსებობდა აგრეთვე კანდიელ სინგალთა შორის ცეილონზე, ვიდრე კუნძულზე ევროპელები გამოჩნდებოდნენ, მაგრამ შემდეგ თანდათან გაქრა. მრავალქმრიანობა ფართოდ იყო გავრცელებული როდითა (ყველაზე დაბალი კასტა) შორის, ჯერ კიდევ ჩვენი ასწლეულის დამდეგს ინდოეთსა და ცეილონზე ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული მრავალქმრიანი ქალღმერთის კულტთან. მუნდების ტომებს, უპირველეს ყოვლისა ორაონელებს ჰყავდათ, ნადირობისა და ნეყოფიერების ქალღმერთი ჩანდი. სხვა შემთხვევაში „მუტრი ჩანდი“ იყო, რომელსაც ყოველწლიურ დღესასწაულებზე თაყვანს სცემდნენ უცოლო ყმაწვილები, სოფლად, საერთო „მამაკაცთა“ სახლში რომ ცხოვრობდნენ.

„მუტრი ჩანდის“ თაყვანისცემის დღესასწაული, რომელსაც ხელი უნდა შეეწყოს მამაკაცთა შთამომავლობის სწრაფ გაჩენას, აღწერილი აქვს ს. ჩ. რიოს: „ზედიზედ სამ ღამეს გრძელდება საგანგებო მოედანზე გამართული ყმაწვილკაცების „აქჰრად“ წოდებული ცეკვა“. ცეკვიდ დროს ისინი ჰპარავენ საყურეებს ქალიშვილებს. მეოთხე დღეს, მზის ჩასვლის შემდეგ ახალგაზრდა ორაონელები თაყვანს იყრიან აქჰრაზე, შემდეგ კი ბორცვზე ადიან ტან-აქჰრაზე. იქ მუდრი ჩანდის სიმბოლოა (ხის ფესვებს შორის ნახევრად ჩაფლული ქვა). სამსხვერპლოდ ამორჩეული ყმაწვილი ჩაფლული ქვის ძირას თხრის ორმოს, კლავს შავ მამალს და მის სისხლს ღვრის ორმოში (სადაც ქალიშვილებისათვის წართმეულ საყურეებთან ერთად დებს მამლის თავსაც. შემდეგ ყველანი ერთად ყვირიან: „ჰუკოე ქჰადარგჰატრა ნეკე, კუკოე კჰადარ, ბერნჰე ნეკე“) „დაე, იმრავლონ ყმაწვილებმა და არა ქალიშვილებმა“), „რის შემდეგ ასწორებენ ორმოს და მიწას აყრიან“. მერე ყველა სოფლის აქჰრაზე მიდის და გვიან ღამემდე ცეკვავენ.

„ორაონული“ სოფლის მთავარი ქალღმერთია „ჩაალო პაჩო“, რომელსაც ინდოევროპულ ენებზე „საირანა ბურჰია“ („მოხეტიალე დედაბერი“) ეწოდება. მის მიერ არის ნაკურთხევი ვაზისგან დაწნული ჯამი, რომელიც სოფლის ქურუმის სახლში ინახება, სადაც წლის ბოლოს ქალღმერთს მსხვერპლად სწირავენ პირველ მთაში მოყვანილ ბრინჯს. გარდა ამისა, მუნდები თაყვანს სცემდნენ ქალღმერთების ჯგუფს, რომლებზეც ძნელია რაიმე გარკვეული აზრის თქმა. ის ტომები, რომლებიც

ცენტრალურ ინდოეთში სახლობდნენ, განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ შავი ყვავილის ქალღმერთს მარაის, მნიშვნელოვანი ღვთაება იყო აგრეთვე მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, რომელსაც ორაონელები დჰარტიმის უწოდებდნენ ქჰონდები - ტარა პენუ ან დჰარანები. წინათ მას მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ.

ძველი დრავიდული ქალღმერთები

როგორც ევროპელები იტყობინებიან, რომლებმაც ჯერ კიდევ შოეულ წარსულში, ძირითადად, სავაჭრო კავშირი დაამყარეს დრავიდულ ინდოეთთან, დრავიდების ძველი წეს - ჩვეულებები ძალიან ჰგავს მუნდების წეს-ჩვეულებებს. პატარა ტომს, ზოგჯერ კი საგვარეულოსაც კი თავისი ქალღმერთი ჰყავს, რომელიც ნიშნული თვისებებით გამოირჩევა. ტომთა გაერთიანებამ და ჰინდუიზმის საზოგადოებრივი და რელიგიური სისტემების გავლენამ ის გამოიწვია, რომ სხვადასხვა ქალღმერთს ყველა ტიპური თვისება შივას ცოლმა დევიმ შეისისლხოცა, თუმცა ზოგან შეინარჩუნა თავისი ძველი სახელები. ასე მაგალითად, მადურაიში შივაიტების უდიდესი ტაძარი აშენებულია მინაქმისა („თევზისთვალა“) და მისი მეუღლის შივა-სუნდარემვარის საპატივცემულოდ. უცნობია, სახელდობრ რომელი ძველდრავიდული ტომთა ქალღმერთისაგან მიიღო მან ეს ეპითეტი.

იმ ქალღმერთებს შორის, რომელთაც დღემდე სცემენ თაყვანს მალაბარის სანაპიროზე, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ბჰაგავატი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ კოდუნგალურში (ქ. კაჩინში), ყველაზე საყვარელ სამლოცველო ადგილას. თავდაპირველად აქ იდგა წმინდა ხე, დაბალი მესერი რომ ჰქონდა შემორტყმული. წელიწადში ერთხელ მთელი სანაპიროს მცხოვრებლები ხისკენ მიმავალ გზას დაადგებოდნენ. გზად მიმავალი ხალხი ყვიროდა „ნადა-ა, ნადა-ა“ („დაიკარგე აქედან!“) და ლანძღავდა ქალღმერთს. მიუახლოვდებოდნენ თუ არა ხეს, მას ქვებსა და ტალახს ესროდნენ, და თან განაგრძობდნენ სალანძღავი სიტყვების ძახილს. მეთევზეთა კასტის მეთაურს „ყული მუტაია არაინს“ უფლება ეძლეოდა, ანუ ერთ-ერთ პირველთაგანს წაეხილწა წმინდა ხე. ბჰაგავატის კულტში შედიოდა თავაწყვეტილი დროსტარების მომენტებიც. წმინდა ხესთან საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენების წარმომადგენლებს მიუშვებდნენ. მსხვერპლად მიჰქონდათ მამლები, რომლებსაც იქვე კლავდნენ. ნაკურთხი წყლის ნაცვლად სვავდნენ რახსა და პალმის ღვინოს, მომსახურე ნაოარს რომ მოჰქონდა. ვერ შევძელი ზუსტად დამედგინა, დღესაც აღინიშნება თუ არა ეს დღესასწაული და იცვალა თუ არა მან სახე. კოდუნგალურის მახლობლად ეწყობოდა განსაკუთრებული მამლის დრესასწაულები ქალღმერთ კალის საპატივცემულოდ, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც გადამდებ სნეულებათა, ძირითადად ქოლერისა და ყვავილის ქალღმერთს. დახმარების საზღაურად ქალღმერთი ბევრ სამსხვერპლო სისხლს ითხოვდას. ქურუმის როლში გამოდიოდნენ ე.წ. ადიგალები, რომლებითაც მთელ მალაბარს უზრუნველყოფდა მხოლოდ სამი ოჯახი. ბრაჰმანებს მხვერპლშეწირვა არ უნდა აღესრულებიათ, ვინაიდან მათი სიწმიდის წყალობით ქალღმერთი ისე ძლიერდებოდა, რომ საშიშიც კი შეიძლება გამხდარიყო. ბჰარანის დღესასწაული აღინიშნებოდა ჩაიტრას (მარტი-აპრილი) თვეში. მალაბარის მკვიდრთ სწამდათ, რომ მომლოცვაობაში მონაწილეობა ამ დრესასწაულის დღეებში, მატ იცავდა

ზემოთხსენებული დაავადებებისაგან. ხელსაყრელი დღის არჩევის შემდეგ, ისინი ქალღმერთს თაყვანს ცემდნენ ჯგუფ-ჯგუფად და თან მოქონდათ სამსხვერპლო მამლები, ბრინჯი, მარილი, წიწაკა, ძირა, წითელი საღებავის ფხვნილი, ბეტელის ფოთლები და პალმის ქოქოსი. გზაზე თან უზრდელურ სიმღერებს მღეროდნენ, რასაც თან ასეთივე უწმაწური ცეკვები ახლდა. ნებისმიერ გამვლელს, სულერთია ქალი იქნებოდა თუ კაცი, აიძულებდნენ მათთან ერთად ემღერა და ასეთნაირადვე ეცეკვა. ისმებოდა დიდი რაოდენობის რახი პალმის ღვინო. მსხვერპლსეწირვა ტაძართან მიახლოებისას იწყებოდა. მთავარი მდგომარეობა იმაში, რომ თავად ტაძარზე და მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც შეიძლება მეტი მამლის სიხლი ყოფილიყო. შემდეგ თანამგზავრები სახლებში მიდიოდნენ, ტაძარი იკეტებოდა შვიდი დღით. ამ პერიოდში არავინ ბედავდა მასში შესვლას, რამეთუ იქ დემონები ნადიმობდნენ, და თუკი დაარღვევდა აკრძალვას ვინმე, მას დემონები დაგლეჯდნენ. საშიში ავადმყოფობების ქალღმერთად, უწინარესად „სიყვითლის“, ითვლებოდა მადირის ტაძრის ქალღმერთი „მარია“. ტაძრის სახურავზე განლაგებულია ბავშვების პატარა ქანდაკებები, რამაც აიძულა სხვა მორწმუნეებს ემტკიცებიათ, რომ ამ არემარეში მცხოვრებნი ქალღმერთ მარიას ბავშვებსაც წირავდნენ, რასაც თითქოს თავად ქალღმერთის სახელწოდებაც მოწმობს. თუმცა მორწმუნე ჰინდუები ამ ფაქტს უარყოფენ. არა და, მართლს ჰგავს მარიას კავშირი შავი „ჩუტყვავილის“ ქალღმერთთან, რომელსაც ცენტრალურ ინდოეთში თაყვანს ცემდნენ და მარიას თუ მერაის უწოდებენ.

ავადმყოფი ბავშვის დედას იგი ტაძარში მოჰყავდა, გუბეში განბანდა ხოლმე, თავის ტანსა და ბავშვს ზარდანჩის ფხვნილს აცხებდა, რომელიც სველ ტანზე ეკვრებოდა და ორივენი სიყვითლით დაავადებულებს ემსგავსებოდნენ. დედა და შვილი ტაძრის წინ დგებოდნენ, სამჯერ მოიხრიდნენ ქედს წმინდა ლელვის წინაშე და ქურუმს სამსხვერპლო ძღვენს გადასცემდნენ. მათ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო კეთილსურნელი რამ, ყველაზე უფრო ქაფური. ქურუმი შეულოცავდა დასნეულებულს და სურნელოვან სითხეს ასხურებდა.

შემორჩა მრავალი ზღაპარი და ლეგენდა დრავიდულ ქალღმერთებზე, რომლებიც რალაცნაირად დაკავშირებული იყვნენ.

ღვთაება დევისთან. მათი პირველადი რელიგიური ფუნქციები დიდი ხანია დავიწყებულია. მათგან ყველაზე ცნობილია კანაჰი. ამ ქალღმერთის - ერთგული მეუღლის ამბავი, შესულია ტამილურ ეპიკურ პოემაში „თქმულება ფეხის სამაჯურზე“. ამ თქმულებით ვეცნობით ტამილების ძველი ქვეყნის რელიგიური ცხოვრების მრავალ ფაქტს, რომლებიც იმას მეტყველებენ, რომ „კანაჰის“ ოდესღაც თაყვანს სცემდნენ სამხრეთ ინდოეთში, როგორც ჭეშმარიტ დევის - ქალღმერთს.. ამასავე მოწმობს ამ ქალღმერთისათვის მიძღვნილი ზოგიერთი წეს - ჩვეულების აღწერები.

ტამილთა ცეილონზე გადასახლების შემდეგ „კანაჰის კულტმა“ ფეხი მოიკიდა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, საიდანაც გავრცელდა მის სამხრეთ ნაწილში, სადაც ამ ქალღმერთს თაყვანს სცემდნენ „პატინის“ სახელწოდებით. ცეილონზე მის საპატივცემულოდ დღესაც იმართება დღესასწაულები, განსაკუთრებით კანდისსა და კუნძულის სამხრეთით, დონდრეში. აქ შემონახულია ამ ქალღმერთისადმი მიძღვნილი სატაძრო წეს - ჩვეულებაც.

ადამიანის მსხვერპლად შეწირვა

ინდური, ევროპელებისა და მუსულმანების წყაროების მიხედვით, ადამიანის მსხვერპლად შეწირვის შემთხვევა დაფიქსირებულია მუნდების ტომში, უფრო ნაკლებად დრავიდებში, ადგილობრივ მკვიდრთა რელიგიურ ცხოვრებაში ინგლისის კოლონიური მთავრობის ჩარევამდე, მაშასადამე, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე. კოლონიურდროინდელ ინგლისურ არქივებში შემონახულია მრავალი სასამართლო ოქმი და ჩანაწერი, რომლებიც ამ წეს-ჩვეულებების უტყუარი მასალაა. მაგრამ ამ მასალებით ვერ დაადგენ, მსხვერპლს მხოლოდ ქალღმერთებს სწირავდნენ თუ საერთოდ ღვთაებებს, მიუხედავად მათი სქესისა, ასევე უსქესო დემონებს, ბჰუტებს, ბონგოებსა და სხვ. გარდა ამისა ძნელი სათქმელია, ვიდრე მუნდები არიელ ტომებს შეერეოდნენ, მდებრობითი სქესის ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს, თუ მამრობითი სქესის ღმერთებს. ამის ერთადერთ დამადასტურებელ საბუთად შეიძლება მოვიყვანოთ ინდური ტრადიცია, რომლის თანახმად თაყვანისმცემლებისაგან ადამიანის მსხვერპლს ითხოვდნენ ქალღმერთები, რადგან ისინი განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სისხლის მწყურვალეებითა და სისასტიკით.

საარქივო მასალების თანახმად, ყოფილ ბერარის შტატში გონდობის დრავიდული ტომი მსხვერპლს სწირავდნენ კალის დანტევარის - ბასტარის რაჯის მფარველ ქალღმერთს, თითქმის 1853 წლამდე, როდესაც ნაგპურის მთელი ტერიტორია ინგლისელებმა დაიპყრეს. არსებობს 1820 წლით დათარიღებული გ. გ. უილსონის საბუთი, რომ გონდობს შორის კაციჭამიაობა იყო გავრცელებული.

მუნდებს შორის ადამიანის მსხვერპლად შეწირვა (ონდოკა) ოდითგანვე ჩვეულებრივი ამბავი იყო. როგორც პოლიციის ოქმებშია დადასტურებული, რომლებიც მუნდების სოფლებში უგზოუკვლოდ დაკარგულებს ეხება, არ არის გამორიცხული, რომ ადამიანებს უახლოეს დროსაც სწირავდნენ. ს.ჩ. როის გადმოცემით, ამგვარი მსხვერპლშეწირვა მაშინ ხდებოდა, თუ ოჯახს, სოფელს, რაიონს თავს რაიმე უბედურება დაატყდებოდა ან ქურუმი ექიმბაში განაცხადებდნენ, განაწყენებული ან ბონგოს გულის მოსაგებად ადამიანის მსხვერპლია საჭიროო.

მუნდას ტომის წევრები მუდამ ღრმა საიდუმლოდ ინახავდნენ ამგვარ ფაქტებს, რამეთუ მიაჩნდათ, რომ დემონი თავად მიიყვანდა მსხვერპლს შესაწირველად. როგორც წესი ასეთი მსხვერპლი იყო სრულიად უცხო პირი, რომელიც შემთხვევით მოხვდა მორწმუნეთა სახლში. გვიან ღამით მსხვერპლის გამღებს, ამგვარი მსხვერპლი რამდენიმე პირის თანხლებით, გვიან ღამით შინიდან მიჰყავდათ ჯუნგლებში - შორეული მდინარის მთიან ხეობაში ან სხვაგან ძნელადმისადგომ ადგილას. აქ მსხვერპლი ჰაერში ხელებითა და ფეხებით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ეწირათ. მსხვერპლის გამღები ღმერთს მიმართავდა, განსაკუთრებით, განაწყენებულ დემონს, განწირულზე აგდებდა ბრინჯის რამდენიმე მარცვალს და სამსხვერპლო ნაჯახით, ჯერ მას ჰკვეთდა, შემდეგ საჩვენებელ თითს და თიხის ქოთანში მოკლულის ცოტაოდენ სისხლი აგროვებდა. გვამს გულდასმით მალავდნენ, სისხლი და საჩვენებელი თითი კი

შინ მიჰქონდათ და დებდნენ საშინაო საკურთხეველზე, სადაც დემონებს სცემდნენ თაყვანს, ლოცვებს წარმოთქვამდნენ, რის შემდეგაც თითს და სისხლს საკურთხეველის ქვეშ მიწაში მარხავდნენ.

ყველაზე გავრცელებული კულტი მუნდთა შორის, ბავშვების შეწირვა ყოფილა. ე.წ. მერია. „მერია“ - ეს იყო ბავშვი, ჩვეულებრივ თოთხმეტ წელზე მცირე ასაკის, რომელსაც იპარავდნენ, ან ყიდულობდნენ, შემდეგ კვებავდნენ, რათა შემდეგ მსხვერპლად შეეწირათ.

ეს ჩვეულება ვრცელებული ყოფილა ტომთა დასახლების მთელ ტერიტორიაზე, და თუ ტრადიციებს დავუჯერებთ, დრავიდთა უმრავლესობაში. ჩვენი ცნობების ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ სასამართლო ოქმები, კოლონიალურ ადმინისტრაციის, სარაიონო ინსპექციის და პოლიციის ცნობები. ინგლისელების შესვლამდე ბავშვების მსხვერპლად შეწირვა წარმოებდა ქჰონდებში და აროანებში, ახლანდელი ურისას შტატში, ბასტარის გონდებში და აგრეთვე მთელ რიგ სხვა რაიონებში მცხოვრებელ ტემებში.

„გონდელი მერიის“ შესახებ ყველაზე ძველი მონაცემები წარმოდგენილია სამხრეთ - დასავლეთის სამოსაზღვრო პროვინციაში (ახლანდელი ურისას შტატი) გუბერნატორ ჯ. რ. ონსლის (1843-1845) საარქივო მასალებში. დაკითხვის ოქმებიდან ჩანს, რომ მსხვერპლად წირავდნენ სქესობრივად მოუმწიფებელ ყმაწვილებს არა უმეტეს 16-17 წლის ასაკისა. რაკი ყოველთვის საჭირო იყო ერთი „მერია“, მსხვერპლის გამღები რამოდენიმე კანდიდატურიდან მას არჩევდა შემდეგნაირად: ბიჭუნას უნდა გაეგლო დროშებს შორის, რომელიც ბემბუკი ჯობებზე იყო დამაგრებული, ერთ-ერთ დროშას წითელი ზონარი ჰქონდა შებმული. ბიჭუნა, რომელიც ამ ზონარს გაედებოდა, მიწის ქალღმერთს - „ტარიპენუს“ მსხვერპლად ეწირებოდა, დანარჩენებს კი მაინც კლავდნენ, რომ ხელისუფლების ორგანოებს არაფერი შეეტყო. ამ წესჩვეულების შესრულებისას ქალები ცეკვავდნენ და მუსიკალურ საკრავებზე უკრავდნენ, მაგრამ „მერიას“ ხელს არც ერთ მათგანი არ აკარებდა, რომ მსხვერპლი არ შებილწულიყო. მსხვერპლს წირავდნენ ყოველი წლის დღესასწაულზე, რომელსაც მუნდები „ჰარაბს“ უწოდებდნენ. გონდის ტომემები მერიებს მსხვერპლად სწირავდნენ იმ ტერიტორიაზე, რომლებიც ზარდანჩოს გამოსაყვანად იყო გამოყოფილი, ხოლო აროანები კი ბრინჯის ყანებში.

ჩვენს საუკუნეში ამ წესჩვეულების შესახებ დეტალების დადგენა მეტად ძნელი იყო. სოფლის მცხოვრებლები ამგვარი მსხვერპლის შეწირვის ფაქტებს უარყოფდნენ. ერთადერთ საბუთს - შემორჩენილს მერიის შესახებ წარმოადგენდა - იმ ადგილებში ბავშვების პერიოდული დაკარგვა, მაგრამ პოლიციაც უძლური იყო დაედგინა სიმართლე და საექვო პირების სასამართლო პროცესები ყოველთვის მთავრდებოდა ბრალდებულთა განთავისუფლებით, ანდა სასჯელის გამოტანით, როგორც ჩვეულებრივ მკვლელებზე.

1921 წელს ინდოეთის სამეცნიერო კონგრესის, რაი ბაჰადურ ჰირა ლალი, ამტკიცებდა, რომ ცენტრალურ ინდოეთში მეოცე საუკუნის დამდეგს მსხვერპლად ადამიანების შეწირვის მრავალ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ამის დასამტკიცებლად იგი ასახელებდა პოლიციის საჩივარს ადამიანის შეწირვის შესახებ, განსაკუთრებით საყურადღებოა

ცნობა ჩანდის რაიონიდან: მერიების დიუდმა ქურუმმა მეზობელ მერიებს მოუწოდა მონაწილეობა მიეღოთ მოსავლის აღების დღესასწაულში და სამსხვერპლოდ მოეყვანათ მამაკაცი ბასტარიდან. შემწირველებმა თავი მოიყარეს ძველ ციხე-სიმაგრეში, სადაც მოთავსებული იყო ქალღმერთის გამოსახულება (ქანდაკება). ქურუმმა რამოდენიმეჯერ შეულოცა მსხვერპლს და შელოცვის შემდეგ მახვილის ერთი მოქნევით მსხვერპლს თავი მოჰკვეთა, დამსწრეთა დახმარებით კაცის უთაო ტანი ქურუმმა „წმინდა მიწაში დამარხა“.

1914 წელს ამ ტარიტორიაზე რეგისტრირებულ იქნა ასეთივე სამი შემთხვევა. ჩკატისგჰარის ოლქში ვილაცა კაცმა ბავშვი გამოსტაცა ქალს, რომელსაც ეს ესაა ჭიდან წყალი ამოეღო და შინ უნდა წასულიყო. იქ სადაც ღმერთების პატარა ქანდაკებები იდგა, უცნობმა კაცმა ბავშვს უმაღლ მოჰკვეთა თავი და თვითონ კი მიიმალა. მოგვიანებით პოლიციამ მკვლელს მიაგნო და სიკვდილით დასაჯა.

მოწმეების ჩვენებები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მსხვერპლის შეწირვის საშუალებები სხვადასხვა გარემოში არსებითად არ იცვლებოდა მსხვერპლის გამღებნი ამზადებდნენ დაახლოებით ორ მეტრო ნახევრიან, სქელი ბამბუკის ჯოხებს, რომელთა ერთი ბოლო შუაზე იყო გაჭრილი, მერიას ყმაწვილს ჩვეულებრივ აწვენდნენ მიწაზე, კისერს შუაზე გაპობილ ბოლოში აყოფინებდნენ, ერთ-ერთ მამაკაცთაგანი ამ ბამბუკის კეტს მთელი ძალით მიწაზე აჭერდა, გაჭრილი ბამბუკის ბოლოთი, მსხვერპლს წელზე აწვებოდა, ზოგჯერ მსხვერპლი მაჯებით ეკავათ. შემდეგ ქურუმი სამსხვერპლო წერაქვით, ცოცხალ ბიჭუნას კიდურებს აჭრიდა. ჯერ ფეხებს კოჭებამდე, შემდეგ ორივე წვივებს მუხლებამდე და თეძოებს წელამდე. სამ თანაბარ ნაჭერს ჰკვეთდა აგრეთვე დუნდულებსა და ზურგიდან, ამ ნაჭრებს შემდეგ მარხავდა ზარდანჩოს ყანასა და ბრინჯის ყანის ხნულებში. მსხვერპლი ქალღმერთ დჰარანისათვის იყო განკუთვნილი, მსხვერპლს ზოგჯერ სხვა ღვთაებებსაც სწირავდნენ, იქვე მარხავდნენ ტანსაც.

მუნდებს სხვა საშინელი წეს-ჩვეულებებიც ჰქონდათ. დაწვრილებითმა აღწერილობამ მათ შესახებ ჩვენამდე ვერ მოაღწია. მაგალითად, ერთ-ერთ წეს-ჩვეულების შესრულებისას ბავშვს ხელებს უთოკავდნენ, ზოგჯერ კი ცოცხლად მარხავდნენ კისრამდე. ჯ.დ. ონსლი გვატყობინებს „გორე-გარის“ სასტიკ და მტანჯველ წეს-ჩვეულებებზე, როცა ბავშვს ფეხებით მარხავდნენ მიწაში.

ს.ჩ. როი გადმოგვცემს, რომ თუკი წესჩვეულებების შესრულების მომენტებისათვის სახლში მერია არ აღმოჩნდებოდა, მაშინ მის ნაცვლად სამსხვერპლოდ მიჰყავდათ ვინმეს ხნიერი დედა ან მამა. მოსაზრება არც თუ ისე დამაჯერებელია, მაგრამ როიმ ეს დასკვნა გამოიტანა შედარების საფუძველზე იმ მასლებისა, რომლებიც ჩრდილოეთ ოკეანეს კუნძულებზე მცხოვრებ მთელი

რიგი ტომების ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგად მიიღო. ერთსა და იგივე ქალღმერთის კულტში ხშირად შეიმჩნევა წესჩვეულებების განვითარება ორი მიამრთულებით. ასეთი „ორსაფეხურიანი“ სტადია იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თავდაპირველად რომ არსებულიყო ქალთა ღვთაებები თავიანთ დამოუკიდებელ კულტებთან ერთად. ამის შედეგად ქალღმერთი, რომელსაც ერთი განსაზღვრული სახელი ქონდა, რამოდენიმე რიტუალის ობიექტი ხდებოდა, რაც

ნათლად ჩანს ქალღმერთ კალის მაგალითზე. მოხდა შერწყმა რიტუალებისა არიელეზამდელი ქალღმერთის /რომლის სახელიც დღემდე უცნობია/, არიელი დევისა და რომელიღაც მუნდოდრავიდული სისხლის მწყურვალ ქალღმერთისა, რომელმაც გუნდებში და სხვა ტომებში უთუოდ შეინარჩუნა თავისი ძველებური სახელი - მარაი. უთუოდ ასევე ვითარდებოდნენ სხვა ქალღმერთების ვთქვამთ, პუნუსა და დჰარანის კულტებიც.

ევროპელები ჰინდური (ჰინდური) საზოგადოების დასახასიათებლად საერთოდ იყენებდნენ ორ გარგნულად ურთიერთგამომრიცხავ ცნებას - სიყვარული და თვითგანდგომა. ამით თითქოსდა ხაზი ესმება მათ ისტორიულ განვითარებების პოპულარობასა და ძირეულ განსხვავებას, რომელიც თვით ცნების შინაარსშია ჩაქსოვილი: ერთის მხრივ - აზრიანი ავხორცობა და სწრაფვა ცხოვრების ყველა სიამტკბილობისაკენ, მეორე მხრივ - მეტად დახვეწილი საშუალებებით ჩახშობა ორგანული და სულიერი ძალების, სურვილებისა და ვნებების, რომლის დროსაც ადამიანი გადის თვითწვალების მთელ რიგ თანმიმდევრულ საფეხურებს. მართლაც, ამ ყველაზე ზოგად ფორმებში

უკიდურესობის ხელახლა აღდგენა ხდება ჰინდუთა წესჩვეულებებისა და აზროვნების გაორებაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. უფრო, პირიქით ინდური კულტურა ვითარდებოდა ამ პლარულ მოვლენებს შორის განუწყვეტელი, ხშირად არამყარი და სუსტი მოძრაობის გზით. და მაინც უმართებულო იქნებოდა მტკიცება, რომ ერთი მეორეს ურთიერთგამომრიცხავ: ხორციელი სიამოვნების შედეგად გამოწვეული მოყიჭებულობიდან - მხოლოდ ერთი ნაბიჯია ამგვარი სიამოვნების სრულ უარჰყოფამდე, ცხოვრებისაგან სრულ განდგომამდე და პირიქით. ზოგჯერ კავშირი სიყვარულისა და თვითგანდგომის ცალკეულ გამოვლინებებს შორის იმდენად მჭიდროა, რომ უბრალოდ ძნელი დასადგენი ხდება, ესა თუ ის ფაქტი ეკუთვნის ღვთაებრივს თუ მგრძნობელობით სფეროს. საბოლოოდ, ჰინდუიზმი თავის ისტორიის უკანასკნელ ეტაპზე უახლოვდება ორივეს ურთიერთწინააღმდეგობრივობის სინთეზს. სიცოცხლის მგრძნობელობითი სრული ტკბობის გზით მიიღწევა უზენაესი რელიგიური განცდა, და მასთან შერწყმული ეტროტიკა ხდება რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. სამეცნიერო შრომებსა და პოპულარულ ლიტერატურაში, ინდოეთი ხშირად ასახულია ისეთ ქვეყნად, რომელიც თავისი ბუნებრივი ზღუდეებით თითქმის სრულიად მოწყვეტილია მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს და ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი აბობოქრებული ფანტაზიის, უზარმაზარი შემოქმედებითი გაქანებისა და „თავისი ხალხის ბედის განხორციელებისათვის“ თავდადებული ბრძოლის ნყოფით. მაგრამ ამჯერად ჩვენ ძნელად თუ დაგვაკმაყოფილებს ნაწარმოები, რომლის ავტორი დაუფარავი ინტერესით, დაწვრილებით აგვიწერს უპანიშადების გრძელ ფილოსოფიურ დისკუსიებს, იმისათვის, რომ მერე გამაფრთხილებლად აწიოს თითი და ხაზი გაუსვას ამ დისკუსიების უნაყოფობას და გვიჩვენოს ღრუბლების მიღმა მწვერვალებში რა უმწეოდ ფართხალებდა პარანოიდალური (ჰალუცინაციური ნ.კ.) ინდური ფანტაზია. მთლიანობაში ასეთი მიდგომა არ შეესატყვისება საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, რაკი ცნობილია, რომ მაგალითად, ჯერ კიდევ IV საუკუნეში ჩვენს ერამდე, ანუ სულ მალე უპანიშადების ფილოსოფიის სავარაუდო ფანტასტიკური ორგიების შემდეგ, ინდოელებს უკვე ქონდათ გრამატიკის სრულყოფილი, ღრმად დამუშავებული სისტემა, ხოლო რამოდენიმე საუკუნის მოგვიანებით ანგარიშობდნენ და ხსნიდნენ ურთულეს განტოლებებს, ადამიანებზე ატარებდნენ ასევე რთულ პლასტიურ ოპერაციებს.

ყოველივე ეს კი ტრადიციულ ბრძანებისეულ კულტურისა და ჰინდური რელიგიის ჩარჩოებში იყო მოქცეული.

იგივე შეიძლება ითქვას მეცნიერებაზე სიყვარულის შესახებ - ეროტოლოგიაზე, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ინდური კულტურისა და რელიგიის ერთ-ერთ არსებით კომპონენტად. სისტემას, რომელზედაც დაფუძნებული იყო ძველი ინდური ეროტოლოგია, მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში ბადალი არ აქვს. ინდოეთის გარდა, არსად, სხვაგან არ ვხვდებით ასე განვითარებულ თეორიას, რომელიც მთელი სერიოზულობით, ღირსეულად და მეცნიერული სიზუსტით სწავლობდეს სქესობრივი ცხოვრების მრავალ ასპექტებს, და ამავე დროს, მთლიანობაში ითვლებოდეს მეცნიერების განუყოფელ ნაწილად. არც ერთ ქვეყანაში არასოდეს არ ლაპარაკობდნენ ასე აშკარად და გულდიად სქესობრივ საკითხებზე. როგორც ძველ ინდოეთში. სქესობრივი ცხოვრების კულტურამ იქ გარკვეულ პერიოდში იშვიათ დონეს მიაღწია. არსად ინდოეთის გარდა, არ შეიძლება იპოვნოთ მეცნიერულად დადგენილი და პროფესიონალურად დამუშავებული ცნობები სქესობრივი ცხოვრების ტექნიკის შესაძლებლობებზე. ამ მეცნიერებას ქურუმთა კასტების წევრები თაობიდან თაობას გადასცემდნენ. სწორედ მასთანაა დაკავშირებული იშვიათად რეალისტური ქანდაკებები ჰინდური ტაძრების კედლებზე. ზოგიერთმა, ამ საკითხზე მომუშავე მკვლევარებმა, იჩქარეს გამოეტანათ მთელი რიგი ნაადრევი, განზოგადოებული დასკვნები და მოეტანათ მაგალითებად არასწორი ანალოგიები. ისინი ლაპარაკობენ ქვეყნის ეგზოტიკურ ბუნებაზე, საკვების შედარებით იოლ პოვნაზე, ინდოელთა მიდრეკილებაზე ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლაზე, სამხრეთულ მგრძნობელობაზე, და გამოცდილების კლასიფიკაციის სისტემატიზაციისა და პედანტიზმის შთამომავლობით უნარზე. ჩვენს წინაშეა ეროტოლოგიის წარმოშობისა და განვითარების მიზეზების მზა ჩამონათვალი.

მაგრამ რა საკვირველია, რომ ამ დროს მხედველობიდან გაშვებულია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სქოლასტიკური მსჯელობა, სქემატიზირება და უსასრულო კლასიფიცირება, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საუბარი მიდის ისეთ საგნებზე, როგორცაა სიკვდილის შემდგომი სიცოცხლე, ღმერთები, მორალური, ზებუნებრივი მოვლენები და სხვა. მეტად საეჭვოა, რომ ჰინდუები, რომლებსაც დაკვირვების დიდი ნიჭი გააჩნდათ, ცნობილი მეცნიერული ტრაქტატების ავტორებმა - წმინდა პრაქტიკულ საკითხებზე, უკეთესი ვერაფერი ნახეს, თუ არა უნაყოფოდ ეფიქრათ რეალურ საგნებზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებასა და პირად გამოცდილების სფეროს ეხება. ჩვენ შევეცდებით ნამდვილი მიზეზების დადგენას, რომელმაც გამოიწვიეს ეროტოლოგიის წარმოშობა, როგორც ჰინდური რელიგიური სისტემის მეცნიერული დისციპლინისა და შემადგენელი ნაწილისა, დავადგინოთ ეროტოლოგიის როლი და ადგილი ინდურ კულტურაში, მისი მნიშვნელობა ინდოეთის რელიგიური ცხოვრებისათვის შორეული წარსულიდან დღემდე.

სქესობრივი იმპულსების შესწავლა რელიგიურ თეორიასა და პრაქტიკაში მეტად გამწვანებულია რელიგიური მოვლენების კომპლექსური ხასიათის გამო, გარდა ამისა, მასალების უქონლობისა და უბრალოდ მორწმუნეთა მტრული დამოკიდებულებით ამ პრობლემისადმი ნებისმიერის მხრიდან ინტერესის გამოვლენისადმი და ყოველგვარი ცდისადმი, რომელიც დაკავშირებულია ამ საკითხის შესწავლასთან და ა.შ. ამიტომ ჩვენ

შეველით მხოლოდ ცალკეული ცნობების და ფრაგმენტების მოგროვება, რომლებისგან მთლიანი სურათის აგება მეტად რთულია, მხოლოდ ამ საკითხისადმი ისტორიული მიდგომა საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ მაინც ავხსნათ ეს მოვლენა.

ჩვენი წარმოდგენა პროტონდური კულტურის პერიოდის ეროტიკის შესახებ მეტად ბუნდოვანია, რაც საკმაოდ ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ, რომ მასალები, რომლებიც ჩვენს ხელთაა უტყვნი არიან. ადამინთა ინტიმური დამოკიდებულების სფეროს შესწავლისას კი ეს გარემოება არანაკლებ მნიშვნელოვანია. არსებობს „პროტონდური ეროტიკის“ შესწავლის რამოდენიმე წყარო. პირველ რიგში ფაქტები, რომლებიც განსაკუთრებით დედა ქალღმერთის კულტს ეხება, რაც უთუოდ გავრცელებული იყო სოფლისა და ქალაქის დაბალი ფენის მოსახლეობას შორის. ქალღმერთის თაყვანისცემაზე მოწმობს მრავალი ტლანქად და უვიცად გამოძერწილი ქალღმერთის პატარა ქანდაკება. გაღმერთება დედობისა და მათთან დაკავშირებული განაყოფიერების კულტებისა, ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი და ბუნებრივი გამოვლინებაა ისტორიამდელი ინდოეთის საზოგადოებისა, რაც განსაკუთრებულ კომენტარებს არ თხოვლობს. ნათელია, რომ ეს კულტი ღრმად შეიჭრა უბრალო ადამიანთა ცნობიერებაშიც. შემდგომ, ბევრად გვიან, ჰინდუიზმის აყვავების ხანაში, მან ფასვები გაიდგა ძირითად - ოფიციალურ ინდურ რელიგიაშიც.

თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეროტიკა მხოლოდ დედობისა და განაყოფიერების კულტის მნიშვნელოვანი ნაწილია. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ სარწმუნოების ყველაზე ძველი გამოვლინებები დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. ძველად მწყემსებს არ შეეძლოთ, მსხვილფეხა საქონლის ან სხვა ცხოველების გამრავლებასა და ადამიანთა გამრავლებას შორის, რაიმე სხვაობა ეპოვნათ, თუმცა დიდი მცენარეების განვითარება უხილავ თესლებიდან, ამ პროცესში მზის და სინოტივს მონაწილეობა, მიწათმოქმედს შიშის ზარს სცემდა. ბუნების საიდუმლოების წინაშე იგი მოწიწებით იმსჭვალებოდა, რადგან ამ წარმოსახვაში ძირითად როლს განაყოფიერება თამაშობდა და არა თვით განაყოფიერების აქტი.

ჰარაპაში ნაპოვნი ქალღმერთის პატარა ქანდაკებები, პირველ რიგში საკუთარ სალოცავებში, საშინაო წეს-ჩვეულებების შესასრულებლად გამოიყენებოდა. ერთ-ერთი ამდაგვარი ქანდაკება გამოხატავს მცენარეს, რომელიც ქალის კალთაზეა აღმოცენებული, რაც აშკარად მიუთითებს ქალღმერთის კავშირზე ვეგეტაციასთან.

ეროტიკის თვალსაზრისით ბევრად უფრო საინტერესოა სხვა აღმოჩენა - ქალღმერთი რქებით. სამ ტვიფარზე როგორც უკვე აღვნიშნეთ, არქეოლოგების მიერ დადგენილი ქალღმერთის სახელი - პროტომივა, გვაიძულებს გავიხსენოთ გვიანდელი ჰინდუიზმის შივა, ნაყოფიერებისა და ცხოველების მბრძანებელი ღმერთი. შივას ძირითად ჰინდუიტიური სიმბოლოს - ლინგამს ახლაც ყველაზე უფრო სცემდნენ თაყვანს, ვიდრე ამ ღმერთის რომელიმე სხვა სიმბოლოს. მრავალ კონუსურ ფორმის საგნებს აღმოჩენილი პროტონდურ ქალაქებში, არქეოლოგებს მიაჩნიათ რომ ისინი იგივეა რაც ლინგამის უგვიანესი გამოსახულებები და პროტომივა. დამამტკიცებელია, რომ ფალოსის კულტი ეკუთვნის არიელეამდელ პერიოდს. დიდი ხნის მერეც კი ლინგამს უპირველეს ყოვლისა თაყვანს სცემდა არაარიელი მოსახლეობა, თუმცა უკვე პირველ საუკუნეებში ჩვენს ერამდე ეს თაყვანისცემა გახდა ჰინდური რელიგიის შემადგენელი

ნაწილი და ფართოდ გავრცელდა მოსახლეობის ყველა ფენაში.

შეუძლებელია განისაზღვროს, თავდაპირველად ეროტიკულმა შეხედულებამ ცნო ლინგამი. უდაოა მხოლოდ ის, რომ ისტორიულ რპოქაში მას ამგვარი ტენდენცია არ გააჩნდა. პირიქით, რელიგიური სექტები რომელთა მოძღვრებასა და პრაქტიკაში ძლიერად არსებობდნენ სექსუალური ელემენტები თავიანთ წარმოშობას არასოდეს არ უკავშირებდნენ განაყოფიერების კულტს.

ამჟამად, ლინგამი - განაყოფიერების საყოველთაო სიმბოლოდაა მიჩნეული და ჰინდუები მტკიცედ და სრულიად სამართლიანად იმაღლებენ ხმას, როდესაც მათ ბრალს დებენ ორგიაობასა და ეროტიზმში, მაგრამ ფსიქოლოგიურად მეტისმეტად ძნელია უგულვებელჰყო ეროტიკული ელემენტები დაბანის წეს-ჩვეულების შესრულებისას, ასევე სტილიზირებული ლინგამის მორთულობა. ეს წეს-ჩვეულება კი სწორედ ქალის მიერ გასაოცარი აღტაცებით სრულდება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფალოსურმა კულტმა ძველი ინდური ეროტიკის განვითარებაზე აშკარად ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. ეს შეიძლება აიხსნას სექსის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით: ლინგანი საერთოდ არ წარმოადგენდა ეროტიკული აღტკინების წყაროს, განსაკუთრებით, როცა წეს-ჩვეულებების შესრულების დროს მას აშკარად უყურებდნენ, როგორც რიტუალის ობიექტს და კისერზე მას ავგაროზის სახითაც ატარებდნენ და ა. შ...

ვედურ ლიტერატურული წყაროები უხვად იძლევა მასალებს მაშინდელი ძველი ინდოეთის საზოგადოების საექსუალური დონის შესასწავლად. ცნობილია ვედების ეპოქის ინდოელების აზრები და ძალვა მიმართული იყო თავიანთ ქვეყნისა და მისი ყველა დოვლათის გამოყენებისაკენ.

მრავალი ჰიმნი „ვედების“ კრებულიდან ე.ი. ინდოეთის ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლები, მეტყველებენ მნიშვნელოვან სექსუალურ აქტიურობაზე, მის განვითარებულზე პატრიარქალური ინდოეთის საზოგადოების ჩარჩოებში, მაგრამ არც აქ არ ვხვდებით გამოკვეთილ ეროტიკული გრძნობების კვალს.

მაშინდელი რელიგია გამსჭვალული იყო სექსუალური ელემენტებით. ამას მოწმობს შეწირვის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ფორმები, მაგალითად სომასათვის შეწირვა, რომლის დროსაც სხვა წმინდა სექსუალურ წესჩვეულებებთან ერთად სრულდებოდა სარიტუალო სქესობრივი აქტი. მსგავსი რამ ხდებოდა აგრეთვე ცხენის შეწირვისას - დედოფალი სამსხვერპლო ცხოველის ასოს კალთაში იდებდა და ა.შ. სხვა მსხვერპლის შეწირვასა და რიტუალებს თან სდევდა სექსუალური მომენტები. ერთი შეხედვით აშკარაა ეს ფაქტები დაკავშირებული იყო განაყოფიერების კულტთან და წარმოადგენდა ამაღლებული რელიგიური წესჩვეულებების შემადგენელ ნაწილს, მაგრამ, ეროტიკა არ წარმოადგენდა მათი შინაარსის ძირითად ელემენტს, ვინაიდან მსხვერპლის შეწირვის მონაწილენი ამ მომენტის უშუალო მაცურებლები არ იყვნენ. მსხვერპლის გაღების დროს სექსუალური აქტის შესრულების რელიგიური მნიშვნელობა მტკიცდება, მისი არსებობით ბრაჰმანულ სექტებშიც.

იმ ადგილს, სადაც სამსხვერპლო ცეცხლი უნდა ანთებულიყო, როგორც წესი, ქალის

უბის ფორა ჰქონდა, მსჯელობები ქალსა და კაცის ინტიმურ დამოკიდებულებებს შორის დაკავშირებული იყო სამსხვერპლო ადგილის მოწყობასთან. ყოველივე, რაც კი მათში აღწერილია დაქვემდებარებულია რელიგიურ პრაქტიკაზე, და ამიტომ ეჭვი არაა, რომ სქესობრივი აქტი, რომელიც სრულდებოდა იქ სადაც მსხვერპლს წირავდნენ, ნამდვილად აიხსნება, როგორც მიკროკოსმოსური მოვლენების მაგიური გამოხატულება და მას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გამოეწვია ეროტიკული გრძნობები. ასევე უნდა გავიგოთ ზოგიერთი ბრაჰმანული სექტების შინაარსიც. საკვირველი იქნებოდა, რომ ბრაჰმანები მსხვერპლის შეწირვის წეს - ჩვეულებაში შეხვდნენ სამყაროს გამოხატულებას, მთელი თავისი ურთიერთ დამოკიდებულებით, შეუმჩნევლად დაეტოვებიათ ადამიანთა ერთად ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი და უიდუმალესი მომენტი.

საქორწილო ჰიმნებს, რომლებსაც ჩვენ უძველეს ვედურ კრებულებში ვხვდებით, ძირითადად საზოგადოებრივი დანიშნულება აქვთ და მხოლოდ ხაზს უსვამენ ქალის ნაყოფიერებასა და მამაკაცის პოტენციალურობის მნიშვნელობას.

ვედებში, სექსზე მხოლოდ ელემენტარული წარმოგანა ჰქონდათ. ეს იმითაც მტკიცდება, რომ იმ დროის ადამიანისათვის არ იყო ცნობილი სიყვარულის გამაკეთილშობილებელი, მაიდიალიზირებელი ასპექტები. ამან ყველაზე აშკარა გავლენა იქონია ვედური პანთეონის ღმერთების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ეროტიკულ ატრიბუტს. გამონაკლისს წარმოადგენდა ღვთაება უმასი, რომელსაც უმთავრესად მიეწერებოდა ჯერ კიდევ შეუგნებელი (შეუცნობელი) ეროტიკული ტენდენციები.

მარალია „რიგვედაის“ ერთ-ერთ ძველ ფილოსოფიურ ჰიმნში ჩნდება კამას ცნება, მაგრამ აქ იგულისხმება ისეთი სურვილი, რომელიც ზოგადად შეცნობილი, უნივერსალური სურვილის ხასიათს ატარებს. აქ იგი (ეროტიული სურვილი) აზრის თესლებად იწოდება და განხილულია როგორც ყოველივე ყოფადისა და საიდუმლო შექმნის მოძრავი ძალის პირველსაწყისი მიზეზი. აქ ლაპარაკია, უთუოდ, პირველად მსოფლიო ლიტერატურაში, უკვე გაცნობიერებულ სურვილზე, როგორც ადამიანის მთელი ყოფიერების უმნიშვნელოვანეს იმპულსზე.

მხოლოდ „ათჰარვავედში“ იწყება კამას ორაზროვანი გაგება: ეს უმაღლესი კოსმიური ძალაცაა, რომელიც ყველა ღმერთებზე ბატონობს, (ზოგჯერ გაიგივებულია აგნისთან) და კონკრეტულიც, განსხეულებული კამაში - სიყვარულის ღმერთში თავისი კუპიდონური ისრებით, ფრთაშესხმული სურვილით და ვნების წყურვილის წვეტიანი განმგმირავი ბოლოებით.

თუმცა უფრო გვიანდელ პერიოდში მთელ ვედურ ლიტერატურაში ეროტიკული ძალებისადმი თაყვანისცემისა და მათი განსხეულების შესახებ არავითარი მონაცემი არ არის. აქედან, კამის, როგორც აბსტრაქტული სქესობრივი სურვილის კონცეფცია ჯერ კიდევ გამოუხატველ ხასიათს ატარებს, თუმცა ჩანასახის სახით შეიცავს ამ გაგების შემდგომ გაღრმავების შესაძლებლობას.

პატრიარქალური საზოგადოების განვითარება და შრომის განაწილების ზრდა,

გავლენას ახდენდა ადამიანთა ინტიმური ურთიერთობის სფეროზეც. უკვე არსებობს მრავალქმრიანობა, მაგრამ მტკიცდება ქორწინებითი კავშირი. ამის აუცილებლობა ყველაზე უწინ გამოწვეული იყო კერძო საკუთრებისადმი მათი დამოკიდებულებით. ქორწინებაზე და ყოველივე ამაზე იყო დამოკიდებული ისეთი მოვლენების აღქმაც, როგორცაა: ღალატი, უკანონო სიყვარული, საიდუმლო კონტაქტები, ასევე მკითხაობა და ჯადოქრობა, მოწოდება, რომ საყვარელი გამოაშკარავებული იქნას და მოღალატე კი დასჯილი. ეჭვი არაა ამგვარი ჰიმნები თავდაპირველად არ შედიოდა „რიგვედაში“ და ამ უკანასკნელში შეტანილი იქნენ ვედების შემდგენელთა მიერ უფრო მოგვიანებით. ამიტომაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ეს ჰიმნები ორგანულად უცხოა ძირითადი ტექსტისათვის, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მანერით ეს ჰიმნები ლიტერატურის სტილის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს და ახლოს დგას ხალხურ პოეზიასთან. მრავალ ვედურ ჰიმნში ვკითხულობთ საყვარლებზე, ცოლზე, რომელსაც მამაკაცი ეხვევა, ქალზე, რომელიც პაემანზე მიდის; ქვრივზე, რომელიც ცდილობს შეაცდინოს გარდაცვლილი ქმრის ძმა და საერთოდ ქალის შესახებ, რომელიც მამაკაცებით გატაცებულია, ზოგჯერ ვხვდებით გამოთქმასაც: „მამაკაცების მადევარი ქალი“.

უთუოდ, ამიტომაც, ხშირად, ქალებზე ლაპარაკია განმკიცხავი ტონით, მიუხედავად იმისა, რომ მათი მდგომარეობა უძველეს ხანაში საკმაოდ თავისუფალი იყო. მათ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ზოგიერთ წირვაშიც, და აგრეთვე დღესასწაულებშიც, ცეკვებში და სხვა ტომობრივ თავშეყრებში, თუმცა მაშინ უკვე ამბობდნენ, რომ კარგი ქალი ცუდ მამაკაცზე უარესიაო და ა.შ. ერთ-ერთ ჰიმნში ნახსენებია ქალი, რომელსაც უნარი გააჩნდა ღამით, ქმართან ალერსის დროს, გამოეტყუა მისგან სხვადასხვა დაპირებები და საჩუქრები. ამ ტექსტების გარჩევა საშუალებას იძლევა საინტერესო დასკვნა გამოტანოთ : ვედების დროს ქალი მეტად აქტუალურ როლს თამაშობდა სექსუალურ კავშირში, ეს გარემოება კი დღემდე უყურადღებოდ იყო დარჩენილი. ამასვე მოწმობენ ცნობილი „სიყვარულის თილისმები“ მაგიკური საშუალებები, რომლებსაც ხშირად იყენებდნენ ქალები ამორჩეულის გულის დასამორჩილებლად, მისგან ღალატის თავიდან ასაცილებლად და ა.შ. როდესაც ისინი ცდილობდნენ განეიარაღებინათ თავიანთი მეტოქე ქალი, მათი ჯადო-თილისმის ენა და შელოცვები აღსავსე იყო უსაზღვრო ზიზღით. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება, მარტო მეტოქე ქალი, რომელსაც მის ქმართან აქვს საქმე. ქალების სწრაფვამ დაამყარონ უკანონო კონტაქტი მამაკაცთან, გამოხატულება ტექსტების პოვა იმ ნაწილშიც, სადაც მაგალითად აღწერილია, რომ ერთ-ერთი წესჩვეულების შესრულებისას შემწირველის ცოლს მის საყვარლებთან ურთიერთობის გამო სხვადასხვა კითხვებს უსვამდნენ. ყურადღებას იპყრობს ტექსტებში ისეთი ფაქტებიც, როცა გაუთხოვარი ქალიმვილები ნაირ-ნაირად ჩაცმულები, ცდილობენ იპოვონონ საქმრო, ან საყვარელი. როდესაც ვედები იქმნებოდა იმ პერიოდში, ქმარის თავისუფალი ამორჩევა შეზღუდული იყო, მაგრამ არც თუ ისე, როგორც მოგვიანებით, როდესაც განმტკიცდა პატრიარქალური ოჯახი და მასთანვე ოჯახისა და საკუთრებისადმი დამოკიდებულება.

ეკონომიკური და საზოგადოებრივი გავლენის ზრდამ თანდათან აიძულა ქალები უარი ეთქვათ უფლებებსა და მოთხოვნებზე. ერთი სიტყვით არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურა, ასახავს მაშინდელი საზოგადოების ცხოვრების დამახინჯებულ სურათებს, ვინაიდან იგი ძირითადად წარმოადგენს ბრაჰმანთა,

რიცხოვრებად მეტად უმნიშვნელო კასტის შემოქმედების ნაყოფს, ასევე სხვათა არაბრაჰმანული წრეებისა, მაგრამ ყოველთვის მამაკაცთა, (ამიტომ თვით კლასიკური) იურიდიული დოკუმენტების (შასტრების) საფუძველზეც კი, რომლებშიც ხშირად ქალის ცხოვრება პირუტყვის დონეზეა დაყვანილი, საბოლოო დასკვნის გამოტანა მეტად ძნელია. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ქალის მდგომარეობამ ინდოეთის საზოგადოებაში ათას ხუთასი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: „მამაკაცების მადევარი ქალები“ რომლებიც ბოროტად წყევლიდნენ თავიანთ მეტოქეებს და ამავე დროს უწესრიგო სქესობრივ ცხოვრებას ეწეოდნენ, ისინი გადაიქცნენ მოკრძალებულ წმინდა წამებულებად. ისინი „სასაფლაოსკენ“ მორჩილად მიჰყვებოდნენ განსვენებულ ქმარს, რომელიც მშობლებმა მას ჯერ კიდევ ბავშვობაში საქმროდ ამოურჩიეს. ასეთი ცოლები ცეცხლზედაც იწვავდნენ თავს /სატის წესი მთ.ნ.კ./, რის შესახებაც ზოგჯერ ლაპარაკია პრესაში, როგორც დეგენერაციასა და საოცარ სიმახინჯეზე.

ძველ ინდოეთში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა „საზოგადოების ქალს“, გარყვნილი ქალის (კურტიზანის) წინამორბედებს, რომელიც ინდოეთში საშუალო საუკუნეებში, მაღალი საზოგადოების ატმოსფეროში ქალაქისა და მეფის „მშვენებად“ იქცნენ და დაიკავეს რა ტაძრებში მტკიცე ადგილი, ისინი ღმერთებს დიდ ნეტარებას ანიჭებდნენ, უფრო სწორად ქურუმებს, რომლებიც ღმერთების მომლოცავების როლში გამოდიოდნენ. ისინი ნებდებოდნენ მომლოცავთა სურვილს, რომლებიც ქალის ალერსითა და რელიგიური ექსტაზისაგან თავდავიწყებულნი, უხვად ასაჩუქრებდნენ ტაძარსა და მის ერთგულ მსახურებსაც. ასეთივე როლი, თუმცა არც თუ ისეთი მერკანტული მიზნით, შეეძლო ეთამაშა ქვრივ ქალსაც, რომელიც ბუნებრივია, მოხუც ქალად არ უნდა წარმოვიდგინოთ. მრავალი რელიგიურ ტექსტები მოგვითხრობენ, გაკიცხული ქვრივი ქალის გაუმადღრობასა და ჟინიანობაზე. ასეთ ქალს, კურტიზან ქალებზე მეტად შეეძლო, განსაკუთრებით უძველეს დროში, როცა იგი ძალზე თავისუფალი იყო, „საუკეთესო ოჯახების“ ყმაწვილკაცებისათვის, მათი გულის მოგების მიზნით, ხანგრძლივად ეცქირა თვალებში, და თან საყოველთაო ყურადღების მიპყრობის გარეშე.

პირველ ათასწლეულში ჩვენს ერამდე, დაახლოებით ყველაზე ადრინდელი უპანიშადების შექმნამდე, იწყება განვითარება მოძღვრებისა, რომელიც საფუძვლად დაედო უგვიანესი პერიოდის ინდურ ეროტოლოგიასა და სექსოლოგიას. რა თქმა უნდა ამ მოძღვრებას რელიგიური წრეები აღტაცებით არ შეხვედრია. თუმცა მისი მთლიანი უარყოფაც არ შეიძლება, ვინაიდან იგი მეტად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზოგიერთი ვედური წესჩვეულებების ელემენტებთან. ისევე, როგორც განაყოფიერებისა და გამრავლების საკითხებთან, რომელთაც თანდათან სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს მოძღვრება ინდოეთში არასოდეს არ ყოფილა აკრძალული. ადრინდელი უპანიშადების პერიოდში, ეროტიკული შეგნება უკვე თანდათან წინ იწევს, ჩამოყალიბებული სისტემის სახით. შემდგომ ხდება აღიარება, ამ სფეროში ყველაზე დიდი ავტორიტესა შვეტაკეტუსი, რომლის შესახებაც საბარი იყო წიგნის თავში - „ბრაჰმანიზმიდან ჰინდუიზმამდე“.

ერთდროულად ამავე უპანაშიდეებში გამოსახულება პოვა ცხოვრების ბრაჰმანული აღქმის სხვა მნიშვნელოვანმა კონცეფციამაც, რომელიც დიდხანს ახდენდა გავლენას

ძველი ინდური საზოგადოების განვითარებაზე და შექმნა ხელსაყრელი მდგომარეობა სქესობრივი ცხოვრების კულტურის განვითარებისათვის. ეს არის კონცეფცია ცხოვრების ოთხი ეტაპის-აშრამების შესახებ, რომელიც უნდა გაეგო ყველა „ორჯერ დაბადებულს“ (დეიჯა, და პირველ რიგში ბრაჰმანს. ამ ეტაპის ხასიათი შემდეგნაირად განისაზღვრებოდა: ნამდვილი ცხოვრება იწყებოდა განდობიდან ე.ი. იმ მომენტიდან, როცა სულიერი მოძღვარი - გურუ (მასწავლებელი) დაწესებული წესჩვეულების შესრულების შემდეგ „დვიჯზე“ წმინდა წელზე ზონარს გაუკეთებდა. წმინდა ზონარი განსხვავდებოდა იმის მიხედვით თუ რომელ კასტას განეკუთვნებოდა დვიჯაც და შემდეგ აცნობდა მას უმაღლეს კასტის ერთერთის წესჩვეულებებს. ამ გზით ახალგაზრდა „მეორედდაბადებული“ (დვიჯა) ხდებოდა, თავისი კასტის სრულყოფილებიანი წევრი, მთელი თავისი პრივილეგიებითა და მოვალეობებით. ყმაწვილი - მოწაფე (ბრაჰმაჩარინი) თავისი მოძღვარის ოჯახში ცხოვრობდა და სწავლობდა (რა თქმა უნდა ზეპირად) ვედურ ტექტებს ან ვედანგებს. ამავე დროს იგი ეწეოდა მკაცრ და ზომიერ ცხოვრებას, რომელშიც იგულისხმებოდა სქესობრივი სურვილის თითქმის მთლიანი დათრგუნვა. როდესაც იგი სრულ ცოდნას შეიძენდა, მამისეულ ოჯახში ბრუნდებოდა, ქორწინდებოდა და ხდებოდა მამასახლისი (გრიჰასთჰა) - თავის თავზე იღებდა მამის მოვალეობებს, რაშიც უპირველეს ყოვლისა იგულისხმებოდა ღმერთების და წინაპრებისათვის შესაწირის განუწყვეტლად მოტანა და მის კასტაში დაწესებული მტკიცე წესჩვეულებების შესრულება. იმ ასაკში, როდესაც თმაში პირველი ჭაღარა გაჩნდებოდა და უკვე უხაროდა შვილიშვილები (თავისი ვაჟიშვილების ვაჟები), რომლებიც გვარის საიმედო გამგრძელებლებს და დოვლათიანობის უზრუნველმყოფელს წარმოადგენდნენ, იგი უნდა წასულიყო სახლიდან და განმარტოებულიყო ტყეში (მარტო ან ცოლთან ერთად), სადაც განდევილი (ვანაპრასთჰა), მონანიებასა და გონებაჭვრეტას ეძლეოდა, ცდილობდა თავისი ფიქრები და სული ცოდვებისგან განეწმინდა. საბოლოოდ ხანდაზმულ ასაკში მას ტყის სამყოფელი უნდა მიეტოვებინა, რათა მთლიანად გაეწყვიტა მიწიერ სამყაროსთან კავშირი, უარი უნდა ეთქვა როგორც ამქვეყნიურზე, ასევე რელიგიურ მოვალეობებზე და მოხეტიალე ბერად უნდა დაემთავრებინა თავისი სიცოცხლე.

ცხოვრების ოთხ ეტაპზე ბევრი დაიწერა, ასევე დიდი ხანია სჯა-ბაასი მიდის აშრამის მოძღვრების წარმოშობისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის შესახებ. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს სისტემა წარმოადგენდა იდეალს, რომლის მისაღწევად ილტვოდნენ „ორჯერდაბადებულთა“ (დვიჯა) უმრავლესობა. მრავალი ყმაწვილი ამ სწავლებას საერთოდ არ გადიოდა და აშკარად ყმაწვილების უმრავლესობა სიკვდილამდე მამასახლისებად რჩებოდნენ. მიუხედავად ამისა, რომ მოძღვრება აშრამების შესახებ ჰინდური საზოგადოების სულიერ განვითარებაში მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. აშკარაა, რომ ცხოვრების ოთხ ეტაპად დაყოფა საკმაოდ ზუსტად შეესატყვისება ადამიანის სიცოცხლის ფიზიოლოგიურ ციკლს და მთლიანად უპასუხებს მას (თუმცა ზოგჯერ ძალიან თეორიულად) სხვადასხვა ასაკში ადამიანის ძალისა და უნარის სწორ გადანაწილებას. იქმნებოდა ხელსაყრელი მდგომარეობა იმ შესაძლებლობის განვითარებისათვის, რომლებიც ქვეყნის სხვა კულტურულ მხარეში ძირითადად გამოუყენებელი რჩებოდა. ამ სისტემის უპირატესობამ უპირველეს ყოვლისა გავლენა მოახდინა სწორედ ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაზე. მართებულ მოთხვნად ითვლებოდა, მაგალითად, სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავება, ორგანიზმის ზრდისა და არასაკმარისი ფიზიოლოგიური

სიმწიფის პერიოდში, რაც დაკავშირებულია მკაცრ დისციპლინასთან, რათა დაგროვილი ენერჯია გონივრულად დაიხარჯოს სწავლაზე და ა.შ. ასევე ასკეტური ცხოვრება შეესაბამება ღრმა მოგვიანებულ (გვიან) სიბერეს, როდესაც სქესობრივი ფუნქციის ბუნებრივი გამოფიტვის მომენტი დგება დ.შ. ჩვენ რა თქმა უნდა, პირველ რიგში გვინტერესებს მამასახლისობის პერიოდი ე.ი. სქესობრივი აქტიურობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი. უგვიანესი ჰინდური ეროტოლოგია მას ძირითად ყურადღებას უთმობდა. მასში მთელი მოცულობითაა განხორციელებული სამი მიზნის იდეა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. აშრამების კონცეფციაზე აგებულ ინტენსიურ ოჯახურ და სქესობრივ ცხოვრებაში, შეინიშნება იმპულსი, რომელიც ხელს უწყობს განვითარებას ისეთი ეროტიკისა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიასი არ მოიპოვება.

მაგარმ, დაუბრუნდეთ ეროტიკულ მოტივების ექსკურს ინდურ რელიგიაში. ქრისტეს წელთაღრიცხვამდე უკანასკნელი რამოდენიმე ასეული წლები, დიდი ხალხური ეპოსების შექმნის პერიოდს წარმოადგენდა. ერთი სიტყვით ინდურ ეროტიკულ თემატიკაზე მსჯელობა ნიშნავს თავით გადავარდნას მდინარეში, რომლის სიღრმე, სიჩქარე და ქვიანი ფსკერი უცნობია. იგივე შეიძლება ითქვას პურნანებზეც : მათი შესწავლა ჯუნგლებში ხეტიალს მოგვაგონებს. შესაძლებელია ინდოლოგებს, მომავალში ესოდენ დიდი სამუშაო არ ელოდება, როგორც ჰინდური მიმდინარეობის ძირითადი ორთოდოქსული წაყაროების შესწავლისას. რადგან სწორედ ამ მიმდინარეობის ნაპირებზე გაიფურჩქნა მრავალფეროვანი ინდური კულტურა, მთელი მისი სიმშვენიერით, ფერებისა და ელფერის სიმდიდრით. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს „მაჰაბჰარატიდან“ რომელიც როგორც იტყვიან გაჟღერებულია პრობლემატიკით, რათა გავიგოთ, მოგვიანებით, თუ რატომ ვხვდებით ჰინდუიზმის რელიგიურ სფეროში სექსუალურობის ესოდენ სწრაფ განვითარებას, მისი გამოვლინების უმაღლეს ფორმით.

პოემის, არც თუ ისე დიდი ეპიზოდების თემაა - სასიყვარულო თავგადასავლები, დიდი რიშებისა, რომლებიც ამ მხრივ არ ჩამორჩებიან ავხორციან ღმერთებს, რომელთა ვნებიან თვალებს ვერ გაექცევა ვერც მიწიერი და ვერც ღვთისნიერი მზეთუნახავი. მეტად მკვეთრია სხვაობა მათი შედარებისას ვედური პანთეონის ღმერთებთან. ასე მაგალითად, პოემაში მოთხრობილია, რომ რიში ბრიჰასპატიმ ძალა იხმარა ძმის ცოლზე, როცა ქალი გულის ქვეშ ატარებდა შვილს, რომელიც თითო ვედების უდიდესი მცოდნედ უნდა დაბადებულიყო, მუცელში ყოფნისას, მანა ხელი შეუშალა რიშის თესლის შეღწევას დედის სხეულში, რის გამოც ბრიჰასპატიმ დაწყევლა იგი და უწინასწარმეტყველა მას, რომ ის ბრმა დაიბადებოდა. ასეც მოხდა, ბრმა ბავშვი გაიზარდა, დაქორწილდა და გაუჩნდა მრავალი შვილი. ვინაიდან იგი თავის ცოლთან ისე ბრმად ცხოვრობდა, როგორც ცხოველი, მორწმუნეებმა მას ზურგი შეაქციეს. მაშინ დედის რჩევით შვილებმა იგი ტივით მდინარე განგაზე გაამგზავრეს. იქ იგი მეფე ბალიმ იპოვნა და თავისი ცოლი მიუგზავნა, რომ ამ სახელმოხვეჭილი წმინდანისაგან მისი ცოლი დაორსულებულიყო. ჭკვიანი დედოფალი კი არ დაიბნა და ბრმა წმინდანს თავისი ძიძა მიუგზავნა, მაგრამ მოგვიანებით იძულებული შეიქმნა მეფის მრძანებას მაინც დამორჩილებოდა. მეფის ცოლი წავიდა წმინდანთან, რომელმაც მას ერთი შეხებით ჩაუსახა ხუთი ვაჟიშვილი, რომლებიც აღმოსავლეთ ინდოეთის ხუთი საგვარეულოს პირველი წინაპრები გახდნენ.

დღწითარამტრა - ასი კაურავის მამა, რომელიც ეპოსის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურაა, ბრმაა, იმიტომ, რომ დედამისმა ამბიკამ, მახინჯ და საზიზღარი სუნის მქონე წმინდან ვიასთან სქესობრივი ქტის დროს თვალები დახუჭა. ხუთი ძმა - პანდავების მამამ - პანდუმ, ერთხელ ნადირობისას ორი ჯეირანი მოკლა. რიშიმ ჯეირანის სახე მიიღო, რათა სიყვარულით დამტკბარიყო, სიკვდილის წინ დაწყევლა პანდუ და მას უწინასწარმეტყველა, რომ ის უკანასკნელი სქესობრივი აქტის დროს მოკვდებოდა. რიშის წინასწარმეტყველება ასრულდა. უფრო საინტერესოა, რომელიც მოგვითხრობს თუ რომელიღაც მეფის ცოლმა ღვთის განგებით, როგორ იცხოვრა ქმრის გვამთან, რის შედეგადაც მას შვიდი ვაჟიშვილი შეეძინა. ამგვარი ეპიზოდების რიცხვი უსასრულოა, ამიტომ ჩვენ შევჩერდეთ ეპოსის მხოლოდ ყველაზე მთავარ გმირებზე. ამ ნაწარმოებში ასევე უხვადაა წარმოდგენილი ასკეტური თემაც. მკაცრი მონანიების გამო, რომელიც უკიდურეს თვითწამებაში გადადის, ასკეტებს უჩნდებათ ზებუნებრივი ძალა, საშიში თვით ღმერთების არსებობისთვის. თუმცა ღმერთებს შეეძლოთ საკუთარ თავზე თვითონ ეზრუნათ. ისინი დედამიწაზე გზავნიან ერთ - ერთ თავის ზეციურ მზეთუნახავს, რომლის გასაოცარი გარეგნობა და იშვიათი ჯადოსნურობა ატყვევებს ასკეტს, ასუსტებს და ართმევს სულიერ ძალას, რომელიც მან დიდი წვალებით შეიძინა. ამდაგვარ ამბებს უხვად ვხვდებით პურანებშიც.

ინდოეთში ასკეტიზმი ყოველთვის მტკიცედ იყო დაკავშირებული სექსის სფეროთან. სქესობრივი ცხოვრებისგან აბსოლუტური თავშეკავება ზებუნებრივი ძალების დაუფლებად ითვლებოდა. წარმოდგენილი ეპოსისა და პურანებში განდევნილები, წმინდანები, რომლებიც სრულიად განმარტოვებით ცხოვრობდნენ, იშვიათი სიმტკიცის მქონენი არიან, გარემოსადმი უგრძნობელნი, ქედმაღალნი და თვითდარწმუნებულნი. ისინი მუდამ ამაყობენ თავისი ასკეტიზმით და ძალიან გამომწვევად იქცევიან. ეპოსში, უკვე პირველად ვხვდებით ეროტიკული ტექნიკის დაწვრილებით აღწერას, ამ ტექნიკას დაუფლებული მომხიბვლელი ქალიშვილები ასკეტებს აცდუნებდნენ ჭეშმარიტ გზიდან. მაგრამ იქ, სადაც ლაპარაკია უბრალო მოკვდავთა სიცოცხლესა და ბრძოლაზე, მეტად იშვიათად ვხვდებით სპეციფიური ეროტიკული მომენტები, რაც ლეგენდებში ესოდენ ჩვეულებრივი მოვლენაა ღმერთებსა და რიშებს შორის. ავიღოთ თუნდაც შივასა და რუდრანის გასაოცარი შეუღლების ამბავი: ღმერთების თხოვნით, რომლებსაც ეშინოდათ ძლიერი მემკვიდრე არ გაჩენილიყო, შივამ თავისი თესლის გადმოფრქვევისაგან თავი შეიკავა, მაშინ დაუკმაყოფილებელი რუდრანი განრისხდა, ყველა ღმერთი დაწყევლა (აგნის გარდა, რომელიც იქ არ იმყოფებოდა) და უშვილოებად აქცია. აქვე აღწერილია აგნის სასიყვარულო თავგადასავალი ექვსი წმინდანის ცოლებთან და სვაჰისტან, რომელიც მათში განსხეულებულია იმისათვის, რომ უფრო დატკბეს საყვარელ ღვთაებასთან ფიზიკური სიახლოვით და ა.შ.

ეპიკური და პურანული შემოქმედების მთელი სფერო დღემდე მკვლევართა ყურადღების გარეშეა. ეპოსი და პურანები იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე და თითქმის მოსახლეობის ყველა ფენის ძალების მონაწილეობით. ეს ფენები კი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავის ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული მდგომარეობით. შემდეგ თითქოს შეუმჩნევლად ცნობილი ბრაჰმანული და არაბრაჰმანული სისტემების გვერდით, ჩვენს წინაშე იშლება რელიგიური სახეების ახალი, საიდუმლო სამყარო. მრავალი საუკუნეების შემდეგაც, ჩვენ კვლავ ვხვდებით

ლინგამის კულტს, რომელიც ჯერ კიდევ ცნობილი იყო პროტოინდურ კულტურაში. შივა აქ კულტის ცენტრია, და ფალოსის ღვთაების სახით გვევლინება. პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს აგრეთვე კრიშნა („შავი“) - და არაარიული მოსახლეობის რელიგიური ტენდენციის სხვა განსახიერებანი. არაარიული მოსახლეობა კი ყველაზე ცნობილი ეროტიკული ტრადიციების მატარებელი იყო. უფრო გვიანდელ კულტურულ სამყაროში, სადაც არაარიული კულტურული სუბტრატის გავლენა რელიგიური ეროტიკის განვითარებაზე, კიდევ უფრო ძლიერდება. ეს იმაში გამოიხატება, რომ შავი ფერი ინდოეთში სიყვარულის ფერია. უკანასკნელ საუკუნეებში, ჩვენს ერამდე, შეიმჩნევა განვითარება მთელი რიგი რელიგიური და საზოგადოებრივი დისციპლინებისა, რომელიც აღმოცენებულია მოგიერთი ვედური პერიოდის სკოლების მოძღვრებიდან. წინა პლანზე ხდება წამოწევა იმ მეცნიერებისა, რომელმაც მანამდე მთლიანი აღიარება ვერ ჰპოვა - ადამიანის სიცოცხლის „სამი ძირითადი მიზნის“ შესახებ, რომელსაც „ტრივარგა“ ეწოდება.

პირველი მიზანი აღინიშნება სიტყვა „დრაჰმათი“ და მოიცავს ფართო სფეროს რელიგიური და საზოგადოებრივი მოვალეობების ძირითად საზნეონორმებს, რომელთა რეალიზაცია რელიგიისა და ეთიკის სფეროში წარმოებს.

მეორე მიზანია „ართჰა“, ვრცელდება იგი ყველაფერზე, რაც დაკავშირებულია სარგებელსა და გამორჩენასთან საზოგადოებრივი ცხოვრების ჩარჩოებში, და ბოლოს მესამე „კამა“, რომელიც გულისხმობს იმას, რაც სხეულს მთლიან კმაყოფილებას ანიჭებს, უპირველეს ყოვლისა სქესობრივ სიყვარულს.

ერთი შეხედვით ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოძღვრება „ტრივარგის“ შესახებ ეხება მხოლოდ „მამასახლისებს“ ე.ი. „ორჯერდაბედებულებს“, რომლებიც ეწევიან ამქვეყნიურ მაღალ საერო ცხოვრებას, მაგრამ „ტრივარგა“, რომელიც წარმოადგენს ადამიანის არსებობის სამი ობიექტური სფეროს შერწყმას, უფრო ნაკლებად სქემატურია, ვიდრე იგი ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. აღსანიშნავია, რომ ადრინდელ ვედურ ტექსტებში „ტრივარგა“ სრულებით არაა ნახსენები. ჩვენთვის უცნობია როდის წარმოიშვა ეს მოძღვრება, მან უთუოდ, დიდი გზა გაიარა იმისათვის, რათა ის არიარებული ყოფილიყო, „ვედების“ ორთოდოქსალური რელიგიური დოქტრინის თვალსაზრისით.

„დჰარმის“, „ართჰასა“ და „კამის“ ტრიადა ნახსენებია უფრო გვიანდელ ტექსტებშიც. ჩვენ ვხვდებით მას ეპოსში, მაგრამ „მოქალაქეობრივ უფლებას“ იგი ღებულობს მხოლოდ პურანებსა და შასტრებში, ე.ი. პირველ საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვით. კლასიკურ სანსკრიტულ ლიტერატურაში მოძღვრება ტრივარგის შესახებ აქსიომას ემსგავსება. აქედან შეიძლება დასკვნა გაკეთდეს, რომ მისადმი ყველაზე დიდ ინტერესს იჩენდნენ „მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები - ბრაჰმანები, ან კიდევ ის ვინც მათგან, ტაძრის ქურუმებსა და მათი სკოლების ვიწრო წრის გარეთ იმყოფებოდა, ან კიდევ ის, ვინც სხვა დანარჩენ „ორჯერ დაბადებულთან“ ერთად ინდოეთის არიული მოსახლეობას), უკვე არიული კასტური სისტემის თანახმად) ძირითად მასას შეადგენდა“.

უფრო დაწვრილებით, ცნობები დრაჰმის შესახებ მოიპოვება მრავალრიცხოვან

კრებულებში - დაპრეზიდენტებში, სადაც დეტალურადაა მოცემული ყველაფერი, რაც ეხება ცალკეულ კასტების წევრთა რელიგიურ და საერო მოვალეობას. ამიტომ ზემოაღნიშნული კრებული წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ძველი ინდური საზოგადოებისა და რელიგიის შესასწავლად. ტრივარგას ტექსტებს საფუძვლად უდევს ოფიციალური ბრაჰმანული დოქტრინა და ამ ტექსტების უმრავლესობა ამ დოქტრინის მხოლოდ შინაარსს გადმოსცემენ, ისეთნაირად, რომ იგი გამოსადეგი ყოფილიყო სხვადასხვა პირობებსა და გარემოში. მრავალი მიწერილობები და სეგნებანი (დარიგებები) მოცემული ძველ ინდურ იურიდიულ წყაროებში (განსაკუთრებით საოჯახო უფლებების და ყოფაცხოვრების წესრიგის ნორმების სფეროში) დღემდე შემორჩენილია ჰინდუიზმში.

ჯერ კიდევ ძველთაგანვე ინდოეთში ოჯახური ცხოვრება გულისხმობდა რელიგიურ და საერო საზოგადოებრივი მოვალეობების აუცილებლობას. ქორწინება ყველა დროსა და პერიოდში პირველ რიგში ეკონომიური და საზოგადოებრივი ფაქტორებით იყო ნაკარნახევი. მის მთავარ მიზანს შვილების დაბადება და რელიგიური წესების შესრულება შეადგენდა, თუმცა ამ მოსაზრებაში იმალებოდა უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიური და საზოგადოებრივი მოტივები (გვარის შენარჩუნება და ამით ქონების გაგნუყოფელობა მამაკაცის მხრიდან მემკვიდრეობითი სისტემის შესაბამისად და ა.შ.) ამრიგად, ქორწინება წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრეს აქტს ძველი ინდოეთის საზოგადოების ცხოვრებაში, და იურიდიული ტექსტების თანახმად, სიწმინდის ერთადერთ სახედ, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ქალებისათვის. ამიტომაც ყოველივე რაც ქორწინებას ეხებოდა, მორთული იყო საზეიმოდ და მას თან ახლდა მრავალი რთული წესჩვეულება, უქორწინობა კი ურჯულობად და უბედურების მომტან ფაქტად ითვლებოდა, დღემდე ჰინდუიზმში ცელიბატი (თუ ეს ასკეტის ცელიბატი არაა) დღემდე მკაცრად უარყოფით შეფასებას, და ქალებისათვის თითქმის შეუძლებელია.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავიხედოთ „ინდური სექსის“ პრობლემატიკაში, რომლის ამოსავალი წერტილიც უნდა იყოს იმის დამტკიცება, რომ ოჯახური ცხოვრების მიზანს არ წარმოადგენს სქესობრივი დაკმაყოფილება. ოჯახური ცხოვრების ფორმების წარმოქმნა, რომლებიც ნაკარნახევი იყო ეკონომიურ-სოციალური პირობებით, ზოგჯერ თითქმის გამორიცხავდნენ ვნების დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით ისეთ წყვილებში, რომლებიც ერთმანეთთან ბავშვობიდან იყვნენ შეუღლებულნი, მაგრამ ერთმანეთს პირველად, საქორწილო რიტუალის შესრულებისას ხვდებოდნენ. მეცნიერებას ეროტიკის შესახებ კი ამგვარი წყვილის სქესობრივი შეუღლებისას შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა.

რათჰა ეხებოდა ისეთ საშუალებებს, რომლებიც ცხოვრებაში უზრუნველყოფდა წარმატებას და მატერიალური დოვლათის დაგროვებას ჰჰვანი, მოქნილი და თანამედროვე მოქმედების გზით. თუმცა ეს მოძღვრება, ქვეყნისა და ადამიანის შესახებ, ბრაჰმანულ კონცეფციას ემყარებოდა, მისი ზოგადი მიმართულება მაინც მხოლოდ მაღალ საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად არც ერთი საშუალება ცუდი არ ითვლებოდა, თუნდაც ამის საშუალების გამოყენება რელიგიის უხეში შერყვნაც რომ გამოეწვია, შესაძლებელია, რათჰას მოძღვრება დამუშავებული იყო მეფის კარისა და ქალაქის მაღალი საზოგადოების პრაქტიკის საფუძველზე ე. ი. იმ საზოგადოებისა, ადამიანები, რომლებიც უფრო აფასებდნენ

განსაზღვრულ, მაგრამ ამქვეყნიურ სიკეთეს, ვიდრე სიკვდილის შემდგომ საექვო დაჯილდოებას.

ართჰას მოძღვრებაში სერიოზული ყურადღება ეთმობოდა მბრძანებელს, მის მოვალეობასა და უფლებებს, საერთოდ კარის ცხოვრებას. ამ ტრაქტატებში ჩვენ ვხვდებით მეტად დიდაქტიკურ პასაჟებს პროსტიტუციის შესახებ, რომელიც ძველ ინდოეთში საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, ამასთანავე დაწვრილებითაა ლაპარაკი აგრეთვე ოჯახურ ცხოვრებაზე, მისი საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე.

მეცნიერისათვის დღემდე შეუსწავლელ საკითხს წარმოადგენს სატამარო პროსტიტუცია. ამის შესახებ ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა, რომლებიც უძველეს პერიოდს ეკუთვნის.

ღმერთების მოახლოების (ტამრის მომსახერე მოცეკვავე ქალების) ანუ „დევადესების“, შესახებ პირველად ნახსენებია სხვადასხვა წარწერებში. ძალიან მალე, აშოკას მეფობის შემდეგ ე.ი. დაახლოებით II საუკუნეში ჩვენს ერამდე, ან უფრო გვიანდელი პერიოდს, დიდად დამაჯერებელი საბუთები „ტამრის მოცეკვავეებზე“, (როგორც მას საერთოდ უწოდებენ) არ არსებობს. ამიტომ მიჩნეულია, რომ საშუალო საუკუნის პერიოდში როცა ამ ინსტიტუტმა დიდ განვითარებას მიაღწია, დევადასების რიცხვი საკმაოდ მცირე იყო. ბუნდოვანი რჩება ის, თუ რამდენად შეესატყვისება ეს თვალსაზრისი მდგომარეობას ქვეყნის სამხრეთში, სადაც რელიგიური პროსტიტუცია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ორგიული ცეკვები ველური წესჩვეულებების შესრულებისას, რომლებიც ძველ ტამელთა შორის განაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული; მდიდრული საჩუქრები მიძღვნილი მოცეკვავეებისადმი, რაზედაც მეტყველებენ მრავალრიცხოვანი წარწერები და თვით პროსტიტუცია საშუალო საუკუნეების სამხრეთის ზღაპრულად მდიდრულ ტამრებში, იმას მოწმობენ, რომ დრავიდულმა ინდოეთმა, ინდური ეროტიკის განვითარებაში არა მარტო ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა, არამედ ბევრ მხრივ ხელს უწყობდა რელიგიის სფეროში სექსუალური ტენდენციების წარმოშობასა და აყვავებას, მხოლოდ ძნელია იმის დადგენა თუ როდის და რამდენად.

აქედან გამომდინარეობს, რომ ეროტიკულ პრობლემატიკას საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა ლიტერატურულ შემოქმედებაში. ძველ ინდოეთში, სადაც სექსს, უთუოდ ის როგორც არსად დედამიწაზე, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადამიანის ქმედების სხვა სფერო. რამდენადაც ამ საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობოდა, თუმცა გაბატონებული რელიგიური მოძღვრების ჩარჩოებში, ამდენად ყველა პირობა შეიქმნა მისი განვითარებისათვის. ეროტიკა, როგორც საკმად აღიარებული რამ - საზოგადოების მიერ, წარმოადგენდა აუცლებელ ვედურ დისციპლინას, რომელიც სხვებთან ერთად შედიოდა ინდური საზოგადოების სოციალურ ეკონომიკური იდეების სისტემაში. წმინდა რელიგიური ტექსტების ავტორებიც კი, რომლებიც მკაცრი პურიტანები იყვნენ, არ უარყოფდნენ ფიზიკურ სიყვარულს და მიაჩნდათ ადამიანის ქმედების სრულიად / რა თქმა უნდა, მამასახლისებისა და ერისკაცთათვის ბუნებრივ მხარედ. / ამიტომ „ტრივარგას“ მოძღვრების უკანასკნელი ნაწილიც, კამა, დამუშავებულია მრავალრიცხოვან დარიგებებსა და სახელმძღვანეოებში. ინდოეთში ეროტიკა არასოდეს არ განიხილებოდა, როგორც ცხოველური ინსტინქტების უბრალო დაკმაყოფილება, არამედ

იგი განიმარტებოდა, როგორც უაღრესად კულტივირებული ურთიერთდამოკიდებულება, რომლის მიზანიც იყო ორივე პარტნიორთა (ქალის და მამაკაცის) უსრულყოფილესი კმაყოფილება. ამ ტრადიციამ თავისი დასრულებული გამახატულება ჰპოვა კლასიკურ პერიოდშიც.

პირველი საუკუნეები ინდოეთში ჩვენ წელთაღრიცხვით აღინიშნებოდა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობით. ინდოეთის ისტორიაში „ოქროს ხანა“ ნიშნავდა მხოლოდ წინა ეტაპის განვითარების დასრულებას, ჰინდუიზმის აყვავების ხანა, გუფტების დინასტიის ბატონობის წლებში, წარმოადგენდა სწორედ დიდი სიმფონიის უკანასკნელ აკორდს. ჩვენ ვუსმენთ მუსიკას, მისი პარტიტურაც ხელთა გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ უნარი არ შეგვწევს გავარჩიოთ მისი ცალკეული ნოტები.

გარემო, რომელშიც კლასიკური ინდური კულტურა ყვაოდა, საკმაოდ კარგადაა ცნობილი. მდიდარი რაჯების, მბრძანებელთა მშვენიერი რეზიდენციები, მზარდი სავაჭრო ქალაქები იქცეოდნენ ცენტრებად, სადაც ხედებოდა კულტივაცია არა საჩვენებელი წესჩვეულებებისა, ან გონებაჭვრეტითი ფილოსოფიისა, არამედ ხელოვნებისა და მეცნიერებისა, რომლებიც ამდიდრებენ და ამშვენებენ ადამიანის ცხოვრებას.

ადამიანი, რომელიც თავის წუთისოფელს ფუფუნებასა და უმოქმედობაში ატაებდა წარმავალი ბედნიერების ყოველი წუთით და მას არ აღაფრთოვანებდა ბრაჰმანების მსხვერპლის მოტანა, რადგან იგი მეტისმეტად იყო მიჩვეული დროსტარებასა და კომფორტს, რაზეაც არ იტყოდა, უარს ვედურ ბრძენთა ღრმა, შინაარსიანი გონებაჭვრეტის გამო. არ იტაცებდა მას არც წარსული ომების გაწელილი აღწერა, არ აოცებდნენ მას ლეგენდები საიდუმლო ღვთაებისა და ზეციური წმინდანების შესახებ, არც თქმულებები მკაცრ ასკეტებზე, რომლებიც მონანიებასა და თვითგანადგურებისაკენ მოუწოდებენ. ქვეყნის ახალ დამპყრობს თავის ჭკუაზე უნდოდა ეცხოვა. მას უყვარდა და იტაცებდა სხვა შემოქმედებითი მანერა, მოწონდა მოკლე ლექსები, რომლებშიც უხვად იყო გონებამახვილური შენიშვნები და სწორი დაკვირვებები, ასეთი კექსის ფორმა უკიდურესად დამუშავებული და დახვეწილი იყო. გურმანს შეეძლო დამტკბარიყო ამგვარი ქმნილების წვრილმანით.

კარგი ლექსის შემქმნელი კეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაოსათვის უხვად ჯილდოვდებოდა: კომუნიკაცია მას აიძულებდა მუდამ შემოქმედებით ძიებაში ყოფილიყო, შეექმნა უფრო სრულყოფილი ლექსები, ვინაიდან ფორმის უმწიკველობა - ეს იყო ის, რასაც მოდა პირველ რიგში მოითხოვდა. ყოველივე იქმნებოდა არა ბრბოსთვის, არამედ პირიქით, შემოქმედი თვითონ აგებდა თავის მომავალი ქმნილების ირგვლივ რთულ და დახვეწილი ფორმის ზღუდეებს. ამენებდა ბაღს, რგავდა და ავსებდა მას იკლიკანტური ორნამენტებით.

მას არც ერთი ბგერა დაუმუშავებელი არ რჩებოდა, არც ერთი ხმოვანი არ იყო გამოუყენებელი. შემოქმედების ნებასურვილი მეცენატების მოთხოვნებს უნდა დამთხვეოდა, ამიტომ მისი ნაწარმოებები ფესვებს იდგამდნენ ღრმა ნიადაგში.

ინდოეთის კლასიკური პერიოდისა რელიგიურ სამყაროს გააჩნდა თანამედროვე

ჰინდუიზმის ყველა დამახასიათებელი ნიშანთვისებები. რაც გამოიხატებოდა როგორც ღმერთების, ნახევარღმერთების, დემონების და სხვა ზებუნებრივი არსებობის საოცარად მრავალფეროვანი პანთეონის არსებობაში, აგრეთვე წმინდა მდინარეების და ადგილების, ღმერთების ერთგულ სიყვარულში, ავი საქმის დაგმობის კონცეფციაში. ჭეშმარიტი პოეტი ყოველივე ამას შემწყალებლური თვალით უყურებდა. მისი სარწმუნოება უფრო მსუბუქ სენტიმენტალურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ღვთისადმი გაცხოველებული ერთგულება.

უფრო გვიანდელ, ჩვენ წელთაღრიცხვამდე 1 ათასწლეულის დამლევის, კლასიკური პერიოდის ნაწარმოებებში ძლიერდება ეროტიკის გავლენა ლიტერატურაზე. იწყება სამყაროს შექმნის პროცესის ახლებური ახსნა, რომ ეს პროცესი წარმოადგენს ღმერთისა და ქალღმერთის ფიზიკურ სიახლოვეს, ტაძრების კედლებზე სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ქალისა და კაცის გამოსახულებები, რომლებიც ერთმანეთს ეხვევიან და ინტიმური ცხოვრების ამსახველი სურათები. ზოგიერთ ჰინდუიტურ სექტაში რიტუალური სქესობრივი აქტი, კულტის განუყოფელი ნაწილი ხდება და ითვლება მონენიებისა და მიწიერი ხლართებისაგან განთავისუფლების საუკეთესო საშუალებად. აქედან კი უკვე ერთი ნაბიჯიღა რჩება საშუალო საუკუნეების ორგიულ კულტურამდე, სქესობრივი ინსტიქტების აღვირახსნილობამდე, რაც შეინიშნება მთელ რიგ ჰინდურ სექტებში, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კასტას, სქესს ან ოჯახს განეკუთვნება, ამა თუ იმ სექტის წარმომდგენელი. რელიგიურობის თვალსაზრისით, სქესობრივი კავშირი ამ სექტებში შემავალი საყვარელ ქალღმერთთან, მიჩნეული იყო საუკეთესო მისაბამ მაგალითად.

ამგვარად იკვრებოდა წრე, რომელიც გამოხატავდა ჰინდუიზმის მიერ გავლილი გზის რელიგიის ჩასახვის პერიოდში ჩვეულებრივ ღვთისმომშიშობიდან და მსხვერპლშეწირვიდან ადამიანის ყველაზე ინტიმური პროცესების საბოლოო შერწყმამდე ყველაზე მაღალი სულის ძიებებთან. ეს იყო წრე, რომელიც ნათლად გამოხატავდა ცალკეულ ისტორიულ პერიოდს რელიგიური ციკლების წარმოშობას აყვავების და გაქრობის ეტაპებს.

თანამედროვე ჰუნდუიზმის მრავალი ასპექტი რჩება მემკვიდრედ თავისი წარსულისა, რომელსაც იგი სახეს უცვლის და საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად, უფრო სრულყოფილს ხდის. ამიტომაც ჰინდუიზმის განვითარების საწყისი სტადიის შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისა, რომ ჰინდუიზმის დღევანდელი მდგომარეობას ჩავწვდეთ, ჩვენი ამოცანაა, ასევე შევისწავლოთ ჰინდუიზმის უფრო გვიანდელი და თანამედროვე ფორმები. საბოლოო განაჩენი კი მას, მომავალში, თვით ინდოეთმა და მისმა ხალხმა გამოუტანოს.

ჯაინიზმი.

ინდური რელიგიები ძირითადად იყოფა- ორთოდოქსულურ და არაორთოდოქსულ რელიგიებად, ორთოდოქსულს განეკუთვნება ის ინდური რელიგიები, რომლებიც, თუნდაც ნაწილობრივ, დაკავშირებულია ვედურ რელიგიურ ლიტერატურასთან.

არაორთოდოქსულ ინდურ რელიგიას კი ამგვარი კავშირი არ გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მიისწარფის დაამტკიცოს ეს კავშირი ვედურ ლიტერატურასთან. არაორთოდოქსაული ფორმები ინდური რელიგიისა, უთუოდ წარმოიშვა ბევრად ადრე, ვიდრე არიელები ინდოეთის ტერიტორიაზე მოვიდოდნენ და თავისი ისტორიული თვისობრივი გამოვლინებებით, წარმოადგენდა იმ რელიგიური ტალღის გაგრძელებას, რომელიც წარმოიშვა ორთოდოქსალურ რელიგიასთან ერთად, მაგრამ, რომელსაც შემდგომ გამოეყო, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ პერიოდში, ეს ტალღა მასზე დიდ გავლენას ახდენდა.

არაორთოდოქსული რელიგიათა შორის, დღემდე, ღრმად შეისწავლებოდა ბუდიზმი, სხვა ინდურ რელიგიებს, განსაკუთრებით ჯანიზმს კი, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთისათვის ამ სარწმუნოებას უფრო მეტი მნიშვნელობა ქონდა ვიდრე ბუდიზმს, რომელმაც მოგვიანებით დიდი ზეგავლენა იქონია ბევრ სხვა ხალხთა კულტურაზე, ინდოეთის გარეთაც.

ჯაინიზმის შესწავლის მნიშვნელობა განისაზღვრება, განსაკუთრებული, ძირი თადად, რაციონალისტური კონსტრუქციით მისი ფილოსოფიური სისტემისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ქვეყნის მატერიალისტური გაგება. მგრძნობელობითი, ემოციური მხარე ჯაინიზმის ფილოსოფიაში დაყვანილია მინიმუმამდე. მთლიანობაში ჯაინიზმი შეიძლება დახასიათებული იქნას, როგორც რელიგია მონაზვნებისა, რომელთაც მეტად მკაცრი წესები ქონდათ თავიანთი მრევლისათვის, რომლებიც რელიგიური თემის განუყოფელსა და მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

ჯაინიზმისათვის უცხოა სარიტუალო წესჩვეულებები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მაგრამ მორწმუნენი ვალდებული არიან შეასრულონ არაორთოდოქსული ჰინდუიზმის ზოგიერთი წესჩვეულება.

ამ რელიგიის სანსკრიტული სახელწოდება „ჯაინა-დჰარმა“ ნიშნავს მოძვრებას მათთვის „ვინც იმარჯვებს“. ტერმინი „ჯაინი“ წარმოადგება სანსკრიტულ სიტყვა „ჯინა“-დან („გამარჯვებული“, ანუ , სხვა სიტყვით რომ ვთქვათ ის, ვინც დაამარცხა თავისი კარამა და ამით გათავისუფლდა ცხოვრების წრებრუნვისაგან - „სანსარისაგან“ მთ. ნ.კ.).

ასე უწოდებდნენ თავის თავს, ამ მოძღვრების პრველი მქადაგებლები, დიდი ჯაინი წმინდანები. თუ ამ რელიგიის მიმდევარს სანსკრიტულ ენაზე „ჯაინა-ჯაინი“ ეწოდება. ევროპულ ენაზე მათ შორის ჩეხურზე, შემორჩა ლათინური ფორმა - „ჯაინისტი“, და თვით მოძღვრების აღსანიშნავად - ჯაინიზმი. თანამედროვე ინდოეთში ჯაინები მეტად ცოტანი არიან, მილიონის არა უმეტესი ერთი მეოთხედისა ე.ი. ქვეყნის მოსახლეობის 0,4%-ზე ნაკლები. ამ რელიგიის გავრცელების მთავარი ცენტრებია რაჯუპუტანა, კათჰიავარი, კარნატიკი, მაჰარაშტრა და მადჰია პრადეში.

ჯაინიზმს ინდური კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იმ დროს როდესაც ბუდიზმი დაეცა, ჯაინიზმი უზრუნველყოფდა ინდური საზოგადოებრიობის ზნეობრივი დონის ამაღლებას, და დადებით ზეგავლენას ახდენდა კანონმდებლობასა და სახელმწიფო მმართველობაზე. მისი გავლენით აიხსნება

საშუალო საუკუნეების ინდოეთის სამოსამართლო პრაქტიკაში ჰუმანისტური პრინციპების დამკვიდრება... სერიოზული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ჯაინური მაღალი საზოგადოების ლიტერატურას (საერთოდ ლიტერატურას), სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იუმორისტულ მოთხრობებს, რომლებიც მთელ ქვეყანაში პოპულარული იყო. უდაოა მათი დამსახურებაა შემდგომ, ზოგიერთი ინდური ლიტერატურის წარმოშობაში, მაგალითად დრავიდულ ენებზე. ჯაინების სახვითმა ხელოვნებამ, აგრეთვე, დადებითი გავლენა იქონია სამხრეთ ინდოეთის ტომების კულტურულ განვითარებაზეც.

მითი და ისტორიული სინამდვილე ჯაინიზმის წარმოშობის შესახებ

ტრადიციის თანახმად ჯაინიზმი მარადიულია, იცვლება მხოლოდ ქვეყანა, მისი მკვიდრი იმყოფება კარმის გავლენის ქვეშ. თავად მარადიულობა იყოფა სულიერ აღმავლობის პერიოდად, როცა ყოველი ცოცხალი და მატერიალური სამყარო სრულყოფილი ხდება, და დაცემის პერიოდად, როცა ქვეყანას ევლინებიან წმინდა მამაკაცები (ჯინები), რომლებიც მოწოდებული არიან, რათა იხსნან ქვეყანა დალუპვისაგან. ამჟამად, ტრადიციის თანახმად ჩვენ დაცემის პერიოდის უკანასკნელ ეტაპზე ვართ.

ჯაინური მითოლოგიის მიხედვით, მთელი ამ ეტაპის განმავლობაში ქვეყანაზე ოცდაოთხი ჯინი არსებობს. ნამდვილ ისტორიულ პირად მათგან შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ უკანასკნელი - მაჰავირა, გუატამა ბუდას - უხუცესი თანამედროვე., რომლის ზოგადი სახელია ვარდჰამანა, საგვარეულო კი - „ჯნიატრიპუტრა“. იგი მიეკუთვნებოდა ქმატრიების გვარს, რომელთა ძირი რაჯპუტანებშია. ბუდისტური წყაროები გვატყობინებენ, რომ მაჰავირა „ნირგრა - ნთჰას“ სექტის მთავარი იყო და მოკვდა პავაში (ბიჰარის შტატი). პროფესორი გ.იაკობი, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა ბუდას ქრონოლოგია. მაჰავირას გარდაცვალების თარიღად ასახელებს 477-76 წლებს ჩვენს ერამდე. ოცდაათ წლამდე მაჰავირა თითქოს ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მერე ტყეში წავიდა და იქ გაატარა თოთხმეტი წელიწადი, სადაც თავის თავს მქადაგებლად ამზადებდა. იგი ოცდაათი წელიწადი ქადაგებდა და ხალს უხსნიდა თავის მოძღვრებას. იმ დროს ის ხვდებოდა გაუტამა ბუდასაც, დიდ ასკეტსა და წმინდანს მანკალიპუტას, და თუ, ბუდურ ხელნაწერებს დავუჯერებთ, მათ დიდხანს ეკამათებოდა ხოლმე.

ოცდაოთხი ჯინნი (ჯაინი) - ესენია ის, „ვინც ფონს გავიდა, „ფონის მპოვნელები“ (ტრიტჰანკარები) როგორც კი „ფონს გავლენ“, სტოვებენ მიწიერ ქვეყანას, რომელიც შერყვნილია, და მიდიან აფსოლუტურ ხსნის სამყოფელოში, სადაც თავისუფალნი არიან კარმის ხლართებისაგან და სულიერ სიმშვიდეში აგრძელებენ ცხოვრობას. ჯაინები ცნობენ აგრეთვე არსებობას ოცდაცამეტი წმინდანისა, რომლებიც არც თუ ის ძალზე ბრძენნი არიან.

მრავალი ამბები, ლეგენდები და ზღაპრები ამ წმინდანების შესახებ, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა შემდგომში, გაერთიანდა ერთ მთლიან ბუდისტურ ლიტერატურად - „ჯატაკებად“, რომელიც წარმოადგენს მოთხრობების კრებულს ბუდას

შემდგომ დაბადებაზე.

ლეგენდარულია მაჰავირას ბიოგრაფიაც და სხვა „ჯინების“ ისტორიებიც. მაჰავირას თითქოს ჰყავდა თერთმეტი მოწაფე, რომლებმაც მისი ქადაგებებიდან შეადგინეს, ჯაინური მოძღვრების სისტემატიზირებული თხზულებას, რომელიც სამოცდაორი წლის მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირად. დაახლოებით მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ჯაინიზმში მოხდა განხეთქილება და მისი პირველსაწყისი წმინდა კანონიკა თითქმის უკვალოდ გაქრა. დიგამბარების სექტის წევრები იზიარებენ იმ ვერსიას, რომ მათი (უძველესი ტექსტები მთლიანად უკვალოდ დაიკარგა. მათი მოწინააღმდეგეები - „შვეტამბარები“ შეეცადნენ თავიანთი დაკარგული კანონის აღდგენას პატალიპუტრას საღვთო კრებაზე, რომელიც შედგა, უთუოდ, მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვით. ამ მოძღვრების საბოლოო კანონიზირება მოხდა მხოლოდ V ან VI საუკუნის დასაწყისში სასულიერო კრებაზე ვალაბჰაში. მასში წარმოდგენილია ტაქსტები, რომლებიც შვეტამბარებს მაჰავირას ნამდვილ მოძღვრებად მიაჩნიათ. ვინაიდან, ეს ტექსტები შედგებოდა მეტად ძნელად გასაგები აფორიზმებისაგან. (სუტრებისაგან), ორივე სექტაში სწრაფად გაჩნდა მდიდრული „კომენტირებული“ (კომენტატორთა) ლიტერატურა, შემდეგ კი თეოლოგიური და ფილოსოფიური ტრაქტატები. მოგვიანებით ჯაინებმა განავითარეს ცოდნა მთელი რიგი სხვა დარგებიც. დაგამბარების ლიტერატურა უფრო მდიდარია და ღრმა თავისი შინაარსით და უფრო ახლო დგას მეცნიერებასთან, რომელსაც პირველ რიგში პრუნები განეკუთვნება. შექმნილი ნაწილობრივ სანსკრიტზე და ნაწილობრივ კი პრაკრიტზე (ე.ი. ბუნებრივი-ხალხისათვის გასაგები სანსკრიტი). დოგმატიკისა და ფილოსოფიის შემქმნელთა შორის ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ნემიჩანდრას (1150 წ.), ავტორს ხუთი ტრაქტატისა, რომელიც უთანაბრდება კანონიკურ ტრაქტატებს. უკანასკნელი მათგანი „ტრილოკასარა“ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომელსაც თავისთავად შეგვიძლია ვუწოდოთ ჯაინიზმის ენციკლოპედია. ეს უკანასკნელი, კერძოდ ჯაინური მოძღვრების დებულების გარდა, შეიცავს მრავალრიცხოვან ცნობას კოსმოლოგიისა, ასტრონომიისა, გეომეტრიისა და მათემატიკის შესახებ, რა თქმა უნდა ჯაინური თვალსაწიერით.

ჯაინური მოძღვრება

მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა, ჯაინთა ყველა სექტის მოძღვრება ემყარება კანონიკურ რელიგიურ ტექსტებს. ჯაინების მსოფლმხედველობა არასისტემატიზირებულია: მათი მოძღვრების საფუძველი ათას სუტრებადაა განტოტვილი.

იქმნება შტაბეჭდილება, რომ ეს მოძღვრება მეტად ძველია, განსაკუთრებით კონცეფცია „სულის გარდასვლის“ (ანუ ადამიანის რეინკარნაციისას სულის გადასხლება ახალ სხეულში მთ. ნ.კ.), რაც გაგებულ იქნა, როგორც პირდაპირი დამოკიდებულება კარმაზე, ამ სიტყვის მეტად მატერიალისტური გაგებით. ჯაინიზმში, ისევე როგორც სხვა ი რელიგიაში, იოლად შეიძლება გამოყოფილი იქნას ერთი მეორესთან მჭიდროდ შერწყმული - თეოლოგია, მეტაფიზიკა და ეთიკა. ეს უკანასკნელი მოიცავს კანონებს

მონაზონთათვის და ყველა სხვათათვის (ჩვეულებრივი მორწმუნისათვის). ეს კანონები ეხება მორწმუნეთა ქცევებს, ცხოვრებას სხვადასხვა გარემოში.

მეტაფიზიკასთან დაკავშირებულია ტრაქტატები მათემატიკაში, ფიზიკაში, გეომეტრიაში და ასტრონომიაში და პირველ რიგში ფორმალურ ლოგიკაში, რაშიც ჯაინებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ჯაინური მოძღვრება ემყარება ოთხ ფუნდამენტალურ თეოლოგიურ პრინციპს:

1. ადამიანის პიროვნება გაორებული (დუალურ) ხასიათს ატარებს, ვინაიდან იგი არსებობს როგორც სული, ასევე მატერია.
2. ადამიანი არასრულყოფილია, მაგრამ შეუძლია და ვალდებულია კიდევ - გახდეს სრულყოფილი.
3. მას შეუძლია და აუცილებელია სულიერი ცხოვრების საშუალებით აკონტროლოს მატერიალური ცხოვრება.
4. მხოლოდ თვით ინდივიდი-(პიროვნება) წყვეტს თავისი განვითარების საკითხს და იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, თავის ყოველ ქმედებაზე, როგორც კარგ საქციელზე, ასევე ცუდზეც.

აღნიშნულ პრინციპებს ემყარება მოძღვრება სულებზე, რომლებმაც დაისადგურეს მატერიალურ სხეულებში და იმ სულებში, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან მატერიალური - მიწიერი სამყაროს ხლართებისაგან. თვით მატერიალური სამყაროს განვითარება კი ამ განთავისუფლების, ანუ ხსნის პროცესზეა დამოკიდებული. ჯაინების ღვთისადმი დამოკიდებულება სხვა რელიგიების მომხრეებს საშუალებას აძლევს, რომ ჯაინიზმს ათეიზმის ნაირსახეობა უწოდონ. ჯაინებს მიაჩნიათ რომ ღმერთი - მხოლოდ და მხოლოდ სულია, რომელიც უწინ ადამიანის სხეულში იმყოფებოდა და მიაღწია

საბოლოო თავისუფლებას არა მარტო სხეულიდან, არამედ ისეთ უწმინდეს მატერიიდანაც, როგორცაა კარმა. ღმერთი არაა შემქმნელი და ვინაიდან იგი არავითარი ფორმით არ არის მატერიასთან დაკავშირებული, ამიტომ არ შეუძლია ჩაერიოს მატერიალურ - მიწიერ ცხოვრებაში.

ჯაინების თეოლოგია გამოყოფილია მეტაფიზიკისაგან. ჯაინიზმის ფილოსოფიას ბევრი რამ საერთო აქვს სანქჰიას ფილოსოფიასთან. ორივე, ვფიქრობთ, წარმოიშვა ერთსა და იმავე დროს და მეტნაკლებად ერთნაირ პირობებში, და ერთსაც და მეორესაც ახასიათებს მატერიისა და სულის დუალიზმი. მთავარი განსხვავება მდგომარეობს „ხსნის“ გაგებაში. სანქჰიას თანახმად, სული ხსნას ჰპოვებს მაშინ, როცა შეიგნებს, რომ მისი შინაგანი თავისებურებანი განსხვავდებიან მატერიის მრავალგვარ ფორმებისაგან, რომლებისგანაც შედგება ცოცხალი არსებები. ჯაინიზმის თანახმად, სულიერი სამყარო ბევრად რთულია და სულის ხსნა დამყარებულია მის განთავისუფლებაზე მატერიის ფორმებისა და კარმისაგან. ორივე სისტემები, ერთნაირად ცნობენ სულის ელემენტების მრავალრიცხოვნობას.

ჯაინიზმში ცენტრალური ადგილი უჭირავს მოძღვრებას კარმის შესახებ, როგორც განსაკუთრებულ წმინდა მატერიაზე, რომელმაც ხელახლა აღადგინა სხეული გაცილებით უხეში მატერიისაგან. კარმა თან სდევს მატერიის ცხოვრების წრებრუნვას (ე.ი. სანსარას მთ. ნ.კ.) ყველა გზაზე და ანიჭებს უნარს დაუკავშირდეს უხეშ მატერიას. ჯაინებს უყვართ კარმა შეადარონ წებოვან ქსოვილს, რომელსაც ყოველგვარი ჭუჭყი ეკრობა. აშკარაა, რომ მათ მიერ კარმის გაგება ბევრად ძველებურია, პრიმიტიულია და ეჭვი არაა, ეყრდნობა სამყაროს დუალისტურ წარმოდგენას (კონცეფციას).

თავისი ზებუნებრივი ფორმით სული-იგივე „ჯივა“, აბსოლუტურად სრულყოფილია, ხოლო კარმა ხელს უშლის მას - გამოავლინოს სრულყოფილი თვისებები, საშუალებას არ აძლევს მომწიფდეს სული გადასარჩენად, თავის არსებობის დასაბამიდან. აქედან გამომდინარე კარმა დამღუპველია, ვინადან იწვევს სულის ძირითადი თვისებების შეცვლას, ამავე დროს დადებითიცაა, რადგან იგი გვევლინება შემოქმედების საწყისად, რომელიც სულებს აკავებს და ამყოფებს ცხოვრების წრებრუნვაში, განსაზღვრავს მათ მატერიასთან შეერთების ფორმებს... თუკი თითოეულ ადამიანს შესწევს უნარი განთავისუფლდეს ყველა მავნე კარმებისაგან, მან უნდა მიიღოს ყოვლისმომცველი ცოდნა და მაშინ სიცოცხლეშივე გახდება წმინდანი, რომლის სული განთავისუფლებულია ხსნილია, ანუ (ჯივა-მუკტაა, ან არაჰატი), იძენს ყოველგვარ ზებუნებრივ უნარს (სიდჰის) და მთლიანად იმორჩილებს თავის მატერიალურ სხეულს. მხოლოდ როცა პიროვნება თავიდან მოიცილებს უვნებელ კარმასაც, იგი განთავისუფლდება მატერიალურ სხეულისაგან და ამით მიაღწევს საბოლოო განთავისუფლებას ცხოვრების წრებრუნვისაგან. მისი სულის ლტოლვა მაშინ უკვე არაფრით ფერხდება, აღწევს ხსნასა და ქვეყნიერების უმაღლეს წერტილს.

სულის კარმასთან კავშირის პროცესის ამოხსნა შესაძლებელია ჯაინური მეტაფიზიკის ცხრა ძირითადი კატეგორიის მეშვეობით, რომელიც იმასაც განმარტავს თუ, სულები როგორ უკავშირდებიან კარმას და როგორ ინარჩუნებს კარმა სულთან კავშირს, როგორ წყდება ეს პროცესი და როგორ მიდის საწინაარმდეგო მიმართულებით, როცა ისინი კვლავ შორდებიან ერთმანეთს. ჯერ ხდება კარმის მოზღვაება, შემდეგ იბადება სულის განსაკუთრებული მიდრეკილება შებილწვისაკენ და ჩნდება კარმული მატერია, რომელიც სულთანაა ასიმილირებული. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ კარმა არ წარმოიშვება რაღაც მომენტში, იგი არსებობს მუდამ, მაგრამ მისი მოზღვაება მუდმივი არაა: იგი შეიძლება შეწყდეს სულის უშუალო მოქმედებით, როდესაც იგი მიაღწევს ყოვლისმცოდნეობას. მოზღვაების შეწყვეტა არა საკმარისია. აბსოლუტური განთავისუფლებისათვის უნდა მოხდეს გამოფიტვა და უკუგდება იმ კარმისაც, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდება. ეს მოძრაობა შეიძლება აჩქარებული იქნას საკუთარ სულზე მიზანდასახული ზემოქმედების გზით, ამის საშუალებას კი წარმოადგენს კეთილი საქმეების კეთება და მონანიება.

სული, რომლისგანაც განდევნილია კარმის ნაშთები, მიაღწევს ხსნას (მოქშას) და სრულ თავისუფლებას მატერიალური ელემენტებისაგან (ნირვანა).

ამასთანაა დაკავშირებული სულის შეჭრა სხეულში, რასაც ჯაინების წარმოდგენით ხუთი სხვადასხვა ფორმა აქვს: პირველი - „გაუმაძღარი“, ე.ი. ფიზიკური, უხეში,

მატერიალური სხეული ადამიანისა და ცხოველებისა, რომლებიც ცხოვრობენ ერთიმეორეს სხეულების ჭამით. მეორე - ღმერთების და ჯოჯხეთისა და სხვა არსების სახით ცვალებადი სხეული; მესამე - დროებითი სხეული, რომელიც სულების მიერ იქმნება საჭიროებისამებრ; მეოთხე - ცეცხლოვანი, ან ღმერთების მნათობი სხეული და წმინდა ჯაინები. მეხუთეა, რომელსაც აქვს კარმის (კარმული) ფორმა (სახე).

ჯაინიზმის ეთიკა

1. ჯაინური ეთიკა აგებულია „ტრირატნის“, ანუ „სამი განძეული-ძვირფასეულის“ მოძღვრებაზე. მორწმუნეს სრულად წამს, რომ ეს ჭეშმარიტი მოძღვრებაა და მისი რწმენაც ასევე ჭეშმარიტია. 2. ესაა მოძღვრება სრულ შემეცნებაზე და მისგან გამომდინარე სრულყოფილ ცოდნაზე. „ხსნა“ კი ყველა ადამიანის უზენაესი მიზანია, და რომ ასეთი მდგომარეობის საფუძველია, სულის საბოლოო განთავისუფლება მატერიის ხლართებისაგან არის გზა სრული სრულყოფილებისაკენ. „ტრირატნიში“ თავის გამოხატულებას პოულობს ჯაინიზმის ტენდენცია რელიგიურ ინდივიდუალიზმისაკენ, ეს მოვლენა აშკარა ხდება, როდესაც ჯაინური „ტრირატნის“ ვადარებთ ბუდისტურ რელიგიურ ელემენტებს (ბუდჰა, დჰარმა, და სანგჰა). ბუდჰიზმის ეს ელემენტები კი არ არის ადამიანასთვის ისეთი ახლობელი, როგორც ჯაინური ტრირატნის ელემენტები.

ამ სამი ცნების შინაარსი მეტყველებს ჯაინური ეთიკის რაციონალისტურ ხასიათზე და მიუთითებს მის მჭიდრო კავშირზე მეტაფიზიკასა და ლოგიკასთან, „ტრირატნის“ ცენტრშია - იდეა სრულყოფილ აღქმაზე, რის პირობასაც წარმოადგენს ჭეშმარიტი რწმენა- სწორი მრწამსი, რომლის მნიშვნელობაც მუდამ ხაზგასმითაა აღნიშნული. ჭეშმარიტ სარწმუნოებას ორი მიზანი აქვს. ნეგატიური - ბოლო მოუღოს ცთომასა და ეჭვებს, პოზიტიური - ჭეშმარიტი გზა უჩვენოს სწორი შეცნობისაკენ. ჭეშმარიტი სარწმუნოება ადამიანს იცავს ყალბი ღმერთებისაგან, ცრუ წმინდა სულიერი ადგილებისა და დამრიგებლებისაგან. ღმერთებზე წარმოდგენა ჯაინებში მატერიალურ და ანტროპომორფულ ხასიათს ატარებს; ღმერთი - ეს სრულყოფილი სულია - ხორცშესხმული იდეაა. თუ ადამიანს ნამდვილად სწამს, მისთვის არ არსებობს განსაკუთრებით წმინდა ადგილები, რომლებსაც თითქოსდა შეუძლიათ უფრო ჩქარა მიიყვანოს იგი სრულქმნილებამდე. სულიერმა მოძღვარმა უმწიკვლოდ უნდა იცოდეს საღვთო მოძღვრება და უნდა შეეძლოს მისი უბრალოდ და ნათლად გადმოცემა. ნამდვილ რწმენას, ადამიანი აღწევს, ან თავის თავში გონებით წვდომის გზით (ისე რომ მასში გაჩნდეს სწორი რწმენა სხვების დახმარების გარეშე), ან მასზე გარედან ზემოქმედებით, ანუ - სწავლა-განათლების შედეგად. ჭეშმარიტ რწმენას მიჰყავს ადამიანი ცხოვრების, როგორც სინამდვილის აღქმისა და ცხოვრების აზრის შეცნობისაკენ, ასევე იგი იცავს მას დაეჭვებისაგან, და არწმუნებს, რომ მისი სული და სხვების სულები ნამდვილად არსებობენ ამ ქვეყანაზე, ასწავლის როგორ ხდება სულის შეერთება მატერიასთან, რაც იწვევს ცხოვრებისეულ მოვლენებს.

მეორე ნაწილი ტრირატნისა - სწორი შეცნობა, განპირობებულია ჭეშმარიტი რწმენით. სწორედ ამ ნაწილში გამუდმებითაა ის ელემენტი, რომელიც შემდგომ მეორეხარისხოვან

ხახეს ღებულობს. სწორედ შეცნობის მნიშვნელობა გამომდინარეობს ჯაინიზმის რაციონალურობიდან. განსხვავება ორ პირველ ნაწილს შორის ატარებს რიცხობრივ ხასიათს და არავითარ შემთხვევაში ხარისხობრივს.

იმისათვის, რომ შეცნობის (შემეცნება) პროცესი იყოს, სწორი, ის უნდა იყოს ჭეშმარიტი და ხანგრძლივი, რაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ იგი დაფუძნებულია სწორ მრწამსზე. უფრო ვიწრო გაგებით შეცნობა ჯაინების გაგებით ნიშნავს საკუთარი „მეს“ ცოდნას, ყველასა და ყველაფრის სწორ გაგებას. პირიქით, არასაკმარისი ცოდნა, საკუთარი „მესი“ და კარმის ჭეშმარიტი არსისას, წარმოადგენს მიზეზს ყველა ტანჯვებისას ცხოვრების წრებრუნვაში.

სრულყოფილ შემეცნებაში, ყველაზე მთავარია - წარსულის, აწმყოს და მომავლის სრულყოფილი ცოდნა, არა მარტო ერთ ან რამოდენიმე ადგილას, არამედ მთელ ქვეყანაზე და მის გარეთაც. საჭიროა ცოდნა ყოველივესი, რაც კი ეხება ცხოვრებისა და მატერიის ყველა ასპექტს. ეს კი, სიტყვის სრული მნიშვნელობით, ყოვლის ცოდნაა, რომელიც წარმოადგენს „განთავისუფლებული სულის“ მოქმედების შედეგს. სულს მატერიასთან დაკავშირებული ხუნდები (ბორკილები) რაგინდ სუსტი, ან თხელი არ უნდა იყოს, იოლად არ წყდება, ჯერაც არ გაწყვეტილა. პრაქტიკულად, ჯაინიზმის თანახმად, ადამიანი უზენაეს გონებრივ წვდომას, მხოლოდ საკუთარი თავის ყველა მავნე კარმებზე უარის თქმით აღწევს.

ტრირატნის მესამე ნაწილია - წესიერი, სწორი ცხოვრება რაც ნიშნავს დაუყოვნებლივ შესრულებას მთელი რიგი წმინდა აღქმებისა, რომელთა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი უნდა გაურბოდეს ყოველივე შემბილწავს და თავისი თავი მიუძღვნას მხოლოდ იმას, რასაც სულიერი ამალლებისა და საბოლოო ხსნისკენ მიჰყავს იგი. ჯაინურ მეტაფიზიკის თვალსაზრისით, სწორი ცხოვრება მდგომარეობს შეგნებულ, ჭეშმარიტ რწმენაში, ეს რწმენა კი ემყარება ადამიანის მისწრაფებების სრულყოფილ მეცნიერებას, რომელის დაუფლებაც აჩერებს მასზე მატერიალური ძალების შინაგან და გარეგანი ზემოქმედებას, რაც უგულვებელყოფს ცხოვრების წრებრუნვის მიზეზებს.

ამგვარი განსაზღვრიდან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯაინიზმში სწორ რწმენას და გონებრივ თვითწვდომას, რაზედაც აგებულია ამ რელიგიის ეთიკის მთელი შენობა. აქ შეგნება ბატონობს სხვა ასპექტებზეც, ის თითქმის მთლიანად ახშობს მგრძნობელობით მხარეს, რომელიც სხვა რელიგიაში ინტელექტს აღემატება. ეთიკა, რომელიც საერთოდ უპირველეს ყოვლისა ადამიანის გრძნობას ეყრდნობა, ჯაინიზმში მთლიანად გონებაზეა აგებული და პრინციპები, რომლებიც მთლიანად ემოციებიდან უნდა გამომდინარეობდეს, მაგალითად სიბრალოე ცოცხალი არსებებისადმი ემყარება აბსოლუტურად გონებას და ჯაინიზმის მოძღვრების მყარ, ლოგიკურად დამუშავებული სქემის ნაწილს წარმოადგენს.

ჯაინური სწორი ცხოვრება მეტ-ნაკლებად ნიშნავს, - ასკეტიზმს, რომელიც ემყარება წმინდა ეგოიზმს, ან უფრო სწორედ, ეგოცენტრიზმს: ამგვარი ცხოვრების მიზანია საკუთარი თავის ხსნა, რომელის მიღწევაც ადამიანს შეუძლია მხოლოდ საკუთარი ძალებით. ადამიანს მხოლოდ თავად შეუძლია თავი დააღწიოს საკუთარი კარმს მატერიის ქსელებიდან, რომლებიც მას უფრო და უფრო აჯაჭვებს უხეშ მატერიასთან.

ადამიანი თავიდან არ არის მზად აირჩიოს გზა მატერიალურობის თავიდან მოცილებისა და სულიერი სრულყოფისაკენ. ადამიანს შეუძლია დაეხმაროს საკუთარ თავს მხოლოდ არაპირდაპირი გზით, საკუთარ მაგალითებზე დაყრდნობით. ჯაინიზმის თანახმად ყოველი ადამიანი - თავისი ბედის მჭედელია, მაგრამ ამ ბედს იგი ღებულობს არა მოცემულ დედამიწაზე, არამედ შორეულ მომავალში, მთელი რიგი ხელახალი დაბადებებისა დასასრულს. ყოველივე ეს განსაზღვრავს ჯაინური ეთიკის არსსა და პრინციპების ხასიათს. აქ ლაპარაკია მატერიის და სხეულის დამორჩილებაზე და სულის სრულყოფილ მდგომარეობამდე მიყვანაზე, ამ პრინციპს ემყარება როგორც ქურუმების, ასევე უბრალო მორწმუნე ადამიანების ცხოვრების წესები.

ქურუმების წესები წმინდა ასკეტურ ხასიათს ატარებენ, ვინაიდან ისინი ხდებოდნენ ქურუმები, იმისათვის, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას განდგომოდნენ, რაც შეიძლება მალე მიეღწიათ საბოლოო მიზნისათვის და მაგალითი მიეცათ მათთვის, ვისაც ამგვარი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

უბრალოდ მორწმუნეთათვის არსებობს ძალიან მკაცრი წესები. განსაკუთრებით თუ მათ შევადარებთ სხვა რელიგიის წესებს, ინდურებს თუ არაინდურებს, რა შემთხვევაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მას, რომ მორწმუნეს თავის სულიერ ცხოვრებაში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. მისი დახმარების ერთადერთი საშუალებაა, მაგალითი იმ ადამიანებისა, რომლებიც სწორი გზით მიდიან, ასევე სულიერი მოძღვრის რჩევები. ჯაინური ეთიკის ინდივიდუალურობას შეესატყვისება დებულება, რომლის თანახმად ხსნას შეუძლიათ მიაღწიონ, არაჯაინებმაც თუკი ისინი ხელმძღვანელობენ ხუთი წესის ტრადიციით, რომელიც ჯაინური ეთიკის საფუძველს წარმოადგენს. მორწმუნე მიაღწევს მიზანს თუნდაც ამას შეუგნებლად რომ აკეთებდეს ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე მასზე, რომ ეს რელიგია ამგვარ რაიმეს ურჩევს მათ. რა თქმა უნდა, ჯაინიზმის ეთიკა მეტად ძლიერად ზღუდავს ადამიანის თავისუფალ საქციელს, რის შედეგადაც ჯაინი იძენს განსაკუთრებულ თავისუფლებას, რაც ჯაინებს გარეგნულად მკვეთრად ასხვავებს სხვა ინდოელებისაგან.

ჯაინური საზოგადოება და ეკლესია

ჯაინური თემი შედგება მონაზვნების, მოლაზნების, მორწმუნე მამაკაცებისა და ქალებისაგან, რაც ბუდისტური თემის საწინააღმდეგოდ, ერთგვარ აუცილებელ დამატებას წარმოადგენს. ჯაინიზმში ჩამოთვლილი ოთხი სოციალური ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთლიან რელიგიურ თემს იმ საზოგადოებისას, რომლის ყოველმა წევრმა იცის თავისი ამოცანა და იკავებს ადგილს გზაზე, რომელსაც იგი ხსნისკენ, გადარჩენისაკენ მიჰყავს. შევეტამბარები დიდ უპირატესობას ანიჭებენ მონაზვნებს. დიგამბარები მონაზონ ქალებს არ ცნობენ. ბერი თემის უმაღლესი წევრია, მორწმუნეთათვის იდეალს წარმოადგენს ის, რომ მხოლოდ მძიმე გზით შეიძლება ადამიანი გახდეს მორწმუნე, ეს იდეა საბოლოოდ ადამიანისაგან მოითხოვს თვითგანადგურებას, რისი უნარიც იშვიათად თუ ვინმეს შესწევს. ბუნებრივია ასკეტური ცხოვრებისათვის მომზადება დიდხანს წარმოებს, რათა მომავალმა მონაზონმა

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, უნდა იცოდეს თუ წინ, რა მიმდევრობა ელის. მამასახლისურ ცხოვრებას რომ დაუბრუნდე ჯაინიზმის თანახმად, ისე იოლი როდია, როგორც ბუდიზმში, ბევრს არ შეუძლია ხელახლა დაადგეს საერო ცხოვრების გზას, ვისაც ასკეტი უნდა გახდეს უპირველეს ყოვლისა, მან სამი წელი მორჩილებაში უნდა გაატაროს, ამის შემდეგ იგი, ან სამუდამოდ აღიკვეცება ბერად, ან თუ ვერ გრძნობს, რომ მიდრეკილია ასკეტური ცხოვრებისაკენ, კვლავ უბრუნდება საერო ცხოვრებას. ხოლო თუკი აღუთქვა თავის თავს სამი წელი იმყოფებოდეს მორჩილებაში, ასეთი ჯაინი - ბერი სულიერ მოძღვრისაგან (გურუსაგან) ღებულობს კურთხევას, ანუ სასულიერო ქურუმის უმდაბლეს წოდებას და ამავე დროს ასრულებს ხუთ დიდ აღთქმას.

შემდეგ სამი წელიწადი სწავლობს რელიგიურ ტექსტებს. თუ ჯაინი ამ ხნის განმავლობაში დაარღვევს აღთქმას, მას კვლავ შეუძლია დაუბრუნდეს ჩვეულებრივ ცხოვრებას, ხოლო სწორად მოქცევისას, წინასწარ დადებული პირობებისა და განსაკუთრებული წეს-ჩვეულების შესრულების შემდეგ, ის საბოლოოდ ირიცხება ქურუმთა შორის.

ჯაინი ხდება მოხეტიალე, უსახლკარო ბერი უფრო სწორად მას არაფერი არ უნდა გააჩნდეს, არც ტანსაცმელი და არც ჭურჭელი საჭმლისათვის. ამგვარ ცხოვრებას ეწეოდნენ ჯაინები, თავიანთი უკანასკნელ წინასწარმეტყველის მაჰავარას ეპოქაში. მოგვიანებით უკვე ადგილი ჰქონდა ერთგვარ გადახრებს კანონებიდან ამჟამად მხოლოდ ზოგიერთი ქურუმი ემორჩილება ძველ მოთხოვნებს. ყველაზე ნაკლები გადახვევა კანონებიდან შეიმჩნევა დიგამბართა შორის. მათ ერთადერთ ქონებას წარმოადგენს - საკვების პატარა ჯამი, რომელიც გაკეთებულია ქოქოსის თხილიდან და ფარშავანგის ფრთებიდან შეკრული მარაო, რომელთაც ვიდრე მიწაზე დასხდება, ჯაინი ადგილს გვის. დიგამბარ - ასკეტებს სამოსელი არ გააჩნიათ. შვეტამბარელ ასკეტს კი პირიქით, შეუძლია იქონიოს სამი აღჭურვილობა. ჯამი საჭმელისათვის, პატარა ცოცხი და ქსოვილის ნაჭერი, რომ უბე დაიფაროს. ამგვარ ასკეტებს აქვთ კიდევ ბევრი სხვა ნივთებიც, რაც მათი აზრით გამართლებულია იმით, რომ ეს ნივთები ეკუთვნის მორწმუნეთა თემს, რომლის წევრებსაც ისინი საჭიროების შემთხვევაში აძლევენ. ჯაინი ასკეტის პირველი აღთქმაა - არ მიაყენოს ზიანი არავითარ ცოცხალ არსებას. იგი ბაგეებს ქსოვილით იფარავს, რომ შემთხვევით ჰაერიდან ცოცხალი არსება არ შეიჭრას პირში, აქვს პატარა ცოცხი დასაგველად, რათა დაჯდომისას მწერები არ გაჭყლიტოს. წესის თანახმად იგი უნდა იბანდეს და იწმენდდეს კბილებს, ცეცხლს არ უნდა ანთებდეს ღამე, ვინაიდან ცეცხლის სინათლეზე მწერები შეიძლება მოფრინდნენ და ცეცხლის ალზე დაიფერფლონ, სვამდეს უნდა უღუღარ წყალს, ჭამდეს უმ ბოსტნეულს, ხილს, კრეფდეს მხოლოდ მცენარეულობას, რათა მატერიის ცოცხალი ელემენტები არ დააზიანოს, და ბოლოს იმოგზაუროს წვიმიან სეზონში, როცა ბუნებაში ყველაფერი იშლება და მგზნებარედ ყვავის. სიფრთხილის ეს უკიდურესი ღონისძიებები ჯაინი ასკეტისათვის პრინციპულ ეთიკურ დებულებებს წარმოადგენს, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ცოცხალი არსების „არაკვლას“ (აჰიმსა-არმიკვდინება-არაძალმომრეობა) რაც ქურუმთა მთელ მოღვაწეობას განსაზღვრავს. აჰიმსანთანაა დაკავშირებული ხშირი და ხანგრძლივი მარხვაც.

აუცილებლად ითვლება ჯაინი ასკეტებისათვის უსახლკარო ცხოვრება. მშრალ ამინდებში ისინი სოფლიდან სოფლად მიდიან, ქალაქიდან ქალაქში. სოფელში მათ

შეუძლიათ დარჩენენ არა უმეტეს სმი დღისა, ქალაქში არა უმეტეს შვიდისა. უნდა იცხოვრონ იქ, სადაც მათ გამოუყოფენ ადგილს, მხოლოდ არა პატრონის ოჯახთან ერთად. დიგამბარი ასკეტები როგორც წესი ღამეს ათევენ ტყეებსა და ბაღებში. შიტამბარები კი გზირებისთვის განკუთვნილ ტაძრებთან ახლოს მდებარე სახლებში. წვიმიან სეზონში რაც შეიძლება ნაკლებად უნდა გადაინაცვლონ, მაშინაც კი როცა ისინი მოწყალეობას თხოულობენ.

ჯაინების მოვალეობა ძალიან განსხვავდება, სექტისა და სარწმუნოებრივი სკოლის მიხედვით, საბოლოო ჯამში, მეტად რთულია ჯაინი ასკეტის დღის აღწერა. მას ძინავს ძალიან ცოტა, მისი დილა დაახლოებით ოთხ საათზე იწყება უხმო (ჩუმი) აღსარებით, ყურადღების გარინდებით (მედიტაციით), შემდეგ იგი გულდაგულ ათვალეირებს თავის სამოსელს და საწოლს: ყველ მწერს, რომელსაც კი იგი იპოვნის ათავსებს ხის ძირში, მშრალ და ჩრდილ ადგილას. შემდეგ იგი დილის ღრმა ფიქრებს ეძლევა ე.ი. ასრულებს წესჩვეულებას და მერე მიდის თავის დროებით ადგილსამყოფელში, სადაც მორწმუნეებს გადასცემს რელიგიურ სექტებს, უხსნის მათ თავის მოძღვრების რომელიმე რთულ თავს. ერთ-ერთი განდევილთაგანი აგროვებს მოწყალეობას, მის მოლოდინში, დანარჩენები იწყებენ ერთობლივ ტრაპეზს, რომლის დამთავრების შემდეგ იწყება სტუმრების, მათ შორის არაჯაინების მიღება. როცა მეორედ შეაგროვებენ მოწყალეობას, ბერები ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე ვახშობენ, ისევე როგორც მზის ასვლის შემდეგ, საჭმლის დატოვება მეორე დღისათვის აკრძალული აქვთ. დღის განაწესი იცვლება წვიმების დროს, როცა ყველა ჯაინი ასკეტი ცხოვრობს თავშესაფარში, სადაც მკაცრად იცავენ ყოველგვარ შეზღუდულობას (აკრძალვას)

ჯაინთა შორის ასკეტიზმის უმაღლეს ფორმად ითვლება - ნებაყოფილობითი შიმშილით სიკვდილი. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება განდევილს, ან ქურუმს თვითონ არ შეუძლია. მან ამაზე თანხმობა უნდა მიიღოს თავის გურუსგან (სულიერი მოძღვრისგან). დღეს ამგვარი სიკვდილის მაგალითები მეტად იშვიათია, თუმცა ამაზე თანახმა არიან, მაშინ როცა სიცოცხლის ბუნებრივი დასასრულის მოახლოებას გრძნობენ.

შვეტამბარების სექტა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ კრძალავს ქალ ქურუმთა თემის არსებობას. მათი ცხოვრება აქ იმავე წესებს ემორჩილება, რომელსაც ქურუმი მამაკაცების ცხოვრება. თუმცა მოგვიანებით, უკვე მცირედი განსხვავებაც შეინიშნება. წესების თანახმად, ამ თემში მიიღებიან გოგონები, რომლებმაც ცხრა წლის ასაკს მიაღწიეს, მაგრამ უფრო ხშირად მათი მიღება ხდება მაშინ, როცა მათ თხუთმეტი წელი უსრულდებათ. ამისათვის საჭიროა მშობლების, ან აპეკუნის, თუ გათხოვილია ქმრის თანხმობა. (ასეთ შემთხვევაში ქმარი ქვრივად ითვლება და უფლება აქვს კვლავ ითხოვოს ცოლი). როგორც წესი, თემის წევრები ქვრივი ქალები ხდებიან. ჯაინი

ქურუმი, ბუდისტებისაგან განსხვავებით, თემში სიცოცხლის ბოლომდე უნდა დარჩეს, თუკი ის შემთხვევით რაიმე დიდი ცოდვისთვის თემიდან მოკვეთლი არ იქნა. ჯაინები ქალები მოგზაურობენ ყოველთვის ჯგუფებად, რომელიც არანაკლებ სამი ქალისაგან შედგება.

სოფლებში, ან ქალაქებში მათი საცხოვრებელი ქურუმთა საცხოვრებლისგან

აბსოლუტურად იზოლირებულია. ქურუმ ქალებს დიდ პატივს და თაყვანს სცემენ, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი არიან, ვინაიდან განდეგილთათვის განკუთვნილ სავანეებში ცხოვრება ქალისათვის მეტად მძიმეა.

ჯაინთა საერო ცხოვრება

ამჟამად, ჯაინი შეიძლება ეწოდოს მას, ვინც ჯაინის ოჯახში დაიბადა, თუმცა არის შემთხვევა როცა ჯაინი ხდება სხვა რელიგიის წარმომადგენელიც, უპირველეს ყოვლისა ჰინდუ. პირველ ხანებში, როცა ჯაინიზმი ის-ის იყო ისახებოდა და მგზნებარე მქადაგებლების წყალობით ვრცელდებოდა, ამ ახალ სარწმუნოებას მრავალი დებულობდა. თანაც თავიანთ გადაწყვეტილებას ფართოდ ახმაურებდნენ. ყოველი ახლად „მოქცეული“ სახალხოდ აცხადებდა, ჯაინების რომელი აღთქმის მიღებას აპირებს. ამ სარწმუნოებისათვის თავის მიძღვნის წესჩვეულების შესრულებაში ათი კაცი მონაწილეობდა., როდესაც უცხო საწარმოების პირი ჯაინთა თემის სწევრი ხდება, ასეთ შემთხვევებს დღემდე აქვს ადგილი - თუმცა დღეს ამგვარი გადასვლა - ერთი სარწმუნოებიდან მეორეში, ხდება საზეიმო ცერემონიალის გარეშე, განსაკუთრებით თუ ქალიშვილი ჰინდუთა ოჯახიდან ჯაინს მიყვება ცოლად.

გარკვეული დროის შემდეგ მორწმუნე ერის კაცები იწყებენ უფრო მკაცრ ცხოვრებას, სახალხოდ აცხადებენ მათ მიერ მიღებულ აღთქმას. ზოგჯერ მკაცრი აღქმები არაფრით არ განსხვავდებიან ქურუმთა აღთქმებისაგან.

ჯაინები საერთოდ მკაცრად იცავენ თავიანთ რელიგიურ პრინციპებს, რაც გამოიხატება მათ მუშაობაში, ჭამაში, საოჯახო ცხოვრებაში და ა.შ. წმინდა რელიგიური მოვალეობები ძალიან ცოტა აქვთ, მაგრამ თაყვანს სცემენ სულიერ მოძღვრებასა და საღვთო ხელნაწერებს, იღვწიან იოგური წვრთნებისკენ, თვითკონტროლისკენ, გამუდმებით ასრულებენ მონენიებისა და ძღვენის (მიტანას) შეწირვის წესს... ჯაინები გაურბიან ფიზიკურ მუშაობას, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ არ მოკლან, ზიანი არ მიაყენონ ცოცხალ არსებებს, ამით აიხსნება ისიც, რომ უმრავლესობა ჯაინებისა არიან ვაჭრები, მოსამსახურეები, მასწავლებლები, მევახშეები, ოქრომჭედლები და ბანკირები.

პირად ცხოვრებაში ისინი ზედმიწევნით ასრულებენ თავიანთი რელიგიის ეთიკურ ნორმებს - ჰყავთ ერთი ცოლი, გაურბიან პროსტიტუციებსა და მოცეკვავეებთან (დავადესებთან) ურთიერთობას, არ ჭამენ ხორცს, ცდილობენ, რომ მაინცდამაინც დიდი ზიანი არ მიაყენონ მცენარეებს, ამიტომ, არ იკვებებიან ბოლქვებითა და ფესვებით, ასევე ნაყოფით, რომელიც უხვად შეიცავენ თესლს, ასევე არ ჭამენ საჭმელს, რომელიც მთელი დამე ინახებოდა, რომ არ მოკლან ცოცხალი მიკრობები-არსებები, რომლებიც შესაძლოა ხრწნის შედეგად გაჩნდნენ, არ ეტანებიან ალკოჰოლს და სვამენ მხოლოდ აუდუღებელ წყალს.

ჯაინები ძალიან ზრუნავენ შინაურ ცხოველებზე, რომლებიც ლალად ცხოვრობენ. კურნავენ ნადირებს, რომლებიც მონადირეებმა დაჭრეს (თავად არ ნადირობენ), უმზადებენ მათ თავშესაფარს, კვებავენ და უვლიან, ქალაქში და სოფელში ჩიტებს,

საკენკიან გობებსა და ღია გალიებს უკეთებენ.

თავიანთ ქონებას მეტად საზრიანად იყენებენ. მდიდრი ჯაინები მფარველობენ მეცნიერებასა და ხელოვნებას, მაგრამ პირველ რიგში სცემენ სდმრთო წიგნებს და ხელს უწყობენ ახალი წიგნების გამოცემას. წიგნები ჯაინიზმის შესახებ უფასოდ რიგდება. ეხმარებიან სტუდენტებსა და მეცნიერებს, მათ შორის უცხოელებს., რომლებიც ამ რელიგიას სწავლობენ. შეძლებული ჯაინები ხელს უწყობენ ტაძრების, სკოლების, თავშესაფრებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

ჰინდუიზმისადმი დამოკიდებულება

დღევანდელი ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჯაინები ჰინდუებთან ერთად ცხოვრობენ. ხშირია ქორწინება ორივე რელიგიის მიმდევართა შორის.

ჯაინიზმი, პრინციპში არ უარყოფს კასტას, მაგამ ყველა შემთხვევაში, ბერთა შორის კასტობრივ განსხვავებას ადგილი არა აქვს. ქურუმები და ასკეტები სოციალურად თანაბარნი არიან. თემში მიიღება ყველა კასტისა და საზოგადოებრივი ჯგუფის წევრი, ამასთანავე შუდრებმა წინასწარ უნდა შეასრულონ გარკვეული წესჩვეულებები., რათა გახდნენ უმაღლესი კასტის ადამიანები, ერთი სიტყვით, იგივე მოეთხოვება მასაც, ვინც ახლად მიუძღვნა თავი სარწმუნოებას და არჩეული - ჯაინური მოძღვრების საწინააღმდეგო თვისებები არ გააჩნია. თუმცა ვარაუდობენ, რომ ძველად ჯაინური თემის წევრად მხოლოდ ქმატრიებს შეეძლოთ გამხდარიყვნენ, მოგვიანებით მათ შემოუერთდნენ - ბრაჰმანები და ვაიშები, თუმცა ამის ზუსტი დამადასტურებელი საბუთები არ მოგვეპოვება. ჭუთუოდ, ეს შეზღუდვები შემდეგაც შემორჩა, მაგრამ უფრო გვარობრივი განსხვავებების სახით, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქორწინების დროს.

თავდაპირველად შვეტამბართა თემი იყოფოდა ოთხმოც გვარად (ძირითადად, მხოლოდ - ჯაინები) თითოეული ასეთი გვარი თაყვანს სცემდა ორ ღვთაებას ნასესხებს ჰინდუიზმიდან: ოჯახის ქალღმერთს - შინ, ხოლო საგვარეულო ქალღმერთს - ტაძარში. ქორწინება საერთოდ გვარის შიგნით ხდებოდა.

ჰინდუები ჯაინურ საგვარეულოს თავანთ კასტობრივ სისტემას მიაკუთვნებენ, უთუოდ, ორიენტაციას იღებენ იმდენად არა მათ წარმოშობაზე, არამედ მათ პროფესიაზე. დანაჩენი ჯაინები, როგორც შვეტამბარები და დიგამბარები, ჰინდური გვარებისა და ჰინდითა კასტების წევრები არიან.

ამგვარი ჯაინების საოჯახო წესჩვეულებებს იცავენ იმავე ჰინდური გვარის ბრაჰმანები. თავისთავად ცხადია, რომ შორეულ გვარებში რჩება ჰინდური ყაიდა მთელი თავისი გვაროვნული თავისებურებებით, მაგრამ წმინდა ჯაინ რიტუალს საფუძვლად უდევს ჰინდუ პუჯა (საკვების ჭეჭირულობა), წესების მცირე დარღვევით, მაგრამ არა ყოველთვის ჯაინური წარმოშობის. ჯაინთა საგვარეულოს წევრთათვის სარიტუალო წესჩვეულებებს საერთოდ, ასრულებენ ბრაჰმანები - შრიმალის საგვარეულოდან, ხოლო

ჯაინურ ტაძრებში მორწმუნე ქურუმები, მაგრამ არა აუცილებლად ბრაჰმანები.

ჯაინების კასტასა და გვარს მნიშვნელობა აქვს ქორწინების დროს მაგრამ ეს არ იწვევს რაიმე შეზღუდულობას, ვთქვათ ჭამის დროს. ზოგიერთ გვარებსა და კასტებში დღემდე აღნიშნავენ ჯაინი - ზმამდელ საგვარეულო დღესასწაულებს, ცალკეულ ოჯახებში - ჰინდუიტიური დღესასწაულებსაც, მაგალითად, დივალის.

ჰინდუიზმი და ლიტერატურა

დუშან ზბავიტელი

ინდური ხელნაწერების შემგროვებლებმა კარგად იციან, თუ რა უთავბოლო სიძნელების გადალახვაა საჭირო, რათა მიაგნონ ძველი ინდურ ლიტერატურულ ძეგლებს. უპირველეს ყოვლისა ამგვარ სიძნელეს ვაწყდებით ხელნაწერების პატრონებთან, რომლებსაც არ უნდათ დათმონ თავიანთი განძი, თუნდაც ეს განძი ნამდვილად ძველი და იშვიათიც, რომ არ იყოს, და წარმოადგენდეს ასლს, შესრულებულ პროფესიონალი გადამწერების მიერ, უგვიანეს პერიოდში. ხშირად საშინაო სალოცავზე ხელნაწერებია, რომლებიც ღმერთის მაგივრობას წევს და მართლმორწმუნე ჰინდუები ყოველ დილას მათ თაყვანს სცემენ, მოაქვთ ამ განძისათვის ყვავილები და ლოცულობენ მასზე. რა შემთხვევაში სახლის პატრონი ამ ხელნაწერზე შეხედვის უფლებასაც არ იძლევა და ამბობს, რომ იგი მათი „საშინაო ღმერთია“.

ძველი და საშუალო საუკუნეების ნაწარმოებების ხელნაწერების ასეთი თაყვანისცემა, რა თქმა უნდა აისახება იმით, რომ მართლმორწმუნე ჰინდუებს თავიანთი ინდური კლასიკური ლიტერატურა წმინდათ მიაჩნიათ და ამ ხელნაწერებში, ისინი წმინდაზე სალოცავის ერთგვარ მატერიალიზებულ გამოხატვას ხედავენ. განურჩევლად იმისა, ეს იქნება დიდი, თუ პარატა ნაწყვეტი ეპოსიდან, რომელიც ამ სარწმუნოებაში გაუთვითცნობიერებელში, არავითარ რელიგიურ წარმოსახვას არ იწვევს.

ინდოელებისათვის ეს ტექსტები წარმოადგენენ ჰინდური სარწმუნოების ღირსებას. თუ გვერდს აუვლით ბუდისტურსა და ჯაინურ ლიტერატურას, მაშინ ნებისმიერი ნაწარმოები შექმნილი სანსკრიტზე, ან რომელიმე ახალ ინდურ ენაზე, თუ დაკავშირებულია (რელიგიასთან) ინდურ სარწმუნოებასთან, ითვლება წმინდათ და საერთო ჰინდური ტრადიციის საკუთრებად.

უფრო პრაქტიკული მიზნით, ვიდრე აბსტრაქტული კრიტერიებია, შეგვიძლია გამოვიყენოთ კლასიფიკაცია გლაზენეპისა, რომელმაც ჰინდური (ინდური) ლიტერატურა დაყო შემდეგ სამ კატეგორიად:

1. საღრმთო ტექსტები - გამოცხადება,
2. რელიგიური შინაარსის შემცველი ნაწარმოებები,
3. სხვა დანარჩენი ნაწარმოებები.

ჩვენ დავეყრდნობით ამ კლასიფიკაციას, მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ იგი საკმაოდ განუსაზღვრელ ხასიათს ატარებს და მთლიანად არ შეესატყვისება მას, რაც

თანამედროვე ჰინდუიზმში ხდება.

ბუნებრივია, წიგნის ერთ თავში შეუძლებელია მკითხველს მოუთხრო ყოველივე ჰინდური ლიტერატურის შესახებ, შეაფასო ცალკეული ავტორი და ნაწარმოები, ამიტომ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციებით მის პრინციპულ თვისებებზე, უპირველეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით, თუ რა ადგილი უჭირავს ლიტერატურას ჰინდუიზმში.

ლიტერატურა განდობილთათვის

უძველეს ინდურ ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს რალიგიური ხასიათის ოთხი კრებული (სამჰიტები) ეგრეთწოდებული „ვედეები“ (სანსკრიტზე - ვედა = ცოდნა). ეს არის არა ერთიანი ნაწარმოები, არამედ ლექსები, სტროფები, ნაწყვეტები პროზიდან, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული კულტობრივი მნიშვნელობა ვედური პერიოდის ინდოელთა ცხოვრებაში. პირველი ამ კრებულთაგან შეიცავს ლოცვებსა და ჰიმნებს ვედური პანთეონის ცალკეულ ღვთაებათა სათაყვანებლად („რიგვედა“), მეორე, მაგიკურ ფორმულირებასა და შელოცვებს („ათჰარვავედა“), მესამე - კვლავ ლოცვებსა და ჰიმნებს, იმ მოვლენების გათვალისწინებით, რომლებსაც იყენებდნენ ვედური სტროფების („სამავედა“) სიმღერის დროს, მეოთხე - უპირატესად შეიცავს ვედური რიტუალის ფორმულებს, რომელთა მიხედვით მსხვერპლის მოტანა წარმოებდა

(„იაჯურვედა“). მათი ჩაწერა შედარებით გვიან მოხდა, ბევრად გვიან, ინდოეთში დამწერლობის გაჩენის შემდეგ, მაგრამ მათ საბოლოო ზეპირი რედაქცია დასრულდა ჯერ კიდევ ალბათ II და I ათასწლეულის მიჯნაზე ჩვენს ერამდე. ის რომ ვედეებს, დღემდე სწავლობენ ეს უკვე ბრაჰმანთა დამცახურება და უპირატესობაა. ტექსტების ცოდნა მრავალი საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა, თანაც ზედმიწევნით უცვლელი სახით, ვინაიდან ჰიმნების შექმნა ღვთაებრივ ქმნილებად ითვლებოდა. ინდოელებს ჯეროდათ, რომ ხალხმა ვედეები მიიღო ზებუნებრივი ძალის საშუალებით წმინდა ბრძანებლების (რიშების) წყალობით. ასეთი რწმენა დღესაც ცოცხლობს, თუმცა პრაქტიკულად, ტექსტების რიტუალური საჭიროება, ვედური მსხვერპლის შეწირვის ძველ ფორმებთან ერთად დიდი ხანია გაქრა. დღეს ჰინდუ სიამოვნებით და შთაგონებით ლაპარაკობს ვედეების შესახებ, მაგრამ სინამდვილეში მათ ძალიან ცუდად იცნობს. ვედურ ჰიმნებს ტრადიციულად სწავლობს სულ რამოდენიმე კაცი, ინტელიგენციაც კი, რომელსაც სურს გაეცნოს თავისი ქვეყნის უძველეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას, უნდა მიმართოს თარგმანებსა და განმარტებებს, იმისათვის, რომ ოდნავ მაინც ჩაწვდეს ვედეების აზრს.

ბრაჰმანები ძველთაგანვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო შეექმნათ უფრო სხვა რამ, ვიდრე საზეიმო ჰიმნებია. ვთქვათ შესალოცი ფომულები (მანტრები) და სარიტუალო ლოცვები - ტექსტები. მალე კლასიკურ სამჰიტას დაემატა სარიტუალო კრებულები, რომელსაც დართული ჰქონდა რიტუალის სპეკულაციური შინაარსის განმარტებები და მსხვერპლშეწირვის აღწერა (ბრაჰმანები), ასევე მისტიკური ტრაქტი (არანიაკები) რიტუალის შესახებ და წმინდა ფილოსოფიური ხასიათის პირველი

ინდური ლიტერატურული ძეგლები (უპანიშიდები), რომლებსაც დღემდე ათასი წლების მანძილზე, თაყვანს სცემენ როგორც ტრადიციულ ინდურ რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ყველაზე ავტორიტეტულ წყაროებს. აღნიშნული ძეგლების მოძღვრებასა და როლის შესახებ ჰინდური ფილოსოფიის განვითარებაში, მკითხველი უკვე გაეცნო ჩვენი წიგნის წინა თავში, აქ კი საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თვით ექვსი უძველესი პროზაული უპანიშადი არ იძლეოდა მსოფლმხედველობის ერთიან სისტემას, ისინი არ წარმოადგენდა ერთიან ფილოსოფიურ სკოლას და მიმართულებას, არამედ გამოხატავდა ცალკეულ იდეებს, რომლებიც მომავალში უფრო გვიანდელი ფილოსოფიური სკოლების შრომებში ცალკეულ სისტემებად ჩამოყალიბდა.

ვედური ლიტერატურის ნაწარმოების, როგორც წარმოშობის დრო, ასევე მისი შინაარსიც, არ მიეკუთვნება სახელდობრ ჰინდუიზმს. მიუხედავად ამისა, რომ ორთოდოქსი ჰინდუ მას თავისი ტრადიციების ყველაზე ახლო სათავეებთან აყენებს. მან ვედები, ისევე როგორც არიელეზამდელ ტომთა რელიგიის მრავალი სხვა ელემენტი, შეიტანა თავის სარწმუნოებაში და მისი რთული სისტემის ნაწილად აქცია.

თხრობითი ლიტერატურა და ჰინდუიზმის წყაროები

იმისათვის, რომ ვედური ლიტერატურა უფრო ღრმად გასაგები ყოფილიყო საჭირო გახდა შექმნილიყო დამხმარე თხრობითი ნაწარმოები ვედური მეტყველების სხვადასხვა დარგში (ვედანგა) - ფონეტიკაში, რიტუალისტიკაში, გრამატიკაში, ეტიმოლოგიაში, მეტრიკასა და ასტრონომიაში. მოგვიანებით მათ შეუერთდა ტექსტები, რომლებიც მთელ რიგ სხვა დისციპლინას ეხებოდა და ჩვეულებისამებრ სუტრებად იწოდებოდნენ. სუტრები ზეპირი სწავლებისათვის იყო გამიზნული და ამიტომ შესაბამისი წესები და დებულებები მეტად მოკლედ იყო გადმოცემული, რაც ხშირად მათ აბსოლუტურად გაუგებარს ხდიდა.

ზემოთ დასახელებული ექვსი დისციპლინიდან, რიტუალისტიკამ ძალიან სწრაფად მოიპოვა აღმატებითი მნიშვნელობა ჰინდუიზმში. შრაუტა - სუტრებში აღწერილი იყო დიდი მსხვერპლშეწირვები, ხოლო გრიჰია - სუტრებში - საშინაო წესჩვეულებები. შალაეასუტრები შეიცავდნენ სამსხვერპლო სალოცავების საამშენებლო ინსტრუქციებს და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ითვლებოდა დჰარმა - სუტრები, რომლებიც ერთგვარ მსჯელობებს წარმოადგენდნენ, ანუ ნორმებსა და კანონებს სასულიერო და საერო ცხოვრების შესახებ. მათში ნათქვამია კასტების წესებსა და კანონების შესახებ, რომლებიც ცალკეულ ადამიანთა ურთიერთობებს აწესრიგებენ.

შემდგომში სუტრები შეცვალეს ნამდვილმა კრებულებმა - შასტრებმა, რომლებიც საერთოდ ლექსადაა დაწერილი, რადგან გარითმული ტექსტები, ჩვეულებრივ იოლი დასამახსოვრებელია, ვიდრე პროზა. სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის ლექსითი ფორმის ტრადიცია ინდოეთში შუასაუკუნეებამდე შემორჩა. შასტრებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დჰარმაშასტრები, მათგან - კანონთა კოდექსი, რომელის ავტორობას კაცობრიობის პირველ წინაპარს - ლეგენდარულ - მანუს მიაწერენ. „მანავადჰარმაშასტრა“ რომელიც დღემდე ითვლება ყველაზე ავტორიტეტულ

ტექსტად და ჰინდური საზოგადოების ადამიანის პრაქტიკულ ცხოვრებას ეხება. მას გარეთვე უწოდებენ „მანუ-სმრიტის, ვინაიდან დებულებებს, რომლებიც ტრადიციულად ზეპირად (სმრიტი - „მეხსიერება“) გადაეცემოდა თაობებიდან თაობას. თუმცა „მანუს“ - კანონები ეხება რელიგიურ საკითხებს, ქვეყნის წარმოშობასა და მისი წყობის საკითხებს, მაგრამ უწინარესად, იგი შესდგება დებულებებისაგან, რომელთა შესრულებაც ეხება ცალკეულ პირთა თემთა და კასტებს. ჰინდური ტრადიცია დიდი სიამოვნებით იხსენებს ხოლმე ამ წყაროს, თუმცა პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს გადახრებს ამ დებულებებიდან.

უბრალო ხალხის მსოფლმხედველობასთან ყველაზე ახლოს იდგა ეპიკური ნაწარმოებები, ძირითადად, სანსკრიტზე შექმნილი, ორი დიდი პოემა „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ჰეროიკული ხასიათის მრავალრიცხოვანი სასიყვარულო ეპიზოდების შემცველი საერო ნაწარმოები. ჭეშმარიტებასთან ახლოა ის მოსაზრებაც, რომ ამ ნაწარმოებში ძირითადი და ზოგი ჩართული ეპოზოდები, ოდესღაც ფოლკლორს ეკუთვნოდა. საუკუნეების მანძილზე, ჩვენს ერამდე, ცალკეული ეპიზოდები თავმოყრილი იქნა ერთიან ნაწარმოებად. „მაჰაბჰარატა“, ტრადიციის ტანახმად შექმნილია ლეგენდარული რიშის-ვიასის მიერ, მაშინ როცა ლიერატურულად უფრო ღრმად გააზრებული „რამაიანა“ თავის სანსკრიტულ ვერსიაში, უთუოდ, ნამდვილად წარმოადგენს პოეტ ვალმიკის ნაწარმოებს, რაც ტრადიციულადაც აღიარებულია. შემდგომში ჰინდუიზმმა ეს ნაწარმოებები რელიგიური ლიტერატურის დონემდე აიყვანა. „რამაიანას“ მთავარი გმირი - რამა- ღმრთის - ერთ-ერთ განსხეულებად იქცა, ხოლო მისი ისტორია კი ჰინდური მითოლოგიის შემადგენელ ნაწილად.

დღეს „მაჰაბჰარატას“ განიხილავენ, როგორც კრებულს, რომელიც მოგვითხრობს რეალურ გმირებზე, რომელთა თვისებები და მოქცევები ჰინდური მორალის ნორმას წარმოადგენენ. ეპოსში შევიდა მრავალი მითოლოგიური ხასიათის სიუჟეტებიც. ჩვენ აქ ვხვდებით ცნობილ რელიგიურ ფილოსოფიურ ტრაქტატს „ბჰაგავადგიტას“ რომელიც სამართლიანად იწოდება „ჰინდუიზმის ბიბლიად“, და რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ იგი ძირითადი ნაწარმოების უფრო გვიანდელი დროის დამატებას წარმოადგენს. სრულიად ხელოვნურად გამოიყურება „მაჰაბჰარატაში“ მეცხრამეტე წიგნი „ჰარივანშას“ („ჰართა საგვარეულო“ ე.ი. ვიშნუს) კრებული, რომელიც წარმოადგენს კრიშნას შესახებ შექმნილი ლეგენდის უფრო გვიანდელ ლიტერატურულ ვერსიას.

საგულისხმოა, რომ ჰინდუიზმი, თანამედროვე მომხრეთა წარმოდგენაში რჩება, როგორც წმინდათა წმინდა. ამ ეპოსის თვით კითხვა და მოსმენაც კი დიდპატივად ითვლება. ამავე დროს, აქ ლაპარაკია არა მარტო პირვენდელ სანსკრიტულ ვარიანტებზე, არამედ აურაცხელ დამუშავებებზე, ხელახალ გადმოცემაზე, როგორც მთლიან პოემების, ასევე ცალკეული ეპიზოდების პერიფრაზირებისას სანსკრიტულ და ახალ ინდურ ენებზე. აღმოსავლეთ ბენგალის ერთ-ერთ ხალხურ ბალადაში ნახსენებია „რამაიანას“ პოპულარული ვერსია, რომელსაც პოეტ ქალს ჩონდრაბოტის მიაწერენ, და ნათქვამია, რომ ამ ლექსების წარმოთქმა ადამიანს „განწმენდს ცოდვებისაგან“, ხოლო ხმამაღალი კითხვა შუასაუკუნის პოეტის ტულსი დასის „რამაიანასაი“, რომელიც ჰინდი ენის - ავადჰის დიალექტზეა დაწერილი, შედის ცნობილ ვიშნუიტურ დღესასწაულის რამლილას პროგრამაში და ა.შ. პოეტების სურვილი ორივე ეპოსის

ქალისა და ვაჟის სახეები - იუდჰიმიტორა და მისი ძმები, რამა, ლაქშამი, სიტა, დრაუპადი, სივიტრი და სხვები - ჰინდური ტრადიციის ყველაზე დასაფასებელი თვისებების განსხეულებებად იქცნენ. ჩვენამდე მოღწეული არა ერთი ინდური რიტუალი და ცერემონია, ამ ეპოსის სხვადასხვა ეპიზოდებს მყარება.

გარდა ეპიკური ნაწარმოებებისა, რომლებიც ჰინდური მითოლოგიის მხოლოდ არაპირდაპირ წყაროებად ითვლება, უნდა ითქვას, რომ ისინი არსებობდნენ მხოლოდ ჰინდუიზმის მიერ მათი შთანთქმის შემდეგ. სანსკრიტული ლიტერატურა მოიცავს მრავალ წმინდა მითოლოგიურ ტრაქტატებს, ეგრეთ წოდებულ პურანებს (სიტყვა - სიტყვით „ძველი ისტორიები“), რომლებშიც აღწერილია სამყაროს შექმნა, ღმერთების თავგადასავალი და მათი ბრძოლა დემონებთან. მოცემულია სამეფო, წმინდა დინასტიების გენიალოგია და მოყვანილია სხვადასხვა შემთხვევები როცა ღმერთები ქვეყნის საქმეებში ერევან. უფრო კონკრეტულად „პურანები“ ჰინდუიზმის მითოლოგიის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. აქ მხედველობაშია მრავალი ისეთი ლიტერატურა, რომლის ფესვები შორეულ წარსულში მიდიან, მაგრამ აშკარაა, რომ პურანებმა თავისი ეხლანდელი სახე, შედარებით ახლახან მიიღო.

ამას მოწმობს ისიც, რომ ცალკეული წიგნები, რომლებიც სექტანტური ხასიათსაა ე.ი. ხაზს უსვამენ სახელსა და დიდებას ერთ-ერთ მთავარი ღმერთისა, ხოლო სექტის წარმოშობა ძნელად მიეწერება ჰინდუიზმის განვითარების უძველეს პერიოდს.

არსებობს თვრამეტი ძირითადი „პურანა“, რომელიც შინაარსობრივად სამ ჯგუფად იყოფა: პირველში განდიდებულია ღვთაება ვიშნუ („ვიშნუ-პურანა“, „პადმაპურანა“ და ა.შ.), მეორეში - შივა („მატსია-პურანა“, „ვაიუ-პურანა“, „აგნი-პურანა“), მესამე კი მიძღვნილია როგორც ამ ღმერთების და მათი მანიფესტაციისადმი - გამოვლენისადმი, ასევე ჰინდური პანთეონის სხვა ღმერთებსა და ქალღმერთებ შორის არსებული განსხვავებისადმი, („ბრაჰმაპურანა“, „მარკანდეაპურანა“, „ბჰავიშა-პურანა“ და მისთ). ამათ გარდა, არსებობს კიდევ თვრამეტი ე.წ. „ქვეპურანა“ (უპა-პურანები) რომლებსაც გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, სთჰალა-პურანა, რომლებიც ახალ ინდურ ენებზე უფრო მოგვიანებით იქმნებოდნენ. „პურანებმა“ შესამჩნევი გავლენა იქონიეს ინდური ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე, განსაკუთრებით ჩვენს ათასწლეულში. ისინი ნიმუშად იქცნენ მრავალი ინდური ნაწარმოებებისათვის, რომლებშიც გადმოცემულია ძირითადი იდეა - გარკვეული ღმერთისა თუ ქალღმერთის განდიდება მათ ეპიკურ ეპიზოდებში აღწერის გზით. ამ ფაქტმა დააჩქარა ჰინდურ პანთეონში ჰინდუიზმამდე ღვთაებების ფორმალური შეყვანის პროცესი და აბორიგენულ ტომთა კულტების თანდათანობით შეჭრა ჰინდუიზმის საერთო სისტემაში. ყოველ შემთხვევაში „პურანები“ განაგრძობენ სიცოცხლეს პირველსაწყის ვარიანტებშიც და სხვადასხვა დამუშავებებშიც, რომლებიც უბრალო მორწმუნეთათვისაა შექმნილი. პურანული ისტორია ფართოდაა ხალხში გავრცელებული ზღაპრებისა და ლექსად წარმოსათქმელი ჰიმნების სახით, რომლებსაც დედები თავიანთ ბავშვებს უამბობდნენ.

როდესაც საუბარია ჰინდუიზმის თხრობით ლიტერატურაზე აუცილებელია დასახელება ინდური სექტების ლიტერატურისა, ტანტრებისა და აგამებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ მასალებს წარმოადგენენ. ეს პირველ რიგში ეხება

ინდური ღმერთების კეთილმსურველობას და ზებუნებრივი ძალების შეძენის საშუალებებს.

ტანტრისტულმა ლიტერატურამ ცალკეული სექტების რელიგიური ცხოვრებიდან პრაქტიკულად გამოდევნა კლასიკური ჰინდური ლიტერატურა. ამგვარ სექტებში ზოგიერთებს გარდამავალი პოზიციები უკავია ჰინდუიზმსა და ტანტრისტულ ბუდიზმს (ვაჯრაიანას) შორის, რომლებიც ინდოეთის ფარგლებში იფურჩქნებოდა. სექტებს ძლიერად შეეზავნენ ორივე რელიგიის, უძველესი კულტებისა და შავი მაგიის ელემენტები, ამ მომენტს კი ხშირად ყველაზე მეტაი მნიშვნელობა ეძლეოდა. ამგვარი შერევის შედეგად წარმოადგენდა რელიგია, რომელიც წმინდათაწმინდა ეზოთერული (რელიგიური წესების შესახებ) მეცნიერების და მედიტაციის გარდა, იოგისორგანოსთული წესჩვეულებებისა და სისხლიანი მსხვერპლის მოტანის კულტივირება წარმოადგენდა. თუმცა ტანტრისტულმა ლიტერატურამ მიიპყრო მთელი რიგი ევროპული მკვლევარების ყურადღება, მაგრამ მეცნიერებმა ვერ შესძლეს თვით ძირითადი ნაწარმოებების არსის დადგენაც კი. წარუმატებლობა ამ სფეროში, დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ტანტრისტული სექტები თავგამოდებით იცავენ თავიანთ მოძღვრებას გაუნდობელთაგან. ამრიგად დაბეჯითებით არაფერი ვიცით ამ ლიტერატურული წყაროს მოცულობის შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ უკვე მის შინაარსზე.

ძველი ინდური პოეზია და ჰინდუიზმი

მოკლე მიმოხილვაში შეუძლებელი ჩამოთვლა, იმ ნაწარმოებებისა რომლებსაც თვითონ ინდოელები ათავსებენ ცნებაში: „ჰინდური ლიტერატურა“. უსაზღვროდ მრავალფეროვან სანსკრიტულ ლიტერატურიდან ძალიან ცოტა რამ დარჩა ამ ცნების მიღმა... საუკუნეების მანძილზე ჰინდუიზმმა შეძლო მიეთვისებინა სატრფიალო ლირიკა, რასაც დავინახავთ უფრო გვიანდელი ნიმუშების მაგალითზე. ამ მოვლენიდან თვით ინდურმა პოეზიამაც ვერ დააღწია თავი.

სანსკრიტული ეპიკისათვის სიუჟეტების ერთადერთ წყაროს „მაჰაბჰარატა“, „რამაიანა“ და პურანები წარმოადგენს. სატრფიალო თემასთან ერთად კვლავ და კვლავ მუშავდება მათი ძირითადი თემები და ცალკეული კერძო მოტივები; ეპიკურმა მითებმა ახალი ხორცი მოისხეს და ამგვარად, შემქმნელთა პოეტური გენეოლოგია ხელოვნურად იხევდა შორეულ წარსულისაკენ და სადღაც მითოლოგიას ერწყმოდა. ამ ტიპურ მაგალითს წარმოადგენს წარსულის უდიდესი პოეტის კალიდასას (VI ს). დაუმთავრებელი ნაწარმოები „კუამარასამბჰატა“ („ომის ღმერთის დაბადება“), რომელიც მითოლოგიური ნაწარმოების ხასიათს ატარებს. მოქმედება ღმერთების ქალაქში წარმოებს, აღწერილია შივასა და პარვატის შვილის სკანდას დაბადება და ბრძოლა დემონებთან, ხოლო პოემა „რაგჰუვანშაში“ („რაგჰუთა მოდგმა“) ავტორი მეფე რაგჰუს მემკვიდრეთა შორის უბრალოდ ასახელებს რამას, და პოემა „რამამანდან“ ისისხლხორცებს სუბიექტურად დამუშავებულ ნაწილს.

სანსკრიტული ლიტერატურის მრავარიცხოვან ძეგლებს შორის არც თუ ისე ცოტაა,

წმინდა რელიგიური ხასიათის ნაწარმოებები. ემოციური ჰიმნები და ღმერთებისადმი მიმართვა მეტად დიდხანს არსებობდა, როგორც პოეტური შთაგონების ერთერთი მთავარი ფორმა, მაგრამ როგორც წესი, სანსკრიტული ლირიკისათვის უფრო დამახასიათებელია მოკლე სტროფებიდან შემდგარი, დახვეწილი ლექსები, რომლებშიც სატრფიალო მოტივებისა და ბუნების აღწერის გარდა, ადგილი ეთმობა სჯა-ბაასს რელიგიურ და ფილოსოფიურ თემებზე. მათი შინაარსი ძირითადად გადმოსცემს ჰინდუიზმის იდეებს, შეხედულებებსა და დარიგებებს - მათში ლაპარაკია ცხოვრების წრებრუნვასა, ასკეტიზმსა და კარმის კანონის შეუმწყალელობის შესახებ. ყველაზე მკვეთრად ეს ასახულია ძველი ინდური სიტყვის ერთ-ერთ ყველაზე უდიდესი ოსტატის ბჰარტრიჰარის (დაახლოებით VII ს.) ნაწარმოებში. მისი ღრმა ფილოსოფიური პოეზია განსხვავდება ფერების და ჩრდილთა თამაშის საოცარი სიუხვით, მაგრამ არასოდეს არ სცილდება ჰინდური იდეების ჩარჩოებს. მოვიყვანოთ ნაწყვეტს მისი „ვიარაგიაშტაკადან“, (ასი ლექსი ვნებათა უქონლობაზე).

გულო განიწმინდე აურაცხელ ცოდვებისგან
ციურ წყაროსთან, დაიმკვიდრე სულის სავანე.

აწი სიკეთე უნდა ჰპოვო მარტო შივასთან,
ვისაც ამშვენებს დიადემა ფერმკლთალი მთვარის.

განა მდინარის ტალღასა და ანდა სიმდიდრეს, განა ლაპლაპა საპნის ბუმტებსა და
ურწმუნოებს,

ცეცხლის ალსა და თითქოს ნაცნობ მდინარის სიღრმეს, განა იქნება მთელი
გულით, რომ ენდო მართლა?

(თარგ. ნ.კ.)

ბჰარტრიჰარის ლირიკის აზრს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა გავიხსენოთ „ტრივარგა“, ანუ ცხოვრების სამი მიზანი, რომელთა მიღწევა ყველა ბრაჰმანთა რელიგიური მოვალეობაა, თუმცა ადამიანის სულიერი და საზოგადოებრივი ფუნქციების გარდა აქ შედიოდა მისი მატერიალური პროფესიული მდგომარეობა, აგრეთვე ოჯახური ცხოვრება და მისი ემოციების სამყარო. რომელსაც აშკარად გააჩნდა ისეთი ისეთ ფართო ჩარჩოებში, რომლებიც ძველ და საშუალო საუკუნეების პოეტებს საშუალებას აძლევდა თავიანთი შემოქმედება დაეთმოთ სწორედ იმ პრობლემებისათვის, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მათ ტემპერამენტსა და ტალანტს.

თუმცა ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ შენარჩუნებულა. როგორც ლიტერატურაში, ასევე რელიგიაში დაიწყო გაძლიერება სხვაგვარმა ტემდენციამ, ახლა გრძნობა გონებაზე უფრო ფასდებოდა და მთავარი ყურადღება ეთმობოდა ღმერთის სიყვარულსა და მისდამი ერთგულებას. აქ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ნაგულისხმევია ერთი ღმერთი, და არავითარ შემთხვევაში მრავალი. ჰინდუიზმი, მართალია, არ გადაქცეულა მონოთეისტურ რელიგიად, მაგრამ I ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის დამდეგს ჩვენს წ.ა.-ით. სექტები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ, და ყოველი სექტა თავის ღმერთს სხვა სექტის ღმერთზე მაღლა აყენებდა. პოეზიის მგრძნობელობითი (ემოციური) მიმართულება, პასუხობდა ბჰაქტის (ღვთის ერთგულების) მოძღვრებას და აკმაყოფილებდა მიდრეკილებას მასებისა, რომლებიც მუდამ შორს იყვნენ ფილოსოფიური ჭვრეტისაგან. ბჰაქტი ნიშნავდა აგრეთვე ძველი ჰინდუიზმის

დაახლოებას აბორიგენულ ხალხურ კულტებთან და ტომობრივ რელიგიურ პრაქტიკასთან. სწორედ ამიტომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში იგი იქცა რელიგიურ-პოეტური შემოქმედების ძირითად იმპულსად.

ამ პროცესის გამკვლევა მართოდენ სანსკრიტული - ლიტერატურის მაგალითზე მეტად ძნელია, ვინაიდან ჩვენი ათასწლეულის დასაწყისში იგი დაეცა და თანდათან გაქრა.

დრავიდული სამხრეთის ლიტერატურა

უმრავლესობა ახალი ინდური ლიტერატურისა მხოლოდ ჩვენს ათასწლეულში და მისი აყვევების ხანა მოიცავს არა უგვიანეს ასეულ წლის პერიოდს. ამ მხრივ, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ტამილური ლიტერატურა, რომელსაც უწყვეტელი, თითქმის ორიათასი წლის ტრადიცია აქვს: პირველი ძეგლები ეკუთვნოდა ახალი ერის დასაწყისს და დიდად არ არიან დაცვილებული იმ დროისგან, როდესაც ჩრდილოეთში დიდი სანსკრიტული ეპოსი ყალიბდებოდა.

ძველი ტამილური საერო პოეზია მალე უთმობს ადგილს რელიგიურს და ტამილთა ლიტერატურა თავისი შინაარსით ერწყმოდა ინდოეთის დანარჩენ ნაწილს - ჰინდურ ლიტერატურას. უკვე დაახლოებით V საუკუნეში ვალუვარი ქმნის თავის „ტირუკურალას“ (მას ტამილურ ვედასაც უწოდებენ) ნათქვამთა კრებულს, ჰიდუტა მოვალეობის შესახებ მათ სულიერ ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეპიკური პოემების ტამილელი ავტორები, განსაკუთრებით კამბანი, გმირებს ჰინდურ პანთეონში პოულობენ. ლირიკოსები კი VI-IX საუკუნეებში უკვე „ბჰაქტურ ჰიმნებს“ ქმნიდნენ, რომელთა ემოციური ხასიათი ძლიერდება სამხრეთული ტემპერამენტით. შივა და ვიშნუ პოეტის ძირითადი სახოტბო ობიექტები ხდებიან, რაც შემდგომ ხელს უწყობს იმას, რომ სამხრეთინდურ ჰინდუიზმში მათ წამყვანი ადგილი დაიკავეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ძველი ფილოსოფიური ნაწარმოებები და საერთოდ ვედური ლიტერატურა ხალხის მასებისათვის ტრადიციათა გაწმინდანებულ კრებულზე მეტი რომ ყოფილიყო, ჩვეულებრივ ეს აბსოლუტურად გაუგებარი ტექსტები, აღიქმებოდა მკითხველის მიერ როგორც ზეადამიანური რამ - არამიწიერი ავტორიტეტის წყარო. შუა საუკუნეების „ახალი ჰინდუიზმი“ თავისი სულით ბევრად ახლოა მოსახლეობის ფართო მასებთან. იქაც ჯისეთი ღმერთები მოქმედებენ, რომლებიც აღსავსენი არიან არაჩვეულებრივი ხალხისათვის გაცილებით გასაგები თვისებებით და უნარით. უპირველეს ყოვლისა მათში ცანს ერთგვარი ურთიერთკავშირის სასუალებები - არა სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა, არამედ მგზნებარე ერთგულების გამომხატველი გრძნობები და ლოცვები, რაც ხდის წარმოდგენას ადამიანსა და ღმერთს შორის, განურჩევლად მისი კასტისა და ინტელექტუალური დონისა. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ ბჰაქტური პოეზია აყვავდა ხალხურ ენებზე და არა სწავლულთა - პანდიტთა სანსკრიტზე. ბჰაქტის განვითარებასთან ერთად ლიტერატურაში ჩნდება იდეები, მიმართული კასტური იერარქიის წინაღმდეგ, ხალხის ღმერთის წინაშე პრინციპული თანასწორობის იდეები.

მართალია, შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ხმებმა ვერ შეძლეს დაერღვიათ კასტური სისტემის მეტად მყარი ზღუდე. უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ეს ზღუდე უფრო განმტკიცდა და შეძლო შეეჩერებინა ჩასახული ტენდენციები სულის თეორიულ სფეროში და საშუალება არ მისცა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეჭრილიყვნენ.

ჩრდილოეთ ინდოეთის ახალი ლიტერატურა

მიუხედავად განსხვავებისა და სპეციფიკური თვისებებისა, რომლებშიც გამოისახა ჩრდილოეთ ინდოეთის ცალკეული ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების ტრადიციები და ფსიქიკური თავისებურებანი, მათ ლიტერატურებს ბევრი რამ საერთო აქვთ. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს მოვლენა ძირითადად აიხსნება მათ ძალზე დიდი საერთო რელიგია - ჰინდუიზმით. საკარო ლიტერატურა გვერდზე რომ მოვიტოვოთ, რომელსაც შედარებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, და ნაწარმოებები, რომლებიც სხვა რელიგიებით სულდგმულობენ (პირველ რიგში ისლამით, მაგალითად ურდუზე, პანჯაბსა და ბენგალურზე) კლასიკური პერიოდის (XX-მდე) ახალი ინდური ლიტერატურების თითქმის მთელი შინაარსია თემეტიკა მეტნაკლებად მაინც დაკავშირებულია ჰინდუიზმთან. II ათასწლეულის მანძილზე მისი გავლენა ლიტერატურაზე არც თუ შესუსტდა, არამედ გაძლიერდა, რაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე, გამოწვეული იყო განმტკიცებით ჰინდური ინსტიტუტებისა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კასტობრივ წყობასთან, სახელმწიფოში მთელ რელიგიურ-საზოგადოებრივ სისტემასთან.

ეს გარემოება საშუალებას იძლევა შედარებით უბრალოდ შეფასდეს მრავალ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები, იმ შკალაზე, რომელიც საერთოა ყველა ახალი ინდური სამწერლო ლიტერატურებისათვის; ამავე დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნას ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც საკმაოდ თავისუფლადაა გამოყენებული სანსკრიტული ლიტერატურის ელემენტები, ან კიდევ უფრო ახლები, რომლებიც წარმოადგენენ ჰინდური ტრადიციების ხალხურ ჰინდუიზმამდელ სარწმუნოებასა და საშინაო (საოჯახო) კულტების სინთეზს, ან კიდევ სხვა რელიგიების გავლენის შედეგს. აზრი არა აქვს ცალკეულ ახალი ინდური ლიტერატურების განხილვასა და მათი ძირითადი წარმომადგენლების ჩამოთვლას. აქ ხაზგასმულია მხოლოდ ურთიერთ დამოკიდებულება ჰინდუიზმსა და ინდურ ლიტერატურას შორის, ამიტომ უთუოდ, საკმარისი იქნება შემოვიფარგლოთ სინთეტიკური განხილვით ერთ - ერთ მათგანის, ბენგალური ლიტერატურის, რომელიც ყველაზე ტიპურია და ამ თვალსაზრისით.

არაორთოდოქსული კულტები და ბენგალური ლიტერატურა

უკვე ბენგალური ლიტერატურის პირველი ძეგლები, დათარიღებული ჩვენი ათასწლეულის დასაწყისით, რომლებიც შემთხვევით შემორჩნენ ნეპალში, მასზე მოწმობენ, რომ ბენგალიაში დიდი ადგილი ეთმობოდა არაორთოდოქსული, ეზოთერულ კულტურებს, რომლებიც ზოგან ინდური თვალსაზრისით

განსაკუთრებულ, პერიფერიულ ხასიათს ატარებდნენ. ჩვენ ვახსენებთ ტანტრიზმსა და მათთან დაკავშირებულ შუასაუკუნეების ხელნაწერებს. ტანტრის მოძღვრებამ ბიძგი მისცა ადრეულ შუა საუკუნეებრივი სიმღერებისა და პოეტური სტროფების გამოჩენას, რომლებიც მოგვიანებით ბენგალური მწერლობის უძველეს ნაწარმოების „ჩარიაპადას“ კრებულის შინაარსის წყაროდ იქცნენ. მასში ბუდიზმისა და ჰინდუიზმის ელემენტები ერთმანეთში გაუგებრობამდე იხლართებიან. ამ შემთხვევაში ორივე რელიგიები გვევლინებიან ისეთი სახით, რომელიც ძნელად თუ დააკმაყოფილებს ორივე რელიგიის ორთოდოქსებს. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ტანტრისტული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი და ისტორიკოსი შ. დასგუპტა, იოგური პრაქტიკა შეერწყა ჰინდუიზმის პერიოდისა და ჰინდუიზმამდე არსებულ რელიგიურ თეორიებს. ჩვეულებრივ ცნობილ თეოლოგიურ მიმდინარეობებთან ერთად. ინდოეთში ძველთაგანვე არსებობდა ფარული რელიგიური იუოგური მიმდინარეობა, რომელიც მხოლოდ განდობილთათვის იყო ხელმისაწვდომი. ამ საიდუმლო პრაქტიკამ, გაკავშირებულმა შივაიტებმა და შაქტის მიმდევართა თეოლოგიურ იდეებთან, გამოიწვია შივაიტური და შაქტური ტანტიზმის წარმოშობა. საბოლოოდ გაჩნდა საიდუმლო ვიშნუიტური კულტი, დამყარებული ბენგალურ ვიშნუიზმის იდეებზე, რომელიც დღეს „საკაჯიას“ სახელწოდებით „ცნობილი“.

ძველბენგალურზე დაწერილი „ჩარია-პადა“ სრულებითაც არ წარმოადგენს იოგების (როგორც პრაქტიკისა და ფილოსოფიის) შივაიტურ და ვიშნუიტურ მოძღვრებასთან შეერთების ერთადერთ შედეგს. დღესაც ცოცხალია ლიტერატურა, რომელიც ემსახურება მის გაგრძელებას არა მარტო ბენგალური ხალხური სიმღერების - ბაულების სახით, რომლებსაც მღეროდნენ ასკეტები (ჰინდუებიცა და მუსულმანები) არამედ პირველ რიგში გალექსილი შელოცვებისა და ლოცვების სახითაც. ამ ლიტერატურას იყენებენ სექტები და ჯგუფები, რომლებიც ხშირად ოფიციალურ რელიგიასა და ჯადოქრობას შორის დგანან და დღემდე ატარებენ საიდუმლო წმინდანობისა და საოცარი ყოვლისშემძლეობის ნიშანს. რა თქმა უნდა აღნიშნული ნაწარმოებები, უთუოდ უკვე აღარ შეიძლება მივაკუთვნოთ ლიტერატურას. ამაზე უფრო დაწვრილებითი საუბარი გვექნება წიგნის იმ ნაწილში, რომელიც სასწაულმოქმედ მაგიას ეძღვნება.

ვიშნუიტური მოძრაობა - ბჰაქტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურული თვალსაზრისითაც, სულ ყველაზე ნაყოფიერ ჰინდუიტურ მიმდინარეობად იქცა ბჰაქტი. ბენგელიასა და ინდოეთის უმრავლეს ჩრდილო რაიონებში მას პრაქტიკულად ვიშნუიზმთან აიგივებენ. განსაკუთრებით XVI საუკუნეში მისი მქადაგებელი გახდა წმინდა ჩაიტანია. პოეზია - ბჰაქტი უწინადაც ჰყვოდა. ჩაიტანიამდე ასი წლით ადრე სახელი გაითქვა მართაპილელმა პოეტმა ვიდიაპატიმ, რომელსაც მრავალრიცხოვანი მიმდევარი და ეპიგონი ყავდა მთელს აღმოსავლეთ ინდოეთში, მაგრამ ჩაიტანიას მქადაგებლური მოღვაწეობის შედეგად ვიშნუიტური ბჰაქტი მეტად გავრცელდა ბიჰარში, ბენგალიაში, ურისასა და ასამში, და ღრმად გაიდგა ფესვები მოსახლეობის ყველა ფენებში.

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით იდეებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ზემოხსენებულ ტანტრისტული წარმოშობის წარმოშობის საიდუმლო მოძღვრებებს, რათა უკეთესად გავიგოთ ფილოსოფიური თეორიები, რომლითაც „გამდიდრდა“ ბჰაქტური ვიშნუიზმი. აქ ცენტრში იყო ის რწმენა, რომ სულიერი სწრაფვების მთავარი მიზანია, დარღვეული ერთიანობის აღდგენა, რაც სრულყოფას ნიშნავს. განუდგომელს ერთიანობა წარმოუდგენია, როგორც წყვილი ურთიერთწინააღმდეგობებისა, რომლებიც არსებობენ ყველაზე განსხვავებულ სფეროებში, ვთაქვათ, სიმშვიდისა და მოქმედების პრინციპები, სუბიექტურისა და ობიექტურის, კაცისა და ქალის. რა თქმა უნდა თავდაპირველად ფაქტიურად არსებობდა ამ ურთიერთ საწინააღმდეგო პრინციპების (ადვაიტა) ერთი მეორისაგან განუყოფელობა და, განდგომილი, რომელიც ხსნის მეცნიერების საიდუმლოებას, მიზნად ისახავს კვლავ მიაღწიოს ერთიანობას (მთლიანობას). ყოველი ტანტრისტული სექტა თავის საკუთარ გზას ეძებდა, და ამავე დროს ყოველი მათგანი საკმარისად იყენებდა იოგების მეთოდს. ბჰაქტურმა ვიშნუიზმმა უარყო იოგი და შეცვალა იგი ღმერთისადმი ერთგულების, უპირველეს ყოვლისა კრიშნასადმი, რომელიც ვიშნუს მწყემსად განსხვავულებას წარმოადგენდა. ლეგენდა კრიშნასა და მწყემს ქალ რადჰას სიყვარულზე, წარმოადგენდა სიმბოლური გამოსახულების, ქვეყნის ერთიანობას, რაც მიღწეული იქნა ღვთაებრივი წყვილის სიყვარულის მთლიანობასი. მართალია აქ საუბარია ძველებური მითის ხელახალ გააზრებაზე, მაგრამ ეს ლეგენდა ასობით აღმოსავლეთინდოელი პოეტების შთაგონების წყაროდ იქცა. ყოველ მათგანის სასიყვარულო ლირიკა აგებული იყო კრიშნაიტულ მოტივებზე, რომლებსაც პოეტებმა რელიგიური ხასიათი მიანიჭეს. კრიშნას ისტორია მათ საშუალებს აძლევდა ეპოვათ, არა მარტო მისი ახალი ვარიაციები, არამედ გამოეხატათ წმინდა ეროტიკული გრძობები, ტრადიციულ მითოლოგიურ ფორმაში და ღვთაებრივი წყვილი ჩვეულებრივი საყვარლების სახით დაეხატათ. ყოველ შემთხვევაში კრიშნასა და რადჰას ისტორია წარმოდგენილია მაღალმხატვრულ ნაწარმოებში, რომლებშიც ავტორებმა შეძლეს ჩაექსოვათ გრძობების მრავალფეროვნება და თავიანთი პირადი გამოცდილების მთელი სიმდიდრე.

ბჰაქტის იდეოლოგიამ, ვიშნუიტების ეპიკურ ლიტერატურასაც შესაბამისი ელფერი მისცა. მასში დაწვრილებითაა მოთხრობილი მთელი ლეგენდა კრიშნაზე და მისი ცალკეული ეპიზოდები, მოგვიანებით აისახა გაღმერთებულ ჩაიტანიასა და მისი პირველი მოწაფეების ცხოვრებაც. ერთი სიტყვით, ვიშნუიტური ეპოსი მეტისმეტად მოექცა სექტანტური მოძღვრების გავლენის ქვეშ. ამას აკლია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და ვიშნუიტური ლირიკის ემოციურობა.

ჩრდილოეთ ინდოეთში ბჰაქტის მოძრაობა შივაიტურ სექტებზე არ გავრცელებულა. შივაიტების გავლენა მხოლოდ ბენგალურმა ეპიკურმა ლიტერატურამ განიცადა.

ღმერთების მადიდებელი ეპიკური ნაწარმოებები

ეგრეთწოდებული მანგალების, ანუ ზღაპრების, ბენგალური ეპიკური ლიტერატურა მეტად შორეულ წარსულშია ჩასახული. რა თქმა უნდა, ისინი იქმნებოდნენ სანსკრიტული პურანების საკმაო გავლენითაც, მაგრამ პურანების მსგავსი ლეგენდები,

რომლებიც თავს იყრიდნენ გარკვეული ღმერთებისა და ქალღმერთების ირგვლივ, ბევრ შემთხვევაში იმაზე მეტყველებს, რომ ეს ლეგენდები იქმნებოდა არიელებამდელ პერიოდში, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მანგალების წინა ისტორია, მანგალები დასრულებულ ნაწარმოებების სახით პირველად XIV საუკუნეში გამოჩნდა. მანგალები წრმოადგენენ ისტორიას, რომელიც მუდამ ადიდებდა და ხოტბას ასხამდა იმ ერთ-ერთ ღმერთს ან ქალღმერთს, რომელთა და ძალისა და მნიშვნელობის დამტკიცებასაც იგი ცდილობდა. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტის ცენტრში ყველაზე ხშირად სწორედ ის ქალღმერთებია, რომლებიც ჰინდურ პანთეონში ან სხვაგან საერთოდ არ ჩანან, ან კიდევ უჭირავთ მეორეხარისხოვანი ადგილი. მანგალებში ხოტბაშესხმულ ქალღმერთებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ჩანდი და გველების ქალღმერთი მანასი.

მანგალების დანიშნულებასწარმოადგენს არა მარტო ღმერთების უბრალოდ გაწმინდანება, არამედ მათი უშუალოდ მთავარ ჰინდური ღმერთების დონემდე განდიდება, ან კიდევ პანთეონის ყველაზე მაღალ მწვერვალზე აყვანა. არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად ისწრაფოდნენ პანთეონში შეეყვანათ ის ღმერთები და ქალღმერთები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ ბენგალელები ჰინდუიზმამდელ პერიოდში. ადრინდელი მანგალების აღნიშნულ ამოცანას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თავიანთ ღვთაებებს აიძულებდნენ მეტოქეობა გაეწიათ სხვა ღმერთებისათვის და თვით ხალხისათვისაც. უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ზეცის მკვიდრებს ახალი ღმერთებიც უნდა ეცნოთ და ახალი ღმერთებისათვის ხალხსაც რომ თანაბრად ეცა თაყვანი, ვინაიდან ღმერთი, რომელსაც მსხვერპლს არ შესწირავენ, არ წარმოადგენს ღმერთს ამ სიტყვის ირდაპირი მნიშვნელობით. აქედან მანგალებისათვის დამახასიათებელი შინაგანი დაყოფა. მაგალითად „მანასა მანგალი“ ყველაზე პოპულარული ამგვარ კრებულთა შორის ბენგალიაში, იყოფა ორ ნაწილად: მითოლოგიურ მოთხრობად, მიძღვნილი ქალღმერთის დაბადებისადმი საღვთო მთაზე კაილასის მიღებისადმი, და მითითებებად, თუ როგორ უნდა იქნან იძულებული ისინი, ვინც არ ცნეს ეს ქალღმერთი, არიარონ და თაყვანი სცენ ღმერთს. მაგრამ, მანგალის არც პირველ, მითოლოგიურ ნაწილს არ შეიძლება ბრმად ეწოდოს ინდოეთის სასუალო საუკუნეების პურანების ასლი: ბენგალელმა პოეტებმა განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოიმუშავეს იმ ღმერთებისადმი, რომლებიც მართალია წარმოდგენილი იყვნენ ზებუნებრივ არსებობად, დაჯილდოებულნი ზეადამიანური ძალით, მაგრამ ისინი მაინც რჩებოდნენ, ასე ვთქვათ ადამიანისებური ნაკლოვანებების მქონე არსებებად.

შივა ხდებოდა ბენგალიის სოფლის მაცხოვრებელი, რომელსაც მიდრეკილება აქვს სუსტი სქესის, ნარკოტიკისა და მათრობელა სასმელებისაკენ. ჩანდი გვევლინებოდა ეჭვიანი ცოლის სახით, რომელიც ხშირად ცემდა თავის ქმარს. მანასა ცდილობდა სათაყვანო ღმერთებს შორის მოხვედრას, უკან არ იხევდა არც სიცრუისა და არც მლიქვნელობის წინაშე და ა.შ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ჰინდური მითოლოგიის ტრადიციულმა სახეებმა შეიძინეს ახალი თვისებები, რომლებიც უფრო იოლად გასაგები გახდა ჩვეულებრივი ადამიანებისათვის. მანგალის მეორე ნაწილში ადამიანთა სამყაროს წარმომადგენლები ამ ახალი სახეების გვერდით ბევრად სქემატურად გამოიყურებიან, განსაკუთრებით ქალთა სახეები, რომლებმაც ასკარად შეისისხლხორცეს იდეალი, შექმნილი და განვითარებული კასტობრივი სისტემის მიერ: ასეთი ქალი ქმრისადმი უსაზღვროდ ერთგულია და თავდადებული, მზადაა მისთვის

აიტანოს საშინელი ტკივილები და სასიკვდილოდაც დასდოს თავი.

მანგალების გარდა, რომლებიც მანასის და ჩანდის ადიდებენ კლასიკურ ბენგალურ ლიტერატურაში არსებობს კიდევ ეპიკური საგალობლების ორი ნაირსახეობა. ერთი მიძღვნილია დჰარმის - ღმერთის განდიდებისადმი, მეორე - ეგრეთწოდებული ნათჰებისადმი, საღმთო მოძღვრებისას და დამრიგებლებისადმი, რომლებიც ტანტრიზმის გავლენას განიცდიან და მის თვისებებსაც იძენენ.

მანგალებმა ტავიანთი ცხოველმყოფელობა შეინარჩუნეს მრავალი საუკუნეების მანძილზე, XIII საუკუნეებში კი იქმნება მათი ახალი ვერსიები, რომლებშიც გვევლინებიან ხოტბაშესხმული ნაკლებ მნიშვნელოვანი ვითარებებიც - ბავშვების მფარვეი საშთჰი, ყვავილის სენის ქალღმერთი შიტალა და ა.შ.

კლასიკური მემკვიდრეობის უშუალო გამოყენება

კლასიკურ ბენგალურ სამწერლო ლიტერატურაში, სასკრიტული ნაწარმოებების, უპირველეს ყოვლისა „მაჰაბჰარატასა“ და „რამაიანას“, მრავალი თარგმანი არსებობდა. უდიდესი წარმატებით სარგებლობდა „რამაიანა“, რომლის ახალინდური ვარიანტების ჩამოთვლაც, უთუოდ შეუძლებელია, უფრო სწორად, ამ შემთხვევაში უმჯობესია საერთოდ ვილაპარაკოთ არა თარგმანებზე, არამედ ძველი მასალის თავისუფალ დამუშავებაზე, პერიფრაზირებაზე, რომელიც იმდენად თავისუფალ ხასიათს ატარებს, რომ ხშირად მათი შინაარსი სრულიად არ ემთხვევა პირველწყაროს. დამუშავების ავტორებს მიაჩნდათ, რომ შესაძლებელი იყო შეეცვალათ ძირითადი სიტუაციები. ისინი დიდხანს არ ელოლიაგებოდნენ ეპოსის ისეთ გმირებს, როგორცაა ღვლაებრივი რამა და მისი ერთგული სიტა. ასე მაგალითად ტულსი დასის (XVI- XVII) „რამჩარიტმანასაში“ ჰინდი ენაზე, ღვთაებრივი წყვილი საშუალო საუკუნეების ჰინდოსტანის ნახევარკუნძულის მკვიდრი ხდება, ბენგალურ ვერსიაში - კრიტიბასებში (XV) კი ეს წყვილი ბენგალურია. გარემო, რომელშიც გმირები ლეგენდარულ საგმირო საქმებს ცადიან, ძალიან გვაგონებს იმ რეალურ გარემოს, რომელშიც თვითონ პოეტი ცხოვრობდა. არსებობს წმინდა ფოლკლორული ვარიანტებიც, მათშიც ცალკეული ეპიზოდები ან მთელი ეპოსი, გადმოცემულია შემოკლებით.

ახალინდური „რამაიანები“ დღესაც დიდი წარმატებით სარგებლობენ ხალხში, მათ მღერიან ან კითხულობენ ხალხური მთქმელები, უშვებენ იაფასიან გამოცემებს, გაფორმებული სატრფიალო ილუსტრაციებით, რომლებიც აღვიძებენ მკითხველში ფანტაზიას.

ჰინდური ლიტერატურის მზის ჩასვენება

„რელიგიური ნაწარმოებებისა და მხოლოდ საერო ხასიათის ცალკეული სახეები - ტიპური მოვლენაა კლასიკურ ლიტერატურაში“ ახალ ინდურ ენებზე. XX-მდე

ჰინდუიზმმა შესძლო დაემორჩილა თითქმის მთელი ლიტერატურა, მთელი ლიტერატურული შემოქმედების მონოპოლიზირებამ გამოიწვია ის, რომ საერო თემა უბრალოდ დაუმშებელი იყო, მსგავსი სახის ნაწარმოები არ ითვლებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებად. ამას კი ბევრი რამ მოჰყვა. წიგნის ბეჭვდის გამოგონებამდე ლიტერატურული ნაწარმოე ბები ზეპირსიტყვიერებით გადაიცე მოდა, ან კიდევ მათი ხელით გადაწერა წარმოებდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხელნაწერები ხშირად წმინდათა - წმინდად ითვლება. მაგრამ საერო ხასიათის ნაწარმოებებზე, რა თქმა უნდა, „წმინდანობა“ არ ვრცელდებოდა და მამასადაამე ისინი არც ინახებოდა. მათ ძირითადად ფოლკლორის სახით მოაღწიეს, მათი გადაკეთება წარმოებდა სუბიექტური გემოვნების მიხედვით, ამოკლებდნენ და ცვლიდნენ ზოგჯერ ნაწარმოების მთელ თავებს.

ჰინდუიზმის მონოპოლია ლიტერატურასი შეწყდა მხოლოდ ჩვენს პერიოდში. XIX საუკუნეში ჯერ ბენგალიაში, შემდეგ თანდათან ინდოეთის სხვა რაიონებში წარმოიშვა თანამედროვე საერო ლიტერატურა, რომელიც ყალიბდებოდა ძირითადად ევროპული ლიტერატურის გავლენით. პოეტები თვისუფლდებოდნენ რელიგიის გავლენისაგან.

ჰინდური კლასიკური ლიტერატურის სიუჟეტები ინდოეთის მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებში მალე ქრებიან, მაგრამ არა მთლიანად. თანამედროვე ლიტერატურა თავისი წარმოშობის დღიდან გამოკვეთილ ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა, სრულიად გაუგებარი იყო ხალხისათვის და არ შეეძლო შეეცვალა ტრადიციული ლიტერატურული ფორმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველმა ჰინდუიტურმა თემატიკამ და უწინდელმა ლიტერატურამ ჟანრებმა ოფიციალური ლიტერატურის სფეროდან მხოლოდ გადაინაცვლა ადგლი, მწერლობის სადღაც ყველაზე შორეულ პერიფერიაზე, სადაც იგი დღემდე არსებობს. ინდოეთის ქალაქებში და სოფლების წიგნის ბაზრებზე დრსაც შეიძლება ყიდვა ხალხური გამოცემებისა, რომლებიც შეიცავენ მანგალების, ლეგენდების, პურანებისა და ძველი ეპიკური პოემების ეპიზოდებს ახალ ვარიანტებს, აქვე იყიდება ლირიკული კირტანები, სიმღერები, ლოცვები, ჰიმნები.

დღევანდელი ინდოეთის ხალხურ პოეზიაში ძველებურად ცოცხლობს ჰინდური თემატიკა. იგი მრავალი საუკუნეების მანძილზე საერო შემოქმედების გვერდით არსობს, ასრულებს თაის მხატვრულ და განსაკუთრებით უტილიტერულ როლს, რომელიც დაკავშირებულია საქორწილო და სამგლოვიარო წესჩვეულებებთან, მავალი ცერემონიების და დღესასწაულების ჩატარებასთან და ა.შ. მკვლევარების გაკვირვებას იწვევს გასაოცარი კონსერვატიზმის სული, რომლის მეოხებით შემორჩა ისეთი ჟანრები და პოეტური ფორმები, რომლებმაც დიდი ხანია დაკარგეს ტავიანთი რეალური აზრი და კავშირი გარემო სამყაროსთან. ეს ჟანრები და პოეტური ფორმები იარსებებენ მანამდე, სანამ არსებობს ჰინდუიზმი.

მხატვრულ ლიტერატურაში რელიგიურმა თემატიკამ ნაწილობრივ ადგილი გადაინაცვლა ნარკვევებისა და ლიტერატურის თეორიის სფეროსაკენ, ნაწილობრივ კი მნიშვნელოვნად შეიცვალა თავისი ხასიათი.

ჩვენი დროის რელიგიურ-რეფორმატორულმა მოძრაობამ წინა პლანზე წამოწია ჰინდუიზმის გადმონაშთებისაგან განწმენდის პრობლემა. თანამედროვე მწერლები,

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად აწყდებიან გადმონაშთებს, რომლებიც ხელს უშლიან ინდოელი მოქალაქისა და მთელი ინდური საზოგადოების თავისუფალ განვითარებას, თავიანთ შემოქმედებაში ისინი უფრო ხშირად მიმართავენ მომაკვდავი ჰინდუიზმის ამ მხარეებს, აკრიტიკებენ დაუფიქრებელ, ბრმა მართლმორწმუნეობას, ქალის დამონებას, ცრუმორწმუნეობას, უხეშ და მკაცრ წესჩვეულებებს, კასტობრივ გადმონაშთებს და სხვა. სწორედ ამ საკითხებს მიუძღვნა ჩაბანტრანად თავორმა მრავალი ნაწარმოები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა რომანი „მთა“. ნაწარმოების პათოსია-კამათი ჰინდუიზმის როლისა, მისი მართლმორწმუნეობისა და სექტანტობისაგან განთავისუფლების ბრძოლის როლზე.

ექვი არაა, რომ ახალ ინდოეთში ჰინდუიზმი მოქმედებს ჯერ კიდევ საკმაოდ ფართო სფერო, დრო და დრო სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და ბოლოს სრულიად გაქრება ინდურ საზოგადოებაში.

ჰინდური მითოლოგია

სამყაროს შექმნა

უსასრულო სამყარო შესდგება მრავალი უხეში, ან ნამცეცა ფაქიზ მატერიისაგან შექმნილ ქვეყნებისაგან. ამავე დროს ყოველ მათგანს აქვს თავისი საწყისი, არსებობა და დასასრული. მთლიანობაში ქვეყანა არის უსასრულო ჯაჭვი ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც წარმოიშებიან და ხელახლა ქრებიან ისევე, როგორც ადამიანში ფხიზლობა და ძილი ერთიმეორეს ენაცვლებიან, ამ ჯაჭვში რიტმულად მეორდებიან მოქმედებისა და სიმშვიდის პერიოდები. გამოვლინების პერიოდი წოდებული „ბრაჰმას დღედ“ ანუ როცა „ბრაჰმას ამოსუნთქვა“ იცვლება გამოუვლინებლობის პერიოდით „ბრაჰმის ღამით“ ანუ „ბრაჰმის ჩასუნთქვით“. გამოუვლინებლობის პერიოდში პირველად სუბსტანიის ელემენტები (პრაკრიტი) - სამი გუნა - წომასწორობაში იმყოფებიან და ამ მდგომარეობაში განაგრძობენ ყოფნას უსაშველოდ დიდი ხნით. ამ მდგომარეობას კი ეწოდება პრაღია, რომელიც წარმოიშება ძველი ქვეყნის ყოველი განადგურების შემდეგ. ახალი ქვეყნის გაღვიძება ნიშნავს, რომ პირველმა გაღვიძებულმა სულმა - შემქმნელმა ბრაჰმამ, გუნათა წონასწორობა დაარღვია და ამით მათი შემდგომი ევოლუცია ცხოველჰყო.

ქვეყნის წარმოშობის ისტორია უკვე ჯერ აისახა „მანუსმრიტში“, საიდანაც იგი გადავიდა პურანებში, რომელიც მას ნეტნაკლებად ზუსტად გადმოსცემს: თავდაპირველად სამყარო არსებობდა შეუგრძნობლად, გაურკვეველ სიბნელის სახით, რომელიც თითქო ღრმა ძილში იყოფოდა. შემდეგ გაჩნდა ერთგვარი ღვთაება, რომელმაც თავისი შემოქმედი ძალით გაფანტა ეს სიბნელე და ყოველივემ მკაფიო სახე მიიღო.

ყველაზე უწინ წარმოიშვნენ წყლები, განაყოფიერებული ამ ღვთაების თესლით, და მათგან კი ოქროს კვერცხი, რომლის ბზინვა მხოლოდ მზის შესადარი იყო. - ქვეყნის

შვილი ბრაჰმა კი - იშვა კვერცხიდან, სადაც მან გაატარა თავისი „წელიწადი“. მისთვის ჩვეული გონების ძალით მან კვერცხი შუაზე გატეხა. ერთი ნახევრი ცად იქცა, მეორესაგან წარმოიშვა დედამიწა, და მათ შორის კი - გაჩნდა ატმოსფერო. და მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ, უკვე გაჩნდა ცოცხალი გონი (სული), აზრი და ხუთი სტიქიონი (ელემენტი) - ეთერი, ჰაერი, ცეცხლი, წყალი და დედამიწა. ამის შემდეგ ბრაჰმამ შექმნა ღმერთები და მუდმივი მსხვერპლი, სამი ვედა, დრო, პლანეტები, მდინარეები, ზღვები, მთები, ველები, ბორცვები და ხალხი, ასევე მონენიება, მეტყველება, ვნება და რისხვა. იმისათვის, რომ იოლი ყოფილიყო განსხვავება მის ქმედებებში, მან დამსახურება დანაშაულებებისაგან გამოჰყო, გააკეთა ისე, რომ ცოცხალი არსებები მას დამორჩილებოდნენ მხოლოდ იმ ორი ცნების პრინციპზე, რომელიც გამოიხატებოდა ისეთ მუდმივ ურთიერთდაპირისპირებაში, როგორცაა სევდა და სიხარული, სიციხე და სიცივე, სიმშრალე და სინესტე და ა.შ. შემდეგ თავად გაიყო ორად - ქალურ და მამაკაცურ ნაწილად. შემდეგ, თანდათან გაჩნდნენ ცხოველები, ფრინველები, მწერები, დემონები, ავი სულები და მცენარეები. ყოველივე ეს მიხზანდასახულ ხასიათს ატარებდა, ყოველი ამაში ჩაიდო გარკვეული წესრიგი, რომლის დაცვასაც თვალყურს ადევნებს თვით ბრაჰმა. ცალკეული სულები გამოუვლინებლობის (გამოუმჟღავნებლობის) პერიოდში ღრმა ძილს მიცემულნი, ღებულობდნენ ღმერთების, ხალხის, სულების, ცხოველების, მცენარეების, საშინელი არსებების სახეებს, მხოლოდ არა შემთხვევით, არამედ წარსულ სიცოცხლეში თავიანთი ჩადენილი ქმედებების შესაბამისად. სხეულები, რომელთა სულს შეუძლია ხორცი შეისხას, ყველაზე ნაირგვაროვან სახეს ღებულობენ. „მანუსმრიტი“ ყოველივე მიწიერს ჰყოფს მცენარეებად, რომლებიც თესლებიდან აღმოცენდებიან, და მწერებად, რომლებიც სიციხისა და სინესტის შედეგად წარმოიშვნენ, ფრინველებად და თევზებად, რომლებიც კვერცხებიდან იჩეკებიან, ცხოველებად (მხეცებად) და ადამიანებად, რომლებიც საშოდან იბადებიან. სხვაგვარად იბადებიან მხოლოდ ჯოჯოხეთური და ციური ქვეყნების მკვიდრნი და წმინდანები (რიშები) მაგიური სხეულები, რომლებიც ასკეტების ღმერთებისა დემონების მიერ არიან შექმნილი.

ცხოველებისა და მცენარეების ცხოვრება, ტანჯვით აღსავსედ ითვლება, ადამიანთა ცხოვრება კი ტანჯვისა და სიამოვნების ნაზავად, ღმერთის სიცოცხლე კი ძირითადად სიამ-ტკბილობაა. თუმცა მათი ცხოვრება სამოთხისეულ სფეროებში ორმაგ ხასიათს ატარებს, თუმცა, თუ ადამიანის წარმოდგენის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი გრძელდება ძალიან დიდხანს, მაგრამ მაინც აქვს დასასრული, მაშინ, როცა ღმერთების კეთილი ქმედებების შედეგები ამოწურულია. ღმერთები ისევე, როგორც ადამიანები სიკვდილისა და დაბადების კანონს ემორჩილებიან.

ყველა ამ არსებებით დასახლებულია მხოლოდ ქვეყნის მატერიალური, ან უხეში მატერიალური სფეროები, რომლთაც კვერცხის ფორმა აქვთ. ქვეყანას აქვს გარსი, რომელიც იცავს მას გარეშე სივრცისაგან, რომელშიც არსებობს აურაცხელი ასეთნაირადვე მოწყობილი კვერცხისებური ქვეყნები, რომლებისგანაც შედგება სამყარო.

ადამიანთა და ცხოველთა სამყაროს ქვეშ მდებარეობს შვიდი ქვედა ქვეყანა, რომლებიც ანტიკური მითოლოგიური ჯოჯოხეთისაგან განსხვავებით, სიამტკბილობის ადგილს წარმოადგენს. ყველაზე უფრო დაწვრილებით ისინი ასახულია „ვაიუ-პურანში“! „ვინ აღარ ხარობს ქვესკნელში, სადაც დასეირნობენ დაიტიებისა და დანავების მშვენიერი

ქალიშვილები, რომლებიც აჯადოებდნენ ყველაზე მკაცრ ასკეტებსაც კი. აქ დღისით მზე თავის სხივებს გზავნის, მაგრამ არ წვავს, სადაც ღამით თვე ანათებს, მაგრამ არ ცივა, დანავების ვაჟებს, რომლებიც შეექცევიან გემრიელ საჭმელებს, ზედ აყოლებენ მაგარ ღვინოს და ვერ ამჩნევენ, თუ როგორ გარბის დრო. ქვესკნელში ტყეები, მდინარეები და ტბებია, ირგვლივ ტკბილი, საამო სურნელი დგას. ყოველმხრივ მოისმის სალამურებისა და საყვირების მომაჯადოებელი ჰანგები. ასეთი და სხვა სიამოვნებები ყოველდღე ელის დანავებს, დაიტიებსა და ნაგებს, რომლებიც ქვესკნელში ბინადრობენ”.

„ვიშნუპურანა“ განმარტავს თუ, რას უჭირავს სამყარო სივრცეში. შვიდი ჯოჯოხეთური ქვეყნის ქვეშ ბინადრობს (ბუდობს) დრაკონი შეშა. ეს ვიშნუა, იმ სახით, რომელშიც სიბნელე ჭარბობს. ამ არსებას ეწოდება აგრეთვე ანანტა („უსასრულო“), რომელსაც ეთაყვანებიან ღმერთები, ბრძენნი. იგი ათასთავიანია, შემკული ღერბებით და ათასი ძვირფასი ქვების ფესვებში შუქს, რომ ფენს ქვეყნის სამყაროს ყველა მხარეს. იგი ატარებს ერთ საყურეს, დიადემას, გვირგვინს და ანათებს, როგორც თეთრი მთები, რომლის მწვერვალებს ცეცხლის ალი აქვს მოდებული. თავის მუქ ლურჯ სამოსელში იგი მთა კაილასსა ჰგავს ციური განგით, მთის ფერდობებზე რომ მოედინება. „შეშას“ მთელი ქვეყანა, თავზე ადევს, როგორც დიადემა, ის საძირკველია, რომელსაც ეყრდნობა ყველა შვიდი ქვედა ქვეყანა. მისი ძილი, მისი სიტყვა, თვისებები, მისი სახე, აუწერელია, მისი შეცნობა თვით ღმერთებსაც არ შეუძლიათ, ვინაიდან მას შესწევს იმის უნარი შეაფასოს მთელი დედამიწის გამზიდი ძალა, ყვავილების თაიგულივით ღამაზი, მისი დიადემა ძვირფასი ქვების წითელი სხივითაა შეღებილი. როდესაც ანანტა თვალებს დააბრიალებს ან თუ დაამთქნარებს სიმთვრალეში, დედამიწა მთელი თავისი ტყეებით, მთებით და ზღვებით ზანზარებს.

ქვედა ქვეყნების ქვეშ მდებარეობს თვით ჯოჯოხეთები, სადაც არსებები ინანიებენ ბოროტ ქმედებებს. დედამიწის თავზე ციური სფეროებია, რომლთა შორის უმაღლესია ბრაჰმის ცა, თვით მსოფლიოს „ნაჭუჭმდე“ რომ გადაშლილა. ამ ცასა და ქვედა ქვეყნებს შორის იმყოფება ბადროსავით ბრტყელი დედამიწა, რომელიც დაყოფილია შერეულ წრეებად, ანუ შვიდ უზარმაზარ კუნძულ-მატერიკებად. ესენია - ჯამბუ-დვიპა - ლეღვის ხეების კუნძული, ბამბის პლანტაციების კუნძული, კუშას ბალახის კუნძული, კრაუნჩას, საკასა და ლოტოსის კუნძული. ამ მატერიკებს შორის შვიდი ზღვაა მლაშე წყლიანი, შაქრის ლერწმიანი, ღვინის, ერბოს, მჟავე რძის, ახალი რძისა და მტკნარი წყლიანი. → დედამიწის გულში გადის ქვეყნის ღერძი - მერუს მთა, რომლის ირგვლივ ციური პლანეტები მოძრაობენ. მას ესაზღვრება მატერიკი ჯამბუ (ჯამბუდვიპა), რომელიც ცხრა სფეროს შეიცავს, მათ შორის ყველაზე მშვენიერს, ბჰარატავარშას (ინდოეთს). მატერიკის სახელწოდება წარმოიშვა სიტყვა „ჯამბუდან“, რაც ნიშნავს ხეს, რომელიც იზრდება უმაღლეს მწვერვალზე. „ამ ხის ნაყოფები სპილოსავით დიდრონი არიან, როდესაც ისინი მწიფდებიან და დედამიწაზე ეცემიან, წვენი მდინარე დგება, ადამიანები სვამენ მას, რისგამოც თავს ჯანმრთელად გრძნობენ და კმაყოფილიც არიან, არ ოფლიანობენ, სუნიც არ ასდით, არც მოდუნება აწუხებთ და არც ავად ხდებიან“.

(„ვიშნუპურანა“).

ქვეყნის ბოლოს აღმართულია დიდი მთაგრეხილი, რომელიც გამჟღავნებულ ქვეყანას აცალკევებს სიბნელისა და მრავალი სიცარიელისაგან, რომლებიც ქვეყნიურ კვერცხის კედლებს ეხებიან. ეჭვი არაა, რომ ინდოელებმა ოდითგანვე იცოდნენ, რომ დედამიწა

მრგვალია. ისმება კითხვა - როგორ შეუფარდოთ მეცნიერული ცოდნა ძველ მეცნიერებას - სამყაროს წარმოშობის შესახებ?. ეს მეტად რთული ამოცანაა- ფაქტობრივად გადაუჭრელი. ახალმა ასტრონომიულმა მონაცემებმა, ხალხის ყურადღება ვერ მიიზიდა და ამიტომაც. სამყაროს წარმოშობის შესახებ, მათ დღესაც პურანული წარმოდგენა აქვთ.

სამყაროს არსებობა და დაღუპვა

ჰინდუები მუდამ ისწრაფოდნენ რაც შეიძლება ზუსტად გამოეხატათ იდეა, რომ სამყარო მეტისმეტად დიდი ხანია არსებობს, ეს იდეა კი ინდურ მითოლოგიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ჰინდუებმა შექმნეს სამყაროს არსებობის გამოანგარიშების უბრალო სისტემა. ამ სისტემაში მილიონი წლები არაფერს ნიშნავენ, ათასი წლები საერთოდ უგულვებელყოფილია. ყველაზე დიდხანს ცოცხლობს ღვთაება - ბრაჰმა, რომლის სიცოცხლე - გრძელდება „ბრაჰმულ წელიწადს“, რაც ადამიანის სიცოცხლის 311 040 000 000 000 წელს უდრის.

ქვეყნის არსებობის პერიოდი მისი შექმნის წუთიდან - მის წარღვნამდე - უდრის „ბრაჰმულ დღეს“ (კალპას). ამდენ ხანსვე გრძელდება „ბრაჰმას ღამეც“ ე.ი. სიმშვიდის პერიოდი, როდესაც იგი ისვენებს წარსული შექმნისაგან. „ბრაჰმას დღე“ შეიცავს ღმერთების ათას წელს, ღმერთების ერთი წელი კი შეიცავს ადამიანის სიცოცხლის - 360 წელს.

„ბრაჰმას დღე“ იყოფა ათას „დიდ საუკუნედ“ („მაჰაიუგა“), ყოველი მათგანი კი ითვლის 4 320 000 ჩვეულებრივ წელს. (მკითხველას არ ურჩევთ ციფრების შემოწმებას: ისინი აშკარად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ჰინდუებს ეს ხელს არაფერში უშლის). ყოველი მაჰაიუგა შეცავს ოთხ საუკუნეს - იუგა, რომლებიც დადმავალი ხასიათისაა, სახელდობრ ესენია - კრიტა, ტრეტა, გვაპარა და კალი იუგა: მათ შედარებითი ხანგრძლივობა შესაბამისად უდრის 4,3,2,1.

კრიტაიუგა ერთგვარად ჰგავდა ანტიკურ ოქროს ხანას. ეს არის აბსოლუტური ბატონობის ხანა ღვთაებრივი წესისა (დჰარმა), რომელიც მაშინ მტკიცედ იდგა ოთხ ფეხზე, რასაც წარმოადგენდა ოთხი ქველმოქმედება: სიმართლე, კეთილი მოპყრობა, თაყვანისცემა, სიბრალული. ცალკეული კასტების წარმომადგენლები ზუსტად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას: თაყვანს სცემდნენ ერთ ღმერთს, იყენებდნენ ერთ მანტრას, ჰქონდათ ერთი ვედა, დედამიწის ნაყოფს სურვილისამებრ ღებულობდნენ, ვინაიდან იმ დროს არაფრს ყიდვა-გაყიდვა არ ხდებოდა და ადამიანები კმაყოფილი იყვნენ. არ იცოდნენ რა იყო ავადმყოფობა, სიბოროტე, სიძულვილი, პატივმოყვარეობა, სიმკაცრე, შიში, იჭვიანობა და რისხვა.

კრიტაიუგაში დჰარმა უკვე სამ ფეხზე იდგა: ქველმოქმედნი ერთი მეოთხედით შემცირდნენ. ადამიანებმა დაიწყეს მსხვერპლის მოტანა, იმისათვის, რომ სურვილები აესრულებინათ, და ამქვეყნიური გაჭირვებისაგან თავის დასაღწვად, სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ ღმერთს. დვაპარის საუკუნეში დაცემა გრძელდებოდა და

დჰარმა უკვე ორ ფეხს ეყრდნობოდა. ძლიერდებოდა სიყალბე, სიბოროტე და უკმაყოფილება, რის შედაგადაც გავრცელდა დაავადებები და სხვა სახის სიბოროტე.

ახლანდელი მეოთხე საუკუნე - კალიუგა - ყველაზე ცუდი დჰარმა, გახდა ცალხელა და უძლური. უწინდელ ქველმოქმედებისაგან შემორჩა მხოლოდ მეოთხე, და ისიც მალე გაქრა. „ბჰაგავატა პურანაში“ ნათქვამია: „ამ საუკუნეში უმრავლესობა ადამიანების ან შუდრებია ან მონები. ადამიანები გახდნენ საკუთარი ცდუნებებისა და ვნებების იარაღები. ისინი გახრწნილები არიან, პირქუშები, უბედური და თითქმის მათხოვრები. მათ ახასიათებთ სიცრუე, სიზარმაცე, სიბოროტე, სისულელე, ზიზღი, შიში, და უძლურება. მათზე ბატონობს სიბნელე, ამიტომ უფრო ფასდება ის რაც სულმდაბლობა და უზნეობაა. ადამიანებს სდევს უბედურებები, მამაკაცებზე ბატონობენ ქალები, ქალები ავხორციანები არიან: არ გააჩნიათ სირცხვილი, ბადებენ მეტის-მეტად ბევრ ბავშვებს, ხარბად ჭამენ საქმელს, ბევრს ლაპარაკობენ, და მათი ლაპარაკი არასასიამოვნოა. ქალები სავსეა უამრავი ბოროტმოქმედებითა და გახრწნილი პიროვნება. ვაჭრობაში საქონლის მომწოდებლები ბატონობენ. მეფეები ტირანებად და მოძალადეები ხდებიან, რომლებიც თვინთ ქვეშევრდომებისაგან სისხლ წოვენ, დიასახლისებს ავიწყდებათ მოვალეობა და მოწყალებას თხოულობენ ქუჩებში, ბრაჰმანები ლამის შუდრებს გაუთანაბრდნენ... გვალვები და წყალდიდობები მოსავალს ანადგურებენ, ომი და შიმშილი სახელმწიფოს აცარიელებს. ქვეყანაზე ცხოვრების პირობები ისე გაფუჭდა, რომ კარგი იქნებოდა ქვეყანას მისი დამცველი კალი თუ მოევლინება”

ქვეყნის აღსასრული

ქვეყნის აღსასრული პურანებში სხვადასხვაგვარადაა აღწერილი. ერთ ვარიანტში ნათქვამია, რომ ვიშნუ ქვეყანას კალის სახით მოევლინება. იგი შეიარაღებული მებრძოლი, რომელიც ძვირფასი ქვებით მორთულ რაშზე მოქრის. კალის ერთ ხელში ქვეყნის გასანადგურებლად მახვილი უჭირავს, მეორეში კი - ბადრო. რაშს წინა ფეხი აწეული აქვს, მაგრამ როგორც კი მას დედამიწაზე დაუშვებს, კუ ,რომელსაც ზურგით უჭირავს დრაკონი შემა, რომლის თავზეც დედამიწაა, სიღრმეში იჭრება და ამით თავისუფლდება ტვირთისგან. ასე ნადგურდებიან ქვეყნის ყველა უწმინდური და ბოროტი მკვიდრნი.

„ბჰაგავატაპურანაში“ ვკითხულობთ: „ქვეყნის დაღუპვის საუკუნე საშინელი იქნება - ას წელიწადს ღრუბლები დედამიწაზე აღარ მოვლენ წვიმის სახით. ადამიანები საკვებს ვერ იშოვიან და შიმშილისაგან გატანჯულები ერთმანეთს დაჭამენ და მიაღწევენ ყველაზე საშინელ დასასრულს”.

სხვა ნაწარმოებებში სამყაროს განადგურება კიდევ უფრო დაწვრილებითაა ასახული: „გვალვების შემდეგ, რომლებიც მრავალ წელიწადს გრძელდება, ცის კამარაზე აინთება შვიდი მწველი მზე და დააშრობს ყველა წყალს. შემდეგ დედამიწას გადაუვლის ცეცხლოვანი ქარი, რომელიც მომენტალურად გადაწვავს და ყველაფერს გაანადგურებს. ცაზე გამოჩნდება მოელვარე ღრუბლების გროვა, რომლებიც სპილოების ჯოგს

დაემსგავსებინ და დაფარული იქნება ელვის გვირგვინებით. ისინი მოულოდნელად დასჭექავენ და დედამიწაზე თორმეტი წელი განუწყვეტლივ იწვიმებს, ვიდრე ქვეყნის მწვერვალები წყლით არ დაიფარება. მერე ღრუბლები გაქრებიან. შემდეგ თავისთავად შექმნილი ღმერთი, ყოველივეს პირველმიზეზი, შთანთქავს ქარებს და დაიძინებს. ქვეყანა ისევ წყლის უზარმაზარ მასად იქვეცა, სადაც სიცოცხლის ნატამალიც არსად იქნება. დადგება ბრაჰმის ღამე, სრული სიმშვიდის პერიოდი, და ყოველივე დაელოდება ბრაჰმას გამოღვიძებას, ქვეყნის ახალი შექმნის პერიოდს”.

ბრაჰმა

სამყაროს შემქმნელი - ბრაჰმა, ღვთაებრივი სამების (ბრაჰმა - ვიშნუ - შივა) პირველი ღმერთი გვევლინება წითელ წვერებიან მამაკაცის სახით, რომელსაც ოთხი სახე აქვს და რვა ხელი, უჭირავს ოთხი ვედა, კვერთხი წყლით სავსე კათხა, შვილდისარი და ლოტოსის ყვავილი. გედის ზურგზე მჯდარი მოგზაურობს.

თავდაპირველად ბრაჰმას ხუთი სახე ჰქონდა. „მატსია-პურანა” ამის მიზეზს ხსნის შემდეგნაირად: როდესაც ბრაჰმამ თავისი ვაჟიშვილები შექმნა, უკმაყოფილო იყო და დაიწყო ფიქრი, კიდევ რა მოემოქმედებია იმისათვის, რომ თავისი არსებობა შეემსუბუქებია. იგი საღვთო მარცვალს იმეორებდა მანამდე, ვიდრე მისი ტანის ნახევრიდან არ ამოვიდა ქალღმერთი გაიატრი, რომელიც ცნობილია სხვადასხვა სახით - სავიტრი, შატარუპა, სარასვატი, ბრაჰმანი და სხვა. ბრაჰმას გაიატრი შეცდომით, საკუთარ ქალიშვილად მიაჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, როცა მის იშვიათ სილამაზეს თვალი მოკრა ძლიერ შეუყვარდა. მისი ვაჟები, რომლებიც სავიტრის თავის დად თვლიდნენ, მამის საქციელით აღშფოთდნენ. მაგრამ მამა მოხიბლული იყო ქალიშვილით, რომ ვაჟების განწყობილებას ყურადღებას არა აქცევდა. სავიტრი კი ყოველნაირად ცდილობდა მამის გულის მოგებას და მას ზრდილობიანად ექცეოდა. ბრაჰმა ქალწულს უმზერდა და მას თვალს არ აშორებდა. ვინაიდან ვაჟების თანდასწრებით მას სრცხვენოდა თავის შემობრუნება რომ სავიტრისათვის თვალი გაეყოლებია, ამიტომაც მან მიიღო ოთხი სახე, რომლებიც ქვეყნის ოთხივე მხრიდან ტკბებოდნენ სავიტრას სილამაზით. როდესაც სავიტრა მიხვდა, რომ ბრაჰმა მასზე შეყვარებული იყო, იგი ძმებთან ერთად ცაზე გადასახლდა. მაშინ სამყაროს შემქმნელის თავზე მეხუთე სახე გაჩნდა, მოზრდილი გრძელი აწეწილი წვრებით ცისკენ მიჰყრობილი”.

შივა შეწუხდა, არ უნდოდა ეს ამბავი დიდხანს გაგრძელებულიყო. როგორც კი სისხლის აღრევა მოხდა, მან ბრაჰმას მეხუთე თავი მოჰკვეთა, ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით კი ფრჩხილებით მოჩიჩქნა იგი იმისათვის, რომ ბრაჰმამ თავი მასზე მალლა დააყენა. მეორე ვერსიის თანახმად ასე იმიტომ მოიქცა შივა, რომ ბრაჰმამ მოინდომა, შივა თავის ვაჟიშვილად მოვლინებოდა ქვეყანას.

აქედან ამკარაა, რომ ბრაჰმა შივაიტთა დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს. მას დიდად არც ვიშნუიტები სცემდნენ თაყვანს. საერთოდ ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ჰინდუ, რომელიც ყველაზე მეტად მხოლოდ ბრაჰმას რომ ცემდეს თაყვანს. მთელს

ინდოეთში ბრაჰმას მიეძღვნა არა უმეტეს ათი ტაძრისა. ამ ფაქტის ახსნას ვხვდებით ზოგიერთ პურანაში. ვიშნუიტურ „ბრაჰმავივარტპურანაში“, კრიშნა რადჰას უამბობს: „ერთხელ ბრაჰმა შინ ბრუნდებოდა, მოჰინი ამ დროს ტყეში ყვავილებს კრეფდა და დაინახა თუ რა ბრაჰმა, მოჰინს იგი უსაზღვროდ შეუყვარდა. მოჰინმა შეხედა თუ არა მას, გაუღიმა და სახე სამოსელის ბოლით დაიფარა, მუდამ ახალგაზრდა მოჰინს, ფართო თეძოები ჰქონდა, მკვრივი დუნდულები, მაღალი მკერდი, სახე ისეთი საამო, როგორც შემოდგომის ბადრი მთვარე. ტანზე თხელი სიფრიფანა სარი ეცვა. კაცს ეგონებოდა, რომ ამ მზეთუნახავს ერთი შეხედვით ყველა სამი ქვეყნის დაპყრობა შეეძლო, მაგრამ გულმა ბრაჰმაში ყველა ვნებები დააცხრო და ღრმა გონება ჰკრეტას მიეცა. მოჰინის გარეგნობამ მას ვერაფერი დააკლო. ბრაჰმა, რომელიც ჰარიზე ფიქრებით გატაცებული იყო, ფერიას გვერდზე ჩაუარა. ვნებიანი მოჰინი ჰკუაზე აღარ იყო. ეძინა თუ ეღვიმა, სულ ოთხსახოვან ბრაჰმაზე ოცნებობდა. თავი მიაწება ჰამას, საყვარლებს, უაზროდ დაეხეტებოდა და იტანჯებოდა გული ისე უდუღდა, როგორც ბრინჯი მდუღარე წყალში. მაშინ მისმა მეგობარმა ცის განთქმულმა მეძავმა რამბჰამ, ურჩია მას სიყვარულის ღმერთი კამა მოეხმო, რომელიც მას ბრაჰმაში ვნების აღძვრაში დაეხმარებოდა, მოჰინი დიდხანს იხმობდა კამას, ბოლოს ღმერთი გამოცხადდა და მოჰინი ბრაჰმასთან წაიყვანა. მოჰინმა თავისი მომაჯადოებელი მუსიკით და ცეკვით შეაცდინა სამყაროს შემქმნელი ბრაჰმა, მაგრამ ბრაჰმას უცებ მოაგონდა ვინც იყო და მყისვე გონს მოეგო, ფერია უხვად დაასაჩუქრა და თავიდან მოიცილა. მოჰინი ცდილობდა კვლავ დაემორჩილებინა ბრაჰმა თავისი ცდუნებით, ეხებოდა მის ხელებს, სამოსელს. ბრაჰმა კი შეეცადა დაემშვიდებინა იგი და უთხრა: „სამ ქვეყანაში მიღებულია ქალს რომ სირცხვილი არ გააჩნდეს. ჰოი დედაო, მე შენი უფროსი ვაჟიშვილი ვარ, ვინაც დათრგუნა ვნებები. თავი დამანებე და გასართობად ვინმე მხიარული ჩემზე უფრო ახალგაზრდა მოიძიე“.

„მოჰინმა არ დაუჯერა და გვერდზე მოუჯდა ბრაჰმას. ამ დროს იქვე რიშებმა ჩამოიარეს, რომლთაც და ძალიან გაუკვირდათ, როდესაც ბრაჰმამ მათ უთხრა: ფერია ძალიან მოქანცა მუსიკამ და ცეკვამ, და ახლა ჩემს გვერდით, როგორც მამასთან ისე ისვენებსო“. წმინდანებმა კი იცოდნენ რაშიც იყო საქმე და ამიტომ სიცილი დაიწყეს.

მოჰინი სიბრაზისაგან აენტო: „შენ მე დამცინე, მაშინ როცა მე შენთან შვებას ვეძებდი. მაშ წყეულიმც იყავ. აწი ვინც შენგან ავგაროზს მიიღებს, მანტრას ან ჰიმნებს, ყოველ ნაბიჯზე სიძულვილს წააწყდება და მას სასაცილოდ აიგდებენ. აწი აღარავინ გცემს თაყვანს ყოველწლიურად, ისე, როგორც ყველა სხვა ღმერთებს“. როდესაც ამ დაწყევლისაგან გარისხებული ბრაჰმა ვიშნუსთან მივიდა, ვიშნუს ეწყენა ყოველივა და თქვა: „მართალია, ვედას იცნობ, მაგრამ შენ მაინც ჩაიდინე ისეთი დანაშაული, რომელსაც მკვლელიც კი არ ჩაიდენდა. ქალები - ბუნების თითები და ქვეყნის ძვირფასი ქვებია. ბრაჰმას ქვეყანა - სიხარულის ქვეყანაა. რატომ დაიცხრე ვნებები? თუ ქალს მოულოდელად შეუყვარდა კაცი და მივიდა მასთან, რომ მთელი გრძნობებით შეუერთდეს მას, მამაკაცმა მას უარი არ უნდა უთხრას, რომც არ მოსწონდეს ეს ქალი, და თუ, უარს ეტყვის, მაშინ, ასეთი მამაკაცს, ამ ქვეყნად თავზე ათასგვარი უბედურება დაატყდება და იმ ქვეყნად კი ჯოჯობეთში მოხვდება. მამაკაცს არ შეურაცხყოფს რომ იქონიოს ურთიერთობა ქალთან, რომელიც თვითონ ცდილობს მას დაუახლოვდეს, თუგინდ გარყვნილი იყოს, ან გათხოვილი“. შემდეგ მან ბრაჰმას ათი დღე ცოდვილთა სფეროში მონანიება უბრძანა. ამის შემდეგ ვუშნუს გამოეხცადა მეორე ათსახოვანი

ბრაჰმა, რომლის სამყარო იმ ქვეყანაზე ათჯერ დიდი იყო, რომელიც ოთხსახოვანმა ბრაჰმამ შექმნა. ვიშნუმ მას უფრო საპატიო ადგილი შესთავაზა, ვიდრე ოთხსახოვან ბრაჰმას ეკავა. შემდეგ მოვიდა ასსახოვანი ბრაჰმა, რომელსაც უფრო საპატიო ადგილი შეხვდა. ბოლოს, მოვიდა ათასსახოვანი ბრაჰმა, რომელიც ვიშნუმ კიდევ უფრო საპატიო ადგილზე დასვა. ამგვარად ბრაჰმა, რომელსაც თავისი თავი ვიშნუს ტოლად მიაჩნდა, მიხვდა რომ ღვთაებრივ იერარქიაში იგი - მხოლოდ პატარა პიროვნებაა, და მან ქედმაღლობას თავი მიაწება”.

ეს მითი ნათელ მაგალითს წარმოადგენს ვიშნუიზმის ანტიასკეტური ტენდენციისა, რამაც უფრო მკვეთრად იჩინა თავი კრიშნას კულტში.

ვიშნუ

ვიშნუს ჩვენ ვხვდებით ვედებში, მაგრამ ამ ვიშნუს ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო უგვიანეს ვიშნუსთან. ამ ღმერთის არა მარტო ფუნქციები, არამედ მას ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჰინდუიზმის განვითარების მთელი პერიოდის მანძილზე. ვედებში მართალია იგი ზოგჯერ ნახსენებია სამყაროს დაუმარცხებელ მფარველად, მაგრამ თავისი მნიშვნელობით მეორე ხარისხოვან ღვთაებაზე მაღლა არ იდგა. უფრო დიდ საფეხურზე იგი დგება ბრაჰმანთა შორის, სადაც თვითონვე ფიგურირებს ახალი, ვედური პერიოდისათვის უცნობ ლეგენდებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინ არ წარმოდგება დიდი ღვთაებას და მხოლოდ „მაჰაბჰარატასა” და პურანებში გვევლინება, როგორც ჰინდური სამების მეორე წევრი და შივასთან ერთად ჰინდური პანთეონის ყველაზე საპატიო ღვთაება ხდება.

მართალია ვიშნუ და შივა ბჰატიის პერიოდში უმაღლეს სიდიადეს აღწევნ მთავარი ღმერთების თვისებებს იძენენ, მაგრამ ბრძენი მეგასფენი, რომელიც ინდოეთში იმყოფებოდა 311-302 წლებში ჩვენს ერამდე. ე. ი. ბუდიზმის აყვავების პერიოდში, გვატყობინებს, რომ მაშინაც კი მთიან რაიონებში, შივას სცემდნენ თაყვანს, დაბლობ რაიონებში კი ჭარბობდა კრიშნას კულტი, რომელიც ვიშნუს ერთ-ერთ განსხეულებას (ავატარას) წარმოადგენდა.

უთუოდ ძნელი დასადგენია, თუ რა მიზეზით იქცა ვედების მეორეხარისხოვანი და თითქმის გაურკვეველი ღვთაება ძირითად ღმერთად ჰინდუიზმის მიმდევრების თითქმის ნახევრისათვის. ამის ერთადერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომ არიელეზამდელი პერიოდის რეალური კულტების გავლენამ და განვითარებამ თავი იჩინა ტრადიციული რელიგიის შიგნით, მორწმუნეთა წარმოდგენით ამ რელიგიის ღვთაებები ერევან ადამიანთა ბედშიც კი ოდნავ უფრო აქტიურად და უფრო დიდ გავლენას ახდენენ ქვეყანაზე ვიდრე, უსახეო ცივი, როგორც წესი ბუნების ძალების გაურკვეველი განსხეულებები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ არიულ საზოგადოებაში. ახალი ღმერთები ადამიანთან უფრო ახლოს არიან. მათი ხასიათი, გარეგნული სახე, თვისებები იმ ადამიანთა შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ, რომლთაც არ იზიდავს აბსტრაქტული ფილოსოფიური სწავლება და ჭეშმარიტებანი. მორწმუნეთა მიდრეკილებებს უფრო პასუხებენ კონკრეტული სახეები, ნათელი და ღმერთების

სხვადასხვა ფორმები. ადამიანები მათ ათავსებენ ზღაპრულ სამყაროში და საშუალებას აძლევენ, რათა მათ თავს გადახდეთ ათასგვარი ფანტასტიკური ტავგადასავალი, გარდაამისა ანიჭებენ ზებუნებრივ ძალებს, აქცევენ მათ თავიანთ მშველელ და დამცველად ღვთაებებად, ისინი მიაჩნიათ უკანასკნელ თავშესაფრად და უზენაეს მფარველად. ამგვარი ღვთაება მორწმუნეთათვის ხდება მისი გრძნობებით ორიენტირებული რელიგიური ცხოვრების ცენტრი და ის წარმოადგენს მისთვის, ყველაზე ძვირფას სულიერ მონაპოვარს, თუმცა შესაძლებელია, რაღაც პერიოდით ასეთი ღვთაება უკანა პლანზე წასწია იმ ყოველივე ახლით, რაც ინდურ აზროვნებაში გაჩნდა არიელთა შემოჭრის გზით, ჩრდილოეთ ინდოეთში.

ბრაჰმას ცხოველურ გასახელებად იქცა აბორიგენული ღვთაება, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ვედურ ვიშნუს და ბრაჰმას, როგორც შემოქმედს. ეს ღვთაება განაგრძობს თავის განვითარებას ისეთი ფორმებით, რომლებთანაც დაკავშირებულია აურაცხელი ლეგენდები, მითები და ზღაპრები.

ვიშნუ - ეს ნარაიანაა, რომელმაც ყველაზე პირველმა დაიწყო მოძრაობა წყალში, ვიდრე ქვეყნის შექმნის წინ იგი მთელ სივრცეს შეავსებდა. ვიშნუიტებს ვიშნუ ესახებოდა როგორც ბავშვი, რომელსაც ლოტოსის ფოთოლზე ძინავს, ან კიდევ მეფისსამოსელში გამოწყობილი ძვირფასი ქვებით შემკული, მშვენიერი ოთხხელა, მუქლურჯი ფერის კანიანი ყმაწვილი. იგი თვლემს მხართემოზე წამოწოლილი ათასთავიან დრაკონ შემაზე, რომელიც მთელი სამყაროს წყლებზე დაცურავს. ამ მდგომარეობაში ეს ღვთაება იმყოფება დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ერთი სამყარო უკვე დაიღუპა და მეორე ჯერ კიდევ არ შექმნილა.

ვიშნუ ქვეყნის მფარველის სახით გვევლინება. ამ ღვთაების გარკვეული სახე კეთილმსურველობა იზიდავდა უბრალო ადამიანებს. იგი მათ გულთან უფრო ახლოს და მათთვის უფრო გასაგებია ვიდრე შივა, რომელსაც მეტდ რთული ხასიათი აქვს და გონებაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები უტრიალებს. შივა უფრო გასაგებია მათთვის, ვისაც გონებაჭკრეტიუნარი გააჩნია. ვიშნუში ხალხი თავის ნამდვილ გმირს ხედავდა, თავის უსაყვარლეს მფარველს, და ეს ღვთაება მან შეამკო ყოველივეთი, რაც ყველაზე უფრო სასურველად მიაჩნდა - ზღაპრული სილამაზით, სიმდიდრით და სიუხვით თავს იყრიდა, რომელიც ვიშნუს მშვენიერ ციურ სამყაროში სამეფოში - ვაიკუნთჰეში. „ვიშნუს სამოთხის“ მოცულობა „ვიშნუ პურანის“ თანახმად წრიულად - 80 000 მილია. მის ცენტრში მოედინება ციური განგა, თვალწარმტაც ველებსა და ხუთ ტბას შორის, რომლებშიც საფირს და ზურმუხტის ფერის თეთრი და წითელი ლოტოსები ელვარებენ. აქ ბევრი შესანიშნავი ოქროსა და ძვირფასი ქვებით აგებული სასახლეებია, მაგრამ შუადღის მზესავით, ყველაზე წარმტაცი და თვალის მომჭრელია, თეთრ ლოტოსზე დადგმული ტახტი, რომელზეც ზის ვიშნუ. მისი გამოხედვა შეუდარებელია, მისი სახე ჩაუქრობელი ცეცხლივით, რვაასი მილის მანძილზე ანათებს, მის ტახტიდან ლოტოსის სურნელი იფრქვევა. მის მარჯვნივ ზის მზეთუნახავი ლაქში, ბედნიერებისა და სიმდიდრის ქალღმერთი, ქალის იდეალური ინდური მზეთუნახავის კლასიკური ასახვის პროტოტიპი. იგი უსაზღვროდ ერთგულია ქმრისა და არასოდეს არ შორდება მას. თუ ვიშნუ შეშა - დრაკონზე ზის, ლაქშიამი მის ფერხთაა, იგი მუდამ მის სამეფოშია და ყველგან დაყვება ვიშნუს, რომელიც დედამიწას, სხვადასხვა განსხვავებებში ევლინება. ეს ხდება ყოველთვის, როდესაც საჭიროა რაიმე დიდი

სიბოროტის გამოსწორება, ან კიდევ როცა ამ ღვთაებას სურს დიდი სიკეთე მოიმოქმედოს.

ვიშნუს პირველი ოთხი განსხეულებები - ავატარები, იყვენენ ცხოველები: თევზი, კუ, ტახი, ნარაჰინჰა (ნახევრად კაცი და ნახევრად ლომი). იგი თევზში (მატსია) განსხეულდა; როდესაც საქვეყნო წარღვნა მოხდა. ეს მითი აღწერილია „აგნიპურანა“-ში: ქვეყნის წარსული პერიოდის დამლევს ბრაჰმამ სამყარო წალეკა. დედამიწა და მასზე დასახლებული ადამიანები ოკიანეებით დაფარა. სწორედ მაშინ მეფე მანუ დიდ მონანიებას მიეცა, რათა ვითომდა სამაგიეროდ ის მიეღო, რაზედაც ოცნებობდა. ერთხელ როდესაც მანუ ლოცვას კითხულობდა, პეშვით წყალი ამოიღო, პეშვში პაწაწინა თევზი შენიშნა. გადაწყვიტა თევზი ისევ წყალში ჩაეგდო, მაგრამ თევზმა თქვა: „გადამიყვანე დიდ ჭურჭელში“ და მეფემაც იგი წყლით მასზე დიდ კასრში მოათავსა, მაგრამ თევზი წამოიზარდა და უფრო დიდი ადგილი მოითხოვა. მეფემ იგი ღელეში გადაიყვანა. თევზი კიდევ უფრო გაიზარდა და კიდევ უფრო მეტი ადგილი მოითხოვა. მაშინ მანუმ ზღვასი ჩააგდო იგი, და თევზმა მალე სიგრძეში 100 000 იოჯანას მიაღწია (იოჯანი=4 მილს). მეფემ დაინახა რა ეს უზარმაზარი თევზი შეკრთა და თქვა: „შენ სხვა არავინ იქნები თუ არა ვიშნუ, რატომ მომატყუილე ნაიაიანაო, თევზმა კი უპასუხა: „ასეთი სახე მივიღე რათა მთელი სამყარო ვიხსენი და ცოდვილები გავანადგურეო. შვიდი დღის შემდეგ ოკიანე დედამიწას შთანთქავს. შენთან მოცურდება კიდობანი, შენ კი იქონიე შექმნის თესლები და შვიდ წმინდანთან ერთად კიდობანში ბრაჰმას ღამე გაათიე, ხოლო კიდობანი ჩემ დიდ ოქროს რქას გამოაბიო. ამ სიტყვების შემდეგ თევზი გაქრა. დათქმულ დღეს მანუ აღელვებული ზღვის ბოლოში იდგა. იგი კიდობანზე ავიდა და როგორც ნაბრძანები ქონდა კიდობანი 10 000 იოჯანას მქონე ოქროს რქას მიაბა“. ამგვარად მანუმ მშვიდობიანად გაუძლო სამყაროს წარღვნას და კაცობრიობის წინაპარი გახდა. მითი ღვთაებრივი თევზზე ევროპელ მკითხველისათვისაც ცნობილია რა თქმა უნდა ბიბლიურ ლეგენდებიდან კაცობრიობის წარღვნის შესახებ.

უფრო უცხოდ გვეჩვენება ვიშნუს განსხეულება კუში. (კურმა). როდესაც ვიშნუ ამ სახით გამოცხადდა, მან ღმერთებს ასწავლა რძის ოკეანედან როგო ამოეღოთ უკვდავების სასმელი. „ვიშნუ პურანაში“ ნათქვამია: - ერთხელ დემონებმა დაიწყეს ღმერთების შეჭუხება და ქვეყნის შევიწროება. მაშინ ღმერთებმა საშველად ქვეყნის მფარველს, მოწყალე ვიშნუს მიმართეს. ვიშნულ გაიღიმა და თქვა: „ისე მოიქეცით, როგორც დაგარიგებთ ყველა ღმერთებმა დემონებთან ერთად ზღვაში უნდა ჩაყარონ სხვადასხვა სამკურნალო ბალახები. მოსარევად აიღონ მანდარუს მთა, ხოლო გველი ვასუკი გამოიყენონ როგორც ყაითანი და ოკეანე მანამდე დღვებონ, სანამ უკვდავების წყალი არ გამოჩნდება. ჩემი დახმარების იმედიც გქონდეთ, ხოლო იმისათვის, რომ თქვენ დემონებიც მხარში ამოგიდგნენ, თქვენ უნდა გააგრძელოთ მათთან ცხოვრება და მათ უნდა დაპირდეთ, რომ თქვენი საერთო შრომით მოპოვებულ ნაყოფს თანაბრად გაუყოფთ, რათა ისინი თქვენს მიმართ კეთილად განეწყონ. აგრეთვე, დაარწმუნეთ დემონები იმაშიც, რომ როგორც კი ისინი უკვდავების წყალს შესვამენ, მაშინ ძლიერნი და უკვდავნი გახდებიან. მე კი იმაზე ვიზრუნებ, რომ თქვენმა მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ თავიანთი წილი მიიღონ გაწეული შრომის ნაყოფისა და არა იშვიათი სასმელი“.

მოუსმინეს რა ვიშნუს, ღმერთები დემონებს შეუერთდნენ და შეუდგნენ მუშაობას. მათ

მოაგროვეს სხვადასხვა სამკურნალო ბალახები, ჩაყარეს ოკენანეში, რომლის წყალიც ისეთი გამჭირვალე და კამკამა იყო, როგორც შემდგომის ქათქათა ღრუბლები. შემდეგ აიღეს მანდარის მთა, მას გველ-ვასუკი ბაწარივით ირგვლივ შემოარტყეს და დღვებას შეუდგნენ. ვიშნუმ ღმერთები გველის კუდთან დააყენა, ხოლო დემონები გველის თავთან და კისერთან. ვასუკის პირიდან ამოსული ცეცხლი დემონებს წვაავდა და ძალას ართმევდა, ხოლო ღრუბლები, რომლებიც ვასუკის სუნთქვისგან კუდისკენ მიდიოდნენ წყლის შხეფებით აგრილებდნენ ღმერთებს. მთამ ნელ-ნელა ჭაობში ჩაძირვა დაიწყო: მაშინ ვიშნუ გიგანტურ კუდ იქცა, ოკენანეში ჩავიდა და მთა ზურგით დაიკავა, ხოლო ვიშნუს, რომელსაც ადამიანის სახე ჰქონდა ოთხი ხელით მანდარას მთა ეჭირა, რომ სადღვები არ გადაბრუნებულიყო. ამგვარად ღმერთები და დემონები ოკენანეს ასი წელი დღვებდნენ, მაგრამ უკვდავების სასმელი კი არ ჩნდებოდა. ამიტომ ისინი აწუწუნდნენ ძალიან დავიდალეთო. მასინ მათ გასამხნეველად ვიშნუმ ბრძანა, რომ ოკენანიდან მოსული ქალღმერთი შრი, რომელიც ას მზეს მიაგავდა, ღვინის ქალღმერთი ვარუნი მღვრიე თვალებით, ციური ხე პარიჯატი და მრავალი სხვა. ახალი ძალებით ყვალამ განაგრძო მძიმე შრომა. ბოლოსდაბოლოს ძალისხმევა დამთავრდა წარმატებით - ტალღებიდან ამოვიდა თეთრებში ჩაცმული ღმერთების მკურნალი დჰანვანტარი, მას ხელში დემონების და ღმერთების ნანატრი სასმელით სავსე დიდი ჭურჭელი ეჭირა.

ღმერთებმა და დემონებმა დღვებას თავი მიანებეს. ერთი მეორეს არ დააცალეს ისე გაქანდნენ მკურნალთა წინაპრისკენ, პირველად დემონებმა მოახერხეს მთელი თასი ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ მათ შორის ატყდა ბრძოლა იმისთვის, თუ პირველი ვინ შესვამდა სასმელს. ამით ისარგებლა ვიშნუმ, რომელიც დიდი ხანია მათ შორის ციური მზეთუნახავი ფერიის - მოჰინის სახით იმყოფებოდა. მისი ღიმილის სილამაზით მოჯადოებულ დემონებს სასმელის არსებობა დაავიწყდათ. მოჰინიმ ფიალას დახედა, და ერთ-ერთმა თავაზიანმა დემონმა მოჰინში განსხვავებულ ვიშნუს სთხოვა მასგადაეწყვიტა როგორ გაეყოთ სასმელი ერთმანეთში დემონებსა და ღმერთებს. ფერიამ ისინი ორ მწკრივად დააჯინა, აიღო ფიალა და პირველ როგში ღმერთებს დააღვინა, როდესაც დემონების ჯერი მოვიდა, ჯადოქარი მზეთუნახავი ფიალასთან ერთად გაქრა. მაშინვე საშინელი ყვირილი გაისმა და ღმერთებსა და მოტყუებულ დემონებს შორის მძაფრი ბრძოლა ატყდა. მაგრამ ჯადოსნური სასმელით გაცოცხლებულმა და გაძლიერებულმა ღმერთებმა დემონები იოლად დაამარცხეს და გააქციეს კიდევაც”.

შიაიტური ოურანები ამ ამბავს უფრო ავსებენ, იმ დასასრულით, რომელიც ცალკეული მითების სექტანტური ხასიათის ილუსტრაციებს იძლევა.

„ამ დროს ძღვის სიღრმიდან სქელი მომწამლავი კვამლი ამოვიდა, ამოვარდა ცეცხლოვანი ენა, გაჩნდა ჭუჭყიანი და საზიზღარი ურჩხული, ცეცხლის მთები. მისმა სუნთქვამ დაწვა ვიშნუ, ღმერთები და დემონები. შიშისგან შეძრწუნებულმა ვიშნუმ ურჩხულს ჰკითხა“ „ვინ ხარ და რა გინდაო”.

„მე კალაკუტა ვარ, დავიბადე რძის ოკენანეში, როდესაც ღმერთები და დემონები მას დღვებავდნენ, მათ ერთმანეთის სიკვდილი სურდათ და აი მეც გავჩნდი, რათა ვშთანთქო ყველა ისინი ვინც არ მიმართავს მარადიულ ღმერთს - შივას, რომელიც მთებში ცხოვრობს.”

შეშინებული ღმერთები და დემონები შივასთან მივიდნენ და შველა თხოვეს: ჩვენ უკვდავების სასმელის ნაცვლად, აგვიდღვიბავს სიკვდილის სასმელი, საშინელი შხამი, რომელიც ქვეყანას განადგურებით ემუქრება ჩვენ გვაშინებს შემსვით თორემ შტანგთქავთო, მზესავით მნათობი ვიშნუც კი, მის სუნთქვისაგან გაშავდა. „გვიშველე შივავ! - შენ ხარ ჩვენი ხსნა და იმედი ხარ“, მაშინ ქვეყნის განმგებელმა თქვა: „მე დავლევ შხამს და თქვენ გიხსნით სიშის ავადმყოფობისგან: შივა თავისი მარდი ხარით გაემართა რძის ოკეანისაკენ. როცა ადგილზე მივიდა, შივამ მარცხენა ხელის გულზე დაისხა შხამი და დალია, ღმერთები და დემონები კი ამ დროს სიხარულისგან ცეკვავდნენ და მღეროდნენ“. შხამმა არ მოკლა შივა, მაგრამ მისი ქათქათა კისერი მუქი ლურჯ ფერად შეღება. ამიტომ მას ნილაკანთჰა „ლურჯკისერა“ შეარქვეს. მრავალ ბრაჰმანაში ნათქვამია იმის შესახებ, თუ ტახის (ემუშის) სახის მქონე პრაჯაპატიმ მიწიდან როგორ ამოადინა წყალი. ბრაჰმის ვიშნუთი შეცვლის ისტორიამ ვიშნუიტური ხასიათი მიიღო.

„ჯერ არსებობდა მარტო წყალი, რომელშიც ჩაძირული იყო დედამიწა. მერე წარმოადგა ბრაჰმა, თავისთავად არსებული, მარადიული ვიშნუ კი ტახად (ვარაჰად) იქცა, ეშვებით დედამიწა ამოწია და ქვეყანა დალუპვას გადაარჩინა“ („მატაპატაბრაჰმანა“).

„ვაიუ-პურანაში“ სხვა ვერსიაა მოცემული: „დემონმა ჰიმანიაკუმამ მონანიების გზით მიაღწია იმას, რომ მისი მოკვლა ვერ შეძლო ვერც ადამიანმა და ვერც ცხოველმა, მაგრამ თავის შელოცვებში ცხოველების ჩამოთვლისას მას დაავიწყდა ტახის დასახელება. როგორც კი ბრაჰმამ მისი სურვილი შეასრულა, დემონმა ღმერთების და ადამიანების შევიწროება დაიწყო. პატივმოყვარეობის გამო მან წყალქვეშმოყვით დედამიწა ქვესკნელშიც კი ჩააგდო. მაშინ ვიშნუმ იმისათვის, რომ ქვეყანა და ყოველივე ცოცხალი გადაერჩინა, უზარმაზარი ტახის სახე მიიღო და თავისი უზარმაზარი ეშვებით ჰირანიაკუმას მუცელი გაუფატრა და დედამიწა ისევ ზევით ამოსწია“.

მთელი როგი პურანებისა, მოგვითხრობენ ვიშნუს შემდგომ განსხეულებაზე ნარასინჰაში, ოდესღაც ჰირანიაკაშიპუმ ბრაჰმასაგან პირობა მიიღო, რომ მას ვერ მოკლავდა ვერც ღმერთი, ვერც ადამიანი და ვერც მხეცი, რომ არ მოკვდებოდა არც დღე და არც ღამე, არც სახლში და არც გარეთ, ამრიგად თავისი თავი უზრუნველჰყო ხელშეუხებლობით, მან აკრძალა თავის სფეროში მის გარდა კიდევ სხვისთვის ეცათ თავყვანი. ქვეშევრდომების ნებას ემორჩილებოდნენ, გარდა შვილის პრაჰლადისა, რომელიც ვიშნუს მგზნებარე ტაყვანისმცემელი იყო. როდესაც პრაჰლადიმ არ მოისურვა ვიშნუს უარყოფა, მამამ ბრძანა რომ მოეკლათ იგი. მეომრები მეფის ბრძანებით განრისხებული მახვილებით თავს დაესხნენ მეფისწულს. მეფის შვილი კი მეომრებს არხეინად უყურებდა, რაკი დარწმუნებული იყო, რომ იარაღი მავ ვერაფერს დააკლებდა. და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ დემონები მთელი ძალღონით ურტყამდნენ კისერზე მახვილს, იგი ტკვილს მაინც არ გრძნობდა. მაშინ მეფემ გველებს უბრძანა თავს დასხმოდნენ გაჯიუტებულ ვაჟიშვილს. ვეება შხამიანი ურჩხულები ყმაწვილს კბენდნენ ყველგან, მაგრამ პრაჰლადის კანს კი ვერაფერს აკლებდნენ. შემდეგ მეფემ ციურ სპილოებს უბრძანა ეშვებით გაენადგურებინათ მეფისწული. სპილოები თავისი მწვერვალებივით უზარმაზარი ეშვებით შეუტის მეფისწულს, წააქციეს, დაუწყეს ცემა, მაგრამ იგი განუწყვეტლივ ვიშნუს ახსენებდა და ამიტომ სპილოებს

ემუბები ებლაგვებოდა. წარუმატებლად დამთავრდა პრაჰლადის მინდორზე დაწვის მცდელობაც, მოეწამვლა და კიდევ მისი მალალ კომპიდან გადმოგდება. ბოლოს მეფემ გადაწყვიტა შვილი შეცდომაში შეეყვანა, მამა-შვილი დიდხანს დაობდნენ სასახლის კარიბჭესთან. ბოლოს გააფრთხულმა მამამ ქვის სვეტს ხელი დაჰკრა და თქვა: - თუ ვიშნუ ყველგანაა, მაშინ აქაც უნდა იყოსო, სვეტი შუაზე გაიპო, და მისგან უნახავი არსება გადმოვიდა. ეს იყო ნახევრად კაცი, ნახევრად ლომი, რომელმაც ამპარტავანი მეფე ჰაერში აიტაცა, თითებით დაფლითა და მოკლა. ამგვარად ნახევრად ცხოველის სახის მქონე ვიშნუმ, გაანთავისუფლა თავისი ერთგული თაყვანისმცემელი პრაჰლადი და თავისი სიდიადე დაამტკიცა.

„რიდვედებში“ ნახსენებია „ვიშნუს სამი ნაბიჯი“, რის შედეგადაც მან ღმერთებს უშოვა დედამიწა, ატმოსფერო, და ცა. პურანებმა ეს იდეა დაამუშავეს მოთხრობაში ჯუჯა (ვამანას) შესახებ - რომელიც ვიშნუს ერთ-ერთ განსხეულებას - ავატარას წარმოადგენს.

ქვეყნის არსებობის მეორე პერიოდში ღმერთების სამეფო დაიპყრო პრაჰლადის შვილიშვილა პატივმოყვარემ, მაგრამ სამართლიანმა დემონმა ბალიმ. ღმერთებმა მიატოვეს თავიანთი ადგილსამყოფელი და ლოცვებით, მონანიებით ცდილობდნენ ვიშნუს გულის მოგებას, რათა მისგან შველა მიეღოთ. იმისათვის, რომ მათი თხოვნა შეესრულებია, ვიშნუ, რიში ბრიჰასპატის შვილის - მახინჯ ვამანა ჯუჯა სახით დაიბადა და სამოწყალოდ ბალისთან გაემართა. დემონმა მას შესთავაზა ოქრო, სამკაულები, სპილოები და ცხენები, მაგრამ ჯუჯამ მხოლოდ თავისი სამი ნაბიჯის ზომის მიწა მოითხოვა. როცა მეფე დათანხმდა, ვამანამ დაიწყო ზრდა და უსაზღვროდ დიდი გაზარდა - პირველი ნაბიჯის შემდეგ, ბადრი მთვარე მას მკერდამდე სწვდებოდა, მეორე ნაბიჯის შემდეგ წელამდე, ხოლო მესამის შემდეგ მუხლებამდე. ამგვარად მან, ღმერთებისათვის, სამივე ქვეყანა მიიღო და მათზე ბატონობა ინდრას დააკისრა. ბალი ქვესკნელში ჩააგდო, მაგრამ ნება დართო წელიწადში ერთხელ ენახა თავისი სამეფო.

კერალაში (სამხრეთ ინდოეთის ზღვისპირა ერთ-ერთი შტატი მთ. შ.) დღესაც ზეიმობენ ბალის დღესასწაულს, რომელიც ათ დღეს გრძელდება, იმ დღეებში ყველა ერთობა, თითქოსდა რომ ბალიმ ნახოს თავისი ყოფილი ქვეშევრდომები რა ბედნიერები არიან. შესაძლებელია ბალი იყო ისტორიული პიროვნება - დრავიდი მეფე, რომელიც არილებმა დაამარცხეს.

ჯუჯა გოლიათი, ვიშნუს უკანასკნელი ავტრა (განსხეულება) ადამიანთა საზოგადოების გარეშე იყო. და მიუხედავად იმისა, რომ ვიშნუს საშოდან დაიბადა, დედამისი არ იყო მიწიერი ქალი და მისი ცხოვრება არ ექვემდებარებოდა ადამიანურ კანონებს. შემდგომში ამ ღმერთის განსხეულება კოსმიური სივრცეებიდან ადამიანთა ცხოვრების დონემდე დადის. ადამიანებს ის ევლინება პარაშურამას, რამასა და კრიშნას სახით.

„ბრაჰმავაივარტა - პურანაში“ პარაშურამას შესახებ ნათქვამია „ბრძენმა ჯამადაგნიმ მეფეს ქალწული რენეკუ ცოლად ითხოვა და წაიყვანა თავის სავანეში, სადაც თავიანთ ხუთ შვილთან ერთად ტკბილად ცხოვრობდა. ერთხელ ვაჟიშვილები ნაყოფის მოსაკრეფად ტყეში წავიდნენ. რენუკამ საბანაოდ მიაშურა მდინარეში დაინახა მეფე ჩიტრარათჰი, რომელიც თავის ცოლთან ერთობოდა, რეკუნას შეშურდა მათი ბედნიერება და თავის სავანეში ბინძური აზრებით შერყვნილი დაბრუნდა. კამადაგანი

მყისვე შენიშნა ცოლის დანაშაული. განრიხსდა და შვილებს უბრძანა მოეკლათ დედა. ვაჟიშვილებს ძალიან უყვარდათ თავიანთი დედა და მამის ბრძანება არ შეასრულეს, ამისათვის მამამ დაწყევლა ისინი და ისეთ სულელებად აქცია, რომ ჭკუით ცხოველებსა და ფრინველებს დაემსგავსნენ. მხოლოდ მეხუთე ვაჟიშვილმა, პარაშურამამ, უყოყმანოდ დაავლო ხელი ნაჯახს და დედას თავი მოჰკვეთა. ჯამადაგნიმ მას ნებისმიერი სურვილის ასრულება დაპირდა. პარაშურამამ მამას სთხოვა დედისათვის დაებრუნებინა სიცოცხლე, ძმებისათვის გონება, მისთვის კი- პატიება დედის მკვლელობისათვის, ხანგრძლივი სიცოცხლე და დაუმარცხებლობა ბრძოლებში. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც პარაშურამას სურდა.

ერთხელ, როდესაც ბრძენი და მისი ვაჟიშვილები სავანეში არ იყვნენ, მოვიდა ძლიერი მბრძანებელი კარტავირია. რენუკამ იგი პატივით მიიღო, გაუმასპინძლდა, მაგრამ პატივმოყვარე მეფემ სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ სავანის ირგვლივ მაღალი ხეები მოჭრა ძალით წაიყვანა მეწველი ძროხის ხბო, როცა პარაშურამა შინ დაბრუნდა და დაინახა შეწუხებული ძროხა, დაავლო მშვილდ-ისარს ხელი და კარტავირას დაედევნა. ისრებით ჯერ ათასი ხელი მოსწყვიტა და შემდეგ კი ბრძოლაში მოკლა. პარტავირის შვილებმა მამას სიკვდილის შურისსასაძიებლოდ თავს დაესხნენ სავანეს და მოკლეს უიარაღო ბრძენი. როდესაც შვილები იღლიაში ამოდებული ფიჩხებით შინ დაბრუნდნენ პარაგურამამ ნახა, რომ მამა მკვდარი იყო. მან დაიტირა იგი, სამგლოვიარო წესჩვეულებები შეასრულა და გვამი დასაწვავი კოცონით აანთო. შემდეგ მან საჯაროდ ფიცი დადო, რომ მოსპობდა ქმატრიებს, რადგან კარტავირის შვილები მებრძოლთა ვარნას ეკუთვნოდნენ. პარაშურამამ ბრძოლაში თანდათან ყველა დამნაშავე მოკლა და შემდეგ სხვა ქმატრიების ხოცვასაც მოჰყვა. ამგვარად მან „ამოწყვიტა მეომართა ოცდაერთი თაბა და მათი სისხლით გაავსო ხუთი დიდი ტბა”.

ყველაზე ხშირად ხოტბას ასხამდნენ იმ ვიშნუს, რომელთაც რამასა და კრიშნას სახე ჰქონდათ. რამაზე ზედმიწევნით ლაპარაკს აზრი არა აქვს, ვინაიდან მკითხველი მას უკვე კარგად იცნობს თარგმანების მიხედვით; ჩვენ კი განსაკუთრებულ ყურადღებას კრიშნას დავუთმობთ, ვიშნუს მერვე ავატარას (განსხეულება).

ვიშნუს ამ განსხეულებასი ორი ადამიანური ფიგურები ერწყმიან ერთმანეთს. პირველი - ესაა მწყემსი, რომელიც მდინარე მათჰურას ახლო ჯამანას ტყეებში ცხოვრობს. უკეთეს ვერსიას ჩვენ ვხვდებით „ბჰაგავატაპურანას”, (დაახლოებით VIIIს) მათე თავში და უძველეს „ვიშნუპურანაში”.. შემდგომში ეს ლეგენდა დამუშავებული იქნა ყველა ახალ ინდურ ლიტერატურაში.

ბევრად უფრო ძველი ეპოსიდან „ნაჰაბჰარატადან“ მეორე ფიგურა - მეომარი არჯუნის სულიერი მოძღვარის, მეეტლის სახით, რომელიც ბრძოლის ველზე იგი თავის დიდებულ ქადაგებას - „ბჰაგავად-გიტას” წარმოქვამდა.

თუკი სხვა ავატარები თავის თავში ანსხეულებდნენ ვიშნუს ღვთაებრივი არსების ნაწილს ან ცალკეულ თვისებას, კრიშნა წარმოადგენს მის მთლიან გამოხატულებას, რომელიც ყველაზე უფრო სათაყვანო ღვთაებაა ინდურ მითოლოგიაში, ყველაზე პოპულარული - ღმერთებს შორის. მის დაბადებას მიემდვნა აურაცხელი მითი და ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობენ კრიშნას ვერაგი მტრების მიერ დაგებულ მახეზე,

მის ჩასახვიდან სიყმაწვილემდე.

მათჰურაში ტახტი დაიკავა ტირანმა კანსამ, რომელიც ისეთი მკაცრი იყო, რომ დედამიწა იძულებული შეიქმნა ძროხის სახით შველის სათხოვნელად წასულიყო. ღმერთებმა კი ვიშნუს მიმართეს: „ღმერთების სახელით გამოვიდა ბრაჰმა“. როდესაც მან სიტყვა დაამთავრა, უზენაესმა თმის ორი ბალნი ამოიძრო. ერთი შავი და ერთიც თეთრი და ღმერთებს მიმართა: „ეს ჩემი თმები დედამიწაზე ჩამოვლენ და გაათავისუფლებენ მას მძიმე ტვირთისგან. თმის შავი ბალანი განსხეულდება მერვე ბავშვში და ღვთის მსგავს დევაკის ჩანასახში, ასევე ვესუდევას ცოლში და იმ ბიჭად, რომელიც მოკლავს კანსუს“, (ვიშნუპურანა).

მაღე კანსამ შეიტყო იმ წინასწარმოეტყველობის შესახებ, რომ იგი მოკლული იქნება მერვე ბავშვის, თავისი ბიძაშვილის - დის დევაკის მიერ და ამიტომ გადაწყვიტა ეს უკანასკნელი თავიდან მოეცილებია, მაგრამ ვასუდევიმ შეევედრა მას არ მოეკლა მისი ცოლი და დაპირდა ყველა შვილებს მისცემდა. კანსს დევაკის ექვსი შვილი სიცოცხლეს გამოასალმა. მხოლოდ მეშვიდე, ბალარამა, რომელიც ჩანასახის მდგომარეობაში იყო, ჯადოქრობის გზით გადაიყვანა ჯამნას მეორე ნაპირზე, გოკულელი როპინის საშობი. როდესაც პაპანაქებაში დაიბადა დევაკის მერვე შავტუხა ბავშვი, რომელიც ლოტოსივით ლამაზი იყო, ვიშნუმ გუშაგები დაადინა, ვესადუვა ახალშობილთან ერთად იგი საპყრობილიდან შეუმჩნეველად გამოაპარა. „მას თან ახლდა გველი შეშა, რომელიც თავის ღაბაბები მარაოსავით გაშალა, რათა ბავშვი ძლიერი წვიმისაგან დაეცვა. როდესაც იგი ბავშვით ხელში ჯამნაზე გადადიოდა, ღრმა და საშიშ მდინარეზე თავისი ბობოქარი მორევებით, წყლები მაშინ დაცხრნენ და კალაპოტში წყალი მუხლებს ზემოთ არ ცილდებოდა“. იმ ღამესვე ნანდას ცოლს მწყემს ქალს - იაშოდს გოგო ეყოლა. ვასუდევმა ეს შეიტყო თუ არა ბიჭი გოგოში გაცვალა და ციხეში დაბრუნდა. დილით კანსამ ახლადშობილის მოკვლა განიზრახა, მაგრამ გოგონა მის თვალწინ უზარმაზარი გაიზარდა, კანსას გაუცინა და ცაში გაფრინდა. მაშინ კანსა მოიხმო თავისი ქვეშევრდომები და უბრძანა მოეკლათ ყველა ბიჭები, რომლებსაც არაჩვეულებრივი ძალ-ღონე აღმოაჩნდებოდა. მან დავაკი და ვასუდევა ციხიდან გაათავისუფლა, ვინაიდან მათ ციხეში ყოფნას აზრი აღარ ქონდა. ნანდა და კრიშნა გაემგზავრნენ გოკულეში, რომლის სახელთანაც კრიშნას მრავალი გმირობა თუ ოინბაზობაა დაკავშირებული.

ერთხელ, მაგალითად, „აქ მოვიდა ღამით ბავშვების მკვლელი უპანა, და დაინახა თუ არა მძინარე კრიშნა, იგი წამოაყენა და ძუძუ მისცა. ყველა ბავშვი ვისაც კი მან ძუძუ მოაწოვა მოკვდა, მაგრამ კრიშნამ ორივე ხელი სტაცა მკერდს და უპანას მთელი სიცოცხლე გამოწოვა. ერთხელ მისი გადაყლაპვა გადაწყვიტა დემონმა, რომელსაც უზარმაზარი წყარს სახე ქონდა“. კრიშნამ მოიგერია იგი, ხოლო მეორე დემონმა, რომელსაც ვეება გველის სახე ქონდა, გადაყლაპა კრიშნა სხვა მწყემსებსა და ძროხების ჯოგებთან ერთად, მაგრამ კრიშნა ისე გვრემდა მის მუცელში, რომ გველს მუცელი გაეხა. ებრძოდა იგი დემონ პარაჯანასაც, რომელსაც წაართვა ლოკოკინა, რაც შემდეგ ვიშნუს ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. ყველაზე უფრო მწყემსების გამოსახულება უყვარდა და მათი ადღვებილი ერბოს მოპარვა.

როცა ბიჭუნა ხუთი წლის გახდა, მისი მშობლები ვრინდავანის ტყეში გადასახლდნენ.

დროთა განმავლობასი კრიშნა გახდა მამაცი ყმაწვილი, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ მიიწევდა და მალე ყველა სამ ქვეყანაში დიდი სახელი მოიხვეჭა. იგი დასეირნობდა ტყეში და ფლეიტის ტკბილი მელოდიებით აჯადოებდა მწყემს ქალებს, რომლებიც მასზე შეყვარებულნი იყვნენ, კრიშნაც თავის კეთიკგანწყობილებას სიამოვნებით სთავაზობდა მათ, ცეკვავდა, აცნობდა მათთან ერთად და ეტრფიალებოდა მათ. ჩვეულებისამებრ კრიშნას ცეკვა იყო რასალილა, ამ დროს მწყემსი ქალები შუაში დგებოდნენ, დანარჩენი მათ ირგვლივ ცეკვავდნენ. ამ დროს თავისი მაგიკური ძალის მეშვეობით კრიშნა მრავალ სახეს ღებულობდა, ასე რომ ყოველ მწყემს ქალს ეგონა რომ კრიშნა მხოლოდ მასთან ცეკვავდა.

რასალილა დღემდე ერთ-ერთი ოთხ ინდურ კლასიკურ ჩეკვათაგანია: ხელოვნების სხვა სახეებშიც - ფერწერაში, ქანდაკებასა და პოეზიაში არნიშნული მოტივი ძალიან ხშირად გვხვდება.

კრიშნას ბედნიერი და მშვიდი ცხოვრება დაარღვიეს კანსას ახალმა მზაკვრებმა, რომლებმაც კრიშნას მოსაკლავად მოეწოდნენ საშინელი არიშიტუს დემონთა ხარისა და კეშინა ცხენის სახით, მაგრამ ეს ბოროტი განზრახვები და წარუმატებლობით დამთავრდა. როცა დრო დადგა კრიშნა ბალარამასთან ერთად მათჰურაში გაემგზავრა პაექრობაში მონაწილეობის მისაღებად. პაექრობაში მან დაამარცხა ყველაზე ცნობილი მოწინააღმდეგეები, თვით კანსაც და ტახტზე უგრასენა დასვა. კრიშნა და ბალარამა ცოტა ხანს კიდევ ცხოვრობდნენ მათჰურაში და თვრამეტჯერ დაიცვეს იგი მეფე მაგადჰის ტავასხმისაგან. ვინაიდან კრიშნას წინააღმდეგ სხავ მტრებიც ამხედრდნენ. იგი თავის ქვეშევრდომებთან ერთად გუჯარატში, სანდომიანად გამაგრებულ ქალაქ დვარაკში გადასახლდა. განსაზღვრული დროის შემდეგ, კრიშნა და ბალარამა კვლავ შეერწყნენ ვიშნუსა და დარაკონ შემას.

ვიშნუს მცირე ავატარად-განსხვავებულად აღიარებული იქნა, ოქროს საშუალო გზის დამაარსებელი ბუდა (ბუდჰა). ეს დაახლოებით ეხება იმ პერიოდს, როდესაც ვიშნუიზმი და ბუდიზმი მძაფრად ესხმოდნენ თავს ერთმანეთს. კომპრომისის გზით ვიშნუიტებს, უთუოდ, სურდათ თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ ბუდიზმის მიმდევრები, პირველ რიგში ბუდისტი - მარიანები. ღია ბრძოლაში მკაცრად დამუშავებული ბუდისტური მოძღვრების წინააღმდეგ ბრაკმანებმა ბუდას ვიშნუსთან გაიგივება ამჯობინეს. თუმცა, მთელი მათი მოთბინებაც აქვე იწურება ჰინდუების აზრით, ბუდა დაიბადა არა იმისთვის, რომ იხსნას ადამიანები, არამედ იმისთვის, რომ თავის მოძღვრებით მოატყუოს მოწინააღმდეგე ღმერთები, „აგნიჰურანა” ბუდას განსხეულებას შემდეგნაირად ასახავს: „ოდესღაც ასურები ღმერთებს ეებრძოდნენ. ბრძოლაში ღმერთები დამარცხდნენ, ამიტომ ვიშნუს მიმართეს და შველა თხოვეს. მაშინ ვიშნუ დაიბადა როგორც ბუდა, სუდჰოდანის სვილმა, მოატყუა დემონები და მათ უარი ათქმევინა ვიდურ რელიგიაზე. გახდნენ რა მათი მიმდევრები, მათ სხვებიც მოაშორეს ჭემმარიტ სარწმუნოებას, ისინი ჩადიოდნენ ისეთ სიბოროტეს, რომელიც ჯოჯოხეთით ისჯება, და მდაბიოთაგან საჭმელს ღებულობდნენ“.

ეს მეტად დახვეწილად შეთხზული ამბავი, რასოდეს ყოფილა დიდად პოპულარული, მაგრამ მისი არსებობა მიუთითებს მასზე თუ რა დიდი და ყოვლის შემძლე უნარი გააჩნდა ჰინდუიზმს, რომელსაც ძნელად თუ გაუწევდა წინააღმდეგობას ბუდიზმი,

ინდური მუსულმანობა და ქრისტიანობა. როდესაც სახელმწიფოში გამოჩენა დაიწყო ქრისტიანულმა მისიონერებმა ჰინდუებმა, რომლებიც ბიბლიას გაეცნენ, მზად იყვნენ ქრისტეს ღვთაებრივი წარმოშობა ეცნოთ და თავის პანთეონში შეეყვანათ იგი.

მეათე ავატარას - კალკის მოსვლა მითის თანახმად ჯერ მხოლოდ მოსალოდნელია. ბნელი საუკუნის დასასრულს მოხდება კასტების სრული აღრევა, ადამიანთა შორის, საზიზღრები ჩაიგდებენ ძალაუფლებას. რელიგიის სახით დაიწყება ურწმუნოების ქადაგი. ბარბაროსი მოძალადეები ექსპლუატაციას გაუწვენ ხალხს და მაშინ გაჩნდება კალკი, აბჯარში, შეიარაღებული წესრიგს დაამყარებს, აღადგენს ოთხივე ვარნას, სიცოცხლის ოთხივე სტადიის ღირსებას და ხალხს ჭეშმარიტ სარწმუნოებას ჩუნერგვას. შემდეგ ვიშნუ მოიცილებს კალკის სახეს და ზეცას დაუბრუნდება. („აგნიპურანა“).

ვიშნუს სახეებად-განსხეულებად ასახელებენ აგრეთვე სხვადასხვა ისტორიულ პიროვნებებსაც, ზოგჯერ ახალი დროისაც კი, რომლებიც თავისი თვისებებით, უნარით და საქციელით სხვებისაგან განსხვავდებოდნენ. ასე, მაგალითად, ბენგალელ ვიშნუიტებს ასეთად მიაჩნიათ XV საუკუნის რეფორმატორი ჩაიტანია. ინდოელი ხალხის შეგნებაში ვიშნუს ავატარას როლში გამოდის მაჰატმა განდიც, მთელ რიგ რაიონებში განდი თაყვანისცემის დიდი ობიექტია, მიუხედავად იმისა, რომ იგი გარდაიცვალა რამოდენიმე ათეული წლის წინ. ეს მთლიანად ეხამება „ბჰაგავადგიტას“, სადაც კრიშნას სახის მქონე ვიშნუ აცხადებს „მე ვიბადები, როგორც კი ადამიანებს სამართლიანობის შეგრძნება ეკარგებათ და მათში ძლიერად ისადგურებს უსამართლობა. მე ვიბადები საუკუნიდან საუკუნემდე, რომ სიკეთე გადავარჩინო, დავამარცხო სიბოროტე და ჭეშმარიტებას გადავულოცო ძალაუფლება“.

შივა

ჰინდური პანთეონის ყველაზე, ნათელი, ცოცხალი და თავისებური ფიგურაა - ინდური - ღვთაებრივი ტრიადის (ტრიმურტის) მესამე წევრი - შივა. იგი თავის თავში მოიცავს წინააღმდეგობრივ და ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებს, რომლები ერთმანეთთან არამც თუ დაკავშირებულია, არამედ ზოგჯერ შერწყმულიცაა. იგი მრისხანე ღვთაებაა, რომელიც უფლებას აძლევს თავის თავს უსაზღვროდ განრისხდეს, როგორც მრისხანე ბჰაირავი, მაგრამ იგი არის აგრეთვე შანკარაა- მოწყალე ღმერთი, კეთილმსურველი და შემწყნარებელი, მაგრამ ის ერთდროულად სიკვდილის მატარებელიცა და მისი დამმარცხებელიც, ის სპობს და ასევე სიცოცხლეს ანიჭებს ყოველივეს.

შივაიზმის თანახმად სამყაროში არაფერია მუდმივი, გარდა იმ სსაფუძველისა, რომელიცაა შივა თავისი უმოქმედო, ფარული ჰიპოსტასებით, რომელსაც არ გააჩნია ენერგეტიკული საწყისი-შაქტი. ყოველივე უწყეტ ცვლილებებს ემორჩილება, ყოველივე დაღუპვისა და აღორძინების მდგომარეობაშია, ამასთანავე დაღუპვა აუცილებლად წინსწრწბია დაბადებისა. ახალი მხოლოდ ძველის სიკვდილის შემდეგ იბადება, ასე რომ, აკვანი და კუბო ერთია, ამიტომაც განადგურება არსებობის უმნიშვნელოვანეს ფორმაა, რომლის გაერშეც შეუძლებელია რაიმე წარმოიშვას. შივა ცვლისა და განადგურების ფუნქციების მატარებელია. იგი ფლეთს კოსმიური დიდ ილუზიის (მაჰამაიას) ფარდას

და ეხმარება ტანჯულ ადამიანს. შივაიტების აზრით ის ბრაჰმანზე ძლიერია და ვიშნუზე უნარიანი. არც ერთ ამათგანს და არც ორივეს ერთად, არ ძალუძს ყოვლისწვდომა. ამიტომაც, შივას წინაშე, თავდაპირველად როგორც არაარიული ღვთაების წინაშე, ქედს იხრის ყველა სხვა ღმერთები, ადამიანები კი თაყვანს სცემენ მას და მის სხვადასხვა მსგავსებას, ანუ განსხვებებს.

ოდითგანვე აქვს ადგილი თაყვანისცემას ცხოველმყოფელ ძალას შივასი, რომელსაც ხარი-ნანდის სახეა აქვს, ან კიდევ გამოსახულია ლინგამის- მამაკაცის ასოს სახით. ეჭვი არაა ამ ღმერთების ასეთი ორგვარი გამოსახვა, არილებამდელი მოსახლეობის ტრადიციიდან მომდინარეობს, მაგრამ ამ ორი ღვთების როლი, ძალიან განსხვავებულია. წმინდა ხარს ნანდის, როგორც ღმერთს თაყვანს ცემენ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, იგი უკვე დიდი ხანია ფიგურირებს ცხოველის სახით, რომლითაც დამოგზაურობს შივა. ასეთი შივა შეგიძლიათ ნახოთ ყველა შივაიტური ტაძრის წინ, სადაც ნანდი მაღალ პედესტალზე, სახით წმინდანისკენ წევს. სამაგიერთოდ ლინგამი, ღმერთის (შივას) შემოქმედებითი ძალისა და ენერგიული საწყისის სიმბოლური გამოხატულებაა, შემონახულია ინდოეთის უმეტეს ნაწილში, მას საპატიო ადგილი უკავია არა მარტო შივაიტურ, არამედ თითქმის ყველა ჰინდურ ტაძარში.

მითი ამ სიმბოლოს შესახებ მოცემულია „ლინგაპურანში“. ერთხელ ვიშნუს ბრაჰმასთან დავა მოუვიდა იმასზე, თუ მათ შორის, ვინ უფრო ადრე გაჩნდა. მათი სადაო საკითხის გადასაჭრელად და სიმართლის გასარკვევად, მათ თვალწინ, ლინგამის სახით გაჩნდა შივა, რომლის გარეგნობა ვერაფერს შეედრებოდა. „ცეცხლოვანი სვეტი ჰგავდა იმ ალს, რომელიც ნთქავდა ქვეყანას დალუპვისას და ანატებდა ის ცეცხლოვან გვირგვინების შორის, მას რაც დასაწყისში ქონდა, არც შუაგული და არც ბოლო. ბრაჰმამ ვიშნუს უთხრა: „იმისათვის, რომ ლინგამის სვეტის ბოლოები ვიპოვნოთ შენ ქვემოთ დაჰყვები მე კი ზემოთ ავალო“. ვიშნუ უზარმაზარ ტახად იქცა და ათასი წელი მიწას თხრიდა, მაგრამ ლინგამის ძირს მაინც ვერ მიაღწია, ბრაჰმა კი იქცა ელვარე თვალებიან თეთრ გედად, რომელიც ფიქრივით სწრაფი იყო და მგზნებარე როგორც ქარიშხალი. იგი ათასი წელი მაღლა მიფრინავდა, მაგრამ ცეცხლოვანი სვეტის მწვერვალს მაინც ვერ მიაღწია. როდესაც ორივენი დაბრუნდნენ. შივამ მათ სიმართლე გაანდო. ამ დღიდან ლინგამს თაყვანს ცემენ ყველა სამ ქვეყანაში. იგი გაიგივებულია ბრაჰმანთან, რომლის უმაღლესს ტანსაც წარმოადგენს. იგი ღვთაების სიდიადის - საოცარი გამოხატულებაა, გონებით მიუწვდომელი, თვით დემონებისა და ღვთაებებისათვის, თუმცა რომლთაც იციან იოგა. ლინგამი - შეცნობის ყველაზე მაღალი ობიექტია. მისი თაყვანის ცემა ნიშნავს, ჩაუწვდომელისა და გამოუვლინებელი უზენაესი შივას თაყვანისცემას”.

შივა-იდეალია მათთვის, ვინც, განმარტოებით, გონებაჰკრეტიტ გარინდებულნი, მონანიებს მიეცა. შივას მშვენიერი სხეული, დაფარულია წმინდა ფერფლით. იგი ნახევრად შიშველია და მხოლოდ, სპილოს ტყავის ნაჭერი ფარავს თემოებს. კისერსა და ხელებზე კი გველი შემოხვევია და შუბლზე ნახევარმთვარე ანათებს.

შივა-მფარველი და დამრიგებელი ასკეტებისა, ისე ღრმად იყო ჩაფიქრებული, როცა ცოლის მუყვანის დროს დადგა, „ინიციატივას ქალი იჩენდა“. მისი პირველი ცოლი იყო ქველმოქმედი სატი., რომლის მამასაც- ძლიერ დაქმვას, - კაცობრიობის ერთ-ერთ

წინაპარს, ყველაზე უფრო უყვარდა თავისი ქალიშვილი - სატი. როდესაც ქალიშვილი გაიზარდა, მან დაპატიჟა ყველა ღმერთები, რათა ქალიშვილისათვის შესაფერი საქმრო აერჩია. დაქმამ არ დაპატიჟა მხოლოდ შივა. რადგან მისი აზრით, უცნაური გარეგნობისა და თვისებების შივა, სიძედ არ გამოდგებოდა. სატი კი შივას მგზნებარე თაყვანისმცემელი იყო და ჯერ კიდევ ბავშვობაში ამბობდა რომ მხოლოდ შივას ცოლი უნდა გავხდეთ. სატი გამოჩნდა დარბაზში, სადაც ღმერთები მის გადაწყვეტილებას ელოდნენ და როგორც კი შენიშნა რომ, ის ვინც უყვარდა აქ არ იყო, სატიმ საქორწინო გვირგვინი ჰაერში აისროლა და სურვილი გამოთქვა გვირგვინი შივას რგებოდა. უცებ შეკრებილთ შორის შივაც გაჩნდა და პატარძლის წითელი გვირგვინი შივას კისერზე აელვარდა. დაკმა იძულებული იყო დათანხმებოდა ქალიშვილის არჩევანს და შეგუებოდა მისთვის არასასურველ სიძეს, ხოლო შივამ კი მწვავედ შეურაცხჰყო დაშკა იმით, რომ ღმერთების დარბაზობაზე ბრაჰმას ტაძარში, პატივისცემის ნიშნად სხვებსავით ფეხზე არ წამოდგა. დაქმამ მოაგონა შივას ეს თავხედური საქციელი, თანაც დაწყევლა, რომ მსხვერპლის მოტანისას შივა არავითარ წილს არ მიიღებდა და დარბაზობა მიატოვა.

მალე, თავისმხრივ, შივასაც მიეცა შურისძიების სასუალება. თან, როგორც „ვაიპურანაში“ ნათქვამია, შურისძიებაში შივამ თავის მტრებს გადააჭარბა. დაშკამ ერთხელ მოაწყო ცხენის დიდი მსხვერპლშეწირვა, შივას გარდა, ყველა ღმერთები მოიწვია. შივა მიხვდა სიმამრის ამ საქციელის მიზეზს. მაგრამ სატიმ, რომელმაც არაფერი იცოდა მამისა და ქმრის დაპირისპირების შესახებ, თავი დაჩაგრულად იგრძნო და დაჟინებით მოითხოვა ქმრისათვის მსხვერპლის გაღებისას წილი გამოეყოთ. შივამ კი პირიდან გააჩინა ცეცხლოვანი არსება, რომელსაც ათასი თავი ქონდა, ათასი თვალი და ფეხი, ხელში მტკიცედ ეჭირა ათასი შუბი და კომბალი, ნიჟარა, ბარდო და კვერთხი, მოელვარე შვილ-დისარი და ნაჯახი. ამ საოცრად ლამაზად მბზინვარე, მრისხანე არსების თავს- ნამგალა მთვარე ამშვენებდა, ხოლო მას ტანზე, სისხლიანი ვეფხის ტყავი ემოსა, ქონდა დიდი მუცელი, პირში, ფართე საზიზღარი გამოშვერილი ეშვები, გრძელი ყურები, ჩამოკიდებული ტუჩები და ცეცხლოვანი ენა უცანდა. ყელზე შემოხვეული ჰქონდა მარგალიტის მძივი, მკერდზე კი ალისფერი ყვავილების გვირგვინი ეკიდა. მაგრამ გამოჩნდა თუ არა, იგი მუხლებზე დაეცა, პატივისცემის ნიშნად თავზე შემოირტყა ხელები და შივას მიმართა: „ო, ღმერთების მბრძანებელო! რა შემძლია გავაკეთო შენთვის?“. შივამ მიუგო: „გაანადგურე დაკმის მსხვერპლშეწირვა!“. როდესაც ძლიერმა ვირაბჰადრამ გაიგონა თავისი მბრძანებლის სურვილი, ჯერ მის წინ დაემხო და მერე გააფთრებული ლომივით წინ გაიჭრა, კანის ფორებიდან მან გააჩინა ასობით და ათასობით მასსავით მამაცი და ძლიერი ნახევარღმერთები. ჰაერში აღშფოთებული ცის მკვიდრთა ყურისმომჭრელი წივილ-კივილი გაისმა და მალე - მთები იძროდა, დედამიწა ზანზარებდა, ქროდნენ ქარები, ზღვის სიღრმეში ქარიშხლები ბობოქრობდნენ, ცეცხლმა თავისი სიკაშკაშე დაკარგა და ჩაქრნენ ვარსკვლავები. წმინდა რიშებმა სიმღერა შეწყვიტეს, დადუმდნენ ღმერთები და დემონები, ყოველივე უძირო წყვდიადმა მოიცვა.

შემდეგ სიბნელიდან ჩვეული ღრიალით ამოცვივდნენ ბინძური არსებები, გადააყირავეს სამსხვერპლო ქვაბები, დაამსხვრიეს ბომონები და ცეკვა დაიწყეს. ისინი ქარივით ადგილიდან ადგილზე დაძრწოდნენ, აქეთ-იქით ფანტავდნენ სამსხვერპლო საგნებსა და ჭურჭლებს, რომლებიც ჰაერში მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ფრინავდნენ. მათ

ხარბად შესანსლეს, შერყვნეს და მიყარ-მოყარეს ღმერთებისათვის დამზადებული საჭმლის ქუფთები მთასავით რომ ელაგა, რძის მდინარეები, ხაჭოს, კარაქის უამრავი ბორცვი და თაფლის მეჩქეები. მათ შეთქლაფეს არაყანი, შაქარი, მოხალული ხორბალი, ხორცის დიდი ნაჭრები, ტკბილეულობა, მთლიანად დალიეს შესაწირავად გამზადებული სასმელი, შემდეგ შეუტყეს შიშისაგან გაოგნებულ ღმერთებს, დაუწყეს მათ ცემა და თრევა, აბუჩად აიგდეს ფეიები და ქალღმერთები. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლს ყველა ღმერთი იცავდა, იგი მაინც განადგურებულ იქნა. „ლინგა-პურანას“ და „ბჰაგავატაპურანას“ თანახმად ვირაბჰადრამ დაქმნა თავი მოჰკვეთა და ცეცხლში ჩააგდო. ამიტომ, როცა დამშვიდებული შივა ღმერთების თხოვნით მკვდრებს აცოცხლებდა, ვერ იპოვეს დაქმნა თავი და მის ნაცვლად დაქმნა თხის თავი დაადგეს. ამ ლეგენდის ვარიანტი „ვაიუპურანაში“ შეიცავს კიდევ ერთ მითიურ ეპიზოდს, სადაც მოთხრობილია, რომ სატი ისწრაფოდა რა გაემართლებია თავისი ქმარი, მისდამი თაყვანისცემის ნიშნად სამსხვერპლო ცეცხლში ჩავარდა და თავი დაიწვა. (აქედან სატის წესი-ქმრის გარდაცვალების შემდეგ მის დასაწვავ კოცონზე დაქვრივებული ცოლის თავის დაწვა .თანამედროვე ინდოეთში ზალზე იშვიათიად, ისიც იძულებით ხასითს ატარებდა. მთ. შ. ნ.ვ.)

თუმცა, სატი კვლავ დაიბადა მთის მეფის ჰიმავანტის მშვენიერი ქალიშვილი უმა სახით. მისი ისტორია ზუსტადაა აღწერილი „მატსია პურანაში“. უმამ (რომელსაც პარავატიც ერქვა) ჯერ კიდევ ბავშვობაში გადაწყვიტა მხოლოდ შივას გაჰყოლოდა ცოლად. თუმცა ამ მიზნის მიღწევა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ შივა დაჯდა მთა კაილასზე და ღრმა გონებაჭვრეტას მიეცა. მას ქვეყანაზე არაფერი აინტერესებდა: არც ბუნების სილამაზე და არც მისი მიმდევართა პატივისცემა. უმას ეგონა, რომ იგი შესძლებს შივას დაპყრობას მკაცრი მონანიების გზით, და ამიტომ მიუწვდომელ მთებს მიაშურა. „იქ მან მოიშორა ტანზე მდიდრული სამოსელი და სამკაულები. ხის ქერქისაგან დამზადებული ტანსაცმელი ჩაიცვა. მთის წყალში დღეში სამჯერ იბანდა ტანს. ასი წელი იგი ხის ფოთლებით იკვებებოდა და ასი წელი მკაცრად მარხულობდა”.

ღმერთებს ძალიან სურდათ შივას უმასთან დაქორწინება. მათ მეტად აბეზრებდა თავს ბოროტი დემონი ტარაკა, რომლის დამარცხება მხოლოდ შივას შვილს შეეძლო. მათ კაილასზე გაამგზავრეს კამა, რათა შივაში მას სიცოცხლის წყურვილი გაეღვიძებია. კამა ძნელად დათანხმდა ღმერთებს, ვინაიდან შივას განრისხების ეშინოდა. იგი უხმოდ მიუახლოვდა ხეებს შორის ჩამჯდარი ცოცხალი არსებების მბრძანებელს, რომელიც ირგვლივ ფუტკრებივით დაფრინავდნენ. მერე მასში ყურებიდან შეიჭრა და ისე მოიქცა, რომ შივას გონებაში მთლიანად გაქრა დიუმას კეთილმოქმედი ქალიშვილის სახე: გონებით ჭვრეტაც შეწყდა. შივა შეეცადა კვლავ აზრში გარინდულიყო, მაგრამ კამა მას განუწყვეტლივ ხელს უშლიდა. ბოლოს შივამ შეამჩნია მისი არსებობა თავის თავში და კამა რომ თავისი სხეულიდან განედევნა, მკაცრ ასკეტიზმს მიმართა. მისი სხეული ღმერთმა რისხვით დატოვა, შივა კი კვლავ გონებაჭვრეტას მიეცა. მაშინ კამამ თავის მომხრე - გაზაფხულთან ერთად გააჩინა სასწაულმოქმედი ისარი, რომელიც გაკეთებული იყო ნიავისა და მოდუდუნე ყვავილებისაგან. კამამ ისარი შივას პირდაპირ გულში სტყორცნა, მაგრამ შივამ გაახილა თავისი მესამე თვალი, გადმოაფრქვია ნაპერწკლები და კამა უმაღ ფერფლად აქცია. მოგვიანებით კამას ცოლის - რატის ჭმუნვით გულმოდობილმა შივამ, კვლავ გააცოცხლა კამა. მას აქეთ კამას ანანგა -

„უსხეულო“ ეწოდება.

ამ დროს უმას გამოეცხადა შვიდი ბრძენი, რომლებმაც შეატყობინეს მას, რომ შივა ხელს გთხოვსო. უმა მამის ციხე-კომპოში დაბრუნდა, ოცნებობდა თავის სანუკვარს შეხვედროდა, ერთი ღამე ათას წელიწადად ეჩვენებოდა. ვიდრე მთის მეფის სამეფოში საქორწინო მზადება მიდიოდა, შივა მიმგზავრებოდა თავის ღონიერ ხარ ნანდიზე, თან ისეთი დიდი ამაღლა მოჰყვებოდა, რომ მთელი დედამიწა ზანზარებდა. ასეთი დიდებული ქორწილი ცას ჯერ არასოდეს ენახა. მოვიდნენ ყველა ცის მკვიდრნი და დემონები, საქორწილო წეს-ჩვეულებას თვით ბრაჰმა ხელმძღვანელობდა. ქორწილის შემდეგ შივა უმასთან ერთად, ქარივით სწრაფი ხარით გაემგზავრნენ და თოვლით დაფარულ მანდას მთაზე, წყნარ ტყეებისა და ბუჩქნარებით გარემოსილი, სატრფიალო სიამტკბილობას მიეცა. ცოტა ხნის მერე პარვატი (უმას მეორე სახელია) შვილზე ოცნებას მოჰყვა და რაკი შვილი არსად იყო, გადაწყვიტა თავისთვის თოჯინა გაეკეთებია. სურნელოვანი ზეთის, ფხვნილის, ოფლისა და ჭუჭყისაგან, მან ადამიანი გააკეთა, სპილოს თავი დაადგა და გასართობად მდინარე განგში ჩააგდო, ხელით ნაკეთ მაშინვე გაიზარდა. შივამ ეს არაჩვეულებრივი არსება საკუთარ შვილად მიიჩნია და იგი თავის ამაღლის - ჯუჯებისა და სულების მთავრად და წარმატების მიმნიჭებლად აქცია. ამიტომაც ეს შვილი განეშად, იწოდება, რაც „ბრბოს მბრძანებელს ნიშნავს. მაგრამ ბოროტი დემონის - ტარაკის დამმარცხებელი, აღმოჩნდა შივას მეორე შვილი - სკანდა. რომლის დაბადებას კოლოცალური სიმნელები ახლდა. „საურაპურნა“-ს თანახმად, შივასა და პარვატის სქესობრივი აქტის დროს ჭექა-ქუხილი იყო. ღრუბლებიდან სისხლი იღვრებოდა და ძვლები ცვიოდა, საშინელი ქარები მთებს ანგრევდნენ, ღმერთები და მეტეორები ხროვად ეცემოდნენ დედამიწაზე, ელავდნენ სინათლის ქვეყნები, ვედების შესწავლის საქმე ფუჭდებოდა და სამივე ქვეყანა შიშისგან დასნეულდა. სწორედ ამის გამო, ვაჟიშვილი ყველა ღმერთებზე ძლიერი უნდა გამოსულიყო, ისეთი ძლიერი, რომ დედამიწის ზურგისათვის სამი ქვეყნის გაძლება უფრო იოლი ყოფილიყო, ვიდრე მარტო სკანდასი. ღმერთებს შეეშინდათ და შეევედრნენ შივას, რომ მას შვილი არ ჩაესახა. შივა დაპირდა მათ სურვილს შეასრულებდა, მაგრამ ამავე დროს დასწყევლა ისინი, რომ მათაც არ გაეჩინათ შვილი. შემდეგ შივამ თავისი თესლი, რომელსაც ჟასმინის და ცისფერი ლოტოსის სუნი ასდიოდა ღმერთების მოციქულის აგნის ხელებში ჩააქცია, რათა სხვა ღმერთებისთვის გადაეცა იგი. აგნიმ თესლის შეკავება ვერ შეძლო და იგი ჩაღვარა განგში, რის გამოც მდინარეს ცეცხლი მოედო და თესლი ექვსი ხომლის (პლუადის) - კრიტიკების კალთას შეაფრქვია. მათ სარადჰანის ტყეში ექვსი ვაჟიშვილი დაბადეს. ექვსივე ვაჟიშვილი ერთ ბავშვად იქცა, და კრიტიკები მათი ძიძები გახდნენ. ამიტომაც სკანდა აგრეთვე კარტიკეას - სახელსაც ატარებს. მას აქვს ექვსი თავი, თორმეტი თვალი, ექვსი პირი და ხელი. დაბანილია მდ. განგაში, და ბრაჰმა მას ათასი სახელით მიმართავს. სკანდა ისეთი ძლიერი იყო, რომ ციდან ისროდა ღმერთების ეტლებს, ციურ პლატენებს მიმართულებას უცვლიდა, მდინარეებს კი დინებას, და მთები გადაჰქონდ-გადმოჰქონდა. დამფრთხალმა არსებებმა ინდრას თხოვეს მოეკლა იგი. ყოყმნის შემდეგ ინდრა თავის თეთრ სპილოზე, რომლის ხორთუმი ღრმა ზღვის ფსკერს სწვდებოდა, სკანდასთან საბრძოლველად გაემართა, მაგრამ საბოლოოდ ისინი შერიგდნენ. სკანდა ინდრას მიემხრო, ხოლო დემონი ტარაკი მან თივასავით დაწვა. სკანდა და განეშა ცხოვრობდნენ კაილასზე. პარვატის, მათი გამოკვება, დიდი ჯაფის ფასად უჯდებოდა, რადგან ოჯახის დოვლათი მხოლოდ ის იყო რასაც შივა, როგორც ასკეტი, მოწყალებით

ღებულობდა. ერთხელ კინალამ ოჯახური ტრაგედია დატრიალდა, რადგან ირგვლივ ისეთი მტვერი დადგა, რომ შივა სამოწყალოდ ვერ წავიდა, სახლში კი პურის ნამცეცეც აღარ იყო. ღვთაებამ თავის უბედურ დღეს შესჩივლა (ამ დროს სხვა ღმერთები კი მდიდრად ცხოვრობდნენ) მის წინაშე გაჩნდა ბრძენი ნარადა, რომელმაც ყველაფერი პარვატის დააბრალა. შემდეგ იგი პარვატისთან მივიდა და ყველაფერში შივა დაადანაშაულა. მეორე დღეს დაღვრემილი პარვატი, როცა შივა სამოწყალოდ გზას გაუდგა, ბავშვებთან ერთად თავის მამისეულ სახლს მიადგა, მაგრამ მას ნარადას ცოლ-ქმარს შორის სერიოზული უთანხმოების გამოწვევა არ სურდა, ამიტომ იგი კვლავ შივას ცამდე აყვანას მოჰყვა და მალე პარვატაც დაამშვიდა. ნარადამ პარვატას ურჩია საჭმელი წაეღო იმ სახლიდან, საიდანაც ჩვეულებისამებრ მისი ქმარი მოწყალებას ღებულობდა. როცა შივა შინ ხელცარიელი დაბრუნდა, პარვატამ იგი მეფურად გამოაძღო, სწორედ ამიტომ, პარვატის გამოხატავენ ხშირად ერთი ბრინჯითა და კოვზით ხელში, და მას ისევე ცემენ თაყვანს როგორც ანაპურანს (როგორც „ყოველდღიური საკვების მწყალობელს“).

თავისი მრისხანე სახით, შივა დემონების საშინელი მტერია. მამაცი მებრძოლი, შეიარაღებული ფარ - ხმალით, შვილდისრითა და სამწვეტიანი კვერთხით, თავის მეგობარ ჯუჯებთან და სულებთან ერთად თავს ესხმის ღმერთებსა და ადამიანების მტრებს.

მის ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან გმირობაზე ტრიპურის დანადგურებაზე მოგვითხრობს „მატსიაპურანა“, როდესაც დემონ ტარაკის შვილებმა ბრაჰმისაგან ძლივს მიიღეს თანხმობა იმისა, რომ აეშენებინათ ტრიპური - სამი ციხე-სიმაგრე, რომლებიც შეიძლება დარბეული იქნას მხოლოდ ერთი ისრით, - მისმა ხუროთმოძღვარმა თავისთვის ოქროს ქალაქი (გალავანი) აიშენა ცაზე, ვერხცლისა ჰაერში და რკინის კი დედამიწაზე. ამ სამ ქალაქში მაცხოვრებელ ასურებს უსაზღვრო ძალა გააჩნდათ და ღმერთებს ომი გამოუცხადეს. ღმერთებს მეტად კრიტიკული მდგომარეობა შეექმნათ: მათგან არავის ქონდა იმდენი ძალა, რომ ისეთი ისარი ეტყორცნა, რომელიც სამივე ციხესიმაგრეს ერთბაშად დაანგრევდა, მათ მთლიან ძალაზე საჭირო იყო შივას ნახევარი ძალის მომატება, მაგრამ ეს ნახევარი იმდენად დიდ ძალას წარმოადგენდა, რომ ყველა ღმერთები ერთად ვერ ასწევდნენ ასეთ ისარს. ამიტომ გადაწყვიტეს თავინათი ძალის ნახევარი გადაეცათ შივასათვის. ამ დროს პლანეტებმა ადგილები გადაინაცვლეს, რაც ტრიპურის დაღუპვას ნიშნავდა. „მაშინ სამთვალა შივამ სწრაფად გაისროლა საბედისწერო ისარი. ცის კამარა წითლად შეიღება, თითქო გამდნარი ოქრო მეწამულს შეერიაო და ისარი მზის სხივებით აელვარდა. ისარმა სამივე ციხე-სიმაგრე თივის ზვინივით დაწვა. ტრიპურა ჰგავდა ღირსეულ ოჯახს, რომელიც დაღუპა აღვირახსნილმა შვილებმა. სახლები „სუმურუსა“ და „კაილასის“ შიშველ ქედებს ჰგავდნენ. მდიდრული აივნებიანი და თაღებიანი სასახლეები ლამაზი ადგილები თავისი თვალწარმტაცი ტბებით, დემონების ადგილსამყოფელოები, მორთული დროშებით, ოქროს გვირგვინებით და თასმებით, ცეცხლის ათასმა ენამ შთანთქა, დემონების ნახევარმთვარესავით ლამაზი სასახლეები, სამსხვერპლოები თავისი კარებებით ინგრეოდნენ და ზღვაში ცვიოდნენ. ყველა ღმერთები ადიდებდნენ შივას, მის ამაღლას უერთებოდნენ და ცაში ადიოდნენ“. შემდეგ „მატსიაპურანში“ ნათქვამია: „ის, ვინც წაიკითხავს ამ ისტორიას შივას სასიქადულო თავგადასავლის შესახებ, მისი კეთილმსურველობის წყალობით ყოველგვარ საქმეში დიდ წარმატებებსა და

გამარჯვებებს მიაღწიეს. შივას ამბის თხრობა უზრუნველყოფს გზას უსაფრთხოებისაკენ და დაბადებას, მამაკაცთა ჩამომავლობისა, ე.ი. ვინც კითხულობს და ისმენს მოხვდება შივას სამეფოში, სადაც ჰპოვებს სამუდამო ბედნიერებას.”

შივა ასკეტი და ასკეტების სულიერი მოძღვარი - გურუ, დროდადრო დედამიწაზე ხეტიალობდა და ამოწმებდა მომნანიებლებს, რაც ხშირად არც თუ ისე იოლი იყო. ზოგჯერ მისი გამოჩენა აღელვებდა ქალებს, ზოგჯერ კი მამაკაცები მოთმინებიდან გამოჰყავდა. „ლინგაპურნა” ამის შესახებ შემდეგნაირად მოგვითხრობს: „ერთხელ შივამ გადაწყვიტა ასკეტები მოენახულებინა, რათა მომნანიებელთა აზრები გაეგო, რამდენად ფლობდნენ ისინი თავის თავს, რამდენად ძლიერია მათი რწმენა და როგორ თრგუნავენ თავიანთ ვნებებს, შივამ მისთვის უჩვეულო - სამთვალა შავი ყმაწვილის სახე მიიღო და დარუს ტყეში გაემგზავრა. მისმა საამო გაღიმებამ, მოქნილმა წარბებმა და ტკბილმა სიმღერამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქალებზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთგული ცოლები იყვნენ, მაინც ისე მოიხიბლებოდნენ, რომ მათ დაავიწყებინა თავიანთი ქმრები და თითქო იდუმალი ძალით შეპყრობილნი შივას, ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ, გამომწვევად უმზერდნენ, გზაში კარგავდნენ სამოსელსა და სამკაულებს ვნებით აღტყინებულნი ხმამაღლა კისკისებდნენ, გარს ეხვეოდნენ შივას და ცეკვავდნენ მის ირგვლივ”.

ამ პურანის სხვა ნაწილებში მოთხრობილია განდეგილებზე, რომლებიც ტარაგამის ტყეებში ცხოვრობდნენ და შივაიზმის საწინააღმდეგო მოძღვრებას ქადაგებდნენ. შივას უნდოდა მათ ჭეშმარიტი სარწმუნოება მიეღოთ, მაგრამ მათ დაწყევლეს შივა და როცა წყევლა უეფექტო აღმოჩნდა, მაშინ სამსხვერპლო ცეცხლი აანთეს ჯადოქრობით, მისგან გააფთრებული ვეფხვი გააჩინეს და შივას შეაბრძოლეს. შივამ ფრჩხილით ვეფხვს ტყავი გააძრო და ისე მოიცვა, თითქოს აბრეშუმისა ყოფილიყოს. განდეგილებზე ამ წარუმატებულობამ არ იმოქმედა. ისინი განაგრძობდნენ მსხვერპლის შეწირვას მანამდე, ვიდრე უზარმაზარი ჯადოსნური გველი არ გააჩინეს. შივამ იგი კისერზე ყელსაბამივით შემოიხვია. ბოლოს მას შეერკინა საშინელი ურჩხული, ბოროტი ჯუჯა მულაიკო, რომელსაც ხელში უშველებელი პალო ეკავა. შივამ იგი ფეხის წვერით მიწაზე გასრისა, ხერხემალი გაუტეხა, ზურგზე ფეხი დაადგა და ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების შესანიშნავი ცეკვა დაიწყო. მისი ძალით სილამაზით და სისწრაფით მოიხიბლნენ განდეგილები და როცა დაინახეს რომ ცეხი გაიპო, ღმერთებმა და ცის მკვიდრებმა შივას აღტაცებული დაუწყეს ცქერა. შემდეგ პირქვე დაემხნენ და დიდი მონდომებით მოჰყვნენ შივას თაყვანისცემას. ამ ცეკვას თითქოსდა შივა ასრულებს სამყაროს ცენტრში, ჩიდამბარამას ოქროს დარბაზში.

შივა, როგორც უზენაესი ღმერთი, სამყაროს რიტმის მომწესრიგებელი, ყოველი პერიოდის დაწყების წინ, თავისი ცეკვით ქვეყნებს სიცოცხლეს შთაბერავს და მოძრაობაში მოჰყავს ისინი, ხოლო ნგრევის ცეკვის დასასრულს, კვლავ ანადგურებს მათ. ზოგჯერ, იგი თავის ამაღლასთან ერთად საშინელ ქალღმერთ კალისტანთან ერთად, გვამების დასაწვავ ველზე ცეკვავს. „შივაპრადომასტოტრამ”, მოთხრობილია, რომ შივა ყოველ ღამით, თავის მოჯადოებულ მეუღლეს, სამი ქვეყნის დედას, დასვამს თუ არა ოქროს ტახტზე, რომელიც მორთულია ძვირფასი ქვებით, კაილასის მთაზე ცეკვავს იწყებს, თავისი თავისა და ღმერთების გასართობად. ამ დროს სარასვატი უკრავს თარზე, ინდრა ფლეიტაზე, ბრაჰმა სამ წინწილზე ტაქსტს უკრავს, ლაქშმამი მღერის,

ვიშნუ დოღს სცემს, სხვები კი უყურებენ ზეციურ ცეკვას და უსმენენ მუსიკას, ღვთაებრივი ორკესტრის შესრულებით.

ტამილურ „ტირუვილიადალპურანაში“ ასევე მოთხრობილია შივას ღვთაებრივი ცეკვის შესახებ, მადურაის ქორწილზე, სადაც სხვებთან ერთად მან მოიწვია ბრძენი ვეფხვისფეხიანი ვიაგრპატი და გველის ტანის მქონე პატანჯალი, რომლებმაც მაგიდასთან დაჯდომაზე უარი თქვეს ვიდრე ცეკვას არ ვნახავთო. „მაშინ შივა ორი ბრძენის თანხლებით მადურაის ტაძარში გაემგზავრა. იქ მის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებული იყო ვერცხლის საცეკვაო დარბაზი, რომლის შუაში სამსხვერპლო აღმართულიყო, მორთული ძვრიფასი, მზესავით მოელვარე თვლებით, როდესაც ღმერთი ზედ ფეხს შეადგამდა, მილიონი მზე ერთად ინთებოდა. მუქლურჯყელიანი და სქელი, მუქი წითელი ფერის ხვეული თმებით, შემკული საყურეებით, წელზე შემოხვეული გველით, სამთავიანი შივა, მარჯვენა ფეხით მულაიოკის ზურგზე მდგარი, ცეკვავდა და ათივე ხელში წმინდა ჭურჭლები ეკავა“.

მოცეკვავე შივას სახემ უდიდესი გავლენა იქონია ინდოელ მხატვრებზე, რომლებიც ცდილობდნენ შეეცნოთ და გადმოეცათ ღვთაებრივი მოცეკვავის დინამიკა, მოძრაობა. ასე შეიქმნა ერთ-ერთი საუკეთესო ცნობილი ინდური ქანდაკება შივანატარაჯა (ცეკვის მეფე).

ეს ოთხხელიანი პატარა ფიგურა უკვე კარგა ხნის ცნობილი იყო ევროპაში და იგი ითვლებოდა მახინჯ გროტესკად, მაგრამ როდენმა სწორედმას უწოდა ყველაზე ისეთი სრულყოფილი ქანდაკება, რომელიც სხეულის ხორცშესხმულ მოძრაობას წარმოადგენს. ოთხი ხელის სიმბოლიკას აქვს ორნაირი გაგება: მოცეკვავებს იგი თავისებურად ესმით, ხოლო თაყვანისმცემელებს კი მისებურად, პირველები ხაზს უსვამენ საცეკვაო მოძრაობების მნიშვნელობას, მეორეთათვის კი იგი განსაკუთრებული აზრის შემცველია, როგორც საერთოდ შივას ყველა ჟესტები და პოზები. მარჯვენა ხელისგული, აწეული და ოდნავ მოხრილი, აღნიშნავს მის მიმდევართა მფარველობას, მარცხენა ხელი ტანის წინ, მიმართული მარცხნიდან მარჯვნივ მიათითებს შივას ფეხებზე, როგორც ერთ-ერთ უსაფრთხო თავშესაფარზე მორწმუნეთათვის. აწეული ფეხი მორწმუნეების კურთხევას (ლოცავს). ზედა მარჯვენა ხელში შივას უჭირავს პატარა დოლი, იგი წარმოადგენს პირველად შემოქმედებით ბერას, რომლითაც სამყარო დაიწყო, ხოლო მარცხენა ხელში ცეცხლი - სამყაროს განადგურების სიმბოლო უპყრია. ღმერთის მარცხენა ფეხის ქვეშ - დამარცხებული ჯერ კიდევ ცოცხალი დემონი - ჯუჯაა, რაც სიბოროტეზე სიკეთის გამარჯვების ზეიმს ნიშნავს. ჩვეულებრივ შივა დგას პიედესტალზე. კბილანებიან ნახევარწრის ცენტრში. კბილანები - ცეცხლის ენებია და შივას ბუნების სიმბოლოს წარმოადგენს. ჰინდუებისათვის შივას ცეკვა - ყველა მისი თვისების გამოხატულობაა: მფარველობისა, განადგურებისა, კოსმიური ილუზიის - მაიის შემქნისა და მისგან ხსნისა.

ჰინდუიზმის მითოლოგიაში დიდი ტრიადის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შივას ცოლის სახეს, რომელიც თავის მრისხანე გარეგნობა კალის, ან დურგას სახელს ატარებს, რომელიც ამარცხებს სიბოროტეს და ანადგურებს დემონებს, კიდევ უფრო მედგრად ვიდრე, თვით შივა. მისადმი მიძღვნილ მითებში უფრო მეტად დამარცხებული მტრების რიცხვი, ზოგჯერ ასტრონომიულ ციფრს აღწევს, რაც მისსავე

ძალასა და სიდიადეზე მეტყველებს. ინდოეთის ზოგიერთ რეგიონებში, განსაკუთრებით ბენგალიაში, იგი უმნიშვნელოვანესი ღვთაება ხდება და შივა მეორე პლანზე გადაჰყავს.

მთელ რიგ მითებში მოქმედ ცენტრალურ პირებად გამოყვანილი არიან მეორეხარისხოვანი ღვთაებები - სიმდიდრის ღმერთი - კუბერა, სიკვდილის ღმერთი - იამა, ქალღმერთი - გველი მანასა, თვე და სხვა ადგილობრივი ღვთაებები. მათგან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ შვილი - დედა, შვილი- ქალღმერთი, რომლებიც ადამიანებს სხვადასხვა სენით აავადებდნენ, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „შიტალა, ჩუტყვავილის ქალღმერთი“.

საკვირველია, რომ ევროპაში, მდრიდრულ ჰინდურ მითოლოგიას მცირე ყურადღება ეთმობოდა, მკვლევარები ძირითადად დაკავებული იყვნენ ფილოსოფიითა და მეტაფიზიკით, რომელთა მნიშვნელობა და გავლენა ინდოელ ხალხზე გადაჭარბებით ფასდებოდა. ამავე დროს მითოლოგია წარმოადგენს მისი სულიერი კულტურის ფუძეს. ამდირებს მას საოცრებით და პოეზიით, რაც ესოდენ აკლია ინდოელ ხალხს ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინდური მითები შესანიშნავია სიუჟეტების სიუხვითა და თემათა ორიგინალურობით, გმირთა სახეები საოცარი მრავალფეროვნებით, სიტუაციების თავისებურებების და ზოგჯერ ცოცხალი იუმორითაც. სოფლად, სადაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობაა თავმოყრილი, მითები დღესაც ტრადიციული განათლების წყაროდ რჩება. დაუჭკნობელი მითოლოგია შეიჭრა ამ ხალხის შეგნებაში და მათი კულტურული და სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ჰინდუიზმი და ფერწერა

განა კნიჟკოვა

ისევე როგორც ქრისტიანული ეკლესიის წესჩვეულება წარმოდგენილია უხატოდ, ასევე წარმოდგენილია ჰინდუიზმი ღმერთებისა და ქალღმერთების გამოსახულებათა გარეშე. ისინი იყიდება დელისა და კალკუტის (სწორი ფორმაა კალკატა მთ.შ.) ბომბეისა თუ მადრასის ქუჩებზე, ყოველ ჰინდურ ტაძართან, ყოველ ბაზარზე გამოაქვთ ასეულობით ღმერთების ქანდაკებები და ხალხი ყიდულობს მათ, უფრო სწორად აგროვებს. ამ გამოსახულებებს აქვთ ერთი დიდი უპირატესობა: ისინი იაფია - ორი ცალი ერთი ანა (დაახლოებით ერთი პაისის მეოთხედია) ე.ი. ხელმისაწვდომია უღარიბეს მორთლწმუნეთათვისაც. თქვენ მათ შეხვდებით ნებისმიერ ჰინდუს ოჯახში, ღმერთები თქვენ გიცქერენ ყოველი მხრიდან, და თან თითქო გაშინებენ კიდევ.

ზოგი მათგანი მართლაც შიშს იწვევს, ერთი სიტყვით არა მარტო მართლმორწმუნე ჰინდუებში, არამედ ყველაში ვისაც კი ოდნავ შემოქმედებითი ინტუიცა გააჩნია.

ეს ოლეოგრაფიები ყველაზე დაბალი ხარისხისაა. ისინი შელებილია მკვეთრ წითელ ფერში და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ თითქო ჰინდური პანთეონი მხოლოდ ქალებისაგან შედგება. თუ მათ შორის მამრობითი სქესის წარმომადგენელს ვხვდებით, ჩვეულებრივ იგი ვიღაც ბებერია, ან დემონი, რომელიც განრისხებული ქალღმერთების ფეხებთან სისხლისაგან იცლება, ქალები საოცრად ჰგვანან ერთიმეორეს და რაც უფრო დიდხანს ვუყურებთ მათ, მით უფრო გრძნობთ, რომ ისინი უკვე სადღაც გინახავთ. საბოლოოდ გვახსენდება ინდური ჟურნალები, გაზეთები, რეკლამები და პლაკატები, რომლებზედაც ლამაზთვალეა ქალიშვილები, მეოცნებე სახით და ტკბილი ღიმილით გთავაზობენ იყიდოთ ესა თუ ის კოსმეტიკური საშუალება. ან გეპატიჟებათ ნახოთ ახალი ინდური ფილმი.

ოლეოგრაფიის ავტორებმა ნიმუშად, რეკლამური სტილი აირჩიეს, და სრულყოფილად დაეუფლენ მას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეს „ოსტატები“ შესანიშნავად იცნობენ კლასიკურ ინდურ იკონოგრაფიას და მათი თანამედროვე „სარეკლამო“ გამოსახულებები მის ძირითად ელემენტებს შეიცავენ. თუ დაწვრილებით შევისწავლით მათ დავინახავთ მათში მრავალი ქალღმერთი მიუხედავად თავისი გარეგნობისა და პროპორციისა, განსხვავდება „სარეკლამო“ ქალების გამოსახულებებისაგან.

ამგვარი გამოსახულებების კლასიკური მაგალითს წარმოადგენს ოლეოგრაფია, რომელზედაც დახატულია ქალის სახე, რომელიც თითქოს ღრუბლებიდან იყურებაო. ქალს შუბლზე შივაიტური ნიშანი აქვს, კისერზე - შემოხვეული აქვს კობრა, მარჯვენა ხელში - სამი კბილანა უჭირავს, კანი მოლურჯო - მოიისფრო აქვს, ზემოთ დაწნული თმიდან შადრევანი ჩქევს, თმაში ჩასობილი აქვს „თვე“. სურათის ქვემოთ დევანაგარიზე აწერია წმინდა მარცვალი „ომ“. ყველა სიმბოლო საოცრად მოწმობს იმას,

რომ ჩვენს წინაშე არა ქალღმერთი, არამედ ჰინდურ ღმერთებთაგან, ერთ- ერთი უმთავრესი ღმერთი - შივა. მას თაყვანს სცემენ ბევრ ტაძრებში, და მისი ქანდაკება, თუ სურათი, ან ლინგამი ყველა საოჯახო სალოცავშია, მას მრავალი სახელი აქვს და მრავალი სახე - ავატარა, რომლებთანაც დაკავშირებულია მთელი რიგი მითებისა. როდესაც ჰინდურ სიმბოლიკაში გავერკვევით, დავრწმუნდებით, რომ ზოგორეთმა მათგანმა თავიანთი გამოხატულება ჰპოვა აღწილ სურათში. შადრევანი თავზე გვაიძულებს, გავიხსენოთ მითი შივაზე, ადამიანებისა და დედამიწის გადარჩენაზე, წმინდა მდინარე - განგა გამანადგურებელი ძალით, მისი ტანის ლურჯი ფერი კი - გვახსენებს ლეგენდას შივაზე, როდესაც იგი სვამს შხამს, რომელსაც მთელი ქვეყნის დაღუპვა შეეძლო. მრისხანე ღმერთმა, რომ მზერით დაფერფლა (დაწვა) კამა, რომელმაც შეაწუხა, როცა იგი გონებაჭკრეტას ეძლეოდა. ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს მესამე თვალი მის შუბლზე.

მეტად პოპულარული ხატი, რომელიც ზემოთაღწერილი პოლიოგრაფიის სერიაში შედის, გამოხატავს შივას, ბრჰმას და ვიშნუსთან ერთად, რაც ტრიმურტს შეადგენს (უზენაესი ღმერთების ტრიადას-სამებას) ღმერთები აქ ჰგვანან სამ თითქმის ერთნაირ ქალღმერთს. ერთ-ერთ მათგანში ძნელი არაა შივას ცნობა, ვინაიდან იგი თითქმის ზუსტი ასლია იმ ფიგურისა იმ სურათებზე, რომლებზედაც სულ ახლახანს გვექონდა საუბარი. მხატვარმა აქ მხოლოდ ქვედაწელი და ხელები დაუხატა. ერთ ხელში პატარა დოლი უჭირავს, მეორეში - წმინდა წყლით სავსე ჭურჭელი წინ გამოშვერილი მესამე ხელის გულით, იგი ისეთ პოზაში უჭირავს თითქოს გლოცავსო. მარჯვნივ ოთხსახოვანი ბრაჰმაა.

თავდაპირველად მას ხუთი სახე ჰქონდა, მაგრამ იგი უკადრისად ლაპარაკობდა შივასთან და ამ უკანასკნელმა სიბრაზისაგან თავის მესამე თვალის სიმზურველით მას მეხუთე თავი მოწვა. თუმცა ჰინდურ იკონოგრაფიის ცნობიერებაში ბრაჰმა, როგორც ღმერთი - შემოქმედი - პირველ ადგილზეა, ხოლო თანამედროვე ჰინდუიზმში იგი მეორეხარისხოვან როლს თამაშობს და მორწმუნეთა უმრავლესობა მას თაყვანს სცემს მხოლოდ, როგორც (ტრიადის) წევრს. მას გამოსახავენ ოთხხელიანს, ერთ ხელში უჭირავს ლოტოსი, მეორეში - ვედები, მესამეში - განგას წყლით სავსე ჭურჭელი, მეოთხე ხელის მდგომარეობა ლოცვა - კურთხევას გამოხატავს, როგორც დამოუკიდებელ ღვთაებას - ბრაჰმას მეტად იშვიათად სცემენ თაყვანს, წარსულშიც კი მისდამი სიყვარული, შივასა და ვიშნუსადმი სიყვარულს არ შეედრებოდა.

ჩვენს ოლეოგრაფიაში ვიშნე ძვირფასი სამკაულებით მდიდრულად მორთული, შივასა და ბრაჰმას შორის ზის. მას თქვენ გამოიცნობთ უზარმაზარი გველი ანანით, ფარშავანგის ფარფლებიანი მეფის გვირგვინითა ხოლო ხელში უჭირავს ისეთი საგნები როგორცაა - ნიჟარა, ლოტოსი, შუბი და ბადრო. ამგვარი სახით ისე დიდი ვიშნუ პოპულარობით არ სარგებლობს, როგორც შივა. იგი ბევრად უფრო დიდ მეტოქეობას უწევს შივას თავისი ყველაზე უფრო ცნობილ კრიშნასა და რამას განსხეულებებით. საერთოდ ძნელია განსაზღვრა ვინ უფრო პოპულარულია: შივას ძალიან სცემენ თაყვანს სამხრეთში, ვიშნუს ავატარებს - განსხეულებებს ჩრდილოეთ ინდოეთში. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე საყვარელია შავი ღმერთი კრიშნა, რომლის შესახებ ჩვენ კიდევ არაერთხელ გვექნება საუბარი. ჯერჯერობით კი მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მის ორ გამოსახულებაზე, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად

ვხვდებით ფერად ოლეოგრაფიაზე. პირველი - ესაა კრიშნა, ანუ პატარა ბიჭუნა - ბალაკრიშნა, მეორე - ვინუგოპოალ ახალგაზრდა მწყემსი, რომელიც ფლეიტაზე უკრავს.

ბალაკრიშნა ცვარით დაფარულ ფოთოლზე ზის და მოცურავს მარადისობის ტალღებზე. იგი რამდენადმე მოგვაგონებს რაკლამას ოვამალტინზე, მაგრამ შუბლზე ვიშნუსტური მსგავსი ნიშანი და თემებში კი ფარშევანგის ფრთა, მიუთითებს იმაზე, რომ აქ ლაპარაკია ღმერთ კრიშნაზე, რომელსაც შორიდან მისი გამზრდელი მწყემსი ნანადა უცქერის. საკრავი რომელსაც კრიშნას მარჯვენა ხელში უჭირავს - ფლეიტაა. იგი უკეთ ჩანს სხვა სურათზე, თუმცა აქ ღმერთი გაცილებით ხნიერია, მაგრამ სახე იგივე აქვს. მთვარის შუქით განათებულ ვრინდავანას თვალწარმტაც ბუნებაში იგი ფლეიტას უკრავს. გადმოცემით კრიშნა ვრინდავანაში ცხოვრობდა და მწყემსებთან საძოვრებზე და იალაღებზე ხეტიალობდა, უყვარდა მწყემსი ქალები და ზოგჯერ სასწაულებს ახდენდა. ძველ ინდურ მინიატურებზე მას ხშირად ხატავენ ძროხების ჯოგთან ერთად: ძროხები მისკენ ნესტოებდაბერილნი კუდამოძუებული გამოვლიან. ამ პასტორალურ თემაში ძროხები წარმოადგენენ სულებისსიმბოლოს ღმერთებისადმი თავდადებული იმ ადამიანებისა, რომლებიც ფლეიტის ჰანგების გაგონებაზე ღმერთებისაკენ მიილტვიან. ანალოგიური მოტივი გამოიყენა ჩვენმა მხატვარმაც: იგი ცდილობდა რა გაეძლიერებია შთაბეჭდილება, დახატა ძროხა, რომელიც კრიშნას ფეხის თითებს ულოკავს. მაგრამ ჩვენ დავუბრუნდეთ ჰინდურ ქალღმერთებს, რომელთა მრავალი ფიგურა, სინამდვილეში ქალღმერთებს გამოხატავს. მაგალითად სურათზე მას ეწოდება მაჰიმასურამარდინი, რაც ნიშნავს „ქალი რომელიც დემონ მაჰიმას კლავს“ განრისხებული დურგა საამო ღიმილით სპობს დემონებს. თვრამეტი ხელი იარაღით წარმოადგენს მისი დაუმარცხებლობის და ძლევამოსილების სიმბოლოს. სალაშქრო საქმეებში მას ეხმარება ლომი. მხატვარი შეეცადა სცენა გადმოეცა მაქსიმალური სიზუსტით, მან არ დაიშურა სისხლი, დემონებს კი მისცა საშინელი, შემზარავი სახის გამომეტყველება. კლასიკურ იკონოგრაფიიდან მხოლოდ ერთი გადახრაა დაშვებული: - მაჰიმას, კამეჩისთავიანი დემონს, სურათში ადამიანის სახე აქვს, ხოლო კამეჩს თავი იქვე ბალახში აქვს ჩარგული და ძოვს.

მორწმუნეებში ნამდვილ შიშის ზარს იწვევს ქალღმერთ კალის ხატი. კალი ისევე, როგორც დურგა, ღმერთების შივაიტურ პანთეონს განეკუთვნება. ძველთაგანვე იგი თითქმის ყველაზე მძვინვარე და ძლიერ ჰინდურ ქალღმერთად ითვლება. მორწმუნენი ახლაც მეტად მოშიში არიან მისი და თაყვანს სცემენ. მხატვარმა თავისი ამოცანა უკიდურეს ნატურალიზმში გადაწყვიტა: ძალიან დეტალურადაა შესრულებული ქალღმერთის ქვედა კაბა, რომელიც დემონებისა და მის მსგავს არსებებისაგან გამოკვეთილი ხელებისგანაა გაკეთებული, კალის ფინჯანი პირამდე სავსეა სისხლით, სისხლი ჩქეფს დამარცხებული დემონის მოკვეთილი თავიდანაც. აქვე ასახულია კალის ცნობილი გულქანდა, რომელიც საშუალო საუკუნეების კანონის თანახმად, გაკეთებული უნდა ყოფილიყო მრავალი თავის ქალაქსაგან, თუმცა აქ მხატვრის მიერ პატარა ცვლილებაა შეტანილი: თავის ქალის ნაცვლად დახატულია ლამაზად დაგრეხილი ულვაშები. მხატვრის მთელ ნაწარმოებს იშვიათ პიკანტურობას ანიჭებს. სახე შივასი, რომელიც ქალღმერთის ფეხებთან წევს, ისევე მშვიდი და წყნარია, როგორც თვით ქალღმერთი. სურათი გადმოგვცემს შედარებით გვიანდელი წარმოშობის მითს, როდესაც ფართოდ გავრცელდა ქალღმერთის კულტი, როგორც შივას და ვიშნუს ძალის (შაქტის) განსხეულება და როცა ამ ქალღმერთების გავლენა უფრო მნიშვნელოვანი

გახდა, ვიდრე თვით ღვთაებისა. განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ შივიტური კალი და დურგა. მიუხედავად იმისა, რომ მათი პოპულარობა ინდოეთის ზოგიერთ რაიონებში რამდენადმე შემცირდა, ისინი მორწმუნეთათვის მაინც საყვარელ ქალღმერთებს წარმოადგენდნენ. ჰინდუებს ყოველდღიურად მოაქვთ მათთვის მსხვერპლი (შესაწირი) მიაჩნიათ, რომ ამით თავს დააღწევენ ყოველგვარ უბედურებასა და სენს.

ქალღმერთების შივიტურ ოჯახს განეკუთვნება აგრეთვე მეტად პოპულარული განემა, სპილოსთავიანი ღმერთი, ზოგჯერ იგი გამოიხატება ჯუჯას სახით, რომელსაც მეტად მოკლე ფეხები და გამობერილი მუცელი აქვს. მას თაყვანს სცემენ როგორც სიბრძნისა და წარმატებების ღმერთს. მას მიმართავს ყველა ჰინდუ, ვიდრე ოჯახურ, ან სავაჭრო საკითხში რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდეს. განემა გარეგნობა საკმაოდ სასაცილოა და აშკარად არ პასუხობს ჩვენს წარმოადგენას სიბრძნის ღვთაებრივ განსხეულებაზე. იგი უფრო შეესატყვისება ლეგენდას იმის შესახებ, რომ განემა - ღმერთია, რომელიც უგულვებელყოფს კერძო და საზოგადო ხასიათის წინააღმდეგობებს. თუ გავიხსენებთ ვინ იყო ყოვლეთვის ღმერთი ინდოელებისათვის და რომ დღემდე მათთვის სპილო წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას და ფასდაუდებელ სამუშაო ძალას, გასაგები გახდება, თუ სპილოსთავიანი ღმერთი რატომ მოხვდა ჰინდურ პანთეონში. საუბარი მიდის აშკარად მეტად ძველ ღვთაებაზე, რომელიც ჰინდუიზმმა მემკვიდრეობით მიიღო უძველესი რელიგიური სისტემიდან და პრაქტიკული მიზეზების გამო ძალიან დიდი პოპულარობას მიაღწია. განემა, რომელიც მხატვრებმა ფერად ოლეოგრაფიაზე გამოხატა - სრულებითაც არ არის ჯუჯა. იგი უფრო მოგვაგონებს ატლეტს, რომელმაც შეჯიბრებაში გაიმარჯვა, მაგრამ მისი თავი აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ წინაშეა განემა. ამას მოწმობს ოქროს, მაღალი გვირგვინი იდა ოთხი ხელი, ერთ მათგანს უჭირავს ლოტოსი, მეორეს ნაჯახი, მესამეს - ტკბილეულობით სავსე ჭუჭყელი, მარჯვენა მუხლზე დაყრდნობილი მეოთხე ხელი კი ლოცვა-კურთხევის გამომხატველია. ტახტის ორივე მხარეზე დგანან ლამაზი ქალები - ორი ამ ხუთთაგან მისი ცოლებია (ქალების სახელებია: ბჰარკტი, შრი, ვიგჰნემვარი, ბუდჰი და კუბუდჰი), მაგრამ ძნელი დასადგენია კერძოდ რომელს გულისხმობდა მხატვარი.

პატარა თავვი, რომელიც ტკბილეულობას ეპარება ჩანაფიქრის მიხედვით უნდა იყოს ვირთხა, რადგან ტრადიციის თანახმად იგი მუდამ თან ახლავს ამ ღმერთს, ისევე როგორც ლომი თან ახლავს დურგას.

დიდხანს შეიძლება ჩამოთვლა იმ ჰინდური ღმერთებისა, რომლებიც ხატებსა თუ სურათებზე მოხვდნენ: მათ შორის ლაქშმანი ბედნიერების ქალღმერთი და ვუიშნუს ცოლი, სარასვატი სიბრძნისა და მეცნიერების ქალღმერთი, რამა და მისი ცოლი სიტა, მზის ღმერთი სურია (სური) - ერთი სიტყვით ყველა ჰინდური ღვთაება. ყოველ შემთხვევაში ჩამოთვლილი მაგალითები საკმარისია იმისათვის რომ ჩამოგვაშოროს იმ ხელოვნებას, რომელიც ცუდი გემოვნებით აღინიშნება.

თუ ინდოეთში მოხვდებით ნუ გაიკვირვებთ და ნურც შეეცდებით ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას, რომ ინდოელებს არ გააჩნიათ მხატვრული შეგრძნება. ასეთი დასკვნა ნიშნავს უარვეყოთ ქრისტიანული ხელოვნება იმის საფუძველზე, რომ ქრისტიანული ხატები დიდი რაოდენობით იყიდება საეკლესიო დღესასწაულებზე.

ცუდი გემოვნების კულტივაცია შეიმჩნევა ყველგან და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ ხალხს არ გააჩნია მშვენიერების შეგრძნება ჭეშმარიტი სილამაზის გაგწება.

იმისათვის, რომ ადამიანი ნამდვილად გაეცნოს ჰინდურ თემატიკას ფერწერაში უნდა აირჩიოს - უფრო რთული გზა - წავიდეს ინდოეთის მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში და კერძო კოლექციებში ნახოს აურაცხელი ნივთები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დღემდე უცნობია მსოფლიოსათვის. რაკი ამის საშუალება უცებ არ გაჩნდება, საჭიროა ავიღოთ რომელიმე სერიოზული წიგნი ინდოეთის შესახებ და გადავფურცლოთ თავი, რომელიც მიძღვნილია ხელოვნებისადმი და ამოვკრიფოთ იქიდან ყოველივე რაც უშუალოდ ეხება ჰინდურ მხატვრობას.

როგორ გამოიყურებოდა იგი უძველეს დროში ჩვენ არ ვიცით. რამაც მოაღწია ჩვენამდე ეს მხოლოდ ფრაგმენტებია, რომელთაც საფუძველზე დასაშვებია ვოვარაუდოთ, რომ ფერწერა (მხატვრობა) უთუოდ არსებობდა ჯერ კიდევ პროტოინდური ცივილიზაციის დროს, თუმცა ამოცანად რჩება მისი მასშტაბები, ჟანრი, თემატიკა. მის შედარებით მაღალ დონეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, იმ კერამიკული ნამსხვრევებით, რომლებიც მდიდრულად არიან მოხატულნი სხვადასხვა ცხოველებისა და მცენარეების გამსახულებებით.

განვიხილოთ პერიოდი, რომელმაც შემოგვინახა მხატვართა შემოქმედების ნიმუშები მისი პირდაპირი გაგებით. ეს პერიოდი ხასიათდებოდა მხატვრობაში ორი ძირითადი მიმართულებით: უფროსი - ფრესკებით, და უმცროსი ილუსტრირების ხელოვნებით.

ინდოელ მხატვრების ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებისა ცნობილი ფრესკები აჯანტაში, რომლებიც დაახლოებით I-IV საუკუნეებშია შესრულებული. მათი თემატიკა ნაკარნახევია არა ჰინდუიზმით, არამედ ბუდიზმით მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ავღნიშნოთ ისინი ვივინაიდან უფრო გვიანდელი ხელოვნება ჰინდურ თემებზე ერთიანი მიმართულებით ვითარდებოდა. ვისაც კი საშუალება ჰქონია ახლოს გაცნობოდა ინდური შემოქმედებითი გენიის გამოვლინებას, ყველა აღტაცებაში მოსულა, ვინაიდან მათ წინასე იყო ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევიან შესრულების ტექნიკით, დახვეწილი, ჩამოყალიბებული სტილით, ფერთა გასაოცარი სიმდიდრით. ამ ხელოვნებასთან შეხვედრა მოულოდნელია, სწორედ იმიტომ, რომ ამ ხელოვნების განვითარების წინმავალ ეტაპზე არავითარი მონაცემები არ მოიპოვება. თუმცა, ზოგიერთ მონაცემებს შეიცავს ადრინდელი ბუდისტური ლიტერატურა, ისინი მოწმობენ მასზე თუ რა ფართო გავრცელება ჰქონდა კედელზე მოხატულობამ, მეფისა და დიდებულთა სასახლეებში. მოგვიანებით ჯაინტურმა ტექსტებმა გადმოგვცეს ამ ფერწერის ტექნიკა და საღებავების შეჩვევის საშუალებები ფრესკების შექმნისას.

ნამდვილი ფერწერა ჰინდურ თემებზე შეიქმნა VI საუკუნის მეორე ნახევარში. მისი წარმოშობა გამოწვეული იყო თანდათანობითი განდევნით ბუდიზმისა, რომელიც იმ დრომდე ყველაზე გავრცელებულ ინდურ რელიგიას წარმოადგენდა და ფართო გავრცელებით ჰინდუიზმისა, რომელიც უკვე გაბატონებულ კლასთა სარწმუნოებას წარმოადგენდა.

თუმცა, ასეთი ძეგლები ცოტაა და ამავედროს ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. ისინი რომლებიც ჰინდურ ძეგლებში შემორჩნენ გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან სხვადასხვა სტილსა და პერიოდზე. მათი შედარებისას შეინიშნება გავლენა და ურთიერთ კავშირი, მაგრამ განვითარების ერთიანი ხაზის დანახვა ერთობ ძნელია. მოხატულობა შემორჩა ძირითადად ცენტრალურისა და სამხრეთ ინდოეთში. ფრაგმენტები ოდესღაც ლამაზი ჰინდური ფრესკისა, რომელზედაც ასახულია შივა და პარვატი ჰინდუიზმის გულმოდგინე მიმდევრების ჰინდური დინასტიის ჩალუკიების დედაქალაქ ბადამში.

ფერწერის ცალკეული ძეგლები მოიპოვება ელორის გამოქვაბულ ტაძრებში კერძოდ კაილასანათჰის ტაძარში, რომლის ჭერისა და დასავლეთის შესასვლელის მოხატულობა განეკუთვნება ინდური შუასაუკუნეების VIII ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებს - ეს ჯგუფური სცენა, რომლის ცენტრშია ლაქში და ვიშნუ შესრულებულია უბრალო და მკაცრ სტილში. სამაგიეროდ ფრესკა, რომელზედაც გამოსახულია შივანატარაჯა, მეტად დეკორატიულია: ის აქ შემკულია მდიდრული სამკაულებით - მარგალიტებთა და ძვირფასი თვლებით, ყვავილწნულებით, გულქანდებითა და ა.შ. ეჭვი არაა, რომ ეს ხელოვნების ნიმუში უფრო გვიანდელი (XII ს.) წარმოშობისაა.

ფრესკები, რომლითაც მოხატულია ტაძრები ტრივანდრუმში (VIII ს.), ტანჯავურსა (XI-XVII ს.) და სამხრეთ ინდოეთის სამეფოს - ვიჯაინაგარში, ძირითადად შივაიტური შინაარსისაა. XV საუკუნეში, ეს ტრადიცია შეწყდა, ინდოეთში მუსლიმანთა შემოჭრის შედეგად და მხოლოდ ქვეყნის უკიდურეს სამხრეთში ტირუვიდანგარსა და კოჩინში VIII საუკუნემდე შენარჩუნდა (ეგრეთწოდებული ტამილური სტილის სახით).

ინდურ კედლებზე მხატვრობის შესახებ საჭიროა ლაპარაკი მასთან დაკავშირებითაც, რომ ამ ტრადიციას ემყარებოდა ინდური მხატვრების მეორე შტო.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეებში, მის შესახებ ცოტა რამ იცოდნენ ევროპაში. ცნობილი იყო მხოლოდ მოჰოლური მინიატურა, რომელიც გაჩნდა აკბარის მეფობის დროს, სპარსული ფერწერის მიბაძვით. მეოცე საუკუნეში, ინდური სკოლების უფრო დაწვრილებითი შესწავლა დაიწყო, განსაკუთრებით რაჯპუტურისა, როცა სპარსული გავლენის მასშტაბები ჭარბობდნენ. ამას მოწმობს მოფოლური მხატვრობის განვითარებაც, რომლის შექმნილნი იყვნენ არა მარტო სპარსელი ოსტატები, არამედ ადგილობრივი მხატვრებიც, განსაკუთრებით ჰინდუები. ისინი მოჰოლთა კარზე მოდიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან - გუჯარატიიდან, ლაჰორიდან და კაშმირიდან - და აკბარის სკოლის წმინდა სპარსულ კონცეფციაში, იმთავითვე შეიტანეს ტრადიციული ინდური სტილის ელემენტები.

ინდური სახვითი ხელოვნების ცოცხალი ტრადიციის რეალობაზე მეტყველებენ აგრეთვე ჩვენამდე შემოჩენილი XI-XVI საუკუნის ბუდისტური (ბუდური) და ჯაინური ილუსტრაციები.

ფერწერის ბუდისტური სკოლა აყვავებას განიცდიდა ინდოეთის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, დღევანდელი ბენგალის, ბიჰარისა და ნეპალის ტერიტორიაზე. ოსტატთა ნამუშევრები, როგორც სტილით ასევე ტექნიკითაც, აჯანტის

ფრესკებს მოგვაგონებენ. ჟაინური, ან დასავლური სკოლა წარმოიშვა გუჯარატსა და მის მომიჯნავე რაიონებში. მაშინ, როცა აღმოსავლური ბუდისტური სტილი გაქრა ინდოეთში. მუსლიმანების შეჭრის შედეგად იგი ვითარდებოდა, ქვეყნის ტერიტორიის გარეთ, ნეპალსა და ტიბეტში. ჯაინური ნიმუშები, პირველი რაჯპუტელი მხატვრებისათვის, ერთ-ერთ შთაგონებად იქცა, რაზედაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ უძველესი მევარული მინიატურების მიხედვით.

ამგვარად, ვუახლოვდებით ინდური ფერწერის იმ პერიოდს, რომელსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ქონდა ხელოვნებაში ჰინდუიზმის იდეების განხორციელებისათვის. ეს პერიოდი დაახლოებით მოიცავს 250 წელიწადს XVI საუკუნიდან XIX საუკუნის ნახევრამდე. მას მიეკუთვნებიან ეგრეთწოდებული რაჯპუტელი მინიატურები, რომლებიც შეიქმნა რაჯპუტელი მმართველების კარზე. რაჯპუტელებმა XVII საუკუნის დასაწყისში დაიპყრეს ინდოეთის დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ჰიმალაის ჩათვლით და მოპოვების შემდეგ უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალას წარმოადგენდნენ. ისინი მგზნებარე ჰინდუები იყვნენ და მფარველობდნენ ფერწერის ხელოვნების განვითარებას. დროც ამას ხელს უწყობდა: იგი ხასიათდებოდა ბრაჰმანული რიტუალების შესუსტებითა და ცხოვრების გრძნობითი მხარეების გაძლიერებით. ღმერთისადმი (ბჰაქტი) სიყვარული და ერთგულება თანდათან ხდებოდა რწმენის ძირითად გამოვლინებად და ყველაზე გავრცელებულ მოტივად ახალი დროის იმ ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ლირიული სიმღერებისა, რომლებიც ეძღვნებოდა კრიშნასა და მის სატრფოს რადჰას. ამ ნაწარმოებებს ხშირად ძალიან ცოტა რამ ქონდათ საერთო რელიგიურ თემატიკასთან, მათში უბრალოდ მამაკაცისა და ქალის სიყვარულზე იყო ლაპარაკი:

ისევ მოვიდა გაზაფხული - დრო მხიარული
მიტოვებულ ქალს კიდევ უფრო აწვალეხს ვნება,
ყმაწვილი ჰარი, უდარდელად, ლაღად ერთობა,
გარშემორტყმული მოცეკვავე ლამაზმანებით.
რა საამოა სიყმაწვილის ეს გაზაფხული
როცა ტრფიალი ყველას გულში ხარობს ინთება და მას უმღერის აღტაცებით
ჯაიადევაც,
და ის ადიდებს, მწყობრი ლექსით მშვენიერ ჰარის.

(ნ.კ.)

ასე ჟღერენ ლექსები ჯაიადევას პოემიდან - „გიტაგოვინდა“ და ამ პოემის მსგავსი ლირიკა გვხდება სხვა პოეტთა შემოქმედებაშიც. მათი სიტყვიერი სილამაზე უფრო მომგებიანი ხდება მევარული, ბოსალელი, ჯაიაპურელი, კანგრული, კამანაგარელი და სხვა მინიატურების ილუსტრაციების ფონზე. ძნელია უპირატესობა მისცე, რომელიმე ერთ სტილს, ყველა დამოკიდებულია მათი მნახველის ინდივიდუალურ გემოვნებაზე.

მევარული სტილი, თავისი სკოლის არსებობის საწყის პერიოდში, გვაოცებს ფერადოვნებით და ნახატის პრიმიტიულობით, ხოლო მხატვრული გამოხატულების კეთილშობილებით და ტონთა თავდაჭერილობით, გვიანდელ პერიოდში.

ბოსალური მინიატურების მხატვრული ძალა, სურათის კომპოზიციის უპირატესობასა

და ფერთა ჰარმონიაშია. მათში ყველაფერი ემორჩილება ძირითად თემას - კრიშნასა და რადჰას სიყვარულს. სურათების ფონს წარმოადგენს ერთფეროვანი კედელი, ან გემოვნებით სტილიზირებული ხეების მწკრივი, ან კიდევ აყვავებული ტოტი, საპირისპირო კანგრული სტილი, რომელიც გამოირჩევა მდიდრული ნათელი ფერებით. კრიშნასა და რადჰას მოტივი და ბუნების ასახვა, აქ ერთმეორეს ამდიდრებს და წარმოადგენს ერთ ლირიულ მთლიანს, რომელიც შეიცავს სიყვარულის ყველა სიმბოლოს - ხესა და აყვავებულ ბუჩქნარს, ვარდისფერ ლოტოსებს, ფრინველებს, ფარშევანგებსა და ჭექა-ქუხილის მომასწავებელ პირქუმ ღრუბლებს.

ეროტიკული თემების გარდა, რაჯპუტის სკოლის ნაწარმოებებში, მეორდება მითოლოგიური სიუჟეტებიც. მათ საფუძველს წარმოადგენს მისი „მაჰაბჰარატას“ მეცხრე თავიდან - კრიშნას ჯადოქრული ამბავი მისი მამაცობის შესახებ, რომლებმაც მოაღწიეს ჩვენმდე, როგორც სანსკრიტულ ორიგინალში ასევე, თარგმანების სახით თანამედროვე ინდურ ენებზე. ეს ლეგენდები, რომლებიც თავისი შინაარსით მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, მხატვრებისთვის შთაგონების დიდ წყაროს წარმოადგენენ.

კრიშნა ცნობილი იყო, არა მარტო თავის სატრფიალო თავგადასავლებით მათჰურელ მწყემს ქალებთან, არამედ იმითაც, რომ იგი ახდენდა სასწაულებს, იცავდა მწყემსებს ბუნების ვერაგი ძალებისაგან და ზოგიერთ ბოროტ და მრისხანე ღმერთებისგანაც. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითი, მოგვითხრობს მის მიერ ინდრას დამარცხებაზე.

ერთხელ, როდესაც კრიშნა ვრინდავანში მისეირნობდა დაინახა, რომ მწყემსები ინდრას ეთაყვანებოდნენ, იგი განარისხდა, ვინაიდან ეს ღმერთი სძულდა და მისი მორჩილება სურდა. ამიტომაც ის შეეცადა მწყემსების დარწმუნებას, რომ მათ ლოცვით მიემართათ გავარდჰანის მთისათვის. მწყემსები დათანხმდნენ კრიშნას, რამაც ძალიან გააბრაზა ინდრა. მან ბრაჯს შინელი წვიმა და ჭექა-ქუხილი გაუგზავნა, რათა იქ ყველა გაენადგურებია, მაგრამ აქვე გაჩნდა კრიშნა და ნეკით გავარდჰანის მთა ცაში აზიდა, მისგან უზარმაზარი ქოლგა გააკეთა და ამით ბრაჯში მცხოვრები ყველა მწყემსის ოჯახი და საქონელი გადაარჩინა. ინდრა იძულებული შეიქნა კრიშნას ძალაუფლება ეღიარებინა. მით კრიშნას ადიდებს როგორც ჰინდური ბჰაქტის უზენაეს ღმერთს და მიკერძოებით (წინზრახვით) აცხადებს „ვინც ინდრას მსგავს ძველ ღმერთს თაყვანს სცემს, მის ლოცვას არავინ გაიგონებს, ხოლო ვინც კრიშნას აირჩევს სათაყვანებლად, იგი საიმედო ხელებში მოხვდება“.

ამ მითის ილუსტრაციების მრავალრიცხოვან ვარიანტიდან ჩვენ ავირჩიეთ მევარული სკოლის ნამუშევარი. სტილის დახვეწილობა მიუთითებს საკმაოდ ძველ პერიოდზე, როდესაც მხატვრები მოჰოლთა სკოლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ უწოდებენ გჰრედარ ჯამას. ამ წოდებას ატარებდნენ უმაღლესი სკოლის წარმომადგენლები და მათი მიზამვით რაჯპუტელი სწავლულებიც.

ინდოელი მხატვრები ჰინდური პანთეონის სხვა ღმერთებსაც ხატავენ, მაგრამ ისე ხშირად არა, როგორც კრიშნას. შესაძლოა ზოგიერთ რაიონში მხოლოდ რამა თავის ცოლით სიტათი და მაიმუნი ჰანუმანით, ასეთივე პოპულარობით სარგებლობდნენ. ამას მოწმობს ილუსტრაციები ჰეროიკული პოემისა „რამაიანასი“, რომელიც

დაახლოებით ამავე პერიოდში შეიქმნა.

შივას სახეებს და შივიატურ ქალღმერთებს, რომლებიც შემორჩნენ იმ პერიოდის ნაწარმოებებში, ჩვენ ვხვდებით გაცილებით იშვიათად. ფართოდაა ცნობილი სურათები კანგრიდან. კომპოზიციურად ისინი გვაგონებენ ქრისტიანულ წმინდან ოჯახს და შემთხვევითი არაა ის, რომ ინდოეთში ქრისტიანული წმინდანისა და წმინდან ოჯახის გამოსახულებებს იცნობდნენ, ჯერ კიდევ მეფე აკბარის დროს. ისინი აქ ჩამოტანილი იქნენ იეზუიტების მიერ, რომლებიც ძალიან მოეწონათ ინდოელებს. ისტორიული მონაცემები გვამღებენ საბაბს ვამტკიცოთ, რომ ეს გამოსახულებები ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა იმისას, რათა ინდოელებს ქრისტიანული რელიგიისათვის ყურადღება მექციათ.

კანგრულ სურათზე წარმოდგენილია მთელი ოჯახი და ცხოველები, რომლებიც მის ცალკეულ წევრებთან არიან დაკავშირებული - შივა თავისი შვილით განემთ დაჩოქილია, მისი ცოლი - უმა ძუძუს აწოვებს მეორე ვაჟიშვილს კარტიკეას, იქვეა ნანდი, შივას ხარი, უმას ლომი, განემის ვირთხა და კარტიკეას ფარშავანგი. ეს მინიატურა საყურადღებოა მხოლოდ მისი მსგავსებით ქრისტიანულ სიუჟეტთან, საერთოდ კი, იგი არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული ღირსებებით და მისი შექმნა ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც კანგრული სკოლის ხელოვნება სულ უფრო და უფრო შაბლონური ხდებოდა.

სულ სხვა მანერითაა შესრულებული XVII-XIX საუკუნის ურისული სკოლის მინიატურები. რამდენად ძველია ეს ტრადიცია არ ვიცით. მაგრამ მისი მაღალხარისხოვანი, დეკორატიული სტილი მოგვაგონებს XIII საუკუნის ქანდაკებებს, რომლებიც შემორჩნენ კონარაკში. სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ საილუსტრაციო ხელოვნების ურისული ტრადიცია იწყება შუა საუკუნეებში. ურისული სკოლის ზოგიერთ ნაწარმოებში შეინიშნება კავშირი სამხრეთ-ინდოეთის ფრესკებთან, მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ნაწარმოებებიდან, ყველაზე ძველი დათარიღებულია XVII საუკუნით და ძირითადად მიძღვნილია კრიშნასადმი. კრიშნა და რადჰა ერთმანეთს ეტრფიან. კრიშნა განშორებისას მწყემს ქალებში ერთობა, კრიშნა ცეკვავს, კრიშნა დახუჭობანას თამაშობს, და ყველა ეს თემები რაჯპუტის სკოლის ნაწარმოებებში უსასრულობამდე გრძელდება. ამ თვალსაზრისით ურისულ სკოლას ახალი არაფერი მოუტანია, მაგრამ იგი მტად მნიშვნელოვანია და საინტერესო სხვა თვალსაზრისითაც. ურისული სკოლა ახდენს, ინდური სახვითი ხელოვნების ტრადიციის უწყვეტი განვითარების დემონსტრირებას, XVI საუკუნიდან მოყოლებული დღემდე. ურისული სკოლის თანამედროვე ხალხურ სტილსა და ფერთა შეხამებას მივყავართ მის კლასიკურ მინიატურების საწყისებთან. აქ, აგრეთვე ცენტრალური მოტივი გადმოცემულია ერთფეროვან ფონზე, მაგრამ გამოსახულება ნაკლებ დეკორატიულია და ნახატი ნაკლებად სრულყოფილი. ეს ნაკლოვანებები ივსება ფერთა სინარჩართა, კონსტრაქტულობით და მკვეთრად გამოხატული სტილიზაციით, რითაც ურისულ ოსტატთა ნაწარმოებები ითვლება ინდური ხალხური ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

დავხედოთ კიდევ ერთ სურათს, რომელიც გადმოსცემს ლეგენდას კრიშნას შესახებ. ეს მომხიბვლელი ღმერთი მასზე გამოხატულია, როგორც ოინბაზი და ურცხვი, რომელმაც

მწყემს ქალებს ტანსაცმელი მოჰარა, როდესაც ისინი მდინარე ჟამნაში (იამუნაში) ბანაობდნენ. კრიშნამ ტანსაცმელი კადამბას ხის ქვეშ დამალა. მართალია, ერთი შეხედვით, სცენა მეტად ქარაფშუტული შინაარსისაა, მაგრამ მაინც ზნეობრივი აზრის შემცვლია - თვით კრიშნა კი, აქ მორალისტის როლში გვევლინება. ლეგენდის თანახმად წყალში ცხოვრობს ღმერთი ვარუნა, რომელიც შიშველ მობანავე ქალიშვილებს ქალწულობას ართმევს, ამიტომაც საღვთო წიგნები კრძალავენ უტანსაცმლოდ ბანაობას.

ურისულ სკოლაში გამოყენებულია სხვა მეტად პოპულარული მოტივიც, რომელიც ამ სკოლის დამახასიათებელ თვისებად იქცა ჯაგანათჰის სახე - ვიშნუს იპოსტასი. მისი ყველაზე სათაყვანებელი გამოსახულების ნახვა შეიძლება პურიში, ჯაგანათჰის ტაძარში. ეს გახლავთ ხის კუნძი, რომელზედაც უხეშად ამოჭრილია სახე დიდრონი მრგვალი თვალებით, კუნძის დანარჩენი ნაწილი ნათელი საღებავებითაა მოხატული. ურისულ ხალხურ სურათებზე დიდი მოთხოვნილებაა ორთოდოქსალურ ჰინდუებისა და ხელოვნების მოყვარულთა მხრიდან. ხელოვნების ეს ნაწარმოებები მეტად მიმზიდველია თავისი კოლორიტით და გარდა რელიგიური სიუჟეტისა, ყოველი მათგანშია საერთო სიუჟეტიც, რომელიც აგრეთვე ეხება ანომალურ მოტივებსაც.

არა მარტო ურისას, არამედ დასავლეთ ბენგალიასაც (ბენგალია) შეიძლება ეწოდოს ხალხური სახვითი ხელოვნების საგანძური, რომელიც აღმოჩენილი იქნა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ცნობილი ბენგალიელი კოლექციონერის აჯიტა გჰოშის მიერ. მან აღმოაჩინა, რომ დასავლეთ ბენგალიის თითქმის ყველა რაიონში არსებობენ კოლონიები, სოფლის მხატვრებისა, რომლებიც ხატავენ თიხის ჭურჭლებზე, ქმნიან რელიგიურ და საერო შინაარსის სურათებს და ყიდიან მათ დღესასწაულებზე, მომლოცვაობაზე და რელიგიურ ცერემონიალებზე.

ბენგალიური ხელოვნების ყველაზე საინტერესო და ნათელ მოვლენად ითვლება კალიჰადური მხატვრობა. მისი შემომქმედნი ხალხური მხატვრები, რომლებიც ცხოვრობდნენ ცნობილი კალის ტაძარში (კალკატაში) კალკუტაში, სადაც ამ სკოლის სახლწოდებაც წარმოდგება. მათ მიერ შექმნილი სურათები ასახავდნენ სცენებს რელიგიური და საერო ცხოვრებიდან, მაგრამ მათთვის მთავარ სახედ მაინც ქალღმერთი კალი რჩებოდა. კალიჰადელები შთამომავლობითი მხატვრები იყვნენ, ე.ი. ითავიანთ ხელოვნებას მემკვიდრეობით გადასცემდნენ ბაბუა მამას გადასცემდა, მამა კი შვილს და ა.შ. ყოველი ოჯახი უფროთხილდებოდა ხელოვნების ამ ძველებურ ნიმუშებს, რომლებშიც იგი შთაგონების წყაროს მიბადვის მაგალითს ხედავდა. სურათები მაქსიმალურად მიმზიდველი და მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო: ამაზე იყო დამოკიდებული მხატვრის გასამრჯელო და შესაბამისად, მისი ოჯახის ლუკმაპურიც. ამავე დროს სურათი ძალიან იაფი ღირდა - თითო ორი ანა, (ერთი ანა დაახლოებით 25 პაისაა ე.ი. მეოთხედი ინდური ფულის - რუპიისა მთ.შ. ნ.კ.). ამიტომ მას მრავალი სურათის ხატვა უწევდა. ამ ეკონომიკურმა ფაქტორმა კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფერწერის კალიჰადური სტილის შექმნაში, სურათების საკმარისი რაოდენობის მისაღწევად მხატვარი ვალდებული იყო არა მარტო ოსტატურად დაუფლებულიყო ფუნჯს, არამედ ეხტა მხოლოდ ყველაზე აუცილებელი. მას მთელი ყურადღება უნდა დაეთმო სურათის ძირითადი თემისათვის და უყურადღებოდ დაეტოვებინა მეორეხარისხოვანი ან დეკორატიული დეტალები ან კიდევ წვრილმანები. ამგვარად წამოიშვა შესრულების სრულიად განსაკუთრებული მანერა, რომელიც

გამოირჩეოდა იმვითად უბრალო ტექნიკით. მიუხედავად ამისა, სურათები ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ფიგურა სუფთა ქალაქში ან პატარა ფიცარზე ისეთი სიზუსტითაა შესრულებული, რომ მნახველმა მაშინვე იცნოს რა არის სურათზე გამოსახული. სურათში მეორე პლანს მეტად იმვითად ვხვდებით. ჰინდური ღვთაებები აღჭურვილნი არიან საჭირო ატრიბუტებით, მორთულობით და სიმბოლოებით, რომელთა გარეშე მათი წარმოდგენა შეუძლებელია. ჩვეულებისამებრ, გამოტოვებული არარსებული წვრილმანები, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნიათ პერსონაჟის დახასიათებისათვის. ფერადი სურათები იხატება ფუნჯით, ყოველგვარი წინასწარი ჩანახატების გრეშე. პლასტიურობა მიღწეულია ფერების დადებით სველ გრუნტზე. როცა საღებავები შრება, მხატვარი ასრულებს სურათს - ხატავს თვალებს, ცხვირს, ტუჩებს, წარბებს, უხატავს ხელებსა და ფეხებს, გამოკვეთს თმის ვარცხნილობას, წვრილ სამკაულებს და ა.შ. საღებავები ცინცხალა ფერები სურათს დიდხანს უნარჩუნებს სიახლეს.

ღვთაება კალიზე უკვე ვისაუბრეთ, როდესაც ლაპარაკი იყო ოლეოგრაფიაზე და ამიტომ აქ მასზე აღარ შევჩერდებით. ხაზი გვინდოდა გავუსვათ იმ მდიდრულ ფანტაზიას კალიზადელი მხატვრებისა, რომლებმაც შეძლეს შეექმნათ ჭეშმარიტად ორიგინალური ნაწარმოებები. მთელ თავის ყურადღების კონცენტრირებას მხატვარი ახდენს სახეზე, დიდრონ მრგვალ თვალებზე, დაკრეჭილ კბილებზე და ქალღმერთის გამოყოფილ ენაზე, სხვა დანარჩენი მხოლოდ უბრალოდ აღნიშნულია. ეფექტს აძლიერებს ისეთი კონტრასტული ფერების გამოყენებაც, როგორცაა შავი, წითელი და ყვითელი.

მეორე სურათზე გამოსახულია ნარასინჰა, ლომისთავიანი ღმერთი, სახე, რომელიც მიიღო ვიშნუმ, რათა დაესაჯა დემონების მეფე ჰირანიაკაშიპუ. ვიშნუს ეს სახე მეტად ძველია, იგი გვხვდება გუპტას IV-VII დროინდელ მონეტებზე და დღემდე - ინდურ იკონოგრაფიაში. აღნიშნულ რეპროდუქციაზე ძლევამოსილი ღმერთი ნაკუწებად აქცევს დამარცხებულ დემონს. სურათი გამოირჩევა უბრალოებითა და ფერადოვნებით, რაც დამახასიათებელია კალიზადური სტილის ნაწარმოებისათვის. ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ ეს ხელოვნება დავიწყებას ეძლევა. იგი გამოდევნილი იქნა ოლეოგრაფიის მიერ, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება, და თუ კიდევ ხანდახან გამოჩნდება ხოლმე კალიზადური სკოლის ფერწერულ ნაწარმოებები, მათი მხატვრული დონე საკმაოდ დაბალია - ოლეოგრაფიასთან მეტოქეობის შედეგად, მათი უბრალოება უკვე დაშვებულ ზღვრებს ცილდება. ხალხური შემოქმედების ამგვარ ძვირფას ნიმუშებს შეგიძლია გაეცნოთ ინდოეთის მხოლოდ რამდენიმე მუზეუმში, პირველ რიგში ქ. კულკუტაში (კალკატა), აშუტომის მუზეუმში, ან კიდევ კერძო კოლექციებში. მათი გამოფენა წარმოებს ხოლმე ევროპის მუზეუმებშიც, მაგალითად ჩეხოსლოვაკიაში, პრადის ნაპრასტკოვის მუზეუმში. აქ არის გამოფენილი 26 ექსპონატი წმინდა ჰინდურ თემაზე. ეს ექსპონატები მე-19 საუკუნით თარიღდება.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ინდური ხალხური მხატვრობის კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში ბენგალურ პატაკი, რომლის სახელწოდების მიხედვით მათ შემოქმედებას ეწოდებათ პატუი. პაკი ესაა ჯაგრისის ქსოვილის ზოლები, რომელის სიგრძეც ხშირად რამდენიმე მეტრსაა, რომლებსაც იყენებენ პროფესიონალური ხალხური მომღერლები და მთქმელები. ისინი შეიძლება შევადაროთ უხეირო სურათებს, რომლებსაც თან ახლავს ბაზრული სიმღერების შესრულება. მსგავსად

მოხეტიალე ვაჭრებისა, რომლებიც ოდესღაც სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ, ხალხის წიაღიდან გამოსული გამოსული ბენგალელი მხატვრებიც ხეტიალობენ სოფლებში, ყვებიან და მღერაინ ლეგენდებს ღმერთების შესახებ და ინდოელ გმირებზე. სურათები რულონებადაა დახვეული, თხრობის პროცესში, მათ შლიან ისე, რომ გამოსახულება ლეგენდის ეპიზოდს შეესაბამებოდეს და ავსებდეს მის შინაარსს. პატი ოჯახის საკუთრებაა, რომლებსაც თითონ ოჯახში აკეთებენ. ეს ხელოვნება ისევე ძველია, როგორც ხალხური ზღვაპრები, ისინი ნახსენებია კლასიკურ სანკრიტულ ლიტერატურებშიც. ქებით იხსენიებს მას ინდური გრამატიკის ავტორი პატანჯალიც მე-11 საუკუნეებში ჩვენს ერამდე.

პოეტების ტექნიკა საშუალებას იძლევა გამოხატოს ინდური ლეგენდებისა და თქმულებების ეპიკურობა და დრამატიზმი. ავიღოთ, თუნდაც საკმაოდ ძველის ნაწარმოების პატი, რომელშიც ამეტყველებულია ლეგენდა კრიშნას გველ კალიაზე გამარჯვების შესახებ. აი ლეგენდის მოკლე შინაარსიც:

„მდინარე ჯამნას (იამუნას) მორევში ცხოვრობდა შავი გველი კალია და თავისი სუნთქვით მოწამლა ირგვლივ ყველაფერი, რის გამოც ცოცხალი არსებები ამოწყდნენ. ერთხელ მდინარეში მოხვდა ნახირი, რომელსაც კრიშნა მწყემსობდა, ვრინდავანელ მწყემსებთან ერთად. წყდებოდა საქონელი, და იხოცებოდნენ მწყემსებიც. მაშინ კრიშნა მორევში ჩახტა და გველის თავზე სწრაფად დაიწყო ცეკვა. გველი მიხვდა, რას ნიშნავდა ღმერთთან საქმის დაჭერა, და პატიება სთხოვა კრიშნას. მის ვედრებას შეუერთდნენ კალიას ცოლებიც და სიტყვა მისცეს კრიშნას, რომ შორს - ზღვაში გადასახლდებოდნენ. ამგვარად, კრიშნამ გადაარჩინა თავისი მეგობრები და მთელი მათი მხარე.“ მითის თანახმად, კალია განსხეულებაა სიბოროტისა, ღმერთის ცეკვა ნიშნავს ბრძოლას სიბოროტესთან, სიბოროტის დამარცხებას და სიკეთის გამარჯვებას.

ინდურ მხატვრობასთან სრული გაცნობისათვის საჭიროა გარკვეული ყურადღება დაუთმოთ მისი განვითარების თანამედროვე პერიოდს. მე-20 საუკუნეშიც ინდოელ ოსტატებს შთაგონებას აძლევს ჰინდუიზმი, რაც დღევანდელი ინდოეთის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. თუ ნახავთ რაბანინდრანათჰ თაგორის, ძმების უკილისა და ნანდალალა ბოსეს ნახატებს, რომლებიც ახალი ბენგალური სკოლის, ანუ „თანამედროვე ხელოვნების“ წარმომადგენლები არიან, თქვენ მათში კვლავ შეხვდებით კრიშნასა და რაიჰუს, შივას, უმას და სხვა მითოლოგიურ პერსონაჟებსა და სიუჟეტებს. ჰინდუიზმი ამ მხატვართა შემოქმედების ორგანულ ნაწილს შეადგენს, თუმცა „თანამედროვე სკოლის“ ოსტატთა ნამუშევრებში ჰინდური მოტივები არც თუ ისე ხშირია, როგორც ახალ ბენგალელ მხატვართა ნაწარმოებებში, რაც დაკავშირებულია მათი წარმოშობის პირობებთან.

ახალი ბენგალური სკოლა არსებობს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. მისი ფუძემდებელია რაბანინდრანათჰ თაგორი. ამ სკოლის მიმდევრებმა გაილაშქრეს უგემოვნო კოპირების ტექნიკისა და დასავლეთ ევროპული ფერწერის სტილის წინააღმდეგ. იბრძოდნენ კერძოდ ინდური სკოლის შექმნისათვის, მიეზი იყო მეტად ძნელი, ვინაიდან კლასიკოსები თანდათან გაქრნენ - თუმცა, ინერციით, აქა- იქ კიდევ შემორჩნენ ქვეყნის ჩრდილოეთით - კანკარასა და მის მიდამოებში, მაგრამ კანგარულ ნაწარმოებებს ძნელად შეიძლება ეწოდოს ფერწერული ქმნილება.

ახალბენგალური სკოლის მხატვრობის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდნენ აჯენტის ფრესკები და მოჰოლური ფერწერა (მხატვრობა) სადაც პატრიოტულ იდეებს უნდა შეხამებოდა სხვა სიუჟეტებიც. ამ სიუჟეტებს კი მხატვრები პოულობდნენ ისტორიისა და ჰინდურ მითოლოგიაში და თავის შემოქმედების თემად აქცევდნენ. ასე გაჩნდა უკილას სურათი: „გონებამჭვრეტი შივა“, შივას ცოლის - უმას პორტრეტი შესრულებულია თავორის მიერ, ნ.ბოსეს „შივა სვამს საწამლავს“ და მრავალი სხვა ნაწარმოები. წერის მანერით ეს ნამუშევრები გვაგონებდნენ კლასიკური ინდური ფერწერის ამა თუ იმ ნაწარმოებებს, მაგრამ ხელოვნური აღორძინება, სტილის კოპირება, რომელიც ეკუთვნოდა სრულიად სხვა ისტორიულ ეპოქებს არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოსადეგი ახალი ხელოვნების შესაქმნელად, რადგან შეეხამებოდა თანამედროვეობის მოთხოვნილებებს. ინდური ხელოვნების სახელგანთქმული მცოდნე ანანდაკუმარა სვამი წერდა: „თუმცა ახალბენგალური სკოლის მნიშვნელობა სწორედ მისი „ინდური“ ხასიათით განისაზღვრება, მაგრამ იგი არაა თავისუფალი ევროპული და იაპონური გავლენისაგან“. მან გაკიცხა ამ სკოლის სენტიმენტალური სული და გააკრიტიკა მისი წარმომადგენლები, რომ ისინი არა საკმარისად ფლობენ ხატვის ტექნიკასა და ფერებს.

„თანამედროვე“ ჯგუფის მხატვრები თავიანთ შემოქმედებას უდგებოდნენ სხვა პოზიციებიდან, უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავდნენ ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოების დონემდე აეყვანათ თავიანთი შემოქმედება. მათი ფერწერის ძლიერი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ მათ შეძლეს გამოემუშვებინათ თავიანთი საკუთარი სტილი, და მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ისწრაფვოდნენ სტილის თვალსაზრისით შეექმნათ წმინდა ინდური ნაწარმოებები, მათი სურათები ინდურია. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათ შექმნელებზე გავლენას ახდენდა გარემოება, რომელშიც ისინი იყვნენ, იზრდებოდნენ და მუშაობდნენ. უკვე ცნობილ მხატვართაგან დავასახელებთ ზოგიერთებს: ამრიტა შერგილი, ჯამინი რაი, გ. კეტი, მ. ფ.ჰუსეინი, ნ.ს. ბენდრე, კ.ნ. ჰეკარი, კ.ლ. კულკარნი, დ.ჯ. ჯომი, ს.ბ. პალისკარი, ლაქშმანპაი, ბანდრინარაიანი. ამადა სხვა მხატვრებმაც, რომლებიც აქ არ დაგვისახელებია, მე-20 საუკუნის ინდოეთი აღმოაჩინეს, გადმოცეს მისი სილამაზე, ცხოვრების თანამედროვე სახე მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. სხვებმა განავითარეს ხალხური ტრადიციები ან აგრძელებდნენ ინდური ხელოვნების ლირიულ ხაზს.

მაგრამ გაივლის კიდევ მრავალი წელი, ვიდრე ისინი მოიპოვებენ ხალხის სიყვარულს და ინტერესს თავისი ხელოვნებისადმი, გადაარჩენს ინდოეთს ოლეოგრაფიის დინებისაგან, რომლებიც გემოვნებას უფუჭებს ფართო მასებს - უბრალო ჰინდუებს. მათ კიდევ უფრო მწვავე ბრძოლა მოუწევთ თავიანთი პრინციპებისათვის ახალი ბენგალური სკოლის წარმომადგენლებთან, სანამ მის მიერ გამოკვეთულ ნაციონალიზმს ინდოეთის რესპუბლიკაში, არ გამოეცლება საფუძველი.

ახალი ბენგალური სკოლის წარმომადგენლები დიდი პოპულარობით სარგებლობენ სახელმწიფოში და მას ყავს მიმდევრები თანამედროვე მხატვართა შორისაც. რამოდა კუმარა ჩატერჯის, დ. რამარაოს, მაირაის, ჯ.ვენკატაპის და სუშილა სარკარის სურათები, უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ და „თანამედროვე“ მიმდინარეობის წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწარმოებებთა რიცხვს განეკუთვნება.

მე არ შეუდგები ინდური ფერწერის მომავლის წინასწარმეტყველებას, მაგრამ მსურს ავღნიშნო, რომ თანამედროვე ფერწერა ეძებს შთაგონებას ჰინდუიზმში, რომელიც მისი შთაგონების წყაროა, მანმადე, სანამ ის ახდენს ახდენს ინდური საზოგადოების ცხოვრებაზე.

ჰინდუიზმი და ისლამი

შესაძლოა გაკვირვება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ ჰინდურ ინდოეთს მუსლიმანთა რაოდენობით (დაახლოებით 45მლნ1) მესამე ადგილი უკავია მსოფლიოში, ანუ ამ მხრივ იგი მოსდევს ინდონეზიას, სადაც 88 მილიონი მუსულმანია და პაკისტანს /85მლნ/. მხოლოდ ამათ შემდეგ შეიძლება დავასახელოთ ახლო აღმოსავლეთის მუსულმანური ქვეყნები. ინდოეთში ყოველი მეათე მოქალაქე - მუსულმანია. (ამ მხრივ სულ სხვა სურათია დღევანდელ თითქმის მილიარდიან ინდოეთში, - 2009 წლის მონაცემით, 13, 4 პროცენტი -მუსლიმანია).

ისლამმა უეჭველად დიდი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარებაში, და შემთხვევითი არაა, რომ ზოგი მეცნიერი ინდოეთის ისტორიას ყოფდა ისლამურ და ისლამამდელ პერიოდებად, ხაზს უსვამდა რა ამით თურქულ და ავღანურ დამპყრობთა რელიგიურ ასპექტს. ჯ.ნერუ თავის წიგნში „ინდოეთის აღმოჩენა“ წერდა: „როცა ვლასპარაკოთ მუსლიმანობის შეჭრაზე ინდოეთში, ან მუსლიმანურ პერიოდზე ინდოეთში ეს ისეთივე უზუსტობა და შეცდომა იქნებოდა, რომ ინგლისელების მოსვლას ინდოეთში ქრისტიანების შეჭრა ვუწოდოთ, ან კიდევ ინგლისელთა ბატონობას ინდოეთში ქრისტიანული პერიოდი რომ ვუწოდოთ. ისლამი არ შეჭრილა ინდოეთში. იგი გამოჩნდა ინდოეთში რამდენიმე საუკუნით ადრე. მანმადე ადგილი ქონდა თურქულ (მაჰმუდ) - ავღანურ შემოსევებს, შემდგომ თურქულ - მონღოლურ (იგულისხმება უზბეკური წარმოშობის-ბაბურთა დინასტიის-, ანუ მოჰოლთა იმპერიის ხანა 16-18 ს.ს მთ. შ. ნ.კ.) დაპყრობებს; განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა უკანასკნელ ორს. - ავღანელები თანაბრად შეიძლება ჩაითვალოს მომიჯნე ინდურ ჯგუფად, რომელიც უცხო არაა ინდოეთისათვის, და მათი პოლიტიკური ბატონობის პერიოდს უნდა ეწოდოს ინდურ-ავღანური პერიოდი. მოჰოლები (მონღოლები) იყვნენ უცხო ელემენტები და უცხო ქვეყნის მკვიდრნი ინდოეთში, მაგრამ მაინც ისინი არაჩვეულებრივად სწრაფად შეეწყვნენ ინდოეთის ცხოვრებას და სათავე დაუდეს ინდო-მოჰალთა პერიოდს”.

აჟამად ინდოეთში მცხოვრებ მუსლიმანთა უმრავლესობა აბორიგენული წარმოშობისაა და მხოლოდ მათი უმნიშვნელო პროცენტი უწინდელ თურქულ -მონღოლურ დაპყრობათა შთამომავლობას შეადგენს. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და დამპყრობი ძირითადად შეერწყა ადგილობრივ მოსახლეობას. ისლამი, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური სისტემა იძულებული იყო ბევრი რამ დაეთმო ჰინდუიზმისათვის. მუსლიმანური სახელმწიფო კანონის თანახმად მათ სახელმწიფოში ყველა არამუსლიმანური მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფა. პირველს განეკუთვნებიან მონოთეისტური რელიგიის მიმდევრები, ქრისტიანები და ებრაელები, რომლებიც

იწოდებიან „მწიგნობარ ხალხად“. მათ ისლამი უფლებას აძლევდა არ ეთქვათ უარი თავიანთ რელიგიებზე, თუკი ისინი რეგულარულად გადაიხდიდნენ სულადობრივ ყადაღას (ჯიზიას). მეორე ნაწილს მიაკუთვნებდნენ წარმართებსა და კერპთაყვანიცმცემლებს. ამ უკანასკნელებს უნდა ეღიარებინათ ისლამი. და თუ ისინი იტყოდნენ უარს, მაშინ მათ კლავდნენ ან მონად აქცევდნენ. ინდოეთში მისი დამპყრობნი წააწყდნენ უკიდურესად მორწმუნე ხალხს - ჰინდუებს, რომელთაც ტრადიციისამერ, დღესაც სწამთ ჰინდუიზმი, რაც არა მარტო რელიგიაა ამ ქვეყნის, არამედ უძლიერესი კულტურული და სოციალური ფაქტორი. ისლამური კანონის თანახმად, ჰინდუები ეკუთვნოდნენ კერპთაყვანისმცემელთა კატეგორიას და ამიტომ მათ, ან სიკვდილი ელოდათ, ან კიდევ მონობა, თუკი ისინი უარს არ იტყოდნენ თავიანთ სარწმუნოებაზე, მაგრამ სახელმწიფოში ჰინდუები გაცილებით ბევრნი იყვნენ, ვიდრე ქვეყანაში შემოჭრილი მუსულმანები. ამიტომ ამგვარი პრაქტიკა სრულიად განუხორციელებელი აღმოჩნდა. ისლამის პრინციპი - ალაჰის სარწმუნოებისათვის ბრძოლა მახვილით - ინდოეთში ფაქტობრივად არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო. ერთი სიტყვით, დამპყრობლებს არ გააჩნდათ პოლიტიკური და მით უფრო ეკონომიკური მიზეზები, რომ ჰინდუებს მათი სარწმუნოება მიეღოთ. ეს კი ბუნებრივია, ვინაიდან დაპყრობილი ტერიტორიების ისლამიზაციას შეეძლო სერიოზული ეკონომიკური პრობლემები წარმოეშვა. ის, ვინც ისლამს აღიარებდა, მექანიკურად თავისუფლდებოდა სულადობრივი გადასახადისაგან და ღებულობდა უფლებას დამპყრობლებთან ერთად გაეყო იმათი შემოსავალიც, ვინც არ მიიღო მუსულმანობა. მრავალ ჰინდუს საკმოდ მრავალი მიზეზი გააჩნდა, რომ მუსულმანური სარწმუნოება მიეღო. ასეთ რიცხვს პირველ რიგში ეკუთვნოდა ჰინდური საზოგადოების დაბალი ფენების ნებისმიერი „სამაგელი მდაბიო“ კასტის წარმომადგენელი, რომელსაც საშუალება ეძლეოდა თუნდაც ფორმალურად გამხდარიყო ისლამური თემის სრულუფლებიანი წევრი. მით უფრო, რომ ისლამი ძირითადად უარყოფს კასტობრივ განსხვავებას. რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ განდგომილ-ღარიბთა მატერიალური მდგომარეობა ამასთან დაკავშირებით რადიკალურად იცვლებოდა. ისლამურ სარწმუნოებას ღებულობდნენ ბუდისტებიც, რომლებიც მასში ეძებდნენ მფარველს ბრაჰმანთა ყოველგვარი უსამართლობისა და შეურაცხყოფისაგან.

გაბატონებული კასტების წარმომადგენელები მუსულმანები ხდებოდნენ ძირითადად წმინდა ეკონომიკური მოსაზრებებით: ამით მდიდარ მუსულმანთა წრეებში და ისინი თავს იზღვევდნენ ქონების დაკარგვისაგან, შედიოდნენ მდიდარ მუსულმანთა წრეებში და ამით ინარჩუნებდნენ თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას. ინდოეთის ისტორია იცნობს არა ერთ მუსულმანურ დინასტიას, რომელიც წარმოშობით ჰინდურია - რაჯპუტულია, ან ბრაჰმანული.

თურქი და ავღანელი მმართველები, თანდათან სულ უფრო და უფრო ექცეოდნენ ადგილობრივი ცხოვრების ატმოსფეროს გავლენის ქვეშ, მაგრამ მეორე მხრივ, მათმა ზეგავლენამ ღრმად გაიდგა ფესვები ინდოეთის წიაღში. ისინი ითვლებოდნენ ინდოელებად და მრავალი ჰინდუ თავადი აღიარებდა მათ თავიანთ სიუზერენად, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სულთანნი - ჰინდუ ქალზე ქორწინდებოდა. შერეული ქორწინება, თუმცა, ძირითადად ხდებოდა მოსახლეობის დაბალ ფენებში, დამპყრობთა არმიის ჯარისკაცთა და ადგილობრივ ქალებს შორის. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი ხელს უწყობდა ისლამის გავრცელებას, ვინაიდან შვილები ჩვეულებრივ მამის სარწმუნოებას

დებულობდნენ, თუმცა არა ყოველთვის. ამავე დროს, ბავშვის აღზრდით, უპირველეს ყოვლისა დაკავებული იყვნენ დედები. დედა კი ოჯახში ამკვიდრებდა თავისი სარწმუნოების რელიგიურ შეხედულებებს. არაა გასაკვირი, რომ ჰინდურმა ჩვევებმა, ტრადიციებმა გზა გაიკაფეს მართლმორწმუნე ისლამურ წრეებში. უფრო გასაკვირია ის, რომ ისლამი მუსულმანურ სამყაროსთან სრულ იზოლირებულ პირობებში მრავალი საუკუნეების მანძილზე მხოლოდ ინდოეთში შემორჩა.

მართალია, სხვა სარწმუნოებაში გადასვლა და შერეული ქორწინება სპობდა ურთიერთდაპირისპირებას ჰინდუებსა და მუსულმანებს შორის, მაგრამ რელიგიურ-კულტურული ხასიათის განსხვავება დღემდე არ გამქრალა. ისლამი არ შეერწყა ინდუიზმს, რასაც ადგილი ჰქონდა აბორიგენებისა და ძველ დამპყრობთა რელიგიასა და კულტურას შორის. ამჯერად, იმის საშიშროება აღარ იყო, რომ ყველა ჰინდუ, ან თუნდაც მათი უმრავლესობა მაჰმადის სარწმუნოებას მიიღებდა, რადგან ამ მოვლენას ხელს უშლიდა პირველ რიგში ჰინდუიზმი და მისი კასტობრივი სისტემა.

მაგრამ, ისლამი მაინც ვერ იქცა ხალხის უმრავლესობის სარწმუნოებად. ამგვარი სიტუაცია შეიქმნა ევროპაშიც თურქების მიერ ბალკანეთის ქვეყნების დამორჩილების შემდეგ. თუ დავაკვირდებთ მუსულმანთა მოსახლეობის განლაგებას ყოფილ ბრიტანეთ-ინდოეთის რუკაზე, მათი დასახლების სიმჭიდროვით შეიძლება განისაზღვროს ისლამის გავრცელების გზები ამ ქვეყანაში.

ქვეყნის სამხრეთით მუსულმანები ბევრად ნაკლებია. ისინი ცხოვრობენ განსაკუთრებულ უბნებში, საზღვრისპირა ქალაქებისა, რომლებიც ამავე დროს ვაჭრობის ბუნებრივ ცენტრებს წარმოადგენდნენ. სამხრეთ-ინდოეთის პორტებს არაბებთან გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობამდე. ინდოეთის წყლებში მუსლიმანთა გემები პირველად 636 წელს გამოჩნდნენ. ვაჭრები მაშინ ძირითადად დასახლდნენ სამხრეთ-ინდოეთის ზღვისპირეთში და ცეილონზე და იქ გააჩაღეს ვაჭრობა. იგივე ვაჭრები მომავალში იქცნენ თავიანთი რელიგიის გამავრცელებლებად. მათ პროპაგანდას წარმატება ჰქონდა. ჯერ კიდევ IX საუკუნეში კოდუნგალურის უკანასკნელმა მალაბარელმა რაჯამ, პერუმალთა საგვარეულოდან, ახალი სარწმუნოება მიიღო. გადმოცემით იგი შეხვდა ცეილონიდან მომავალ მუსულმანთა ჯგუფს, რომლებმაც დაარწმუნა იგი ელიარებიან ისლამი, და ამასთანავე მიეღო ახალი სახელი - აბდურაჰმან სამარი. შემდეგ მან დასტოვა მალაბარი, წავიდა არაბეთში და იქიდან რამოდენიმე მუსულმანი ოჯახი გამოგზავნა, რათა მის სამეფოს გაძლიერებდნენ. მან აგრეთვე ნება დართო მაჰმადიანებს ზღვისპირზე მეჩეთები აეგოთ. გადმოცემით იმ ხანებში თერთმეტი მეჩეთი აშენდა.

დავუშვათ, ეს ლეგენდა იყო, მაგრამ უდავოა ის ფაქტი, რომ IX საუკუნეში მუსულმანებს ინდოეთში პრივილეგირებული ადგილი ეკავათ. დროთა განმავლობაში არაბ ვაჭართა რიცხვი მალაბარში უფრო გაიზარდა, ისინი იქაურ გამგებლებს ომებსა და ლაშქრობებშიც კი ეხმარებოდნენ.

VIII საუკუნეში არაბეთის გემებმა ღუზა ჩაუშვეს კატჰიავარის ნეხევარკუნძულის პორტებში. აქ ეკიპაჟებმა წარმოშვეს მთელი რიგი დასახლებები. თანდათან მუსულმანთა გავლენა გაიზარდა: ადგილობრივი მმართველები მათ აფასებდნენ

როგორც ხალხს, რომლებიც ვაჭრობაში იყვნენ გაწაფული. ნებას რთავდნენ მათ ეყიდათ იქ მიწები და თავისუფლად ეღიარებიათ თავიანთი რელიგია.

XI საუკუნის დამლევს მუსულმანები დასახლდნენ ქვეყნის მთელ დასავლეთ ზოლის სანაპიროზე. მათგან ყველაზე სწავლულები და მდიდრები ხდებოდნენ მინისტრები ადმირალები, მოსამართლეები და მხედართმთავრები, ისინი ინდოელებსაც აიძულებდნენ მიეღოთ ისლამი, აშენებდნენ აკლდამებს და მეჩეთებს, რომელთა ირგვლივ იშლებოდა წმინდანებისა და მისიონერების მოღვაწეობა.

აღმოსავლეთ ინდოეთში, განსაკუთრებით ბენგალიაში მუსლიმანების დიდი ნაწილი ცხოვრობდა, მაგრამ აღმოსავლეთ ბენგალიაში ისინი მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ, სწორედ ამიტომ 1947 ქვეყნის გაყოფის შემდეგ იგი პაკისტანს შეუერთდა. და ახლა ძნელია, პასუხის გაცემა, მაინც და მაინც აქ, შედარებით შორს მუსლიმანური იმპერიის ცენტრიდან, რატომ გავრცელდა ესე ფართოდ ისლამი. ჩვეულებრივ ამ ფაქტის მიზეზად მიიჩნეოდა გაცხოველებული ქადაგი და ლტოლვა იმ მისიონერებისა, რომლებიც XII საუკუნიდან დაწყებული, ბენგალიაში დამპყრობ ჯარებთან ერთად შემოდისდნენ და ქადაგებდნენ მათი სარწმუნოება მიეღოთ უკმაყოფილო ბუდისტებსა და ჰინდუებს, მაგრამ იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს აღნიშნული მიზეზი, საჭიროა ამ პროვინციის საზოგადოებრივი განვითარების ყოველმხრივი შესწავლა.

ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ მთიან რაიონებში მოსახლეობის უმრავლესობას მუსულმანები შეადგენდნენ ეს უბრალოდ შეიძლება აიხსნას: ისლამი აქ მოიტანეს დამპყრობებმა. დასავლეთ ინდოეთში მუსულმანები გაჩნდნენ ხალიფ ომარის (634-644) დროს, როცა თავდაპირველად სპარსეთი და მაკრანი არაბეთის იმპერიას შეუერთდა, ისინი ღრმად, მდ. სინდჰუს (მდ. ინდის მცდარი-რუსული კალკაა მთ. შ. ნ.კ.) ხეობაში შეიჭრნენ VII საუკუნეში და მათ ხმელეთით ბულუჯისტანს მიაღწიეს.

მუსულმანების უდიდესი „სანაპირო ოპერაცია“ განხორციელდა ვალიდის (705-715) ხალიფის არსებობის პერიოდში. ჰაჯაჯმა, ირანის მაშინდელმა გუბერნატორმა, ერთერთი დასავლეთ ინდოელი მბრძანებელი არაბეთის სავაჭრო ფლოტიაზე პირატულ თავდასხმაში დაადანაშაულა და ჩამოაყალიბა დამსჯელი ექსპედიცია. ამ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა და ნიჭიერი მხედართმთავარი მუჰამედ იბნ-ყასიმი, რომელმაც 711 წელს დაამარცხა სინდჰის (პაკისტანის ტერიტორიაზე. კ.) რაჯები, გავიდა მდ. სინდჰუს ქვედა წელზე, და ხალიფატს შემოუერთა მულტანისა და მდ. სინდჰუს პროვინციები.

ამით მუსულმანური დაპყრობები ინდოეთში დროებით შეწყდა. ისლამის გავლენის სფერო, მართალია, გაფართოვდა და კონკანამდე (იგულისხმება ინდოეთის სამხ. დასავლეთის გოას რეგიონი,) სადაც მუსულმანები დაფუძნდნენ როგორც ვაჭრები, მაგრამ დამპყრობლები XI საუკუნის მიწურულამდე ვერ შეძლეს წინ წაწევა. მხოლოდ ცალკეულმა მხედართმთავრებმა შიშისა და რისკის საფასურად ჩაატარეს მტაცებლური თავდასხმები და მიაღწიეს ცენტრალურ ინდოეთს. დასავლეთით წასვლა ბულუჯისტანისა მდ. სინდჰუს ხეობის გავლით შეწყდა იმის გამო, რომ მთიანი და უდაბური ადგილების გადალახვა ერთობ გამძნელდა. ექსპანსიის განვითარებას ხელს უშლიდა აგრეთვე ისიც, რომ ძალიან ძნელი იყო კავშირის შენარჩუნება იმპერიის

შორეულ დედაქალაქთან - ბაღდადთან, განსაკუთრებით, როცა ადგილობრივი, აჯანყებული ბელადები ხელში იგდებდნენ გზებს, რომლებიც ხალიფატის ცენტრს გარეუბნებთან აკავშირებდა.

მუსულმანების შემოსვლები მხოლოდ სამასი წლის შემდეგ განახლდა, მაგრამ ამჯერად ისინი შემოდგომიდან სხვა მხრიდან, ჩრდიო-დასავლეთიდან. თურქმა სულტანმა მაჰმედ გაზნევიმ (999-1030) პანჯაპში (დღეს გოას დედაქალაქში) დიდი სიმდიდრე მოიტაცა, მაგრამ ინდოეთი არ დაუპყრია. იგივე შესაძლო მხოლოდ ნაწილობრივ თურქულ და ავღანური წარმოშობის დამპყრობთა რამდენიმე დინასტიამ, რომელთა პირველი რაზმები მოიყვანა მუჰამედ გურიმ (1162-1202), მათ შემდეგ კი თურქული-მონღოლურმა გამგებლებმა, რომლებმაც ჩრდილოეთ-ინდოეთის ტეროტორიაზე საფუძველი ჩაუყარეს დიდი მოჰოლთა იმპერიას.

გასაოცარია ის, რომ ჩრდილოეთ პროვინციაში (უტარ პრადში) სადაც მუსულმანები თითქმის ათას წელს ბატონობდნენ, ამჟამად მუსლიმანები მოსახლეობის მხოლოდ 14% შეადგენენ. საჭიროა გაიხსენოთ, რომ მუსულმან მფარველებსა, თავიანთ ჯარებსა და ადგილობრივი სოფლის მოსახლეობას შორის უფსკრული იყო. სულთანმა და მათმა ნაცვლებმა ქალაქებში შეცვალეს თავადობა, მაგრამ სოფლის მოსახლეობა მაინც ვერ დაიმორჩილეს. ოლქების წვრილ უფროსობას - თავმეფარებულებს თიხის ციხესიმაგრეებში არ ეშინოდათ მაჰმადი გუბერნატორის. სოფლის დამორჩილება მუსულმანებისათვის მეტისმეტად ძნელი საქმე იყო. დელის ყოველი სულთანი, თურქული დინასტიის დამაარსებელი - კუტუბ-უდ-დინ აიბეკით (1206-1210) დწყებული და დამტავრებული სახელგანთქმული მოჰოლ აკბარი (1556-1605), რომლებიც დამსჯელ რაზმებს იყენებდნენ იმისათვის, რომ თუნდაც ფორმალურად დაემორჩილებინათ სიფელი და რაც მთავარია, რათა ხარკი აეკრიფათ. მუსულმანთა ძალაუფლება საკმაოდ მტკიცე იყო. ამასთანავე არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მეტად განშტოებული სისტემა, - რომელიც მთლიანი ანარქიით იქადნებოდა. ასეც მოხდებოდა, რომ დრო და დრო ტახტი არ ჩაეგდო ხელში ისეთ მკაცრ და ძლიერ მაჰმადიანებს, როგორც იყვნენ მაგალითად, დელის სულთანი ბალბანი (1266-1287) მუჰამედ ტუგლაკი (1325-1351), ან მმართველები ჰილჯის (1290-1320) დინასტიიდან.

ახალ მმართველთა ძალაუფლებას არყევდა ჰინდუთა ჯარში გაწვევის აუცილებლობა. X-XI საუკუნეებში ზოგი ჰინდუ სულთანის კარზეც კი მსახურობდა. მაჰმედ ლაზნევის უკვე ყავდა ჰინდუებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც სულთანის ხელისუფლებას იცავდა შუა აზიაში, როდესაც მხედართმთავარმა კუტუბ-უდ-დინ აიბეკმა, XII-XIII საუკუნის დასაწყისში, გადაწყვიტა დაეტოვებინა ინდოეთი, იგი იძულებული შეიქნა შეენარჩუნებია უწინდელი „ჩინოვნიკური“ აპარატი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მმართველობას და ხარკის აკრეფის მთელ სისტემას დაშლა უქადდა. დამპყრობლებს დიდი ჯარი ყავდათ, მაგრამ მათ არ გააჩნდათ არც ხელოსნები და არც ხარკის ამკრეფნი. სახლებს, მათ უშენებდნენ ქვის ჰინდუ ხელოსნები. ამავე დროს სულთანს კარზე ჰყავდა სწავლული ბრაჰმანი - კანონების მცოდნეები, დამრიგებლები, რომლებიც მას ურჩევდნენ თუ როგორ მოქცეულიყო, ჰინდური წესის თანახმად. ბრაჰმანი - ასტროლოგები, რომლებიც დამპყრობ მუსულმანებს უსაზღვრავდნენ ილბლიან დღეს ამა თუ იმ საქმის დასაწყებად.

ჰინდუიზმზე უცხოელთა ბატონობამ ორმაგი გავლენა იქონია. ერთი მხრივ ხდებოდა ცხოვრების ორი სახის თანდათანობით და თითქმის შეუცნობელი დაახლოება, მეორე მხრივ ჰინდური მოსახლეობით გარშემოტყმული მუსულმანებს, სხვა არაფერი რჩებოდათ, თუ არა ეძებნათ გზები მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, რადგან ჰინდუებთან განუწყვეტელ სიძულვილში ცხოვრება შეუძლებელი ხდებოდა. ჰინდუ-მუსულმანთა დაახლოება ყველაზე უფრო შემორჩენოდა სოფლად, სადაც ადამიანები უფრო მჭიდრო ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, ვიდრე ქალაქში. ამ პირობებში ჰინდუებისა და მუსულმანების მუდმივი ურთიერთობა თანდათან ჩვეულებრივი მოვლენის სახეს ღებლობდა, კასტები აქ დიდ წინაარმდეგობას აღარ წარმოადგენდნენ. ჰინდუები სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს უყურებდნენ ჩვეულებრივ, როგორც სხვა კასტის წევრებს. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ესენი იყვნენ ის ჰინდუები, რომლებმაც ისლამი მიიღეს, მაგრამ ჯერ კიდევ ჰინდური მითოლოგიისა და ეპოსის ძველ ტრადიციებს იცავდნენ, ასრულებდნენ იგივე სამუშაოს რასაც თავიანთი სარწმუნოების ერთგული ჰინდუები, ისევე ცხოვრობდნენ და იცვამდნენ, ლაპარაკობდნენ იმავე ენაზე, მღეროდნენ ერთნაირ სიმღერებს, მონაწილეობას ღებულობდნენ ჰინდურ დღესასწაულებში (ჰინდუები კი მუსულმანურ დღესასწაულებში) ზოგიერთები ერთადაც ზეიმობდნენ.

მოსახლეობის მაღალი ფენების ცალკეული წარმომადგენლები, რომლებმაც მიიღეს ახალი სარწმუნოება შეხედულებების გამოცვლასთან დაკავშირებით, ან კიდევ პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებებით არ ცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას ჰინდურ არისტოკრატიასთან, რომელის ცხოვრების სტილი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა მუსულმანთა სამეფო კარის ცხოვრების სტილს.

უთანხმოება განდგომილთა და მართლმორწმუნეთა შორის არ იყო, ვინაიდან ისლამს ჩვეულებრივ მორწმუნე მთელი ჯგუფი ღებულობდნენ, განსაკუთრებით უბრალო ხალხი. სოფლად საზოგადოების დაბალი ფენებში ახალ სარწმუნოებას ღებულობდნენ რომელიმე კასტის ყველა წევრები, ან მთელი სოფელი ერთიანად. ამიტომაც დღევანდელ ინდოეთში სამუშაოსა და ხელოსნობის გარკვეულ სახეობას (ტანსაცმლის და ფეხსაცმლის კერვა) მხოლოდ მუსულმანები ასრულებან.

პირველ ხანებში ისლამის მიღება არ იწვევდა კარჩაკეტილობას, ჰინდური საზოგადოების აღშფოთებას. მას უბრალოდ არავითარი მნიშვნელობა არ ეძლეოდა. მოგვიანებით კი კოლონიალური ბატონობის დროს, მდგომარეობა შეიცვალა. ინგლისელებმა, როგორც ცნობილია, შექმნეს საარჩევნო ოლქები რელიგიური ნიშნის მიხედვით, ყოველგვარი აქტი სარწმუნოებიდან განდგომისა განიხილებოდა როგორც სხვა რელიგიური ჯგუფის პოზიციის გაძლიერება. ჯ.ნერუ „ინდოეთის აღმოჩენაში“ ხაზს უსვამს, რომ ამგვარი პოლიტიკური პრაქტიკიდან წარმოიშვა ტრადიცია არაჰინდთა არმიიღება ჰინდუიზმი, რაც სრულიად უცხოა ჰინდუიზმის სისტემისა და სულისათვის. ეს იყო რეზულტატი ისლამის პირდაპირი შემოქმედებისა. მაგრამ, ორთოდოქსალური ჰინდუები ამგვარ ტრადიციებს მტკიცედ აღუდგნენ წინ.

მეორე მხრივ ისლამი სრულიად საპირისპირო გავლენას ახდენდა ჰინდურ თემზე და თან სრულიად საპირისპირო გზით, პირველ რიგში ეს გავლენა ეხებოდა უმაღლესი

კასტის მართლმორწმუნე ჰინდუებს. ეს უკანასკნელი სრულიად შემოიფარგლენ გარეშე გავლენისაგან და ცდილობდნენ გაძლიერებულიყვნენ კასტობრივი სისტემის განმტკიცების ხარჯზე. მათ სრულებით არ ეპარებოდათ ეჭვი თავიანთ უპირატესობაში იდეებისა და აზროვნების სფეროში. მათ მიაჩნდათ ისლამი საკმაოდ პრიმიტიულ საშუალებად ფილოსოფიური და მეტაფიზიკური პრობლემების გადასაწყვეტად, ამასთანავე მიუთითებდნენ, რომ ჰინდუიზმში მოიპოვება წმინდა მონოთეიზმის ელემენტები, რომელიც საფუძვლად უდევს მუსულმანურ თეოლოგიას. მონოთეიზმი ლოგიკურად ემყარებოდა ჰინდურ ფილოსოფიურ აზროვნებას. ისინი წინააღმდეგი იყვნენ, რომ ვინმე გარედან ჩარეულიყო მათ საზოგადოებრივ სისტემაში და მათი ცხოვრების ფორმაში. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა, რომ ჰინდუიზმი დარჩენილიყო ინდოეთის ძირითად რელიგიად.

უარყოფით მოვლენად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინდოეთში, ისლამის შეჭრის შემდეგ, შეიძლება ჩაითვალოს ქალების მკაცრი იზოლაციის, ანუ „ფარდა“, (ანუ ჩადრის წესი. მთ.შ.) წესჩვეულება. ჩვენ არ ვიცით როდის რანაირად დაიბადა ეს წესჩვეულება, რომელიც მოგვიანებით ტიპიურად იქცა უმრავლესობა მუსლიმანურ სახელმწიფოებში. ინდოეთში ქალების ამგვარი იზოლაცია მამაკაცების საზოგადოებისაგან მიღებული იყო მხოლოდ არისტოკრატიულ წრეებში. ამავე დროს აქ სპარსელი მემკვიდრეების მიხედვით, თურქი და ავღანელი მეფის ქალწულები და მათი კარის ქალები ნადირობდნენ ღია სახეებით (ე.ი. უჩადროდ, თამამად სხდებოდნენ ცხენებზე და მიდიოდნენ სტუმრად.) „ფარდამ“ უთუოდ, გავრცელება ჰპოვა დიდ მოჰოლთა ბატონობის პერიოდში, როდესაც იგი საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის ნიშნად ითვლებოდა. ქალების განცალკევების წესს განსაკუთრებით მკაცრად იცავდნენ მოსახლეობის მაღალ ფენებში, იმ რაიონებში, რომლების ისლამის დიდ გავლენას განიცდიდა პირველ რიგში უტარ პრადეშში, რაჯასტანში, ბიჰარასა და ბენგალიაში. დღემდე ვერავინ შეძლო დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცა შეკითხვაზე - რატომ არ იყო „ფარდა“ მეტად მკაცრ პაჯანაში და ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, სადაც მუსლიმანები ჭარბობდნენ. ქვეყნის სამხრეთსა და დასავლეთით, როგორც წესი არ ხდება ქალების იზოლირება. ამჯამად ეს ჩვეულება თანდათან ქრება ინდოეთში, მაგრამ მით უფრო მტკიცდება პაკისტანში.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მუსულმანებმა, უპირველეს ყოვლისა მოჰოლებმა, რომლებიც იყვნენ ბევრად კულტურულები თავიანთ ავღანელ წინაპრებზე, ინდოეთში მოიტანეს ბევრი რამ ახალი - ბიძგი მისცეს არქიტექტურის, მუსიკის, მხატვრობისა და ლიტერატურის განვითარებას. საბოლოოდ ჩამოყალიბდა კულტურა, რომელიც არც წმინდა ჰინდური იყო და არც წმინდა მუსულმანური, არამედ ორივეს სინთეზს წარმოადგენდა.

ისლამის გავლენა თვით ჰინდუიზმზეც თავის კვლს ტოვებდა. იდეების შეჯახება იწვევდა გაჩენას ისეთი რეფორმატორებისას, რომლებიც შეგნებულად ისწრაფოდნენ ამ ორი რელიგიის შერწყმისაკენ და ხშირად კიცხავდნენ კასტობრივ სისტემას. მათი მოღვაწეობა არ იფარგლებოდა მათ მიერ დაარსებული სექტებით. დღემდე უცნობია არსებობდა თუ არა მოძღვრება, რომლისთვისაც მთავარი იყო ღმერთის სიყვარული და მისი აუცილებელი თაყვანისცემა. მკვლევარების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ისლამს არ უთამაშია დიდი ბჰაქტის წარმოქმნაზე, მაგრამ დიდად შეუწყობ ხელი გვიანდელი

ბჰაქტის განვითარებას.

ბჰაქტის მოძღვრების პირველი მქადაგებელი გახლდათ ნამდევი, რომელიც დაიბადა XIII საუკუნის დამლევს, მკერავის ოჯახში, მაჰარაშტრაში, სადაც დაბალი კასტები განუწყვეტლად იბრძოდნენ ბრაჰმანთა ბატონობის წინააღმდეგ. მშფოთვარე ახალგაზრდობის შემდეგ (ერთ ხანს ქურდების ბრბოსაც მეთაურობდა) იგი გაუდგა საამქვეყნო ცხოვრებას და რელიგიურ გონებაჭვრეტას მიეცა. ნამდევი ქადაგებდა მონოთეიზმის, რომელიც ეყრდნობოდა იმას, რომ ჰინდუებსა და მუსლიმანებს უნდა ყოლოდათ ერთი ღმერთი. უარყოფდა ორივე რელიგიის ყოველგვარ გარეგნულ გამოვლინებას და წეს-ჩვეულებების შესრულებას. იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მარხვა, ლოცვა-კურთხევა, მსხვერპლის გაღება არასაკმარისია ღმერთის სრულ შესაცნობად, თუ ადამიანს არა აქვს წრფელი, მოსიყვარულე გული. ამის გამომხატველია მისი ლექსები ხალხურ ენებზე:

ჰინდუები არიან ბრმანი, მუსულმანები - ცალთვალა,
მაგრამ ამათზე უფრო ბრძენია
კაცი, რომელიც შორსმჭვრეტელია,
ტამარი არის სალოცავი ჰინდუებისთვის
მაჰმადიანთა სალოცავი - დიდი მეჩეთი,
ჭკვიანი კაცი კი ლოცულობს
- მხოლოდ და მხოლოდ,
სადაც არ არის -
არც მეჩეთი და არც ტამარი

(ნ.კ.)

მოგვიანებით, რელიგიურად მოაზროვნე მეორე პიროვნება რომელმაც ცადა წმინდათეიზმის საფუძველზე მოეხდინა მუსლიმანური და ჰინდური მოძღვრების უფრო ღრმა სინთეზი, გახლდათ უბრალო ფეიქარი-ქაბირი (დაახლოებით 1398-1492). ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იგი გაუჩნდა შუდრათა, ანუ ყველაზე დაბალი კასტის წევრ ქვრივს, რომელმაც თავისი ცოდვის დასაფარავად, ბავშვი დატოვა ბენარესის შწმინდა წყალსატევის ნაპირზე. ბავშვი უპოვია, მუსლიმან ფეიქარს ალი ნირუსა და მის ცოლს ნიმს, რომლებმაც უცნობი პირმშო იშვილეს. ქაბირი გაზარდეს ისეთმა ღარიბებმა, რომლებსაც იმის საშუალებაც არ გააჩნდათ, რომ მისთვის განათლება მიეცათ. ბავშვმა ხელობა მამობილისაგან ისწავლა. ბენარესში, წმინდა ჰინდუ ქალაქში იგი ჰინდუიზმს გაეცნო, შინ კი ისლამს, ამიტომ მას დიდხანს არ შეეძლო ეპოვა მისთვის შესაფერისი სულიერი მოძღვარი არც ჰინდუთა და არც მუსლიმანთა შორის. ხოლოს, მისი მასწავლებელი გახდა ცნობილი სამხრეთ ინდოელი სულიერი მოძღვარი - რამანანდა. ქაბირმა მასთან რამდენიმე ხანი დაჰყო და შემდეგ დაიწყო ქვეყნად ხეტიალი, იგი ადგილიდან ადგილს ინაცვლებდა, ხან მუსლიმან მისტიკოსებთან ცხოვრობდა, ხანაც კი ჰინდუ-ბერებთან, მან კითხვა არ იცოდა და შეითვისა ის რაც თავისი სულიერი მოძღვრისგან ესმოდა.

როცა ქაბირი ბენარესში დაბრუნდა დაიწყო საკუთარი მოძღვრების ქადაგი. იგი აშკარად თავს ესხმოდა ორივე რელიგიას და არ ემორჩილებოდა მმართველობასაც კი.

ამბობენ, თითქოს სულთანმა სიკანდარ ლოდიმ ბენარესში ტრიუმფალური შესვლისას, ბრძანება გასცა ქაბირისათვის ხელ-ფეხი შეეკრათ და მდ. განგაში ჩაეგდოთ. ქაბირი რაღაც სასწაულით გადარჩა, მაგრამ ქალაქიდან მაინც გაასახლეს. მიუხედავად ამისა იგი კვლავ დაბრუნდა ბენარესში, ორივე რელიგიის მოძღვრების დროს მოძებნა მრავალი მომხრე და მალე მისი მოძღვრება მთელს ინდოეთში გავრცელდა. თვითონ ძველებურად განაგრძობდა ფეიქრობას და იყო მეტად თავმდაბალი ადამიანი. პურანებისა და უპანიშადების რელიგიურ ცნებებს ქაბირი განმარტავდა ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ნათელი მაგალითებით, რათა უბრალო ადამიანებს უფრო კარგად გაეგოთ მისი მოძღვრება.

არ არის გასაკვირი, რომ ქაბირის მოწაფეებს შორის იყვნენ დაბალი კასტის წარმომადგენლებიც. ქადაგებდა რა წმინდა თეიზმს, იგი ერთიანი ღმერთის გრძნობიერი, ემოციური ერთგულების მნიშვნელობაზე, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იწოდებოდა ეს ღმერთი, იგი ლაპარაკობდა აუცილებლობაზე იმ უმაღლესი არსებისა, რომელიც აახლოებს ყველა რელიგიებსა და კასტებს, უარყოფდა ჰინდუიზმისა და ისლამის იმ ასპექტებს, რომლებიც ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა. ორივე რელიგიაში იგი გამოყოფდა მათთვის საერთო თვისებებს, მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რაც ორივე სარწმუნოებას აერთიანებდა. მათ შორის განსხვავება კი მეორეხარისხოვნად მიაჩნდა, და აღნიშნავდა მრავალ ანალოგიებს ამ სარწმუნოების ფილოსოფიურ იდეებში, დოგმებსა და რიტუალებში, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა გულწრფელობას, რელიგიური განცდების უტყუარობას, უარყოფდა რელიგიის გარეგნულ, ფორმალურ მხარეს.

მისი აზრით ნებისმიერი რელიგიის წეს-ჩვეულების გარეგნული მხარე, ღვთისკენ მიმავალ გზას ეღობება და სხვა მორწმუნეებს ერთმანეთს აშორებს.

ქაბირს მრავალი ლექსი დარჩა, მაგრამ საკუთრივ მისი ხელით არაფერი დაწერილა. ბუნებრივია, რომელი ეკუთვნის პოეტს და რომელია დამატებული მოგვიანებით, მეტად ძნელი დასადგენია. ლექსებს იგი ქმნიდა არა სპარსულ, ან სანკრიტულ, არამედ ხალხურ ენაზე (ავადჰიზე), რომელიც ჰინდი ენის ერთ-ერთი უმთავრესი დიალექტია.

ჰინდუები ტაძრებში დადიან,
მუსლიმანები - მეჩეთში,
ქაბირი მხოლოდ იქ მოდის
სად ორივე ერთმანეთს ხვდება.
ეს ორი რჯული ერთი ხის ტოტს ჰგვს
აშოლტილი რომ მიიწევს მაღლა.
ასე ამბობენ, რომ მე ჰინდუ ვარ,
ეს სიცრუეა, არც მუსლიმი ვარ,
მექა - ეს ჩემთვის- ბენარესია
ხოლო რამა კი - რაც, რომ რაჰიმი.

(ნ.კ.)

ქაბირმა მრავალი ლექსი დატოვა, მაგრამ არცერთი მათგანი სახელდობრ მისი ხელით

არ არის დწერილი. ამიტომ, ბუნებრივია ძნელი დასადგენია, უშუალოდ რომელია მის მიერ წარმოთქმული, ან მოგვიანებით - რა დაემატა თითოეულ მის ლექსს.

ქაბირის მოძღვრებაში გარკვევა იოლი არ არის, მას არ შეუქმნია ერთიანი ფილოსოფიური სისტემა. ამ მისტიკოსის ყველა აზრები მიმართულია ღმერთისაკენ, რომელსაც იგი სხვადასხვაგვარად მიმართავს: ხან სანკრიტზე, ხან არაბულად, მაგრამ ყველაზე ხშირად ღმერთს უბრალოდ :-„ო, მზრძანებელო!“,- ასე მიმართავს.

ჰინდუებს იგი მოუწოდებდა, რომ უარი ეთქვათ წეს-ჩვეულებებსა და შეწირვაზე, შეეწყვიტათ მაგიური ფორმულების დაუფიქრებელი გამეორება, ღმერთთა გამოსახულებების უაზრო თაყვანისცემა და რომ ბოლო მოღებოდა კასტობრივ დისკრიმინაციას.

ქვეკასტებისაგან და კასტებისაგან
კუბოს ფიცრის ქვეშ არა დარჩება,
ერთ მარადიულ საფუძვლიდან
მოვდივართ ყველა,
ჰეი, ბრაჰმანო ეს როდიდანდა,
ან როგორ მოხდა ერთი მითხარი,
მაინც და მაინც შენ ხარ ბრაჰმანი
მე კი: საწყალი, ვიღაცა შუდრა,
მაწანწალა -და სხვა არაფერი.

(თარგ.ნ. კ.)

ერთდროულად იგი მთელი მონდომებით არწმუნებდა მუსლიმანებს გადაელახათ ბრმა რწმენა რწმენა წინასწარმეტყველისა და ყურანისა. ზურგი შეექციათ სარწმუნოების იმდაგვარი გარეგნული გამოვლინებებისთვის, როგორცაა მომლოცაობა მექაში და პარასკევობით მეჩეთში ლოცვა, ან სახით მექასკენ მიჰყრობილი პოზის მიღება.

შენი ფიქრები აქციე მექად
ლოცვები ლტოლვად შენი სხეულის,
და როცა გონი გექცეს იმამად
მოიხმე მაშინ ხალხი მეჩეთში,
დამშვენებულში ირგვლივ ცხრა კარით.

(ნ. კ.)

უთუოდ, ქაბირზე დიდი გავლენა იქონია მუსლიმანურმა მისტიციზმმა. მისი მრავალი ლექსი წმინდა სუფისტური პანთეიზმითაა გამსჭვალული, ე. ი. იმ რწმენით რომ ყველაფერში არსებობს ღმერთი. ქაბირს, სურდა რა უფრო ნათლად გამოეხატა სამყაროს არსისა და აბსოლუტის იგივეობის იდეა, იგი ინდივიდის დამოკიდებულებას ღმერთთან ამსგავსებდა ტალღის დამოკიდებულებას ზღვასთან. ეს მეტაფორა მეტად პოპულარული იყო სუფ პოეტებში :

ზღვა რომ წვეთიც ივსება -

ეს სუყველას კარგად ესმის
მაგრამ ის- ყველამ როდი იცის, რომ
ერთი არსია- ზღვაც და ძღვის წვეთიც.

(თარგ. ნ. კ.)

როგორც წმინდა სუფი - იგი თვლიდა, რომ ადამიანს რელიგიაში უნდა ყავდეს
სულიერი მოძღვარი (დამრიგებელი).

ქაბირი იყო პირველი, რომელიც აშკარად ქადაგებდა ჰინდუიზმის ისლამთან შერწყმის
აუცილებლობას. მისმა წინამორბედებმა, სამხრეთ და დასავლეთ ინდოეთის
რელიგიურმა მქადაგებლებმა, თუმცა მიიღეს მუსლიმანობის ცალკეული ელემენტები,
მაგრამ ამ რელიგიების შერწყმის წინააღმდეგნი იყვნენ.

ქაბირის მოძღვრებამ გამოძახილი ჰპოვა მთელს ინდოეთში, და ასი წლის შემდეგ, როცა
მოჰოლი იმპერატორი აკბარი შეეცადა შეექმნა ახალი ხელოვნური რელიგია - „საღვთო
სარწმუნოება“. მან ძალზე ბევრი გადმოიღო ქაბირისაგან. მართალია, ქაბირისაგან
განსხვავებით, აკბარი არ ისწრაფოდა ღვთის სიყვარულის ქადაგებისაკენ, რადგან
საკუთარი თავი მიაჩნდა იმის ღირსად, რომ მისთვის ღვთიური თაყვანი ეცათ,
როგორც უზენაეს და უმაღლეს გამგებლისათვის. „საღვთო სარწმუნოება“ აერთიანებდა
ჰინდუიზმის, ჯაინიზმის, ზაროატუსტრას მოძღვრებას, ისლამისა და ნაწილობრივ
ქრისტიანობის ცალკეულ ელემენტებს. ახალ კულტს საფუძვლად ედო მზის, ცეცხლის
და ლამპარის შუქის თაყვანის ცემა, რაც აღებული იყო ზოროასტრიზმიდან.

თანდათან აკბარი მოშორდა წინასწარმეტყველების მოძღვრებას და დაიწყო ისეთი
განკარგულებების გაცემა, რომლებსაც ისლამთან არაფერი ქონდა საერთო. იგი
მაგალითად კრძალავდა საქონლის ხორცის ჭამას და ძროხების დაკვლას, ჯაინიზმის
გავლენით იგი მთლიანად ზღუდავდა ხორცის გამოყენებას, მან შეცვალა ზოგიერთი
მუსულმანური ლოცვები, მარხვების დაცვა მექაში ლოცვის ხარჯზე. მამაკაცებს
აეკრძალათ წვერის მოპარსვა, რაც ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა, არ შეიძლებოდა
ბავშვებისათვის მიეცათ სახელი - მუჰამედი. იმპერატორმა აკრძალა ახალი მეჩეთების
აშენება და ძველების რესტავრირება. მან ბრძანა მიცვალებულები თავით
აღმოსავლეთით დაემარხათ და თვითონაც ამავე მდგომარეობაში ეძინა.

მისი მინისტრი აბუ-ლიფაზალი თავის წიგნში „აკბარის კანონები“ („აინი-აკბარი“)
ასახელებს მრავალ საინტერესო ფაქტს. „როცა სარწმუნოების ორი მიმდევარი ერთი
მეორეს ხვდება, - წერს იგი, - ისინი იცავენ შემდეგ წესს: ერთი ამბობს „აღლაჰ აკბარ“
(„აღლაჰ დიდებულო“, მაგრამ ამავე დროს ეს იმპერატორის ეპითეტიცაა) მეორე
პასუხობს: „ჯალა ჯალალუჰი“ („იხაროს მისმა სიტყვებმა“, მაგრამ ეს ამავე დროს
აკბარის სახელის - ჯალალუს ხსენებაცაა“.

ერთ-ერთ წყაროში, აბულ-ლ ფაზალი გვატყობინებს, რომ იმპერატორი არ აღიარებდა
ჰინდურ წესჩვეულებას - მიცვალებულის კოცონზე დაწვას; თუ საპატიო ვინმე
გარდაიცვლება, მიცვალებულსათვის კისერზე უნდა ჩამოკიდათ მოუხარშავი ხორბლის
მარცვლები, აგურები და ჩააგდოთ მდინარეში. შემდეგ ამოიღოთ გვამი და დაწვით იქ
სადაც არავითარი წყალი არ იყო“.

შეუძლებელი იყო აკბარის ექსპერიმენტს წარმატება ქონოდა, ვინაიდან ახალი რელიგია იბადებოდა ბრძანებით - „ზემოდან“. მიმდევართა რიცხვი რამოდენიმე ათას კაცს არასოდეს აღემატებოდა. იმპერატორის სიკვდილთან ერთად მოკვდა მისი ექსპერიმენტიც, თუმცა მისი პოლიტიკური არსი მისი ექსპერიმენტისა, არც თუ ისე უმნიშვნელო იყო. აკბარმა ჰინდუების სიყვარული და მხარდაჭერა დაიმსახურა. მისი მმართველობის წლებში ჰინდუების და მუსულმანების კულტურები ჩრდილო ინდოეთში ერთმანეთს დაუახლოვდა, სახელმწიფოში ბატონობდა რელიგიური შემწყნარებლობის სული, და მოჰოლემბა ინდოეთის ტერიტორიაზე ფესვები გაიდგეს, როგორც ადგილობრივმა დინასტიამ.

ქაბირის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, დაიწყო მოძრაობა ისლამისა და ჰინდუიზმის სინთეზისათვის, მაგრამ ამჯერად ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, პანჯაბის ნაყოფიერ ველებში.

მუსულმანთა ჯარები, და მათთან ერთად ისლამური კულტურა, აქ უხსოვარი ოდითგანვე გაჩნდა. XV საუკუნისათვის პანჯაბი, ისლამური გავლენის ქვეშ გაცილებით დიდხანს იმყოფებოდა, ვიდრე ინდოეთის სხვა ნაწილი.

1469 წელს ტალავანდის პატარა, მდინარე რავის ნაპირზე, გუჯრანვალის რაიონში დაიბადა ადამიანი, რომლის მოძღვრებამ მოგვიანებით დიდი გავლენა იქონია ჩრდილოეთ - ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე. გადმოცემის თანახმად იგი გაჩნდა ხარკის ამკრეფის ოჯახში და მიიღო სახელი - ნანაკი. როცა მას შვიდი წელი შეუსრულდა, მშობლებმა იგი სკოლაში მიაბარეს, რათა მშობლიური ენის - პანჯაბის გარდა, მას შეესწავლა ჰინდი და სანსკრიტი. მალე მიაბარეს მუსულმან სულიერ მოძღვარს, რათა სრულყოფილად დაუფლებოდა პარსულ და არაბულ ენებს, მაგრამ ყმაწვილი სწავლას დიდი მონდომებით არ ეკიდებოდა და ეძებდა თავისი უნარის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენების გზებს. მისმა დამ მას ადგილი გამოუძებნა დულატ-ხან ლოდის კარზე, რომელიც დელის სულთან ბაჰლულის (1452-1484) ნათესავი იყო. ბოლოს ნანაკმა ითხოვა ცოლი, გაუჩნდა ორი ვაჟი, მაგრამ ოცდაათი წლისამ მიატოვა სახლი, ოჯახი და გახდა მოხეტიალე ასკეტი. გადმოცემის თანახმად მან თავის მუსულმან - თანაშემწესან მარდანთან ერთად მოინახულა ყველა მნიშვნელოვანი სამომლოცველო ადგილი ინდოეთში, ცეილონზე, სპარსეთსა და არაბეთში. მოიარა მთელი პანჯაბი, სადაც თითქოს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მუსულმან წმინდანებთან.

მის სასწაულმოქმედ ძალაზე არსებობს მრავალი გადმოცემა. პაკისტანში, ჰასან აბდილში, ნანაკის მარჯვენა ხელის ანაბეჭდიანი ქვის დემონსტრირება დღემდე წარმოებს. ამბობენ, პანჯაბში ხეტიალისას იგი ერთხელ მივიდა მთასთან, რომლის მწვერვალზედაც იყო კანდაგარელი წმინდა ველი ბაბას სამლოცველი, გვერდით ანკარა წყარო მოედინებოდა, და ნანაკი, რომელიც ლამის დამხვრჩალიყო წყურვილისაგან, ვალის თხოვა წყალი დაეღვეინებია მისთვის, მაგრამ ვალიმ უარი უთხრა. ნანაკი განრისხდა და თავისი სასწაულმოქმედი ძალით წყარო მთის ძირში გადაიტანა. გააფრთხულმა ვალიმ მწირს დიდი ქვა ესროლა, მაგრამ მან ქვა მარჯვენა ხელით დაიჭრა და ხელის გული ქვას ისე მაგრად ჩაუჭირა, თითქოს ქვა კი არა ხაჭო

ყოფილიყოს. ამ ქვასა და წყაროსთან გაჩნდა მომლოცველობის დიდი ცენტრი.

არამც თუ ნანაკის სიცოცხლე, არამედ სიკვდილიც ლგენდად იქცა. მისი მუსულმანი და ჰინდუ მოოწაფეები ერთმანეთში ვერასგზით ვერ მორიგდნენ, არ იცოდნენ თუ, რა ექნათ მიცვალებულ მასწავლებლისათვის, მუსულმანური წესით დაესაფლავებინათ, თუ ჰინდუთა წესით თანახმად კოცონზე დაეწვათ. ეს დავა გადაწყვიტა თვითონ ნანაკმა: როდესაც მიცვალებულს სუდარა გადახადეს, ქვეშ მხოლოდ ყვავილების გროვა ნახეს, ყვავილები ორად გაჰყვეს, ერთზე ჰინდუებმა ტაძარი ააგეს, მეორეზე კი მუსულმანებმა - აკლდამა. მაგრამ მათი საქციელი თითქოს არ მოეწონა დიდ მასწავლებელს. გადმოვიდა მდინარე რავი და გადარეცხა ტაძარი და მავზოლეუმიც.

ნანაკიც თავის მიზანს მუსულმანებისა და ჰინდუების გაერთიანებასი ხედავდა, თუმცა მის მოძღვრებაში ჰინდუიტური ელემენტები გაცილებით ბევრია, ვიდრე ქაბირისაში, მაგრამ მას ისლამის დიდი გავლენა ჰქონდა. სუფიების /სუფისტების/ მსგავსად, იგი მოუწოდებდა, რომ ადამიანის სული ღვთაებისაკენ მიმავალ გზაზე უნდა მიჰყავდეს მოძღვარს - გურუს (სულიერი მოძღვარი). ეს გზა კი შესდგება ოთხი ეტაპისაგან (მფარველობა, ცოდნა, მოვალეობა, სიმართლე) ისევე, როგორც სუფიების (სუფისტების) მისტიკური გზა. ნანაკს რელიგიაში აინტერესებდა, პრაქტიკული და წმინდა ეთიკური ასპექტი. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კეთილმოქმედის აღზრდას და მორალური უწმინდურობისა და ცოდვის აღმოფხვრას. თავის მოძღვრების განმტკიცებას ახდენდა უბრალო ადამიანების ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით. იგი უარყოფდა ყოველგვარი იდეალების თაყვანისცემას, მაგრამ მისი მიმდევრები, მიჰყვნენ მისი წიგნისა და თვით ნანიკის თაყვანის ცემას.

სარწმუნოებრივ მოძრაობას, რომელსაც ნანაკმა ჩაუყარა საფუძველი, ამტკიცებდნენ და აღმერთებდნენ მისი მიმდევრები, რომლებიც თავის თავს სიქებს, მოწაფეებს უწოდებდნენ. სიქები ცნობენ ათ სულიერ მოძღვარს (გურუს) და აღმერთებენ წმინდა წიგნს „გურუ გრანთჰს“ - („მოძღვართა წიგნი“), ანუ „ადიგრანთჰს“ („წიგნი დასაბამისა“), რომელიც შეიცავს ნანაკის მიერ შეთხზულ რელიგიურ ჰიმნებს, ასევე უფრო გვიანდელ ან ადრინდელი პოეტებისას. სიქების ცენტრს წარმოადგენდა პანჯაბის ქალაქი ამრიტსარი (ნექტარის ტბა), სადაც ტბის აუზის შუაში ხელოვნურ კუნძულზე თვალწარმტაცი ოქროს ტაძარი იდგა. ტბის ირგვლივ მიწა მეოთხე გურუს აჩუქა იმპერატორმა აკბარმა, რომელიც მხარს უჭერდა ყოველგვარ რეფორმატორულ მოძრაობას, თუკი იგი ხელს უწყობდა ინდოეთის ერთიანობას.

თავდაპირველად სიქიზმი გამოხატავდა ქალაქის შეძლებულ ვაჭართა ფენის ანტიფეოდალურ განწყობილებებს. გურუები ხაზს უსვამდნენ ადამიანთა თანასწორობას ღვთის წინაშე, უარყოფდნენ წოდებრივ და კასტობრივ უპირატესობას და მწვავედ კიცხავდნენ მუსულმანური სამღვდლოებისა და ჰინდუ ქურუმების ანგარიანობას. ამავე დროს ისინი ქადაგებდნენ სიბოროტესთან შეგუების და ყოველგვარი მზრძანებლობის მორჩილებას. იმ სექტების საქმიანობა, რომლებიც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად თვლიდნენ ჰინდუებისა და მუსულმანების დაახლოებას, დიდხანს მოჰკოლთა იმპერატორების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. მალე გურუებმა დაიწეს უფლების გამოცხადება არა მარტო სულიერი ხელმძღვანელობისა თავის მრევლზე, არამედ საერთო ხელისუფლებაზეც.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან სიქეებს უერთდებოდნენ დარბეული ხელოსნები და გლეხები. მეათე გურუს, გოვინდის (1675-1708) დროს, სიქეები სათავეში აუდგნენ გლეხთა აჯანყებას პანჯაბში. გოვინდმა თემში გაატარა მთელი რიგი დემოკრატიული რეფორმები, დესპოტური ხელისუფლება უარყო და გამოაცხადა, რომ უმაღლეს ავტორიტეტს წარმოადგენს სიქტა ორგანიზაციის ძალაუფლება, ანუ ჰალსა („წრფელი“, „გულახდილი“), შემოიღო ახალ „ძმობაში შესვლის წესჩვეულება. ყველა ვინც მასში შედიოდა და ვალდებულებას იღებდა თავის სახელს უმატებდა „სინგჰს“ (ლომი) და იღებდნენ ვალდებულებას ხუთ „კ“-ს წესის შესრულებას - რაც იმის ნიშნავდა, რომ ესა თუ ის პირი, რომელიც ამ სექტას ეკუთვნოდა ატარებდა გრძელ თმასა და წვერს (კეშის), ვიწრო შარვალს (კაჩის), თმებში გაკეთებული ჰქონდა სავარცხელი (კანგჰა), ატარებდა მოკლე, პატარა დაშნას (კირპანს) და რკინის სამაჯურს (კანკანს). გოვინდი მოუწოდებდა ბრძოლისაკენ „ჭემმარიტი იმპერიისთვის“, სადაც სიქეები მიწის ბატონ-პატრონები უნდა ყოფილიყვნენ. 1708 წელს გოვინდი მოკლეს. მისი სიკვდილის შემდეგ მოძრაობის ხელმძღვანელობა ჰალსის მომხრეთა ხელში გადავიდა და მათ სულიერ მოძღვარს ცვლის სიქეების საღვთო წიგნი „ადი გრანთჰი“-შექმნილი მეხუთე გურუს არჯუნის მიერ. სიქეები, რომლებიც შემდეგშიც დამოუკიდებელი თემად დარჩნენ, თანდათან დასუსტებულ მოჰოლთა იმპერიის სერიოზულ მეტოქედ იქცნენ. XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე, მათ რანჯიტ სინგჰის წინამძღვრობით გამარჯვება მოიპოვეს მოჰოლ ფეოდალებზე, მაგრამ მალე ისინი დაამარცხეს ინგლისელებმა. 1857 წლის ინდოეთის სახალხო აჯანყების პერიოდში სინჰებმა მხარი დაუჭირეს კოლონიზატორებს.

ქაბირი და ნანაკი რელიგიური აზროვნების, რადიკალური ცლილებების იდეის მომხრენი იყვნენ. მათ სიცოცხლეში და სიკვდილის მერეც ფართო მრევლი და მრავალი თანამოაზროვნე და მიმდევარი ჰყავდათ.

მარტო ქაბირმა თორმეტი შტოს-ეგრეთწოდებულ „პანთჰებს“ (გზებს) ჩაუყარა საფუძველი, ზოგიერთმა ამ სექტებიდან, გავლენა მოახდინა ინდური რელიგიური აზროვნების განვითარებაზე. ერთ-ერთი ასეთი სექტის სათავეში იდგა დადუ დაიალი (გარდაიცვალა 1663 წელს), ძენძის მჩეჩავი, რომელიც აკბარის დროს ცხოვრობდა, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა რაჯასტანში. საკუთარ მოძღვრებას ძირითადად ქადაგებდა აჯმირსა და ამბერში. მან დატოვა ხუთიათასი მრავლთავიანი ლექსი, რომლის ყოველ თავში წამოჭრილი იყო რომელიმე მნიშვნელოვანი რელიგიური პრობლემა. დადუმ თავის წინამორბედებზე უკეთ იცოდა სუფიზმი, უთუოდ იმიტომ, რომ მისი მოძრვარი გურუ კამალი, რომელმაც ისლამური აზროვნების დიდი უნარი გამოიჩინა. სუფიური მოძღვრების გავლენით დადუმ გამოაცხადა რომ ჰინდუები და მუსულმანები ძმები არიან, მათ ის ადარებდა ადამიანის სხეულის ორ ნაწილს, და ამბობდა, რომ შეუძლებელია ადამიანს ტკივილისა და ზიანის გარეშე მოაცილო ხელები, ფეხები, ყურები, ან თვალებიო. მსგავსად მისი სულიერი მოძღვარისა, ისიც უარყოფა რელიგიის გარეგნულ, რიტუალურ მხარეს. კასტობრივ განსხვავებას, კერპების თაყვანის ცემას, ფეხთბანის წესჩვეულებასა და ა.შ. სუფიზმთანაა უთუოდ დაკავშირებული, გურუს როლის უფრო დიდი შეფასებაც და იმის მტკიცებაც, რომ კარგ სულიერ მასწავლებელს ყოველგვარ საღვთო წიგნებზე მეტი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმისა, საუბარი მიდის ყურანსა, თუ ვედებზე.

ჰინდუ-მუსულმანური დაახლოება იხატებოდა არა მარტო სინთეზურ რელიგიურ - ფილოსოფიურ მოძღვრებაში, არამედ ორივე სარწმუნოებებისათვის საერთო წმინდათა კულტების შექმნაშიც. მთელს ჩრდილო და შუა ინდოეთში გაფანტულია აკლდამები მუსულმანი წმინდანებისა შეიკებისა, ან „პირების“ („პირ“ - „ბერიკაცი“). ამ წმინდანებთან მუსულმანები მოდიოდნენ იმის იმედით, რომ მათი საშუალებით ალაჰისაგან მოწყალებას მიიღებდნენ, ასევე ჰინდუებიც, რომელთანაც თავიანთი რელიგიის ტრადიციის თანახმად ჯეროდათ იდუმალი ძალისა და წმინდანების ყოვლისუნარიანობისა, რომელთაც ამ მიწიერი ცხოვრებისაგან განდგომით, გულწრფელობითა და ასკეტიზმით დაიმსახურეს საყოველთაო პატივისცემა. ჰინდუებს არ აფრთხობდათ ის, რომ ფაკირი ქადაგებდა უცხო ღვთის მორწმუნოებას, მორწმუნეთათვის მთავარი იყო წმინდანთა ცხოვრება, სავსე განდგომითა და გონებაჭვრეტით. მათთვის წმინდანი ზებუნებრივ პიროვნებას წარმოადგენდა. უბრალო ადამიანი ჩაფლული ყოველდღიურ საქმიანობაში, ყოველთვის ათასჯერ უფრო ხალისით მიმართავდა, რელიგიურ პირს, ე.ი. ადგილობრივ წმინდანსა თუ მოღვაწეს, რომელთანაც გაცილებით უფო მალე პოულობდა სულიერ სიახლოვეს, ვიდრე ღმერთის ბუნდოვან ცნებასთან. ასეთი მორწმუნე თაყვანს სცემდა წმინდანის საფლავს, მას მიმართავდა ლოცვით და ამკობდა მას ღვთაების ყველა თვისებებით. მას სწამდა, რომ წმინდანს შეეძლო მოეშორებია მისგან წინააღმდეგობები, განეკურნა, დაეფარა ბავშვები ფათერაკისაგან და იღბალი ქონოდა ნადირობაში. მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლებს ასევე სწამდათ, რომ ადამიანი - ცოდვიანი არსებაა და ამიტომ იგი ღმერთს უნდა მიმართავდეს შუამავლის, კეთილშობილი წმინდანის, საშუალებით. ბოლოსდაბოლოს სულერთია ეს შუამავალი ჰინდუა თუ მუსულმანი, ოღონდაც ღვთაებრივი ადამიანი იყოს და საჭიროების შემთხვევაში, მის გვერდით იდგეს.

დელში, შეიკ ნიზამ-უდ-დინის აულისა და აჯმირში შეიკის აკლდამებთან სამომლოცაოდ ორივე სარწმუნოების წარმომადგენლები მიდიან. კადირვალი საჰაბის მავზოლეუმში ტანჯავურის ოლქში სამხრეთ ინდოეთში, ჰინდუ ქალები ჯგუფ-ჯგუფად მოდიან, ასევე ჩრდილოეთით - მანერში ჰინდუები მოდიან სალარა მასუდას აკლდამაში, რომელიც ცნობილია გჰაზი მიანის (ძღვეამოსილი მბრძანებლის) სახელითაც, მეორე წმინდანს, ამავე სახელის მატარებელს, ლეგენდის თანახმად, პირველი მუსულმანი დამპყრობის სილჰეთის შვილს, ბენგალიაში თაყვანს ცემენ, როგორც მეთევზეებისა და მეზღვაურების მფარველს. იგი სათავეში უდგას ხუთ მეტად პოპულარულ წმინდანს (პანჩპირს), რომელთაც, მუსულმანი და ჰინდუ მეზღვაურები ისევე ცემენ თაყვანს, როგორც, ამ მდინარის ყურეში მდებარე სამრეკლოებში - ქალღმერთ განგას.

მუსულმანური და ჰინდური კულტურების შერწყმის საბუთები მოიპოვება უტარ-პრადეშიც. ქალაქ აიოდჰიაში ფჰაიზაბადის ოლქში დგას მეჩეთი, რომლის ერთ-ერთ კუთხეში ტრადიციის თანახმად რამა იშვა. აქ ათასობით ჰინდუ მოდის, მაგრამ ეს მაჰმადიანებს სრულებით არ უშლის ხელს. ასევე დერაპურის ჰინდურ ტაძარში ადგილობრივი წმინდა მაჰმადიანის საფლავია. ამ საფუძველზე დგას ლინგამი, რომელსაც თაყვანს სცემენ, როგორც ჰინდუები, ასევე მაჰმადიანებიც. გუჯარატში „მომინთა“ სექტის წევრები, ვეგეტარიანთა მიზაძვით, არ ჭამენ ხორცს, არ ლოცულობენ ყოველ დღე, რაც ისლამურ წესს ეწინააღმდეგება, არ მარხულობენ რამაზანის თვეში და

თაყვანს ცემენ ჰინდურ ტრიადას - ბრაჰმას, შივას და ვიშნუს. იმამ-შაჰი, რომელმაც სამი საუკუნის წინ მიიღო ისლამი, „მომინელებს“ ბრაჰმის განსხეულებად მიაჩნიათ და მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი თავის თავს მუსულმანებს უწოდებენ.

ისლამის რელიგიური ტრადიციები ჰინდუიზმში, საკულტო წესჩვეულების გზით შევიდა. შეიმჩნეოდა სხვადასხვა წესჩვეულებების დაახლოება და შერევა:- მაგალითად ისეთი წესჩვეულებებისა, რომელიც დაკავშირებული იყო ბავშვის დაბადებასთან, ქორწილთან, სიკვდილთან. მრავალი ჰინდუ, ბიჰარში, ქორწილის, ან ბავშვის დაბადების შემდეგ ლეგენდარული წმინდა მუსულმანის ხაჯი ჰიზრის საპატივცემულოდ, მდინარეზე, ქალაქის პატარა გემებს უშვებდა, ვინაიდან წამდათ, რომ ამ პატარა გემს, თან მიჰქონდა ყოველგვარი უბედურება. მუსულმანები ავადმყოფობის შემთხვევაში, ან სიკვდილის წინ, პატიჟობდნენ ჰინდუ ქურუმს, რომელიც ავადმყოფის თავთან, ან მიცვალებულის თავზე, სანსკრიტულ მანტრებს კითხულობდა. მაჰმადიანები ჰინდური ღმერთებს წირავდნენ თხებს, ფრინველებს, პირველი მოსავლის ნაყოფს. ერთი სიტყვით, ამ რიტუალს ხელმძღვანელობდა ჰინდუ. ბენგალიაში მუსულმანები დაბალი კასტიდან, რეგულარულად მონაწილეობდნენ დღესასწაულებში, რომლებიც ეძღვნებოდა ქალღმერთს დურგას. ეპიდემიის შემთხვევაში ისინი თაყვანს ცემდნენ ქალღმერთ შიტალს, რომელიც თითქოსდა იცავდა მორწმუნის დაავადებისაგან. ასევე რაქშაკალისაც, რომელიც მათ ქოლერისაგან იფარავდა. ზოგიერთ დღესასწაულებს, როგორცაა ჰოლი, ჰინდუები და მუსულმანები ერთად ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას.

ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობა დღეს ცდილობს აღადგინოს რელიგიური სიახლოვის ძველი ტრადიციები. ჯ.ნერუმ 1953 წელს აღადგინა ზეიმი („მეყვავილეთა პროცესია“), რომელიც აღინიშნება ორივე სარწმუნოების (ჰინდუებისა და მუსლიმანების) მონაწილეობით, წვიმების სეზონის (მუსონების დამდეგს, დელის მახლობლად - მეჰრავალში. ამ დღესასწაულის შესახებ არსებობს ასეთი ლეგენდა: მოჰოლთა იმპერატორის აკბარის ცოლმა აღუთქვა ყვავილები მიეტანა წმინდა კუტბ-უდ-დინ ბაჰტიარ კაკის საფლავზე - მეჰრავალიში, თუკი ინგლისელები გაუთავისუფლებდნენ მის ვაჟიშვილს. როდესაც მისი შვილი გაათავისუფლეს, დედოფალმა მადლობის ნიშნად მოაწყო საზეიმო სვლა, რომლისთვისაც მეყვავილეებმა ყვავილებისაგან გააკეთეს უზარმაზარი მარაო. ამის შემდეგ ხელმწიფემ ბრძანება გასცა, რომ ეს დღესასწაული ყოველ წელს აღენიშნათ, და მან ჰინდუებსაც შესთავაზა ასეთი მარაო შეეწირათ მეჰრავალიში. იოგ მაიას ძველ ტაძარში. საზეიმო სვლა მზის ჩასვლის შემდეგ იწყებოდა სურია კუნის წყალთან, ხალხის გროვა მოიწევდა სულთანის საზაფხულო რეზიდენციის წინ ვიწრო ქუჩებში, აქ ისინი იყოფოდნენ: - მუსულმანები მიდიოდნენ შეიჰის აკლდამისაკენ, ჰინდუები - კი ტაძრისაკენ. საზეიმო სვლის დროს ატარებდნენ განათებულ, ყვავილების გრანდიოზულ მარაოს, ღამით კი ტბაზე ჩირაღდნები ანათებდნენ.

ჰინდუებისა და მუსულმანების ერთიანობის განმტკიცების აუცილებლობას, უფრო აბსტრაქტული ფილოსოფიური თვალსაზრისით ქადაგებდნენ XIX საუკუნის რეფორმატორებიც - ყველაზე უწინ - უბრალო და მორწმუნე ადამიანი - დიდი-რამაკრიშნა. ამ უკანასკნელის მოძღვრება პირდაპირ იყო დაკავშირებული ქაბირისა და სხვა ინდოელი წმინდანების მოძღვრებასთან, რომლებიც ისწრაფოდნენ სარწმუნოების

ძირითადი შინაგანი პრინციპების რეალიზაციისაკენ. ჰინდუიზმის გარდა, რამაკრიშნა კარგად იცნობდა ქრისტიანობასა და ისლამის, თავის მოძღვრებაში აერთიანებდა ჰინდურ რელიგიისა და ფილოსოფიის მრავალ ასპექტებს და აცხადებდა, რომ ჰინდუიზმსა და ისლამს შორის არ არის სერიოზული განსხვავება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ,ორივე რელიგიის ფორმალურ გამოვლინებებს. თავად ჰინდუ და კალის მგზნებარე თაყვანისმცემელი რამაკრიშნა, ასრულებდა ზოგიერთ მუსლიმანურ რიტუალსა და ლოცვებს, თითქოს ამ გზით, ის აღწევდა ალაჰის მისტიკურ ხილვას.

რამა კრიშნას მოწაფე ვივეკანანდაც ასევე დარწმუნებული იყო იმაში, რომ ინდოეთისათვის ერთადერთ იმედს წარმოადგენს, ორი დიდი რელიგიური სისტემის გაერთიანება. „ჩემი გონებრივი ხედვის წინაშე სრულყოფილი ინდოეთი წარმომიდგენია, როგორც დიდებული და დაუმარცხებელი, რომელიც ისლამისა და ვედანტური სულით გამსჭვალული, თავს აღწევს არევ-დარევასა და ქოსს“ - წერდა იგი 1898 წელს.

„ჰინდუებისა და მუსულმანების დაახლოებისაკენ ისწრაფოდა თანამედროვეობის მრავალი დიდი ადამიანიც. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს მაჰათმა განდის, რომელმაც მტკიცედ უარყო ყოველგვარი სექტანტობა. ის ხაზს უსვამდა, რომ ინდოელების ერთიანობა განურჩევლად მისი სარწმუნოებისა - აუცილებელი პირობაა ქვეყნის პროგრესისათვისო. მისი აზრით ხალხს რელიგია უკანა პლანზე უნდა დაეყენებია იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელიც მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. იგი თავის მსმენელებს ხშირად არწმუნებდა, რომ ინდურ კულტურას არ შეიძლება ეწოდოს არც წმინდა ჰინდური და არც მუსულმანური. 1928 წელს მან განაცხადა: „ხანგრძლივმა შესწავლამ და მდიდარმა გამოცდილებამ საშუალება მომცა მივსულიყავი შემდეგ დასკვნამდე:

1. ყველა რელიგიები მართალნი არიან,
2. ყველა რელიგიები რაღაცაში ცდებიან,
3. მე პატივს ვცემ ყველა რელიგიას, ისევე როგორც ჰინდუიზმს, რომელიც ჩემს რელიგიას წარმოადგენს. მე პატივს ვცემ სხვის სარწმუნოებას, ისევე როგორც საკუთარს”.

განდი არა მარტო მხარს უჭერს და იცავდა ამ იდეებს, არამედ ეყრდნობოდა მათ, პოლიტიკური მოღვაწეობის წლებში,როდესაც იგი სათავეში ედგა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის პარტიას, რომელიც ჰინდუებსა და მუსულმანებს აერთიანებდა.

ინგლისელი კოლონიზატორები კი პირიქით - ცდილობდნენ რელიგიის მიმდევართა შორის არსებული განსხვავება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. XX საუკუნეში მათ დაარსეს პოლიტიკური წარმომადგენლობა მუსულმანებისათვის და 1906 წელს შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია - მუსულმანური ლიგა. მისი ხელმძღვანელობა უარყოფდა ინდოელი ხალხის ერთიანობის პრინციპს და ამით ხელს უწყობდა ინგლისელებსა და იმას, ვინც კი დაინტერესებული იყო დაესუსტებია მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, შეგნებულად აღრმავებდა რელიგიურ-

თემურ ურთიერთ წინააღმდეგობასა და შულს. გარკვეული დროით მათ შესძლეს, ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება შეეტანათ, და მუსულმანთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის ისლამური იდეების აღორძინებისათვის ბრძოლის სახე მიეცათ.

20-იანი წლების ბოლოს მუსულმანური ლიგის ზოგიერთი წევრი უკვე დაჟინებით მოითხოვდა მუსულმანებისთვის ცალკე ტერიტორიის გამოყოფას. იმ მიზეზით, რომ თითქოსდა მუსულმანებსაც გაუჩნდათ საშუალება ხელი მიჰყონ ისეთ ვაჭრობასა და მრეწველობას, რომელსაც მისდევდნენ ჰინდუები მთელს ინდოეთში.

ასე დაიბადა მოთხოვნა პაკისტანის შექმნის შესახებ. მეორე მსოფლიო ომის წლებში ისტორიულ მოვლენათა განვითარებამ გამოიწვია ის, რომ მუსულმანური „ლიგის“ ლიდერებმა თანდათან დაიწყეს პაკისტანის აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მათმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო იმას, რომ 1947 წელს ინდოეთი გაიყო ორ დომინიონად: ინდოეთად (ბჰარატ) და პაკისტანად. ამ ფაქტს მოჰყვა ჰინდუებისა და მუსულმანების სისხლისმღვრელი შეტაკება: დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტვა, რამაც ათასობით ჰინდუთა და მუსულმანთა სიცოცხლე შეიწირა.

ქვეყნის ძალმომრეობით გამყოფამ რელიგიური ნიშანთვისების მიხედვით, ინდოელ ხალხს აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოუტანა. მილიონობით მუსულმანი ოჯახით იძულებული შეიქნა პაკისტანში გახიზნულიყო, და ათასობით ჰინდუ - ოჯახი კი პაკისტანიდან საცხოვრებლად ინდოეთში გამოქცეულიყო. მიუხედავად ამისა, დღეს ინდოეთის მოსახლეობის ერთი მეათედი ისლამს აღიარებს.

ინდოეთის ტერიტორიიდან ყველა მუსულმანის გასახლების გეგმას, შეუძლებელია წარმატება ქონოდა, ვინაიდან იგი ხელოვნურ ხასიათს ატარებდა და ეწინააღმდეგებოდა ამ ქვეყნის ხალხთა ისტორიულ განვითარებას. ინდოეთში ისლამის ისტორიის ათას ორასი წლის არსებობის მაძილზე შეიქმნა მჭიდრო კულტურული ერთობა. მუსულმანები და ჰინდუები, საუკუნეების განმავლობაში ერთი-მეორის გვერდით ცხოვრობდნენ, მშვიდობიანად, როგორც მეგობრები, ვიდრე არ გახდნენ საგანგებოდ გაზვიადებულ რელიგიურ ფსიქოზის მსხვერპლი. ისლამმა, რომელიც ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე, ინდოეთში შექმნა მუსულმანური ინდური - კულტურის ტრადიცია. ერთ-ერთი გავლენის შედეგად ქვეყნის ჩრდილოეთით წარმოიშვა ახალი თავისებური კულტურა, რომლის წაშლა პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებებით შეუძლებელია.

ჰინდური კალენდარი

დუმან ზბავიტელი

ჰინდუიზმი იმ ფორმით, რომელიც მან მიიღო თავისი განვითარების ათასეული წლების მანძილზე, ჰინდუებს უდიდეს საშუალებას აძლევს გამოავლინონ თავიანთი რელიგიურობა. ამასთანავე, მათ შეუძლიათ აირჩიონ ჰინდუიზმის ნებისმიერი რელიგიური განშტოება და არც ერთი მათგანი არ ითვლება სხვებზე უარესად, ან უკეთესად. შესაძლებლობის მრავალფეროვნება - დამახასიათებელი თვისებაა ჰინდუიზმისა, ე.ი. განსხვავება ადამიანის სულიერ განვითარებაში, ადამიანთა მიდრეკილებებში და ადგილობრივ ტრადიციებში. აქედან კარდინალური წინააღმდეგობანი ვთქვათ, იმ ფილოსოფოსს, რომლის შეგენბაშიც წარმოდგენა ზებუნებრივ არსებაზე, ემთხვევა შეხედულებას ბუნებასა და ქვეყნის წყობაზე, და მორწმუნეს შორის, რომელიც მუცელზე ხობავს უგემოვნოდ შეღებილი ქაღალმერთის ქანდაკების წინ, ან ასკეტს (გარინდულს ისეთ პოზაში, როდესაც იგი მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებაზე გონებაჭვრეტას ეძლევა) და ერის კაცს შორის, რომელიც ადგილობრივი ღვთაებების სახელებს ბუტბუტებს. აგრეთვე ძალდაუტანებლობის მომხრესა, (რომელშიც ცოცხალი არსების მოკვლაზე ფიქრიც კი ზიზღს იწვევს) და სოფლელ ქურუმს შორის, რომელიც გათხვრილია ღვთის გულის მოსაგებად დაკლული ასობით თხის სისხლით.

ერთი სიტყვით, მათი უმრავლესობა, რომელიც ღრმა პატივს ცემს წმინდა კაცებსა და სწავლულ-პანდიტებს, არ გამოხატავს მისწრაფებას უფრო განვითარებული ცხოვრებისაკენ (ეს რა თქმა უნდა აიხსნება მოსახლეობის განათლების დაბალი დონით) და კმაყოფილდება ღვთისმოსავობის მეტად პრიმიტიული გამოხატულებით. მათ უამრავი ღმერთებისა და ქაღალმერთების წამთ, როგორც რეალური არსებებისა, რომლებიც განსხეულებულია ქანდაკებებსა და ხატებში, წმინდა მდინარეებში, მცენარეებსა და ცხოველებში, ხოლო მითები კი, მიაჩნიათ ამ ღვთაებების ცხოვრების ნამდვილ ასახვად, მათზე ლოცულობენ და მოაქვთ მათთვის ყვავილები, ნაყოფი, საჭმელი და სისხლოვანი მსხვერპლი.

ჰინდურ პანთეონში, ღმერთების მრავალრიცხოვანობითაა გამოწვეული, ამ ღმერთების თაყვანისცემის საშუალებათა დიდი სიმრავლეც. მიუხედავად ამისა, ჰინდუიზმი, როგორც ერთი მთლიანი რელიგია, არც ერთ ღმერთს არ აძლევს უპირატესობას. ტრადიციამ პირველ პლანზე წამოსწია მხოლოდ ვიშნუ და შივა, როგორც ყველაზე ძლიერი ზებუნებრივი ძალის მქონე არსებები. ამის რეალურ შედეგს წარმოადგენდა ის, რომ აღნიშნული ღმერთები თაყვანისცემის ცენტრში მოხვდნენ. მორწმუნენიც, ძირითადად, ამ ღმერთების მიმართ იჩენდნენ ღვთისმოსაობას. როგორც ავღნიშნეთ, წარმოიშვა ორი ძირითადი მიმდინარეობა - ვიშნუიზმი და შივაიზმი, რომელთა მიმდევრები მიმართავდნენ თავიანთი თაყვანისცემის ყველა საშუალებებსა და ფორმებს. აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ეს სექტები არც

წინააღმდეგებიან და არც მტრობენ ერთი მეორეს. ვიშნუიტები დრულებით არ უარყოფენ შივას, ისევე როგორც სხვა ჰინდური ღმერთების არსებობას, შივაიტები კი არ უარყოფენ ვიშნუს და სრული უფლებით ლოცულობენ მასზე და წირავენ მას მსხვერპლს. (ჰინდუიზმის ათასწლეულ ისტორიაში ერთი ღმერთის მეორეთი ძალდატანებით შეცვლის მხოლოდ ცალკეული მაგალითებია ცნობილი). სწავლული მქადაგებლები კამათობენ ამა თუ იმ ღმერთის უპირატესობასა და სასწაულმოქმედებაზე, მაგრამ მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ორივე სექტის წარმომადგენლები ერთად აღნიშნავენ დღესასწაულებს, მიძღვნილს სხვადასხვა ღმერთებისადმი. ისინი არ წყევლიან „მოწინააღმდეგეთ“ და არ ჰკიცხავენ მათ სამუდამოდ. ჰინდუიზმისათვის საერთოდ უცხოა რელიგიური უაყოფის ცნება და ეგუება იმასაც, რომ იგი აღიაროს სხვა სარწმუნოების წარმომადგენელმაც.

ჰინდუიზმი არ ზღუდავს თავის მიმდევრებს ჰინდური პანთეონის ღმერთიანა ან ქალღმერთის თაყვანისცემის საშუალებათა არჩევაში, მაგრამ მას გააჩნია ასობით და ათასობით წესი, დაწერილი კანონები, თითქმის კანონზირებული ფორმულირებები, ტრადიციული დარიგებები (მოდვრებები, ქადაგებანი) რომლებიც თაობიდან თაობებს სიტყვიერად გადაეცემა. ამ მოძღვრების თეორიულ თავისუფლებასა და შემწყნარებლობის მკაცრ წინააღმდეგობაშია ყოველდღიური პრაქტიკა, რამაც მითითებებისა და დარიგებების შესაბამისად შექმნა ისეთი მკაცრი და სრულიად უცვლელი რამეები, რომელთა გატარება ცხოვრებაში წარმოებს მეტად პუნქტუალურად და ყველასთვის მისაწვდომი საშუალებებით. მართლმორწმუნე დედამთილი მკაცრად დასჯის რძალს, რომელიც დაღამებისას არ აანთებს ლამპარს საშიანო ღვთაების წინაშე, ან წმინდა ბუჩქის წინ სადმე ეზოში. თუმცა ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად დედამთილი ვერაფერს მოიშველიებს გარდა ანდაზისა, რომელიც შესაძლოა მეზობელ უბანშიც არ იციან. თითქმის ყველა ამ უსასრულო „უნდა“, „არ უნდა“-ს, რასაც უბრალო ჰინდუები უყურებენ როგორც ჩვეულებრივ ჭეშმარიტებას, ჩვენ ძნელად ვუპოვით რაიმე საფუძველს, ან რაციონალურ საყრდენს საღვთო წიგნებში. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ ვიმყოფებით რელიგიის ისეთ სფეროში, სადაც ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება (ცხელ ამინდებში ღორის ხორცის აკრძალვა, ძროხების დაკვლა, სულის სისუფთავის დაცვის აუცილებლობა) სულელოური ცრუმორწმონეობა, გადმონაშთები და ტრადიციები კანონის სახეს ატარებენ და ისინი კოდიფიცირებულია.

მაგრამ, კვლავ ღვთისთაყვანისცემის საკითხს დავუბრუნდეთ. მართლმორწმუნე ჰინდუ ნამდვილად არ განიცდის ღვთის სათაყვანებლად, საბაბის ნაკლებობას. დღის განმავლობაში მორწმუნესაგან ტრადიცია მოითხოვს წეს-ჩვეულებების შესრულებას, ლოცვების წაკითხვასა და მსხვერპლის მოტანას (ეს ნაჩვენებია სამხრეთ ინდოეთის ცხოვრების მაგალითებზე, რის შესახებაც ჩვენ წიგნის შემდეგ თავში ვისაუბრებთ). მრვაველგვარ და ზოგჯერ მეტად რთულ რიტუალებს, თან ახლავს ინდოელის ცხოვრების ყველა მომენტი, დაბადებიდან სიკვდილამდე (ამაზე კიდევ ერთ თავში გვექნება საუბარი). მრავალი წესჩვეულება და მსხვერპლის გაღება, რომელთა მიზანია განრისხებული ღმერთების გულის მოგება, დაკავშირებულია ავადმყოფობასთან. ასეთ შემთხვევებში უფრო ხშირად, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევასი, მიმართავენ შავ მაგიასა და ჯადოსნობას, რაც აგრეთვე ხალხური ჰინდუიზმის ნაწილს შეადგენს. და ბოლოს, ცალკეული ღმერთებისა და ქალღმერთების თაყვანისცემის ნიშნად, აღნიშნავენ

დღესასწაულებს (თავის ხასიათით და შინაარსით ისინი მთლიანად არ შეესაბამებიან ქრისტიანულ დღესასწაულებს) რაზედაც ჩვენ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, რომ ტრადიციული ინდური კალენდარი, ერთადერთია, რომელიც დღემდე რელიგიური მიზნებისათვის გამოიყენება, რომელიც აგებულია არა მზის, არამედ მთვარის მიხედვით. თუ დედამიწიდან მთვარეს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ იგი დღითი დღე ადგილს ინაცვლებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და კონუქციაში შედის სხვადასხვა ვარსკვლავებთან, ე.ი. გამუდმებით ახლოს იმყოფება ვარსკვლავების ამა თუ იმ ჯგუფთან. ეს „წრიული ბრუნვა“ გრძელდება 27 მზიურ დღესა და 7 3/4 საათს. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ცნობილი იყო „მთვარისეული“ 27 თანავარსკვლავედი, (მათი ძველი სახელწოდებები დღემდე შემორჩენილია). თუ პურანების მიხედვით ვიმსჯელებთ, 27 თანავარსკვლავედი წარმოდგენილია როგორც 27 ქალიშვილი, რომლებსაც თხოულობს თვე. თვე თითოეულ მათგანთან რიგრიგობით ცხოვრობს. ეს თანავარსკვლავედები არ ემთხვევა ევროპული ასტრონომიის თანავარსკვლავედებს. მაგალითად, ჩვენი „ლომის“ ცალკეული ვარსკვლავები ფიგურირებენ სამ ინდურ თანავარსკვლავედში (მაგჰაში, პურვაფჰალგუნსა და უტაკჰალგუნში) და ორიონა კი ორში (რიგაშირასა და არდაში) დ.შ. მთვარისა და მზის ციკლების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ინდოელმა ასტრონომებმა 28-ე თანავარსკვლავედი დაამატეს.

ჩვენ განვიხილავთ, აგრეთვე იმას, თუ როგორ გამოიყენებოდა მთვარის მოძრაობა ინდური ასტროლოგიის მიერ, რომელიც მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, განსაკუთრებით თვეთა კონიუქციები, ამა თუ იმ თანავარსკვლავედებთან (სანკრანტებთან).

გარდა გაერთიანებული წელთაღრიცხვისა, რომელიც შემოღებულია ინდოეთში ინგლისელების მიერ, აქ არსებობს კიდევ თარიღის აღნიშვნის რამდენიმე საშუალება: ერთიანი კალენდარი არასოდეს არ არსებობდა. ეპოქის დაყოფა დაკავშირებული იყო ზოგიერთ მმართველებთან და ხშირად მათი სახელსაც ატარებდნენ. ასე მაგალითად, ვიკრამას ერა იწყება 58 წელიდან, რომელიც თითქოს მეფე ვიკრამადიტამ დააწესა შაკიზე გამარჯვების ნიშნად. ყველაზე გავრცელებულ კალენდრად ითვლება, შაკის კალენდარი (მისი დასაწყისი თარიღდება 78 წლით) ხოლო ჰარშის კალენდარი (605-ე წლით) არსებობს ადგილობრივი კალენდარი - ბენგალიაში, სადაც მაგალითად წელთაღრიცხვა მთელი 593 წლით „ახალგაზრდაა“ ქრისტიანულზე.

წელიწადი ჰინდური კალენდრისა იყოფა თვეებად, რომლებიც შეიცავენ დაახლოებით ოცდაათ მთვარიან დღეს. საზომი სვეტის ფუნქციას ასრულებს ახალი მთვარე და ნახევარმთვარე, რომელიც თვეს ორად ჰყოფს: ნათელ ნახევრად, ახალი მთვარის შემდეგ და მუქნახევრად, ნახევარმთვარის შემდეგ. თუმცა ინდური წელიწადიც 12 თვისაგან შედგება და ტერიტორიის უდიდეს ნაწილში წლის აღრიცხვა იწყება ნახევარმთვარიოს პერიოდიდან - განსხვავება მზიან წელიწადთან შედარებით თანაბრდება ყოველი ოცდაათი თვის შემდეგ, ერთი თვის დამატებით. ინდურ თვეებს თორმეტი თანავარსკვლავედის სახელი ქვია, მათი დასაწყისი დაახლოებით ემთხვევა ჩვენს შუა თვეებს.

დღეესც აქვთ თავიანთი ნუმერაცია, რომლის მიხედვითაც ის იწოდება. მაგალითად, ეკდაში - „მეთერთმეტე“ ნიშნავს მეთერთმეტე დღეს, მთვარიანი თვის ყოველ ნახევარში ფჰალგუნ შუდი 5 - შემოკლებული აღნიშვნა მეხუთე დღისა ახალი მთვარის შემდეგ, ფჰალგუნის თვეში და დაახლოებით ემთხვევა ჩვენს თებერვლის მეორე ნახევარსა და დასაწყისს.

მთვარიანი დღეების ნუმერაცია არ არის უბრალო ფორმალობა. მთვარის კალენდრის მიხედვით აღინიშნება ჰინდუიტური დღესასწაულები, სრულდება საოჯახო და სატამრო წეს - ჩვეულებები. ყველაზე მნიშვნელოვანი უკვე აღნიშნული სანკრანტი, როდესაც თვე გადადის ერთი თანავარსკვლავედიდან მეორეში, ისევე როგორც ყველა ნახევარმთვარის და ახალი მთვარის დღეები. ისინი განსაზღვრავენ, ამა თუ იმ ზეიმის თარიღს, მას უხამებენ საოჯახო წეს-ჩვეულებებს, განსაკუთრებით ქალები, მარხვასა და ა.შ. მარხვა, მაგალითად ინდოეთის უმეტეს ტერიტორიაზე იწყება ყოველთვის მეთერთმეტე დღეზე, ანგარიშს იწყებენ, როგორც ახალი მთვარიდან ისევე ნახევარმთვარიდან.

ჰინდური დღესასწაულების რიცხვის დადგენა პრაქტიკურად შეუძლებელია: ღმერთები და ქალღმერთები, მრავალია. თაყვანს სცხემენ მათ იმ დღეებში, რომლებიც მიძღვნილია ან მათ სხვადასხვა განსხეულებებისადმი, ან მათი მითოლოგიური გმირების ხსოვნისადმი. შივას განსაკუთრებით ეთაყვანებიან ახალი მთვარის ყოველ ღამე (შივარატრი ე.ი. შივას ღამე), ზოგიერთ რაიონებში ხშირად აღნიშნავენ დღესასწაულებს, რომლებიც სრულიად უცნობია ქვეყნის სხვა ნაწილში, ამიტომ ჩვენ არ შევეცდებით მათი რიცხვის განსაზღვრას და შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმე საყოველთაო ხასიათის დღესასწაულებზე.

ჰინდური კალენდრის მიხედვით ჩვეულებრივ წელი იწყება ვაიშაკჰას თვის (ჩვენი აპრილი, მაისი), რომელსაც მოსდევს ჯიაშითჰა. ეს ყველაზე ცხელი პერიოდია და ბუნებრივია, რომ ამ სეზონში შედარებით ნაკლები დღესასწაულია. ვაჭრები მართალია, აღნიშნავენ ახალ წელს თავიანთი მფარველი ღმერთის - განემის თაყვანისცემით, რომელსაც სიმბოლურად წირავენ ახალ საბუღალტრო წიგნებს, მაგრამ ინდოეთის ცხელი რაიონების ფართო მასები არ მონაწილეობენ ამ დღესასწაულში.

სამაგიეროდ მესამე - აშარჰას თვეში (ივნისი, ივლისი) ყველაზე უწინ აღმოსავლეთ ინდოეთში ღმერთ ჯაგანათჰის სათაყვანებლად დიდი ზეიმი იმართება (რათჰჯატრა). ბენგალიის, ასამის და ურისის შტატების ქალაქებსა და სოფლებში, განსაკუთრებით ქ. პურიში, მთელი ინდოეთიდან მოდიან მორწმუნეები, ჭრელად შეღებილ, დიდბორბლებიან ეტლზე მაგრდება ტახტრევანდი, რომელზედაც ღმერთი ჯაგანათჰი ზის, მის გვერდით ათავსებენ მის ძმას - ბალარამსა და მის დას - სუბჰადრუს. ეს სამივე თითქოს და ხისგან უხეშად გამოკვეთილი ქანდაკებები - ჰინდური მითოლოგიის ამოუწურავი საგანძური იძლევა ამ მოვლენის ახსნის რამოდენიმე ვარიანტს: ზეიმის დასაწყისში სრულდება სანჯატრა ე.ი. როცა ბანენ ღმერთს, შემდეგ იგი ტამარში სტუმრად მიჰყავთ მის ნათესავებთან. თვით რატჰჯატრა - ზეიმის კულმინაცია, ღმერთის შინ დაბრუნების სიმბოლოს წარმოადგენს.

შრავანის თვეში (ივლის-აგვისტო) ახალმთვარის მერვე დღეზე ნახევარმთვარის შემდეგ, მარხვითა და ყოველგვარი საჭმლის შეწირვით, აღინიშნება ვიშნუს ყველაზე პოპულარული განსხეულების - კრიშნას დაბადების დღე, ხოლო ბჰადურას თვეში (აგვისტო-სექტემბერი - დაბადების დღეა, შივას სპილოსთავიანი შვილის გნემისა, სიუხვისა და მშვიდობიანობის ღმერთისა განემაჩატურთჰი) ვინაიდან, ლეგენდის თანახმად, მას ყველაზე მეტად ბრინჯიანი ტკბილი ნამცხვრები უყვარდა, დიასახლისები იმ დღეს ისწრაფვიან ამგვარი საჭმელი დაამზადონ, რათა სიმბოლოურად ჯერ განეშს მიათვან, და მერე ოჯახის წევრებს გაუნაწილონ.

საბოლოოდ ძირითადი დღესასწაულების თვეები, შემოდგომის თვეებია აშვინი - (სექტემბერ-ოქტომბერი) და კარტიკი - (ოქტომბერ-ნოემბერი). სამხრე ინდოეთში ამ დროს მსხვერპლს წირავენ ლაქშმისა და სარასვატის, ჩრდილოეთ ინდოეთში აღნიშნავენ ნავარატრისა, ან დაშაჰრუს, ნებგალიაში წლის მთავარი დღესასწაულია - დურგაპუჯა. ეს არის შემოდგომის არდადეგების, სახლის დალაგებისა და ახალი სამოსელის შეძენის, მხიარულობისა და ყოველნაირი გართობის პერიოდი. ყველა ოჯახი ცდილობს დაიტრაბახოს ქალთმერთი დურგას საკუთარი გამოსახულებით. ზეიმში ასახავენ დურგას მიერ დემონ მაჰიშუს დამარცხების მომენტს. გამოსახულება მორთულია ყვავილებით, სანთლებით, ქალღმერთი და მატერიებით, რომლებიც ძვირფასი სამკაულის იმიტაციას წარმოადგენს კალკუტაში (კალკატა) ყოველწლიურად ათასობით, ამგვარი გამოსახულებები გამოაქვთ გასაყიდად. ისინი მორწმუნეთა და ცნობისმოყვარეთა დიდი ყურადღებას იმსახურებენ. ასეთი გამოსახულება კეთდება წმინდა მდინარე განგას თიხისაგან, და როგორც წესი, მას უნდა ჰქონდეს ტრადიციული ფრომა, თუმცა ახალგაზრდა მხათვრებს არავენ ადანაშაულებს, როდესაც ისინი ქალღმერთს ახალს და ზოგჯერ თანამედროვე სახეს აძლევენ. სამი დღის განმავლობაში დურგას გამოსახულება ისეთ ადგილზე იმყოფება, სადაც ის ყველას შეუძლია იხილოს (უფრო ხშირად კი ტილოს კარავში). ქანდაკების წინ ყოველდღე სრულდება რამოდენიმე წირვა, ლოცვა. ტაძრის ბრაჰმანი ქურუმში ქალღმერთს სთავაზობს მორწმუნეების მიერ მოტანილ საჭმელს, და შემდეგ მას დამსწრეთ უნაწილებს.

უკანასკნელ დღეს, მზის ჩასვლის შემდეგ, ქალღმერთის ყველა გამოსახულებები მიაქვთ მდინარეში, სასურველია განგაში, რათა თიხა დაბრუნდეს იქ საიდანაც იგი აიღეს. მართლაც რომ ზღაპრულად გამოიყურება განგას შესართავი კალკუტაში (კალკატაში). პუჯას საზეიმოდ დღეს მასზე სხვადასხვა მიმართულებით მიცურავენ ბრტყლძირიანი ნავები, რომლებზეც მოთავსებულია ქალღმერთის ქანდაკება, რომელიც ზოგჯერ მეტად დიდი ზომისაა. ნაპირზე თავმოყრილი მაყურებლების, მხიარული შემახილებით ეგებებიან მდინარეში ქალღმერთის ჩაძირვას. ქალღმერთის გამოსახულებით დატვირთული მანქანებისა და ეტლების ქარავნებიც ასევე მეტად საინტერესო სანახავია. მათ ირგვლივ თავს იყრიან ენთუზიასტთა ჯგუფები, რომლებიც ადიდებენ დურგას, ხშირად გუნდურად მღერიან. ასრულებენ სხვადასხვა ნაწარმოებებს, იწყებენ რელიგიური ჰიმნებისა და პატრიოტული სიმღერებით და ამთავრებენ თითო ჯაზური მელოდიებითაც კი. დღესასწაულის დღეებში კალკუტასა (კალკატა) და სხვა ქალაქებში ტარდება ფესტივალები, იმართება თეატრალური წარმოდგენები, ეწყობა მუსიკალური საცეკვაო საღამოები, გაზეთები და ჟურნალები ამ დღეისთვის უშვებენ დამატებას, რომლებშიც მოთავსებულია პოეტებისა და მწერლების ახალი ნაწარმოებები. ნათესავები და მეგობრები ერთმანეთს ულოცავენ დღესასწაულს, როგორც წერილებით,

ასევე სიტყვიერად. მთელი ბენგალია იმ დღეებში საზეიმო ჟრიამულსა და დროსტარებაშია.

ინდოეთის აღმოსავლეთ რაიონებში დურგანპუჯასთან პირდაპირ არის დაკავშირებული დღესასწაული კალიპუჯა, რომელიც მიძღვნილია ნაკლებად მიმზიდველ ქალღმერთისადმი - მას გამოხატავენ ენაგამოყოფილსა და კბილებდაკრეჭილს, რომელსაც მრავალი ხელი აქვს. თითოეულ ხელს სხვადასხვა იარაღი უჭირავს. კალის კულტის ცენტრია კალკუტის (კალკატის) ტადარი - კალიგჰატა (აქედან სწორია კალკატა, როგორც ინდოეთში მას უწოდებენ და არა „კალკუტა“ მთ. სენ. ნ. კ.) სადაც მორწმუნეებს შესაწირავად თხები მოჰყავთ. ქალაქში, ტენტის კარვების ქვეშ კვლავ ამ ღვთაების გამოსახულებები ჩნდება, თუმცა გაცილებით ნაკლები რაოდენობით, ვიდრე დურგაპუჯის დღესასწაულებში. ტრადიციის თანახმად, სისხლისმწყურვალე კალის პირველ რიგში თაყვანს სცემდნენ დამნაშავეები, მათ შორის მახრჩობელების - ბანდები (ტჰაგები), რომლებიც მსხვერპლად ადამიანს სწირავდნენ. აღმოსავლეთ ბენგალიაში ამ ტრადიციას მოგვაგონებს, დღმდე შემორჩენილი წეს-ჩვეულება - ადამიანს პატარა ფიგურების მსხვერპლად შეწირვა.

ოცი დღის შემდეგ ნავარატრის დამთავრებიდან, აღინიშნება ღამის დივალი, ბედნიერების ქალღმერთის ლაქშმის თაყვანისცემის ნიშნად. ეს დღესასწაული განსაკუთრებით პოპულარულია ჩრდილოეთ ინდოეთში. იგი ლამპერების დღესასწაულია, ქალაქები და სოფლები ნათდებიან აურაცხელი ლამპრებითა და ნათურებით, მაკაცები შუშხუნებს აწყობენ და ანათებენ ბენგალურ ცეცხლებს, მეხანძრეები კი ვერ ასწრებენ ხენძრის ჩაქრობას.

მე არასოდეს დამავიწყდება კალკუტა (კალკატა), რომელიც ერთ ღამეს, თვითმფრინავის ფანჯრიდან ვნახე. სახლების ბრტყელი სახურავებითა და ტერასებით თითქმის დაფარულიყო გვირგვინებით. შუა ღამით, როდესაც სინათლეები ჩაქრნენ, ქალაქი დაფარა კვამლის სქელმა ღრუბლებმა, რომლებსაც აქა-იქ ხანძრის ალი არღვევდა, ეს კი რა თქმა უნდა, არ იყო გათვალისწინებული სადღესასწაულო პროგრამით. აღმოსავლეთ ინდოეთში, ამ დღეს, გარდაცვლილთა ხსოვნის აღსანიშნავად განსაკუთრებულ მსხვერპლს წირავენ. ანთებული ცეცხლები ამ დროს თითქოსდა სიკვდილის ღმერთის - იამის მიწისქვეშა სამეფოს ანათებენ.

ინდურ შემოდგომას ბრინჯის აღების სეზონი მოსდევს. ბრინჯი კი როგორც ცნობილია, ინდოეთის ძირითადი სასოფლო კულტურა და კვების უმთავრესი პროდიქტია. მოსავლის აღებასთანაა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი რელიგიური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც ქვეყნის ცალკეულ რაიონებში სხვადასხვა ხასიათს ატარებენ, და რაღაცით სამხრეთ ევროპის ქვეყნების მოსავლია დღესასწაულებს მოგვაგონებენ.

ამგვარ დღესასწაულებს შორის, ყველაზე ცნობილია სამხრეთ ინდური პონგალი, რომელიც დაახლოებით იანვარს ემთხვევა.

გაზაფხულის მოსვლა აღინიშნება სარასვატიპუჯათი, რომელიც მიძღვნილია მეცნიერებისა და ხელოვნების ქალღმერთ სარასვატისადმი. ბენგალიაში ეს

დღესასწაული აღნიშნება მეხუთე დღეს მაგჰის (იანვარ-თებერვალი) თვის ახალი მთვარის შემდეგ და გრძელდება სამი დღე. თიხისაგან გამოძერწილი, ჭრელად შეღებილი ქალიძმერთების ქანდაკებებს ყველაზე უწინ თაყვანს სცემენ მწვანე, ახალ ფორმებში გამოწყობილი მოწაფეები. მათ აქ მოაქვთ სასწავლო სახელმძღვანელოები, წიგნები რვეულები, კალმები, რომლებითაც უნდა ისარგებლონ წლის ბოლოს გამოცდების მოსამზადებლად. ყოველ სკოლას „თავისი“ სარასვატი მოაქვს, რისთვისაც საგანგებოპდ აგროვებენ ფულს. ბავშვები ცდილობენ, რომ მათი ქანდაკება ყველაზე, ლამაზი და მიმზიდველად იყოს მორთული.

უფრო პოპულარულ დღესასწაულებს ეკუთვნის გაზაფხულის დღესასწაული - ჰოლი, რომელიც იმართება ახალმთვარის ფჰალგუნის თვის (თებერვალი-მარტი) შემდეგ. ლიტერატურული წყარობის მიხედვით, ეს უძველესი ჰინდური დღესასწაულია, რომელიც ეძღვნება სიყვარულის ღმერთს - კამას. თანამედროვე ინდოეთში კამას უკავშირებენ ქვეყნის მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში, სადაც იხსენიებენ იმ დღეს, როდესაც შივამ დაწვა კამა იმისათვის, რომ იგი ხელს უშლიდა მას იოგურ გარინდებისას. ქვეყნის ჩრდილოეთით აღნიშნული დღესასწაული კრიშნას ეძღვნება. ქანდაკება ჩვეულებრივ იდგმება საქანელაზე, რაც ვიშნუს მწყემსში განსხეულებასა და სახუმარო თამაშობების სიმბოლოს წარმოადგენს, აქედანაა დღესასწაულის მეორე სახელწოდება - დოლაჯატრა. „ქანაობის დღესასწაული“. ამჟამად ამ დღესასწაულის უწინდელი ფორმიდან შემორჩა მხოლოდ მეტად გავრცელებული, (ინდოეთის მოსახლეობის ყველა ფენებში), წესჩვეულება, როდესაც ერთმანეთს წითელ ფხვნილს აყრიან და ასხამენ სხავადსასხვა ფრად შეღებულ წყალს, ამ დღესასწაულს „ჰოლის“ უწოდებენ. საღებავებით დალაქიანებულ სამოსელს დიდხანს არ იცვლიან. ზოგჯერ ახალგაზრდები „ჰოლის“ დღეებში უხეშობენ და ხულიგნობენ კიდევაც: როდესაც მათ საღებავი და ფერადი ფხვნილი უთავდებათ ხოლმე, ისინი გამვლელებს ტალახს ასხამენ, ან აგურებსა და ქვებს ესვრიან, რაც ხშირად გამვლელთა სერიზოულ დაშვებას იწვევს. უფრო იშვიათია წესჩვეულება, როდესაც ღამით წვავენ ჰოლიკად წოდებულ ჩალის თოჯინას.

შივაიტები თავის შივარატრის (შივას ღამე) აღნიშნავენ ყოველთვე ახალი მთვარის ღამით, ხოლო მას განსაკუთრებულად ზეიმობენ პჰალგუნის(თებერვალი-მარტი) ან ჩაიტრის (მარტი-აპრილი) თვეში - მაჰაშივარატრის (შივას გრძელი ღამე). ბნელი ღამით, სოფლიდან სოფელში გაისმის დოლების ხმები, რომელიც მორწმუნეებს იხობს წესჩვეულებების შესასრულებლად მღერაინ შივას სადიდებელ სიმღერებს. ზოგიერთ რაიონებში უფრო ძლიერ ფანატიკოსთა შორის, წესად შემორჩა ლინგამის (ქვის ფალოსის) ქება, როდესაც სრულდება მეტად ეგზოტიკური სარიტუალო ცეკვები, რომლებიც გრძელდება მანამდე, ვიდრე მოცეკვავეები უგონოდ არ დაეცემიან. სიცოცხლის ძალის მომნიჭებლის სათაყვანებლად ტრადიციულად, ეროტიკულ ორგეებსაც მართავენ.

კვლავ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენ ვერ ჩამოვთვალეთ ჰინდური დღესასწაულების უმცირესი ნაწილიც კი. ზოგიერთ რაიონში დიდი სიყვარულით სარგებლობს დღესასწაული - რამლილა (რამის თამაში) მიძღვნილი რამასადმი, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს ვიშნუს ერთ-ერთ კითხვა ნაწყვეტებისა ტულსი დასის, ჰინდის ენაზე შექმნილ „რამაიანადან“. არანაკლები დღესასწაულია დაკავშირებული,

კრიშნას და რადჰას სამწყემსოსი ლეგენდასთან. მაგალითად : ბენგალური ზეიმი - რასი. იგი შესდგება მწყემსებისა და მწყემსი ქალების ცეკვებისაგან, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია ადგილობრივი ტომების სანტალების ტრადიციებთანაც.

მთელს ინდოეთსა და მის ზოგიერთ რაიონებში გავრცელებული დღესასწაულების გარდა, არსებობს კიდევ „პროფესიული“ დღესასწაულები, ვთქვათ, გლეხებისა და ხელოვნების - ვიშვაკარამპუჯა, ასევე ოჯახური, რომლებიც მხოლოდ ოჯახის ვიწრო წრეში აღინიშნება. მაგალითად ძმებს ბენგალური დღესასწაული (ბჰრატრადვიტია) და სიძეების (ჯამაიშაშთჰი) ძველთაგანვე ისინი ხელს უწყობდნენ დამოკიდებულებების განტკიცებას იმ ვაჟიშვილებს შორის, რომლებიც ოჯახიდან მიდიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დღესასწაულები, როდესაც მრავალწევრიანი ოჯახის დაშლა ხდება.

როგორც ვხედავთ, ყოველი პუჯა თავისებურ ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია ამა თუ იმ ლეგენდასთან, ან მითთან, რომელიც ჰინდუსათვის ბავშვობიდანვე ცნობილია. ასე მაგალითად, მითში, რომელსაც კალის დღესასწაული ემყარება, მოთხრობილია, რომ დემონების მეფემ შუმბჰამ, მთების მეფე ჰიმავეანტა ჩანდის, მისი ღვთაებრივი სილამაზის მქონე ქალიშვილის ხელი სთხოვა, როდესაც უარი მიიღო, მეფის წინააღმდეგ მუნდის წინამძღოლობით დემონთა ლაშქარი გაგზავნა, ქალღმერთი ჩანდი განრისხდა, გაუსკდა შუბული, საიდანაც გამდოვიდა ვეფხის ტყავითმოსილი მრისხანე „ქალღმერთი კალი“, რომელსაც კისერზე ადამიანების თავის ქალასაგან გაკეთებული გვრიგვინი ეკიდა, მრავალ ხელში კი ეჭირა გველები და ხის პალოები, კალიმ დემონთა ჯარი დაამარცხა და მოკლა მათი წინამძღოლიც. კალიპუჯას ზეიმობისას ქალღმერთს ისეთნაირს (გამოსახვენ) აკეთებენ, როგორც იგი ლეგენდებშია არღწერილი: „მის ფეხებთან დახოცილი დემონების გვამები ყრია“.

ყველა დღესასწაულების საერთო შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ის წესრეულებები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სრულდება ბრაჰმანების მიერ. შელოცვებისა და ლოცვების წარმოთქმა. რიტუალური მოქმედებები, როგორცაა ქანდაკების ეგრეთწოდებული გამოცოცხლება (პრანპრატიშთჰა) და მისი გაიგივება იმ ღმერთთან ან ქალღმერთთან, რომელსაც იგი წარმოადგენს, იმაში გამოიხატება, რომ ჯერ ნიჟარას დაუკრავენ, შემდეგ შესაწირავად მოაქვთ საჭმელი (ყველაზე ხშირად ბოსტნეული და ბრინჯი) და ყვავილები, ქანდაკებას უცხებენ სანდალის მალამოს, ასხამენ ერბოსა და ზეთს და ა.შ. დამახასიათებელია, რომ დღესასწაულზე წესრეულების შესრულების დროს არ იცავენ ისეთ სამარისებულ სიჩუმეს, როგორც ვთქვათ ეს ხდება კათოლკური წირვის დროს, ისინი ზოგჯერ თავისუფლად ერთობიან და ხშირად მაყურებლებს უფრო ჰგვანან, ვიდრე დღესასწაულის მონაწილეებს.

მთავარი დღესასწაულები, განსაკუთრებით სოფლად, ყოველწლიური ბაზრობის მოწყობის სახით საბაბს წარმოადგენენ, რასაც ჩრდილოეთ ინდოეთში „მელას“ უწოდებენ. თუ თქვენ, რომელიმე მათგანზე მოხვდებით იოლად დარწმუნდებით, რომ ჰინდურ დღესასწაულებში რელიგიურ მხარეს, მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მელას, უმთავრესი საზოგადოებრივი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთელი რაიონის მცხოვრებთათვის წარმოადგენს მეტად იშვიათ შესაძლებლობას, რათა შეხვდნენ ერთმანეთს, შეისყიდონ ისეთი საქონელი, რომელსაც იოლად ვერ მოულოებენ სოფელად., აგრეთვე, რომ მცირე ხნით თავი დააღწიონ ყოველდღიურ ცხოვრებას და

გაერთონ ყოველნაირად: ნახონ სახალხო თეატრი, მოისმინონ მუსიკა და სიმღერა, პოეტების საჯარო გამოსვლა (მაგ.: მუშაიარა - ურდუზე ნიშნავს პოეტების ჰაეჟრობას), ხალხური მთქმელების ამბები, ხალხური ეპოსის კითხვა, და ბოლოს, მიიღონ სიამოვნება კინოსა და ჩეულეზრივ საბაზრო ატრაქციონებში (კარუსელები, საქანელები, ვარიეტე და სხვა) და სოფლის მოსახლეობის დაინტერესება ამ დღესასწაულებით ძნელი გასაგები არაა, თუ გავითვალისწინებთ მათი განათლების დაბალ დონეს და საერთოდ სოფლის უფერულ ცხოვრებას.

თუ ჩენ გამოვყოფთ მხოლოდ იმ დღეებს, რომლებიც აღნიშნულია ჰინდურ კალენდარში წითელი ფერით, მკითხველს შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, რომ თითქოს ჰინდუიზმი სხვა დღეებს „ყურადღებას არ აქცევს“. ასეთი შთაბეჭდილება აბსოლუტურად მცდარია. ამას მოწმობს უფრო დაწვრილებითი ცნობარები, რომლებიც დიდი ტირაჟით გამოდის ყველა ინდურ ენაზე. ისინი შეიცავენ დეტალურ წესებს, მასზე თუ როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე, მთვარის კალენდრის ამა თუ იმ დღეს, რათა ღმერთების გული მოიგოს და თავიდან აიცილოს გარემოებით გამოწვეული არასახარბილო დამთხვევა. შაინტერესია, რომ ეს ცნობები უპირველეს ყოვლისა განკუთვნილია ქალებისათვის, რადგან თითქოს და მათ მიერ რელიგიური წესჩვეულებების დაცვას შეუძლია მოახდინოს კომპენსირება იმ საზოგადოებრივი ფუნქციებისა, რომლებიც მათ ჯერ კდევ ძველთაგანვე ტრადიციულმა ჰინდურმა საზოგადოებამ წაართვა.

მაგალითისათვის, გადავშალოთ ბენგალური წიგნი „მეიდრი ბრატაკათჰა“ (ქალების რელიგიური წესჩვეულებების შესახებ), სადაც ლაპარაკია ეგრეთწოდებულ ბროტებზე, (სანსკრ. „ვრატა“), ანუ რელიგიურ აღთქმებზე და მათ მკაცრ დაცვის საშუალებებზე, მხოლოდ ქალებისა და ქალიშვილების მიერ.

პირველსავე ცხრილის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ ცნობარი შეიცავს ორმოცდაათზე მეტ წეს-ჩვეულებას, რომელთა უმრავლესობა ციკლურ ხასიათს ატარებს. განმარტების სახით მოცემულია მრავალი ლეგენდა, რომელიც ეხება ამა თუ იმ წესჩვეულების წარმოშობასა და შინაარსს, რაც შემდეგ მიუთითებს მასზედ, რომ წესების უმრავლესობა დაკავშირებულია კეთილდღეობისა და ბედნიერების ქალღმერთ ლაშქმისთან, ასევე ზავშვების მფარველ ქალღმერთ შაშთჰისთან და ოჯახის კერის მფარველ ქალღმერთ - ჩანდისთან, რომ საჭიროა გათხოვილი ქალის წესჩვეულებები განსხვავდებოდეს ქალიშვილების წეს-ჩვეულებებისაგან. ბეჯითად შემდგნელი აღწერილობასა და ლეგენდებს თან ერთვის დარიგებები, რომელთა მიზანია დაეხმაროს მკითხველ ქალებს, რომ ისინი იყვნენ ერთგული და მზრუნველი დედები, რათა ამგვარად მიუახლოვდნენ ძველი ინდოეთის იდეალურ ქალის სახეებს. სწორედ ქალებმა რელიგიური აღმაფრენით და ღვთისაკენ ლტოლვით უნდა უზრუნველყონ ოჯახი და სახლი ბედნიერებით, ღმერთთა სიმჰათიითა და კეთილგანწყობილებით.

შემდეგ ჩამოთვლილია წესები, რომლებიც დაყოფილია ინდური კალენდრის თვეების მიხედვით. მოგვყავს ნაწყვეტი „ჰუნია-ჰუკურობროტადან“ („წმინდა ლელეს წესები“): „ეს წესი უნდა შესრულდეს ვაიშაქჰის თვის ყოველ დილას, მაშინვე როგორც კი „ჩაიტრის“ თვე დასრულდება. შეასრულე ეს წესი ოთხი წლის განმავლობაში“.

„დაგვიღ ეზოში ღელეს ნაპირზე, ბაღში, მოკირწყლულ იატაკზე, გააკეთე ფეხის ტერფის სიგანის პატერა ტბორი და ირგვლივ მიწა შემაყარე. ყველა ადგილზე აღნიშნე გჰატი და მორთე ორი მონეტით, შუაში დარგე ტულისის ბუჩქი (ზოგჯერ უმატებენ ბელლას ხის ტოტებს ან ფოთლებს). ვიდრე წესჩვეულებას შეასრულებდე, დაპატიჟე ბრაჰმანი და მიაღრთვი რაიმე საჩუქარი. (ზოგიერთ რაიონში არსებობს წესი, როდესაც ოთხ ბრაჰმანს პატიჟებენ)... წესჩვეულების შესრულების საშუალებებია: თეთრი ყვავილები, სანდალის საცხებელი, დარბჰას ბალახი და ერთი დოქი წყალი.

სახით აღმოსავლეთისაკენ დაჯექი, დაიწყე დოქიდან წყლის გადმოსხმა და თან წარმოთქვი:

შენ, ტულისი ნარაინო,
შენ, ტულისი, ვრინდავანო,
შენს თავზე ვღვრი წყალს
რომ სიკვდილის მერეც,
ვიცხოვრო შენთან.

(ნ.კ.)

შემდეგ დარჩენილი წყალი ტბორში გადმოღვარე და თან წარმოთქვი:

წმინდაო ღელევ, დღისით თუ ღამით,
ვინღა გინათოს შუადღის მერე?
თუ არა მე- წმინდა ქალმა,
შვიდი ძმით დამშვენებულმა
ყოვლად უმწიკვლომ.

(თ. ნ.კ.)

როცა შეწირავ მსხვერპლად ყვავილებს, სანდალის საცხებელსა და დარბჰის ბალახს წარმოთქვი:

რას მიიღებს მსხვერპლის მომტანი?
საბრალო ქალი ბევრ ფულს მოიხვეჭს.
იქნება წმინდა, როგორც სავიტრი,
ქმრისთვის ძვირფასი ბაჯაღლო ოქრო,
შობს ვაჟიშვილებს მხოლოდ,
და სიცოცხლის ბოლოს
ჩაასვენებენ წმინდა განგაში.

(ნ.კ.)

ამის შემდეგ ტბორში სამი მუჭა ყვავილი ჩაყარე, სარის ბოლო კისერზე შემოიხვიე და როცა დაიჩოქები მიწას შუბლით შეეხე. ეს წესი შეასრულე ოთხი წლის განმავლობაში.

„ნაქჰჰუტერ ბროტა“ („ზრჩხილების მოჭრის წესები“) წესთა ცნოვრებაში შემდეგნაირადაა აღწერილი: „ეს წესი უნდა შესრულდეს ჩაიტრას თვეში სავსე მთვარის მეოთხე დღეზე. ზოგჯერ მას ოთხი წლის განმავლობაში ოთხჯერ იმეორებენ, ზოგჯერ კი უბრალოდ ოთხჯერ ზედიზედ.“

1. წესჩვეულების შესასრულებლად აუცილებელია დალაქი ქალის დასწრება, რომლის გარეშე წესის შესრულება არ შეიძლება.
2. ფჰალგუნის თვის განმავლობაში, მაგჰა ბოლო დღემდე ფრჩხილების მოჭრა არ შეიძლება.
3. ჩაიტრა თვის დასაწყისში, ვიდრე წესს შეასრულებდე, ზეითუნით უნდა დაიზილო ტანი.
4. წესის შესარულებლად, უნდა იქონიო პირსახოცი, ხუთი ზაფრანი, ხუთი მონეტი, ხუთი ბეტელი, ხუთი თხილი, ხუთი კამფეტი, პატალი თაფლი, რძის პასტა და შავი ჯუთი.

ჩაიტრას თვეში სავსე მთვარის მეოთხე დღეს შინ დაიბარე ქალი, რომელიც თავის ქმართან ცხოვრობს, დალაქის ცოლმა მას მოჭრას ფრჩხილები, დაბანოს ფეხები და შეუღებოს. თვითონ კი თმებზე სურნელოვანი ზეთი წაისვი, დაივარცხნე, შუბლი წითელი წერტილით დაიმშვენე. შემდეგ შენს ირგვლივ დააფინე პირსახოცი, ხუთი თავი ზაფრანი, ხუთი მონეტა, ხუთი კონა ბეტელი, ხუთი თხილი და ხუთი კანფეტი, მოგჭრან ფრჩხილები, შუბლზე კი თმა, შეახვიე მოჭრილი თმა ფრჩხილებთან ერთად პირსახოცში, მოპატიჟებული ქალს სარი შემოახვიე, დასვი იგი ხის პატარა მაგიდაზე, ზურგზე თაფლით ფიგურა დაუხატე. ფიგურასთან პატალი მოიტანე და თქვი: „დაე ჩემი თვალებიც ისეთი იყოს, როგორც ეს პატალია“.

ქალის ფეხები რძის სითხეში ჩააყრევინე და თქვი: „დაე ჩემი კანიც ისევე გათეთრდეს, როგორც ეს რძე“. ამოარჩიე, გემრიელი ბეტელი, ქალს პირში ჩაუდევინე და თან თქვი: „დაე, ჩემი პირიც ისეთივე ტკბილი იყოს, როგორც ეს ბეტელია“.

აილე კარგი ბანანი, მიადე იგი ქალის თითებს და თქვი: „დაე, მქონდეს ისეთი თითები როგორიც ბანანია“.

აილე ჯუტი, მიაჭირე იგი ქალის თმებს და თქვი „დაე მქონდეს ისეთი ხშირი და გრძელი თმა, როგორც ეს ძნაა, და რბილი როგორც აბრეშუმი“.

მერე ყველაფერი პირსახოცში გაახვიე, გაიმეორე ყოველივე ეს მეორე, მესამე და მეოთხე წელს.

გვატყობინებს რა ავტორი, თუ რით უნდა გაუმასპინძლდეს ქალი მიპატიჟებულ ქალს, იგი დასძენს: „ჭამის დროს მის წინ ლამპარი აანთე, ჭამის მერე აჩუქე მას რკინის სამაჯური, წითელი ფხვნილით სურინჯით სავსე კოლოფი, პირსახოცი, სავარცხელი, მარაო და ერთი რუპია. ლამპარს შუბლით შეეხე და შემდეგ წყალში ჩადევი.“

სასურველია ლამპარში ერბო ესხას, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნეს ზეთიც”. ბოლოს ჩამოთვლილია საჩუქრები, რომლებიც უნდა გადაეცეს დალაქის ცოლს, წესჩვეულების მეოთხედ გამეორების შემდეგ.

ამ ორი წეს-ჩვეულების შესრულებამ ოჯახი უნდა უზრუნველჰყოს მშვიდობიანობითა და მამაკაცთა მრავალი შთამომავლობით, დაიცვას ბავშვები და ოჯახი შიმშილისა და უბედურებისაგან, ახალგაზრდა ქალს უნდა მიანიჭოს სილამაზე, აღავსოს იგი მისი მახლობლებისა და ქალღმერთ ლაქშმის სიყვარულით, საპატრძლო - უზრუნველყო - იღბლიანი ქორწილით და კარგი დედამთილით. აღსანიშნავია, რომ „ბროტები“ (წეს-ჩვეულებები) ემყარება ქალების ნებაყოფილობით რელიგიურ წესებს და მათი შესრულება არ არის აუცილებელი.

ბენგალიაში იმ წესჩვეულებებს, რომელთა შესრულებაშიც ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ, მიეკუთვნება აგრეთვე სარიტუალო ნახატები - ალპანები, რომლებსაც ხატავენ შინაური საღებავებით იატაკზე, კარგად დაგვილ ეზოებში, კარების წინ შესასვლელზე და სახლის კედლებზე. ნახატების შინაარსი მრავალფეროვანია, მაგრამ ტრადიციული: უმრავლესობა მოტივებისა ჩვეულებრივ სიმბოლოებად იქცნენ, რაც საერთოდ, ავტორთა შემოქმედებითი ფანტაზიის თამაშს სრულებით არ უშლის ხელს. ცალკეული მოტივები განსაკუთრებულად წმინდად ითვლება, მაგალითად ქალღმერთი ლაქშმის სტილიზებული გამოსახულება, ლოტოსის ყვავილი და სხვა. ალპანების ხატვის უნარი ითვლება ბენგალელი სოფლელი საპატრძლოთა ერთ-ერთ საუკეთესო ღირსებად, რომელიც შეიძლება შევადაროთ გემრიელი საჭმელების დამზადების უნარს.

ქვრივი ქალები ჩვეულებრივ „ბროტების“ შესრულებაში მონაწილეობას არ ღებულობენ. მით უფრო, რომ მკაცრი კანონები ზღუდავენ მათ პირად თავისუფლებას, მთვარის კალენდრის სხვადასხვა დღეებში, სხვადასხვა რაიონებში, ქვრივი ქალები მარხულობენ. მათ ისევე როგორც სხვა ქალებს, ზოგიერთ თვეებში უფლება არა აქვთ საჭმელში გამოიყენონ ბოსტნეული და თევზი. შეუძლიათ სვან წყალი. კალენდარი განსაზღვრავს პერიოდს განსაკუთრებული ლოცვების წარმოსათქმელად. ქალები და უპირველეს ყოვლისა ქვრივები ამ დაუწერელ, მაგრამ მეტად ავტორიტული კანონების დარღვევისას გაცილებით მკაცრად ისჯებიან, ვიდრე მამაკაცები.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ ციურ სხეულებს ძველ დროს ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც შუა საუკუნეებში. ასტრონომია თანდათან მეორე პლანზე განდევნა ასტროლოგიამ, რომელიც დღემდე მრავალ ბრაჰმანთა პროფესიასა და შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. დღემდე წამთ თითქმის ყველა ინდოელს, თვით განათლებულსაც კი, რომ ადამიანის ცხოვრებაზე ვარსკვლავებს დიდი ძალა და გავლენა აქვთ. მართლმორწმუნე ინდოელი პრაქტიკულად ნაბიჯს არ გადადგამს ასტროლოგის რჩევის გარეშე და ძალიან ყურადღებით ადევნებს თვალს ყველა იმ ნიშნებს, რომლებიც განსაზღვრავენ „ბედნიერსა“ და „უბედურ“ წუთებს, საათებს, დღეებსა და თვეებს. ინდოეთის მრავალ კუთხეში წმინდათა წმინდათ მიაჩნიათ კანონები, რომლებიც კრძალავენ ქორწინებას წლის ამა თუ იმ თვეებში. ითვლება, რომ კვირის ზოგიერთ დღეებში არასასურველია გამგზავრება, ან სავაჭრო ოპერაციების ჩატარება.

ასტროლოგები მიმართავენ საგანგებო კალენდრებს, რომელთა საშუალებით საზღვრავენ პლანეტების სამაგიერო (სანაცვლო) მდებარეობას მომავალი წლისათვის. ყოველთვის, როდესაც კონიუნქციას აქვს ადგილი „უბედური“ დღეების რაოდენობა იზრდება. ყველაზე უფრო ინდოეთში თითქმის სიცოცხლეს წყვეტენ - სკოლები, მაღაზიები, დაწესებულებები, იხურება ფაბრიკები, ქუჩაში მოძრაობა საგრძნობლად სუსტდება, მორწმუნეთა ჯგუფები დაბნელებამდე ექვსი საათით ადრე მარხულობენ, მიდიან მდინარისა და ღელეების ნაპირზე, ზღვის პირას, რათა მზის დაბნელების შემდეგ მაშინვე განწმენდის (განბანის) წესი შეასრულონ და ღმერთებს შესწირონ მსხვერპლი და მიიღონ მათგან შეწყალება.

ასტროლოგიური კალენდრები არანაკლებ როლს თამაშობს ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში. მათ საფუძველზე ბრაჰმანი თითოეული ბავშვისათვის ცალკე ადგენს ჰოროსკოპს, რომელიც მიუთითებს დაბადების ზუსტ საათსა და წუთს, და აღწერს ვარსკვლავთა განლაგებას აღნიშნულ მომენტში. ჰოროსკოპი წარმოადგენს ჰინდუთა მნიშვნელოვან, პირად დოკუმენტს, რომელიც ერთგვარად დაბადების მოწმობის მაგივრობას სწევს (მას ღებულობენ დაწესებულებებშიც), მაგრამ უმთავრესად შემდგომი გაანგარიშებებისა და წინასწარმეტყველებების საშუალებას წარმოადგენს. ხშირად ჰოროსკოპი გარდაუვალ წინააღმდეგობას წარმოადგენს ორი ახალგაზრდისათვის, თუნდაც ძალიან შეეფერებოდნენ ერთმანეთს, ორივეს მშობლები თანახმაც რომ იყვნენ მათ შეუღლებაზე, თუ ახალგაზრდების ჰოროსკოპები არ ემთხვევა ერთმანეთს, ასეთი ახალგაზრდების შეუღლება შეუძლებელი ხდება. ძალიან ხშირად მსხვილი მეწარმეები და ვაჭრები გადაწყვეტილებებს ღებულობენ მხოლოდ და მხოლოდ ასტროლოგების წინასწარმეტყველებების მიხედვით, რომელიც განმტკიცებულია ჰოროსკოპის ავტორიტეტით. მათ არაერთხელ უგემიათ საქმეში წარუმატებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ შეშინებიათ „იღბლიანი“ მომენტი ხელიდან გაეშვათ. რა თქმა უნდა, ასტროლოგები სარგებლობენ კლიენტების ბრმა რწმენით და მდიდრდებიან.

ჰოროსკოპისა და ასტროლოგების წინასწარმეტყველებამ ჩვენ გამოგვიყვანა საღი აზროვნების ფარგლებიდან და ჩაგვაგდო მორევში იმ ცრუმორწმუნეობისა, რომელიც ესოდენ ლაღად ჰყვავის ინდოეთში. ევროპაშიც მრავლად არიან ადამიანები, რომელიც მთელი სერიოზულობით ეკიდებიან სხვადასხვაგვარ ცრუ ნიშნებს, მაგრამ აქ ინდოეთში ძნელია იპოვო ადამიანი, რომ დაგამილ საქმეზე უარი ეთქვას, თუ პარასკევი იყო და ცამეტ რიცხვს დაემთხვა, ან შინ დაბრუნებულიყო იმის გამო, რომ მის წინ კატამ გადაირბინა, ან კიდევ შვიდი წლით ბერად აღკვეთილიყო იმისათვის, რომ მას სარკე გაუტყდა. ჰინდუებს, მასიურად, არამც თუ ჯერათ ცრუ ნიშნებისა, არამედ მათ იყენებენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგჯერ მათ განსაკუთრებულ თვისებებსაც მიაწერენ. ამგვარი ცრუმორწმუნეობის საგანია: ხვლიკის ხმა, თუ იგი გარკვეული მხრიდან მოისმის, ყვავის ჩხავილი, ტურა თუ იგი გზაზე გადაირბენს, საუკუნეების სვლა, ორსული ქალის, ან ბრმა ბებერი ქალის გზაზე დანახვა, მაგრამ უმართებულო იქნებოდა, გვეთქვა, რომ თითქოს ყველა ცრუ რწმენა პირდაპირ ჰინდუიზმიდან მომდინარეობს და მის რელიგიურ საფუძველს ემყარება. ინდოელ მუსულმანებს ღრმად წამთ მაგიისა და შელოცვების, როგორც ერთადერთი საშუალებებისა, რომლის მეოხებით შესაძლებელია მოსალოდნელ უსიამოვნებათა საზიანო და მავნე შედეგების უგულებელყოფა.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ როგორ ღრმად სწამთ ჰინდუებს ზებუნებრივი ძალისა, მოვიყვანოთ ორ ტიპიურ მაგალითს, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წარსულს ეკუთვნის. 1958 წელს წვიმების სეზონმა დაიგვიანა და წარმოიშვა გვალვების საშიშროება, ნეპალის ჰინდური სამეფოს მთავრობამ უამრავი თანხა გამოყო საშემწყნარებლო მსხვერპლის გაღებისათვის. 1962 წელს ინდოეთი საყოველთაო პანიკამ მოიცვა, ვინაიდან ასტროლოგების წინასწარმეტყველების თანახმად, ქვეყანას წარღვნას უქადდა. წესჩვეულების შესრულებაში (ჰინდუიზმში ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის არსებობს შესაბამისი წესჩვეულება) მონაწილეობდნენ ზოგიერთი საპატრიო სახელმწიფო პირებიც. ძნელი სათქმელია ეს კეთდებოდა რწმენით, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოების განწყობილებას, და ტრადიციებისადმი პატივისცემის გამოხატვის მიზნით, მაგრამ ზემოთაღნიშნული ფაქტები თანამედროვე ინდოეთისათვის ძალზე დამახასიათებელია.

ყველაზე ხალხმრავალი მომლოცვაობა მსოფლიოში

მილოსლავ კრასა

„წმინდო პრაიაგ! დიდებულთა კრებავ, ო, ტირთჰარაჯო!
ვინაც სიმართლეს აქ ფიცულობს, ის უფრო მეტად სცოდავს!“
ო, წმინდა პრაიაგს ვერვინ აღწერს, ვერ განადიდებს?
ყველა ცოდვილთა ის ხომ მართლაც მეფე-მბრძანებელია,
ძლიერი სპილო სავანაში, ყველა ცხოველთა.
მისი ქვეყანა, ო, რა საამოა და მშვენიერი,
საოცრებათა, და გადამრჩნი ღვაწლმოსილების,
უდიადესი დღემდე ოთხი - ჭშმარიტების -
და დიდებულეთა ვითარც წილხვედრი დამსახურების,
მისი ველები, საოცარია და მიუწვდომელი,
ის მტრებისასგან საფარველია და ციხე-სიმაგრე,
მისი ლაშქრის, ყველა მებრძოლი- გმირთა-გმირია მართლაც,
დგას იგი მედგრად, შიშის ზარს ცემცს ქვეყნად უთვალავ ცოდვილთ!

მდინარეების აქ შერწმაა, შესართვი - ულამაზეზსი.
აქ აღაფრთოვანა მუნის სული ხემ აქშიავატის,
და ჩანავარი ის წმინდანი მდინარე განგის, იამუნასიც,
სადაც სანაცვლოდ ამერცხებენ სიღერიბეს და სევდას.

(ზწკარედული თარგამანი ნაწვეტისა ტულსი დასის პოემიდან „რამაიანა“, მილოსლავ კრასას მიერ შესრულებულია ა.პ. ბარანკოვისეული რუსული თარმანის მიხედვით. მთ. ნ.კ.)

ალაჰაბადიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით გვხვდება ორი ვეება მდინარე, რომლებიც ჩრდილოეთის დიდ დაბლობზე მიედინება. ესენია - განგა და ჯამნა (იგივე იამუნა-მთ.შ.ნ.კ). ამ მდინარეების სათავეები ჰიმალაის ყინულოვან ფერდობებზეა და ამიტომ წლის ყველაზე ცხელ სეზონშიც კი ისინი არ შრებპან. ჯამნას წყალი სუფთაა და ანკარა, არეკლილი ცა მას მუქლურჯ იერს მესნს, ხოლო განგის წყალი კი მღვრიე მოთეთროა და ჭუჭყის ფერი დაკრავს. შესართავში ეს ორი მდინარე ქმნის ბობოქარ მორევს, რომელიც თანდათან წყნარ დინებად იქცევა. ამ მდინარეების ნაპირები დაფარულია ხშირი ტყითა და ბუჩქნარით. მათ ფართო კალაპოტს ჰკვეთენ დიდი ხიდები. შორს ალაჰაბადის გარეუბნების შენობებისა და მეფე აკბარის დროინდელი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეთა კედლების სილუეტები მოჩანს.

უკიდევანო დაბლობი, გარშემორტყმული ამ მდინარეებით, თითქმის უდაბურია, მხოლოდ თუმცა აქა-იქ ძლივს ჩანს პატარა ხის ნაგებობები.წვიმების სეზონში დაბლობი ჭაობად იქცევა ხოლმე. საერთოდ, დაბლობი, ერთი შეხედვით, არ მიგიზიდავთ, მაგრამ

მართლმორწმუნე ჰინდუს, მასზე წმინდა ადგილი ქვეყნად არ ეგულება.

უკვე რამდენიმე ათასი წელია, გარკვეულ პერიოდში აქ ზღვა - ხალხი მოედინება, და სწორედ ასეთ დროს ადამიანს აქ შეუძლია გახდეს მოწმე რელიგიური ექსტაზისა, იშვიათი რიტუალების, მხიარული შეხვედრებისა და საშინელი ტრაგედიებისაც. ყოველივე ეს ერთგვარი სანახაობაა, რომელიც ზიზღსაც იწვევს და აღტაცებასაც. აქ მითოლოგია იხლართება ისტორიაში, ძველი ტრადიციები მოდაში, რელიგიურ ენთუზიაზმი ჩვეულებრივ ცნობისმოყვარეობასა და ვაჭრულ ანგარებაში, ესაა - კუმბჰამელა - ყველაზე ხალხმრავალი მოლოცვაობა, რომელიც კი ოდესმე ახსოვს კაცობრიობას. თორმეტ წელიწადში ერთხელ, ინდური კალენდარის მაგჰის თვეში, როცა მზე ოვნის ნიშნის ქვეშაა, იუპიტერი კი მერწყულის ქვეშ არის, ინდოეთის ყველა კუთხიდან დაბლობს ფარავენ მილიონობით მორწმუნენი, რათა ტანთბანით განიწმინდონ ცოდვებისაგან ცოდვებისაგან. მოწმუნენი მოდიან იქ, სადაც ჰინდური რელიგიის ზებუნებრივი ძალა მთელი სისრულითა და ყველაზე კონცენტრირებული სახით მჟღვნდება.

მდინარეების მნიშვნელობამ, როგორც სიცოცხლის წყარომ, სიმბოლიკამ დაკავშირებულმა მდინარეთა შესართავებთან, და მათი ბუნების სილამაზემ და სიწყნარემ, საოცარმა კოლორიტმა, ტრადიციის სიწმინდემ და ამ ადგილების პოპულარობამ მორწმუნეებში მრავალი ლეგენდა წარმოიშვა. ჰინდუებს სწამთ, რომ მდინარე განგას მარცხნივ მოედინება კიდევ ერთი უხილავი მდინარე მითიური სარასვატი, ამიტომ ამ დაბლობმა მიიღო სახელწოდება - ტრივენისანგამი, ანუ სამი მდინარის შესართავი. მორწმუნეებს მიაჩნიათ, რომ სარასვატი მოედინება მიწისქვეშ, სადაც ის ბოროტ დემონებს დაემალა, რათა განგა და ჯამნას (იამუნა) შესართავამდე უვნებლად მიაღწიოს.

ისტორიული წყაროები ზუსტად მიუთითებენ, რომ რელიგიური მომლოცველობა - კუმბჰამელა არ უნდა მივაკუთვნოთ XVII-XVIII საუკუნეებზე ადრეულ პერიოდს, თუმცა ქალაქ პრაიაგის (თანამედროვე ალაჰაბადს), რომელიც დაარსეს არიელმა დამპყრობლებმა და ტრივენისანგამის შესახებ, ნახსენებია ძველ ინდურ ტექსტებშიც. ჯერ კიდევ, „რიგვენდაში“ ნათქვამია, რომ ტანთბანა თეთრი და შავი მდინარეების შესართავში, მორწმუნეთ უზრუნველყოფს ციურ ნეტარებას და ნებით გარდაცვლილნი იქ მიაღწევენ უკვდავებას. პრაიაგის წმინდანობისა და რელიგიური დამსახურების შესახებ, რომლის მიღწევაც შეიძლება ტანის დაბანვის გზით მაგჰის თვეში, საუბარია თვით „პურანებიც“. ასევე „მაჰაბჰარატაში“ ნათქვამია, რომ თუ მომლოცავი განგასა და ჯამნას შესართავში ტანს დაიბანს, მასსა და მის ოჯახის წევრებს ყველა ცოდვა მიეტევება, ხოლო „რამაიანა“ გვამცნობს, რომ ამ მდინარეთა შესართავის მიდამოებში, ანანდბჰავანის წინ სადაც, ნერუს ოჯახის სახლია, ზღაპრული წმინდანის - ბჰარადვაჯის წმინდა საყუდებელი (სავანე) - აშრამია განთავსებული, რომელსაც დღემდე აჩვენებენ მომლოცველებს. წმინდა პრაიაგი ხოტბა შესხმულია პოეტ კალიდასას (V—VI ს.ს. მთ. ნ.კ.) ლექსებსა და შუასაიკუნეების ფილოსოფოს შანკარის (788-820) ს.ს.პოეზიაში. ამ უკანასკნელს მიაწერენ, ამ წმინდა ადგილზე ძველი ინდოელი სწავლული წმინდანების თავშეყრის ტრადიციის დანერგვას.

ყველაზე ხშირად, კუმბჰამელას ჰუნდუზიმში პირდაპირ უკავშირებენ ერთ ყველაზე

გავრცელებულ მითს - (ლეგენდას) რძის ზღვის ადღვებაზე. მასში მოთხრობილია თუ როგორ დღვებავენ დემონები და ღმერთები რძის ზღვას იმისათვის, რომ მისგან საგანძური მიეღონ. მათ აიღეს გველი ანანი და შემოახვიეს იგი უზარმაზარ სადღვებელს - მითიური მთას მერუს. რძის ზღვის უკანაკსნელ საჩუქართა შორის ყველაზე ძვირფასი - თიხის ჭურჭელია (კუმბჰა), რომელშიც ესხა უკვდავების სასმელი - ამრიტას ნექტარი. ამრიტასათვის კი ღმერთებსა და დემონებს შორის ბრძოლა ატყდა, რომლის დროსაც დემონთა შორის, უძლიერესებმა ჭურჭელი მოიტაცეს, მაგრამ ინდრას შვილმა - ჯაიანტამ, მათ წაართვა იგი, თავად ფრინველად გადაიქცა და ცაში გაფრინდა. დემონები მას დაედევნენ. მრვალარიცხოვანი ვერსიის თანახმად, ჯაიანტა, ხანგრძლივი ფრენის შემდეგ, დასასვენებლად ჯდებოდა პრაიაგში, ჰარდვარში, ნასიკსა და უჯაინში. ამ გასაოცარ ჭურჭელზე-კუმბჰაზე შეხებამ ეს ადგილები გაანათა და სამომლოცავო ადგილებად - ტირტჰებად აქცია. კუმბჰამელა დღესაც აღინინიშნება ამ ქალაქებში, მაგრამ ყველაზე მეტად მას ზეიმობენ პრაიაგაში, რომელსაც ეწოდება ტირთჰარაჯა (სამომლოცავო ადგილთა მეფე).

პირველი ისტორიული ცნობები, ამ რელიგიურ დღესასწაულებზე პრაიაგაში, ეკუთვნის VII საუკუნის პირველ ნახევარს. დაახლოებით ამავე დროს ინდოეთში ჩამოვიდა ჩინელი მოგზაური სიუანცზიანი, რომელიც მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ იყრიდა აქ თავს ნახევარ მილიონამდე მორწმუნე. მომლოცველთა შორის იყო ინდოელი მეფე ჰარშავარდჰა - თავის ამაღასთან ერთად. აქვე იყვნენ მოსაზღვრე პროვინციის მმართველები, ცნობილი მეცნიერები, მწერლები, ასკეტები და მათხოვრები. ზეიმი იმ დროს აღინიშნებოდა ხუთ წელიწადში ერთხელ და გრძელდებოდა 75 დღე. აქ მოქონდათ მსხვერპლი და სარიტუალო წესებს ასრულებდნენ როგორც ჰინდუები, ასევე ბუდისტები, ჯაინები და სხვა რელიგიური სექტების წევრები. ჰარშავარდჰა ფულს ურიგებდა ბუდისტ ქურუმებს: ბრაჰმანებსა და ღარიბებს, თანაც ერთსაც, მეორესა და მესამესაც ისე უხვად ასაჩუქრებდა, რომ დღესასწაულის დასასრულს, თავის რეზიდენციაში დაბრუნების წინ, მას უკვე აღარაფერი გააჩნდა ხოლმე, გარდა შიშველ ტანზე შემოსახვევი ნაჭრისა, რომელსაც ნისიად ღებულობდა.

სიუანცზიანის მოგონებიდან ჩვენ ვიგებთ კიდევ ერთი წმინდა ადგილის- ტრივენისანგამის და აქ უკვდავი ლეღვის ხის - აქმაიავატის შესახებ. ჰინდურ პრაქტიკაში ხეების თავყვამისცემას ძველთაგანვე დიდი ადგილი ეკავა, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ლეღვის ხისა და წმინდა წყლის შეხამების ზებუნებრივი ძალის რწმენაზე. ამ პრაქტიკამ მიიღო რელიგიური თვითმკვლელობის ფორმა, რაც სუნ ცზიანის დროს მასიური მოვლენა იყო. მორწმუნეები ჯერ მარხულობდნენ და მერე დიდი ლეღვის ხის გაშლილი ტოტებით ხტებოდნენ მდინარეში და იძირებოდნენ. დღეს ამგვარი „უკვდავი“ ლეღვის ხე ხარობს აკბარის ციხესიმაგრის პატარა მიწისქვეშა ტაძარში. აქ მოჩანს მხოლოდ მარაოსებრი ხე, რომელიც მორთულია ყვავილებით, ნიღბებითა და სხვა სამსხვეროპლო ნივთებით. მას თაყვანს ცემენ, როგორც შივას განსხეულებას (ავატარას).

გასული საუკუნის დამდეგს გამოიცა კანონი, რომელიც კრძალავდა ყოველგვარ რელიგიურ თვითმკვლელობას, ზოგი მომლოცველი განგებ იკლავდა თავს. ამდაგვარი მორწმუნეები წელზე წყლით სავსე სამ დიდ ჭურჭელს წელზე იბამდნენ და ნავიდან წყალში ხტებოდნენ.

ყველა ამ მითმა, ტრადიციებმა, ისტორიულმა მოვლენებმა და წინა თაობების განოცილებამ თანამედროვე ჰინდუებს ტრივსანგამის წმინდანობაზე მეტად ცალმხრივი წარმოდგენა შეუქმნა და ბევრ მათგანს დღესაც ჯერა ამ ადგილებში დაბანის ზებუნებრივი ძალისა, ხოლო რამდენად ფართოდაა გავრცელებული ამგვარი სანახაობა ინდოეთში, შეუძლია გაიგოს მხოლოდ მან, ვინც შემთხვევით მაინც დასწრებია ამ დღესასწაულს. მომლოცველები აქ მოდიან ყოველ წელს იანვრის შუა რიცხვებში, ან თებერვლის დამლევს. მილიონობით ადამიანი აქ თავს იყრის „ნახევარ“ კუმბჰამელას - არდჰკუმბჰამელაზე (ყოველი ექვსი წლის შემდეგ) და მერე რა თქმა უნდა დიდ კუმბჰამელაზე, ერთხელ ყოველი თორმეტი წლის შემდეგ. მორწმუნეები ამ მიდამოებში მთელს თვეს ცხოვრობენ, მაგრამ ზოგიერთი დღეები ცაზე (პლანეტების გარკვეული განლაგებისას) განსაკუთრებით ხელსაყრელია საყოველთაო ტანის დაბანისათვის. ამ დღეებში იმდენი ხალხი იყრის თავს და მათ მიერ ისეთი დიდი ფართობი იფარება, რომ ამის აღწერაც კი ძნელია. 1954 წელს, მაგალითად, ტრივენისანგამის მომლოცველების რიცხვმა ექვს მილიონს მიაღწია და როცა ხალხის ერთ ჯგროში პანიკა ატყდა, ხალხის ჩოჩქოლში 300 კაცი გაიჟლიტა.

ადამიანები, რომლებიც აქ მოდიან, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები არიან და ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ. როგორც მაგნიტი, ისე იზიდავს ყველას ერთი და იგივე ადგილი, ერთსა და იმავე დროს, ეს ჰინდური ტრადიციის ცხოველმყოფელი ძალაა. ეს მომლოცველობა უკვე არ არის არც ძველი მითოლოგია და არც შორეული წარსული, ან შუასაუკუნეებრივი დაბნეულობა, ან ნახევრად ისტორიული ზღაპრები, ეს დღევანდელი სინამდვილეა, XX საუკუნის ინდოეთი, მე ვიყავი ინდოეთის განთავისუფლების შემდეგ, პირველ არდჰკუმბჰამელას ორ მილიონ მონაწილეთა შორის, რამაც ჩემში წარუშლელი შთბეჭდილება დატოვა. მე თითქოს სრულიად სხვა სამყაროსა და სხვა ეპოქაში მოვხვდი. სამკუთხა სივრცემ ამ ორ მდინარეს შორის, ქალაქის გარეუბნები ისე შეეცვალა, რომ ვეღარ ვიცანი. უზარმაზარი სივრცე დაფარულიყო ბამბუკისაგან გაკეთებული ათასობით დროებითი სადგომებით, რომლებიც თანამედროვე სტილის კარავებს ჰგავდა, რომლებშიც ძველად ინდოელი ქურუმები ცხოვრობდნენ. თითოეული კარავის თავზე დამაგრებულ მაღალ ჯოხზე, ამა თუ იმ სექტისა თუ ჯგუფის დროშა ფრიალებდა. სპეციალური მატარებლით, ყოველდღე ახალი მომლოცველები ჩამოდიოდნენ, მთელი ოლქის გზები გაჭედდნენ იყო ტრანსპორტის ტრადიციული საშუალებებით - ურმებით. მსუბუქი და სწრაფი ცხენიანი ეტლებით. ბევრი მათგანი ფეხით მიდიოდა და ოჯახთან ერთად ღია ცის ქვეშ ბანაკდებოდა. ისინი ხარჯავდნენ დიდ სახსრებს, ვიდრე ამ ადგილს მიაღწევდნენ, მათ უხდებოდათ უზარმაზარი მანძილების გავლა და კოლოსალური სიძნელეების გადალახვა. ისინი ღატაკდებოდნენ და იტანჯებოდნენ, ზოგიერთი ამ დღესასწაულის დაწყებამდე სამი ოთახი თვით ადრე უნდა გადგმოდა გზას.

მელას ყველაზე საინტერესო მონაწილეებია სადჰუები - წმინდა მამაკაცები, რელიგიური ასკეტები, ფაკირები და ისინი ვინც თავს ასეთებად ასალებენ. ამ მოდის 700 სადჰუ (წმინდანი მთ.შ. ნ.კ.) მათ შორის რამდენიმე ასეული ქალი. აქ შეხვდებით ასკეტს, რომელიც გარინდული ზის და გონებაჰკრეტას ეძლევა. მქადაგებლებს მიკროფონით ხელში, რომელიც გატაცებით საღვთო წიგნების პროპაგანდას ეწევა, ნამდვილ მისტიკოსებს და ჩვეულებრივ თაღლითებს, მატყუარებს, რომლებმაც მიაგნეს იოლი

ფულადი გამორჩენის წყაროს. არიან აქ ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც სხედან ნემსებით დაფარულ საფენზე, ან კიდევ თავით დგანან მიწაზე. აგრეთვე ასკეტებს, რომლებსაც შეუძლიათ მთელი დღე ისხდნენ ცივ წყალში ან მზეს მიაპყრონ სახე და ასე გაუნძრევლად იყვნენ (იგულისხმება მოხეტიალე იოგებიც მთ.შ. ნ.კ.), ადამიანებს, რომლებიც საგანგებოდ ფეხს იმტვრევენ ან ენას იჩხვლეტენ, რის გამოც სამუდამო დუმილს ეძლევიან. მომლოცველთა შორის შეხვდებილ ჩონჩხივით გამხდარ მამაკაცებს და სრულიად შიშველ ადამიანებსაც. ზოგი მათგანი წევრია რომელიმე სამონასტრო ორგანიზაციის, აშრამისა ან აქჰარისა, რომლებიც რელიგიური სექტის მიმდევართა და მდიდარ მსხვერპლის გამღებთა ხარჯზე ცხოვრობენ. ყოველ „აქჰარს“ აქვს თავისი შემოღობილი და კარგად დაცული ადგილი. რომელიც კანონის თანახმად გამოყოფილია საერთო ტანის დაბანის წესის შესასრულებლად. ამ პრივილეგიების შედეგად ხშირად ცალკეული სექტების წარმომადგენელთა შორის წარმოიშვება დავა და ზოგჯერ მუშტი - კრივიც კი.

უმრავლესობა - მომლოცველებისა არიან უბრალოდ მოგზაურები, რომლებიც მოდიან აქ მთელი თვით ან რამდენიმე ძირითადი დღესასწაულის დღეებსი, დროს გასატარებლად. აქ, ისენი ასრულებენ განწმენდის წესს. რაც მდინარეების შესართავში ტანის დაბანვაში მდგომარეობს. ამ ჩვეულებას ხელომძღვა ნელობენ პანდები, ან პრაიგვალები, რომლებიც ამ თანამდებობას შთამომავლობით ღებულობენ. მათი ფუნქცია აიხსნება ძველი ლეგენდით, რომელიც მოგვითხრობს, რომ ციხესიმაგრის მშენებლობისას მეფე აკბარის დროს, წყალდიდობები სასახლის საძირკვლებს მუდამ არღვევდა, ამიტომ იმპერატორს, ვიღაცამ ურჩია, რომ ბობოქარი მდ. ჯამნა (იამუნა) „დამშვიდდება“ თუ ბრაჰმანი რაიმე მსხვეპლს გაიღებდა. ვინც ამ რიტუალის შესრულებისათვის აირჩიეს, მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ მოითხოვა პირობა, რომ მომლოცავთა ცოდვებისაგან გამწმენდის ცერემონიალსაც, მხოლოდ ის ჩაატარებდა და შემდეგ მისი შთამომავლობა, რომელთა დროშებსაც ექნებოდა განსაკუთრებული ნიშნები.

პანდების ორგანიზაციაში შედიან ასობით ოჯახი, რომელთა დროშებსაც განსაკუთრებული ნიშნები აქვთ. ამ ოჯახებს იმდენად დიდი ქონება აქვთ, რომ მათ ერთმანეთში მთელი ინდოეთი გაიყვეს, მდიდარი პანდები თავიანთ აგენტებს აგზავნიან სამოგზაუროდ და იძენენ ახალ კლიენტებს (მომხმარებლებს). მათთვის ზუსტადაა ცნობილი ვის ხვდებიან მელაზე მოსული მომლოცავები, თუმცა აქ ხშირად დავიდარაბასაც აქვს ადგილი, ჩვეულებრივ, ახალი მომლოცავი „ეკუთვნის“ იმ პანდს, რომელსაც იგი შეხვდა „მელას“ ამ უსაზღვრო სივრცეზე. თუ მან მოახერხა უფრო შორს წასვლა, იგი მაშინ პანდების „საერთო“ მონაპოვრად იქცევა, ჩამოვლისას მომლოცამა უნდა აირჩიოს ერთერთი მათგანი, და წერილობით პირობა უნდა მისცეს, რომ როდესაც მეორედ მოვა სამომლოცაოდ მხოლოდ მას მიმართავს. ამგვარად ყოველი მომლოცავი ღებულობს თავის პანდს და ეს უკანასკნელი მომხმარებლისათვის დოკუმენტაციას აწარმოებს, ამგვარად, აკინძული სქელი, მოგრძო ტომები (ბაჰები) პანდების ოჯახების ყველაზე ძვირფას ქონებას წარმოადგენს. მათ სასოებით ინახავენ, ეს ტომები მნიშვნელოვანი ენობრივი და ისტორიული წყაროა. ყოველ ამგვარ ტომში წარმოებს მონაცემების შეტანა გარკვეული კასტის წარმომადგენელთა - კლიენტთა შესახებ. როდესაც განწმენდის პროცედურა მეტად რთული იყო, კანონები, რომლებიც მას ეხებოდა, მოცემულია ძველ წიგნებში: „პრაიაგამაჰატმიაში“ და აგრეთვე

„მათსიაპურანაში”. ახლა მთელი რიტუალიდან მხოლოდ სამი ძირითადი მომენტიღა შემორჩა: წვერის გაპარსვა, ტანის დაბანა და გადასახადის შეტანა. პანდიდან მომლოცველი პირდაპირ დალაქთან მიდის, ვინაიდან მის ტანზე არ უნდა იყოს არც ერთი ბალანი, იპარსავენ წამწამებს, წარბებსაც კი. თუმცა ალაჰაბადის მაცხოვრებლები არ იპარსავენ თავს. სიქვებსა და გათხოვილ ქალებს სიმბოლურად, მხოლოდ თმის რამდენიმე წნას აჭრიან, ხოლო ქვრივებსა და სამხრეთ ინდოეთის მცხოვრებლებს ევალებათ მთლიანად გადაიპარსონ თმა, რომელსაც მერე მდინარეში ყრიან. თითოეულ ბალანზე მათ პირდებიან (გარდასახვის) გარდაქმნის წრებრუნვის დროის შეკვეცას, ან ხანგრძლივ ყოფნას ციურ სამეფოში.

ამ ასორმოცდაათი წლის წინათ აქ თავი გამოიჩინა ევროპელმა საქმოსნურმა სულმა, რომელიც ორგანულად შეერწყა მომლოცვაობის (მელას) ტრადიციულ წესებს. და ტრივენისანგამი ყველაზე ცნობილი სამომლოცველო ადგილად იქნა აღიარებული. ბრიტანულმა კოლონიალურმა მთავრობამ კიდევ ერთი წინააღმდეგობა აღმართა იმათ წინაშე, ვინც სიკვდილის შემდეგ შეღავათს ელოდა. კოლონიზატორებმა მომლოცავის სამოთხეში მოსახვედრად ამჯერად ზღვისგადაღმა არსებული სამეფოს ქრისტიანული ავტორიტეტით ნაკურთხი „საშვის” სახით, ქირა დააწერეს. ის, რომ ამ ახალმა საგადასახადო სისტემამ სრულიად გაამართლა, მოწმობს წესები, რომელთაც კანონის სახე მიიღო 1810 წლის დადგენილების თანახმად, ალაჰაბადში მომლოცავს მელას რელიგიურ ცერემონიაზე დასაწრებად, ყადაღა უნდა გადაეხადა, რათა ამ წესით ქირის აღებისას ადგილი რომ არ ქონოდა კანონის რაიმე ბოროტად გამოყენებას.

თიეული ფეხით ჩამოსულ მომლოცავს ახდევინებდნენ ერთ რუპიას, ცხენით, დროგითა და პალანკინით (ხელით სატარებელი გადახურული ტახტრევანით) ნ.კ.) მოსულთ-ორ რუპიას, აქლემით ჩამოსულს - სამ რუპიას, ხოლო სპილოთი - ოც რუპიას.

იკრძალებოდა რაიმე სხვა სახის ხარკის აკრეფა გჰატებთან, ციხესიმაგრეებთან, ან ნებისმიერ სხვა ადგილას მოსული მომლოცავისაგან... მომლოცავს ნება ქონდა ხარკის ამკრეფისაგან მოეთხოვა დოკუმენტური ნებართვა ალაჰაბადის მიწაზე ტრადიციული წეს-ჩვეულებების ჩატარებისა. ამ გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ ალაჰაბადისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი და აგრეთვე ინდოელები, რომლებიც ამ კომპანიის სამსახურში იმყოფებოდნენ. ყოველივე ეს უნდა ყოფილიყო დამტკიცებული, რომლის წარდგენა საჭირო იყო რელიგიური წესების შესრულების დაწყებამდე.

ტანის დაბანის ადგილას მისვლა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ქუჩებისა და ჭიშკრებიდან. სხვა მისადგომები საგანგებოდ იყო გადაღობილი იმ პირთაგან, რომელთაც რიტუალის უფლება მიიღეს. გადასახადის ამკრეფის მოთხოვნით მომლოცავთა ძირითადი მოზღვავეების პერიოდში, იანვარსა და თებერვალში, წესრიგის დასაცავად სამხედრო ნაწილებს იწვევდნენ, რათა ხალხი ძალით არ შეჭრილიყო სარიტუალო ადგილებზე. საბუთებს, რომელიც ადასტურებდა გადასახადის შეტანას, ან მისგან გათავისუფლებას, ამოწმებდნენ „სახელმწიფო მოხელეები”, რომლებიც საკონტროლო პუნქტზე იდგნენ. შემოწმების შემდეგ ისინი საბუთებს ანადგურებდნენ. ის პირები, რომლებიც სამომლოცავო წმინდა მდინარის მეორე ნაპირზე ნავით გადიოდნენ, ჩვეულებრივ ჯარიმდებოდნენ გადასახადის სამმაგი რაოდენობით, და თუ ასეთ პირებს მოემსახურებოდა დალაქი, ეს უკანა სკნელიც ჯარიმდებოდა ორმოცდაათი

რუპიით. თითო ასეთი მომლოცველი მომსახურებისათვის, თუ დალაქი ჯარიმას არ გადაიხდიდა მას სამი თვით აპატირებდნენ.

ალჰაბადში იმ დროს, სამხედრო გარნიზონების გამოკლებით, ოცი ათასი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ ინდოეთის ყველა კუთხიდან მოსულ მომლოცავთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. იგივე მდგომარეობაა დღესაც. ლონდონის მისიონერთა საზოგადოების წევრები 1926 წელს იტყობინებდნენ „400 დალაქის შესახებ“, რომლებიც ცხოვრობდნენ ჯამანასა და განგას წმინდა წყლებში მომლოცავ მობანავეთა გაპარსვის ხარჯზე. ბრიტანეთის მთავრობა ყოველი მომლოცავი ყადაღას იღებს. ამ დღესასწაულების დღეებში, დაწესებულებები, რომლებიც იძლევიან უფლებას მომლოცველობაზე, სავსეა ხალხით, რომელთაც არც არავითარი ძალა და ხარჯი არ ენანებათ, რათა „ზეცაში ავიდნენ“ სარწმუნოებით დაწესებული საშუალებებით. ეს ციტატა მოჰყავს ჯეიმზ პეგს თავის წიგნში „ინდოეთი ინგლისელებს ჰუმანურობისაკენ მოუწოდებს“ (ლონდონი, 1932).

იანვარ - თებერვალში მდინარის წყალი საკმაოდ ცივია და მასში ჩასვლა არც თუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ დღეებში, რომლებიც ასტროლოგებმა განსაზღვრეს, როგორც განსაკუთრებით იღბლიანი დღეები, ნაპირზე განუწყვეტელი ჩოჩქალია, ხალხი ბუზივით ირევა. ბევრი ხალხი იყრის თავს აგრეთვე იქ, სადაც წმინდა მდინარის კალაპოტი ფართოა და არ არის ღრმა აქ მომლოცავები ნავებით მოემგზავრებიან.

ერთთვიური მელას დამაგვირგვინებელი მიზანია, დღესასწაულის მთავარ დღეს, ყველა სადჰუს კოლექტიური ტანისდაბანვა. დრო ზუსტადაა მითითებული და ცერემონია მზის ჩასვლამდე დიდი ხნით ადრე იწ იყება. „აქჰარი“ წესის თანახმად „წმინდა“ მამაკაცები (სადჰუები) ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე უერთდებიან ხალხის ძირითად ნაკადს და მერე იყოფიან მწკრივებად, შემდეგ მომლოცავთა მწკრივები ნელ-ნელა მიემართებიან ტრივენისანგამისაკენ. სულ წინ პროცესიას უძღვება მორთული და ჭრელად მოხატული სპილო. მას უკან მოჰყვება მოუკაზმავ ცხენზე შემჯდარი მამაკაცი. ასკეტები სხვადასხვანაირად გამოიყურებიან. ზოგიერთებს ტანი დაფარული აქვთ მოთეთრო - მონაცრისფრო ფერფლით და გრძელი თმებით, სხვები მოდიან მანქანებით, ან ლამაზი ქოლგებით ხელში, მოაბიჯებენ მდინარისაკენ. როგორც კი მდინარე გამოჩნდება, მწკრივში აღელვება იწყება. მამაკაცები და ქალები ნაპირისაკენ გარბიან და დამაბული უცქერენ აქჰარებს, რომლებიც ერთი მეორეს მიყოლებით წყალში შედიან.

ადამიანთა ამ ჭიანჭველების ბუდეში, მოძრაობა არც ერთი დღით არ წყდება. მომლოცველები მოდიან, და მოდიან, ტოვებენ რა აქ თავიანთ ცოდვებს, თმებსა და ქონებას. მდიდართა შესაწირი ზოგჯერ - ჰარშავარდჰის ტრადიციის მიხედვით, უზარმაზარ თანხას აღწევს, ხშირად ძღვნად საქონელი მოჰყავთ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1930 წელს როდესაც მელაზე საჩუქრად სპილო მოიყვანეს, მაგრამ ცხოველი მალე შიმშილისაგან მოკვდა, რადგან დაავიწყდათ, რომ სპილოს საკვები სჭირდებოდა. იმისათვის რომ ღარიბი მომლოცავები იზულებული გაეხადათ გულუხვი ყოფილიყვნენ, მეტად საინტერესო „რელიგიურ“ სავაჭრო გარიგებას გამოიგონეს. საქონლის გაქნილი მფლობელი თითქოსდა იაფ ფასებში მიჰყიდის ძროხას მომლოცავს, და აქვე სადჰუ არც თუ ისე ძვირად ყიდულობს საქონელს მომლოცავისაგან და

უბრუნებს მას პატრონს. შემდეგ, ვიდრე წარმოითქმება გაჩუქების ფორმულა, მომლოცავს ძროხა ყურით, ან კუდით უჭირავს, ისე, როგორც „პატრონს“ და ამრიგად იმსახურებს ნამდვილი შემწირველის უფლებას. საერთოდ ფაკირებსა და სადჰუს არ აძლევენ ბევრ პროდუქტს, საკმარისია ბრინჯის რამდენიმე მარცვლის მიღება ყოველი გამგლეელი მორწმუნისაგან, რომ სამათხოვრო ჯამი აივსოს.

„კუმბჰამელაზე“, რა თქმა უნდა, წარმოიშვება პრობლემები, შესაძლოა, ზოგჯერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაც კი, მაგალითად ცერმონიალის ადგილების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, წესრიგისა და ელემენტარული ჰიგიენური წესების დაცვა - ყოველივე ეს მოითხოვს დიდ ძალისხმევასა ქალაქის ხელმძღვანელობასა და უტარპრადეშის ადმინისტრაციის მხრიდან. გარკვეულ დღეებში, მეტისმეტი ხალხის თავშეყრა, ეპიდემიები, არაერთხელ გამხდარა ამ ადგილზე ჯარების შეყვანის საბაბი. რელიგიური თავშეყრის დროს იმართება დისკუსიები, აღმზრდელობითი და განმანათლებლური ხასიათის გამოსვლები, ადგილი აქვს მრავალნაირ პროპაგანდას.

ტრივენისანგამის ტრადიცია დღემდე ცოცხლობს სახელმწიფოში და იგი ითვლება ამ ხალხის კულტურისა და ისტორიის ნაწილად. ოცი წლის წინ კომბჰამელას ზეიმის დღეებში იქ სადაც ჯამნა და განგა ერთდებიან ჩაყარეს მაჰატჯმა განდის ფერფლი, თხუთმეტი წლის შემდეგ კი ალაჰაბადის მკვიდრის - ჯავაჰარლალ ნერუსი, და რამდენიმე წლის შემდეგ პრემიერ მინისტრის ლალბაჰადურ შასტრის ფერფლი. აქ სამეცნიერო ინსტიტუტის რედაქციით გამოდის წიგნები, რომელთა ავტორები „კუმბჰა - მელაში“ ხედავენ ინდოეთის მუდმივ სულიერი საგანძურის სიმბოლოს, თავს იხრიან, სადჰუს ზებუნებრივი ავტორიტეტის წინაშე, და სრულიად შეუბილწავი სარწმუნოების პოზიციიდან ზიზღნარევი ღიმილით პასუხობენ ყველას, ვინც ამ მოვლენას მიწიერი გონების თვალთ, ან რეალისტურად უყურებს. ეს თვითმყოფადი რელიგიური დღესასწაული ჰინდუიზმის ნიადაგზე გაიზარდა და წარმოადგენს საზომს, რომელიც მიუთითებს ინდოეთის განვითარების მიმართულეობას, წარსულიდან მომავლისკენ.

ცხოვრებისეული ციკლის დღესასწაულები

მილადა განგულოვა

ღვთისმოშიშობის ძირითადი გამოვლინება ურთიერთობის საშუალებით მართლმორწმუნე ჰინდუსა და ღმერთს შორის, რომელსაც იგი ეთაყვანება, - ეს არის ღვთისმსახურება (პუჯა). დროთა განმავლობაში ჰინდუიზმში მან შეცვალა ძველი ვედური მსხვერპლის შეწირვა (სიაჯნია). მორწმუნე თვითონ, ან ქურუმის საშუალებით გარკვეულ ღვთაებას მიმართავს, რათა მის მიმართ უბრალოდ გამოხატოს პატივისცემა მაღლიერება, ან ითხოვოს მას შეუსრულოს რაიმე სურვილი. ჩვეულებრივ ჰინდუებში რელიგიურ წესებს ასრულებენ, რათა მიაღწიონ ბედნიერებას ოჯახურ და პირად ცხოვრებაში და უზრუნველყონ თავისი თავი შთამომავლობით.

მათი დამახასიათებელი თვისებაა - ამ წესების სირთულე. წესები სრულდება, ან ხალხის სალოცავ ტაძრებში, ან კიდევ შინ - ოჯახის მფარველი ღვთაების სამსხვერპლოს წინ სატაძრო წესებს ჩვენს წიგნში განსაკუთრებულ თავს ვუძღვნი, მაგრამ ამჯერად მკითხველს გვინდა გავაცნოთ საოჯახო წესები, პირველ რიგში ისინი, რომლებიც გავრცელებულია ბენგალიაში.

ყოველ მართლმორწმუნე ჰინდუს ოჯახს - გააჩნია თავისი ღვთაება, თავისი მფარველი შეძლებულ ოჯახებში მისი გამოსახულება მოთავსებულია ცალკეულ სენაკში, რაც საოჯახო ტაძრის როლს ასრულებს, ხოლო ღარიბი მორწმუნეები იძულებული არიან თავიანთ ვიწრო სადგომებში დაკმაყოფილდნენ ნიშითა და დაბალი მაგიდით რომელზედაც მოთავსებულია ღვთაების ქანდაკება ან სიმბოლო. მდიდარ ოჯახებს ჰყავთ საკუთარი ქურუმი, რომელიც ყოველ დილას, შუადღესა და საღამოს ასრულებს ღვთისმსახურებას, მაგრამ ისინი ვისაც არ ჰყავს საგანგებოდ ქირაობენ ბრაჰმანს, ან კმაყოფილდებიან საკუთარი შესაძლებლობებით .

როგორც მთელს ინდოეთში, ბენგალიაშიც ყველაზე პოპულარულ შინაური ღმერთებია: ვიშნუ და შივა. ეთაყვანისცემის ობიექტად ხშირად ვიშნუს ცოლი - ლაქში, რომელიც მომანიჭებელია ბედნიერებისა და განაყოფიერების, შივას ცოლი დურგა, რომელიც ცნობილია აგრეთვე კალისა და პარვატის სახელით და მათი ვაჟიშვილი განემა რომელიც თითქოს და ადამიანს იცავს, წინააღმდეგ გონებისაგან და მოაქვს მისთვის კეთილდღეობა. ჰინდუები ეთაყვანებიან ღმერთებსა და ქალღმერთების ქანდაკებებს სურათებს, მათ გამოსახულებებს, ან სიმბოლურ საგნებს. ასე მაგალითად, შივა: წარმოადგენს ქვის ლინგამი, ლაქშიმი-მეტალის ფინჯანს, ან, წვნელებისაგან გაკეთებული ბრინჯის საწყაო. ნარაინი - ვიშნუს განსხეულებაა - ეგრეთწოდებულ შალაგრამი, რომელიც წარმოადგენს მცირე ზომის ოვალურ ქვას, მცენარისაგან გაკეთებული დახვეწილი ორნამენტით. ესაა - გაქვავებული ნიჟარა მდ. განდაკის ჰიმალაის მთიანი კალაპოტის ფსკერიდან, სადაც ლეგენდის თანახმად ვიშნუს უყვარდა ყოფნა. ყოველი ბრაჰმანის ოჯახში, რომელიც ვიშნუიზმს აღიარებს, ეს წმინდა ქვა უნდა იყოს მორთული ძვირფასეულობითა და ყვავილებით, ინახებოდეს აბრეშუმის ქსოვილში გახვეული. ამ ქვას ათავსებენ სამსხვერპლო სალოცავის შუაში - პატარ:

მოოქროვებულ პედესტალზე. ეს არის ოჯახის ერთიანობის სიმბოლო და როდესაც ვაჟები ცოლებს თხოულობენ, ან იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, სრულდება ან წმინდა ქვის გადატანის რიტუალი ერთი სამყოფელიდან მეორეზე, სადაც რამდენიმე ხნით ინახება. ვიზნუს, შალაგრამის სახით შეიძლება თაყვანს სცემდნენ არაბრაჰმან ოჯახებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ღვთისმსახურებას უნდა ასრულებდეს ბრაჰმანი . ქურუმი, ამიტომაც სხვა დანარჩენი კასტის ვიზნუიტებს ურჩევნიათ თაყვანი სცენ ვიზნუს, ან მის სხვა რომელიმე განსხეულებას, უფრო ხშირად რამასა და კრიშნას შინაურ მიმსგავსებებსა და სიმბოლოებს, ღვთაების გარდა, შინაურ წმინდანთა შორის ვხვდებით ქანდაკებებსა და როგორც წესი აჭრელებულ ოლეოგრაფიულ სურათებს რომლებიც ასახავენ ისეთ ღმერთებს, როგორც არიან: დურგა, კალი, ლაქში, კრიშნა . რადჰუსთან ერთად, საკვების მწყალობელი ანაკურანი, რამა სიტასთან ერთად და მათი ერთგული მეგობარი - მაიმუნების ღმერთი ჰანუმანი, ამასთანავე გამოსახულებები ისეთი პოპულარული წმინდანებისა, როგორც არიან: ჩაიატნია, რამაკრიშნა და ვივეკანანდა, და ბოლოს სახლის პატრონის, ან ოჯახის ერთ - ერთი წევრის სულიერ მოძღვრის ფოტოსურათი.

ყველა კასტის ქალებსა და კაცებს შეუძლიათ თაყვანი სცენ ნებისმიერ ღვთაებას (შალაგრამის გარდა) ბრაჰმანის ჩარევის გარეშე. ისინი თვითონ სწავლობენ წიგნებიდან ან თავიანთ გურუებისგან, საჭირო ლოცვებსა და სანკრიტულ მანტრებს. ქურუმებს შინ იწვევენ დღესასწაულებზე მხოლოდ იმ ღვთაებებისა, რომელთა კეთილგანწყობილებაზე დამოკიდებულია ოჯახის ბედნიერება.

საკურთხეველთან (სალოცავებთან) დგას წმინდა წყლით სავსე ჭურჭელი, ძირს კი დაგებულია ხალიჩები რიტუალის მონაწილე ოჯახის წევრებისათვის, ძირითადად ქალებისათვის. მამაკაცები კმაყოფილები არიან იმით, რომ სალოცავად ხელის გულებს ერთი მეორეზე მიადებენ და დღეში ერთხელ თუ შევლენ შინაურ სალოცავში, თავს დახრიან ღვთაების ქანდაკების წინაშე. ქურუმი დილის ღვთის მსახურების შემდეგ ვალდებულია ჩამოუაროს „გამგებელს“, წეს-ჩვეულებების შესასრულებლად ყოველ მათგანს გაუკეთოს შუბლზე სანდალის საცხებლის ლაქა და ნაკურთხი წყალი აპკუროს თავზე. არა მარტო გაუნათლებელი ქალები, არამედ მრავალი განათლებული ადამიანები ბრაჰმანს თხოვენ ხელის გულზე დაუსხას ერთი კოვზი ნაკურთხი წყალი რომელსაც სვამენ ერთი ყლუპით და თან ვიზნუს ახსენებენ. ასე იქცევიან სახლებში ტაძრებსა და სამლოცველო ადგილებში, მეტი სიწმინდისათვის ნაკურთხი წყლით სავსე ჯამში ათავსებენ სარიტუალო ყვავილებს, აქვე ბევრი მტვერიც ჩადის. ხალხს კი ჯერათ რომ ამ წყლითაა დაბანილი ღვთაების ფეხები, ამ წყალს უწოდებენ ნექტარს და მას ცოდვებისგან განწმენდის უნარს მიაწერენ.

ბრაჰმანი ღვთაების წინ აწყობს სამსხვერპლო ნივთებს, რომლებიც წინასწარაა მომზადებული ქალების მიერ ღვთისმსახურებისათვის: მეტალის ჭურჭელს, ჯამს სანდალის საცხებლითა და მზესუმზირის ზეთში გახსნილი საღებავით, სურნელოვანი მოსაწევი, ჩხირები, წმინდა ბაკანი და ზარი. საჭიროა აგრეთვე მეტალისა და თიხის ლამპარები და გასამასპინძებელი შესაწირი ბრინჯი, ნაყოფი, ზეთი, თაფლი, ან შაქარი და ბეტელი. დიდი დღესასწაულების დღეებში, ან სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს აქვს ადგილი (განსაკუთრებით ქორწილის, ან სიკვდილის დროს) სამსხვერპლო ძღვენთ: რიცხვი იზრდება: ემატება ყვავილები, ყველაზე ხშირად სამკურნალო ბალახი - ტუხტი

ჩამპაკის მძაფრი სუნის მათრობელა ყვითელი ყვავილები, ნარინჯისფერი კადამბა და ლოტოსის სხვადასხვა სახეები.

ქურუმი ქანდაკების წინ ხალიჩაზე ჯდება, აცვია დჰოტი (ტანზე შემოხვეული ნარმის მსუბუქი თეთრი ქსოვილი მთ. ნ.კ.) და მოხურული აქვს ღმერთის სახელების წარწერებით აჭრელებული გადასაფარებელი. ყოველდღიური რიტუალის შესრულების გარდა, მის მოვალეობაში შედის ჰინდური კალენდრის მიხედვით ხელსაყრელი (ხელის შემწყობი) დღეებისა და საათების დადგენა იმ სარიტუალო წესების შესასრულებლად რომლებიც დაკავშირებულია ოჯახური ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენებთან.

უთუოდ მსოფლიოში, ჰინდუიზმზე უფრო, არც ერთ რელიგიას არ დაუმუშავებია ასე დეტალურად რელიგიური წესების სისტემა, რომელიც ეხება (ამ შემთხვევაში ჰინდუთა ინდივიდუალურ ცხოვრებას და რომელიც თან ახლავს ადამიანს, მისი ჩასახვიდან სიკვდილამდე. ძველი ინდოეთის კანონმდებლობაში სარიტუალო წესების დაახლოებით ორმოცი სისტემა იყო ცნობილი... მრავალი მათგანი დავიწყებას მიეცა მაგრამ მეტი წილი დღესაც არსებობს ინდოეთის ცალკეულ რაიონებში. ყოველ შემთხვევაში მართლმორწმუნე ჰინდუების მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე შესრულებული სარიტუალო წესების რიცხვი მეტად დიდია.

ზოგიერთი სარიტუალო წესებისა დაკავშირებულია ჩასახვასთან, ამიტომ მან უნდა უზრუნველყოს ნაყოფის შენარჩუნება და მამაკაცთა მოდგმის გაჩენა. ბენგალიაში ქალს ერთი წლის შემდეგ გათხოვების დღიდან შვილს არ გააჩენს, სახლში იწვევენ ბრაჰმანს იმისათვის, რომ საღამოობით მან ოჯახის ყველა წევრს წაუკითხოს ნაწყვეტები „ჰარივანშადან“, ან „მაჰაბჰარატას“ მეცხრამეტე საღვთო წიგნიდან. ხალხში არსებობს რწმენა, რომ ქალი, რომელმაც მოისმინა ეს თხრობა, უფრო ღვთისმომშიში ხდება და საბოლოოდ ღმერთი დააკმაყოფილებს მის სურვილს, რომ გაუჩნდეს ბავშვი. ერთმა ბრაჰმანმა მიაშობ, რომ იმის შემდეგ როცა მის ბებიას ახალგაზრდობაში ექვსი შვილი მოკვდომია, შემდეგ ქმართან ერთად მან მოინახულა ინდოეთის ყველა სამლოცველო ადგილი, მოგზაურობისას რომელიღაც ტაძარში, ვიღაც ასკეტმა მშობლებს ურჩია: სახლში დაბრუნებულიყვნენ და წაეკითხათ „ჰარივანშა“, ასეც მოიქცნენ და მალე მშობლებს ეყოლათ გოგონა, რომელსაც ღვთის მადლიერების ნიშნად დაარქვეს ჰარიპრია - „ღმერთ ჰარის“ (ე.ი. ვიშნუს უსაყვარლესი ქალი).

ჰინდუები ყოველგვარ ძალას იყენებენ, რათა ოჯახში გაეჩინდეს ვაჟიშვილი - გვარის გამგრძელებელი. გარდა ამისა საღმრთო წიგნის თანახმად, მხოლოდ მამაკაცს მემკვიდრეს შეუძლია მსხვერპლი მოუტანოს გარდაცვლილ წინაპრებს. ვაჟი რომ გაჩნდეს მშობლები ლოცულობენ შაქტიზე, რომელიც დედებისა და ბავშვების მფარველი ქალღმერთია, ან კიდევ შივას შესთხოვენ მშობლები, რომლებიც დიდხანს დგანან ხოლმე მუხლმოდრეკილი შივას ფალოსის ქვის სიმბოლოს წინაშე და მიწას მთხვეულთ, ხელის გულები ერთი მეორეზე აქვთ მიდებული, რაც ტრადიციულ ინდურ სალოცავ პოზას წარმოადგენს. ღვთისმსახურების დროს გამოყენებული ყვავილების ნაწილს, ისინი ინახავენ კისერზე ჩამოკიდებულ ავგაროზში.

ძველი წეს-ჩვეულება „სიმანტონაინა“, რომელიც მოწოდებულია დაიფაროს მომავალ დედა და ჯერ კიდევ დაუმზადებელი ბავშვი ავი სულების მხრიდან მოსალოდნელი საშიშროებისაგან, მხოლოდ სამხრეთ ინდოეთში არსებობს. ქურუმს მოაქვს მანტები

ქალს თავზე სურნელოვან ზეთს ასხამს და აყრის წმინდა ბალახს, შემდეგ თმას შუაზე ჰყოფს შუბლიდან თხემამდე. უფრო ფართოდაა გავრცელებული პანჩამრიტას „ხუთი ნექტრის“ წეს-ჩვეულება, რომელიც მომავალ დედას ევლება შეასრულოს, როცა იგი ორსულობის მეხუთე თვეშია. ბრაჰმანი წინასწარ ეძებს კალენდარში იღბლიან დღესა და ღმერთ ნარიანს წირავს რძისგან დამზადებულ სასმელს, ერბოს, ნალებს, თაფლსა და შაქარს. ახალ სარიში გამოჩეობილი ქალი და მისი ქმარი პირისპირ სხდებიან ნოხზე ქურუმების მითითებით ქმარი ცოლს ერთ კოვზ სასმელს ასმევს. ყველაზე მართლმორწმუნე ოჯახებში სასმელს შაქრისა და თაფლის ნაცვლად ურევენ ძროხის ნაკელსა და შარდს. ამგვარი სასმელი მეტისმეტად კეთილმომქმედად ითვლება ვინაიდან იგი მხოლოდ იმ ნაყოფებისაგან შესდგება რომლებსაც ძროხა იძლევა.

ოჯახური დღესასწაული „სადჰი“ (სურვილის ახდომა), რომელიც მშობიარობის წინ აღინიშნება, წარმოადგენს ამ მოვლენისათვის ერთგვარ წინასწარ მზადებას. მამამთილი დედამთილი და ოჯახის სხვა წევრები მომავალ დედას აბრეშუმის ახალ სარის აცმევენ სამკაულებით რთავენ და ფეხის გულებს წითლად უღებავენ. შემდეგ ნიჟარის (რომელსაც უბერავენ) ხმების თანხლებით მას გადასცემენ საჩუქრებს და მის საყვარელ საუკეთესოდ მომზადებულ საჭმელებს, მრავალ საჩუქრებს, ახალ კაბებს, სამკაულებს ტკბილეულობას, სხვადასხვა ნაყოფს. ამ დღეს იგი მშობლებისაგანაც ღებულობს საჩუქრებს.

ძველ ინდოეთში ქვეყნად ბავშვის გაჩენას თან სდევდა „ჯატაკარმას“ წესი: ქურუმს ახალდაბადებულს ყურში საღმრთო სიტყვებს (ნათქვამებს), ჩასჩურჩულებდა, აჭმევდა: ცოტაოდენ თაფლს, რომელიც ერბოში იყო შერეული. შეწირვის მოტანის შემდეგ, ბავშვს არქმევდნენ სახელს, რომელიც მშობლებს კურთხევამდე საიდუმლოდ უნდა შეენახათ დღეს ეს წესჩვეულება გაქრა და დაბადება აღარ აღინიშნება ასეთი საზეიმო რიტუალით ამ სასიამოვნო მოვლენის შესახებ მშობლებს აუწყებენ საყვირის ხმამალაღი დაკვრით ხოლო თუ გოგო დაიბადა საყვირებს უფრო ნაკლებ გასაგონად უკრავენ. დაბადების დღის საათისა და წუთის ზუსტად ფიქსირებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა სოფლის ან შინაურმა ასტროლოგმა შესძლოს ახალდაბადებულისათვის ჰოროსკოპის შედგენა პატარა ქალაქზე წითელი მელნით აღინიშნება დაბადების მომენტში პლანეტებისა და სხვა ციური სხეულების ურთიერთგანლაგება და ასევე მასთან დაკავშირებულ მონაცემები. მის შესაბამისად ჩვილის ბედს წინასწარმეტყველებენ და ანგარიშობენ ახალშობილის ცხოვრების იღბლიანსა და უიღბლო პერიოდებს.

რიტუალობის თვალსაზრისით, მშობიარობა შებილწავს დედასა და ბავშვს, ამიტომ მშობიარობა მიმდინარეობს საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში, სადაც მშობიარობას ესწრება ოჯახის წევრებიდან ერთი ან ორი ქალი და ბებიაქალი. ასეთი ოთახის კედლებზე ღმერთისა და ქალღმერთების სახელებითაა აჭრელებული. ამ ოთახში ზაფხულშიც კი ანთია ცეცხლი, რომ ახალშობილი არ გაცივდეს.

დაბადებიდან მეექვსე დღე განსაკუთრებით სახიფათოდ ითვლება, იგი ეძღვნება ბავშვების მფარველს შაშთჰის. ბენგალიასა და მაჰარაშტრაში, სადაც ეს ქალღმერთი განსაკუთრებით პოპულარულია, მის ქანდაკებას შეიძლება შევხვდეთ სოფლის გარეუბანში, ან სადმე ხის ჩრდილში, ან კიდევ ბანანის ხის - ჰაერში ჩამოკიდებულ ფესვებს, რომლებიც აგრთვე ამ ქალღმერთის სიმბოლოს წარმოადგენენ

ჩვეულებისამებრ ახალი ნათესავები ვერცხლის თეფშით ან, უბრალოდ, ბანანის ფოთლით, წინასწარ მოივლიან ხოლმე ბრაჰმანთა ოჯახებს და მტვრის მწყალობლებს (წმინდა მტვერსაც მფარველობით ძალას მიაწერენ) - შეძლებისდაგვარად მათ მადლობას უხდიან. თავიდან ფეხებამდე წმინდა მტვერში ამოგვანგნულ ახალშობილ ბავშვს ახურავენ საფარებელს, რომელზედაც ქურუმი ზაფრანის ყვავილისაგან დამზადებული საღებავით წერს ვიშნუს თორმეტ სახელს. ყოელივე ამან ბავშვს სიცოცხლე უნდა გაუხანგრძლივოს. საღამოს, ბავშვს ლოგინთან წითელი მელნით სავსე თიხის სამელნესა და ლერწმის კალამს უდგამენ, რათა ბედის ღმერთმა ვიდჰატაკურუშმა, რომელიც ღამით მოვა, შესძლოს ბავშვის შუბლზე ბედ - ილბლის დაწერა. ლოგინთან მთელი ღამე მზის ამოსვლამდე მორიგეობენ ქალები, დადროდადრო, თიხის ლამპარს ზეთს უმატებენ.

დედა ახალშობილთან ერთად ცალკე ოთახში ცხოვრობს, მაგრამ მთელი ოჯახი ათაღლის განმავლობაში შებილწულად ითვლება და ამიტომ ოჯახის არც ერთ წევრს უფლება არა აქვს ღვთის მსახურებაში მონაწილეობა მიიღოს. სხვას კი უფლება არა აქვს მათ ხელით შეეხოს, ამათ ხელიდან საჭმელი აიღოს, ვიდრე განწმენდის ცერემონიალი არ შესრულდება. სამშობიარო ოთახის კედლებს უსვამენ თიხას არეულს ძროხის ნაკელში, სახლს ასხურებენ მდ. განგიდან მოტანილ წყალს, ჩანაცვამ სამოსელსა და საცვლებს აძლევენ მრეცხავ მამაკაცს, დედა იბანს და იცვამს ახალ სარის, დალაქის ცოლი კი მას თითებზე ჭრის ფრჩხილებს და ფეხისგულებს წითლად უღებავს. ამის შემდეგ ნათესავებსა და მეგობრებს შეუძლიათ მოვიდნენ და დედაშვილს საჩუქრები მიართვან.

ზოგიერთ ოჯახში მიღებულია იმავე დღესვე ბავშვისათვის სახელის დარქმევის „ნამკარანის“ - წესის შესრულება. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელობენ ასტროლოგის რჩევით, რომელიც ჰოროსკოპის შესწავლის შემდეგ თავაზობს ოთხ სახელს, მშობლები ამათგან ირჩევენ ერთს. უმეტესად ეს სახელები ღმერთების ქლღმერთებისა და და ძველი ხალხური ეპოსის გმირთა სახელებია. ხშირ შემთხვევაში გოგონას არქმევენ ყვავილების, მდინარეების სახელებს ან კიდევ ადამიანის სასიამოვნო თვისებებისა და ღირსებების მიხედვით: კამალა (ლოტოსი), სუქჰტარა; (განთიადი) მოჰინი (მომაჯადოებელი), ვიმალა (წმინდა), შანტი (მშვიდობა), გიტა (სიმღერა) და ა.შ.

მხოლოდ, როგორც წესი, ბავშვი სახელს ღებულობს მხოლოდ ანაპრაშანის დროს ბრინჯით პირველი კვების დღესასწაულზე, ე.ი. დაახლოებით როცა ბავშვი ნახევარწლისაა. ღარიბ ოჯახში ეს დღესასწაული აღინიშნება უფრო მოკრძალებით, ხოლო შეძლებულ ოჯახებში დღესასწაული დაკავშირებულია საზეიმო ღვთისმსახურებასა და მრავალსტუმრიანობასთან. დღესასწაულს წინ უძღვის დედისა და მამის გარდაცვლილი წინაპრების შვიდი თაობისათვის მსხვერპლის მოტანა საოჯახო სამლოცველოსთან: ჯერ ბავშვს აფარებენ წითელ საფარებელს, რთავენ სამკაულებით და თავზე ყვავილების გვირგვინს ახურავენ. ტრადიციის თანახმად გვირგვინი დედას უჭირავს, რათა არ გადმოვარდეს ჩვილის თავიდან და არ დაარღვიოს ამ რთული რიტუალის სერიოზულობა, რომელიც ცეცხლის წინ სრულდება. შემდეგ ქურუმს შალაგრამის სახით ვიშნუსათვის გამზადებული მსხვერპლი მოაქვს. შივა, სიმბოლურად, სარიტუალურ ჭურჭელზე სურინჯითაა დახატული, ამის მერე ქურუმი მსხვერპლს წირავს შამთჰის რომლის სიმბოლოსაც ბანანის ხის ტოტი წარმოადგენს, და წარმოთქვამს შესაბამის

მანტრებს, რომლებმაც მრავალი წლების მანძილზე ბავშვს ჯანმრთელობა უნდა შეუნარჩუნოს. დასასრულს დედა ბავშვს გადასცემს ყველაზე უხუცეს წევრს - ბაბუას, ან ბიძას, რომელიც ბავშვთან ერთად ნოხზე ჯდება. ორნამენტით მოხატულ იატაკზე დალაგებულია ბრინჯით სავსე ვერცხლის ჯამები. ასეთსავე ვერცხლის ჯამებში თევზი ხორცი და ბოსტნეული, ტკბილეულობა. ნიჟარის საყვირის ხმების თანხლებით ბიძა ბავშვს საშუალებას აძლევს გასინჯოს მომზადებული საჭმელი. ზეიმი მთავრდება კრიმით, რომ სტუმრებს უმასპინძლებიან ძღვენითა და საჩუქრებით.

დანარჩენი დღესასწაულები, რომლებიც ბავშვობის ასაკში აღინიშნება, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ძველი წესი ნიშნავს, რომელიც ბავშვის დაბადებიდან მეოთხე თვეზე სრულდება, აღინიშნება მხოლოდ მეტისმეტად რელიგიურ ოჯახებში. იბლიან დღეს დედას ბავშვი ეზოში გაჰყავს და მას მზეს უჩვენებს, ბრაჰმანი ამ დროს წმინდა მანტინებს წარმოთქვამს, შემდეგ დედა მიდის ტაძარში და ლოცვებით მიმართავს ღმერთს, რომელიც სოფლის მფარველია, რათა მან მიანიჭოს ბავშვს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე.

თხემის გაპარსვის წესი, რომელსაც ჩურაკარანი ეწოდება, სრულდება ბავშვის დაბადებიდან სამი წლის თავზე (დღეს უფრო მეტისმეტად ორთოდოქსალურ ოჯახებში). თხემის შუაში ბავშვს უტოვებენ მხოლოდ რამოდენიმე ცალ ბალანს რომელთაც შემდეგ კვანძავენ. მართლმორწმუნე ბრაჰმანები, ამ თემებს არ იპარსავენ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ბიჭებისა და გოგონებისათვის ყურის ბიბილოს გახვრეტა, მართლმორწმუნე ჰინდურ ოჯახებში, ხდება სხვადასხვა ასაკში, ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად, იგი განსაკუთრებულ საღმრთო წესად არ ითვლება. ჯერ კიდევ ვიდრე ბავშვი წერა-კითხვის სწავლას შეუდგებოდეს მშობლები აწყობენ შინაურ დღესასწაულს, რომელიც სწავლების და ხელოვნების ღმერთს - სარასვატის ეძღვნება. მამა ან ბიძა ბავშვთან ერთად ჯდება საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე, რომელიც მორთულია ორნამენტებითა და ყვავილებით. ერთერთი ბიძა, ან მამა ბავშვს უდებს ცარცს და ბავშვის ხელითვე ფიცრის პატარა დაფაზე გამოჰყავს სანკრიტული ანბანის პირველი ნიშნები.

ჰინდუების ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან წესს წარმოადგენს უპანიანა (წმინდა თასმის წელზე შემოკვრა), ამ წესის უძველეს წარმოშობაზე მეტყველებს ის, რომ იგი აღინიშნება ირანშიც, სადაც არიელები ინდოეთში მოსვლამდე ცხოვრობდნენ. ფარსები ზარატუსტრას მოძღვრების მიმდევართა შთამომავლები, დღესაც თავიანთი ქალიშვილებისა და ვაჟიშვილების რელიგიურ ერთობაში შესვლას აღნიშნავენ ზეიმიტო ტუმცა ბავშვებს აძლევენ არა თასმას, არამედ ქამარს.

ჰინდუებში საღმრთო, წმინდა თასმის გადაცემა ითვლება „ახლად დაბადების“ ერთგვარ რიტუალად, ამიტომ ის, ვინც ამას დაიმსახურებს „ორჯერ დაბადებულად“ (დვიჯა) იწოდება. დღეს ეს წესი პრაქტიკულად შემორჩა მხოლოდ ბრაჰმანებში, თუმცა საღმრთო ტექსტები წმინდა ტარების უფლებას ორი ვარნის - ქშატრებისა და ვაიშების წარმომადგენლებს აძლევენ.

ეს წესი სამ დღეს გრძელდება და დაკავშირებულია მეტად რთულ ცერემონიალთან ასრულებს მას არა შინაური ქურუმი, არამედ მოწვეული ბრაჰმანი, რომელიც კარგად

იცნობს შესაფერ მანტრებს, ბავშვი და მამა ამ ცერემონიაში უშუალოდ მონაწილეობა აღებულობენ. ამას წინ უძღვის დიდი მსხვერპლის მოტანა - გარდაცვლილთა წინაპრების შვიდი თაობისათვის, ვისაც ლოცვა- კურთხევა მოეკითხება.

ძირითადი რიტუალის დაწყების წინ ბიჭუნა ჯდება პატარა სკამზე, რომელიც ოთხ ნორჩ ბანანის ხეებს შორის დგას, ბავშვთან მოდის დალაქი, საპარსი დანა ჯერ საკუთარ შუბლთან მიაქვს, მეორე ჭრის ბავშვს თმებს და პარსავს თავს. მომავალ ბრაჰმანს თმას მხოლოდ თხემზე უტოვებს პაწია ნაწნავისათვის. ქურუმი ამ დროს, მანტრებიდან დარიგებებს კითხულობს. დაბანის შემდეგ ბიჭუნას ახურავენ აბრეშუმის ან ტილოს ზაფრანის ფერ საფარებელს, და შემდეგ სხავენ მიწაზე, ქურუმსა და მამას შორის ღვთაების შინაურ გამოსახულების წინ. სახე სამივეს აღმოსავლეთითაა მიპყრობილი.

თასმა შეადგენს თეთრი ბამბის სამი ძაფს. თითოეული ძაფი თავის მხრივ შედგება კიდევ სამი, უფრო წვრილ ბოჭკოებისაგან. სამი ძაფი ღვთაებრივი ტრიადის ბრაჰმას შივას, ვიშნუს, - სიმბოლოს წარმოადგენს. წესის შესრულებამდე ნაკურთხევ ქურუმი ბავშვის მარჯვენა მხარეზე დებს და ბოლოებს უკვანძავს. ამ წუთიდან ახალგაზრდა: „ორჯერ დაბადებულმა“ ეს თასმა სიკვდილამდე უნდა ატაროს. როდესაც თასმა გაცვდება მას ახლით ცვლიან. ეს წესჩვეულება მრავალ სხვა პროცესსაც მოიცავს: წმინდა ბალახისაგან გაკეთებული თასმის ჩამოცმა, რომელიც, წინ უძღვის ბამბისგან დამზადებული ზონარის შემოკვრა ბავშვის წელზე. თასმის მიღება ბავშვის ყურთან თვალებთან, შუბლთან და გულთან. ამ დროს ქურუმი, რომელიც სულიერი მოძღვარის როლში გამოდის, ამ მომენტისათვის კითხულობს მანტრებს და შესაბამის ლექსებს ვედებიდან, ბავშვი კი იმეორებს. ყველაზე საღმრთო - ვედური ჰიმნები, რომლებიც მოწაფემ ვალდებულია იცოდეს, - ესაა მანტრა გაიატრი. მთელი თავის განმავლობაში ყველა დილას, როგორც კი იგი ადგება და პირს დაიბანს ზედიზედ საღმრთო ჰიმნებს ასჯერ იმეორებს. ლოცვა, რომელიც ძველინდურ ღვთაება სავიტარუსადმია მიძღვნილი ასეთი შინაარსისაა: „მიიღე შუქი ცხოველი ღვთის მიერ მონიჭებული, დაე გააღვიძოს ღმერთმა ჩვენი ფიქრები“.

იმ მიზნით, რომ მოწაფე მთელი გულისყურით ჩასწვდეს მანტრების აზრს, დაეუფლოს მათ სწორად გამოთქვას, შესაფერი ინტონაციით, აღნიშნული წესი სრულდება ჩაკეტილ ოთახში, სადაც ბავშვის, მამისა და ქურუმის გარდა არავის უშვებენ ბავშვი აქ სამ დღეს ატარებს, და ცხოვრობს როგორც ასკეტი. თვითონ იმზადებს თავისთვის უბრალო საჭმელს, ძინავს ჩიჩობზე (ნეჭა) და არსად არ გადის, რადგან ამ დროს მას უფლება არ აქვს მზეს დაენახვოს.

ძველ ინდოეთში ამ წესის შესრულების შემდეგ ბავშვი თემის წევრი ხდება და მომავალში მის ვალდებულებას შეადგენდა დაუფლებოდა მოძღვრებას, რომელიც რელიგიურ ტექსტებში იყო მოცემული, რათა ამ გზით მომზადებულიყო თავის სასიცოცხლო მიზნების განხორციელებისათვის. ამიტომ მიიღებდა თუ არა წმინდა ზონარს, იცოტოვებდა სახლ- კარს და როგორც ბრაჰმაჩარინი, საცხოვრებლად გადადიოდა თავის სულიერ მოძღვართან (გურუსთან). ჩვეულებრივ სწავლების პერიოდი იყო თორმეტი წელი. ზოგიერთები სავალდებულო ცოდნას ეუფლებოდნენ უფრო მოკლე ხანში, რის შედეგადაც შეეძლოთ შინ დაბრუნებულიყვნენ. ბრაჰმანელი განათლების ისეთი ცენტრები როგორცაა ტაკშაშილა და ბენარესი, განთქმულნი იყო თავის

მასწავლებლებით, რომლებიც თავს უყრიდნენ მოწაფეებს ინდოეთის ყველა: ცივილიზებული რაიონიდან. აქ ეუფლებოდნენ არა მარტო ვედურ ტექსტებს, არამედ ასტრონომიას, მათემატიკის, გრამატიკის, ფონეტიკისა და სხვა მეცნიერების საფუძვლებსაც, აგრეთვე ეუფლებოდნენ შეწირვის შესრულების მეთოდს. მასწავლებელ როგორც წესი მოსწავლეებისაგან ფულს არ იღებდა, მოსწავლეებს სამაგიეროდ მასწავლებლის სახლში საოჯახო საქმეები უნდა ეკეთებიათ, მხოლოდ სწავლების დასრულების შემდეგ ისინი იხდიდნენ თანხას, რომელიც შეესაბამებოდა მათ მშობლების შესაძლებლობას. საზღაურის მიღებული ფორმა იყო, ძროხის ჩუქება ბრაჰმანარინებს მუშაობის უფლება არ ქონდათ, ცხოვრობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მოწყალეების ხარჯზე. ამ ძველი წესის სიმბოლოს წარმოადგენს მოხეტიალის კომბალი და მოწყალეების მისაღები ფიალა, რომელსაც ბიჭის აძლევენ მაშინვე, როგორც კი იგი გაიკეთებს წმინდა თასმას. ამ ფიალაში იგი სწავლის დროს აგროვებს ნათესავებისა და სტუმრებისაგან ნაჩუქარ ფულსა და ბრინჯს.

როცა ყმაწვილი სწავლების დამთავრების შემდეგ მამის კარზე ბრუნდება, ასრულებს მეტად მნიშვნელოვან წესს „სამავარტანას“ („დაბრუნებას“). ამჟამად „სავარტანა“ დაკავშირებულია წმინდა თასმა წელზე შემოხვევის წესთან და აღნიშნავს მის საამო დასრულებას. ამას მოსდევს სარიტუალო დაბანა, რაც ყმაწვილს უფლებას აძლევს გამოიცვალოს განდეგილის სამოსი და ჩაიცვას აბრეშუმის ლამაზი ტანსაცმელი კომბალი კი შეიცვალოს ქოლგით, რაც ჯანმრთელობისა და აყვავების თანამედროვე სიმბოლოა. ქურუმი მას მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „დღემდე შენ ბრაჰმანარინ იყავი, ახლა კი სნატაკა (განბანილი) ხარ“.

ყმაწვილს შეუძლია დატკბეს ყოველდღიური ცხოვრებით და მონაწილეობა მიიღოს თავის კასტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სასურველია რომ იგი მალე დაქორწინდეს ვინაიდან ქორწინება და შთამომავლობის შექმნა ძველთაგანვე ყველა ჰინდუს წმინდათაწმინდა მოვალეობას შეადგენდა. ჯერ კიდევ ძველი შასტრები რჩევას იძლეოდნენ, რომ საქმარო სულ ცოტა ოცი წლისა უნდა ყოფილიყო, საცოლე კი არასრულწლოვანი. ბავშვების ქორწინება ინდოეთში რა თქმა უნდა გაცილებით გვიანდელი მოვლენაა.

ძველი ინდური ტექსტები გადმოგვცემენ დაქორწინების რვა სახეობას - ქალიშვილის ნებით გათხოვებიდან მისი მოტაცების ჩათვლით. ძნელი სათქმელია თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს აღწერილობა იმ დროის პრაქტიკას, მაგრამ, დღეს გარდა სრულიად გამონაკლისი შემთხვევებისა, დაქორწინება ხდება ორი მშობლის მოლაპარაკების საფუძველზე, ქალიშვილს ათხოვებენ მზითვებით, ან უმზითვოდ.

ინდოეთში მიმდინარე ეკონომიური და სოციალური ცვლილებები განაპირობებენ თანდათან უფრო გვიან დაქორწინების წესის შემოღებას, არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც. ქალიშვილები ჩვეულებრივ თხოვდებიან თხოვთმეტიდან ოც წლამდე ასაკში, ყმაწვილები კი ქორწინდებიან ოცდაათ წლამდე, როცა უკვე საშუალება აქვთ ოჯახი არჩინონ. ბავშვების დაქორწინება ჩვენ დრომდე იყო, სოფლად ამ წესს დღესაც ვხვდებით მიუსედავად იმისა, რომ სახელმწიფო კანონით იგი აკრძალულია. აქ სუბარია, რა თქმა უნდა არა შეუღლებაზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არამედ ბავშვების ერთგვარ ფორმალურ დანიშვნაზე. გოგონა ცხოვრობს თავის

მშობლებთან და მოდის ქმრის ოჯახში, როდესაც იგი მიაღწევს სქესობრივი მომწიფების ასაკს. ნამდვილი ოჯახური ცხოვრების დაწყებას მოსდევს რიტუალი - პუმპოტსავ: („ყვავილების ზეიმი“), რომელშიც მხოლოდ ოჯახის ქალები მონაწილეობენ, თვით ქურუმის გარეშე კი. აქ - „მეორე ქორწილზე“ ლამაზად ჩაცმული ნეფე - დედოფალი მათთვის განსაკუთრებულად მორთულ ადგილზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდებიან. ნიჟარების საყვირების ხმების თანხლებით, ნეფე - დედოფალი ერთმანეთს უცვლიან ყვავილებს გვირგვინებს, უსმენენ სიმრერებსა და თავშეყრილ ნათესავებისა და მეგობრების ოხუნჯობას.

მოსახლეობის ზოგიერთ ფენებში, სადაც ბავშვების დაქორწინება არაა მიღებული არსებობს წესი, რომელიც სრულდება ქალიშვილის სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებით. დაბალი კასტები ამ მოვლენას აღნიშნავენ მდიდრული ზეიმით, თვით ფაქტი, რომელსაც წარმოადგენს ერთგვარ შეტყობინებას, რომ ქალიშვილი გაიზარდა და მშობლებს შეუძლია მიიღონ საქორწინო წინადადებები.

ჩვეულებრივ ჰინდური ქორწინება როგორც ყოველთვის მომავალი ცოლ-ქმრის მშობლების მოლაპარაკების საფუძველზე ხდება, (სხვაგვარად არც შეიძლება, რომ იყოს) ვინაიდან ქალიშვილებს, როგორც კი ბავშვობის ასაკს გასცდებიან ტრადიციის თანახმად, უფლება არა აქვთ რაიმე ურთიერთობა იქონიონ ახალგაზრდა ვაჟებთან, თუ ისინი ნათესავები არ არიან, ან საერთოდ ვინმეს თანხლების გარეშე ოჯახის გარეთ რომ გამოჩნდნენ. მხოლოდ სტუდენტი ქალიშვილები, მოსამსახურე ქალები, მამაკაცებს ეცნობიან აუდიტორიასა და დაწესებულებებში, მაგრამ ასეთი გაცნობა ზალიან იშვიათად მთავრდება ქორწინებით.

ქალაქში, ქალიშვილის შესაფერ საქმროს, ან ვაჟისათვის საცოლის მონახვაში, მშობლებს ეხმარებიან ნათესავები და მეგობრები, სოფლად კი ამ როლს ქურუმები ასრულებენ ქვეყნის ბევრ ადგილებში არსებობენ პროფესიონალი შუამავლები. ერთგვარ მაჭანკლები. მაღალ კასტებში ამათ მაგივრობას ბრაჰმანები წევნ, დაბალ კასტებში კი დალაქები. ზოგჯერ შუამავლებად გვევლინებიან მოხუცი ქალები, რომლებიც უფრო წარმატებით ასრულებენ ამ ამოცანას, ვიდრე მამაკაცები, ვინაიდან მათთვის უფრო იოლია ოჯახებში ქალებთან შეხვედრა. შუამავლები იკვებნიან, რომ ახლო - მახლო რაიონებში იცნობენ ყველა ქალიშვილის, ვაჟებსა და მათ ოჯახებსა და საგვარეულოს აქებენ ქალიშვილების სილამაზეს და ვაჟის ღირსებას, ტაქტიანად დუმან მათ უარყოფით მხარეებზე.

მოლაპარაკების დროს გათვალისწინებულია საქმროს მდგომარეობა, ქალიშვილის მშობლების ქონება და სხვა მრავალი გარემოება - დანიშნულნი, პირველ რიგში უნდა ეკუთვნოდნენ ერთ კასტას, ერთ საზოგადოებრივ წრეს. მაღალ ფენებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ ახალგაზრდები სხვადასხვა მოდგმისა იყვნენ. ორივე ოჯახის ასტროლოგები სწავლობენ ჰოროსკოპს, ადარებენ იღბლიან და უიღბლო ნიშნებს და ადგენენ ქორწილის დღეს. მრავალი ქორწინება არ შემდგარა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰოროსკოპში ვარსკვლავები ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ.

საცოლე და საქმრო ქორწილამდე არ ხვდებიან ერთმანეთს. უკანასკნელ წლებში, ისიც მხოლოდ ქალაქში, მათ ზოგჯერ შესაძლებლობა ეძლევათ ნახონ ერთმანეთი (რა თქმა უნდა, ოჯახის წრეში) და მოიწონონ მშობლების გადაწყვეტილება.

საქორწილო დღესასწაული იწყება ნიშნობის წესის შესრულებით, რომლის დროსაც საპატარძლოს და საქმროს მამები საზეიმოდ აცხადებენ რომ ისინი თანახმა არიან თავიანთი შვილების შეუღლებაზე. ბენგალაიაში ასეთ პირობას „მტკიცე სიტყვას“ უწოდებენ. იმ დღეს ახალგაზრდები ლოცვა-კურთხევას თავიანთ ოჯახებში აღებულობენ. ცერემონიაში ასტროლოგები და ქურუმები მონაწილეობენ, როგორც ვაჟის ასევე ქალის მხრიდან, მონაწილეობენ სასიძოს უახლოესი ნათესავებიც. საღმრთო ლექსების წარმოთქმასთან ერთად სიძე-პატარძალთან ერთიმეორეზე მოდიან დამსწრენი და შეუღლებულებს თავზე ადებენ თითო მარცვალ გაუწმენდავ ბრინჯს რამდენიმე წმინდა ბალახის ყუნწს და სანდალის საცხებლით შუბლზე ნიშანს უხატავენ ღვთისმოსავი ქალები, რომლებიც ამ სანახაობას შორიდან ადევნებენ თვალს განუწყვეტლივ იმეორებენ ღმერთებისა და ქალღმერთების სახელებს, რათა დღესასწაულისთვის მზადება მშვიდობიანად დასრულდეს.

დღესასწაულის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია სტუმრების დაპატიჟება. ინდურ ქორწილი - ეს ფენომენია, რომელიც ეხება არა მარტო მომავალ ცოლ-ქმარს, არამედ ორ ფართოდ განშტოებულ ოჯახს, ეს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტია აუცილებელია აგრეთვე ყველაზე შორეული ნათესავების მოწვევაც. ხშირად ისინი მთელი ოჯახით ჩამოდიან ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე, რათა „მოეხმარონ ქორწილის მომზადებაში“, საერთოდ სტუმრებს პატიჟებენ მომავალი ცოლ - ქმრის მშობლები, დები ან ძმები. მეგობრებს, ნაცნობებს და სამსახურის თანამშრომლებს დაბეჭდილი და ლამაზად გაფორმებული მოსაწვევი ბარათი ეგზავნებათ. ქალაქში მოსახლეობის საშუალო ფენიდან გამოსულთა ქორწილზე ათასობით ადამიანი იყრი თავს, სოფლად კი ხშირად მთელი მოსახლეობა. ბევრჯერ შვილის გათხოვებასთან, ან ცოლის თხოვასთან დაკავშირებით, მშობლები იძულებულნი არიან ვალები დაიდონ.

ნიშნობამდე ერთი დღით ადრე, თითოეულს თავის სახლში რიტუალის შესაბამისად ბანენ, რის შედეგადაც გათხოვილი ქალები ტანს ზაფრანის საცხებლით (პანჯებში ან მიზნით ხნას იყენებენ) უზილავენ, შემდეგ ასხამენ წყალს, რომელიც მზის ამოსვლამდე მდინარიდან მოაქვთ. მოგვიანებით, საქმროსაგან მოდის მოციქულთა პროცესია რომელსაც მოაქვს პატარძლისათვის საჭირო ნივთები და საჩუქრები - სამკაულები თეთრეული, საოჯახო ნივთები, ტუალეტისა და პარფიუმერიის საგნები. თუმცა ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში თავისი საქორწილო წესები აქვთ, მაგრამ ჰინდურ საქორწილო წესის ძირითადი ნაწილი დამყარებულია ვედური რიტუალების ტრადიციებზე და მთელ სახელმწიფოში ერთნაირია. როგორც წესი ღამით საცოლის ოჯახში, საქორწილო რიტუალს ასრულებს ბრაჰმანი - ქურუმი, სტუმრების თანდასწრებით. მისი მთავარი ელემენტებია - საცოლის გადაცემა საქმროსათვის საქმროს მიერ ხელის მიღება, ცეცხლის თაყვანის ცემა და პატარძლის წასვლა საქმროს ოჯახში.

საქმრო, ვიდრე მამისეული ოჯახიდან წავიდოდეს, უნდა ემთხვიოს ღვთაებას საზეიმოდ გამოწყობილი, მდიდრული ყვავილების გვირგვინით კისერზე, ნათესავებისა და მეგობრების, ზოგჯერ კი სალამურზე დამკვრელებისა და მედოლეების დიდ ჯგუფის თანხლებით, საქმრო საცოლესთან მიდის. მამა ყველაზე ბოლოს ულოცავს სასიძოს, გაუწოდებს მას ვერცხლის ლანგარს, რომელზედაც აწყვია სანიშნო ბეჭედი საქორწილო ტანსაცმელი და ეუბნება: „ჩაიცვი ეს ტანსაცმელი და დაიკავე შენ

ადგილი”. ცალკეულ რაიონებში მრავალი სიმამრი, ძველი ადათის მიხედვით ასმევს რძისა და თაფლისაგან დამზადებულ სასმელს.

პატარძალს აცმევენ აბრეშუმის ან ფარჩის სარის, უკეთებენ ყველა სამკაულებს რომელიც კი მშობლებს გააჩნიათ. ხშირად ეს სამკაულები ქალის ძირითად მზითვს შეადგენს. მდიდარსა და შეძლებულ ოჯახებში სამკაულები ოქროსია, მხოლოდ უფრო ღარიბ ოჯახებში ვერცხლის. სამკაულები საპატარძლოს პირადი საკუთრება ხდება და ხშირად იგი მძიმე წუთებში შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს განსაკუთრებით უდროოდ დაქვრივების შემთხვევაში.

ამასთანავე ქალიშვილს ახურავენ წითელ ვუალს და ძმას იგი მიჰყავს შეუღლების ადგილზე. საქმროს წინ მის მეგობრებს, გაშლილი ფარდა უჭირავთ, რომ საქმრომ მისკენ მომავალი საცოლე არ დაინახოს. ყველაზე უწინ ქალიშვილმა ქორწილის რამოდენიმე მონაწილის თანხლებით შვიდჯერ უნდა შემოუაროს ფარდის უკან მყოფ საქმროს, და მხოლოდ ამის შემდეგ საცოლე და საქმრო პირველად ხედავენ ერთმანეთს. ამ მომენტს დამსწრენი ხაზს უსვამენ ოვაციური შეძახილებითა და საყვირის ხმებით.

საქორწილო წესის შესასრულებლად დანიშნულებს, ტრადიციული გვირგვინებით თავმორთულებს ერთმანეთის პირისპირ, ქურუმისა და ქალის მამის გვერდით პატარა მოხატულ სკამზე სვავენ, შუაში ათავსებენ შალაგრამს, რომელიც ქორწილზე, ვიშნუს დასწრების სიმბოლოს წარმოადგენს.

სადვთო მანტრების კითხვის თანხლებით მამა ქალიშვილს გადასცემს საქმროს. ეს უკანასკნელი ამბობს ფრაზას, რაც იმის ნიშანია, რომ იგი თანახმაა მიიღოს საცოლე დასასრულს ქურუმი წითელი საფარველის ქვეშ ქალისა და ვაჟის ხელებს „წმინდა“ თასით ერთმანეთთან აკავშირებს და წმინდა თასმის ნასკვს მდინარე განგის წყალს ასხურებს.

საქორწილო რიტუალის ყველაზე მთავარ და ხანგრძლივ ნაწილს წარმოადგენს თაყვანისცემა იმ ცეცხლისა, რომელიც თითქოს და ქორწილის ყველაზე მთავარ მოწმეს წარმოადგენს. სასიძო და პატარძალი ქურუმთან ერთად იმეორებენ ლექსებს ვედურის ტექსტებიდან და კოცონს ზეთიან აშვათაჰას და ბანაიანას ტოტებს აყრიან. ცეცხლს ასევე წირავენ ბრინჯს, ყვავილებსა და ნაყოფს. ქალის ლეჩაქის ბოლოები მიბმულია ვაჟის წელზე ჩამოშვებული კალთის ბოლოზე, რაც ოჯახური კვანძის მთლიანობის სიმბოლოა ქურუმის მითითებით ახალგაზრდები შვიდი ნაბიჯით სადვთო კოცონს გარს უვლიან, ამასთანავე ქალი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, მუჭა-მუჭად დაყრილ ბრინჯზე აბიჯებს/, შემდეგ საქმრო საცოლეს უკითხავს ნაწყვეტებს ძველი ინდურ-ლიტერატურის ძეგლებიდან, რომლებშიც გამოთქმულია ერთგულების ჯანმრთელობის, ღონის, ვაჟიშვილისა და დოვლათის შეძენის, მეგობრობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის სურვილები. ამ წუთიდან ცოლქმრული კავშირი სრულიად ძალაშია. წესი კოცონის ირგვლივ ორ-სამ საათს გრძელდება და მთელი დღის მარხვისაგან ისედაც დაქანცული სიძე-პატარძლისათვის, ეს რიტუალი მძიმე გამოცდაა მაგრამ მოულოდნელად გაისმის საყვირის ხმა და იწყება ნადიმი. მიუხედავად იმისა რომ მეტად ცხარე საჭმელს ჭამენ, ჰინდუები არ იყენებენ ალკოჰოლიან სასმელებს (იგულისხმება საზეიმო - სარიტუალო შემთხვევები, დღევანდელ ინდოეთში სამწუხაროდ ადგილი აქვს ალკოჰოლილზმსაც მთ. ნ.კ.). მამაკაცები და ქალები

ქორწილს ზეიმობენ ცალ-ცალკე, მთელი ღამე მხიარულება სუფევს.

მეორე დღეს საქმრო არჩევს ხელსაყრელ დროს და ცოლი თავის მშობლების სახლში მიჰყავს. ახალ დაქორწინებულებს აცილებენ ნათესავები და მსახურები, რომლებსაც თავით მოაქვთ ცოლის ნივთები.

საქმროს ოჯახში პატარძლის მიღებასთან დაკავშირებულია მრავალი სხვადასხვა წესი რომელთა უმრავლესობა, უეჭველად არილებამდელი პერიოდის წარმოშობისაა ერთადერთი წესი, რომელიც აქ სრულდება, ესაა შინაური ცეცხლის თაყვანის ცემა რომელშიც ორივენი მონაწილეობენ - ცოლიცა და ქმარიც. ინდოეთის თითქმის ყველა რაიონში საქორწილო ცერემონიები მთავრდება პატარა შინაურული ზეიმითა და საქორწილო სიმღერებით. ხშირად ახალდაქორწინებულთა საწოლ ოთახს ყვავილებით რთავენ.

წესების ციკლი, რომელიც ჰინდუების მთელ ცხოვრებას თან ახლავს გასვენების რიტუალით მთავრდება. მიცვალებულებს თითქმის ყველა შემთხვევაში წვავენ, და მხოლოდ ზოგიერთ კასტაში შემორჩა მიცვალებულის დასაფლავების წესი. როგორც დაბადებისას, ადამიანი სიკვდილის მომენტშიც, რიტუალის თვალსაზრისით შებილწულად ითვლება. ძველი ტრადიციის თანახმად გარდაცვლილის ნათესავებმა გარკვეული დროით უნდა შეწყვიტონ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება. ისინი ამ დროს მკაცრად იცავენ ვეგეტარიანულ დიეტას და ძინავთ მიწაზე.

მართლმორწმუნე ჰინდუებს წამთ, რომ ადამიანებისათვის აუცილებელია განწმენდა: მიწიერი ცოდვებისაგან ჯერ ვიდრე მოკვდებოდეს. ამიტომ დღესაც ღვთისმომშიმორწმუნეები სიცოცხლის დასასრულის მოახლოებისას მიდიან სამომლოცველოდ ბენარესში ან სხვა წმინდა ადგილზე მდ. განგას ნაპირას. თუკი მათ აქ სიკვდილი არ უწერიათ, ისინი ოცნებობენ, უკიდურეს შემთხვევაში მათი ფერფლი წმინდა მდინარეში მაინც გადარაყონ. ზოგჯერ ფერფლით სავსე ლარნაკს ნათესავები გადასცემენ მომლოცველებს, რომლებიც მდ. განგას ნაპირზე მყოფ ტაძრებისაკენ მიემართებიან.

მაშინვე, ადამიანის სიკვდილის შემდეგ ხდება, მომზადება მის დასაწვავ ადგილზე („შამშანი“ ცემენტით მოპირკეთებული ადგილი მთ.ნ.კ.) სწრაფად გადასატანად როგორც წესი ეს ადგილი კედლებითაა შემოღობილი და მოთავსებულია მდინარის, ან ღელეს ნაპირას, სოფლიდან მოშორებით. მიცვალებულს ბანენ, ახვევენ თეთრ ტილოში სახეს არ აფარებენ (თვალებს არ უხუჭავენ მთ.შ.) დებენ ბამბუკის უბრალო საკაცეზე აყრიან ყვავილებს და გამოაქვთ ეზოში, აქ ქურუმი ასრულებს სახსენებლ წესს და გარდაცვლილის გვერდში დებენ წმინდა ქვას - შალაგრამს. მიცვალებულთან წარმოთქვამენ სამგლოვიარო მანტრებს, და გარდაცვლილს აპკურებენ განგის წყალს თავზე კი ტულის მცენარის ფოთლებს აყრიან.

გარდაცვლილის შვილები ან ახლო ნათესავები იღებენ საკაცურს მხრებით გააქვთ იცო ეზოდან, რომელიც ღმერთის სახელს განუწყვეტლივ იმეორებენ და განსხვენებულს მიაქვთ. ყველაზე ხშირად წარმოთქვამენ - „რამ-ნამ სატია ჰაი“ („თვით რამას სახელი ჰქმმარტება“) ან „ჰარი-ჰარიბალ“ („მოვუხმობ ჰარის“).

ქალები დაკრძალვში მონაწილეობას არ ღებულობენ. ისინი სახლში დასტირიან

გარდაცვლილს. საკაცეს ათავსებენ მანგოს ხის დაპობილ შეშებზე. წესს ასრულებს უმდაბლეს ბრაჰმანთა კასტის წარმომადგენელი - ქურუმი. გარდაცვლილის უფროსი შვილი ან უახლოესი ნათესავი ჯუთის ნაჭერით ცეცხლს ანთებს. ცეცხლმა რომ კარგად იგიზგიზოს ამისათვის დამწვარ ნეშტს თიხის ჭურჭელში აგროვებენ და წყალში ყრიან.

შვილები ალაპამდე მკაცრად იცავენ სამგლოვიარო წესებს, ბრაჰმანები მხოლოდ ათ დღეს, დაბალი კასტის წარმომადგენლები კი ერთ თვეს. ამ ხნის განმავლობაში არც გაპარსვა შეიძება და არც დავარცხნა, დადიან ფეხშიშველა და ტანზე შემოხვეულ თეთრი ტილოს გარდა არაფერი აცვიათ. თუ მათ სახლიდან გასვლა ჭირდებათ, თან უნდა წაიღონ შალის პატარა ხალიჩა, რომ არ შებილწონ ის ადგილი, სადაც დაჯდებიან გლოვის პერიოდში არ შეიძლება თაყვანი სცენ ღვთაებას.

ჰინდუებს სწამთ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ გარდაიქმნება ისეთ სულად რომელსაც აღარ ძალუძს გარდაისახოს ან სხვა ქვეყანაში წავიდეს, ვიდრე არ შესრულდება სულის ხსენების წესი - შრადჰა. თუ სული მიწაზე დარჩება იგი ავნებს ცოცხლებს. მხოლოდ შრადჰა ათავისუფლებს მას ამ ცოდვისგან და საშუამებას აძლევს სულს გააგრძელოს თავისი სიცოცხლის წრებრუნვა ან მიაღწიოს მონანიებას. წესის შესრულებას შვილი გარდაცვლილის სულს სწირავს, წყალს, რძეს და ბრინჯსა და ერბოსგან დამზადებულ ქუფთებს. ამიტომაც არაა გასაკვირი თუ ჰინდუებს ასე ძალიან რატომ უხარიათ ვაჟიშვილის შეძენა. იმ პირთათვის ვისაც ვაჟები არა ჰყავთ, ან მათთვის, ვისაც იმედი არა აქვს, რომ ვინმე შეასრულებს შრადჰას მათი სიკვდილის შემდეგ, არსებობს ამ წსის შემცვლელის მსგავსი რამ - ადიაშრადჰა, რომელიც ჯერ მორწმუნეთა სიცოცხლშივე სრულდება.

სოციალურ-ეკონომიკურ უერთიერობათა ცვლასთან ქრება მრავალი ძველი რიტულის მათ კი რომლებიც დღემდე შემორჩნენ, გაყინული სახე მიიღეს, უსიცოცხლო, ვინაიდან რელიგიურად გადათლებულ ინდოელებსაც კი ნათლად აღარ ესმით მათი მმნიშვნელობა, თუ კი ისინი საგანგებოდ არ დაინტერესდნენ ამ საკითხით პროფესიონალი ქურუმები შეზღუდული ადამიანები არიან, რიტუალის ცალკეულ შემადგენელი მნაწილის სიმბოლიკაზე, როგორც წესი, წარმოდგენაც კი არა აქვთ, და არ იციან მანტრების შინაარსი. მანტრებს შეუგნებლად და ცუდად წარმოთქვამენ, ან კიდევ სხვის მიერ მოტანილ წიგნებში კითხულობენ.

მეტად მოსაწყენი სანახავია თანამედროვე განათლებული ინდოელი, რომელიც ქურუმის შემდეგ, დაწესებულ შელოცვის სიტყვებს იმეორებს. ასე იქცევა ჰინდურ საზოგადოების ფესვებ-ღმადგაღმული ტრადიციის ზეგავლენით, იმ ტრადიციისა რომელსაც ჯერ კიდევ არ შეხებია ახალი ქარების ქროლვა.

საოჯახო და სატაძრო წეს-ჩვეულებები

კამილ ზველებილი

„სუნდარეშა პატარის ტაძარში, ქვეყანა ყოველ დღე ხელახლა იბადება” (ქ. მადურაიში).

ცნობილი, თანამედროვე ინდოელი ისტორიკოსი და მოაზროვნე კ. მ. პანიკარი სვამს კითხვას - თუ რატომ ხდება ჰინდუ ჰინდუდ, რა ასხვავებს მას სხვა რელიგიების მიმდევრებისა და სოციალურ მოძღვრებებისაგან ამ (შეკითხვაზე იგი ჩვენი აზრით სწორ პასუხს იძლევა). ჰინდუს რელიგიურ ცხოვრებაში, განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს საოჯახო და სატაძრო წეს-ჩვეულებების შეხამება, ერთი სიტყვით მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საოჯახო რიტუალს. ჰინდუიზმის ფილოსოფია და იდეოლოგია წმინდა ჰინდურ მოვლენად არ დარჩენილა. შასტრების (ძველი ინდური წმინდა წიგნები-ტრაქტატები სხვადასხვა დარგის მიხედვით, მაგ. „არტჰაშატრა”, ანუ ტრაქტატი-ძვ.ინდური პოლიტიკური სტრუქტურების შესახებ. მთ.ნ.კ.) ზნეობრივ და საკანონო ნორმებს იყენებენ არაჰინდუებიც, მაგრამ საშინაო რიტუალი, საკულტო აკრძალვები და კანონები, რმლებიც ადამიანებს თან ახლავთ დიდიდან საღამომდე, დაბადებიდან სიკვდილამდე ყველა ჰინდუსათვის ყველაზე მთავარია და დამახასიათებელია. პანიკარის აზრით, ჰინდური საზოგადოება ძირითადად წარმოიშვა და განმტკიდა „გრიჰიასუტრების”, ანუ საოჯახო (საშინაო) რიტუალების წესების წყალობით. საოჯახო და სატაძრო წეს-ჩვეულებების ერთობლიობამ გააერთიანა ინდოეთის ეთნიკურად სხვადასხვაგვარი ჯგუფები და ტომები და საფუძველი ჩაუყარა ერთიან ინდურ ცივილიზაციას.

აღნიშნულ საკითხზე რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა ერთგვარად დავუშვათ ზოგიერთი შეზღუდულობა. ეს პირველ რიგში ეხება ტერიტორიას, ჩვენი მსჯელობის სფეროში მოქცეულია მხოლოდ სამხრეთ ინდოეთი, ვინაიდან ჩვენ შევძელით თვალყური გვედევნებინა საოჯახო სატაძრო რიტუალებისათვის, სწორედ ამ რაიონებში, ქვეყნის ეს მხარე დღემდე რჩება ჰინდური ორთოდოქსიის ციხესიმაგრედ, სადაც ყველაზე წმინდად შემორჩა კულტი, რიტუალი, და სადაც წეს-ჩვეულებები სრულდება უფრო ზედმიწევნით ზუსტად, სრულად, ვიდრე ინდოეთის ნებისმიერ სხვა რაიონებში, გარდა ამისა, ჩვენ შემოვისაზღვრეთ თემატიკურადაც. ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიურ წეს-ჩვეულებასა და სატაძრო მომსახურებას.

ტაძრები ქურუმები და სარიტუალო ტექსტები

სამხრეთ ინდოეთის მოსახლეობას ძირითად ნაწილს წამს შივიატური იდეით გამსჭვალული ჰინდუიზმი, მაგრამ, სტატისტიკის თანახმად ვიშნუიტების რიცხვი აქ განუწყვეტლივ იზრდება. ამ ორ მიმდინარეობას შორის განსხვავება განსაკუთრებით შეიმჩნევა ბრაჰმანებში, სხვა მორწმუნენი ამ განსხვავებას ყურადღებას არ აქცევენ. შივიატები უფრო შემწყნერებლები არიან, მათი ტაძრები ღიაა ყველა ჰინდუსათვის და

ნაწილობრივ არაჰინდუებისათვისაც. მართალია, ამ უკანასკნელთათვის არსებობს წინააღმდეგობებიც, რომლების გადალახვაც ამ ქვეყანაში სამჯერ ყოფნისას - ოთხჯერ მაინც თავად მომიწია. სამაგიეროდ ვიშნუიტები თავიანთ წმიდათაწმიდას უფრო მკაცრად იცავენ. თვით ბრაჰმანიც კი, თუ იგი ვიშნუიტი არაა, ტაძარში შესვლას ვერ გაბედავს. მთელი რიგი ტაძრებისა ორმაგ მფლობელობაშია, მაგრამ ყოველი ჰინდუ მაინც ხაზგასმით აგისხნით თუ რომელ კასტას მიეკუთვნება ესა თუ ის ტაძარი.

სამხრეთ ინდურ კულტობრივ პტაქტიკას საფუძვლად უდევს ეგრეთწოდებული „აგამური“ რიტუალი. მისი ელემენტები შეიჭრა მცირე სალოცავებში, სადაც დღემდე ვხვდებით არიელეზამდელ კულტობრივ გადმონაშთს ცხოველების შეწირვას.

ვედური წესჩვეულებები, როგორც წესი, სრულდება მხოლოდ მართლმორწმუნე ბრაჰმანების მიერ და ისიც მხოლოდ შინ.

ქურუმები ძირითადად სამ ჯგუფად იყოფიან: საოჯახო, ანუ შინაურ სატაძრო და არაბრაჰმან მსხვერპლის მომტანებად. ეს უკანასკნელი ძირითადად ეკუთვნიან მექოთნეთა კასტას. მწირველის ფუნქცია საერთოდ შთამომავლობით გადადის. სატაძრო ქურუმები მეტნაკლებად განათლებული არიან და ღვთისმსახურებისათვის განსაკუთრებულად არიან მომზადებულნი. დღემდე არსებობს სკოლები, სადაც ისინი სწავლობენ ვედების წარმოთქმას და მათ სიმღერით გადმოცემას, აგამიტური წესჩვეულებების შესრულებას. სარიტუალო პრაქტიკას ძირითადად შიგ ტაძარში ეუფლებიან.

პუროჰიტები ანუ საოჯახო ქურუმები, - ვედური ტრადიციის მქონე ბრაჰმანები არიან და ისტორიულად დაკავშირებულნი არიან არა ცალკეულ ტაძრებთან, არამედ, გარკვეულ შთამომავლობებსა და ოჯახებთან. მათ მოვალეობაში შედის შესრულება „სანსკარებისა“, ე.ი. წესჩვეულებებისა, რომლებიც თან სდევს ყოველ „ორჯერ დაბადებულს“ (დვიჯას) დაბადებიდან სიკვდილამდე. არაბრაჰმანთათვის ამ წესჩვეულებებს ასრულებს გურუ (სულიერი მოძღვარი), ხშირად არაბრაჰმანული წარმოშობისაც კი. რას აკეთებს ასეთი პუროჰიტი - პროფესიონალი და რით ირჩენს თავს? როგორც საოჯახო ქურუმი იგი ემსახურება რამოდენიმე ათეულ თავისსავე ან სხვა კასტის ოჯახებს. იგი თავის მომხმარებლებს ყოველდღე ჩამოუვლის, მათთვის ადგენს ჰოროსკოპს, აწვდის და უხსნის ასტროლოგიურ მონაცემებს და აგროვებს გასამრჯელოს (ბეტელს, თუთუნსა და ფულს). მისი კლიენტურის თითქმის ყოველ ოჯახში, ყოველ დღე ხდება რაიმე: დაბადება, ბავშვისათვის ბრინჯის პირველად ჭმევა, ნიშნობა, ქორწილი, გასვენება. ასეთი და მთელი რიგი სხვა მოვლენებისა, ძალზედ ხელსაყრელი საბაზია იმისათვის, რომ პუროჰიტი იქნას მოწვეული და შესაბამისად დაჯილდოებულიც.

სამხრეთ ინდოეთის დიდ ტაძრების ბრაჰმან - ქურუმთა შორის, ასხვავებენ რამოდენიმე კლასს, უმაღლესი-ღვთისნიერნი, - აჩარიები (სახელდობრ შემწირველნი, რომლებსაც უნდა შეეძლოთ კითხვა. ისინი უნდა იცნობდნენ საღვთო ტექსტებს, კულტს, უნდა იქცეოდნენ წესიერად, მათ უნდა ქონდეთ უმწიკვლო ხასიათი, იყვნენ ჯანმრთელნი, და აუცილებლად უნდა ჰყავდეთ ცოლი, ასევე უნდა იყვნენ ადიშავეები, თუ საუბარი შივაიტურ ტაძარზე) ანუ, უნდა ეკუთვნოდნენ შივაიტურ ბრაჰმანთა ოჯახს, რომელტა

წარმოშობა უნდა მოდიოდეს ხუთ ვედურ რიშებიდან (კაუსაკი, კაშიაპები, ბჰარადვაჯი, გაუტამა, და აგასტია) ქურუმთა შემდეგი კლასია არჩაკარები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობით თითქმის „აჩარიებს“ უტოლდებიან. მათ სავალდებულო ფუნქციებს შეადგენს არჩანის მსხვერპლშეწირვის შესრულება, რომელიც განსაკუთრებული საბაბით სრულდება. ჩვეულებრივ ისინი ჰიმნებსაც მღერიან, შემდეგ მოდიან „პატარები“, რომლებიც აჩარიების მსგავსად ასრულებენ რეგულერულ მსხვერპლის შეწირვას. მადურაის ქალღმერთ მინაქმის ტაძარში 45 პატარია. არსებობს ქურუმთა განსაკუთრებული ნაირსახეობაც, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ ვედური ჰიმნების სასიმღერო ხელოვნებას. მათ სახელს ემატება ტიტული - შასტრი. როგორც წესი, ისინი ყველაზე განათლებულნი არიან, კარგად იციან სანსკრიტი და ფილოსოფია. დიდ ტაძრებშიც კი ასეთნი მხოლოდ რამოდენიმეა. არსებობენ კიდევ ჰინდუიზმის „დიაკვნები“ - პარისაჰარები, მათ შესაწირავად მოაქვთ წყალი და ნაყოფი, მუშაობენ სატაძრო სამზარეულოებში, ღვთისმსახურების დროს მოაქვთ საჭირო ნივთები. ესენიც, რა თქმა უნდა ბრაჰმანები არიან.

„პუჯარის“ - უწოდებენ ქურუმებს, რომლებიც მსხვერპლის შეწირვას ასრულებენ ნაკლებ მნიშვნელოვან და აგრეთვე არაბრაჰმანულ სალოცავებში, ადგილობრივი დედა ქალღმერთის საპატივცემულოდ ტაძარში, ღმერთ „აიანარას“ ტაძარში და ა.შ. პუჯარები არ არიან ბრაჰმანები და მათ ტაძარში ბრაჰმანი არასოდეს შევა.

სამხრეთ ინდოეთი საოცრად მდიდარია ტაძრებით. ყოველ სოფელს აქვს თავისი საკურთხეველი ადგილობრივი ღვთისმშობლის ან თიხის ცხენებით გარშემორტყმული ღმერთ აიანრას საპატივცემულოდ, რომელსაც თან ახლავს თიხის ცხენები. ქუჩის კუთხეებში განემის სალოცავები დგას. დიდ სოფლებში შეიძლება ნახოთ ორი ან სამი დიდი ტაძარი. ერთი იშვარანის, ე.ი. შივასი მეორე პერუმალის ანუ, ვიშნუსი. ქალქებს გადმოაჰყურებენ დიდი ტაძრების გუმბათთა პირამიდები. უკანასკნელ ხანებში სამხრეთ ინდოეთის ნაციონალიზმის გაძლიერებასთან ერთად, იზრდება არიელეზამდელი ღვთაების შივას შვილის- მურუგანის პოპულარობაც. მაგრამ არც განაპატივანება, ეს სპილოსთავიანი, მუცელგაბერილი, კეთილი ღმერთი არ კარგავს თავის უწიდელ სიდიადეს.

ინდოეთის სამხრეთით იყენებენ სარიტუალო ტექსტების ოთხ სახეს: პირველი ტექსტებია, სადაც აღწერილია და განმარტებულია სატაძრო რიტუალი (აგამი), და ჰინდური “კურთხევანის”- სმგავსი სატაძრო წესჩვეულებების მოკლე ცნობარებისა. მეორეა ყოველდღიური საოჯახო წესჩვეულებების ცნობარები (ისინი დაფუძნებულია ძველ გრიჰიასუტრებზე); მესამეა ცნობარები ასტროლოგიასა და მეცნიერებებში (ვედანგები) და ბოლოს მაგიკური ფორმულებისა და შელოცვების კრებული.

ყველა აგამი, ერთმანეთისაგან განსხვავდება იმისდამიხედვით, მიდის თუ არა საუბარი შივაიტურ, ვიშნუიტურ და შაქტისტურ ტექსტებზე, ძირითადათ ისინი ასახავენ ჰინდუიზმის ისტორიის ერთსა და იმავე ეტაპს - ჰინდური ორთოდოქსულობის ცოცხალი განვითარების უკანასკნელ სტადიას. შინაარსის მიხედვით ისინი იყოფიან თეოლოგიურ - ფილოსოფიურ, იოგურ, რიტუალურ და ტექსტებად, რომლებიც ეხება კანონებს ტაძრების ჩასახვასა და მშენებლობას. ფაქტიურად აგამური ტექსტები საერთოდ ეხება მორწმუნეთა ყოველდღიურ რელიგიურ მოვალეობებს, დარიგებებს

შეწირვასთან და დღესასწაულების სწორად ჩატარებას, მხოლოდ ზოგიერთები კი იოგურ ფსიქოტექნიკას და მაგიას. ამასთანავე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგიერთი ტექსტებისა შემორჩა, როგორც ნამდვილი სახელმძღვანელო ღვთისმსახურებისა. სამხრეთ ინდოეთის შივაიზმისათვის ყველაზე ავტორიტეტულ ტექსტებს წარმოადგენს „კამიკაგამა“ (მოცულობა 1030 ნაბეჭდი გვერდი) და „კარანაგამა“ (1010 ნაბეჭდი გვერდი). თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ აგამებში მოცემულია ნათელი და გასაგები განმარტებანი, ვთქვათ ისეთი როგორცაა კათოლიკურ ღვთისმსახურებაში ან ქრისტიანულ ლითურგიულ ცნობარებში. ღვთისმსახურების საკითხები გადაწყვეტილია ფილოსოფიურ - რელიგიური ხასიათის მსჯელობით, პრაქტიკული ინსტრუქციები შეხამებულია მისტიკურთან. იშვიათია, როცა ქურუმს უნარი შესწევს ნამდვილად ჩაწვდეს აგამების შინაარსს, მით უფრო, რომ მას საქმე აქვს სანსკრიტიდან ტამილურ ენაზე ნათაგმნ ტექსტებთან, ზოგჯერ დამატებითი ტამილური კომენტარებით.

რიტუალის ცოდნის ძირითად წყაროდ გვევლინება ზეპირი ტრადიცია და მოკლე ცნობები, რომლებიც შეიცავენ ნაწყვეტებს სანსკრიტული აგამებიდან. 1921 წელს დაარსდა აგამური მოძღვრების ამგვარ ექსტრაქტთა (ტექსტის მოკლე შინაარსი) საგამომცემლო საზოგადოება. შივაიტთა ან ვიშნუიტთა ყოველდღიური მოვალეობების აღწერა და მითითებები საოჯახო წესჩვეულებების შესასრულებლად შეგვიძლია ვიპოვოთ მთელ რიგ კომპენდიუმებსა და კატეჰიზმებში, რომელთა კითხვა იმდენადვე ჭკუის სასწავლებელია, რამდენადაც სახალისოა. 1947 წლიდან მადრასში გამოდის ერთთვიური ჟურნალი, რომელიც ვედური რიტუალის საკითხებს ეხება. გარდა ამისა, ამ ჟურნალის ზოგიერთ ნომერში თავსდება ღმერთების სახელები, ვინაიდან 1008 თუ 20 ათასი ღმერთის სახელისა და მათი თანმიმდევრობის დამახსოვრება მეტად ძნელია, თვით ცნობილი „ინდური მეხსიერების“ მქონე ადამიანისათვისაც კი.

ყოველწლიურად გამოდის ასეულობით, ასტროლოგიური სახელმძღვანელოები და კალენდრები, რომლებიც წარმოადგენენ უსაზღვროდ მრავალფეროვან და გასაოცარი ცნობების კრებულს, მაგალითად ბავშვებზე პლანეტების მავნე გავლენის შესახებ, ხალის მნიშვნელობას ან შინაური ხვლიკის მოძრაობის შესახებ. 1927 წელს გამოიცა 407 გვერდიანი სპეციალური წიგნი, რომელიც შეტხზული ამბების საოცარ კრებულს წარმოადგენს. ასევე გამოდის წიგნები ჰირომანტიის შესახებ.

სამხრეთულ ტადრებთან დაკავშირებულია ადგილობრივი ლეგენდები და თქმულებები, რომლებიც დაწვრილებითაა ასახული სტჰალაპურანებში, ეს ნაწარმოებები ზოგჯერ უდიდესი ლიტერატურული ღირებულებისა არიან. პურანები, რომელთაც განეკუთვნებიან ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებებიც როგორცაა „ტირუვილიადალ-პურანა“ (პურანა შივას წმინდა თამაშებისა თევზისთვალა მზეთუნახავ მადურაისთან) უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა შორის. გასართობ ტავგადასავლების გარდა, იგი მოგვითხრობს იმ წესჩვეულების შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ ტადარში სრულდება.

საკულტო ჭურჭელი

იმისათვის, რათა შესრულდეს ნებისმიერი (საოჯახო თუ სატაძრო) წეს - ჩვეულება, საჭიროა მრავალი საკრალური ნივთი, სარიტუალო ჭურჭლეულობა და ხელსაწყო. გავიხსენოთ თუნდაც შანდალები, რომლებიც გამოიყენებუან ღვთისმსახურების დროს. სრულებით არაა გასაკვირი, რომ ამ ნივთების საჭიროება წარმოადგენდა ნიჭიერი მხატვრებისა და ოსტატების შემოქმედების საგანს, რათა მათ საშუალება ქონოდათ სპილენძის, ბრინჯაოს და სხვა მეტალებისაგან შეექმნათ ისეთი ლამაზი, ჯადოსნური ფორმის შანდალები, რომლებიც აღტაცებაში მოიყვანდა არამარტო ერის კაცებს, არამედ არაინდოელსაც. რაკი საუბრი დავიწყეთ შანდალებზე, ღირს აღვნიშნოთ, რომ ისინი მეტად დიდი როლს თამაშობენ სატაძრო ლითურგიაღვთაების ქანდაკებისა და მისი ფერწერული გამოსახულების წინ, ხშირ შენტხვევაში რიტუალის საფუძველს წარმოადგენს. სარიტუალო შანდალს ეწოდება არატრიკა, რომლის მრავალი სახე არსებობს: - უბრალო, ორსათულიანი, სამსართულიანი და ა.ს. მე წილად მხვდა მენახა უზარმაზარი კაცის სიმაღლის მრავალსაერთულიანი შანდალი, რომელზედაც 108 სანთელი ენთო. მას ქონდა ერთი მეორეზე დამაგრებული ზეთით სავსე შვიდი პატარა ჭურჭელი. ღვთაების წინ საცეცხლურის ქნევასთან დაკავშირებულია ღვთაებების გაბოლვა. რომლის დროსაც საცეცხლურზე ქაფური იწვის თან პატარა ზარები რიწკინებენ, უკრავენ ნიჟარები, ან ცემენ გონგს, რათა თითქოსდა ღვთაების ყურადღება მიიპყრონ. თუკი გამოსახულება გაკეთებულია ისეთი მასალისგან, რომელიც იხსნება წყალში, რძეში, ზეთში, ან იაგურატაში მაშინ ღვთაების ყურადღებას სხვაგვარად იპყრობენ - ბანენ, აცმევენ აჭმევენ, დაატარებენ, მაგრამ კერძოდ არა ღვთაების გამოსახულებას, არამედ მის ანარეკლს სარკეში. ღვთაების გამოსაკვებად სხვადასხვა ჭურჭელი არსებობს: ჯამი, სადაც სამსხვერპლო შესაწირავ საჭმელს დებენ, განსაკუთრებული ჭურჭელია წყლისათვის, ტაფა და ქვაბი, რომლებიც სამსხვერპლო საჭმელის მოსამზადებლად საგანგებოდაა განკუთვნილი. ყოველივე აღნიშნუილს წიგნში წარმოდგენილი ფოტოსურათები უფრო ზუსტად გადმოგვცემს ვიდრე თხრობა მათ შესახებ.

ყოველდღიური მოვალეობა - თეორია

გადავფურცლოთ, 1953 წელს დჰარმაპურანის შივაიტური მონასტრის მიერ გამოცემული ჰინდური კატეჰიზისი, და 77-ე გვერდზე, წავიკითხოთ მე-17 თავი, რომელშიც ლაპარაკია მორწმუნის ყოველდღიურ მოვალეობაზე. ჩენ იმთავითვე შევიტყობთ, რომ გამოღვიძებისთანავე საჭიროა სახეზე წყლის შესხურება, სახით ჩრდილოეთისკენ დაჯდუ/ვინაიდან ღმერთები იქით ცხოვრობენ/ და მოჰყვე შივაზე ყურადღების გარინდებას. შემდეგ შუბლზე წაიცხო წმინდა ფერფლი, აიღო კომბალი, წყლით სავსე ჭურჭელი, ბრინჯის მარცვალი და გახვიდე სახლიდან.

წმინდა ფერფლი (სანსკრიტზე „ვიბჰუტი“, ხოლო ტამილზე „ტირუნირუ“ კატეჰიზისის თანახმად, ეს დამწვარი ნაკელია ზაქისა, რომელიც მოვდა მხოლოდ საბალახოზე და არავითარ შემთხვევაში, ქუჩაში, ან უკაცრიელ ადგილზე, სადაც ათასგვარი ნაგავი ყრია, რადგან ის ათავისუფლებს სხეულს უწმინდურობისაგან, აჩერებს თავის ტკივილებს და სასარგებლოა გაციებისას, თუნდაც მოგვაგონებს, რომ ბოლოს და ბოლოს

ყველაფერი, (მათ შორის ჩვენც) „ფერფლად იქცევა“. შემდეგ: „დილის და საღამოს დაბანის მერე მსხვერპლის მოტანის წინ, ან ჯერ კიდევ ვიდრე საჭმელს მიიღებდე და ტამარში წახვიდოდე სახე ჩრდილოეთით, ან აღმოსავლეთით უნდა მიაპყრო. აილო სამი თითით წმინდა ფერფლი, თანაც ისე უნდა აილო, რომ ძირს არ დააბნო. დახარო თავი და წარმოსთქვა „შივა, შივა“ და შუბლზე წაიცხო“.

შემდეგ, მეტად ინტიმური ხასიათის ცნობის მერე, რომლებიც ეხება ადამიანის ორგანიზმის მოქმედებას, მოცემულია დებულებები იმის შესახებ, თუ როდის, სად და როგორ უნდა ჩატარდეს დილის ტანთბანა (დაბანა), რაც მეტად რთულ პროცედურასა და ჰინდუს ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს, დაბანისას სრულდება წყლის რიტუალი ყლუპებით სმა, რასაც თან სდევს სხვადასხვა ფრაზის წარმოთქმა. ლოცულობენ ღმერთებზე, გარდაცვლილთა სულებზე და წმინდანებზე. ის, ვისაც რაიმე მიზეზით არ შეუძლია ტანთბანის შესრულება წყალში (ვთქვათ ავადმყოფობის გამო), უნდა აირჩიოს დაბანვა ძროხის შარდში, ან ნაკელში ან ნადული რძეში, თიხასა ან წმინდა ფერფლში, რათა არ შებიწოს წყალი.

დაბანის შემდეგ კვლავ სრულდება წმინდა ფერფლის, შუბლზე, საზეიმოდ წაცხება, რომლის დროსაც წარმოთქვამენ უმთავრეს სალოცავ ფორმულას, ეგრეთ წოდებულ მანტრს. შივაიტები შემდეგნაირად წარმოსთქვამენ: „ომ ნამაშივაია“ („ომ, შივას ვფიცავ“), ხოლო ვიშნუიტები „ჰარი ომ ნარაიანა“ („ჰარი, ომ ნარაიანის თქყვანს ვცემ“) ეს მანტრა ერთგარად წინ უსწრებს გონებით ჭვრეტას. მორწმუნე ისწრაფვის შინაგანად დაინახოს ისეთი ღმერთი, როგორსაც იცნობს მას ქანდაკებებისა და გამოსახულებებით. დღის დროის მიხედვით ანსხვავენ გონებაჭვრეტის (იგულისხმება მედიტირება ნ.კ.) ოთხ სახეს: დილისას (როცა ცაზე ძლივს ჩანან ვარსკვლავები), შუადღისას (როცა მზე ზენიტშია), საღამოსას (როცა მზე თითქმის ჩასულია) და შუალამისას.

დილის მედიტაციას მოსდევს ერთ - ერთი უმთავრესი საოჯახო წეს - ჩვეულება, რომელიც ყესტებისა და მოკლე ფორმულების რთულ წყებას შეიცავს. ამით მორწმუნეები თავიანთი სხეულის ცალკეულ ნაწილებს ღმერთებს ანდობენ, და ასევე ღმერთებს იძახებენ და „ასუფთავენ“ მათ თავიანთ სხეულში - რიტუალი ძირითადად მაგიურია. ჯერ გონებაჭვრეტით, გარინდულ მორწმუნეს ღვთაება და მისი ძალა თითქოს შეჰყავს ხელებში და მერე სხეული სხვა ნაწილებში. ამგვარად ღვთაებრივი ძალა იძულებული ხდება დაიკავოს გარკვეული ადგილი სხეულის სხვადასხვა ნაწილში, მაგალითად, ხელის ხუთი თითი შივას ხუთი სახის ადგილსამყოფელად იქცევა, შემდეგ იწყება „ღვთაებასთან ერთვარი გაიგივება“ - მორწმუნე, რომელიც შექმნილია მის სხეულში მყოფი ღვთაებრივო ძალების მიერ, მარჯვენა მუჭით იღებს წყალს, ისხამს მარცხენა ხელში და და მარჯვენა ხელით კი წყალს თავზე ისხურებს. სისხამ დილით, ღვთისმსახურება მთავრდება ხანმოკლე ლოცვით, მზისადმი მიმართვით და „ღვთაებათა ღვთაების“ - მარადიული შივას ქებათაქებით.

რა თქმა უნდა, ამით არ მთავრდება მორწმუნის სარიტუალო მოვალეობანი, კატეჰიზისი კითხვაზე (№136) რომელი საოჯახო წესჩვეულებაა მთავარი? - პასუხობს „ჭუჭყისაგან განთავისუფლება“, „კბილების გაწმენდვა, ახალი ტანსაცმლის ჩაცმა. ტამარში წასვლა. საჭმლის ჭამა, საღამოს ღვთისმსახურების ჩატარება და ძილი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რითაც სავსეა ადამიანის

სიცოცხლე, ჰინდუიზმი მოიცავს რელიგიური ხასიათის ყოველგვარ გამოვლინებას, რომელსაც ექვემდებარება ინდივიდუუმის ყოველი წუთი. მორწმუნის ყოველი დღის ყოველ საათს თუ წუთს თან ახლავს შესაბამისი მითითებანი და აკრძალვები, ეს რა თქმა უნდა ჰინდუიზმის ყველაზე აშკარა და სპეციფიკური თვისებაა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აი ის წესებიც, რომლებიც საჭმელის ჭამას ეხება: „მაგიდასთან დაჯდომამდე, საჭიროა ხელების, ფეხების და პირის დაბანა. თუ მორწმუნე ტაძარში მიდის მან არ უნდა ჭამოს ხორცი, კვერცხი, თევზი, უნდა გაშალოს მიწაზე ჯვალის პატარა ხალიჩა და დაჯდეს მასზე სახით სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ ან დასავლეთისაკენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჩდრილოეთისაკენ, ან დასავლეთისაკენ, დალიოს ორი - სამი ყლუპი წყალი, მარჯვნივ დაიდვას წყლით სავსე ჭურჭელი, დარბჰას ბალახი დაიხვიოს მარჯვენა ხელის არათითზე, საჭმელის თავზე ხელის გულები ერთმანეთს მიადოს და თქვას: „დაე, ყოველთვის იყავ ჩემთვის“ შემდეგ საჭმელს უნდა დაასხუროს წყალი და ყველა ულუფის ნაწილი შეწიროს ღვთაებასა და ქვეყნის რვა სახელმწიფოს მფარველებს. ამის მერე მარჯვენა ხელის არათითით და ცერით უნდა აიღოს პირველი ლუკმა, წარმოებს ლოცვა პრანაისვაჰა („დაე კეთილი იყოს სუნთქვა სიცოცხლის“) და გადაყლაპოს იგი დაუღეჭავად. ჭამის დროს არასასურველი ბევრი ლაპარაკი, ჭამოს მხოლოდ მარჯვენა ხელით, დადოს საჭმელი ბანანის ფოთლებზე, საჭმელის მერე აუცილებელია ცივი ან ცხელი წყალი დალიოს, გამოირეცხოს კბილები, დაიბანოს პირი, თავი და ფეხები. ადგილი, სადაც ტრაპეზი სრულდებოდა უნდა გაიწმინდოს ძროხის ნაკელით და წყლით“.

ჰინდუიზმი აქტიურად ერევა მორწმუნეთა სქესობრივ ცხოვრებაშიც. ბუნებრივია, ჩვენ არ გავჩერდებით დეტალებზე, მაგრამ ხაზს გაუსვამთ, რომ რელიგიური კანონები და აკრძალვები (აღკვეთები) ვრცელდება ადამიანის არსებობის ყველაზე ინტიმურ სფეროზეც.

სადამოს ღვთისმსახურება შედგება ლოცვისგან, საღმერთო ტექსტების წარმოთქმით და გონებაჭვრეტითი გარინდებისაგან. საღმერთო ტექსტების წარმოთქმით და გონებაჭვრეტითი გარინდებისაგან. საღმერთო წიგნების კითხვა მნიშვნელოვან და კეთილშობილ საქმედ ითვლება. უპირველეს ყოვლისა, ყოველ მორწმუნეს თავისი სულიერი მოძღვარი (გურუ) უნდა ჰყავდეს, რომელიც მას ტექსტების სწორ გამოთქმას ასწავლის, მათი კითხვა ამქვეყნიური მიზნებისათვის ცოდვად ითვლება. ტექსტების წაკითხვის წინ აუცილებელია დაბანა, ტანისამოსზე საამო სურნელის მოფრქვევა, შუბლზე უნდა დახატო საკუთარი სექტის ნიშანი, პირი გამოივლო, დალიო ცოტა წყალი, (გაწმენდის მიზნით) და დაიწყოს კითხვა წმინდა ზრახვებით (ღმერთის განდიდება, ან მომზადება გონებაჭვრეტისათვის). ყოველივე აქედან აშკარაა, რომ ყოველდღიური რიტუალის მთავარი მიაზანია, საკუთარ თავში გამოიწვიო ღვთისა და მისი ძალის გაჩენა, გამოვლინება, ე.ი. წესჩვეულებების საშუალებებით უნდა მოხდეს ღვთაებისა და მისი თაყვანისმცემლის შერწყმა. ამ მხრივ შივაიტებისა და ვიშნუიტების წესჩვეულებები ერთნაირია. ერთმანეთს ჰგავს აგრეთვე მათი ყოველდღიური რიტუალის დეტალების უმრავლესობა, თუმცა ვიშნუიტებისა და შივაიტების წესჩვეულებების თანმიმდევრობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთიმეორეს. ამ რიტუალების დაცვის მოთხოვნა, ტიპურია თანამედროვე ჰინდუიზმისათვის, მე ვიტყვოდი, მისი განვითარების ბოლო საფეხურზე, ანუ მისი ისტორიული გზის ბოლო

ყოველდღიური მოვალეობანი - პრაქტიკა

ბუნებრივია ისმება კითხვა: „შესაძლებელია თუ არა დღევანდელ პირობებში, მორწმუნემ ნამდვილად შეასრულოს ყველა დაკანონებული წეს - ჩვეულებები და ყოველდღე იაროს ტაძარში?“

სრულიად შემთხვევითი არაა, რომ ინდოეთის დაწესებულებები, სკოლები და საწარმოები, მუშაობასა და სწავლას იწყებენ ათსა და თერთმეტ საათზე. ყველაზე მეტი დრო სჭირდება დილის წეს-ჩვეულებებს, რომლებიც სრულდება გაღვიძებისა და იმ მომენტს შორის, როცა ჰინდუ მიირთმევს ძირითად დღის ძირითად ულუფას (სამხრეთ ინდოეთში - დილის ათსა და თერთმეტ საათს შორის). მორწმუნეს, რომელიც მოისურვებდა წეს-ჩვეულების ზედმიწევნით და მთლიანად შესრულებას, დასჭირდებოდა არა ნაკლები სამი საათისა.

მე პირადად არა მგონია, რომ ვინმეს ეყოს მოთმინება იმისა, რომ რიტუალს სამი საათი მოანდომოს. თუმცა, ჯერ კიდევ მონიერ ვილიამსი (1891) აღნიშნავდა, რომ ისეთ ბრაჰმანთა რიცხვი, რომლებიც ყველა წესს ასრულებს, განუწყვეტლივ მცირდება. ეს იყო შედარებით დიდი ხნის წინ. ჩვენი დაკვირვებით, ჰინდუ დღეს ასრულებს რიტუალის მხოლოდ მცირე ნაწილს იმისა, რასაც იგი უნდა ასრულებდეს. მხოლოდ ძველი ბრაჰმანები, და განსაკუთრებით ქვრივი ბრაჰმანები, ნამდვილად დიდ როლსა და ყურადღებას უთმობენ მთელ თავიანთ რიტუალს.

ვესაუბროთ უბრალო, განათლებულ ჰინდუს და ვნახოთ, კერძოდ როგორ მიდის მისი რელიგიური ცხოვრება, მოკლედ რომ ვთქვათ, თეორია პრაქტიკას შევადაროთ, დაწესებული კანონები სინამდვილეს.

მაგალითად, ბატონი პილაი, რომელიც მუშაობს სამხრეთ ინდოეთის საგზაო სამმართველოში, დგება შვიდი საათისთვის. ტანის დაბანის შემდეგ იღებს მეტალის კოლოფს, თავს დახრის და ჩურჩულებს „შივა, შივა“, შუბლზე იცხებს წმინდა ფერფლს. მის ქალიშვილს სწორედ ამ დროს მოაქვს ცოცხალი ჟასმინები. ინდური ჯიშის ჩაბრეცის მარუკოლუნდის მწვანე სურნელოვანი ფოთლები. ბატონი პილაი რამოდენიმე ყვავილს დებს პატარა საოჯახო სალოცავზე, სადაც ღვთაება განემის სპილენძის ქანდაკება დგას. ყვავილებს იგი ასობს დედის და გარდაცვილილი მეგობრების ფოტო სურათის ჩარჩოში. შემდეგ მანემის გამოსახულების წინ დებს ბანანს, ბეტელის ფოთოლს და ქაფურის კრისტალის რამოდენიმე ნამცეცს, რომლებსაც ორ ან სამ სურნელოვან ჩხირთან ერთად ანთებს. მერე იხევს უკან, მოხრის თავს, ხუჭავს თვალებს, ნიკაპთან ახლოს ხელის გულს ერთი მეორეზე მიადებს, (ამ ჟესტს პუშაპანჯალი ეწოდება) და წარმოთქვამს, უფრო სწორედ წაიმღერებს თავის მოსაზრებით შერჩეულ რამდენიმე სტრიქონს სხვა და სხვა საღმრთო წიგნებიდან. მე განსაკუთრებით მომეწონა ერთი ასეთი სტროფი:

ყოველცისმარე მოწიწებით მოგიტან მსხვერპლად
სამაგიეროდ სიბრძნის სპილოვ, ღვთაებრივი მომეცი ნიჭი-
ვწერო, ვიკითხო, ვისაუბრო დიად ტამილზე

(თ. ნ. კ.)

ამით მთავრდება დილის ღვთისმსახურება, რომელიც არ გრძელდება ათ წუთზე მეტს. მაშასადამე, სამი საათის ნაცვლად ღვთისხსენებასა და გონებაჭკვრეტას სულ რამოდენიმე წუთი დასჭირდა.

საღამოს, ბატონი პილაი კვლავ დგება თავისი ღვთაების პატარა ქანდაკების წინ, ხელის გულებს ერთი მეორეზე მიადებს, რამეთუ მომთმენი ჰინდუა და არა ვინმე წვრილმანი ორთოლოქსური სექტანტი, და ამბობს ლოცვას: „ო, სიყვარულის დიდო, ნათელო უზენაესო არსებავ! შენი ფეხები წმინდა ყვავილებია, - ჩემი თავშესაფარი. ყოველი, დიდი თუ მცირე ქებით მოიხსენიებს შენს დიად ძალას, ძალას შექმნისა, მფარველობისა და დაქცევისა (ნგრევისას). მოსიყვარულე დედასავით მოწყალეო ჩვენო, ჰოი პირველო და უზენაესო, შენი წყალობით ვინანიებთ მიწიერ ცოდვებს. მოგვეც ძალა და სიყვარული, რომ არ შევცოდოთ. მოგვეც ძალა, რომ ვიაროთ ჭეშმარიტი გზით! დაე ღმერთო, გადაგვატანოს, ამ ქვეყნად მოსვლის ყოველი სენი, და გვეხილოს შუქი მონანიების.“

პარვატის ფეხებს ვემთხვიოთ!
ჰარა, ჰარა მაჰადევი,
იდიდე სახელო გოვინდის
გოვინდა, გოვინდა!
შივასიდამზარამ! შივასიდამზარამ!
ვადიდებთ შივას, სამხრეთ ინდოეთის - გამგებელს!
ვადიდებთ ჩვენი მიწის ღმერთებს!
ტირუჩიტამბალამ!

(თ. ნ. კ.)

მაგრამ ჰინდუებს შორის გვხვდებიან უფრო „უღმერთოებიც“, ვიდრე ბატონი პილაია. მაგალითად, მადრასის უნივერსიტეტის პროფესორმა მითხრა: „მე საერთოდ არ ვაძლევ მნიშვნელობას მაგ სისულელებს. უკვე მრავალი წელია არ შევდივარ იქ სადაც, ჩემი ცოლი თავის წესჩვეულებებს ასრულებს. ყოველივე ეს ჯადო და მაგიაა“. განა ეს პროფესორი აღარაა ჰინდუ? რა თქმა უნდა არის. ის ხომ ჩვეულებისამებრ ჩაბმულია ჰინდუთა ცხოვრების ფერხულში, და რაც მთავარია, მას გააჩნია კასტა, რომელშიც იგი დაიბადა, თუმცა როგორც ინტელიგენტი კასტობრიობას უარყოფს და არ ცნობს, მაგრამ რაკი ერთხელ გახდა ჰინდუ, რომ აღარ იყოს, ის ვერ შეძლებს, გულითაც რომ სურდეს.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები გამონაკლისს წარმოადგენენ. ბრაჰმან ჰინდუთა უმრავლესობის დიდი მასა დაახლოებით იმითვე კმაყოფილდება, რითაც პილაი. ვიშნუიტები ტაძარში უფრო ხშირად დადიან, ვიდრე შივაიტები, დიდ დროს უთმობენ საღვთო ტექსტებს, გარდა ამისა, სახლში თაყვანს

ცემენ წმინდა ბუჩქს - ტულსის. ყველა ისინი რა თქმა უნდა, ცხოვრებისეული ციკლის წეს-ჩვეულებებს ასრულებენ, სულიერი კრიზისის დროს ხშირად, ხსნას რიტუალსა და შელოცვებში პოულობენ, ზოგიერთები რეგულარულად მიდიან თავიანთ სალოცავებში.

ტაძარში

ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი, არა მარტო სამხრეთ ინდოეთში, არამედ საერთოდ მთელ ინდოეთში (შესაძლოა მსოფლიოში) - ესაა თევზისთვალა ქალღმერთი მინაქმისა და მისი ღვთაებრივი მეუღლის, სუნდარემვარის შივაიტური ტაძარი - მადურაიში. ქალაქში მთელი დღე დავყავი, გათენებიდან მზის ჩასვლამდე, და გავლენიანი ნაცნობების წყალობით შევძელი დავსწრებოდი ღვთისმსახურებას, რომელსაც იქაური „პატარები“ ატარებდნენ. მადურაის ტაძრის რიტუალი ემორჩილება ორ სანსკრიტულ წყაროს „კამიკაგამასა“ (გამოცემულია კომენტარებით ტამილურ ენებზე 1889წ.) და „კარნაგამას“ (1922-1928წ.წ.) რიტუალური წვრილმანების მორევში რომ არ ჩავიძიროთ, საჭიროა ერთგვარი წინასწარი ახსნა - განმარტება. ღვთისმსახურება ტაძარში შედგება ოთხი ძირითადი წეს-ჩვეულებისაგან - ალიონზე, შუადღეს, საღამოსა და შუალამის - და ორი ნაკლებ მნიშვნელოვანისაგან, რომელთაგან ერთი სრულდება დილით, მეორე კი - დღის მეორე ნახევარში. ამგვარად სულ ექვსია.

ვიდრე ქურუმი სამუშაოდ წავიდოდეს (საერთოდ იგი ცხოვრობს იქვე ტაძრის ტერიტორიაზე, ზოგჯერ შიგ ტაძარშიც) ატარებს რთულ მომზადებას - „თავის თავის გაიგივებას“ ღმერთთან. ყველაზე უწინ იგი მიმართავს „ველის გამგებელს“ ე. ი. ადგილობრივ ღვთაებას, მფარველსა და დამცველს ქალაქისა და იმ მიდამოებისა, სადაც ტაძარი მდებარეობს. ტაძრის მიდამოები ღვთის ზემოქმედების, მისი პირდაპირი გავლენის სფეროს „მაგნიტური ველია“ (რათა მიიღოს ტაძარში შესვლის უფლება და დაიწყოს ღვთისმსახურება.

შემდეგ, ქურუმი „ადვიძებს“ ღმერთებს, მოაქვს ჭურჭლეულობა, რომელიც მას წეს-ჩვეულების ჩასატარებლად დასჭირდება, და მხოლოდ ამის მერე შეუდგება, დილის ღვთისმსახურებას. ღამით იგი კვლავ მიმართავს „ველის გამგებელს“ და აძლევს მას ტაძრის გასაღებს.

კიდევ ერთხელ გადავაავლოთ თვალი წეს - ჩვეულების ჩატარების თანმიმდევრობას:

ქურუმის მომზადება, რომელიც მსხვერპლს წირავს;

„ველის გამგებლისადმი“ მიმართვა და ღმერთების გაღვიძება.

მომზადება საგნებისა და ჭურჭლეულობისა, რომლებიც საჭიროა:

ღვთისმსახურებისათვის;

ღვთისმსახურება ალიონზე;

ღვთისმსახურება დილით;

ღვთისმსახურება შუადღით;

ღვთისმსახურება შუადღის მერე;

ღვთისმსახურება საღამოს;

ღვთისმსახურება შუაღამით;

„ველის გამგებლისადმი“ მიმართვა და ტაძრის გასაღების გადაცემა.

საშუალებები, რომლებსაც ქურუმი იყენებს, ესენია პირველ რიგში ლოცვები და მაგიური ფორმულები, საღვთო - მისტიკური კუპლეტები და სიმბოლური ჟესტები. ამ საშუალებებში შედის აგრეთვე იოგური პრაქტიკაც. წეს-ჩვეულებების ძირითადი ელემენტები, უფრო სწორად, ღვთისმსახურების ძირითადი ფორმები, დაფუძნებულია იმ შეხედულებებზე, რომ ღმერთები ჰგვანან განსწავლულებსა და კეთილშობილ ადამიანებს, მბრძანებლებს, ხელმწიფეებს, რომლებიც შესაბამის მოვლას და დამოკიდებულებას მოითხოვენ, ამიტომაც ღმერთებს ბანენ, ახლებს აცმევენ, რთავენ, უხვად კვებავენ და ართობენ. მათ ხელსახოცსაც კი თავაზობენ, რომ ჭამის მერე პირი გაიწმინდონ. ისინი დღეში ექვსჯერ ჭამენ (ინდოელი გლეხისა და მოსამსახურისაგან განსხვავებით, რომელიც დღეში ორჯერ მეტად არ ჭამს). ართობენ მათ მუსიკითა და ცეკვებით - აქედან მოდის სამხრეთინდური ტაძრების მოცეკვავე ქალების დევადესების (ტამილურ ენაზე ტევადიალ) ცნობილი ტრადიცია.

ყველა ეს უბრალო ოპერაციები ღებულობს მეტად რთული რიტუალის სახეს რომლებიც ყოველდღე დეტალურად სრულდება, მაგრამ მთავარია არა ის, თუ როგორ სრულდება წეს-ჩვეულება, არამედ სრულდება იგი თუ არა საერთოდ, ვინაიდან წეს-ჩვეულების შესრულება არა თვითმიზანი, არამედ საშუალებაა, რათა გახდეს კეთილსვიანი, ან აიცილო სიბოროტე. ყოველდღიურ ღვთისმსახურებას არ უნდა შევხედოთ როგორც ქურუმისა და ღმერთების პირადი „ეგოისტურ“ საქმეს. - ამგვარ შეხედულებას ქურუმი რისხვით უარყოფს - „ყველა შემთხვევაში ეს უპირველეს ყოვლისა მსხვერპლის შეწირვაა სხვების გულისათვის“, კეთილდღეობა და ბედნიერება იმ ადგილისა, რომელსაც იცავს ღვთაება - სათაყვანო სალოცავში, მთლიანად დამოკიდებულია ტაძარში ღვთისმომსახურებაზე, ისევე როგორც ადამიანები მთელი მსოფლიოს კეთილდღეობა, ვინაიდან შეწირვის წყალობით „ტაძარში ქვეყანა ყოველ დღე კვლავ აღდგება“.

რიტუალს საფუძვლად უდევს წარმოდგენა ქურუმისა და ღმერთის იგივეობაზე, რაც შეიძლება მიღწეული იქნას იმით, რომ ქურუმი ჯერ თავის თავში აჩენს ღმერთებს და მეორე ისინი გადაჰყავს სამსხვერპლო ძღვენებში და ბოლოს „ათავსებს“, ანუ გამოსახავს ქანდაკებებსა და სიმბოლოებში. აქედან გამომდინარე, გამოსახულებებს, რომლებსაც წირავენ ბანენ, კვებავენ, ახალ ტანსაცმელს აცმევენ და ართობენ, მორწმუნეები აღიქვამენ როგორც სინამდვილეში ცოცხალ ღმერთებს. ღმერთი და ქურუმი, ე.ი. ის,

ვისთვისაც მოაქვთ მსხვერპლი, და ის ვისაც მოაქვს იგი, - „ერთ“ მთლიან „რეალურ არსად“ იქცევა.

არ შევჩერდებით თეოლოგიურ მსჯელობაზე და ვნახოთ როგორი ერთი დღე მადურაის ტაძარში.

6.30-7.30 ღმერთები იღვიძებენ (გავიხსენოთ მონარქთა გაღვიძება აბსოლუტურ სახელმწიფოებში) ტაძარს ზოგჯერ ალებენ დილის ხუთის ნახევარზე. ჯერ კიდევ ვიდრე ქურუმი „საკუთარ თავს მოამზადებს“ რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი, და რომლის ნახვაც მე არ მეღირსა. ეს აქტი - ინტიმურია, საიდუმლო, ვინაიდან წირვისათვის მომზადების მსვლელობაში სხვადასხვა სუნთქვითი და სხვა იოგური ვარჯიშების გზით, რომეიც სრულ განმარტოვებას მოითხოვს, ქურუმი „ხდება“ შივა. მე არ დავსწრებივარ არც „ველის მბრძანებლისათვის“ მიმართვის პროცესს. მხოლოდ ერთხელ ვნახე, მთავარი პატარი, დაახლოებით დილის 6.35 წუთზე გასაღებით ხელში როგორც მივიდა ღმერთების სასუფეველთან (საძინებელთან).

ღმერთებს „აღვიძებენ“ სიმღერებით, მუსუკუთა და ცეკვებით. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ მათ „აღვიძებდნენ“ დევადასადები, ტაძრის მოცეკვავე ქალები და ქურუმის კურტიზანები, ამჟამად ღვთისმსახურების ეს ნაწილი აკრძალულია. დღეს მწირველი უბრალოდ ალებს კარებს. დანარჩენი ქურუმების სიმღერისა და ზარების რეკვის თანხლებით შედის ღმერთების საძინებელში, ასხურებს საფარებელს რაზედაც დგანან ღმერთები, ბანს მათ ხელებს, აცმევს, აშხეფებს სუნამოს და ამკობს საღვთო გვირგვინებით, რომლებიც გაკეთებულია სულ ახლახან მოკრეფილი ყვავილებისაგან. იგი თავაზობს მათ საჭმელს, წყალს, საამო სურნელსა და ბეტელს, შემდეგ ათავსებს მათ საკეცურებზე და პროცესია, სიმღერისა და მუსიკის თანხლებით (ქურუმები უკრავენ ნიჟარებს, გონგს, ზარებს) მიემართება დარბაზში სადაც დგას ლინგამი - შივას ყველაზე წმინდა და მნიშვნელოვანი სიმბოლო. აქ ტარდება ხანმოკლე რიტუალი, რომლის წყალობით ქვის ლინგამში უნდა „გაჩნდეს“ ცოცხალი ღმერთი. ამის შემდეგ ქანდაკება მიაქვთ თავის ადგილზე, სადაც იგი მთელი დღე „იცოცხლებს“.

8.00-8.30 კითხულობენ ვედურ ჰინმნებს, მათ წარმოსთქვამენ ქურუმები, რომლებსაც შასტრის ტიტულს ატარებენ და აქვთ საგანგებო მომზადება საანსკრიტისა და ვედურ ლიტერატურაში.

9.00-9.30 შეწირვა დილით ადრე, რომელიც იწყება სატაძრო წეს-ჩვეულებების შესრულებით. აქ ისევე როგორც სხვა დანარჩენ შემთხვევაში მთავარია - აბჰიშეკა, რაც ნიშნავს „ზედდასმას“ და მდგომარეობას ღმერთვისათვის სხვადასხვაგვარი საჭმლის მსხვერპლად მოტანისას - თავისებურ უსისხლო მსხვერპლის შეწირვისას.

ბრაჰმანი, ფეხშიშველი, წელამდე გაშიშვლებული, მკერდზე წმინდა თასმით, რუდრაკშის მუქი ყავისფერი მარცვლების სახეხითა და თითზე დარბჰის ბალახისაგან გაკეთებული ბეჭდით, უახლოვდება ქანდაკებას და ზედ ასხამს მას ზეთს. (მას ეხმარება ორი ქურუმი: ერთს მოაქვს სამსხვერპლო საჭმელი, მეორეს კი „გამოყენებული“ საჭმელი), შემდეგ ქანდაკებას სწლით ბანენ, პატარა ლამპარში ახალ ფრთილას ანთებენ, მარცხნიდან მარჯვნივ გარს უვლიან ქანდაკებას და თან საანსკრიტულ მანტრებს

წარმოთქვამენ. შემდეგ დგება მომენტი, რასაც ტამილზე ეწოდება - პასუდალი. სხვადასხვაგვარ მსხვერპლს, ღმერთის ქანდაკებაზე აწებებენ, ამ ზედ აყრიან, ან მიაყუდებენ მასზე. ბრაჰმანი ქანდაკებას აწურავს (გამოწურულ ნაყოფს მარცხნივ, ძირს ყრიან) ლიმონს, ფორთოხალს ან ბროწიულს, ქანდაკების თავზე ხელებზე, ფეხებზე აწებებს სხვადასვა ჯიშის გაფცქვნილ ბანანებს. კერპებს ასხამს, აგრეთვე „ხუთეულ ნექტარს“ - ფაფას, რომელიც ნახარშია ყავისფერი შაქრის ლერწმის, თაფლის, ერბოს, რძისა და ბანანისა, შემდეგ ბანს რძით, იოგურტითა და კოკონათის თხილის წვენი. ქანდაკებებს აფრქვევს წმინდა ფერფლს, უცხებს მათ მუქყვითელ სანდალის საცხებელს, სარწყავ ვარდისფერ წყალს, თავზე აყრის ოქროს მონეტებს და შემდეგ კვლავ სუფთა წყალს ასხავს. რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? - ადამიანი ღმერთებს წირავს შრომისა და ბუნების ყველაზე ძვირფას ძღვენს - წყალს, საკვებს, სხეულის მოსართავ და გასაწმენდ ნივთებს, ფულსა და ოქროს, რაც მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ყოველი წესჩვეულებების შესრულების შემდეგ ქანდაკებებს კვამლავენ და მათ წინ ანთებულ სანთელს აქნევენ.

ქურუმები ქანდაკებებს ხდიან სველ და ჭუჭყიან სამოსელს და წმენდენ მათ. შემდეგ ქანდაკებები მიაქვთ და ვიდრე მორწმუნენი ელოდებიან წეს - ჩვეულებების გაგრძელებას, არჩაკარი ხმამაღლა მღერის ტამილურ ჰიმნებს, ხშირად VII-X საუკუნეების ბაჰატი - პოეტების ნამდვილ სახელგანთქმულ ლირიულ ნაწარმოებებს. ცოტა ხნის მერე ღმერთები კვლავ „შემოჰყავთ“ თავიდან ფეხებამდე ოქროსფერ ფარჩასა და აბრეშუმში გამოწყობილი, შემკული ძვირფასეულობითა და ახალი ყვავილებისგან გაკეთებული გვირგვინებით. ახლოვდება მათი ჭმევის დრო, რომელიც მორწმუნეებმა არ უნდა ნახონ, ამიტომ მძხმარე (ქურუმებს ქანდაკების წინ უკავიათ მატერიის ფარდა) მსხვერპლის მომტან ღმერთებს საკმაოდ სწრაფად აჭმევენ ბრინჯს, ფაფას, ნაყოფებს და ასმევს წყალს, ამის შემდეგ მათ სურნელოვანი კვამლით ბოლავენ. ამ წეს - ჩვეულებებს დიპარადავე ეწოდება. („მუქით მსახურება“, როდესაც ქურუმი ლამპარს ღვთაების წინ აქნევს. და ბოლოს, მსხვერპლად მათთვის მოაქვთ (უბრალოდ ანთებენ) სხვადასხვა საგნები: წმინდა ფერფლი, სარკე, თაფლისაგან გაკეთებული მზე და მთვარე, მზის ქოლგა, ბუღას კუდი, ბუზების მოსაგერიებლად, - მარაო და პატარა დროშა. დასასრულს ქურუმი მღერის ვედურ ჰიმნებს სიმღერას იწყებს „რიგვედას“ პირველი ჰიმნის „აგნი ილეჰურობიტამი“ პირველი სიტყვებით („მე ვუხმობ აგნი პუროჰიტს“). სანსკრიტულ ენაზე ქვეყნის კეთილდღეობისათვის წარმოთქმული ლოცვების შემდეგ, შემწირველი (მწირველი) დამსწრეთ ურიგებს პრასადს ე. ი. მცირე ნაწილს საჭმლისას, წყლისა და ყვევილებისას, რომლების ღმერთებს „მორჩათ“. წესჩვეულებას მთლიანად ეწოდება პუჯა, ე. ი. უსისხლო შეწირვა ამ სიტყვის ფართო გაგებით. თერთმეტსა და თორმეტ საათს შორის მას კვლავ იმეორებენ, მაგრამ უფრო მარტივად ზოგიერთ ტაძარში სრულდება წესჩვეულება, რომელიც ეძღვნება ცეცხლს, მაგრამ მე იგი არასოდეს მინახავს.

ზუსტად თორმეტ საათზე იწყება შუადღის ღვთისმსახურება, რომელიც წინასაგან განსხვავდება იმით, რომ მსხვერპლის მომტანი ქურუმი თვითონ აქანდაკებს შივას საღვთო სიმბოლოს - ლინგნამს, შაქრის, ფაფისა და ბრინჯაოსაგან. დილა მთავრდება ლამპარისა და საცეცხლურის ქნევით. ქურუმებს ამ დროს დარბაზიდან ღმერთების

ქანდაკეები - ტაძრის ოთახებში გააქვთ.

12.30-16.00. ტაძარი იკეტება. მადურაიში ცხელი ტროპიკული კლიმატია და ღმერთებმა უნდა დაიძინონ და დაისვენონ, ისევე როგორც ქურუმებმა, მათ ხომ მთელი დილა იმუშავეს?

18.00-19.00 წესჩვეულება სრულდება მთლიანად, ამჯერად ნამდვილად მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ. სალამოს შეწირვისას თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა ლიგამი, რომელიც ცენტრალურ სალოცავშია მოთავსებული, სადაც მე არ შემიშვეს (სამაგიეროდ კანჩიპური არამც თუ მარტო ნება დართეს მენახა ლინგამი, არამედ მისი ფოტოგრაფირების ნებაც მომცეს.) სალამოს ღვთისმსახურების აზრიც იმასი მდგომარეობს, რომ ადამიანმა თავი დაიცვას იმ სიბნელისაგან, რომელიც თანდათან დაბადებისას ახლოვდება, ე.ი. როგორც კატეჰიზისში ნათქვამია ღამის ქაჯებისა და დემონებისაგან. ამავე დროს სრულდება საღვთო სიტყვის „ომ“-ის თაყვანისცემა. უწინ სალამოს წესჩვეულებას ტაძრის მოცეკვავე ქალების ცეკვით ამთავრებდნენ.

20.00-20.30 წუთზე მსოფლიოს ქვეყნების მფარველთ ღმერთების თაყვანისცემა და ლამპარისა და საცეცხლურის ქნევა.

21.30-22.00 „შუაღამისას“ ღვთისმსახურება - ღმერთების საძინებელში შესვლისათვის მომზადება. მსხვერპლის მომტანი „ტახტრევანდის პატრონს“ (ხშირად მის მაგიერ ტყვის ფლოსტებს), საქანელაზე აჯენს აქ აქანავენს. აღსანიშნავია, რომ ძირითადი სიმბოლო, ქვის ლინგამი, არასოდეს არ გადააქვთ ცენტრალური სალოცავიდან. ყველა ჩვენს მიერ აღწერილ წესჩვეულებებში ღმერთების „წარმომადგენლობის სახით გამოიყენება ბრინჯაოს ანსპილენძის ქანდაკებები“, ზოგჯერ კი წყვილი ფლოსტების.

შემდეგ ღმერთს ქალღმერთის მარჯვნივ აწვენენ სარეცელზე და კვლავ კვებავენ მადურაის ტაძარში. ამ უგვიანეს ვახშამზე აჭმევენ კარაქს, ნექტარს, რძეს, თაფლს, ზაფრანს, კოკონათის რძეს და სანდალს.

ღვთისმსახურების დასასრულს სიბნელიდან გამოვიდა ორი „არალეგალური“ მოცეკვავე ქალი (ვიმეორებ ეს კანონით აკრძალულია) და იმღერა ძილისპირული - შესანიშნავი IX საუკუნის ტამილური ჰიმნი. ეს იშვიათი სანახაობა იყო, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ვისაც ბედმა გაუღიმა და თუნდაც ერთხელ მაინც ნახა დევადასი, მამასადამე მას დაუვიწყარი ნეტარება განუცდია.

საძინებელი ოთახის კარები დაიხურა. გაისმა ნიჟარებისა და დოლების ხმა, დაიწყო უკანასკნელი „ველის გამგებლის“ თაყვანისცემა. ისიც დამთავრდა, გასაღები ქანდაკების სამხრეთით, ლურსმანზე ჩამოვიდეს. ტაძრის დიდი კარები ჩაიკეტა, მორწმუნეებმა დასაძინებლად მიაშურეს.

ტაძარში ქცევის წესები

რამი მდგომარეობს უბრალო მორწმუნის როლი სატაძრო წესჩვეულებების შესრულებისას. ამაზე პასუხის გაცემა უკვე აღნიშნული ჰინდუიტური კატეჰიზისი (გვ. 95-1021 და ჩვენი საკუთარი გამოცდილება. აითვისეთ ეს ცნობები და თქვენ გეცოდინებათ როგორ მოიქცეთ შივაიტურ სალოცავში. (ვიშნუიტები თავიანთ ტაძარში მაინც არ შეგიშვებენ).

ტაძრის კარების წინ ჩოჩოლია. ზეთის ან კარბიდის სუსტ სინათლეში იისფერი ჩრდილები ხტიან. თავბრუდამხვევია ყვავილების მძაფრი სუნი, ყურთასმენა მიაქვს გოგმანსა და დოლების ხმას. კეთროვანი გაწვთით თავის კულტებს, დასახიჩრებული ბაგეებით რაღაცას ბუტბუტებს, უთუოდ მოწყალებას ხოულობს, მაგრამ თქვენ ამჯობინებთ გამილელი ქალების ანთებულ თვალებში ცქერას. ისინი მეტად ნაზებიც არიან და ფიცხებიც, და ცდილობენ თქვენი შიშველი ფეხები (ტაძრის შესასვლელთან ფეხზე ყველა იხდის) მათ თბილ ნაკვალევს დააბიჯოთ. ფეხსაცმელებს უტოვებთ მცველებს, რომლებიც მუდამ მზად არიან მცირე გასამრჯელოსათვის მოგემსახურონ. ჯერ კიდევ ვიდრე ეზოში შეხვალთ, თქვენ შეჩერდებით, თავს ზემოთ ხელებს შეაერთებთ ძირითად მანტრას: „ომ ნამა შივაია“. ყურადღება (ტაძრის სადგომში აკრძალულია: „ფურთხება, ცხვირის მოწმენდა, კარში გასვლა, თავზე დოლბანდის შემოხვევა, წვერის პარსვა, ჰაერის გაფუჭება, თამბაქოს წევა, ძალიან ხმამაღლა ლაპარაკი, ხმამაღლა სიცილი, კამათი, ფეხის დადგმა სამსხვერპლო სალოცავზე, ბეტელის ღეჭვა, საღეჭის ან საჭმლის გადმოფურთხება და თავმოყრა“. და აი თქვენ ეზოში ხართ. ბრაჰმანები და უბრალო მორწმუნეები ნელა მოიწევიან ტაძრისაკენ. მომნანიები ნარინჯისფერ მოსასხამებში (საფარებლებში) და რუდრაქმისაგან გაკეთებული კრიალოსნებით ხელში, გონებაჭვრეტას მიცემულნი, გარინდულნი ზიან მიწაზე. მთავარ სალოცავის წინ მოთავსებულია დროშებიანი ქვის, ან მეტალის, ხუთი - შვიდი მეტრის სიმაღლის ანძა, რომელიც ზოგჯერ მთლიანად მოოქროვილია ანძის თავზე ასევე ოქროს პატარა მოედანია. დროშაზე გამოსახულია ხარი ნანდი. თქვენ მიდიხართ სვეტთან და მიწას ემთხვევით ისე, რომ შუბლი და ნიკაპი მას ეხებოდეს. იფიქრეთ სვეტზე ისევე, როგორც ლინგამზე და მასზეც, რომ სულ მალე თქვენ ღმერთის წინაშე წარსდგებით.

ყველა მორწმუნე იდრეკს მუხლს სვეტის წინ თუ არა?

უმრავლესობა მორწმუნეებისა - დიახ! :- მამაკაცები მიწას ემთხვევიან თუ არა ხელებს ეყრდნობიან, ქალები უფრო იოლად გამოდიან მდგომარეებიდან, ვინაიდან მათ შეუძლიათ მუხლებზე დაემვან და მხოლოდ მერე შეეხონ შუბლით მიწას.

ასე, რომ როგორც კი ფეხზე ადგებით, ანძას სამჯერ მარცხნიდან მარჯვნივ გარს უვლით (ამავე დროს წარმოთქვამთ მთავარ მანტრას) და მხოლოდ მერე შეცურდებით ტაძრის იდუმალ ბინდში, არ უნდა შეგაცბუნოთ წარწერამ: „შესვლა - მხოლოდ ჰინდუებისათვის“. დე, გაგაჩერონ, ბრაჰმანთან მონახავთ საერთო ენას. უმრავლეს შემთხვევაში ამ წარწერას ყურადღება არ უნდა მიაქციოთ და თითქოსდა აქაც არაფერიყო, ისე უნდა შეხვიდეთ ტაძარში. თქვენს ასეთ თავხედობას, უარეს შემთხვევაში, შეიძლება მოჰყვეს რამდენიმე ცნობისმოყვარე გამოხედვა, მაგრამ სრულიად არამტრული.

ტადარში, მართლაც, იდუმალი, იისფერი ბინდი დგას და იგრძნობა საამო სინოტივე, მორწმუნეთა სუნთქვისა და ტადრის სამზარეულოს გამო ტადრის ცივი, დაორთქლილი ქვის კედლები, ნამითაა დაწინწკლული ყოველივეს ჩირაღდნების კვამლი ედება. ქვის იატაკი აქა-იქ სველია და სრიალა, იგი ათასი შიშველი ფეხებისაგან მოწმენდილია და მშრალ ჰაერში ქაფურის, ყვავილების, სანდალის, ოფლისა და კვამლის სულისშემხუთავი სუნი. ახლა თქვენ დერეფანში ხართ, რომელიც მოიცავს კვადრატულ ცენტრალურ სალოცავს. ასრულებთ ეგრეთ წოდებულ პრადაკმანუს ე.ი. სალოცავის შემოვლას მარცხნიდან მარჯვნივ, ამ დროს საჭიროა შინაგანად განიწმინდოთ და ამით თაყვანი სცეთ ღმერთის იმ მანიფესტაციას, რომლის ქანდაკების წინაც რამოდენიმე წამით ჩერდებით.

აი განეშა, ან ვინაიკა, შივას შვილი, სქელი სპილოსთავიანი ღმერთი, მერე გადახედავთ თქვენს მოძმე ჰინდუებს. ისინი ისეთნაირად აჯვარედინებენ ხელებს, რომ მარცხენა მარჯვენის წინაა, და სამჯერ ირტყამენ ხელებს თავში ან ზურგში, შემდეგ თავისვე ხელით სამჯერ იწელავენ ყურს - მარცხენა ხელით მარჯვენა ყურს, მარჯვენათი კი მარცხენას. ეს იშვიათი წეს - ჩვეულებაა, რომლის აზრი, კატეპიზისის თანახმად, მხოლოდ თვითკრიტიკაშია: მორწმუნე, ღვთის წინაშე, თავის თავს სიმბოლურად სჯის.

ამგვარად, სცემთ თუ არა თაყვანს განეშას, აგრძელებთ სიარულს და კვლავ სალოცავის მთავარ შესასვლელთან აღმოჩნდებით. იქ უკვე მართლა მხოლოდ ჰინდუ შეიძლება მოხვდეს, თანაც ის პირობა მკაცრად სრულდება, სამხრეთ ინდოეთის უკლებლივ ყველა ტადრებში. მაგრამ მე სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც მოვხვდი ამ სალოცავში - ორჯერ თუ არ ვცდები, კანჩიპურამში და ორჯერაც მადრასში (დღეს მას ჩენეა ეწოდება ნ.კ). მადურაიში ამ მხრივ უარესი ვითარება იყო: კომორინის კონცხზეც მეტად არამეგობრულად შემხვდნენ, ვინაიდან შარვალი მეცვა. ინდური დჰოტი რომ მცმოდა, უთუოდ, ტადრის ეშოში მაინც მოვხვდებოდი.

ამიტომ ჯერ უნდა მიმართოთ ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ გავლენიან ღვთაებების ქანდაკებებს - ეგრეთ წოდებულ „კარის მცველებს“ სიტყვებით: „ნება მომეცით, უღირს მონას, შემოვიდე და თაყვანი ვცე ღმერთს“ - და ამის მერე შეიძლება შეხვიდეთ. აქ კიდევ უფრო ძლიერი ბინდია - შავ პრიალა კედლებს ძლივს ანათებენ აალებული ჩირაღდნები. აქ უფრო დახუთული ჰაერი დგას. არასაკმარისია ვენტილაცია, ქვის კედლების სისქე კი ერთ მეტრს აღწევს. მსუქანი ბრაჰმანი, თეთრი კბილების კრეჭვით იღიმება და თვალებს აპარპალებს, ხელებს გიწვდით სამსხვერპლო ძღვენის მისაღებად და თქვენ გადასცემთ მას ქოქოსის კაკალს, ბანანს, ბეტელს, ყვავილებს, რამოდენიმე რუპიას... ქურუმის ახლგაზრდა ტანადი მომხმარე დაკუნთული ოფლისაგან მზზინავი ხელებით, თავგადაპარსული, რომელიც ჰგავს ახალგაზრდა უნკასს, (რომანიდან „უკანასკნელი მოჰიკანიდან“) არწივისებური ცხვირით, მოელვარე თვალებით, ახოვანი, იღებს ქოქოსის კაკალს და მას საკურთხევლის წვეტიან ქვაზე არტყამს, ქოქოსის კაკალი ტკაცუნით შუაზე ტყდება, კაკლის ორივე ნახევარს დებს დიდი სპილენძის ლარნაკზე, რომლებზეც თქვენი დანარჩენი ძღვენი დევს, ლანგარი კი ბრგე მოწესე ბრაჰმანს უჭირავს ხელში. შემდეგ იგი შედის წმინდათაწმინდა სალოცავში - პატარა ბნელ ოთახში, სადაც დადგმულია არა შავი ქვის ლინგამი - შივას სიმბოლო, არამედ თვიონ შივა, მთელი თავისი ამაყი და იდუმალი გარეგნობით. აქ მხოლოდ ბრაჰმანს შეუძლია შევიდეს. თქვენ სულგანაბული უცქერთ სალოცავს: ახლა თქვენი სახელით და

თქვენთვის ღმერთს მსხვერპლად ძღვენს შეწირვენ. ბრაჰმანი ლინგამის წინ აქნევს ჩირაღდანს და საცეცხლურს, რეკენ ზარები, ნიჟარები, ლინგამზე ორიოდ ყვავილი ეცემა. რამოდენიმე წამის შემდეგ ძღვენების საკუჭნაოდან კვლავ გამოჩნდება, ბრაჰმანი, რომელიც ღმილით გთავაზობთ პრასადს (ძღვენის ნარჩენებს ერთგვარი „წმინდა ზიარებისათვის“) თქვენსავე ძღვენიდან თქვენ ღებულობთ ყვავილების გვირგვინს, ბანანს, ქოქოსის კაკალს და ერთ მუჭა წმინდა ფერფლს. თქვენ იყრით მას მარცხენა ხელის გულზე და მარჯვენა ხელის სამი თითით იცხებთ შებლზე თუ თქვენ დგახართ მდებრობითი სქესის ღვთაების - შაქტის განსახულების წინაშე, მაშინ მიიღებთ ცოტაოდენ სურინჯს. თქვენ თავი ბედნიერდ მიგაჩნიათ, ვინაიდან როგორც კატეჰიზისში ნათქვამია, მიაღწიეთ უმაღლეს რელიგიურ განცხრომას, ჰინდუ - ერის კაცის ოცნებების საზღვარს: განიცადეთ დარშანი, ანუ საკუთარი თვალებით იხილეთ ღმერთი სასუფეველში და ბრაჰმანმა თქვენი სახელით, ღმერთს შესთავაზა სამსხვერპლო ძღვენი. კატეჰიზისის მე-100 თავში ნათქვამია, რომ „კეთილმსახური მორწმუნენი ასეთ განცხრომას ძვლებშიც კი განიცდიან, გული უდნებათ და თვალებიდან ცრემლები ღაპა - ღუპით გადმოსდით” ჩემი თანამლოცველი ჰინდუების თვალები და გული ამ მდგომარეობაში არ მინახას, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ ისინი ნამდვილად მეტისმეტად აღზნებულნი იყვნენ, რასაც მოწმობდა მათი სახის გამომეტყველება, სხეულის მდგომარეობა და ანთებული თვალები. იდუმალმა ბინდმა, კვამლის, ქაფურისა და ყვავილების მძაფრმა სუნმა, ზარების რეკვამ, ჩირაღდნებისა და კანდელების ბზინვამ, ყოველივემ, ისევე, როგორც ბრაჰმანთა კეთილშობილურმა ჟესტებმა და სანკრიტზე მანტრების ლულლულმა, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ყველაზე გულცივი და სკეპტიკური ადამიანიც კი ღვთისმსახურების მსვლელობის დროს დიდ ჰინდურ ტაძარში შეუძლებელია გულგრილად იმყოფებოდეს.

ვიდრე ტაძარს დატოვებდეთ, თქვენ ისევ ჩაუვლით „ცხრა პლანეტის” ქანდაკებას და გადიხართ ეზოში, სადაც კანონის (მითითების) თანახმად ჯდებით დროშიანი ანძის მახლობლად, იმისათვის, რომ ასრუჯერ ახსენთ ღმერთის სახელი და მთავარი მანტრის საშუალებით მიაღწიოთ მედიტაციურ ექსტაზს, რომლის მიზანია ღვთის სახის საკუთარი თვალით დანახვა, ე.ი. იმ ღვთაებისა, რომელიც სულ ახლახანს თქვენ იხილეთ თავის დიდებულ სასუფეველში.

აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივი მორწმუნე წესჩვეულებების შესრლებაში უშუალოდ აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს. სალოცავში მოსვლის მათ უმთავრეს მიზანს შეადგენს დარშანი. ე.ი. ღვთაების უშუალოდ ნახვა. დარშანი (ტერმინი სანსკრტული-ნიშნავს ხედვას - აქედან „დურდარშან“, ანუ ინდურად - „ტელევიზია“ მთ.ნ.კ.) - ძირითადი გაგებაა ჰინდურ რელიგიურ ექსტაზთა სისტემისა. ამისათვის ჰინდუ მოდის სამომლოცაოდ, რაც ხშირად კვირეები და თვეობითაც გრძელდება, ამიტომაც ჩქარობს იგი შეუერთდეს ქალაქის ქუშებში მიმავალ პროცესიას, როდესაც ღმერთი „ღამის მაციონზე” გამოჰყავთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰინდუიზმი იმორჩილებს ინდივიდუების მთელ ცხოვრებას და მისივე რიტუალიდან გამომდინარე, იგი გვევლინება, „საშუალებებისა და მიზნების” რელიგიად. ყოველი წეს-ჩვეულება, მიუხედავად იმისა, სრულდება იგი შინ თუ ტაძარში, მაინც წარმოადგენს არსს - საშუალებას, იარაღს, გარკვეული მიზნის მისაღწევად. ის არის ყოვლისშემძლე საშუალება. წესჩვეულების სწორად შესრულებამ,

უსათუოდ უნდა გამოიღოს შედეგი. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც რჩება ადგილი ემოციებს: ზოგიერთი წესჩვეულება ერთგვარ თამაშს მოგვაგონებს, თუ გართობას არა. ზოგი მოწოდებულია გამოიწვიოს მორწმუნეში კეთილშობილური გრძნობები, მაგრამ მთელ თანამედროვე კულტს საფუძვად უძევს რიტუალის წესჩვეულების გაგება როგორც იარაღისა.

რელიგიური ცხოვრება ყველა ჰინდუებისა ყოველ შემთხვევაში სამხრეთ ინდოეთში, მიედინება სამ ადგილას შინ, ტამარში და ექიმბაშთან, ან ჯადოქართნ, სწორედ ამ უკანასკნელთან ყველაზე უფრო მჭიდვანდება ჰინდუიზმის ხასიათი როგორც რელიგიისა იმ საშუალებათა, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად.

„ომ კუტისატანე, შრიმ რამ, ვაიანამასი, სატტანე, მოდი, მოდი, შეგილოცავ, ჩემი, შენი და ბრაჰმას თანდასწრებით, რომელმაც შეგვექმნა შენ და მე შაქტის დასწრებით და შანკარასი, მოდი ვუმ პადუ სვაჰა! იმეორე ორმოცი დღე ას რვაჯერ. მეორმოცე დღეს გაჩნდება ღმერთი სატან აიანარი, წყლის ნაპირას ჯუჯას სახით, ტომრითა და ჯოხით ხელში. ტომარაში მას წმინდა ფერფლი აქვს. ამ ნივთებს იგი ნაპირზე დატოვებს და წყალში მუხლებამდე შევა. სწრაფად მოიბრინე, აილე ტომარა და ჯოხი და შედი წყალში წელამდე. სატტანი ხვეწნას დაგიწყებს დაუბრუნო მას ყველაფერი. მაშინ შენ უთხარი: შივა დაიფიცე, რომ მოხვალ რა დროსაც დაგიძახებ დ შეასრულებ რასაც გიბრძანებ, თუ შეგპირდება მაშინ დაუბრუნე ნივთები, მაგრამ მე ყოველთვის, როცა კი მაგიდას მიუჯდები, ზურგს უკან ისროლე ცოტა საჭმელი, თუ არადა სატტანე გაგანადგურებს“

ეს ჯადოქრული ოპერაცია, რომელიც არ არის რისკს მოკლებული და ზღაპურ რიტუალს მოგაგონებთ, უზრუნველყოფთ იმით, რომ ყურმოჭილ მონასავით მოგემსახუროთ ერთ-ერთი ნაკლებმნიშვნელოვანი ღმერთი, საოჯახო ჯუჯა სატტანე. თუ გაგიჭირდათ იგი გიშველით, „მოიცილოთ მტერი თავიდან, დასაჯოთ მოღალატე ცოლი, გამოიწვიოთ მუცლის მოშლა“ და ა.შ. ამგვარი წესჩვეულებები კი მრავალია, რომლებიც თითქოსდა სამხრეთ ინდოელ ჰინდუს ძალას ანიჭებს რათა გამოვიდეს ამა თუ იმ რთული მდგომარეობიდან.

როგორ გამოვავლინოთ კრიტიკული სიტუაციის მიზეზები

თუ ჰინდუების ცხოვრებაში იქმნება კრიტიკული სიტუაცია, უპირველს ყოვლისა საჭიროა გაირკვეს ამ სიტუაციის წარმოშობის მიზეზი. ამისათვის მას გააჩნია მთელი რიგი საშუალებებისა, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს იმ მიზნით, რომ გამოსავალი პოვოს ამ სიძნელიდან და უგულებელყოს მომავალში ანალოგიური სიძნელების წარმოშობა.

ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ასტროლოგიასა და შესაბამის „მეცნიერებას.“ თითქმის ყველა ინდოელს ღრმად სჯერა ასტროლოგიური გაანგარიშებისა, მისი სიმართლისა და შედეგიანობისა. ჰინდუ ნაბიჯსაც არ აგადაადგამს რაიმე სერიოზული საქმის გასაკეთებლად იმ საათსა, ან დღეს, თუ იგი ილბლიანი არაა. იმისათვის, რომ ზუსტად დაადგინონ, ამა თუ იმ საქმის გასაკეთებლად, რომელი დროა ხელსაყრელი, ისინი მთელი ნდობით მიმართავენ შინაურ ქურუმსა და პროფესიონალურ ასტროლოგს. ამიტომაცაა, რომ მაგალითად ქარხნის ასაშენებლად საძირკველს ყრიან შუალამის 37 წუთზე, რადგან ასტროლოგმა განსაზღვრა, რომ ამ საქმისთვის სწორედ ეს წუთია შესაფერისი. სიხარულს ღებულობს ის, ვინც საზეიმო პროცესში მონაწილეობს.

ინდოელები ყოველთვის ცდილობენ გასამგზავრებლად მხოლოდ იღბლიანი დღეები აირჩიონ. ფრაზა „მე გამოვემგზავრე პარასკევს“ აღნიშნავს, რომ მოსაუბრე ქალმა თუ კაცმა დიდი გაუფრთხილებლობა გამოიჩინა, რაკი პარასკევს გამემგზავრა. ეს კი იგივეა, რომ თავის თვს უბედურება დაატეხოს, შაბათს და ორშაბათს არ შეიძლება აღმოსავლეთით გამგზავრება, სამსაბათსა და ოთხშაბათს კი - ჩრდილოეთით.

ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორცაა გამოცდების ჩაბარება, განცხადების წარდგენა სამსახურში მისაღებად წარმოებს ასტროლოგიის მიერ გამოვლილ საათებსა და დღეებში. ერთხელ დაპატიჟეს ქორწილში, რომელიც დილის 4-15 წუთზე უნდა დაწყებულიყო. ჩემი ინდოელი მეგობრები კი ვერაფრით მიხვდნენ, რატომ არ მივედი ქორწილზე. მეორე ასეთსავე „მეცნიერებად“ ითვლება სხეულის ნაწილსა და ყოველგვარი ცრუ ნიშნების შესწავლა.

1959წ. მადრასში გავიდა წიგნი სათაურით: „სამუდრიკა ლაქშანამი,“ „რომელშიც ცრურწმენის საკითხები დეტალურადაა განცილებული. მასში მაგალითად ვკითხულობთ: „ქალის უკანა ნაწილი ოვალური ხორციანი და სწორი ფორმისა უნდა იყოს, თუ მამაკაცს, ტანის მარცხენა ნაწილზე აქვს ხალი იგი მდიდარი იქნება, თუ მისი თესლი თეთრი ფერისაა იგი ბედნიერი იქნება, თუ ყველაფერი - ბოროტი, თუ ლურჯი - კარგი ორატორი“. შემდეგ კვლავ ქალების შესახებ: „დიდ მუხლს უბედურება და სიღარიბე მოაქვს, გრძელი კი ნიშანია იმისა, რომ იგი არ იქნება ერთგული, მკერდს თუ ვილვას (ტროპიკული ხეა) ნაყოფის ფორმა აქვს იმის ნიშანია, რომ ქალი ძალიან უბედური იქნება და მალე დაქვრივდება. თუ ქალის მარცხენა მკერდი მარჯვენაზე მაღალია მაშინ მას პირველ მშობიარობაზე ბიჭი ეყოლება, და თუ პირიქით - გოგო“. არ მოგვყავს ის ციტატები, რომლებთან შედარებისას, აღნიშნული ნაწყვეტები გაცილებით დელიკატურად მოგვეჩვენება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ცხოველთა გარეგნობასა და ქცევებს. მაგალითად, ყველა თხა, რომელსაც შვიდი კბილი აქვს უბედურების მომტანია, ამიტომ ასეთი თხები უნდა დაიკლას. შინაური ხვლიკის ფაჩუნი, თუ გვესმის სახლის აღმოსავლეთის, ან სამხრეთ-დასავლეთიდან, კარგის ნიშანია, ხოლო თუ სამხრეთიდან - მეზობლებთან ჩხუბის მომასწავებელია. თუ ორსული ქალის მუხლებზე გომბეშო შეხტა, მაშინ ქალი ავად გახდება, შემდეგ დაიბადება ბავშვი, რომელსაც ხელ-ფეხი გაუხმება“. ერთი სიტყვით უსასრულობამდე შეიძლება ჩამოვთვალოთ ნიშნები, რომლებითაც მოვლენები თითქოს არაფრით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, სინამდვილეში კი მიზეზობრივ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან. ყოველივე ეს სასაცილო იქნებოდა მაშინ, რომ არავის სწამდეს. არაფერს ვამბობთ ქერომანტიასა (მკითხაობა ხელის გულის ხაზებით) და მარჩიელობის სხვა სახეებზე, რომლებიც იმდენად ძლიერად შეიჭრნენ ინდოელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ მათი ხსენებაც კი არ ღირს.

ამგვარად ყველა ეს ცრუ ნიშნები და წინასწარმეტყველებანი მოწოდებულნი არიან დაეხმარონ ადამიანებს, შეიტყონ თავიანთი მომავალი და მიზეზები იმისა, რაც მოცემულ მომენტში ხდება. მთავარი, რა თქმა უნდა, იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან აიცილონ ან შეუმსუბუქონ უბედურება, რომელიც ადამიანს წილად ხვდა ან მომავალში უქადის.

სატაძრო შემოსავლის წყაროები

მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ყველაზე იოლია ტაძარში წასვლა, სატაძრო წესების მიხედვით, მორწმუნეებს შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ყოველდღიურ რეგულარულ მსხვერპლშეწირვაში, რომელსაც ქურუმები ასრულებენ ტაძარში შეგროვებული სახსრებით, ან შეუკვეთონ მათ სპეციალური წეს - ჩვეულებების შესრულება საკუთარ ხარჯზე.

მორწმუნეებმა უპირველეს ყოვლისა ტაძარში უნდა მოიტანონ საჭირო „მასალა“ (ნაყოფი, ერბო, რძე, თაფლი და ა.შ.) შემდეგ კი ქურუმს განსაკუთრებული ძღვენი მიართვან, ასევე ჭურჭელიც, რომლითაც სამსხვერპლო ძღვენი იქნა მოტანილი. ტაძარში რჩება. სხვადასხვა წეს-ჩვეულებებზე სხვადასხვა ფასია დაკანონებული. მაგალითისათვის დავასახელებ პრეისკურანტს, (რუპიებში), რომელიც გამოცემულია მადურაის დიდი ტაძრის სასაქონლო სამმართველოს მიერ:

კოკონათის თხილის გატეხვა ღვთაების წინ - 0, 25/რუპია/

ღმერთის სახელის ასრვაჯერ წარმოთქმა - 0,50

ღმერთის სახელის სამარჯერ წარმოთქმა - 0, 75

ღმერთის სახელის წარმოთქმა ათასჯერ - 1,00

ბეტელის ფოთლისა და კაკლის თესლის მსხვერპლად მოტანა - 1,00

ღმერთის ქანდაკების წინ საქორწილო გულქანის დადება - 2,00

წმინდა თასმების ჩამოკიდება - 5,00

ხანგრძლივი სიცოცხლისათვის შეწირვა - 6,00

სრული ქორწილის წეს-ჩვეულების ჩატარება - 10, 00

ღმერთის ქანდაკების დაბანა განგის წყლით - 0,50

ღმერთზე დიდი გვირგვინის დადგმა - 1,25

ძღვენი ღმერთ სუნდარეშვარის დაბანისათვის - 7,50

სუნდაეშვარისა და მინაქშის დაბანა - 10,00

ამგვარი რიტუალური მოქმედების ღირებულება განისაზღვრება ქურუმის სამუშაოს

მიხედვით, რომელსაც მორწმუნე მოელის (მსხვერპლის ხანგრძლივი სიცოცხლისათვის გაცილებით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ღმერთების სახელების წარმოთქმა და ა.შ.).

დროებით თავი მივანებოთ ძირითად თემს და განვიხილოთ დიდი ჰინდური ტაძრის ეკონომიკური მდგომარეობა. რომელი წყაროებიდან იღებს იგი შემოსავალს? თუ ვნახავთ ტაძარს, მის მოწყობილობას, (მორთულობას), ბიბლიოთეკას ან სამზარეულოს, ბრაჰმანთა მამღვარ, კეთილმოწყობილ ცხოვრებისათვის, ნათელი გახდება, რომ დიდი სალოცავები, განსაკუთრებით სამხრეთით არა უბრალოდ მდიდარია არამედ იშვიათად მდიდარი ორგანიზაციებია, რომლებსაც ზოგჯერ შეუძლიათ თავისი დოვლათიდან რაიმე გაიღონ კიდევაც.

ყოველი ტაძარი წარმოადგენს უძრავისა და მოძრავი ქონების მესაკუთრეს და უწინარეს ყოვლისა მიწის დიდი ნაკვეთების მფლობელს. სიმდიდრის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ კერძო პირთა, ფირმებისა, საზოგადოებებისა და სახელმწიფოს ძღვენები. როგორც უკვე აღვნიშნეთ ისინი მეტად მნიშვნელოვან სახსრებს ღებულობენ ერისკაცებთან, რომლებიც იხდიან სარიტუალო საფასურსა და განსაკუთრებულად ასაუქრებენ ქურუმებს (დაკშინა).

არანაკლებ შემოსავალს ღებულობენ ტაძრები მომლოცავთა და მათი სარიტუალო განბანვის დროს. ყველა დიდ ტაძარს გააჩნია საკუთარი აუზი. მხოლოდ რამემშვარიში 42 აუზია - და მორწმუნეებს დაჟინებით ურჩევენ გამოიყენონ ისინი.

მთის სალოცავის პარნამალის ირგვლივ, მადუაის მახლობლად, ორმოცდათვრამეტი ადგილია, სადაც მორწმუნეებს შეუძლიათ ფული გადაიხადონ და იბანან. ზოგი მათგანი განსაკუთრებულ წმინდა საბანაო ადგილად ითვლება. ასე მაგალითად, ტანთბანა კუტრამალის ჩანჩქერში (უკიდურეს სამხრეთ ინდოეთის მთებში) ადამიანს „ათავისუფლებს“ ცოდვებისაგან. აღარაფეს ვამბობ ოქროს ლოტოსის აუზზე - მადურაიში. ყველა ამ წყლებში შემთხვევით მობანავეც კი მაშინვე „იწმინდება“ ცოდვებისაგან. ასეული წლების მანძილზე ტაძრებში ფანტასტიკური სისმდიდრე დაგროვდა: ძვირფასეულობა, ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი და ფული. მადურაის ტაძრის საგანძურები, მაგალითად გასაოცარ სანახაობას წარმოადგენს.

უბრალო ჰინდუს რწმენით, ქურუმი ძალზე საჭიროა, როგორც დამაკავშირებელი ხიდი ადამიანსა და ღმერთს შორის. რადგან მორწმუნენი ვერ გაბედავენ, არც შეუძლიათ და არც უნარი შესწევთ თვითონ შეასრულონ შესაბამისი რიტუალები, გვირგვინებიც კი, რომლებიც ღმერთისათვის მოაქვთ, ქანდაკებაზე ქურუმმა უნდა ჩამოიკიდოს. მორწმუნეს შეუძლია წეს - ჩვეულებების შესრულებაში მონაწილეობა მიიღოს. ე.ი. მთელი განცდით ილოცოს და თაყვანი სცეს ღმერთს წეს - ჩვეულებების შესრულებისას, მაგრამ ფიზიკური დასწრება აუცილებელი არაა. ამის საბუთად მოვიყვან ნაწყვეტს განცხადებიდან რომელიც გამოკრულია, პალანის ტაძარში: „ჩვენი მზრძანებელი - სუბრაჰმანია იცავს და იფარავს თავის თაყვანისმცემლებს. იგი დაგიფარავთ თქვენც, შეასრულებს თქვენს სურვილებსაც, თუ გამოუგზავნით მას რუპიას, თქვენი სახელით ჩატარდება საგანგებო ღვთაების ტანის დაბანა ხუთი ამბროზიით თქვენთვის შესრულდება არჩანას რიტუალი, თქვენ კი გამოგიგზავნით პრასადს (სამსხვერპლოდ მოტანილი საკვების ნარჩენი. მთ.ნკ.) შეგვატყობინეთ თქვენი სახელი, ჰოროსკოპი და

მისამართი. პრასადს გამოგიგზავნით დაზღვეულ წერილთან ერთად“.

ხშირად მსხვერპლის მოტანა, სარიტუალო ტანის დაბანა, ლოცვები მორწმუნეთა მხოლოდ ღვთისმომშიშობის გამოხატულებას წარმოადგენს, მათი მოთხოვნილებაა გამომჟღავნონ საკუთარი ემოციები, მაგრამ ყველაზე უფრო იგი საშუალებაა, გარკვეული მიზნის მისაღწევად.

ჯადო და შელოცვანი

როცა ლაპარაკია თილისმებსა და ჯადოსნობაზე, იგულისხმება მრავალი სხვადასხვა წეს - ჩვეულება, ანუ მეტისმეტად რთული რიტუალი, რაც საკმაოდ ტიპურია თანამედროვე ჰინდუიზმისათვის. თუმცა სულ უფრო და უფრო იზრდება მათი რიცხვი, ვინც უარყო ჯადოსნობა და არ წამს იგი, ასეთთა რიცხვი, ძირითად ერისკაცებისა, ჯერ კიდევ ძალიან მცირეა... არსებითად ჯადოქრობა გამოხატავს ორ რამეს: ჯადოსნური ფორმულების (მანტრების) წარმოთქმასა და მაგიკური მანიპულაციების შესრულებას. განსაკუთრებული ადგილი უკავია „სუფთა“ ჯადოსნობას ბოროტი განზრახვით, და „შავ მაგიას“, რომელსაც სამხრეთ ინდოეთში უწოდებენ პილის ან პილისუნფამს (შესაძლოა სიტყვა წარმოსდგება სინგალურ „ბილის“-გან („თილისმა“).

ზებუნებრივ ძალებისათვის მიმართვის სურვილი ყველაზე ნათლად მჟღავნდება მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ სიძნელეებისა და უბედურების დროს. როცა ადამიანს საკუთარი ძალვა უკვე არასაკმარისად მიაჩნია, როცა იგი გრძნობს თავისი შესაძლებლობების შეზღუდულობას, იგი სამომლოცველოდ მიდის ტაძარში, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად მიმართავს - პროფესიონალურ ჯადოქარს, ვინაიდან, აქ მორწმუნე იმთავითვე ხედავს საშუალებების, რომელთა წყალობით შეუძლია სასურველ მიზანს მიაღწიოს. თუ ადამიანი შვილდისრით ისარს ტყორცნის და მოკლავს მტერს, ოცი მეტრის მანძილიდან, მაშასადამე აქ ლაპარაკია უშუალოდ ზემოქმედებაზე, მაგრამ თუ ამავე მიზნით იგი გამოიყენებს სიმბოლურ გონებრივ ისარს, გაკეთებულს, შელოცვების გზით, მაშინ საქმე გვექნება, რა თქმა უნდა, ირიბ ზემოქმედებასთან - მაგიასთან, და თანაც პირველი მეთოდისაგან განსხვავებით, აქ დიდ როლს თამაშობს „მესამე“ ფაქტორი: ეს ფაქტორი ხშირად ჯადოქრის პირადი ღვთაებაა, ან მისი „მოდღვარი“ (გურუ), მაგრამ უმთავრესად შაქტი (ღვთაებრივი შემოქმედებითი ენერჯია, ანუ ღვთის ენერჯია - მთ.ნ.კ.) ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობაა „ძალა, ენერჯია, და მრავალი სხვა მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ადამიანის ძალა, არამედ რაღაც გარკვეული ძალა, შეძენილი - მაგალითად, მკაცრი ასკეტიზმისთ, ძალა მინიჭებული ღვთისა, ან (სულიერი მოძღვრის) გურუს მიერ, ან საგანგებო წესჩვეულებების შესრულების გზით, ზეადამიანური ძალა, რომელიც ბევრად აღემატება ნებისმიერი ინდივიდუუმის შესაძლებლობებს. ტამილელი ჯადოქარი ასეც „იტყვის“: - „ამას გააკეთებს ჩემი შაქტი, და არა მე. შივაიტთა და ვიშნუიტთა თეოლოგიურ სისტემაში შაქტი მეტად ზუსტადაა განსაზღვრული ე. ი. როგორც შივას ან ვიშნუს „ენერჯია“, „ძალა“, როგორც შემეცნების, სურვილისა და გრძნობიერების განსაკუთრებული ფორმა“, როგორც „არსებობის ინსტრუმენტალური მიზეზი“ და ა. შ.

მაგრამ „ჯადოქართა“ ჰინდუიზმის შაქტებში იგულისხმება სხვა - ენერგია, რომელიც თანდაყოლილ ზებუნებრივ ძალაზე მაღლა დგას, და რაიმეს გაკეთების უნარი შესწევს.

პრინციპში, ეს შესრვეულებები, ისევე როგორც სატამრო წესრვეულებები, გარეგნულ ხასიათს ატარებენ. მათი შემადგანალი ნაწილები ყველგან მიჩნეულია აბსოლუტურად კანონიერად და ქმედითად. ჯადოქარი არც რელიგიურ პიროვნებად ითვლება, და არც ანტირელიგიურად. მისი ძალა მდგომარეობს შაქტიში, რაც მის ცოდნაში მჟღავნდება. „მუშტარი“ მოდის ჯადოქართან იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება. თავდაპირველად მან გამოცადა თავისი საკუთარი ძალა, გონება, ნებისყოფა. შემდეგ იყო ტამარში, ან სამომლოცავოდ, მაგრამ რაკი ყოველივემ ამაოდ ჩაიარა, იგი გატანჯულია, იძულებულია თავისი ძალების შეზღუდულობა აღიაროს და ჯადოქარს მიმართოს. შეხვედრის განცდა კი საიდუმლო და უცნობ ქვეყანასთან, რომელსაც იგი უერთდება, მასში იმედს აღვიძებს, აღარ უნდა მასზე უარი თქვას და რა თქმა უნდა, ჯადოქარიც შესაბამისად მოქმედებს. ყოველი მისი მოქმედება მიმართულია იმისკენ, რომ რაღაც იდუმალი და (მხოლოდ არაცუდი) არაჩვეულებრივი მოხდეს, რასაც იგი იშვიათი უნარით ცდილობს მიაღწიოს.

ინდოეთისათვის, ქრისტიანული დასავლეთის საწინააღმდეგოდ, უცხოა „ემმაკი“. თანმიმდევრულად გატარებული მონისტური პრინციპი ჰინდუიზმს საშუალებას არ აძლევს ზღვარი გაავლოს ბოროტებასა და სიკეთეს შორის. ცხადია, განცხრომა არ წარმოადგენს ზნეობრივი ცხოვრების საფასურს, იგი მდგომარეობს მთელი ყოფიერების ერთიანობის შეცნობაში. შესაბამისად არსებობენ ძალები, რომლებსაც ჯადოქარი ცხოველმყოფელობის უნარს ანიჭებს და რომლებსაც თავისთავად განკურნების, მოკვლისა და დაქცევის უნარი შესწევს. ისიც კი, ვინც „შავ მაგიას“ ეწევა, არ შეიძლება დაწყევლილი იქნას (მიუხედავად იმისა, რომ იგი სძულთ და ეშინიათ, ასეთი პირი სიფრთხილეს იჩენს და თავის ხელოვნებას უმაღლავს ოფიციალურ ორგანოებს). უბრალოდ იმიტომ, რომ ჰინდუიზმის გარეთ მას ადგილი არ გააჩნია და ეკუთვნის მას, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ჰინდუიზმის ღვთაებებთან და ყველგან აღიარებულ ძალებთან, და არაანტი-სოციალურ და სოციალურ „ემმაკთან“.

პროფესიონალი ჯადოქარი

პროფესიონალი შემლოცველები, უთუოდ, ყველა სოფელში ცხოვრობენ. მათი უმრავლესობა ჰინდუა - პანდარმთა კასტიდან, თუმცა მუსულმანებს თავიანთი შემლოცველები ჰყავთ. სიმართლე რომ ვთქვათ, ჯადოქარი შეუძლია გახდეს ყველას, ვინც დაეუფლება სასურველ კვალიფიკაციას და მიაღწევს გარკვეულ პოპულარობას, მაგრამ დღემდე ეს პროფესია მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს.

პოლიციის შიშით, „შავ მაგიას“ ფარულად ეწევიან. უნდა ვიფიქროთ, რომ მაგია გულისხმობს განახორციელებას „შვიდი მოქმედებისა“: გააკონტროლოს ადამიანი, სული ან ღვთაება, აცთუნოს ადამიანი, დამბლა დასცეს ნადირს ან ადამიანს, განდევნოს ავი სულები, გამოიძახოს სულები, ან პიროვნება, რომელიც მოცემულ დროში აქ არ იმყოფება, დათესოს ზიზღი ადამიანებს შორის, მოკლას ისინი

თილისმებრთა და ჯადიქრობით. რაკი არაერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ჰინდუიზმის ჰუმანურობა და სხვა ზოგიერთი თვისებები. (არაძალდომობა, შემწყნარებლობა და სხვა), სამართლიანობა მოითხოვს მივანიშნოთ მის სრულიად სხვა სახეზეც, რომელიც გამოსჰვივის ცრუმორწმუნეობის მღვრიე და მუქ წყლებს შორის.

პროფესიონალი შემლოცველები ფართოდ იყენებენ რეკლამას, ისინი ხსირად ბეჭდავენ და ამრავლებენ ფურცლებს, ბროშურებს, პლაკატებს, აქვეყნებენ განცხადებებს. მათ აქვთ საკუთარი „მისაღები“, სადაც მუშტერბი მოდიან. ზოგიერთი ცნობილი ჯადოქარი, როცა სადმე მიემგზავრება, ამის შესახებ გაზეთში აცხადებს, რათა კლიენტებმა განუწყვეტელი კონტაქტი იქონიონ მასთან.

საჯადოქრო რიტუალის აღწერა ხშირად იბჭდება ბროშურების სახით, რომელთა შემენაც შეიძლება გაზეთების გამყიდველებთან. როგორც წესი, ისინი ცუდი გამოცემებია და მასში ბევრი შეცდომაა. მათი ტამილური ენა წარმოადგენს სალაპარაკო და სანსკრიტი ენების საოცარ ნაზავს. საოჯახო და სატამრო კულტებისგან განსხვავებით, სადაც თაყვანს ცემენ მხოლოდ განსაზღვრულ „წმინდა“ ღვთაებებს, საჯადოქრო წესებისათვის ღვთაებათა გაცილებით უფრო ფართო და მრავალფეროვანი სპექტრი გამოიყენება - გარდა მთავარი „წმინდა“ ღმერთებისა (სამხრეთ ინდოეთში ჩვეულებრივი ესენია: შივა, ვიშნუ, სუბრამანია და განეშა), ასევე ისეთი ნაკლებმნიშვნელოვანი, ან ადგილობრივი „წმინდა“ ღვთაებები, როგორცაა აიანარა, ან სატტანა, ვიშნუსა და შივას შვილი, მთელი რიგი სოფლის „დედებისა“ (იგულისხმება ქალღმერთები, რომელთა შორის მუდამ არიან მარიამმა და კალიამა). საჯადოქრო პანთეონის იერარქიულ დაბალ საფეხურზე დგანან „უწმინდური“ ღვთაებებიც: დურგა, შავი კალი, კარუპანი (შავი ბატონი) მადანი - სასაფლაოების მეფე. მათ შემდეგ დემონური არსებები, რომლებიც ქრისტიანული ანგელოსების მსგავსად, უფრო ტიპებს წარმოადგენენ, ვიდრე ცალკეულ ინდივიდებს, მაგალითად- რაქმასები (ალქაჯები, უფრო ლიტერატურული ხასიათის პერსონაჟებია), ბჰუტები (მიცვალებულთა სულები). პეიები და პიშაჩები (ემმაკები) ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან მდედრობითი სქესის ალქაჯები, კუდიანები, როგორც არიან: პეჩები, პიდარები და ა.შ.

ჰინდუიზმში, ვიმეორებთ, არ არსებობს „ემმაკის“ ცნება, როგორც აბსოლუტური სიბოროტის განსხეულებისა. ალქაჯები და დემონები ფაქტიურად მიჩნეულია ბოროტ არსებებად. მათი გარეგნობა საშინელია. შესაზარია მათი ცხოვრებაც, საშინელია მათი ფიქრები და ზოგჯერ მათი ზრახვებიც ბოროტია, რაც ადამიანსაც ახასიათებს, მაგრამ ისინი არასოდეს გვევლინებიან კეთილი ღვთაების აბსოლუტურ დაპირისპირებად. ასეთ დუალიზმს ჰინდუიზმში ადგილი არა აქვს.

ყველა ზემოჩამოთვლილ არსებებს მიმართავენ ჯადიქრები თავიანთი წეს-ჩვეულებების შესრულებისას. წესჩვეულებები სინამდვილეში დამყარებულია სახვადასხვა შელოცვების წარმოთქმაზე, რომელსაც ზოგჯერ თან ახლავს განსაკუთრებული ჟესტები, უფრო ხშირად კი მაგიური დიაგრამების და „ჯადოქრული წესების“ შემოხაზვა რაიმე საგანზე, რომლებსაც ჰინდუიზმში „ჩაკრებსა“ და „იანტრბს“ უწოდებენ. ეს მოხაზულობა შეიძლება იყოს სამკუთხა, წრე, ექვსიმიანი ვასკვლავი, ორი ერთმანეთში ჩასმული ოთხკუთხედი, შუაში სტილიზებული ნიშნით „ომ“ (წმინდა მარცვალი „ომ“) მანტრების შუაში შეიძლება იყოს სხვა წარწერებიც, მაგ. „ნამაშივაია“ და ა.შ. ზოგიერთი

დიაგრამმა სახელგანთქმული მხატვრული ღირებულებისაა. ისინი ამოკვეთილია სპილენძის ფურცლებზე, ზოგჯერ მათ ხატავენ ქალაქებზე ანდა კიდეც თითოთი სილაზე, ბრინჯის ფქვილზე და ბოლოს ჰაერშიც კი ხაზავენ.

ჯადოქრული შელოცვები (მანტრები), მოწოდებები და ბრძანებები

თავისი ხასიათითა და ხანგრძლივობით არსებობს სხვადასხვა სახის ჯადოქრული შელოცვები. ჩვეულებრივ შელოცვები წარმოადგენს შერწყმას (გარეგნულად ძალზე უაზრო) სიტყვებისა და მარცვლებისა, ან ღვთაებათა სახელების, მოწოდებისა და განკარგულებების ნაზავს.

ბიჯა და ბიჯაგმარა (სათესლე მარცვლები). თითქოს გაჩნდნენ ლოცვებისა და მაგიკური ფორმულების განუწყვეტელი გამეორებებისა და მათი მოცულობის შემოკლების გზით. ზოგიერთ შემთხვევაში შეგვიძლია ვცადოთ მათი ეტიმოლოგიის დადგენაც. ბიჯი ძალიან მოგვაგონებს ჩვეულებრივ (ჩეხური მთ. შ.) ზღაპრულ „ჩურჩურს“, „ჩარი-მარის“, სადაც „ჩარის“ დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, ხოლო „მარი“ კი დამაკავშირებელ როლს ასრულებს. გამოთქმა „ჩარი-მარი“ შეესატყვისება ბიჯას „შრიუმ-რუმს“, სადაც „შრი“ - „წარმატება და ბედნიერებაა“, ხოლო „რი“ - ნიშნავს - ექოს. ასე რომ ოროვე ერთად აღნიშნავს „წარმატებასა და ბედნიერებას“ და ითარგმნება დაახლოებით, როგორც „წარმატები და ძალები“. ხშირად იყენებენ ისეთ მარცვლებსაც, რომლებსაც მიეწერება არაჩვეულებრივი წმინდანობა და ძლევამოსილება, ამათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ჰინდუიზმის მთელი რელიგიისა და ფილოსოფიის საერთო ორი წმინდა მარცვალი : „ომ“ და „სუჰა“(სვაჰა) (სიტყვაში - სუჰა ნიშნავს „წარმატებას“) და ბოლოს შელოცვა, როგორცაა „ნამაშივია“ („შივას თაყვანისცემა“), ასევე ხუთი წმინდა მარცვალი, „პანჩაკშარა“, ითვლება მეტისმეტად ქმედით მანტრად. ზემოთ აღნიშნული კატეგორიის თანახმად, ეს მანტრა შემდეგნაირად შეიძლება გაიშიფროს: „ვითარცა ცეცხლი შემით დანთებული, ისე ააღდება შივა სულში და მიანიჭებს მას სიხარულს, სიბრძნეს და მოსპობს სამ დიდ ბოროტებას“. შივანიზმის ძირითად მანტრას იყენებენ სხვადასხვა მიზნებისათვის: - „ვთქვათ იმისათვის, რომ ადამიანი განთავისუფლდეს თვალის ავადმყოფობისაგან, მან ნელა და მწყობრად უნდა წარმოთქვას „შელოცვის ფორმულა“- (მანტრა) „შივამაიანის“ მიხედვით, ან თუ გსურთ, რომ თქვენ მოგისმინოსთ „დიდმა კაცმა“ (დიდი თანამდებობის პირემა), უნდა ამდაგვარადვე უნდა წარმოთქვათ მანტრა - „ვაშიანამა“ და ა.შ. ვიშნუიტების ძირითადი მანტრაა- „ნამო ვიშნავე“, ან „ნამო ნარაიანა“, ხოლო ღვთაება სკანდას (იგივე - სუბრაჰმანიების) თაყვანისმცემელებმა კი, უნდა წარმოთქვან მანტრა - „სარანაბჰავა“ („ის ვინც დაიბადა ტბა სარანაში“).

მანტრები, გარკვეულ ადგილას, აუცილებლად უნდა იქნას ნახსენები ღმერთის სახელითთან ერთად, მისი გამეორება მეტად სასარგებლოა და რაც უფრო ხშირად მით უკეთესია. (ამით შეიძლება მიღწეული იქნას ყველაზე მაღალი და ძნელი მიზნები) ვთქვათ არა ას ვრაჯერ, ან არა სამასჯერ, არამედ ათას რვაასჯერ, თუნდაც ოცი ათასჯერ, რა თქმა უნდა ეს მხოლოდ მაშინ, როცა თქვენს წინ დგას „კეთილშობილური“ ამოცანა - თილისმების საშუალებით გაისტუმროთ ვინმეს „იმ ქვეყნადაც“ (ამ დროს

გამოიყენება ტექნიკური ტერმინი „მარანამ“- სიკვდილი. ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია, რომ ღმერთის სახელი განუწყვეტლად უნდა იქნას წარმოთქმული. მიცვალებულის გკატაზე (ე.ი. სადაც კრემაცია უნდა მოხდეს ნ.კ.) გადამტანები, ანუ ბენარესელი ჰარი ჩანდრები განუწყვეტლად წარმოთქვამენ: „რან ნამ სათ ჰე“ - „ღმერთის სახელი სიმართლეა“. ეს შემახილები თითქოსდა ირგვლივ ჰაერს წმინდავენ მათ გარშემო და იცავენ მათ დემონებისაგან, რომლებიც მრავლად არაინ კრემაციის ადგილას.

რა არის მანტრა?

საჭიროა გვახსოვდეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ: ქრისტიანული ლოცვა - ეს კრებაა სიტყვებისა და ფრაზებისა, რომლებიც შეიცავენ ღვთის ქება-დიდებას, ვედრებას ან მადლიერების გამოხატულებას. ისინი მორწმუნეში გარკვეულ ემოციებს იწვევენ, მიუხედავად ამისა ამ ლოცვებს ღმერთს პირდაპირ მიმართავენ თუ წმინდანის საშუალებით. ამავე დროს ლოცვა წარმოადგენს მორწმუნის სასუალებას რათა ტავისი ფიქრები ღმერთს მიაპყროს.

მანტრა სრულებითაც არ წარმოადგენს საიტყვების რაიმე გააზრებულ შერწყმას, ამიტომ უმართებულო იქნება რომ „მანტრა“ ვთარგმნოთ, როგორც „ლოცვა“ (სულ ერთია ეს ქრისტიანული იქნება, თუ ჰინდური), ამიტომ უმჯობესია - მანტრა ვთარგმნოთ, როგორც „მაგიური შელოცვა“.თუ სიტყვა ბგერათა უბრალო შეთანხმებაა, მანტრა „ეს უზარმაზარი ენერჯის მასაა“ ნათქვამია ერთ-ერთ ჰინდურ ტექსტში, მანტრა ადამიანს იხმობს სიცოცხლისაკენ, ანიჭებს მას ზეადამიანურ ენერჯიას - შაქტის და ამიტომაც მანტრა გაიგივებულია სამყაროსეულ ბრაჰმანთან. თავად წარმოთქმულსა და მანტრას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც „ცასა და დედამიწას შორის“. იგი შეიძლება, შეგვედარებია - თუ კი საერთოდ შეიძლება მისი შედარება, კათოლიკური ღვთის მსახურების ფორმულისათვის (წარმოთქმული სიტყვების ზემოქმედების თვალსაზრისით). მაგრამ, მანტრა ეს რაღაც გაცილებით მეტია. იგი უფრო ქრისტიანულ განსჯას მოგვაგონებს „ლოგოსის“ შესახებ. „მანტრები ღვთაებრივის ყველაზე არაჩვეულებრივი ფორმაა, იგი არაა არც მეტყველება, არც სიტყვა, არც ასო-ნიშნები, ან რაიმე, რომელიც შეიძლება იქნას წარმოთქმული, ან დაწერილი, არამედ თვით ღვთაებაა, ბგერაა, რომელიც ისმის და არსებობს ყველაფერში, რომელიც შეგვიძლია წარმოვთქვათ და გავიგონოთ. მანტრა კი - ეს ბრაჰმანია - ბგერის სახით, რომელიც სამყაროს წარმოადგენს, რომელიც არსებობს ყველაფერში ცნობიერების სახით. იგი მიზეზია ქვეყნისა და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მის შედეგს. ბგერის წარმოთქმა, რომელსაც ვაღწევთ ჰაერის გატარებით, ყელის, სასის, კბილებსა და ენას შორის, მისი მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ბგერა - დჰვანი თავად ცნობიერებაა. დჰვანის სახით შაქტი სულიერ, ცოცხალ სხეულიდან ხელახლა წარმოიქმნება და კვლავ ქრება.

ასეთ, ან კიდევ უფრო ჩახლართული მსჯელობებში, განსაკუთრებით გავრცელებულად ტანტრიზმის სესახებ, მაგიკური ძალის მქონე სიტყვა „მანტრა“, თითქოსდა იწარმოება „მან“-იდან, ანუ ფუზისეული „მანანადან“, (ნიშნავს - ჰვრეტას), რომელსაც მივყავართ საბოლოო ხსნისაკენ, ხოლო „ტრა“ ნაწარმოები „ტრანა“-საგან, ნიშნავს (პროფანული სამყაროს) ამქვეყნიური წრებრუნვისაგან - სანსარისაგან განთავისუფლებას. ამგვარი

ახსნა შეიცავს სწრაფვასაც იმისაკენ, რომ მანტრა წარმოთქმული იქნას აბსოლუტური სიზუსტითა და ინტონაციით, დამუშავებული უკანასკნელ ბგერამდე. ვინაიდან მანტრა ღვთაების ფორმაა და შაქტის განხორციელება. მისი წარმოთქმისას თვით ღვთაება წარმოიქმნება.

პრაქტიკა

როგორ გამოიყურება ყოველივე ეს სინამდვილეში? როგორ მიმდინარეობს თავიდან ბოლომდე ჯადოქრული შელოცვის აქტი?

ზოგჯერ მანტრები ძალიან მოკლეა. მადურაის მახლობლად, როცა მწყემსებს სურთ ცხვრის ფარა დაიცვან მგლებისა ან ავაზებისაგან, დროდადრო ყვირიან „ომ ნამაშივაი მარი მარი“ („ომ, თაყვანისცემაა შივასი, ცხვრისა, ცხვრისა!“). შელოცვა, რომელსაც იყენებენ ხანძრის ჩაქრობისას, შედგება ორი სიტყვისაგან „ნანგუ, მანგუ“. საერთოდ ეს სიტყვები არაფერს ნიშნავს, მაგრამ საჭიროა მათი გამეორება ათასრვაჯერ, რომ სიტყვების წარმოთქმამ შედეგი გამოიღოს. თანაც ეს იოლია, და რაც მთავარია ცეცხლის ჩაქრობას ხელს არ უშლის. უფრო რთულია, მაგალითად, მეთევზეების მენტრა: „ომ ბჰაირავა, ომ შაქტი, ომ ბჰაირავა, მოიყვანე ყველა თევზი ზღვის იმ ნაწილიდან ამ ნაწილში და შედენე ისინი იმ კაცის ბადეებში, ვიზეც მე ვფიქრობ! არ დაივიწყო და ნუ შებილწავ ყურთასმენას მურდალი სიტყვებით, ბჰაირავა, ომ რიმ, ჯენ, ჯენ სვაჰა“.

მანტრების წარმოთქმასთან ერთად სრულდება ჟესტების რიტუალის, მეტნაკლებად სხვადასხვა რთული მოქმედება. ხშირად რიტუალში ავგაროზების ჩამოკიდებაც შედის. ვთქვათ, თუ ბავშვი ავად გახდება ფრინველისაგან გადამდები სენით (იმით გამოწვეული, რომ დილას მას დაეცა მშიერი ფრინველის ჩრდილი), კვირა დილას კურკუმით გაპოხილი პალმის ქერქის ნატეხი უნდა გაირეცხოს წყალში და დაიდოს ლანგარზე: ძირები შეიკრას ხუთფერიანი თმით და გაიკვამლოს საცეცხლურით. ამის შემდეგ ას რვაჯერ უნდა იქნეს წარმოთქმული - „სინგ კრიმ ომ შრიუმ სავუმ აიუმ სვაჰა“, შემდეგ ქერქი ნატეხი უნდა შევინახოთ პატარა კოლოფში. ამ კოლოფს უნდა მოვაბათ შავი ძაფი და ჩამოვკიდოთ იგი ბავშვს კისერზე. ბავშვს ავადმყოფობა გაუვლის.

დავუშვათ ჩვენი მიზანია, რომელიმე ქალის გულის მოგება. ამისათვის მივდივართ „ლამით ტყეში, სადაც ხარობენ ხეები და წმინდა ბალახი და გალობენ ჩიტები“. იქ ვკრეფთ წითელი ტულისის, ვწვავთ მას ტაფაზე, ბეტელის ფოთოლს ქვედა პირს ვუხცებთ დამდნარ ძროხის ქონს (გჰის), გარეთა მხარეს ვუცხებთ ველური (ტყის) ფუტკრის თაფლს, ამგვარად დამზადებული ბეტელის ფოთოლს ვიჭერთ მარცხენა ხელში, ხოლო მარჯვენათი ტულისის ფოთლით, შუბლზე ცერცვის ოდენა წერტილს ვიხატავთ, შემდეგ ამ ხელს სახეზე ვიფარებთ და ხუთჯერ წამოვიძახებთ: - „ომ ომ ნიუმ მანჩირიუმ მადანაველ ნამაჰა - ამ ურიმ ვასიმ კარიმ მანმადაველ ნამაჰა - ომ ლამ ლირემ ჰრემ ლანგუ ლინგუ კანნალ შეია ველე ნამაჰა - ომ ომ ომ რამ ლელა ვილაიჰლა კიტტუმ მანმადა კირიდიიე ვა ვა“. ეს ნიშნავს „ომ ომ შენ მზეთუნახავო, მოგესალმები, მადანა, ამ ურიმ ვასიმ კარიმ, სალამი მანმათჰ, ომ ლამ ლიმ, ლი, რემ ჰრემ, ლანგუ

ლინგუ, სალამი, სიყვარულის ალის გამომწვევო ომ ომ ომ რამ ლელა მოდი, მოდი ო, გვირგვინო მანმათჰისა, რომელიც ხელს უწყობს სიყვარულს!”

ესოდენ სასიამოვნო ჯადოქრების შემდეგ, ახლა გიამბობთ სხვა -უფრო ვერაგ ჯადოქრობაზე: აქ საუბარი გვექნება ეგრეთწოდებულ ვაიპპუზე („მდგომარეობა“), ანუ გარკვეულ მდგომარეობაში დაყენებაზე იმ ხელსაწყოსი, რომელმაც სიბოროტე უნდა გამოიხმოს: „პალმის ცოცხალ ფოთოლზე დახაზე დიაგრამა, დიაგრამაში კი ყირაზე დამდგარმა ჩაწერე შენი მტრის სახელი. ფოთოლს წაუცხე შუბლის ძვილის მტვერი და ღორის, ვირის, ადამიანის განავლის უწმინდურ სისხლთან შენარევი. ყოველივე ეს აზილე ზეთში და წაუცხე დიაგრამას. დაუმატე ცოტაოდენი შენი მტრის ფეხის მტვერი, დიაგრამა შეინახე იქ, სადაც მტრის ცოლი ცხოვრობს და წარმოთქვი: ომ ამ ავკუმ აიუმ ომ ვირადჰუმაპატი უმპადუ უმაშტაია, მალე შენ და შენს ცოლს შეგზიზღდებათ ერთმანეთი“.

ყოველივე ეს მთლიანობაში უდანაშაულობაა, მაგრამ უარესია იმით, რომ ჯადოქრები თავიანთ გულუბრყვილო კლიენტებს მოუწოდებენ ისარგებლონ მათი „სამკურნალო“ მიქსტურებით, რასაც სხვებსაც გადასცენ და მით ხელს უშლიან ადამიანებს მძიმე ავადმყოფობისაგან განსაკურნავად, ისარგებლონ ნამდვილი სამედიცინო დახმარებით. თუ ვთქვათ ბავშვების ზოგიერთი დაავადებისას „წერენ“ ნიმის ფოთოლს, დასველებულს წყალში, ეს არც თუ ისე ცუდია: შესაძლოა ამ ფოთოლს გააჩნია რაიმე სამკურნალო თვისება, მაგრამ საშინელებაა, როდესაც ქალები სვამენ წყალს, ტაძრის იმ აუზიდან, რომელშიც თვითონვე ბანაობენ, როცა მენსტრუაცია ჰქონდათ, ან როდესაც თავიანთ სისხლს უმატებენ სხვადასხვა ჯადოსნურ სასმელებში სასიყვარულო თილისმების გასაძლიერებლად, ან კიდევ როდესაც ქალაქის ქუჩებში ეპიდემიის დროს იყიდება სხვადასხვა დასაძინებელი წამლები დამზადებული ვთქვათ გველებისაგან ან ხვლიკებისაგან. ამგვარი წამლები გარეგნულად ჰგვანან ობმოყენებულ პავიდლოს არეულს კუპრსა და გუტალინში.

ავგაროზები

წიგნის ამ თავში საჭიროა ვისაუბროთ ავგაროზების შესახებაც. თითქმის ყველა ბავშვებზე, განსაკუთრებით სულ პატარებზე, რომლებიც სხვათა შორის სრულიად ტიტლიკანები დარბიან, შეგიძლიათ შენიშნოთ ზონარი ან ბაწარი, უფრო მდიდრების ბავშვებზე, კი ვერცხლის ძეწკვები, გოგონებს მუცლის ქვემოთ ძეწკვზე უკიდიათ ვერცხლის ნიშანი, რომელსაც პიპალის ხის ფოთლის, ან გულის ფორმა აქვს. მასზედ ამოკვეთილია მზე და თვე, ბიჭები იქვე ატარებენ პატარა ლილვაკს, რომელშიც ჩადებულია ჩაკრა (მაგიკური დიაგრამა მანტრათი მთ. შენ.). ორივე შემთხვევაში ლაპარაკია არა სამკაულზე, ან რაიმე წესის დაცვაზე, არამედ ავგაროზზე.

ავგაროზებისა და თილისმების გაყიდვა მეტად შემოსავლიანი საქმეა. მე ვიცნობ კაცს, რომლის თვიური ხელფასია ასოცდაათი რუპიაა, ავგაროზში იხდის თოთხმეტ რუპიას ე.ი. თავისი ხელფასის ერთ მეათედზე მეტი. არსებობს თილისმები, რომლებიც თითქოს ადამიანს იფარავენ „განუკურნებელი“ სენისაგან, ან საქმიანი

ადამიანისათვის სავაჭრო ოპერაციებში წარმატებები მოაქვთ. ასეთ ავგაროზებში ასოთხმოც, ან ასოთხმოცდათრუპიასაც იხდიან: ეს კი საშუალო სკოლის მასწავლებლის ერთი თვის ხელფასია, დამიჯერეთ არ ვიგონებ. ფირმა, რომელიც ახდენს ამ თილისმების გაყიდვას რეკლამირებას. მადრასის გაზეთებში, ტამილურ ენაზე, მდებარეობს სუბაჰ ჩანდრა ბოსე როუდზე (უწინდელ ესპლანდაზე) მადრასი 1- ის რაიონში.

ერთი სიტყვით, გასაოცარია, როგორი სისულეების სჯერათ ინდოეთში ხალხს: ჯადოქრის ერთ - ერთ ცნობარში წერია, რომ გარკვეული მანტრები ხეებს აიძულებენ მოიხარონ ისე დაბლა, რომ ნაყოფის მოწყვეტა კენწეროებიდან შესაძლებელი ხდება. ზოგიერთი შელოცვა კი თითქოს წვიმისაგან იცავს ადამიანს, ზოგიც კი შესაძლებლობას გაძლევთ წყალზე იაროთ, ან მკვდრებიც კი გააცოცხლოთ.

ყველაზე ხშირად ინდოელები ჯადოქარს მიაძრთავენ, რათა განიკურნონ რაიმე დაავადებისაგან (განსაკუთრებით მოტეხილობოსაგან, კრუნჩხვებისაგან, კიბოსაგან, ასევე ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში. როგორც ჩანს, დღესაც უბრალო ადამიანისათვის ჯადოქარი უფრო იაფია და ხელმისაწვდომი, ვიდრე ნამდვილი ექიმი. სოფლებში დღემდე თაღლითების უფრო ჯერათ, ვიდრე პენიცილინის. მანტრებს ხშირად გველის ნაკბენის შემტხვევაშიც წარმოთქვამენ. ერთ-ერთი ჩემი ინდოელი მეგობარი, მეტად განათათლებული პიროვნება, მთელი სერიოზულობით ეკიდება ქირომანტიას, მას სწამს, რომ შელოცვის საშუალებით შეუძლია შორეული მანძილიდან მოახდინოს კობრის შხამის მავნე მოქმედების ნეიტრალიზაცია.

ცალკეული წეს - ჩვეულების მიზანია დემონების განდევნა. ასეთებს განეკუთვნებიან მაგიკური მოქმედებანი, რომლებიც მიმართულია სულიერი დაავადებების საწინააღმდეგოდ. ავადმყოფებს, რომელთა მიზეზს ავ თვალს მიაწერენ, ასევე ყველგან მანტრებით მკურნალობენ. „ავი თვალით შეხედვის“ უნარს აქ უწოდებენ „კამურუს“ (სიტყვა სიტყვით „თვალის მოკვრით, რომ ვინმეს სიბოროტე მოუტანო“).

მრავალი ჯადოსნობა მიმართულია იმისკენ, რომ ხელი შეუშალოს შავი მაგიის ზეგვალენას, რის, თითქოს და უდანაშაულო შედეგსაც წარმოადგენს შემდეგი: წვნიან ულუფაში უცებ ჩნდება სხვისი ბალანი, ან კიდევ, ფანჯრიდან შინ ცვივა აგურის ნატეხები, ბეწვი, ნაგავი და ჭუჭყიანი ქაღალდები. უარესია, როცა შავ მაგიას მიმართავენ, რათა გაანადგურონ ქონება, ან სიცოცხლეს გამოასალმონ ვინმე. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მთელი ამ პრაქტიკის წინააღმდეგ, ისევე, როგორც ქირომანტიისა და ასტროლოგიის წინააღმდეგ, დაუნდობლად იბრძოდნენ ზოგიერთი ინდოეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწეები. განსაკუთრებით ჯავაჰარლალ ნერუ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოს, რომ ჯადოქრები არ აღიარებენ რომელიმე გარკვეულ რელიგიას და როგორც აღვნიშნეთ „არ უერთდებიან ანტისოციალურ ემპაკს“. საშუალებებს, რომლებსაც ისინი მიმართავენ, პირველ რიგში განეკუთვნება ჯადოსნური ფორმულები - მანტრები, მაგიური დიაგრამები - ჩაკრები და იანტრები ავგაროზები და რიტუალები, რომლებიც ძირითადად ემთხვევა სატანო კულტის ელემენტებს. მათი იდეოლოგია და მეთოდი თითქმის სრულიად შეესაბამება გვიანდელი ჰინდუიზმის აგამებს (რელიგიურ - ფილოსოფიურ - ლიტურგიული

ტექსტები). მათ თეორიას ბევრი რამ აქვს საერთო ტანტრიზმთან. განსხვავება ქურუმსა და ჯადოქარს შორის იმაშია, რომ ამ უკანასკნელის მოქმედება ატარებს წმინდა ერთპიროვნულ ხასიათს და აძლევს მას ინდივიდუალურ შემოსავალს; მთავარი კი ისაა, რომ იგი ხელმისაწვდომია ყველა კასტის მუშტრისათვის, ნებისმიერი საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანებისთვის. თილისმები და ჯადოქრობა თანამედროვე ჰინდუიზმის განუყოფელი ნაწილია.

ჰინდუიზმთან დაკავშირებულია მრავალი მშვენიერი მოვლენაც, რომელთა ემოციური და მხატვრული ღირებულება უტყუარია: პოეტური ლეგენდები კრიშნას შესახებ და მათი წარმტაცი განსხეულებანი, შესანიშნავი ჰიმნები შივაიტ ბჰაქტებისა არქიტექტურული ქანდაკება და მხატვრული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, რომ არაფერი ვთქვათ მუსიკასა და ცეკვაზე, ხოლო შავი მაგიის ჯადოქრობის მოქმედება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ჰინდუიზმის დადებით მხარედ.

ინდური საზოგადოების ყველაზე დამახასიათებელ ინსტიტუტს მიეკუთვნება შორეულ წარსულში აღმოცენებული და დღემდე შემონახული კასტობრივი სისტემა - მთელს ინდური მოსახლეობის, განკერძოებული ჯგუფების მიხედვით დაყოფა. მართალია, თვით ეს ფაქტი ფართოდაა ცნობილი, მაგრამ კონკრეტულად ინდური კასტების შესახებ ძალზე ცოტა რამაა შესწავლილი. მათი წარმოშობა, მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს კასტების წარმოქმნა და განვითარება, საიდუმლოებითაა მოცული. კასტების შესახებ არსებობს მრავალი მოსაზრება თეორია და ჰიპოთეზა. კასტობრივ სისტემაზე დაწერილია გაცილებით მეტი, ვიდრე ინდოეთის ცხოვრების ნებისმიერ სხვა მოვლენაზე, თუმცა კასტობრივი სისტემის თანამედროვე მდგომარეობა შესწავლილია აშკარად არასაკმარისად, რაც გავიძულებს ყველა ცნობები და მოსაზრებები, რომლებიც კი ამ პრობლემას ეხებიან დიდი სიფრთხილით მივიღოთ, უბრალო მოკლე თხრობისა და მხელის გვერდი აუქციო საკამათო და ბუნდოვნად გამოთქმულ აზრებს, ამიტომ ჩვენ შევეცდებით შემოვიფარგლოთ მხოლოდ შემოწმებული და აშკარად დამაჯერებელი ფაქტებით.

მეცნიერების მიერ შემოთავაზებული სიტყვა „კასტის“ (პორტუგალიური სიტყვა და ნიშნავს - „ჯიშს“ „წარმოშობას“) განმარტებებისა, უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე თუ რა დიდ აზრთა სხვაობას აქვს ადგილი ამ ე.წ. კასტობრივი მოვლენების შესახებ ინდოელი ავტორები მართლმორწმუნე კასტობრივ სისტემას აღიარებენ ღვთისნიერ სისტემად, რომელიც დაყოფილია მორწმუნეთა ჯგუფებად. თითოეული ასეთი ჯგუფი თავის საწყისს იღებს ძველი ინდური საზოგადოების ოთხ ძირითად ვარნა - წოდებიდან - კლასებიდან. ევროპელი მკვლევარები და ბევრი თანამედროვე ინდოელი მეცნიერი საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ თვით კასტა (ჯატი) იმ სახით, როგორც იგი არსებობს დღემდე, სრულიად არ ემთხვევა ძველ ინდურ „ვარნას“ რომელიც მიჩნეულია კასტის დღევანდელი მდგომარეობის საწყისად. ეთნოგრაფა გ. გ. რისლის აზრით, კასტა ესაა „ორგანიზაცია ოჯახური და გვაროვნული ჯგუფებისა, რომლებსაც გააჩნიათ საერთო მითოლოგიური წინაპარი და ტრადიციული პროფესია, ამგვარ სახელს ატარებს, ანუ ჰომოგენური საზოგადოებრივი ერთეულია“. ინდოლოგი ა. ბემენდ ამჯობინებს „კასტის“ უფრო მოკლე განმარტებას: „კასტა - ესაა კლასობრივ ჩარჩოში მოქცეული ჯგუფების სისტემა, ყოველი ამ ჯგუფთაგანი, როგორც წესი ატარებს ენდოგამონურ ხასიათს, და რომლის წევრებსაც შეუძლიათ ერთად ჭამონ და გააჩნიათ თავისი განსაკუთრებული პროფესია“. ამ სკითხე უდიდესი ევროპული სპეციალისტი ჯ. ჰეტონი, უფრო დამაჯერებლად ამბობს: „კასტობრივი სისტემა ეს არის საზოგადოების დაყოფა მრავალ, ჩაკეტილ, ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილ და იერარქიის პრინციპზე განლაგებულ ნაწილებად (კასტებად), რომელთა შორისაც კავშირი რიტუალურად შეზღუდულია“.

კასტის ცნების სირთულემ, მრავალი მკვლევარი აიძულა აშკარად ეთქვა უარი მის განსაზღვრაზე და კასტობრივი სისტემის განსაზღვრის ნაცვლად, ისინი დაკმაყოფილდნენ კასტის განმასხვავებელი თვისებებისა და ფუნქციების ჩამოთვლით ამ მხრივ გარკვეული წარმატებას მიაღწია ნ.კ. დატამ, რომელმაც გამოყო კასტის შვიდი შემდეგი თავისებურება:

კასტის წევრებმა არ უნდა იქორწინონ თავიანთი კასტის გარეთ.

ამდაგვარი, მაგრამ ნაკლებად მკაცრი აკრძალვები ეხება საჭმლის მიღებასაც.

მრავალი კასტისთვის ზუსტადაა დადგენილი საქმიანობის სახე.

კასტები განლაგებულები არიან იერარქიის პრინციპის მიხედვით, სადაც უმაღლესად აღილი ბრაჰმანებს უჭირავთ.

კასტის წევრები დაბადებიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე მოცემულ კასტას ეკუთვნის, თუ იგი კასტის რაიმე კანონების დარღვევისათვის კასტიდან არ იქნა გარიცხული (მოკვეთილი).

ერთი კასტიდან მეორე კასტაში გადასვლა აკრძალულია.

მთელი სისტემა ემყარება ბრაჰმანთა ავტორიტეტს.

როდესაც ჩვენ დეტალურად ვისაუბრებთ კასტობრივი სისტემის კანონებზე, ვნახავთ რომ ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები არ ატარებს ყოვლისშემცვლელ ხასიათს, მაგრამ იგი მაინც საჭიროა, როგორც ერთვარი დასაყრდენი აღნიშნული საკითხის გადაჭრისათვის. ამ შემთხვევაშიც ისევე როგორც მეცნიერ ბემემის განსაზღვრებაში აღნიშნულია სამი ძირითადი სოციალური სფერო, რომლებშიც კასტობრივობის მნიშვნელობა, ყველაზე ძლიერად ჩანს, ესაა: ქორწინება, ტრაპეზი და პროფესია.

ვიდრე თანამედროვე კასტობრივი სისტემის სტრუქტურას გავეცნობოდეთ, საჭიროა მივმართოთ შორეულ წარსულს და იქ ვეძებოთ ცნობები მათი წარმოშობის შესახებ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი ინდური ლიტერატურული წყაროები ძალიან ძუნწად შეიცავენ კონკრეტულ ისტორიულ ცნობებს კასტების შესახებ. ოდნავადაც არ გვაწვდიან უტყუარ მასალებს. „რიგვედის“ ერთ-ერთი პირველი თავი გვატყობინებს ინდურ მოსახლეობის ოთხ (ვარნად) დაყოფის შესახებ. რომ „ვარნები“ თითქოსდა გაჩნდნენ ტანის სხვადასხვა ნაწილისაგან (ბაგეთაგან, ხელებიდან, თეძოებიდან და ფეხებიდან) რაც სიმბოლურად აღინიშნება სხვადასხვა ფერით - „ვარნით“, რაც „სანსკრიტზე“ ნიშნავს „ფერს“. ვარნები, თავდაპირველად, უთუოდ, დაკავშირებული იყვნენ ძველი ინდური საზოგადოების არსებობასთან. ფუნქციონალურად ისინი ერთმანეთისგან წარმოადგენდნენ ისეთ იზოლირებულ, პროფესიულ ჯგუფებს, როგორც იყვნენ „ბრაჰმანები“ (ქურუმები, შემწირველები, სასულიერო მოძღვრები), „ქშატრიები“ (მებრძოლები), „ვაიშები“ (გლეხები, ვაჭრები, კეთილშობილური პროფესიის ხელოსნები) და „შუდრები“ (პირველ რიგში მსახურები და ყველა ჭუჭყიანი სამუშაოების შემსრულებლები). პირველი სამი პროფესიის წევრები მიეკუთვნებოდნენ „დვიჯას“ („ორჯერ დაბადებულთა“) კატეგორიას, ვინაიდან მათ გადაეცემოდათ წმინდა თასმა

რომელიც მიაწინებდა, რომ ისინი რელიგიურად მეორედ დაბადებულნი არიან.

ძველ ინდურ ტრაქტაში „არათჰაშასტრაში“ რომლის შექმნასაც მიაწერენ ბრაჰმანსა და სახელმწიფო მოღვაწეს კაუტილიას, (IV-III ს.ჩ.წ. აღრიცხვამდე), თუმცა უთუოდ ნაწარმოები უფრო გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის ცალკეული წოდების მოვალეობა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ბრაჰმანის მოვალეობაა - სწავლა, სწავლება მსხვერპლის გაღება, ძღვენის მოტანა, მსხვერპლის გაღება სხვის მაგიერ, ძღვენის მოტანა და მიღება. ქმატრიის მოვალეობაა სწავლა, მსხვერპლის შეწირვა, ძღვენის მოტანა სამხედრო სამსახური და სიცოცხლეების დაცვა. ვაიშიას მოვალეობაა - სწავლა მსხვერპლის გაღება, ძღვენის მოტანა, მიწის ხვნა, მესაქონლეობა, ვაჭრობა. შუდრის მოვალეობაა - ემსახუროს, „ორჯერ დაბადებულთ“ (დვიჯას) მისდიოს მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ვაჭრობას, ხელოსნობას, ყოველი მათგანი იყოს მორჩილი მსახური. ამ წოდებათა დასახელება დღემდე შემორჩა, თუმცა უხეში შეცდომები იქნებოდა, ისინი კერძოდ „კასტებში“ აგვერიოს, უკეთეს შემთხვევაში ვარნა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მეტნაკლებად ერთმანეთთან დაახლოებული კასტების შედარებით დიდი ჯგუფი. თუმცა კერძოდ რომელ ვარნას მიეკუთვნება ესა თუ ის კასტა (ბრაჰმანული კასტების გამოკლებით) მეტად ძნელი დასადგენია. ძალიან ხშირია მაგალითად, როცა რომელიმე კასტა თავის თავს გამოაცხადეს ქმატრულ კასტად მიუხედავად იმისა, რომ სხვა კასტის წევრები მათ შუდრებს მიაკუთვნებენ. ის თვალსაზრისი, რომ თითქოსდა კასტები პირველსაწყისი ვარნების ორად გაყოფის შედეგად აღმოცენდნენ, კრიტიკას ვერ უძლებს. „სიმართლეს ჰგავს ის, - შენიშნავს ჰეტონი, - რომ ბრძენნი, რომლებიც ვედების შემდეგ გაჩნდნენ, ხელმძღვანელობდნენ რამისწრაფებით ძველ ვედებში ეპობათ კასტობრივი სისტემის საფუძველი, უბრალოდ ახდენდნენ ვარნის არსის ინტერპრეტირებას კასტური სისტემის ტერმინებით“, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კასტების გაიგივება ოთხ ძველ წოდებრივ ჯგუფებთან წარმოადგენდა ორი სხვადასხვა ინსტიტუტის აღრევას.

სად ვეძებოთ კასტობრივი სისტემის საწყისი და როგორ დავადგინოთ მისი წარმოშობა? ამაზე პასუხის გაცემა იოლი საქმე როდია/ ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაგვარწმუნეს რომ კასტების წარმოშობა შეუძლებელია ავხსნათ რაიმე ერთი ფაქტორით, ან იმით, რომ იგი ჯთელი რიგი ინდური ფაქტორების მოქმედების შედეგია. კასტობრივი სისტემა როგორც ტიპური ინდური მოვლენა მსოფლიოს ისტორიაში ჯერჯერობით ვერ პოულობს პარალელს. ყოველი ამ ფაქტორთაგანი და სხვადასხვა ხასიათებისაა და ძნელია მათი ჩამოთვლა. ჯერ კიდევ ინდოევროპელების მოსვლამდე ინდოეთის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა დიდი სიჭრელით გამოირჩეოდა. აქ იყო წარმოდგენილი არამარტო სხვადასხვა რასები, არამედ მრავალრიცხოვანი ტომობრივ ჯგუფებისაც, რომლებიც იყოფოდნენ უთუოდ კლასებად, პროფესიული და შესაძლოა რელიგიური ნიშანთვისებების მიხედვითაც. ძველი ინდური ცივილიზაციის არიელემდეგი ცენტრების გათხრების მონაცემებმა, საშუალება მისცეს არქეოლოგებს მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ დაახლოებით მესამე ათასწლეულში ჩვენს ერამდე ინდოეთში არსებობდა მონათმფლობელური საზოგადოება კასტობრივი სტრუქტურის ჩანასახით და რომ იმთავითვე დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა რიტუალურ სიწმინდეს რომელსაც უძველესი პერიოდის კასტობრივ სისტემაში წამყვანი როლი უნდა ეთამაშა.

მთელ რიგ რაიონებში უახლოეს დრომდე იზოლირებული არაცივილიზებული ტომების

ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ მოსახლეობის სრულიად განკერძოებულ ჯგუფები, რომლებიც ტექნიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ, ქონდათ სხვადასხვა იდეოლოგია და ტრადიციები. ზოგიერთ კასტაში დღესც ჭარბობს გარკვეული რასობრივი ტიპი. ზოგი კასტა კი ერთგულია თავისი პროფესიისადმი, ზოგისთვის მთავარია ტერიტორია, ზოგი კასტა კი გამოირჩევა თავისი ერთგვარი სახელოსნო-საამქროებით და ა.შ. ბუნებრივია, რომ ამასთანავე მატრიარქალური ჯგუფები უთანასწორდებიან პატრიარქალურს, ტომების მიგრაცია და ადგილის გადანაცვლება აღნიშნულ ტომებს, მოსახლეობის უფრო რთულ ეთნიკურ შემადგენელ ჯგუფად აქცევდა. მჭიდრო კავშირი მყარდებოდა შედარებით განვითარებული იდეოლოგიისა და მაგიის ბნელ ძალებს, ოკულტიზმსა და ექიმბაშებს შორის. მთელს ამ არეულობაში ბრაჰმანული იდეოლოგია ცდილობდა წერსიგის დამყარებას თავისი ტიპიური ინდური მისწრაფებით მოეხდინა კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია ისეთი საგნებისა, რომლებიც არ ემორჩილებიან სისტემატიზაციას. რა თქმა უნდა, აქ პირველ რიგში თავის იჩინა სწრაფვამ, რათა რელიგიური ელფერე ქონოდა ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს რომელიც უპასუხებდა ბრაჰმანთა ინტერესებს, შესაძლებელია ამათ გამოიწვია ოთხი წოდების (ვარნა) კოდიფიკაცია მაგრამ დღეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მთელი ინდოეთის მოსახლეობის დაყოფა კასტურ და უკასტო მოსახლეობად (ავარნა). რამაც საფუძველი ჩაუყარა ინდური საზოგადოების მრავალრიცხოვანი ფენის ე.წ. ხელშეუხებელთა (მიუკარებელთა) წარმოშობას და მათ კასტობრივი-წოდებრივი იერარქიის გარეთ სამუდამოდ გამოყვანას.

ამავე დროს, ინდოეთის მოსახლეობა მართლაც გაიყო და პატარა ჯგუფებად რომლებსაც აკავშირებს რასობრივი, ტომობრივი, ენობრივი, კულტურული და პროფესიული ერთიანობის შეგნება. მხოლოდ მოცემულ ჯგუფში იმარჯვებდა ენდოგამიის პრინციპი, ე.ი. აუცილებლობა იმისა, რომ ქორწინება მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ ამ ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში. ასეთი ჯგუფი ხდებოდა კასტა ან სიტყვის სრული მნიშვნელობით. კასტები გვევლინება, როგორც სისტემა იმ ცალკეულ ოჯახებისა და საგვარეულოთა (გოტრა), რომლებიც იყვნენ სრულიად ეგზომატური. ე.ი. აიძულებდნენ თავიანთ წევრებს ექორწინათ სხვა ტომების წევრებთან, მოცემულ კასტის ჩარჩოებში.

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული შეზღუდულობანი რაც დიდად უწყობდა ხელს კასტების კარჩაკეტილობას, წარმოადგენს შედეგს თავდაპირველად მაგიასთან დაკავშირებული ძველი შეხედულებებისა, რომლებიც ეხებოდა რიტუალურ შეზღუდვას საჭმელზე, სმაზე, სქესობრივ კავშირზე. ეს წარმოდგენები დღემდე კასტობრივი კანონების ბირთვს წარმოადგენს. კასტობრივი კანონების თანახმად საჭმლის ან სასმელის მიღება სხვა კასტის წევრის ხელიდან აკრძალულია, რათა ამ კასტის წევრი მავნე გავლენის ქვეშ არ მოექცეს, მიწოდებულ საჭმლის გზით დ.შ. სხვა მეცნიერები კასტებს განიხილავენ როგორც შრომის პრიმიტიული გაყოფის ფორმას, რადგან ბევრ კასტას თავიანთი შთამომავლობითი და უცვლელი პროფესია გააჩნდა. კასტობრივ სტრუქტურაში თავშესაფარს პოულობდნენ ისეთი პრიმიტიული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორცაა ძველი სოფლური თემი, რომელიც მოწყვეტილი იყო დანარჩენ სამყაროს და დამოუკიდებლობით უზრუნველყოფდა საკუთარ თავს შრომის ყველა სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთის მთელ რიგ რაიონებში არსებობს მრავალი გადმონაშთისეთი ტომისა, რომელსაც ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრამდე პრაქტიკულად არ შეხები: თანამედროვე ცხოვრება და მაინც გააჩნიათ თავიანთი კასტობრივი სისტემა, მისი განვითარების უმდაბლესი საფეხურისათვის დამახასიათებელი თვისებებით მაგალითად ასამელი ნაგების ცალკეული ტომი, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ პტოლემეი ლაპარაკობს, ტომები ცხოვრობენ სოფლებში, ისინი მისდევენ მესაქონლეობას, მჭედლობასა და ქსოვას და თავიანთ ნაწარმს ცვლიან სხვა საქონელზე თუ სოფლის შიგნით საგვარეულოებში შუღლი ჩამოვარდება, მაშინ მთელი ოჯახი გადადის სხვა სოფელში, სადაც მას შეუძლია დასახლდეს, როგორც განსაკუთრებული დამოუკიდებელი „კასტა“, რომლის წევრები კვლავ გააგრძლებენ თავიანთ შთამომავლობით ხელობას. ნაგთა კასტაში არსებობს მრავალი აკრძალვა, რომლებიც ეხება საჭმელს, ზოგიერთი რაიონების მცხოვრებლებს ძალიან ეშინიათ გამოართვან საკვები უცხო პირებს, რაიმე ურთიერთობა იქონიონ მათთან. ჭურჭლები და საგნები რომლებსაც უცხოელები ხმარობდნენ ნადგურდება, რათა ამ ნივთებმა კასტის წევრებზე მავნე ზეგავლენა არ მოახდინონ, თავის ჩანასახობრივ მდგომარეობაშიც შეინიშნება ისეთი თვისებები, რომლებიც შეიძლება ახასიათებდა თანამედროვე კასტობრივ სისტემას იქ, სადაც მისი აკვანი დაიდრა.

თუმცა, ენდოგამურობა, არ წარმოადგენდა აბსოლუტურ წესს. ძველი ინდურ კანონმდებლები, ხშირად ლაპარაკობენ სხვადასხვა ვარნის წევრების ქორწინებაზე თუმცა ქორწინების აღრევა არაა რეკომენდირებული და აშკარაა, რომ უმრავლესობა თანამედროვე კასტებისა და ქვეკასტებისა, წარმოიშვნენ სწორედ ამ გზით. სხვაგვარად ძნელი გასაგები იქნებოდა ის, რომ ინდოეთში არსებობს სამი ათასი კასტა და ქვეკასტა ქორწინება კასტებს შორის, რა თქმა უნდა, მხარდაჭერას ვერ პოულობდა და ძველთაგანვე ამ მხრივ გაცილებით მეტი შეხდულება არსებობდა, ვიდრე ასეთი ქორწილის თავიდან აცილების საშუალებები. მკაცრად იყო აკრძალული ქორწინებებისმიერი კასტის წევრებს შორის და გათხოვება ქალებისა, რომლებსაც კასტა არ გააჩნდა (ხელშეუხებელნი) და პირიქით.

შერეული ქორწინების მაგალითები, როგორც ჩანს არ წარმოადგენდა ახალი კასტების წარმოშობის წინა საფუძველს სინმადვილეში, დღემდე კასტობრივი ერთეულები წარმოიშვებიან საქმიანობის სახის შეცვლის ახალი პროფესიის გაჩენის და სახელოსნო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის შედეგად. ასე მაგალითად, ჩრდილოეთ ინდოეთის ხორციტა და ბოსტნეულით მოვაჭრე კასტა - ქვატიკა დაიყო მთელ რიგ ქვეკასტებად, სადაც სპეციალიზაციის როლი ისე გაიზარდა, რომ ღორის ხორციტ მოვაჭრენი, გამოეყვნენ ცხვრის ხორციტ მოვაჭრეებს და ა.შ. კიდევ უფრო ტიპირური მძლოლთა კასტის წარმოშობა. ენთჰოვენი, მეტად სწორად ახასიათებს ამ მოვლენას, იგი ამბობს, რომ „თანამედროვე ინდოეთში, წარმოიშვა მძლოლთა კასტა შემდგარი მრავალი ადამიანისაგან, რომლებიც ავტომობილებს ატარებენ. უკვე მომწიფდა იმისათვის, რომ ეს კასტა გამოეყოს ქვეკასტად მძლოლებისა, რომლებიც ვთქვამთ ატარებენ „როლს-როისს“ რომლებიც უარს იტყოდნენ ქორწინებასა და ჭამაზე „ფორდების“ მძლოლთა ქვეკასტის წარმომადგენლებთან“

როდესაც ახალი კასტების წარმოშობის გზებსა და მიზეზებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ სხვა და სხვა აბორიგენული ტომების შესახებაც, რომლებიც ჰინდუიზმის

სისტემაში შედიან თუ ახალი კასტები არ ღებულობდნენ ხელშეუხებელთა სტატუსს რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, სამაგიეროდ იძენდნენ სტატუსს იმ კასტებისას რომლებსაც გარკვეული ადგილი ეჭირათ, კასტურ იერარქიაში. ცნობილია, აგრეთვე რომ ენდოგამური კასტური ჯგუფები იქცნენ რელიგიურ სექტებად, რომლებიც ჰინდურ საზოგადოების კასტობრივი სტრუქტურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგალითად ლინგაიტები, ანუ შივას ფალოსური სიმბოლოს თაყვანისმცემლები, ან კაბირპანტები ინდოელი პოეტის - კაბირის მიმდევრები, რომლებიც კასტობრივი სისტემის აქტიურ მოწინააღმდეგენი იყვნენ. იგივე ბედი ეწია სიქებს, რომელთა მოძღვრება ძირითადად ანტიკასტური იყო: ჰინდუიზმმა ისინი უბრალოდ ცალკეულ კასტობრივ ერთეულად აქცია.

ახლა, ჰინდური კასტობრივი საზოგადოების დღევანდელი ვითარება, განვიხილოთ ისტორიულ ასპექტში. როგორც უკვე ავლნიშნეთ, არსებული კასტობრივი სისტემის ოთხ ვარნად დაყოფას, აზრი აქვს მხოლოდ იმ გაგებით, რომ იგი გამოჰყოფს ყველა კასტას ხელშეუხებელთაგან (მიუკარებლებისაგან), რომლებიც კასტური იერარქიის გარეთ რჩებიან, თუმცა ინდოეთის რესპუბლიკის კანონის თანახმად ცნება „ხელშეუხებელი“ (მიუკარებელი) აღარ არსებობს და ინდოეთის კონსტიტუცია კრძალავს დისკრიმინაციის ყველა სახეს. გაივლის კიდევ რამოდენიმე ათეული წელი სანამ გაქრება კასტობრივი სისტემის მიერ წარმოშობილი ერთი დიდი სიმახინჯე და უკასტონი: ნამდვილად გახდებიან საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. აქ ლაპარაკი არ არის ინდოეთის მოსახლეობის რაღაც მცირე ნაწილზე (მიუკარებელთა - ხელშეუხებელთა რიცხვი 55 მილიონს აღწევს და მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა უაღრესად მძიმეა). ასეთ რიცხვს პირველ რიგში ეკუთვნიან პირები, შემსრულებლები ისეთი სამუშაოებისა, რომლებიც ტრადიციულად შემბლაღავად ითვლება - ტყავის გადამუშავება, თეთრეულის რეცხვა, გვამების, სიბინძურის და ნაგავის გატანა და ა. შ. ზღვარი კასტობრივ ჰინდუებსა და ხელშეუხებელთა შორის მეტად მკვეთრია განსაკუთრებით სამხრეთ ინდოეთში მართალია ცხოვრების თანამედროვე სახემ მასობრივმა წარმოებამ, ტრანსპორტის საშუალებების განვითარებამ, ახალმა კანონმდებლობამ და განდის განმანათლებლურმა მოღვაწეობამ დიდი ძვრები გამოიწვია ინდოელთა შეგნებაში, მაგრამ გადმონაშთები, დაკავშირებული ხელშეუხებლობასთან /მიუკარებლობასთან/ ჯერ მთლიანად არ აღმოფხვრილა. დღეს რა თქმა უნდა ბრაჰმანი ვერ გაბედავს ადგილზევე მოკლას „ხელშეუხებელი“, რომელმაც შებილწა იგი თავისი შეხებით, რასაც ადგილი ჰქონდა უახლოეს წარსულში, თუმცა, ჯერ მაინც, ვერავინ აიძულებს ბრაჰმანს ურთიერთობა იქონიოს „უწმინდურთან“ (ხელშეუხებელთან, ანუ მიუკარებელთან).

ხელშეუხებელთა შორის ზოგან შეიქმნა დამოუკიდებელი კასტები, რომლებიც არანაკლებად მკაცრნი არიან ვიდრე ბრაჰმანები. ისინი იცავენ თავიანთ განკერძოებას და ხშირად აქტიურად ეწინააღმდეგებიან ამა თუ იმ პროგრესულ მოვლენას. ასე მაგალითად, ერთადერთი ყველაზე გავრცელებული შეზღუდვა იყო ხელშეუხებელთათვის ჰინდურ ტაძრებში შესვლის აკრძალვა, მაგრამ იქ სადაც ეს აკრძალვა გაუქმდა, ისინი მაინც არ შედიან ტაძარში სხვა ჰინდუებთან ერთად და განაგრძობენ თავიანთ საგვარეულო სალოცავების თაყვანისცემას.

ხელშეუხებელთ ეკუთვნის ყველა ვინც ჰინდური კასტობრივი სისტემის გარეთაა

ამგვარად მათ შორის შეიძლება უცხო სარწმუნოების წარმომადგენლებიც ე.ი მუსულმანები და ქრისტიანები. ევროპელების მიმართ, მართლმორწმუნე ჰინდუები არც თუ ისე შემწყნარებლები არიან, რაც უთუოდ, აისახება ინდოეთში ინგლისელების განსაკუთრებული მდგომარეობით. თუმცა ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა ევროპელებსაც ზუსტად ისევე აღიქვამდნენ, როგორც „მიუკარებლებს“ (ხელშეუხებლავებს). მატეერი გვატყობინებს, რომ ტაძარმა ტირუვიდანგურში რიტუალური განწმენდა ხელახლა გაიარა ე.ი. ტაძარი ხელახლა აკურთხეს, რადგან სატაძრო ღელესა და ტაძარს შორის ევროპელმა ჩაიარა. ტერსტონის სიტყვებით, იგერთხელ საჭმლის მომზადების დროს უნებლიედ ქოთანში ჩადებულ ჩამჩას შეეხო, და ქალი, რომელმაც ის ქოთანი კვლავ გამოიყენა კასტიდან გარიცხეს. ეჭვი არაა, ძირითადად მიზეზი იმისა, რომ ევროპელისათვის უკიდურესად ძნელია მართლმორწმუნე ჰინდუთა: ოჯახში შეადწიოს, სწორედ რომ რიტუალური შებილწვის შიშია. ყველაზე უფრო ეს ეხება სამზარეულოს, ვინაიდან სამზარეულო, როგორც გ.კ. პილაი ამბობს „ჰინდუს სახლში ყველაზე წმინდა აკრძალულ ადგილს წარმოადგენს“.

რიტუალური შერყვნა (შებიწვა), რაც აშინებს ყველა ჰინდური კასტის წევრს, რჩება იმ ცენტრალურ პუნქტად, რომელსაც კასტობრივი კანონები და დებულებები ემყარება. ჩვენ უკვე ავღნიშნეთ ძველი მაგიური წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ცუდად შეიძლება იმოქმედოს წყალმა, ან საჭმელმა სხვა ადამიანის, ან რომელიმე კასტის წარმომადგენელზე, როგორც ძირითადად ჰინდურმა აკრძალვამ. სინამდვილეში კი, ამ: თუ იმ კასტების „სისუფთავის“ პრაქტიკულ კრიტერიუმს წარმოადგენს ბრაჰმანის მიერ რომელიმე კასტის წარმომადგენლის ხელიდან წყლის მიღება - არმიღება.

ყველაზე მკაცრი დებულებები ეხება წყალსა და იმ საჭმელს, რომელიც წყლით მზადდება. მასთანაა დაკავშირებული ცალკე ჭების არსებობა ჰინდური საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის და ასევე ცალკე სამზარეულოები ჯარში. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მართლმორწმუნე ბრაჰმანი, ყოველთვის ამჯობინებს ისეთ წყალს, რომლის „შერყვნას“ ვერ შეძლებს ვერც ერთი არაბრაჰმანი, და იგი გულდასმით ადევნებს თვალს ჭურჭლის, ქოთნისა და დოქების რიტუალურ სიწმინდეს. ამგვარ შემზღვევები არა მარტო ბრაჰმანისათვის არის მნიშვნელოვანი. ძლიერ პარადოქსულია მაგრამ სამხრეთ ინდოეთის ზოგიერთი მიუკარებელთა (ხელშეუხებელთა) „კასტები“ ასევე მკაცრად იცავენ წყლის სისუფთავს, თანაც შერყვნილად მიაჩნიათ ისეთი წყალი რომელსაც ბრაჰმანი მიეკარება.

მოთხოვნები, რომლის მიზანია რიტუალური სიწმინდის დაცვა, დაწვრილებით იქნა დამუშავებული და თითქმის აბსურდამდე დაყვანილი. აი, როგორ აგვიჩერს ა.კ ფორსბი, წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან ნაგარელ ბრაჰმანთა გუჯარატული კასტის წევრებმა - იმისათვის, რომ მათი საჭმელი სრულიად „სუფთა“ იყოს მათ ჯერ უნდა დაიბანონ ტანი, გამოიცვალონ ტანსაცმელი, რომელიც გამშრალია იმ ადგილზე, სადაც არაფერს შეეძლო „შეერყვნა“. ჭამის დროს გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ რკინის ჭურჭელი, თიხისა არავითარ შემთხვევაში. ჭამის წინ ამ უკანასკნელის შეხება არ შეიძლება ისევე როგორც ქსოვილის, რომელსაც სხვაც შეიძლება შეხებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამოვლებული უნდა იქნას ერბოში. ბრაჰმანი უნდა შეეხო ტყავს, ძვალს, ქაღალდს, თუ რაიმე მასზე არ არის დაწერილი დევანაგარის ანბანით რომელიც სანსკრიტსა და ჰინდის ენაში იხმარება, ასევე არ უნდა შეეხოს მაიმუნს

ძალს, ღორსა და ბავშვს, რომელიც უკვე მაგარ საჭმელს ჭამს, და ბოლოს სხვა ბრაჰმანს, რომელიც ეს ესაა ჭამდა საჭმელს ან უკვე დაამთავრა ჭამა. ჭამის დროს შეიძლება დაბეჭდილი წიგნის, პალმის ფოთოლზე დაწერილი, ან აბრეშუმის ყდაგადაკრული ხელნაწერის კითხვა. ხოლო, როდესაც ყველა ამ მითითებას შეასრულებს, მას უკვე შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ არავითარი შეცდომა არ დაუშვია კასტობრივი სისუფთავის დაცვაში.

წყლის საშუალებით - რიტუალური შებღალვის (შერყვნის) შიშთან, ასევე დაკავშირებულია შეზღუდვა, წყლიან მოსაწევ ხელსაწყოსთან, რომელიც მწევლისა და მწევლის ხელში გადადის, რაც სოფლად განსაკუთრებული მნიშვნელობის საზოგადოებრივ ფაქტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სკურპულოზობის დონე ანმგვარი შეზღუდვების დაცვაში დამოკიდებულია ცალკეული კასტების არა სოციალურ მდგომარეობაზე, არამედ მათ გრაციებსა და ადგილობრივ ადათ-წესებზე. ხშირია როცა ცალკეული მდაბიო კასტები არაჩვეულებრივ სიმკაცრეს იჩენენ საჭმლისა და წყლის მიმართ რათა განამტკიცონ თავიანთი სოციალური პრესტიჟი.

არსებობს მრავალი სხვა შეზღუდვა საჭმლის მხრივ, რომელთა დარღვევა ცოდვად ითვლება. ისინი სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვაა, და ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ დღეებსა და თვეებზე, მარხვის მსგავსად, რომელიმე პირზე, (ქვრივებზე გაუთხოვარ ქალებზე და ა.შ.) საერთო აკრძალვაა საქონლისა და თიკანის ხორცის ჭამა ვინაიდან ძროხა წმინდა ცხოველია, და ღორის ხორცისა, რადგან ის ბინძური ცხოველია ზოგიერთ რაიონებში აკრძალულია თევზის ჭამა, ზოგან კი შინაური ფრინველის პრაქტიკულად რელიგიის მიერ საკვებად დაშვებული ერთად ერთი ხორცია - ცხვრის ხორცი. თუმცა ინდოელთა შორის ბევრია ისეთი ვეგეტარიანელი, რომელიც არ ჭამს არა მარტო რაიმე ხორცსა და თევზს, არამედ უარს ამბობს კვერცხზედაც. ამას საფუძვლად უდევს აჰიმსა (ცოცხალი არსებებისადმი ზიანის არ მიყენება.).

რა თქმა უნდა, სიმკაცრე კასტობრივ შეზღუდვებში საჭმელებისა და სასმელების მიმართულებით თანამედროვე ინდოეთში მნიშვნელოვნად სუსტდება: ძველ დაკანონებულ წესებს განუხრელად მისდევენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მართლმორწმუნე ჰინდუები, ხოლო კასტების კონსერვატიულობა (უკლებლივ ყველა კასტის) ქორწინების საკითხებში ძველებურად უცვლელია. იშვიათია ქორწინება რომელიც ეწინააღმდეგება ტრადიციულ კასტობრივ წესებს. ეგრეთწოდებულ პროგრესული ოჯახებიც, რომლებიც აშკარად მიაკუთვნებენ თავიანთ თავს კასტობრივ სისტემის მოწინააღმდეგეთა რიცხვს, ყოველთვის ვერ ბედავენ თანხმობა განაცხადონ ახალგაზრდების შეუღლებაზე კასტიდან, რომელსაც ეს ქორწილი „შერყვნად“ მიაჩნია ამ ხალხს იმდენად სამარადისო სასჯელის არ ემინიათ აკრძალვის დარღვევისათვის რამდენადაც რეპრესიისა იმ საზოგადოების მხრიდან, რომელსაც დიდი ძალა აქვს კასტობრივი სტრუქტურის შენარჩუნების შემთხვევაში. მამა, რომელიც თანხმობას აცხადებს შვილის შეუღლებაზე ქალთან ხელშეუხებელთა კასტიდან, თავის შთამომავლობას სრული ბოიკოტისა და განდევნის საშიშროებას უქმნის. ამიტომაც დღეს ინდოეთში შეუღლების დროს, ხელმძღვანელობენ არა გრძნობებით, არამედ მოსაზრებით, რომელიც კასტის ტრადიციულ შეზღუდვებზეა დაფუძნებული კანდიდატურების რიცხვი, რომლიდანაც მშობლებს შეუძლიათ ამოირჩიონ საქმრო, ან საცოლე, თავიანთ ქალიშვილისა, ან ვაჟისათვის, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მეტად

მცირეა ვინაიდან კასტობრივი შეზღუდვების გარდა ისინი მხედველობაში ღებულობენ სხვა არანაკლებ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა დანიშნულთ: ჰოროსკოპების შეფარდება, მზითების ოდენობა, შეუძლებლობა და ოჯახის მდგომარეობა საზოგადოებაში, ხოლო ინტელიგენტები კი ითვალისწინებენ ახალგაზრდების განათლების დონეს, რაც მათი შემდგომი კარიერის საფუძვლად ითვლება.

ზოგიერთ ბარბაროსულ წესებზე, რომლებიც არც თუ დიდი ხანია, რაც აღმოიფხვრა ახალი შეხედულებების ზეგავლენა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ამგვარ ადათებს მიეკუთვნება, მაგალითად, გოგონების გათხოვება, რომლებსაც ჯერ სქესობრივი მომწიფების ასაკისათვის არ მიუღწევია. გავიხსენოთ, რომ ინდოეთში ქალიშვილებს სქესობრივი მომწიფების ასაკს აღწევენ გაცილებით ადრე, ვიდრე ევროპაში. 1932 წ (დამტკიცებულია სამედიცინო ცნობებით) დელის დედოფალ ვიქტორიას სავაადმყოფოში იმშობიარა ექვსი წლის გოგონა. რა თქმა უნდა აღნიშნული შემთხვევა მეტის-მეტად გამონაკლისია, ასე თუ ისე სხვა ფაქტებთან შედარებით. ინდოეთში დედობის უნარიანობის ასაკი გაცილებით მცირეა. ბავშვების ქორწინება განსაკუთრებით სოფლად, აქ იყო ყველაზე ჩვეულებრივი მოვლენა, მიუხედავად ახალი კანონებისა. ამის მაგალითები დღესაც გვხვდება, ვინაიდან მამები, რომლებიც ქალიშვილებს არ ათხოვებენ კასტის მხრიდან გაკიცხვას განიცდიან. ამგვარი მოთხოვნის სიმკაცრე მთელ რიგში კასტებისა, უწინარესად ბრაჰმანულ კასტებში საქმროების ნაკლებობა /ქალების რაოდენობა დღესაც ჭარბობს მამაკაცების რაოდენობას/ განაპირობებდა მრავალცოლიანობას, რაც არც თუ ისე მასიურ ხასიათს ატარებდა. თუმცა, ზოგჯერ ამგვარი ქორწინება აუცილებლობას წარმოადგენდა. ვთქვათ, როდესაც ქალი უშვილო იყო, ან მხოლოდ გოგოს ბადებდა. მეტად თავისებურად წყდებოდა ეს პრობლემა ჩვენს საუკუნის დასაწყისშიც კი, ვთქვათ ბენგალიაში, სადაც აღმოცენდა ეგრეთწოდებულ „კულინთა“ ინსტიტუტი: - „ბრაჰმანები დაწესებულ თანხას მიიღებდნენ თუ არა თხოულობდნენ ქალიშვილებს ბრაჰმანული ოჯახიდან, თითქოს და ქალი სამარცხვინო შინაბერობისაგან რომ ეხსნათ. ბავშვის დაბადების შემდეგასეთ ქმარს (მამას) შეეძლო ოჯახზე აღარ ეზრუნა. დღეს კულინიზმს“ მეტად იშვიათად ვხვდებით. მაგრამ 1911 წელს ო.მეილიმ აღწერა ბრაჰმანი - კულინი, რომელმაც ასეთნაირად სამოცჯერ იქორწინა.

მრავალი კასტობრივი შეზღუდვები თანდათან სუსტდება, ან სრულიად ქრება მაგალითად გაუქმდა აკრძალვა საზღვარგარეთ გასვლის შესახებ, თუმცა სულ ცოტა ხნის უკან საზღვარგარეთ გასვლა ეკრძალებოდა ყველა „ორჯერ დაბადებულთ“ (დვიჯას). შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამგვარი აკრძალვა, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო, კასტის წევრის შორ მანძილზე გაკონტროლების შეუძლებლობით, მეორე მხრივ უცხო - ქვეყანაში ჰინდუიზმის წესებისა და დებულებების დაცვის სირთულით. ეჭვი არაა, რომ ამ წესების დაცვა პრინციპიალურ ხასიათს არ ატარებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შუასაუკუნოებრივ ინდოეთში შეუძლებელია საზღვაო ვაჭრობა აყვავებულიყო. კასტის წევრების საზღვარგარეთ გასვლის აკრძალვა, უფრო სწორად გულისხმობდა, იმას, რომ ნაოსნობიდან დაბრუნებულთ განწმენდის რიტუალი უნდა შეესრულებიათ. წყაროებიდან ცნობილია, რომ იგივე მოეთხოვებოდა იმ პირებს რომლებიც სხვა რჯულის ადამიანებთან ან დიდი ხანს იმყოფებოდნენ, მაგალითად წმინდა მუსულმანურ გარემოცვაში.

საერთოდ ძნელია იმის თქმა თუ, ვინ ხვდება კასტობრივი აკრძალვის მოქმედების სფეროში, ან რისთვის ისჯება კასტის ესა თუ ის წევრი. კასტობრივი შეზღუდვა ეხება: საჭმელს, მაგიდის მომსახურებას, ქორწინებას (მკაცრად ისჯება ქვრივი ქალის გათხოვება, ან ქმრის დალატი). სამუშაოსა და პროფესიას. გარდა ამ ზოგადი ეთიკური კანონებისა (მაგ. ძროხის მოკვლა ბრაჰმანი ის შეურაცხყოფად ითვლება) ცალკეულ კასტებში არსებობს მრავალი ზედმიწევნით საკუთარი კანონები და დებულებები რომლებიც ემყარება ადგილობრივ ტრადიციებსა და წესებს. ინდილოგი ვილსონი ამის შესახებ შემდეგნაირად აღნიშნავს: „კასტა მიუთითებს, როგორ შესრულდეს მშობიარობის მიღებისა და ადამიანის კურთხევის წესი, იმ წუთიდან, როგორც კი იგი ქვეყანაზე გაჩნდება, როგორ მოწოვოს მან ძუძუ, როგორ სვას, როგორ ჭამოს და კარში როგორ გავიდეს, როგორ დაიბანოს, როგორ გაირეცხოს, გაიკეთოს ნიშანი, გაიგრძოს როგორ ჩაიცვას და მოირთოს თავი, როგორ დაჯდეს, ადგეს და მიესალმოს, როგორ იმოდრაოს, როგორ ინახულოს ვინმე, როგორ იმოგზაუროს, როგორ ილაპარაკოს, როგორ იკითხოს, როგორ უსმინოს, იფიქროს, იმუშაოს, ითამაშოს და იომოს. მას გააჩნია თავისი კანონები საზოგადოებისა და რელიგიური უფლებების უპირატესობასა და პრეროგატივების შესახებ, პროფესიის, სწავლებისა და აღზრდის შესახებ ვალდებულებების, მოვალეობებისა და პრაქტიკული საქმიანობის შესახებ, ღვთაების შეცნობასა და წეს-ჩვეულებების შესახებ, შეცდომების დანიშნულებებისა და ცოდვების შესახებ, კასტებს შორის ურთიერთობების შესახებ, რასაც უნდა ერიდოს კასტის წევრი კასტიდან გარიცხვის, შერყვნისა და განწმენდის შესახებ, ქირების ციხეში მოხვედრისა ქვეყნიდან გაძევებისა და სიკვდილით დასჯის შესახებ. კასტა განსაზღვრავს თუ რა ითვლება ცოდვად და განმარტავს თუ როგორ შეიძლება ამ ცოდვის გამოსყიდვა. კასტა წყვეტს მემკვიდრეობას სასამართლოს ძალით ქირის აღების პრობლემებს. იგი აკონტროლებს აგრეთვე საკრედიტო, საშემოსავლოს გაყოფის, ზარალსა და გაბანკროტებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. მას შეუძლია გადაწყვიტოს ისეთი საკითხიც, რომელიც ეხება კასტის წევრის დასაფლავებას, ან კრემაციას, ან მისი სახელის სამარადისოდ დატოვებას, გარდაცვლილთა დაცვას, სულების შეურაცხყოფისაგან ერთი სიტყვით, მონაწილეა ცხოვრების ყველა ურთიერთობისა და გარემოებისა, თუ მოვლენისა. ყოველივე იმისა, რაც ადამიანის სიცოცხლეს წინ უძღვის, ან თან სდევს მის დასასრულს”.

ეს ჩამონათვალი მეტად შთამბეჭდავია, და თუმცა მისი პრაქტიკული მნიშვნელობა უწინარესად მდგომარეობს კონცენტრი რებულ თავისებურებაში სხვადასხვა დროისა და ადგილის, სრულიად განსხვავებული კასტობრივი მიწერილო ბებისა, წარმოდგენას გვაძლევს თუ რად დიდ ფუნქციასა და პასუხისმგებლობას აკისრებდა კასტობრივი სისტემა მის თითოეულ წევრს.

ისმება კითხვა, როგორ ხერხდებოდა ყველა დებულების შესრულება? რადგან ცნობილია, რაც მეტი აკრძალვები, მით უფრო მძლავრდება ტენდენცია, ამ აკრძალვების დარღვევისაკენ. და ამიტომ მით უფრო მკაცრია კონტროლიც. ჰინდუიზმმა შეძლო ყოველივე ამაზე ეზრუნა - მან კასტობრივი დებულებები დაუქვემდებარა რელიგიურ სისტემას, გამოიყენა იდეოლოგიური დაწოლის ყველა საშუალება, (თითქოს და, რომ არაფერი ქონდა ინდივიდს თავისუფალი არჩევისათვის) თავისი საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქცია კასტად - მაკონტროლებელ და დამსჯელ ერთეულად, მისცა მას სოციალური ზედამხედველობის ფუნქცია და ბევრად უფრო ძველ დროში, შესაძლო

თავის სამსახურში ჩაეყენებია საერო გამგებელთა ძლევამოსილება და ავტორიტეტი.

კასტის იდეურ გავლენას მის წესებზე, საფუძვლად უდევს კარმის კანონი, რომლის თანახმად ადამიანის აწმყო ცხოვრება მისი შემდგომი დაბადებებში მოქმედების შედეგია. ბედნიერება, კმაყოფილება, წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ასრულებდა ინდივიდუმი, წარსულ ცხოვრებებში, თავის რელიგიურ, უფრო სწორად, სასულიერო მოვალეობებს. გარკვეული აზრით, ეს მოვალეობები გაიგივებულია: კასტის მოვალეობასთან: ჰინდუიზმი არ მოითხოვს თავის მიმდევრებისგან იმაზე მეტს რასაც მოითხოვს კასტა, უფრო სწორად იგი არ უკრძალავს იმაზე მეტს, რასაც კრძალავს კასტა. ყოველ პირს უფლება აქვს მოიპოვოს, ასე ვთქვათ, დამატებითი სულიერი დამსახურები, რაც დაემატება მის კეთილ საქმეებს, უკვე მის შემდგომ დაბადებაში (ამის მიღწევა შეიძლება შეწირვის, მომლოცველობის, ასკეტიზმისა და სხვა გზით) მაგრამ პირველ რიგში ყოველი წევრი უნდა დაემორჩილოს თავისი კასტის კანონებს და არ უნდა გაბედოს აკრძალვების დარღვევა.

სრულიად აშკარაა, რომ ჰინდუიზმი არ ახდენდეს თავისი მოთხოვნათა და აკრძალვების განმტკიცებას, სწორედ რელიგიის საშუალებით, იგი ვერასოდეს შესძლებდა თავისი მიმდევრებს ასეთი ძლიერი ჯაჭვით შებორკვას, რასაც დღეს ადგილი აქვს. ჰინდუიზმს გააჩნია კიდევ უფრო დამაჯერებელი და ეფექტური საშუალებები: გამოკვეთილი ორგანიზაცია, სოციალური იძულების აპარატი უცილობელი, ურყევი ავტორიტეტითა და „ურჩთა“ დასჯის საშუალებებით.

კასტობრივი სისტემის ეს მხარე უკეთ რომ გავიგოთ, ამისათვის ვნახოთ თანამედროვე ინდური სოფელი, რომელსაც ჯერ კიდევ დიდად არ განიცდია გარეშე გავლენები. იგი შედგება „კვარტალებისა“ და სახლების მწკრივებისაგან, თანაც თითოეულ ამათგანში ცხოვრობს მხოლოდ რომელიმე ერთი კასტა - მერძევეთა, მესაქონლეთა ან ბრაჰმანთა ერთი კასტის სახლების წყება მეორისაგან გამოყოფილია ბაღებითა და შესახვევებით თუ სოფლად არიან მუსულმანები, ისინი განკერძოებულად სახლდებიან მიუკარებელთა (ხელშეუხებელთა) საცხოვრებლები სოფლის მოშორებითაა, სადაც სხვა კასტის წევრს გავლის უფლებაც კი არა აქვს.

ამა თუ იმ კასტის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზოგიერთ გარეგნული ნიშნებითაც. უპირველეს ყოვლისა ჩვენს მიერ ნახსენები წმინდა ზონარს აქვთ „ორჯერ დაბადებულები“ (დვიჯა) ინდოეთის მთელ რიგ რაიონებში მდაბიო კასტის წევრებს და ხელშეუხებელთ უფლება არა აქვთ ატარონ ოქროს სამკაულები (რომც ქონდეთ) ქოლგები, ფეხსაცმელები, ჩაიცვან ან დაიფარონ წელსზევით - ან აკრძალვების დარღვევა მე-XX საუკუნეშიც კი ისჯებოდა. მათ ასხვავებენ აგრეთვე თმის ვარცხნილობით (მაგალითად ბრაჰმანული ნაწნავით კეფაზე) შუბლზე დახატულ ნიშნებით. თუ რომელ კასტას ეკუთვნის ესა თუ ის წევრი, თავს იჩენს წოდებრივ სახელებში, რომლებიც დაახლოებით ჩვენ გვარების დახასიათებას შეესაბამება, ყოველმა ინდოელმა იცის, რომ მუქპაპადჰიაია - ბრაჰმანია, პიროვნება, რომელიც მატარებელია ისეთი გვარისა, ვთქვათ, როგორცაა „დასი“, ან „პალი“ შეუიძლებელია იყოს ბრაჰმანი.

ყველაზე მნიშვნელოვანია, მაინც შიდა ორგანიზაცია, კასტისა და ქვეკასტისა, რომელსაც დასახლების ყველა პუნქტსა თუ უბანში, სათავეში უდგას სპეციალური საკასტო კომიტეტი ან საბჭო - პანჩაიატი („ხუთეული“) თუმცა ხშირად იგი გაცილებით მეტ

წევრისაგან შესდგება. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ უკანასკნელის არცევა არ ხდება: კასტის ყველაზე უხუცეს და საპატივცემულო წარმო მადგენლებისაგან შემდგარ კომიტეტის შევსება გამუდმებით წარმოებს საერთო თანხმობით. ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუტია: მისი მოვალეობაა დაიცვას კასტაში წესრიგი თვალყური ადევნოს იზრუნოს, კასტის ყველა წევრზე, გადაწყვიტოს დავა წევრებს შორის, დაეხმაროს მათ მძიმე წუთებში, დასაჯოს ისინი დანაშაულისათვის და დებულებების დარღვევისათვის იგი აგრეთვე საზღვრავს სასჯელს და თვალყურს ადევნებს მის შესრულებას აღსანიშნავია, რომ ამჟამად მდაბიო კასტაში გაცილებით მკაცრი წესრიგია ავტორიტეტული ხელმძღვანელობა და ძლიერი პანჩაიტები, ვიდრე უმაღლეს კასტებში.

კასტობრივი წესების დამრღვევს, ან დამნაშავეს, რომელიც კასტური საზოგადოების გაკიცხვას იმსახურებს, პანჩაიტზე იწვევენ. იქ საჭიროებისდა მიხედვით უსმენენ მოწმეებს, რის შედეგადაც გარკვეული განაჩენი გამოაქვთ. პროცედურა უბრალოა. თუ მოწმეს და დამნაშავეს ჩვენებები ერთი მეორეს არ შეესაბამება, მაშინ კასტის საბჭო მოითხოვს სამჯაროს მონაწილეთაგან რომ მათ ფიცი დადონ - ფიცულობენ კი განგის წმინდა წყალს, წმინდა მცენარეს ტულსისა და წმინდა ძროხას, რომლის კუდი უკავიათ ფიცის მიღებისას - შემდეგ ხმების უმრავლესობა წყვეტს, რომელი მხარე იმსახურებს ნდობას. ლიტარატურული წყაროებიდან ცნობილია შემთხვევები, შედარებით ახლანდელ პერიოდშიც, როდესაც იმართებოდა ქრისტიანული „საღვთო სასამართლოს“ მსაგავსი რამ, რომელიც თავისი სიმკაცრითა და არაადამიანურობით არ ჩამორჩებოდა ევროპულ შუასაუკუნეების წესებს (ადულებულ წყალში ხელის ჩაყოფინება, დამნაშავეს აიძულებენ ხელში გავარვარებული რკინის დაეჭირას და ა.შ. (დღეს ინდური პანჩაიტები ძირითადად ემყარება საკუთარ სიბრძნეს და არ გამოაქვს განაჩენი ძირითადად დადგენის საფუძველზე. ყოველგვარი კენჭისყრისა და დანაშაულის დასადგენად ფიზიკური ხერხების გამოყენების გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოოა და განაჩენი გაპროტესტებას არ ექვემდებარება. სასჯელის ფორმა და ვადა მეტწილად განისაზღვრება თვითნებურად დამნაშავესადმი დამოკიდებულებით და საკმაოდ საფუძვლიანად, მის მატერიალური და საზოგადოებრივი მდგომარეობით. მსგავს სუბიექტურობაზე მეტყველებს მ. კ. განდის ამბავი - ტრადიციისა და წესჩვეულებების შესაბამისად, ევროპიდან ბომბეიში პირველად დაბრუნების შემდეგ, მაჰატმა განდს პანჩაიტის მიერ გარიცხული იქნა კასტიდან, მაგრამ მას განწმინდა და მონანიება არ დაკისრებია, ვინაიდან სამშობლოში - რაჯკოტში, პანჩაიტს მისთვის არაფერი მიუსჯია ამ მხრივ საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი, ბენგალელი მწერლის შოროტჩონდრო ჩატოპადჰაიას ავტობიოგრაფიული რომანიდან „სრიკანტა“:-

„ერთ დღეს მეორე ნახევარი იქნებოდა, შევიტყვეთ, რომ მეზობელ კვარტალში მოხუც ბრაჰმანი ქალი გარდაიცვალა, დამმარხავი კი კაცი არავინ იყო, თურმე საბრალო ქალი როდესაც მატარებლით ბენარესიდან მოემგზავრებოდა გზაში ავად გამხდარიყო. იგი ჩვენს ქალაქში ჩამოსულა, მისულა შორეულ ნათესავ კაცთან და ორი დღის შემდეგ სული დაუღვია. ეს ნათესავი კი ამ დროს სულ ახალი ჩამოსული ყოფილა ინგლისიდან და როგორც უცხოეთიდან ჩამოსული გარიცხული იყო კასტიდან. ასე რომ, მოხუცმა ქალმა მძიმე ცოდვა ჩაიდინა - „მოკვეთილის“ ოჯახში გარდაიცვალა.

ჩვენ რამდენიმე ახალგაზრდის დახმარებით მიცვალებული დავასაფლავეთ, როდესაც დავბრუნდით, ვხრდავთ, ზოგიერთები ცხვირწინ კარებს გვიხურავდნენ. თურმე ღამის

თერთმეტი საათიც არ იქნებოდა, რომ ჩვენი კასტის საბჭოს წარმომადგენლებს ლამპრებით ხელში, მაცხოვრებლები ჩამოუვლიათ და გაუფრთხილებიათ, რომ უღვთოები, რომლებსაც არ ეშინიათ ასეთი ცოდვა ცაიდვა ჩაიდინონ, როგორცაა იმ მოხუცი ქალის დამარხვა, მკაცრად უნდა იქნენ დასჯილი. მათ უნდა გადაიპარსონ თავები, საჯაროდ აღიარონ დანაშაული, რაც მთავარია შექამონ რაიმე წმინდა, მხოლოდ ის რაც სრულებით არ იჭმევა, ვთქვათ ძროხის ნაკელიო. ისინი კატეგორიულად ამტკიცებდნენ, რომ გარდაცვლილზე თითის დაკარებაც არ შეიძლებოდა, ვინაიდან ამგვარი მოქმედება უშუალოდ ეწინააღმდეგება რელიგიურ კანონებსო. როგორ მოვექცეულიყავით არ ვიცოდით, ბოლოს რჩევისათვის მივმართეთ ჩვენს ექიმს - იმ ხანებში ქალაქში ყველაზე კეთილშობილს, რომელიც ბენგალში ოჯახების ავადმყოფებს უფასოდ კურნავდა. მან მოგვისმინა, ძალიან გაჯავრდა და გვითხრა, რომ აწი ჩვენ მდევნელთა ოჯახში ფეხს აღარ მიადგამდე, მომაკვდავიც რომ ჰყოლოდა სახლში ექიმის ნათქვამის შესახებ ჩვენმა მდევნელებმა საიდანღაც შეიტყვეს, და დადამებულები არ იყო, როცა გავიგეთ, ჩვენ თავი აღარ უნდა გადაგვეპარსა და მხოლოდ უნდა გვეღიარებინა შეცდომა და გვექამე ცოდვებისაგან განმწმენდავი საშუალება, ან უკანასკნელზე ჩვენ რა თქმა უნდა უარი ვთქვით, თუმცა დილითვე შეგვატყობინეს, რომ არაფრის შექმა აღარ იყო საჭირო და მხოლოდ დანაშაული უნდა გვეღიარებინა. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიყავით, მაგრამ მალე შევიტყვეთ, რომ ყველაფერი გავაპატიეს ვინაიდან ეს ჩვენი პირველი დანაშაულია და არ უნდა მოგვენანიებინა. მიუხედავად ყოველივე ამისა ექიმი მაინც აღშფოთებული იყო და ამბობდა, რომ თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა, ვიდრე ის ვინც ამდენი უსიამოვნება გამოიწვია, მას ბოდიშს არ მოუხდოდა. ამავე ღამით კასტის ხელმძღვანელობა მასთან მივიდა. არ ვიცნო მათ რა უთხრეს იმას, მაგრამ დილით ექიმი უკვე აღარ ბრაზობდა და ჩვენც ყოველგვარ მონანიებას გადავურჩით.

მოყვანილი მაგალითი მიუთითებს არა მარტო სუბიექტურობაზე დანაშაულის სერიოზულობის განსაზღვრისას და სასჯელის სიმკაცრეზე, არამედ ასევე მართებულად ასახავს კასტის ავტორიტეტის შესუსტების პროცესს, რასაც ადგილი აქვს დღევანდელ ინდოეთში. კასტობრივი წესები ხშირად ძალზე განიცდიან მოულოდნელ გავლენებს რაც სულ ახალ და ახალ კონფლიქტებს იწვევს, მის ახალგაზრდა წევრებსა და კასტობრივი კონსერვატიზმის ერთგულთა შორის. თუმცა ეს უკანასკნელნი, ყოველთვის როდი იმარჯვებენ ამ შეჯახებაში. საკმარისია მივუთითოთ ახლანდელ დიდ ქალაქზე სადაც მრავალი კასტობრივი ჯგუფი მთლიანად ინთქება ხალხის მასაში, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელია კასტის წევრების ყოფიერებისა და მოქცევის გაკონტროლება და სადაც ძალიან ხშირად პანჩაიტის ფუნქციებს სულ სხვებმ ასრულებენ. თუნდაც უფრო თანამედროვე ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა: პროფკავშირები, პოლიტიკური პარტიები და კლუბები, მაგრამ ჰინდუს აქ ყოველთვის როდი შეუძლია დააღწიოს თავი კასტის კონტროლს, რასაც მოწმობენ აღწერილი ფაქტები გ. კ. პილას წიგნში კასტების შესახებ: მსახურმა მას ერთხელ მატარებელში საგზაო მიუტანა ქვაბით, რაც კასტის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მოსამსახურის ან საქციელს შემთხვევით თვალი მოჰკრა მეორე მოსამსახურემ, რომელიც კარგად იცნობდა პირველს. რამოდენიმე თვის შემდეგ პილას პირველი მოსამსახურე სოფელში გაემგზავრა ნათესავებთან ცოლშვილის სანახავად. სოფელი ქალაქიდან ხუთასი კილომეტრით იყო მოშორებული. ვინაიდან იგი ცოლის მშობლებმა უკვე დაასმინეს მოსამსახურე ოჯახში აღარ მიიღეს და უკან გამოაბრუნეს. საბრალო მოსამსახურეს სხვა:

აღარაფერი რჩებოდა, და თუ არა დამორჩილება პანჩაიტის გადაწყვეტილებას შეესრულებინა დაწესებული მონანიება და განწმენდა ისეთი საშუალებით რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ყველაფერი ეს კი, მას ექვსი თვის ხელფასის საფასურად დაუჯდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ კასტის საბჭოს მიერ დადგენილ ხასიათის შესახებ. სასჯელის სია ძალიან დიდი არაა. მცირედი დანაშაულისათვის სხვადასხვაგვარი მონანიებისა და განწმენდის წესებია დადგენილი, უფრო სერიოზულ დანაშაულისათვის კასტიდან დროებით გარიცხვა. მკაცრ ზომებს ღებულობენ, როდესაც დამნაშავე ეწინააღმდეგება კასტის საბჭოს გადაწყვეტილებასა და უნარს ამბობს დამორჩილებაზე კასტიდან საბოლოო გამევეება ყველაზე მკაცრი სასჯელია - რითაც პანჩაიტი სჯის მეტის-მეტად მძიმე დამნაშავეს.

მონანიება ხშირად სრულდება ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად. ყველაზე გავრცელებული ფორმაა - დანაშაულის საჯაროდ არიარება და არა მერტო ბრაჰმანთ: გარკვეული ნაწილისა და საკასტო საბჭოს წევრების, არამედ კასტის ყველა წევრების წინაშე. სოფლის ღარიბი მაცხოვრებლისთვის ამგვარი სასჯელი მეტად მძიმეა, ვინაიდან იგი დიდ მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. სხვა სახის სასჯელს წარმოადგენს მაგალითად მომლოცველობა გარკვეულ „წმინდა“ ადგილზე, ფულადი პენსიის შეგროვება მათხოვრობით ან მწვალებლური სახის სასჯელით. ცოდვებისაგან გაწმენდა ხდება მდ. განგის თიხის გადაყლაპვით, ან უფრო ხშირად ყველას დასანახავად ძროხის ხუთი პროდუქტის რძის, ხაჭოს, კარაქის, ნაკელისა და შარდის ნარევის ჭამა. მართალია ტრადიციის თანახმად, რიტუალური სიწმინდის თვალსაზრისით „საჭმლის“ (მას „ხუთი ნექტარი“ ეწოდება) არაფერი შეედრება, მაგრამ ბოლო ხანებში ნაკელსა და შარდს ცვლის თაფლი და შაქარი - რაც ჰიგიენურ მოსაზრებითაა გამოწვეული, გარდა ამისა პანჩაიტის წევრები ერიდებიან ჰინდუიზმის მოწინააღმდეგეთა დაცივნასაც.

ვიდრე დამნაშავე არ შეასრულებს განწმენდის წესს და არ დაისჯება, მანამდე იგი კასტიდან „მოკვეთილია“. მას არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი კასტის საზოგადოებრივ საქმიანობაში, არც ერთ მის წევრს უფლება არა აქვს ასეთ ვინმესთან ჭამოს, დალიოს ან მოწიოს ჩიბუხი, სოფლის დალაქს უფლება არა აქვს გაკრიჭოს ან გაპარსოს იგი, ბრაჰმანი მისთვის არ ასრულებს წეს-ჩვეულებას და არ მიაქვს მსხვერპლ მისი სახელით, მის შვილს, ქალიშვილს არავინ მიათხოვებს და პირიქით, ასეთ ქალიშვილს ოჯახში არავინ შეუშვებს. მეგობრები არ ეხმარებიან მას ყანის სამუშაოებში სახლის შეკეთებაში, მას არავინ ათხოვებს ხელსაწყოს, ხარების შებმას, არ ასესხებს ფულსა და ბრინჯს - ასეთი ადამიანი, რომ იტყვიან არ არსებობს მეზობლისა და ნათესავებისათვის. ყოველივე ეს გრძელდება მანამდე ვიდრე იგი ხელახლა არ მიიღებს უფლებას, რათა მიღებული იქნას კასტაში. ყველა ვინც კი შეეცდება დაეხმაროს ან თანაუგრძნოს „მოკვეთილს“ არაა გამორიცხული, რომ ასეთი პირიც დაისაჯოს პანჩაიტის მიერ, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ კასტიდან სამუდამოდ გამევეებული ჩვეულებრივ სხვა რელიგიას აღიარებს (ისლამს, ქრისტიანობას, ბოლო ხანებში ბუდიზმს) და ასეთი პირები სხვა სოფელსა, ან რაიონში გადადიან საცხოვრებლად.

მაგრამ არსებობს განაჩენი, რომლის გამოტანაც კასტას არ შეუძლია, და ასევე დანაშაულიც, რისთვისაც სამუდამოდ გამევეება კასტიდან ითვლება არასაკმარისად ძველად ასეთ შემთხვევაში კასტა მიმართავდა საერო ხელისუფლებას ე.ი. მეფეს, ან მის

ნაცვალს, და უნდა ითქვას, ამგვარ დახმარებაზე უარს არასოდეს ღებულობდ: ხელისუფლებისაგან. მანუს კოდექსის კანონები ყველაფერთან ერთად ითვალისწინებდ: იმას, რომ მეფეებს პატივი ეცათ კასტების წეს-ჩვეულებებისათვის და მხარი დაეჭირათ მათი ავტორიტეტისათვის. სხვა კოდექსები, დასჯის პირდაპირ უფლებას იძლეოდა კასტობრივი სისტემის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულისათვის.

მიუხედავად ამისა, ინდოეთის ისტორიაში ცნობილია მრავალი მაგალითი, როდესაც სახელმწიფო ხელისუფალნი ერიოდნენ კიდევაც კასტების საქმეებში. მეფე ბალან სენმა (XIII ს.) ბენგალიაში დაადგინა ბრაჰმანთა ქვეკასტების განლაგება იერარქიულ საფეხურზე და კასტის ზოგიერთ წევრს უფრო მაღალი ადგილი შესთავაზა, ვიდრე მათ უწინ ეკავათ, ზოგი კი დააქვეითა. ორი საუკუნით გვიან, ჩრდილო - ბიჰარელ გამგებელი, ჰარა სანგჰმა განსაზღვრა ქორწინების წესი მათიჰილელ ბრაჰმანთა შორის სულ რაღაც რამოდენიმე ათეული წლის წინ ინდოეთის ეგრეთწოდებულ სამთავროებში ადგილობრივი რაჯები და მაჰარაჯები მოქმედებდნენ, როგორც უკანასკნელი ინსტანცი: კასტობრივი სადავო საკითხების გადასაწყვეტად, რომელთაც შეეძლოთ კასტიდან ნებისმიერი წევრის გარიცხვა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ასამში მანიჰურელმა მაჰარაჯამ კასტიდან გააძევა საკუთარი ცოლი: „მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფისთვის“. ყველა დროში ჩვეულებრივი მოვლენა იყო კასტების მიერ მმართველებისადმი მიმართვა, დანაშაულობის ისეთი ჩადენის შემთხვევაში რისთვისაც სიკვდილით დასჯაც იყო ნავარაუდები.

აღსანიშნავია, რომ კასტობრივ დავაში ბრაჰმანებს არა აქვთ უფლება რაიმე გადაწყვეტილება მიიღონ, რაც ალოგიკურად გამოიყურება, თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ზემოთხსენებულს მათ შეურყეველ ავტორიტეტზე, ჰინდურ საზოგადოებაში უძველეს დროიდან დრემდე. ბრაჰმანი შეიძლება მოწვეული იქნას მრჩევლად, რათა გამოთქვას თავისი თვალსაზრისი, მის სიტყვას შეუძლია განსაზღვროს მსჯელობის დასკვნა, როდესაც პანჩაიტის აზრი სხვადასხვაა, მაგრან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა თანაბარი ძალით შეუძლია მხოლოდ სოფლის ოლქის რომელიმე საპატიო, გავლენიან პირს. (უწინ ეს როლი შემამულეს ეკისრებოდა) მოგვიანებით მარტლმორწმუნე ჰინდუები შეეცადნენ სარწმუნოებრივ საკითხებში და წეს - ჩვეულებებსი ცენტრალური ორგანოს უქონლობა აენაზღაურებიათ იმით, რომ შექმნეს კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ - საღვთო ტექსტების მცოდნეები. კომიტეტი როგორც წესი მრჩევლის ხასიათს ატარებს, მაგრამ ზოგჯერ გააჩნია აღმასრულებელ უფლებებიც ოლქისა (მაგ. გვალიორსა და მაისურში), ან შტატის ფარგლებში (კაშმირული დრაჰმასაბჰას). თუმცა ამგვარი თანამედროვე ინსტიტუტები არ ემყარებიან ტრადიციებს და ამიტომ საეჭვოა, რომ მათ აღიარება ჰპოვონ მთელ ინდოეთში.

ყოველივე აქედან სრულიად აშკარაა კასტის უარყოფითი გავლენა ყოველი ჰინდუს ცხოვრებაზე: იმდენად არ უბრძანებს, რამდენადაც უკრძალავს ჰინდუს და სდევნის მას მისი წესების მცირედ დარღვევისთვისაც კი. კასტობრივი სისტემის კასტობრივისისტემის ნეგატიური ასპექტი კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ დავინტერესდებით საცოდავი ბედით ხელშეუხებელთა, რომლებიც ამ სისტემან საზოგადოების გარეთ მოაქცია. ყოველ კასტას ხელშეუხებელთა (მიუკარებელთა) მიმართ უარყოფითი, ან მტრული პოზიცია უჭირავს მთელ რიგ რაიონებში

განსაკურებით სამხრეთ რაიონში. ამგვარი გადმონაშთები იმდენად ძლიერი იყო, რომ სრულიად აბსურდულ მოვლენებს იწვევდნენ. ხელშეუხებელთა კასტის ზოგიერთი ჯგუფი მთლიანად განდევნილი იყო საზოგადოებიდან, მიუხედავად ამისა, რომ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ისინი ამავე საზოგადოებას უზარმაზარ სამსახურს უწევდნენ. ისინი ვერ ბედავდნენ მიკარებას უმაღლეს კასტის წევრებთან, მათ ჭებთან ტაძრებთან და ა.შ. ტინეველიში მამაკაცი მრეცხავები, რომლებიც დანარჩენ ხელშეუხებელთათვის რეცხავდნენ, იმდენად „უწმინდურებად ითვლებოდნენ, რომ მათ აკრძალული ჰქონდათ დღე გარეთ გამოსვლა და ღამით უნდა ემუშავათ, რათა თავიანთი მზერით არავინ შეებილწათ (1932 წ. ცნობებით)“.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა გავიგოთ თუ ჰინდუიზმის რეფორმატორების სწრაფვა და მისი მოწინააღმდეგეების კრიტიკა, გამუდმებით რატომ იყო მიმართული კასტობრივი სისტემისკენ. ინდოლოგ კ.მ. პანიკარის აზრით, წინადადება კასტის ლიკვიდაციის შესახებ გაჩნდა ჯერ კიდევ ბუდიზმის წარმოშობამდე. ბუნებრივია ეს დღესაც ხდება, რასაც ინდოეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა მხარს უჭერს კასტობრივი სისტემის წინააღმდეგ გამოდიოდნენ - მაჰატმა განდი და რაბინდრანათ თაგორი, ფილოსოფოსი სვამი ვივეკანდა და პოლიტიკოსი ჯავაჰარლალ ნერუ ამგვარად კასტობრივობის მოწინააღმდეგენი აცხადებდნენ, რომ კასტებს არაფერი აქვს საერთო რელიგიასთან და რომ თუ კასტობრივი ზღუდეები გაქრება, ჰინდუიზმი მაიც ჰინდუიზმად დარჩება. აი, მაგალითად პოეტ რაბინდრანათ თაგორის აზრი კასტობრივი სისტემაზე: „კასტების ტირანიამ შეძლო უპანაშიდების მეტაფიზიკისა და ბჰაგავატგიტის“ ეთიკა ცარიელ სიტყვად ექციათ. თუმცა ინდოეთი ყოველთვის ხაზს უსვამდა ერთიანობას როგორც ქვეყნისა ასევე, სულიერისა და უსულოსი., მან წარმოშვა სისტემა, რომელიც უკვე საუკუნეების მანძილზე დაუნგრეველი კედლით მოსახლიობას ერთიმეორესაგან ჯგუფებად ჰყოფს. სწორედ კასტობრივმა სისტემამ ქვეყანა ხელში ჩაუგდო დამპყრობთ, რომლთაც იგი გაძარცვეს და დაასუსტეს., და რაც ყველაზე ველაზე საშინელია, ინდოეთი აქცია მიუკარებლობისა და შეუვალობის სამშობლოდ, რამაც მასზე კაენის დამლი ამოწვა .

ჩვენ მაინც იძულებული ვართ, ხაზი გავუსვათ ფაქტს, რომ მიუხედავად მწერლის ან ჟანსალი შეხედულებებისა და დაუღალავი მისწრაფებებისა, ძველ სისტემას ჯერ კიდევ ძალუმს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველივე ამას, თუმცა, როგორც პანიკარს აღნიშნავს კასტობრივი სისტემა - დემოკრტიის ნამდვილი ანტიპოდის სახით თანამედროვე სახელმწიფოებრივ პირობებში, ვერ შეძლებს დიდხანს არსებობას და თანდათან დათმობს პოზიციებს, რომელსაც იგი საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა უექველად სამართლიანია შერინგერის შემდეგი სიტყვები :- „კასტობრივი სისტემის ბორკილები, რელიგიურზე ძლიერია. შესაძლებელია ადამიანი ცუდი ჰინდუ იყოს თავისი წმინდა რელიგიური მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით, მაგრამ კასტობრივი შიდაგანაწესი ვალდებულია უყოყმანოდ შეასრულოს, თუკი არ უნდა მწარე ნაყოფი მოწიოს. მრავალ ჰიდუსათვის კასტობრივი სისტემის მოთხოვნების აბსოლუტური დაცვა, ღვთისმოსავობის უზენაესი გამოვლინებაა. მათ კასტობრივი დისციპლინის დარღვევა, გაცილებით მძიმე ცოდვად მიაჩნიათ, ვიდრე ვიდრე მორალური ნორმების დარღვევა“.

კასტობრივობის საბლო ალკვეთამდე, საჭიროა აღმოიფხვრას ის შეხედულება, რომ

კასტობრივი სისტემა ჰინდუიზმის განუყოფელი ნაწილია რელიგიურ-თვალსაზრისით: ეს რა თქმა უნდა გულისხმობს, მოსახლეობის ყველა ფენების განსაკუთრებით უწიგნურთა განათლების ამაღლებასა და გაღრმავებას. გარდა ამისა კასტობრივი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ფართოდ, მთელი ინდოეთის მასშტაბით. ცალკეულ პირთა ჯგუფის ძალისხმევა, როგორც სიქების, ან ბრაჰმოსამჯის საზოგადოების რეფორმატორების გამოცდილებამ გვიჩვენა, ვერ შეძლებს რაიმე წარმატების მოტანას. კასტობრივმა საზოგადოებამ ფაქტიურად ამგვარ დაჯგუფებებსიგან მხოლოდ ახალი კასტები შექმნა: მათ უარი თქვეს დასახელებულ ორგანიზაციების წევრებთან ქორწინებაზე და ამგვარად ისინი ენდოგამურ ორგანიზაციებად იქცნენ, რაც დამახასიათებელია სხვა კასტებისათვის. ადამიანები რომლებიც გარისკავდნენ, მიუხედავად შედეგებისა, უარის თქმას კასტის წევრობაზე, ან სამუდამოდ ყოფილიყვნენ მისგან „მოკვეთილი“ (გარიცხულნი), ასეთნი, უთუოდ საზოგადოების მრავალრიცხოვანი ნაწილი იქნებოდა, რათა მათ საშუალება ქონდეთ იცხოვრონ კასტის გარეშე, დააქორწინონ და გაათხოვონ შვილები ისე რომ არ ქონდეთ შიში დაწყევლისა, საერთო განკიცხვისა. რა თქმა უნდა, ასეთ საზოგადოებას, უთუოდ უნდა შეექმნათ ინსტიტუტები, რომლებიც მოწოდებულნი იქნებოდნენ უზრუნველჰყოთ ის, თუნდაც მინიმალური, სხვადასხვა სარგებელი, რომელსაც ესა თუ ის კასტა თავაზობს თავის წევრებს, და რომელზეც ხშირად მიუთითებს რომელიმე კასტის აპოლოგეტი, ვთქვათ, როგორცაა სოლიდარობის განცდა, ურთიერთ ინტერესების დაცვა, ურთიერთდახმარება სიძნელეების, გაჭირვებისა და გარკვეულ სოციალური პრესტიჟის შემთხვევაში.

ეჭვი არაა, რომ ინდოეთი, ამ დიდ ბრძოლაში გაიმარჯვებს და უნდა გაიმარჯვოს კიდევ თუ კი სურს, რომ ნამდვილად მიაღწიოს სოციალური პრობლემების რადიკალურ გადაწყვეტას და გზა გაიკაფოს ნამდვილი პროგრესისაკენ. მაშინ ეს იქნება, უდაოა უდიდესი რევოლუცია ინდოეთის ისტორიაში - რევოლუცია, რომელიც შეარყევს არა მარტო ინდოეთის საზოგადოების ათასწლოვან სტრუქტურას, არამედ ყველაზე ძირითად მოვლენებს, რომელსაც ჰქვია „ჰინდუიზმი“.

ახალი დროის რეფორმისტული მოძრაობა

მილოსლავ კრასა

ცნობილი იდეალისტი - ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ინდოეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი სარვეპალ რადჰარიშნანი ცხოვრების ჰინდურ ყაიდას ახასიათებს, როგორც მოძრაობას, და არა როგორც მდგომარეობას, პროცესსა და რეზულტატს, იგი ამავე დროს ყველაზე მრავალსაუკუნოებრივ ჰინდურ ტრადიციას, დინამიურ ტრადიციას უწოდებს. იგი ხაზს უსვამს ჰინდუიზმის იმ განსაკუთრებულ თვისებებს, რომლებიც ანსხვავებს მას თანამედროვეობის სხვა უმრავლეს რელიგიურ სისტემებისაგან. ესენია შეუზღუდველობა, თავისუფლება, და გულახდილობა. რა თქმა უნდა ეს „მოძრაობა“ მუდმივი პროცესი და ტრადიცია, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება, არ უნდა დავუკავშიროთ ვიწრო, რელიგიურ გაგებას. თვით ჰინდუიზმიც შეგვიძლია აგრეთვე განვსაზღვროთ როგორც კონსერვატორული გადმონაშთების, გაყინული დოგმებისა და ცრურწმენების თავმოყრა, რომელიც წარმოიშვა და შემორჩა ასეული და ათასეული წლების მანძილზე. უთუოდ ძნელი იქნებოდა ამ პარადოქსის ახსნა, რომ არ ვიცნობდეთ ჰინდუიზმის სოციალურ ფონს და იმ ფუნქციას, რომელსაც იგი ასრულებდა წარსულში და ასრულებს ამჟამადაც, ახდენს გარკვეულ გავლენას მის მიმდევართა ასობით მილიონთა ბედზე. ჰინდუიზმის იდეოლოგიის განვითარება ყოველთვის განისაზღვრებოდა მისი საზოგადოებრივი არსით, მუდმივი კონფლიქტით ტრადიციას, რელიგიურ პრაქტიკასა და საზოგადოების ცხოვრებას შორის. თავისი ცვალებადი მოთხოვნილებებით, და თუმცა ეს კონფლიქტი ტიპიურია ყველა პერიოდისათვის, ყველაზე უფრო გასაგები ხდება ჰინდუიზმში რეფორმატორული მოძრაობის წარმოქმნისა და განვითარების მაგალითზე ჩვენ დროში: ეს პერიოდი კი, მასალების სიუხვის გამო, ყველაზე ხელმისაწვდომია მეცნიერული კვლევისათვის.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ განიცდიდა სხვადასხვა გარეშე გავლენასა და დარტყმებს ჰინდუიზმი წარსულში. თუ როგორ აღიქვამდა ამ ზეგავლენებსა და იტანდა ამ დარტყმებს და თუ როგორ ერგებოდა სხვადასხვა გარემოებას. ცვლილებისა და ახალთან მორგებისა და შეგუების პროცესი გრძელდება დღესაც. ინდოეთში კოლონიალურმა რეჟიმმა დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ბუნებრივ განვითარებაზე და მთელი თავისი ეკონომიკა ინგლისელ დამპყრობელთა ინტერესებს დაუმორჩილა. მან გაახანგრძლივა ინდური ფეოდალიზმის არსებობა და აშკარად გაახანგრძლივა ინდური ფეოდალიზმის არსებობას და აშკარად გააძლიერა ჰინდუიზმში ტენდენცია სტაგნაციისა, საშუალო საუკუნოებრივი დაწესებულებებისა და წესჩვეულებების შენარჩუნებისაკენ, კოლონიალური მფლობელობის მეტად არა სახარბიელო პირობებში, აქ თავისი ფესვები გაიდგა კაპიტალისტურმა მეწარმეობამ, ხოლო ადგილობრივი ბურჟუაზია კი სულ უფრო და უფრო აქტიურად იჩენდა თავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მომავალ წრეებში იმ განათლებულ ადამიანებსა, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ ჰინდური კარჩაკეტილი საზოგადოების საზღვრებს გარეთ გაეხედათ, გავრცელება ჰპოვეს ევროპული დასავლეთის იდეებმა და აზროვნების რაციონალურმა ხერხმა, მათთვის ცნობილი გახდა მეცნიერული პროგრესის საოცარი შედეგები.

ასეთ ატმოსფეროში ჩაისახა ინდოელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ის ახალი ფორმები, რომლებსაც არ შეეძლოთ არ ეპოვათ გამოხმაურება ჰინდუიზმის შიგნით. მაგრამ მას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ის საკითხები აღელვებდა ინდოელთა მხოლოდ ვიწრო წრეს, დაკავშირებულს უფრო კოლონიალური მმართველობის ინტერესებთან, ვიდრე ხალხთან, ფართო მასების ინტერესებთან. მორწმუნეთა უმრავლესობა დიდი ხნით ტყვედ რჩებოდა ყოველწლიური და ყოველდღიური რელიგიური წეს - ჩვეულებების წრებრუნვისა და იმ ტრადიციული საზოგადოებრივი ურთიერთობების, რომელთა რეგულირების სათავეში ადგილობრივი ბრაჰმანები და კასტები იდგნენ (და დღესაც დგანან). სწორედ ეს წარმოადგენდა პირველ ეტაპს ხანგრძლივი და სერიოზული ბრძოლისა, რომელიც ჰინდურ ნიადაგზე მიმდინარეობდა. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა თვით ჰინდუიზმის პოზიციიდან მისი განწმენდისათვის, აღორძინებასა, ან ცვლილებისათვის, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ იმისათვის, რათა ჰინდუიზმი შეგუებოდა ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნებს, ახალ პირობებსა და ახალი კლასის ინტერესებს.

რელიგიის რეფორმაციისაკენ სწრაფვა შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ზოგიერთმა განათლებულმა ინდოელმა ევროპული განმანათავისუფლებლური ლიტერატურის გავლენით, დაიწყო ბრძოლა ჰინდუიზმის საშუალო საუკუნოებრივ, ბარბაროსული პრაქტიკის წინააღმდეგ. მოგვიანებით, როდესაც ეს ახალი იდეები განმტკიცდა და მან მხარდაჭერა ჰპოვა ეკონომიურ და საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომლებიც მაშინ ყალიბდებოდა, ამგვარი მოთხოვნების წამოყენება, სულ უფრო ხშირი გახდა და გაჩნდნენ მრავალრიცხოვანი რეფორმისტული მიმდინარეობები, რომელთაც ჰქონდათ მტკიცე პროგრამა და შინაგანი ორგანიზაცია. ყოველივე ეს იყო შედეგი, ინდოეთში გასულ საუკუნის. საზოგადოების განვითარებისა, რიმელიც ნაციონალური თვითშეგნების თანდათანობით ჩამოყალიბებიდან დაიწყო და დამთავრდა საზოგადოების პოლიტიკური გამოღვიძებით და ორგანიზებული ბრძოლით სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ბურჟუაზიის პოლიტიკური ხელმძღვანელობით.

როგორც თვით ნაციონალურ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა, ასევე ჰინდუიზმის რეფორმისათვის ბრძოლაც, ჯერ ინდოეთის იმ რაიონებში აღმოცენდა, სადაც ეკონომიური და სხვა ფაქტორების გავლენით ინდოეთის საყოველთაო კულტურისა და ნაციონალური შედეგების ცენტრები (თანამედროვე გაგებით) ჩამოყალიბდა - ბენგალიაში, განსაკუთრებით ქ. კალკუტაში; (კალკატა) აგრეთვე ბომბეის რაიონებში, მაჰრასტრამში და პუნას რაიონებში. ნაციონალურსა და რეფორმისტულ მოძრაობებს შორის კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ზოგჯერ ძნელია მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა. ეს სავსებით ბუნებრივია. ჰინდუიზმი გამოდიოდა როგორც ინდოეთის საყოველთაო ტრადიციის წყარო და ერთად ერთი იდეური ძალა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ მისიონერებსა და სხვა უცხო გავლენებს, რომლებიც წარმოიშვა კოლონიალური ბატონყმობის შედეგად. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ჰინდუიზმის რელიგიურ - საზოგადოებრივი ინსტიტუტები და პრაქტიკა ერთგვარად ხელს უწყობდა, ხშირად ინგლისის კოლონიალური ადმინისტრაციის უშუალო მფარველობითაც - ინდური საზოგადოება, იდეური ლეთარგიის მდგომარეობაში, უმწეობასა და კასტობრივ დაქუცმაცებულობაში ყოფილიყო. ნაციონალურ

ანტიკოლონიალური - მოძრაობა, თუმცა ყოველთვის არ იყო მიმართული ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ, მაგრამ მუდამ ისახავდა მიზნად ინდოეთის გაერთიანებას, ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, განათლებისა და კულტურის ზრდას, მისი მონაწილენი მუდამ იღწოდნენ გონება, საღვთო წიგნების ბრმა ტაყვანისცემაზე მაღლა დაეყენებინათ. მაგრამ, ხშირად ძველი ლიტერატურა გამოიყენებოდა რეფორმატორული იდეების საფუძვლად და ახალი სწავლება (მოძღვრება) დასაყრდენს ეძებდა.

შემთხვევითი არაა, რომ აღორძინების ძალებმა ჰინდუიზმში, უპირველეს ყოვლისა, გაილაშქრეს კასტობრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ. ეს ორგანიზაცია კი როგორც სპეციალური და სრულიად განვითარებული ეკონომიკური საშუალება იძალებისა, ინდური ფეოდალიზმის კლასიკურ დამახასიათებელ თვისებად იქცა. კასტები რჩებოდა, როგორც პოლიტიკურ, ასევე რელიგიურ პრობლემად, ვინაიდან კასტობრივი სტრუქტურა შრომის საზოგადოებრივი განაწილების სისტემის სახით, მიუხედავად იმისა, რომ ჰინდუიზმისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა და მალე კასტების მიერ გაწმინდებულ წესად და ბრაჰმანთა სამფლობელოს მნიშვნელოვან საშუალებად იქცა. პოლიტიკური და რელიგიური ასპექტების შერწყმა იწვევდა იმას, რომ ინდოეთის საზოგადოების რეფორმაცია და ამრიგად ძირითადი წინააღმდეგობის გადალახვა თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე მთელს ინდოეთში, ხშირად აღიქმებოდა როგორც რელიგიური ნაციონალიზმი, ვინაიდან საუბარი მიდიოდა ნაციონალურ რელიგიაზე, როგორ ეროვნული ერთიანობის საფუძველზე. გარკვეული აზრით, თუ მხედველობაში მივიღებთ ჰინდუიზმის თავისებურებებს და ინდოეთის კოლონიალურ მდგომარეობას, ლაპარაკი შეიძლება იმ პროცესის შესახებ, რომელსაც საერთო აქვს ევროპულ შუასაუკუნოებრივი გაბატონებული ფეოდალური ეკლესიის გადაქცევასთან, ბურჟუაზიის მსახურად და მოკავშირედ.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ჰინდუიზმი იყო ყველაზე გავრცელებული რელიგია, მას აღიარებდა მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი. ისლამი, მსოფლიოში იმ დროს ყველაზე დიდი რელიგია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყნის ზოგიერთ რაიონებზე. ისლამის ერთგვარ ზემოქმედებას განიცდიდა აგრეთვე ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანია, მაგრამ კოლონიზაციის პირობებში იგი თანდათან პასიური ხდებოდა ინდოეთის მოსახლეობის 15-17%-ს დანარჩენი რელიგიური ჯგუფები - ბუდისტები, ჯაიანები, ფარსები - გაცილებით მცირე რიცხოვანი იყვნენ და არ გააჩნდათ ძლიერი პოზიციები.

ჰინდუიზმის ორივე მთავარი სექტა - შივაიტური და ვიშნუიტური, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მკაცრი ორთოდოქსალურობით, სიმრავლით კასტებისა და ქვეკასტების გადმონაშთების ადათებისა და იმ ბარბაროსული წესჩვეულებებით, რომლებმაც დიდი ხანია დაკარგეს აზრი. შეიმჩნეოდა კოლონიალური ადმინისტრაციის მოქმედება, რომელმაც ხელში ჩაიგდო მმართველობა. მთელი რიგი ჰინდური ტაძრებისა (უკანასკნელი მათგანი ბრაჰმანებს დაუბრუნდათ მხოლოდ 1862 წელს) და თვითონ აფინანსებდა დღესასწაულებსა და შეწირვებს, უზრუნველყოფდა თავსი დიდი შემოსავლით, რომელსაც მორწმუნეებისაგან სპეციალური სამომლოცაო გადასახადების სახით ღებულობდა. ეს კი განათლებულ ინდოელებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა: იმ წლებში ოსტ - ინდოეთის კომპანია განსაკუთრებულ

ყურადღებას უთმობდა აღმოსავლეთის პრობლემების, მისი ისტორიის სხვა და სხვა რელიგიური წეს - ჩვეულების, ინდური ენების, ლიტერატურული ძეგლებისა და ტრადიციული იურიდიული წყაროების შესწავლას. სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად თავს იყრიდა სამეფო აზიატურ საზოგადოებასა და კალკუტის (კალკატის) უელსის კოლეჯში. კოლონიზატორთა ხელისუფლება იმ დროისათვის უკვე განმტკიცდა, ტერიტორიალურმა და პოლიტიკურმა ინტერესებმა სავაჭროზე უფრო დაიწყეს გაძლიერება. ქვეყნის უკეთესი მმართველობისთვის სულ უფრო და უფრო ხდებოდა საჭირო ადგილობრივი ადათებისა და ეკონომიკური ექსპლუატაციის ახალი საშუალებების გამოძებნა. ყოველივე ამის განხორციელება, განსაკუთრებით კი ადგილობრივი ენების ათვისება, სრულიად შეუძლებელი იყო ინდოეთის მოსახლეობის განათლებული ფენების დახმარებისა და თანამშრომლობის გარეშე. განათლებული წრეები კი ეცნობოდნენ ინგლისურ ლიტერატურად და უახლეს სამეცნიერო მეთოდებს. 1800 წ.

ბენგალიაში ჩამოვიდნენ პროტესტანტული მისიონერები, რომლებიც ინდოეთის ცნებასა და კულტურას გულმოდგინედ სწავლობდნენ, უპირველეს ყოვლისა ჰინდუიზმს, რათა მის მიმდევართა შორის ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების პროპაგანდა გაეწიათ.

მისიონერთა მოღვაწეობის და ოსტ - ინდოეთის კომპანიაში ინდოელთა მუშაობის ერთ-ერთ აშკარა შედეგს წარმოადგენდა ინდოეთში ინგლისური ენის, ლიტერატურის, საერთოდ ევროპული მეცნიერებისა და კულტურის გავრცელება, რომელიც მაშინ მსოფლიო კულტურის მწვერვალს წარმოადგენდა. ამის გარდა ინდოელებს პირველად მიეცათ საშუალება, ინგლისის ცხოვრების პირობები, თავიანთი ქვეყნის ცხოვრების პირობებთან შეედარებიათ და აგრეთვე შეეპირისპირებიათ მაშინდელი დასავლეთის რევოლუციური, ლიბერალურ - დემოკრატიული იდეები, ინგლისელებისა მოქმედებასა და მათი კოლონიური პოლიტიკის პრაქტიკასათან აღმოსავლეთში.

რამ მოჰან რაი

აღნიშნულ პერიოდს ეკუთვნის ჰინდუიზმის გაწმენდისა და გადახედვის პირველი ცდები, განუწყვეტლად დაკავშირებული ცნობილ განმანათლებელსა და რეფორმატორთან რამ მოჰან რაისთან. იგი ეკუთვნოდა ინდოელთა იმ ჯგუფს, რომელსაც მისიონერებთან კონტაქტმა და მუშაობამ ოსტ - ინდოეთის კომპანიაში გზა გაუხსნა ევროპულ ლიტერატურას, რათა გაეფართოებინათ ხალხის გონების ჰორიზონტი. ასეთი ჯგუფები დაინტერესებული იყვნენ მსოფლიო პოლიტიკური პრობლემებით. თუმცა, რამ მოჰან რაის პიროვნების ჩამოყალიბებაში ევროპული გავლენა გადამწყვეტი არ ყოფილა. იგი წარმოშობით მდიდარი ბრაჰმანული ოჯახისდან იყო (დაიბადა 1772 წელს ბანგალიის რაიონში - ბარდჰამანში), სწავლობდა მუსულმანურ სკოლაში, ასე რომ სპარსული და არაბული ენები სანსრიტზე ადრე ისწავლა. რომ მოჰანსა და მის მახლობლებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ დელის „დიდი მოჰოლის“ (ტერმინი მომდინარეობს სიტყვა „მონღოლი“-დან ნ.კ.) სამეფო კართან. ბუდიზმის შესწავლის სურვილმა იგი ტიბეტში ჩამოიყვანა, მაშინ უთუოდ იგი

ერთადერთი ინდოელთაგანი იყო, რომელმაც იცოდა ძველი ებრაული, ბერძნული - და ლათინური ენები, და შეეძლო რელიგიური ტექსტები ორიგინალში წაეკითხა. ის იყო ღრმად რელიგიური ადამიანი, რომელსაც ფართო, მრავალმხრივმა განათლებამ საშუალება მისცა ჰინდუიზმი შეედარებია სხვა რელიგიებთან და კრიტიკულად გაეანალიზებია იგი. ჯერ კიდევ ყმაწვილმა მოჰან რაიმ გაილაშქრა კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ. მოგვიანებით, როდესაც იგი უკვე ოსტ - ინდოეტის კომპანიის მოხელე გახდა, მკაცრ წინაარმდეგობას უწევდა უაზრო და სასტიკ ჰინდურ წეს-ჩვეულებებს.

1814 წელს რამ მოჰან რაიმ სამსახურზე უარი თქვა და დამუდამოდ დასახლდა (კალკატში) კალკუტაში და დარჩენილი სიცოცხლე საზოგადოებრივ და რეფორმატორულ მოღვაწეობას მოანდომა. უპანიშადების შესწავლამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ პირველსაწყისი რელიგია მონოთეისტურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ იგი უარყოფდა თაყვანისცემას ქანგაკებებისა და სურათებისა, რომლებიც მის თანამედროვე ჰინდუიზმის პოლითეისტური პანთეონის ღმერთებს გამოხატავდნენ. არ ცნობდა იგი კარმის კანონსაც და არ სწამდა სულის გარდასახვისა და კასტობრივობა წარსულის გაუმართლებელ გადმონაშთად მიაჩნდა, თუმცა თვითონ, როგორც ბრაჰმანი უყოყმანოდ ასრულებდა კასტის ზოგიერთ წესჩვეულებას. თავისი შეხედულებების ანალოგიებს ჰინდურ მონოთეიზმზე (ცნება დამახინჯებული იყო ჰინდუიზმის უგვიანესი ვულგარული ფორმის გამო) იგი ეძებდა ისლამისა და ქრისტიანობის ისტორიაში. ბოლოს და ბოლოს, მან წამოაყენა ერთიანი უნივარსაღური რელიგიის იდეა, რომელსაც ფაქტიურად შეიცავდა უპანიშადების პირველსაწყისი მონოთეიზმი. ამ უკანასკნელს კი, პრინციპში, შეიცავს ისლამი და ქრისტიანობაც და მათასადაამე წარმოადგენს საერთო ჭეშმარიტებას, სამივე რელიგიის მიმდევრებისათვის.

თავისი შეხედულებების პროპაგანდის პერიოდში, რამ მოჰან რაიმ მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა პროტესტანტული მისიონერებისა და ორთოდოქსალური ჰინდუების მხრიდან: ზოგიერთმა მისმა ნაწარმოებებმა ბენგალიაში საზოგადოებრივი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ იგი არავითარ დათმობაზე არ წასულა და მალე მთელ სახელმწიფოში ცნობილი გახდა. მისმა მოთხოვნამ ოჯახური ცხოვრების რეფორმაციის შესახებ გამოსვლებმა პოლიგამიის, ქვრივი ქალების თვითკრემაციის (სატის წესი), ბავშვების საქორწილოდ დანიშვნისა და ძუძუმწოვარა ბავშვების შეწირვის წინაარმდეგ, ნაწილობრივ გამოიღო შედეგი და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „სატის წესის“ (გარდაცვლილი ქმრისათვის მომზადებულ საკრემაციო კოცონზე, ცოლის ნებაყოფილობით, თუ იძულებით დაწვის ე.წ. სატის ტრადიციის მრ. ნ.კ.) გაუქმებას. შესაძლოა რამ მოჰან რაიმ ახალი იდეები იყო, გულუბრყვილო და არათანმიმდევრული, წმინდა თეოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ მეტად აქტუალური, გამოხატავდნენ იმ ცვლილებებს, რომლებიც მაშინდელი ინდოეთის საზოგადოების ცხოვრებაში უნდა მომხდარიყო. ამ იდეებმა, რამ მოჰან რაიმ მხურვალე მომხრეთა რიცხვი გაზარდა და მისმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. 1819 წელს რაიმ თავისი თანამებრძოლები და მეგობრები გააერთიანა ერთად რელიგიურ საზოგადოებაში, სახელწოდებით „სასულიერო კავშირი“ (ატმიასაბჰა) მისი წევრები ყოველ კვირა, იკრიბებოდნენ, კითხულობდნენ და კამათობდნენ ჰინდური ლიტერატურის საკითხებზე. მაგრამ ხუთი წლის შემდეგ საზოგადოებამ შეწყვიტა თავისი არსებობა. მოგვიანებით ერთ ბაბტისტ მისიონერთან ერთად, რამ მოჰან რაიმ მონაწილეობა მიიღო კალკუტის (კალკატის)

უნიტარული მისიის შექმნაში. ამ მისიას სათავეში ედგა კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ინდოელები და ევროპელები. მუშაობა კომიტეტში ინგლისურ ენაზე წარმოებდა, ამ მისიასთან მოქმედებდა ახალგაზრდობის აღზრდის ინსტიტუტიც.

ბრაჰმო სამაჯი

რამოდენიმე წლის შემდეგ რამ მოჰან რაიმ დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, და 1828 წლის 20 აგვისტოს განსაკუთრებულ შენობაში ეს ორგანიზაცია თავის მოღვაწეობას შეუდგა. ღვთისმსახურება მიმდინარეობდა ბენგალურ ენაზე და სანსკრიტზე. მალე ამ ორგანიზაციამ მიიღო სახელწოდება „ბრაჰმო სამაჯ“, ანუ - „ღვთისმორწმუნეთა საზოგადოება“ ეს მოძრაობა ინდოეთში დღემდე არ შეწყვეტილა, და ძველებურად მის ცენტრად ბენგალია ითვლება.

საზოგადოების ისტორია საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ რეფორმისტული აზრის განვითარებას, მის ცვლილებასა და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, სხვადასხვა დროს. „ბრაჰმო სამაჯში“ ფაქტობრივად შეედგინა გაერთიებული იყვნენ სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანები, მაგრამ პრაქტიკულად მისი წევრები მეტწილად მდიდარი და განათლებული ბრაჰმანები იყვნენ. ორი წლის შემდეგ ძველი შენობა ყველა მსურველს ვეღარ იტევდა და ამიტომ საჭირო გახდა მეორე შენობის შესყიდვა. აქ თავს იყრიდნენ ჰინდუები, მუსულმანები და ქრისტიანები, რათა ერთად ეცათ თაყვანი ერთიანი, მარადიული და შეუცნობელი სამყაროს შემქმედ არსებისათვის, აქ არ შეიძლებოდა ღვთაებისთვის სახელის მინიჭება, ან მისი გამოსახვა. აკრძალული იყო ღვთისათვის მსხვერპლის შეწირვა. ყოველკვირეულ ღვთისმსახურებაზე კითხულობდნენ ნაწყვეტებს უპანაშიდებიდან და სრულდებოდა ჰიმნები, რომლებსაც თხზავდნენ რამ მოჰან რაიმ და მისი მეგობრები. ღვთისმსახურებაში ერთობლივი მონაწილეობა ფაქტიურად საზოგადოების წევრებს შორის ერთადერთ დამაკავშირებელ ძაფს წარმოადგენდა. წევრთა რიცხვი ასს არ აღემატებოდა, სამაგიეროდ უმრავლესობა მათგანი ბენგალური საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების გავლენიანი წარმომადგენლები იყვნენ, ასე, რომ პირველ ეტაპზე „ბრაჰმო სამაჯის“ შესახებ ვერ ვიმსჯელებთ მოცემული მაჩვენებლით. ნიშანდობლივია, რომ უპანაშიდების ტაქსტებს სანსკრიტზე კითხულობდნენ საგანგებოდ გამოყოფილ ოთახებში, სადაც შესვლა მხოლოდ სწავლულ ბრაჰმანებს შეეძლო.

ევროპულ რელიგიურ მოღვაწეობასთან კონტაქტის დასამყარებლად 1830 წელს რაიმ ევროპაში სამოგზაუროდ გაემგზავრა. ამავე დროს იგი დიდ მოჰოლთა წარმომადგენლის როლშიც გამოდიოდა. მას დიდი პატივით ღებულობდნენ, ინგლისსა და საფრანგეთში, სადაც იგი ხვდება მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ინდოეთში რომ მოჰან რაიმ აღარ დაბრუნებულა, 1833 წლის სექტემბერში რამ მოჰან რაიმ ციებ-ცხელებისაგან ქ. ბრისტოლში გარდაიცვალა.

რაიმ უახლოეს მეგობართა შორის გახლდათ, რამოდენიმე უნარიანი ადამიანი, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდა ინდოეთის საზოგადოების პროგრესულ იდეებსა და რეფორმას, კერძოდ დვარკანათჰის ცნობილ თაგორთა ბენგალურ ოჯახიდან. ისინი

ცდილობდნენ თავიანთი იდეური ლიდერის საქმე გაეგრძელებიათ. მიუხედავად ამისა, „ბრაჰმო სამაჯს“ თავისი ფუძემდებლის დაკარგვა თითქოს დიდხანს არ უგლოვია. გამოჩნდა რაის საქმეების ნამდვილი გამგრძელებელი - იშვიათად უნარიანი და განათლებული. დვარკანათჰ თავორის შვილი - პოეტ რაბინდრანათჰ თავორის (ტჰაკურის) მამა - დებენდრანათჰ თჰაკური. ამ საზოგადოების საქმიანობაში იგი მონაწილეობდა 1842 წლიდან (მალე ამ საზოგადოების ხელმძღვანელიც გახდა). დებენდრანათჰი აღზრდის ხასიათითა და ცხოვრების პირობებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰინდუიზმის იდეურ სფეროსთან. ჯერ კიდევ 1839 წელს (მაშინ იგი ოცდაერთი წლისა იყო) მან თვითონ ჩამოაყალიბა საზოგადოება „ტატვაბოდჰი საბჰა“, რომელიც ამოცანად ისახავდა ძველი ინდური მონოთეიზმის აღორძინებას, მაგრამ უარყოფდა ყველა იმ ელემენტს, რომელიც ჰინდუიზმს აკავშირებდა ისლამსა და ქრისტიანობასთან. საინტერესოა, რომ ეს საზოგადოება არსებობდა „ბრაჰმო სამაჯისგან“ სრულიად დამოუკიდებლად და მას მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შუერთდა.

დებენდრანათჰ თავორის (თჰაკურის) ხელმძღვანელობით „ბრაჰმო სამაჯი“ შესამჩნევად გააქტიურდა. ახალგაზრდა რეფორმატორი კარგი ორგანიზატორი აღმოჩნდა. მან სწორად შეაფასა ახალი მოძრაობის პრინციპების განსაზღვრის მნიშვნელობა იმ სახით, როგორც საჭირო იყო ყველა წევრებისათვის. ყოველწლიური საზოგადოებაში შემოსვლისას, მრავალ სხვა ფიცთან ერთად, პირობას იძლეოდა, რომ უარს იტყოდა კერპის თაყვანისცემაზე. დამუშავდა აგრეთვე ლიტერატურული ცნობარი ყოველდღიური ლოცვებისა და ღვთისმსახურებისათვის. „ბრაჰმო სამაჯის“ ყველაზე ღირსეულ წევრებისაგან შემდგარი საგანგებო სკოლა, ამზადებდა მისიონერებს, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ, რათა ქრისტიან მისიონერთა მზარდიო გავლენა ინდოეთში, ძალიან შეესუსტებიათ. გაჩნდა ამ საზოგადოების პირველი ფილიალები ბენგალიის გარეთაც, 1844 წელს გამოვიდა დებენდრანათჰის მიერ შედგენილი ვედანტიური თეიზმის სახელმძღვანელო - დიდი წიგნი რჩეული ნაწყვეტებისა ძველი ინდური ტექტსებსა. ამ წიგნს ეწოდებოდა „ბრაჰმას რელიგიური თაყვანისცემა“ (ბრაჰმადჰარმა). წიგნის მიზანი იყო მოეხდინა ლიკვიდაცია იდეოლოგიური განხეთქილებისა, რომელიც შეინიშნებოდა საზოგადოების შიგნით, გარდა ამისა იგი წარმოადგენდა ძველი ინდური ლიტერატურის ღრმა შესწავლის ნაყოფს.

კერძოდ, ვედური ჰიმნების შესწავლამ გვიჩვენა, რომ იმ დროს ინდოელები ცნობდნენ მრავალღვთიანობას, მსხვერპლშეწირვას, სარიტუალო წესჩვეულებებსა და ადათებს. ეს კი აშკარად არ ესადაგებოდა უპანიშადების უფრო ძველ ფილოსოფიას. რამ მოჰან რაის დროს ვედების შესწავლის განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა. ეს ფაქტები, ბუნებრივია, დიდხანს ყურადღების გარეშე იყო. რმწნეა ვედებისა, როგორც აუცილებელი (უდაო) ღვთაებრივი ზემთაგონებისა (გამოცხადებებისა) თითქმის დაკარგული იყო, ამიტომ დებენდრანათჰმა და მისმა მომხრეებმა ბუნების ავტორიტეტს მიმართეს, მათ ბუნების ინტუიცია, საღვთო კანონების შეცნობის ძირითად წყაროდ მიაჩნდათ. ძველ რელიგიურ ლიტერატურულ წყაროებში კი ჭეშმარიტად და აუცილებლად თვლიდნენ, ამ რელიგიური ნაწარმოებების, მხოლოდ იმ ადგილებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა ბრაჰმო სამაჯის პრინციპებს. ყოველივე ეს საჯაროდ იქნა გამოცხადებული წლიურ ფესტივალზე - 1850 წელს. რომლის შემდეგაც „ბრაჰმო სამაჯის“ რელიგიურმა მოძღვრებამ ბუნებრივი თეიზმის სახელმწოდება მიიღო, რადგან დებენდრანათჰს სხვა გზა აღარ ჰქონდა იმისათვის, რომ ეს მიმდინარეობა

ჰინდუიზმის ჩარჩოებში შენარჩუნებინა.

ჰინდუიზმისადმი მეტის-მეტი ერთგულება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი და საკაცობრიო სარწმუნოებისა წყაროსადმი, დებენდრანათჰისა და მის მეგობრებში გამოვლინდა ასევე, ბრაჰმნაული ტრადიციებსა და წესჩვეულებებთან არათანმიმდევრილ დამოკიდებულებაშიც. ამან საბოლოოდ განაპირობა ის, რომ შეუძლებელი გხდა საზოგადოების ძველებური ხაზის გაგრძელება, განსაკუთრებით 60-იან წლებში, როცა მის შიგნით ამოქმედდა ახალგაზრდა რეფორმატორთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ინიციატორული და უკომპრომისო, წარსულში ბანკის მომსახურე, კემაბჩონდრო სენი. იგი იყო მესამე გამოჩენილი ფიგურა რეფორმატორული მოძრაობის ისტორიაში. „ბრაჰმო სამაჯის“ წევრად იგი ითვლებოდა 1857 წლიდან, რამაც ხელი არ შეუშალა შეექმნა საკუთარი გაერთიანება (სანგატ საბჰა) იმ მორწმუნეთაგან, რომლებიც და მეტად კრიტიკული პოზიციებიდან, გაცხოველებული კამათობდნენ საშინაო ჰინდური რიტუალის პრობლემებსა და წესჩვეულებებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო ოჯახური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებთან.

ამ ჯგუფის წარმომადგენელთა უფრო პროგრესულმა და პრინციპულმა შეხედულებამ მალე მხარდაჭერა ჰპოვა ბრაჰმო სამაჯის წევრებს შორისაც, სადაც ამ დროს კემაბჩონდრო სენი ხდება ერთ-ერთი წამყვანი ქურუმთაგანი (აჩარია), თუმცა წარმოშობით იგი არ იყო ბრაჰმანი. მის შემდეგ, არც სხვა „აჩარიებსაც“, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას, არ უნდა ეტარებინათ „წმინდა ბრაჰმნაული თასმები“. ახალგაზრდა რეფორმატორები მეტსაც აკეთებდნენ: ისინი აგიტაციას ეწეოდნენ კასტებს შორის ქორწინებისა, მოითხოვდნენ დაშვებული ყოფილიყო ქვრივთა გათხოვება, ამასთანავე განათლების მიღების მეტი საშუალება მიეცათ ქალიშვილებისათვის და ამიტომაც თავაზობდნენ ქალებს მონაწილეობა მიეღოთ „ბრაჰმო სამაჯის“ მოძრაობაში. კემაბჩონდრომ დაწყო ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილი პამფლეტების გამოშვება, პირველ ასეთ გამოცემას თავისებური სათაური ჰქონდა - „ახალგაზრდა ბენგალიავ ყოველივე ეს შენთვისაა“, რამაც კალკუტის ორთოდოქსული საზოგადოებრივობა კვლავ აღაშფოთა და გააღიზიანა.

ბენგალიის ნაციონალური და რელიგიური ცხოვრებისათვის, ზედმიწევნით ისტორიული მნიშვნელობა ქონდა ინგლისურ ენაზე ჟურნალ „indien miroris“ (ინდოეთის სარკე) გამოშვებას, რომელსაც სცემდა კემაბჩონდრო დებენდრანათჰ თაგორის (თჰაკურის) დიდი ფინანსური დახმარებით. დებენდრანათჰ თაგორი თავდაპირველად რადიკალურ რეფორმატორულ აღმავლობას, სიმპათიით ეკიდებოდა. იგი პირადად დაუახლოდა კემაბ სენს, მაგრამ კონსერვატორულად გამოჩნობილი წევრები მის წინააღმდეგ წავიდნენ და ცალკე შექმნეს ორგანიზაცია-„უპასანასამაჯი“, თუმცა, რომელიც ძალიან მალე დაიშალა.

შემდგომში ბრაჰმო სამაჯის ორ მიმდინარეობათა შორის ურთიერთდაპირისპირების შენელება შეუძლებელი აღმოჩნდა, მიუხედავად მათი ურთიერთმეგობრობისა და მათი ხელმძღვანელების ურთიერთპატივისცემისა. კემაბჩონდრო კიდევ უფრო მტკიცე უარს ამბობდა ჰინდუიზმის ძირითად მიზნებსა და მიმართულებებზე. არისტოკრატი დებენდრანათჰ თაგორი კიწინა პლანზე წევდა რელიგიურობას და სულიერ სამყაროს შეცნობას. იგი არ იყო მომხრე აქტიური ჩარევისა „ბრაჰმო სამაჯის“ ჰინდუ წევრთა

პირად ცხოვრებაში, ჩვევებსა და ადათ წესებში. ბოლოს და ბოლოს კემოზ სენის ჯგუფი გამოეყო „ბრაჰმო სამაჯის“ ძირითად ბირთვს და 1865 წელს, გახდა როგორც ინდოეთის (ბჰარატვარშია) დამოუკიდებელი „ბრაჰმო სამაჯი“. დებენდრანათჰის ჯგუფმა კი მიიღო სახელმწიფოება „ადი ბრაჰმო სამაჯი“ (პირველსაწყისი). იგი ამ სახელით დღემდე მოქმედებს და სარგებლობს დიდი ავტორიტეტით. ამრიგად „ადიბრაჰმო სამაჯი“ კიდევ უფრო იზოლირებული გახდა გაერშე გავლენებისაგან. არაჰინდუს არ შეეძლო მისი წევრი ყოფილიყო და მის უმრავლესობას ბრაჰმანები შეადგენდნენ. დებენდრანათჰის მომხრეები ითვლებოდნენ ძველი ჰინდური განათლების შემნარჩუნებლებად და გამგრძელებლებად, ხოლო რაც შეეხება მათ დამოკიდებულებას, კასტების სოციალურ პრობლემებისა და საშინაო რელიგიური წესჩვეულებებისადმი, ამ საკითხებში, საზოგადოება სრულ თავისუფლებას იძლეოდა.

ამასთანავე ინდური „ბრაჰმო სამაჯ კემაზონდრო“ თანდათან უბრუნდებოდა პირველსაწყის უნივერსალიზმს. ტექსტების ახალი კრებული ღვთისმსახურებისათვის შეიცავდა ნაწყვეტებს არამარტო ჰინდური საღვთო წიგნებიდან, არამედ ბუდისტურიდან, მუსულმანურ, ფარსულ, ებრაულ, ქრისტიანულ და თვით კონფუციანური რელიგიური წიგნებიდან და ფილოსოფიური თხზულებებიდანაც კი. სწორედ აქ უნდა აღინიშნოს, რომ მაჰატმა განდი მიტინგებზე და თავის „საღამოს ქადაგებებზე“ კითხულობდა ნაწყვეტებს ჰინდურ „ბჰაგავატგიტადან“ ასევე მუსულმანურ ყურანიდან და ქრისტიანთა ბიბლიიდან.

განხეთქილების შემდეგ კემაზონდრო სენის საზოგადოების აქტიურობა უფრო გაიზარდა. მისი მისიონერები ყველგან იძენდნენ ახალ მიმდევრებს და თვითონ სენიც გაცხოველებულ მოღვაწეობას შეუდგა. „ბრაჰმო სამაჯის“ პროპაგანდის დაწოლით კოლონიალური ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა 1872 გამოეცა კანონი, რომელიც იძლეოდა უფლებას სამოქალაქო ქორწინების, ქვრივთა მეორედ გათხოვებისა, სხვადასხვა კასტის წევრებს შორის დაქორწინებისა და ასევე მთელი რიგი რეფორმების გატარებისაც. კემაზონდრო დიდი ხნით ევროპაში სამოგზაუროდ გაემართა და ისევე როგორც რამ მოჰან რაი, ინგლისში იგი დიდი პატივით მიიღეს.

მისმა უსაზღვრო ავტორიტეტმა და იშვიათმა ნიჭმა, დროთა განმავლობაში, უარყოფითი მიაძრთულებით აიღო გეზი. ზოგიერთმა მისმა მომხრეებმა დაიწყეს მისი გაღმერთება, მასში უკვე ხედავდნენ, წინასწარმეტყველს. ყოველივე ამას თავადაც შეეგუა და ამიტომაც არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ღვთაებად გამოცხადების ღირსი გავხდიო. როდესაც 1878 წელს თავისი ქალიშვილი ბიჰარელი მაჰარაჯის ვაჟიშვილს ცოლად გაყვა, მათი ქროწილი ორთოდოქსული ჰინდური რიტუალის შესაბამისად გაიმართა. მისი მოწინააღმდეგეების აღშფოთებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, „ბრაჰმო სამაჯის“ მოძრაობამ ახალი განხეთქილება განიცადა. სენის მოწინააღმდეგეებმა შექმნეს ე.წ. „საყოველთაო - სადჰარან ბრაჰმან სამაჯი“, რომელიც ფაქტობრივად ინდური „ბრაჰმო სამაჯის“ გამგრძელებელი გახდა. მიუხედავად ამისა, კემაზონდრო სიკვდილამდე (1884წ.) ბენგალური საზოგადოებრიობისა და რელიგიური ცხოვრების, მაინც პოპულარულ ფიგურად რჩებოდა. მის თანამებრძოლებთან ერთად მან დამოუკიდებელი ეკლესია დაარსა და მას ახალი „საღვთო წესი“ (ნავავიდჰანი) უწოდა მისი მოძღვრება, ბუდიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის ელემენტებს აერთიანებდა ჰინდუიზმთან და უპირველეს ყოვლისა ქალღმერთ კალის კულტთან, რომელიც მეტად

გავრცელებული იყო ბენგალიაში. კემაბჩონდრომ თავისი თავი ამ ეკლესიის წინასწარმეტყველად და მის პირველ მღვდლად გამოაცხადა, აირჩია თორმეტი მოციქული, ღმერთის სახელით ათასგვარ განცხადებებს აკეთებდა და ყველა თავის მოწინააღმდეგეს ურჯულოდ აცხადებდა. ნავავიდჰანის ეკლესია დღესაც არსებობს, როგორც ბრაჰმო სამაჯის ერთ-ერთი განშტოება, მაგრამ გავლენა არ გააჩნია.

XIXს.-ის დასასრულსა და XXს.-ის მეორე ნახევარში, ბრაჰმო სამაჯის დიდი ცვლილებები არ განუცდია, მისი ხელმძღვანელობიდან, მასშტაბის თვალსაზრისით ამ ორგანიზაციის პირველ სამ ლიდერს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. ამ საზოგადოების წევრთა ცხოვრების სახემ და პროგრესულობამ სოციალური რეფორმებისა, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ, მოახდინეს ამ ლიდერთა იზოლაცია მართლმორწმუნე ჰინდური მოსახლეობის დიდი უმრავლესობისაგან. პოლიტიკურ ცხოვრებაში უშუალო მონაწილე პირთა წრის გაფართოებასთან ერთად „ბრაჰმო სამაჯი“ კარგავდა თავის მნიშვნელობას, როგორც ნაციონალური და სოციალური ბრძოლის ერთადერთი პლაცდარმი. მასზე გავლენას ახდენდა ის გარემოებაც, რომ ინდოეთში გაჩნდნენ სხვა დიდი რეფორმისტული ორგანიზაციები, პირველ რიგში „არია სამაჯი“. „ბრაჰმო სამაჯის“ მომხრეთა რიცხვი ათი ათასს არასოდეს აღემატებოდა და მისი საქმიანობა გამოიხატებოდა ერთობლივ ღვთისმსახურებისა და დისკუსიებში, სასწავლო-საგანმანათლებლო და აღმზრდელი დანიშნულებების მხარდაჭერაში, ლექციების კითხვასა და ლიტერატურის გამოცემაში. დღეს ამ საზოგადოების განყოფილებების უმრავლესობა დასავლეთ ბენგალიაშია თავმოყრილი. სამხრეთსა და დასავლეთ ინდოეთში არსებობს კიდევ ორი თეისტური საზოგადოება, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებებითაა ცნობილი, მაგრამ ბრაჰმო სამაჯისგან დიდად არ განსხვავდებიან. ეს ორივე საზოგადოება წარმოიშვა კემაბჩონდრო სენის, 1864 წელს ინდოეთში მოგზაურობის შედეგად. პირველი „ვედური საზოგადოება“ (ვედა სამაჯი) - დაარსდა იმავე წელს მადრასში და მოგვიანებით მიიღო სახელწოდება „სამხრეთ ინდოეთის ბრაჰმო სამაჯი“. მეორე - „სამლოცველო საზოგადოება“ (პრათჰანა სამაჯი) მოქმედებს 1867 წლიდან ბომბეში, მაგრამ მისი ფესვები უფრო შორეულ წარსულშია. იგი დაკავშირებული იყო იმ რელიგიურ სოციალურ გაერთიანებებთან, რომლებიც ადრე ფუნქციონირებდნენ და რომელთა წარმოშობა გამოწვეული იყო იმავე მიზეზებით, რამაც გამოიწვია რეფორმისტული მოძრაობა ბენგალიაში. ამ ორ ორგანიზაციას არ გააჩნია ფართო სოციალური ბაზები, მათი გავლენა ემყარებოდა და დღესაც ემყარება, პირველ რიგში იმას, რომ მათი წევრები არიან მეტად სახელოვანი და ამ საზოგადოების აქტიური მოღვაწეები, რომლებიც თავიანთი ოჯახური ტრადიციების შესაბამისად, თავიანთი მდგომარეობით, განათლებითა და შეხედულებით, ორთოდოქსული ჰინდუიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

არია სამაჯი

„არიელთა საზოგადოება“ (არია სამაჯი), რომელიც დღესაც მოქმედებს, შედარებით უფრო გვიან წარმოიშვა, ვიდრე „ბრაჰმო სამაჯი“, მაგრამ გაცილებით მასობრივ საფუძველზე. იგი აერთიანებს მილიონ ნახევარზე მეტ მორწმუნეს და წარმოადგენს ჰინდუიზმის ნამდვილად აქტიურ და აგრესიულ მიმდინარეობასაც კი. ზოგჯერ მას არა

უმიზეზოდ უწოდებენ - ჰინდურ პროტესტანტიზმს. არია სამაჯის წევრები თანმიმდევრული მონოთეისტები არიან, ისინი არ ცნობენ ბრაჰმანთა ავტორიტეტს და ერთადერთღვთაებრივ გამოცხადებად, ჭეშმარიტად უკანასკნელ ინსტანციად, მიაჩნიათ მხოლოდ ძველი ინდური წერილობითი ძეგლები - ოთხი „ვედა“ (ვედების კრებული). ყველა დანარჩენი ჰინდური ლიტერატურა მამ შორის „უპანაშიდებიც“, მათი აზრით, ამახინჯებს, ბუნდოვნად გადმოსცემს ღვთაებრივ კანონებს და რაკი იგი ადამიანის გონებისა და ხელის ქმედების ნაყოფია, ამიტომ ისინი მისაღებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეწინააღმდეგება „ვედების“ აზრს. ვედურ ჰიმნებში პოლითეიზმისა და შეწირვის რიტუალის პრობლემა, რომელმაც ესოდენ ღრმა კრიზისი წარმოშვა ბრაჰმო სამაჯის მოძრაობაში, გადაწყვეტილია ორიგინალური ტექსტების თავისებური ეგზოტიკური განმარტების საშუალებით.

„არია სამაჯელებს“ მიაჩნიათ, რომ „ვედების“ არსია, ღვთაებრივი ჭეშმარიტების გამოხატულება დროისა და სივრცის გარეთ, იმ ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტებებისა, რომლებსაც საფუძვლად უდევთ მთელი წარსული, მომავალი და ყოველგვარი მეცნიერული შემეცნება. ვედებში ნახსენები არიული ღმერთების სახელები განიხილება როგორც სხვადასხვა სახელწოდება იმ ერთი ღვთაებისა /პარამეშვარასი/, რომელიც მარადიულის ყოვლის შემძლე, ყოველივეს შემქმნელი, სამყაროს გამგებელია და ერთადერთი ღირსეუთაგანია თაყვანისცემისა. „არია სამაჯის“ წევრები წინააღმდეგი არიან ღვთაებების კერპის სახით თაყვანისცემისა, მსხვერპლის მოტანისა და მომლოცველობისა. მაგრამ ისინი უარყოფენ მთელ რიგ ორთოდოქსულ კანონებს (ბავშვების ქორწილს, საქმროსა და საცოლის თავისუფალ არჩევისა და ქვრივ ქალთა გათხოვების აკრძალვასა და სხვა). კასტების საკითხში მათი თვალსაზრისი, არც თუ ისე ძალიან თანმიმდევრულია: თეორიულად ისინი ცნობენ კასტობრივ სისტემას, როგორც შრომის საზოგადოებრივი გაყოფის ფორმას, უარყოფენ კასტობრივს პრივილეგიებს, კასტის ტრადიციულ წევრობასა და კუთვნილებას, მაგრამ პრაქტიკულად ამ პრინციპებს არ იცავენ. „არია სამაჯის“ მოძღვრება ზოგიერთ შემთხვევაში უშვებს ქორწინების გარეშე ურთიერთობებს, რაზედაც ძველ ჰინდურ ლიტერატურაშია საუბარი და რისგამოც „არია სამაჯელებს“ ამორალურობაში დებდნენ ბრალს. თუმცა ამ ინსტიტუტის გამოცოცხლების ცდებში უფრო სწორად უნდა დავინახოთ ადამიანური მიდგომა, ზოგიერთი ჰინდური უსამართლობისადმი და სწრაფვა ქვრივთა ბედ-იღბალის შემსუბუქებისაკენ.

არაია სამაჯის მოღვაწეობა მიმართული იყო არა მარტო რელიგიური ორთოდოქსისა და ჰინდუიზმის შიგნით საზოგადოებრივი გადმონაშთის წინააღმდეგ, არამედ ჰინდური და არა ჰინდური სისტემის სხვა უარყოფითი თვისებების წინააღმდეგაც, განსაკუთრებით, ჯაიანიზმის ადეფეტები ერეტიკებად იყვნენ გამოცხადებული, მსგავსად ისლამისა და ქრისტიანობისა.

ფაქტიურად „არია სამაჯის“ ყველა რეფორმისტული პრინციპი გადმოცემულია და ფორმულირებული ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, მისი დამაარსებლის დაიანანდ სარავიტის მიერ., ახალი დროის ნაციონალური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, გუჯარატელი-(ქ.კატჰიავარიდან) ბრაჰმანი ბევრ რამეში ხელს უწყობდა ამ მოძრაობის განვითარებას. დაიანანდის ნამდვილი სახელია - მულშანკარი, იგი დაიბადა 1824 წელს მართლმორწმუნე ბრაჰმანულ ოჯახში, სანკრისტისა და

ჰინდუიზმის ფილოსოფიას ჯერ კიდევ ბავშვობაში გაეცნო. გარემოს აღქმის შედეგად მიღებულმა ძლიერმა შთაბეჭდილებებმა და სხვადასხვა ტრაგიკულმა მოვლენებმა, მასში წარმოშვეს მიდრეკილება მედიტაციისაკენ, გონებაჭვრეტისა და ასკეტიზმისაკენ. ყოველივე ამან მას ეჭვი აღუძრა ვერაგული რელიგიური პრაქტიკის მიმართ. ქორწინებისა და პრაქტიკული ქმედებისადმი ზიზღით გამსჭვალულმა დაიანანდმა, მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიატოვა სახლი და ინდოეთში სახეტიალოდ წავიდა - ხვდებოდა იგი განდევნილებსა და მონაზვნებს, ეძებდა თავისთვის კარგ სულიერ მოძღვარს - (გურუს მთ.შ.) დამრიგებებელს, რომელიც შეძლებდა დახმარებოდა პასუხების მოძებნაში, იმ ფიქრებსა და მოსაზრებებზე, რომლებიც მას აღელვებდა. შემდეგ დაიანანდი თვითონ გახდა ჰინდუ ბერი, „პირველსაწყისი შივაიზმის“ ერთგული, გახდა შანკარას ვედანტური მოძღვრების მიმდევარი, ოცნებობდა იოგების მეთოდის შესწავლაზე. ბოლოს მიაღწია საკუთარი ღვთაების იდეის შეცნობას, მათჰურში რამდენიმე წლის მანძილზე იგი ბრმა ბრაჰმანის ვირაჯანანდა სარასვატის მოწაფე იყო და მისგან შეიგნო იდეა ვედების შესახებ, როგორც სიბრძნისა ისე სიწმინდის ერთადერთი კრიტერიუმი, უფრო გვიანდელი რელიგიური ლიტერატურის მეორადობასა და არაჭეშმარიტობის შესახებ. დაიანანდი ეუფლებოდა გრამატიკას და კარგად შეისწავლა სანკრიტიც.

ოც წელზე მეტი ხნის ხეტიალისა და გულმოდგინე მოწაფეობის შემდეგ დაიანანდი თავის იდეების აშკარა გავრცელებას შეუდგა. იგი უკვე არ კმაყოფილდებოდა ბრაჰმანებთან საუბრით, მოწინააღმდეგეებს ეკამათებოდა კრებებზე უბრალო ადამიანების თანდასწრებით. ეს დისპუტები დაიანანდის რელიგიური მოღვაწეობის დამახასიათებელ თვისებად იქცა. ყოველივე ამან მას საშუალება მისცა გამოემჟღავნებინა ბრწყინვალე ორატორული ნიჭი. იგი მსმენელებს არწმუნებდა იმაში, რომ „ვედები“ არ ცნობენ ლოცვებს, მან თანდათან დაიწყო თავდასხმა ჰინდუიზმის სხვა დანარჩენ გადმონაშთებზე, მისი სიტყვები პოულობენ კეთილ გამოხმაურებას კომპარატიულმა დემოკრატიზმმა და პატრიოტულმა ტონმა, დაიანანდს მოუტანა პოპულარობა მთელს ჩრდილოეთ ინდოეთში. იგი გამოდიოდა კალკუტაში, სადაც 1872წ. გაეცნო კეშაბჩონდრო სენს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მის შემდგომ გეგმებზე.

ჯერ ერთი, დაიანანდმა აღიარა სალაპარაკო ენის უდიდეს მნიშვნელობა და სწორედ ამ დროიდან, ის ჰინდის ენას, ყოველთვის სანკრიტზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. მალე ჰინდის ენაზე მან შექმნა ნაწარმოები სათაურით „ჭეშმარიტების შუქი“ (სატარტკა პრაკაშ), რომელშიც თავისი რეფორმისტული დოქტრინის პრინციპები გადმოსცა. დაიანანდს ეკუთვნის რიგი ლითურგიული თხზულებებისა და კომენტარებისა, რომლებიც „არია სამანჯის“ მოძღვრების ძირითად წყაროების ნაწილს შეადგენდა, მაგრამ „ჭეშმარიტების შუქი“ მისი უნმიშვნელოვანესი წიგნთაგანია. იგი შეიცავს ვედური ჰიმნების აღნიშნულ ეზოტერულ გაგებას, რომლებიც მოცემულია დიალოგების სახით და მოიცავს ამომწურავ არგუმენტებს ბრაჰმანული ჰინდუიზმის წინააღმდეგ. წიგნის თითქმის ნახევარი მიძღვნილია ბიბლიისა და ყურანის პოლემიკისადმი. როგორც პირველი პროტესტანტი რეფორმატორი, აღმაფრენით, განუსჯელი კადნიერებითა და სარკაზმით, დაიანანდი უარყოფს (არღვევს) ისლამისა და ქრისტიანობის ზოგიერთ დებულებას, არ ერიდება რა ზოგჯერ მათი იდეის დამახინჯებასაც. ამ არაობიექტური კრიტიკისათვის მან არაერთხელ განიცადა

თავდასხმები, რომლებიც უმრავლესობა შემთხვევაში მომდინარეობდა რელიგიური მოღვაწეებისაგან, ვინაიდან დაიანანდი ხშირად არანაკლებ ტენდენციურად და ზედაპირულად აკრიტიკებდა ჰინდუიზმის ფილოსოფიას.

ზოგიერთი მონაცემების სფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაიანანდს ესმოდა ვედური ტექსტების თავისებური ინტერპრეტაციის ლოგიკური არასრულყოფილება და ცოდვილობა, მაგრამ ამას ჩადიოდა წმინდა პროპაგანდისტული მიზნით. სინამდვილეშიც მის მოძღვრებას თუ მივუდგებით მაშინდელი დასახული ამოცანების საზომით, ასევე იმ დროს მოქმედი ისტორიული ძალების პოზიციიდან და განვჭვრეტთ მას მიზანდასახულებრივი ნაციონალისტური სწრაფვების თვალსაზრისით, ნათელი გახდება, რომ რეფორმატორს მეტიმეტად ჭირდებოდა თავისი მოძღვრება, რათა გაემაგრებინა „ვედების ღვთაებრივი“ ავტორიტეტით და თავისი რელიგიისათვის უფრო შემტევი ხასიათი მიეცა.

1875 წელს დაიანანდ სარასვატი მეორედ ჩავიდა ბომბეიში, სადაც პართჰანა სამანჯის მოღვაწეობას გაეცნო. სწორედ აქ მისი გეგმები იმდენად მომწიფდა, რომ მან გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა საკუთარი ორგანიზაცია. 10 აპრილს დაარსა „არია სამანჯის“ საზოგადოება. ორი წლის მერე, პანჯაბის ქალაქ ლაჰორში, მოხდა მისი ორგანიზაციის სრული ჩამოყალიბება და მან დაიწყო თეოსოფიურ საზოგადოებასთან თანამშრომლობა, რომელმაც მართალია მცირე ხანს გასტანა. შედარებით გვიან, „არია სამანჯის“ განშტოებები მთელს ინდოეთში გაჩნდა, მაგრამ მთავარი ცენტრები მაინც არსებობდნენ და დღემდე არსებობენ აღმოსავლეთ პანჯაბსა და უტარ პრდდეში.

დაიანანდი სიცოცხლის ბოლომდე (1983 წლამდე) ენერგიითა და ენთუზიაზმით იბრძოდა ამ საზოგადოების გაძლიერებასა და ინდოეთის მოსახლეობაში თავისი იდეების გავრცელებისათვის. რეფორმატორის სიკვდილის შემდეგაც ვედური ჰიმნების დაიანანდასეული განსაზღვრა ხელს არ უშლიდა ამ მოძღვრების მზარდი პოპულარობას. ეს აიხსნებოდა იმით, რომ დაიანანდის მიერ ჯანსაღი პრაქტიკული იდეები, ტრადიციულ ჰინდურ რელიგიას ახალ პირობებში კიდევ უფრო მისაღებს ხდიდა იმით, რომ „არია სამანჯის“ პატრიოტიზმი ხალხში აღვიძებდა ნაციონალური სიამაყისა და ინდოელთა მორალური უპირატესობის შეგნებას. ამ მოვლენებს ადგილი ქონდა იმ წლებში, როდესაც ბრიტანული კოლონიალიზმი ინდოეთში ფეხს იკიდებდა და ინდოელთათვის უცხო იდეოლოგია ინტენსიურად იჭრებოდა. დაიანანდის ლოზუნგი „კვლავ დავუბრუნდეთ ვედებს“ ჰგავდა ჩვენი ეკლესიის შუა საუკუნეების რეფორმატორთა მოწოდებას, რომ მწერლები კვლავ დაუბრუნებოდნენ სასულიერო მწერლობას, მაგრამ რელიგიური დამოკიდებულებისა და ჰინდუიზმის უპირატესობის იდეას სხვა რელიგიურ სისტემებთან შედარებით, ქონდა პოლიტიკური საფუძველი, რაც გამოიხატებოდა ქვეყნის კოლონიზატორებისაგან განთავისუფლების მოთხოვნაში. გასული საუკუნის დამლევსა და შემდეგაც ეს კი, სრულიად უპასუხებდა ინდოეთის საშუალო და დაბალი მოსახლეობის ფენების განწყობილებებს.

„არია სამანჯის“ მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა რელიგიური დისკუტებითა და ერთობლივი ღვთისმსა ხურებით, იგი ეწეოდა და ეწევა დღემდე დიდ საზოგადოებრივ და განმანათლებლურ საქმიანობას. 1886 წელს უკვე შეიქმნა უნივერსიტეტის ტიპის ინსტიტუტი, სადაც ასწავლიდნენ არა მარტო სანკრიტსა და ჰინდის, არამედ ინგლისურ

ენასაც, ბუნების მეცნიერებებსა და აგრეთვე ტექნიკურ საგნებსაც, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. ერთი წლის შემდეგ გაიხსნა ინგლისური კოლეჯი, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ არია სამანჯის რჩეული წევრებისათვის. ჰინდუების სამლოცველო ცენტრში - ჰანდვარში 1902 წელს ჩამოყალიბდა პირველი გურუკულუ - სემინარია (სკოლა-ინტერნატი), სადაც სწავლობდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან. სწავლა ამ „სემინარში“ თექვსმეტ წელიწადს გრძელდებოდა, აღზრდა ვედურ ტრადიციებზე ხორციელდებოდა ნაციონალური სულისკვეთებით. სწავლებისას მასიმალურად იყო გამორიცხული მოსწავლეებზე ოჯახური გავლენა და მათი ურთიერთობა გარე სამყაროსთან. ისეთი გურუკულები, სადაც სწავლობდნენ თანამედროვე მეცნიერებას, ინდოეთში სულ რამოდენიმე იყო. ათობით ამდაგვარი ორგანიზაცია და პანსიონი იქმნებოდა ქალებისა და ობლებისათვის. გაჩნდა ცენტრები აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად ხელშეუხებელთა შორისაც.

ჩრდილოეთ ინდოეთში თითქმის ყველა დიდ ქალაქში შეიძლება არია სამაჯის განმანათლებლური საქმიანობის შედეგების დანახვა. აღმოსავლეთ პანჯაბში აღმზრდელობითი დაწესებულებების ნახევარზე მეტი ეკუთვნის ამ საზოგადოებას და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, ჯერ კიდევ ინდოეთის განთავისსუფლებამდე „არია სამაჯმა თავის სკოლება და აღმზრდელობით დაწესებულებებში შემოიღო ჰინდი ენის სწავლება როგორც ფაკულტატური და აუცილებელი საგნისა, თუმცა ამისათვის მათ დაკარგეს მთავრობის მხარდაჭერა.

(ჩეხი მეცნიერების მიერ ამ ნაშრომის შექმნის დროს ჰინდი ენა ჯერ კიდევ არ იყო კინსტიტუციით აღიარებული ინდოეთის შიდა სახელმწიფო ენად, რაც მხოლოდ 1965 წელს ნ.კ.). ამ საზოგადოების წევრები განეკუთვნებიან ჰინდი ენის, როგორც სახელმწიფო ენის ყველაზე აქტიური პროპაგანდისტების რიცხვს. ისინი ხაზს უსვამენ, რომ მათი გაერთიანება რელიგიურ ხასიათს ატარებს და თავის წინაშე უპირველეს ყოვლისა ისახავს აღმზრდელობით საგანმანათლებლო და კულტურულ ამოცანებს. მაგრამ ისინი უარს ამბობენ პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებისაგან თავიანთი მიზნების მისაღწევად. მაგალითად, მონაწილეობენ ძალდაუტანებელ დემონსტრაციებში, რასაც პოლიცია გულგრილად არასოდეს ხვდება. არ შეიძლება ითქვას, რომ არია სამაჯის წევრები უკანასკნელ ხანებში დიდ ღვთის შემწყნარებლობას იჩენდნენ. ჰინდუ-მუსლიმთა კონფლიქტში ინდოეთის გაყოფის პერიოდში სისხლიანი შეტაკებებისა და თავდასხმებს, „არია სამაჯელები“ გულგრილად არ შეხვედრიან. ძველი შეხედულებები მათ შეინარჩუნეს ქრისტიანობის მიმართაც. საზოგადოება ყველა მორმწუნესაგან მოითხოვს, რომ ქვეყნისთვის მოქონდეს სიკეთე, სიყვარული და სამართლიანობა, ებრძოდეს უვიცობას, ისწრაფვოდეს და უმორჩილებდეს თავის ინტერესებს საყოველთაო საზოგადო ინტერესებს.

არია სამაჯის ცალკეულ რელიგიურ თემებსა და ორგანიზაციებში ცხოვრება აგებულია დემოკრატიულ საწყისებზე: თემები ირჩევენ თავიანთ მდივნებსა და წარმომადგენლებს პროვინციულ ორგანიზაციებში, რომელიც თავის მხრივ გზავნის დელეგატს ინდოეთის საყოველთაო ორგანოში. თემის მდივნები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რადგან მათზე საგრძნობადაა დამოკიდებული ადგილობრივი ორგანიზაციის საქმიანობის წარმატება. ოფიციალურად ისინი ექვემდებარებიან ექვს კაცისაგან შემდგარ კომიტეტს,

რომელსაც თემის პლენუმი ირჩევს წელიწადში ერთხელ. კომიტეტის წევრები, I თავმჯდომარე, მისი მოადგილე, თანაშემწის მდივანი, ხაზინადარი და ბიბლიოთეკარი, თვალყურს ადევნებენ რელიგიური წესჩვეულებების შესრულებას.

არია სამაჯის ერთობლივი ღვთისმსახურება რამდენიმე პროტესტანტული ეკლესიის ღვთისმსახურებას გავს. იგი სრულდება სპეციალურ ტაძრებში კვირაში ერთხელ. ტაძრები ღიაა ყველა ცალკეული მნახველისა და პირისათვის. რომლებიც ყოველდღე, გარკვეულ საათებში გარინდულნი გონებაჭვრეტას ეძლევიან, ტაძარში შესვლისას მორწმუნენი ფეხე იხდიან, თავს ხრიან და ისე როგორც ლიცვისას ხელის გულებს ერთამენეთს ადებენ, სხდებიან სკამებზე. მორთულობა მეტად უბრალოა: დგას სკამები, ზოგჯერ აქვთ ფისგარმონი, მომღერლებისთვის გამოყოფილია სპეციალური ადგილი. სალოცავი ძალიან უბრალოდაა მოწყობილი. უფრო სწორად იგი ჩაღრმავებულია იატაკში და ერთგვარ პრიმიტიულ „კერიის“ მსგავსს წარმოადგენს. განკუთვნილია იგი პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან წეს-ჩვეულებისათვის - ერბოს დაწვა ცეცხლში, ეს ერთადერთი წესჩვეულება მომდინარეობს უძველესი ვედური რიტუალიდან, თუმცა დაიანანდის გადმოცემით, იგი წარმოადგენს არა მსხვერპლის მოტანას ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ თითქოს ჰაერის გაწმენდას, რასაც ოთხი ქურუმი ასრულებს თემის კომიტეტის წარმომადგენლების განლაგება სალოცავთან, ხდება წესის მიხედვით. წყლით ივლებენ პირს, თანმიმდევრულად ეხებიან თავის პირს, ცხვირს, ყურებს, ხელებს და თემოებს და ასხურებენ წყალს კერიის ირგვლივ, შემდეგ ამზადებენ სურნელოვან ხეს, სანდალს და ანთებენ ცეცხლს, რომელშიც იწვის ერბო, ფეტვი და სხვადასხვა ხორბლეული. ცეხლი მაღლა ჭერამდე ააქვთ, და სანდალის და სხვა სურნელი მთელს ტაძარში იფრქვევა. შემდეგ იწყება ერთობლივი ლოცვა და ჰიმნების სიმღერა ფისგარმონიის, საყვურებისა და წინწილების თანხლებით. ლოცვის დამთავრების შემდეგ კითხულობენ ნაწყვეტებს დაიდანდის წიგნიდან „ჭემმარიტების შუქი“, წარმოთქვამენ ნაწყვეტებს ვედური ჰიმნებიდან, ზოგჯერ იმარტება დისკუსიებიც დამსწრეთ შეუძლიათ შეეხონ ნებისმიერ საკითხებს, ილაპარაკონ თავიანთ სიმნელებზე, თემის ხელმძღვანელები იქვე პასუხობენ. ღვთისმსახურების პროგრამაში ზოგჯერ შედის ხანმოკლე ლექციები და სხვადასხვა რელიგიურ და სოციალურ თემებზე, წესჩვეულება მთავრდება სარწმუნოების სიმბოლოს თქმით. დასასრულს ერთხმად იძახიან მოწოდებებს, რომელსაც ერთ-ერთი მონაწილე წამოიყვრებს. „ვედა დჰარმაჯი“ - გაუმარჯოს ვედურ რელიგიას! „ბჰარატ მატაკი ჯაე“ - გაუმარჯოს დედა ინდოეთს!

თემის წევრები ყოველდღიურად ასრულებენ საოჯახო წესჩვეულებებსაც. ესაა - ვედების შესწავლა, გონებაჭვრეტა, ერბოს და სურნელის ცეცხლში დაწვა, მოხუცების მეგობრების და საპატიო ადამიანებისა და სხვათა მომსახურება, ამ მხრივ ხშირად სრულდება სიმბოლური მოქმედებები. გონებაჭვრეტა (მედიტაცია) და „ჰაერის გაწმენდა ცეცხლით“. დღეში ორჯერ უნდა შესრულდეს - დილას და საღამოს. „არისამაჯელები“ აღნიშნავენ მთელს რიგ სხვა რელიგიურ დღესასწაულებსაც, რომლებსაც ძალიან ბევრი რამ აქვთ საერთო დღეს საყოველთაოდ მიღებულ ჰინდურ დღესასწაულებთან. ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებიც დაწყებული ბავშვის ჩასახვიდან - მთელი სიცოცხლე - მის კრემაციამდე, აგრეთვე წარმოადგენენ საბაზს იმ განსაკუთრებული წესჩვეულებისა, რომლებიც (ასეთი კი სულ 16) დეტალურადაა აღწერილი ერთ - ერთ წიგნში. უმრავლეს შემთხვევაში ეს წესჩვეულებები მომდინარეობს ვედურ

ლიტერატურიდან, მათი შესრულებისას კითხულობენ ლექსებს, ვედებსა და ნაწყვეტებს სუტრებიდან. (წმ. ლიტერატურ განდობილთათვის ნ.კ.)

ორიოდე სიტყვა არიასამაჯის თემის მატერიალურ ბაზაზე: მათ შემოსავალს ეარმოადგენს ამ საზოგადოების საწევრო გადასახადი, ფულადი საჩუქარი და ძლენი, შემოსავალი ბიბლიოთეკებიდან. იგზავნება დამხმარე პერსონალის (საწევროების ამკრეფსა და ტაძრის მმართველების) ტაძრისა და სხვა შენობების შენახვისათვის. დღესასწაულების მოწყობისათვის, ყოველკვირეული ღვთისმსახურებისა და თემის მმართველთა სამუშაოს ანაზღაურებისათვის, საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება იმაზე, რომ გასამრჯელო მიეცეს პანდებს, რომლებსაც იწვევენ ვედების მოსათხოვად და განსამარტავად. ორგანიზაციის წლიური გასავალი საშუალოდ ათას რუპიას შეადგენს.

არია სამაჯისა მოღვაწეობა, რომელსაც გააჩნია თემთა უხვად განტოტვილი ქსელი თავისი მრვალარიცხოვანი წევრებით, თანამედროვე ჰინდუიზმის მეტად ნიშანდობლივ თვისებად იქცა. თუმცა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ მოძრაობამ უკვე განვლო თავისი აყვავების ხანა. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ დღევანდელ პირობებში, ინდოეთის მოსახლეობის განათლებულ ფენებს ჰინდუიზმის რეფორმაცია არ მიაჩნიათ აუცილებელ პირობად, რელიგიური გადმონაშთებისაგან მთლიანი განთავისუფლების საქმეში.

რამაკრიშნას მისია

ბენგალია წარმოადგენს ინდოეთის პირველ რაიონს, რომელიც დაიპყრეს ინგლისელებმა. სწორედ აქ ჩაისახა ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ფორმები, სწორედ ბენგალიაში კოლნიალიზმი წინააღმდეგ გობებს ახალი საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის დამდეგს. წარმოიშვა კიდევ ერთი ახალი ნეოჰინდური მიმდინარეობა სახელწოდებით - „რამაკრიშნას მისია“. იგი წარმოადგენდა ინდური და არაინდური რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების სინთეზის შემდგომ საფეხურს და შეიძლება ითქვას ბევრ რამეში უშუალოდ შეეხო ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც იდგა ინდოეთის წინაშე უკანასკნელ ათეულ წლებში.

„რამაკრიშნას მისია“ - ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც თავის ამოცანას ხედავს ვედენტური მოძღვრების შედარებითი თეოლოგიის გავრცელებაში, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში, მასებში კულტურული და საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ინტერესის გაღვიძებაში, მაგრამ მისი ცალკეული წარმომადგენლისა და მოძღვრების მქადაგებლის გავლენა, ინდოეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე გაცილებით ფართო და ძლიერი იყო. გარდა ამისა, იგი ერთადერთი ინდური რელიგიური ორგანიზაციაა, რომლის მოღვაწეობამაც თავისი ქვეყნის გარეთაც შესამჩნევი გამოხმაურება ჰპოვა. რამაკრიშნას მისია შეიქმნა 1897 წელს, ცნობილი რელიგიური მოაზროვნისა და დიდი ჰინდუ-იოგის სვამიო ვივეკანანდას მიერ. სწორედ მან დიდი ზეგავლენა იქონია და განსაზრა ორგანიზაციის შემდგომი ბედ-იღბალი, ვივეკანანდას ფილოსოფიური კონცეფცია აგებულია მისი სულიერი მოძღვრისა და მასწავლებლის რამაკრიშნა პარამაჰანისას იდეებზე. თავდაპირველად თვთაება კალის

ტაძრის მთავარი ქურუმი (დღევანდელი კალკუტის ჩრდილოეთ მიდამოებში) რამაკრიშნა იყო იმ პირველთაგანი, რომელმაც ნათლად გამოხატა აზრები ყველა რელიგიური სისტემების შინაგან ერთიანობისა და თანაბარფასიანობის შესახებ, მიუხედავად ამისა, რომ მას ჰინდუიზმი ინდოლებისთვის ყველაზე შესაფერის რელიგიად და მარადიული ჭეშმარიტების შეცნობისაკენ უზუსტეს გზად მიაჩნდა. მისი სინთეზური მოძღვრებისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო იმ წინანდელი რეფორმატორების მიერ, რომლებიც ცდილობდნენ გაერთიანებინათ სხვადასხვა რელიგიური მოძღვრების ელემენტები და ამასთანავე ეჩვენებია რეფორმირებული ჰინდუიზმის უპირატესობა და იშვიათობა.

რამაკრიშნა ჰინდური, რეფორმატორული მოძრაობის ისტორიაში ყველაზე უნიკალური პიროვნება იყო. არამარტო მისმა იდეებმა, არამედ მისმა მთელმა ცხოვრებამ, რომელიც ძალიან ჰგავდა ძველი რიშების ცხოვრებას, იშვიათად მძლავრი ზეგავლენა იქონია მეტად რელიგიურად განწყობილ ბენგალურ საზოგადოებაზე. მისი ნამდვილი სახელი და გვართ იყო - გადადჰარ ჩატოპადჰაია. ბავშვობა მან (დაიბადა 1836 წელს) ბრაჰმანული რიტუალის გარემოცვაში გაატარა. როგორც ბრაჰმანი - ბიჭუნა ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა ყოველდღიური წესჩვეულებების შესრულებისათვის ერთ - ერთ მდიდარ ოჯახში, რომელიც მოხუცებისგან შედგებოდა, იგი ვიდრე ყმაწვილი იყო ქურუმის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა კალკატის ახალ დაქმინებუარის ტაძარში. აქ იგი მხურვალე თაყვანისმცემელი გახდა ქალღმერთ კალისა, რომელსაც თავის დედასთან აიგივებდა და ყოველთვის დედად თვლიდა. რამაკრიშნა რელიგიურ ექსტაზში ყოფნის დროს გონებასაც კი კარგავდა. რელიგიით უსაზღვრო გატაცებამ თვითჰიპნოზის მდგომარეობიდეც კი, რომელშიც იგი ვარდებოდა ხოლმე, შეაშფოთა მისი ნათესაობა და როდესაც იგი 25 წლის შეიქნა მას საცოლუე აურჩიეს, რათა ოდნავ მაინც ჩართულიყო ნორმალურ საერო ცხოვებაში. მისი საცოლუე მაშინ ექვსი წლის იყო და ამიტომ ახალგაზრდა ქურუმი კვლავ ტაძარს დაუბრუნდა, რითაც მისი ლტოლვა რელიგიისაკენ სრულებითაც არ შესუსტებულა და სულ უფრო ამორემდა მას უშუალო საერო ვალდებულებს. ბოლოსდაბოლოს რამა - კრიშნა იძულებული იქნა დაეტოვებინა ტაძარი და დასახლებულიყო ჯუნგლებში, ქალაქის მახლობლად, სადაც აკსეტურ ცხოვრებას ეწეოდა. იგი იქ გაეცნო ვედანტურ მოძღვრებას და შანკარის ფილოსოფიას, რომელმაც იგი იმდენად გაიტაცა, რომ თვითონ გახდა ვედანტი - ბერი და დაივიწყდა რა, რომ იყო ცოლიანი, მიიღო ახალი სახელი (იგულისხმება - რამა-კრიშნა ნკ.). ოჯახს, იგი დაუბრუნდა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ.

მკაცრი ასკეტიზმით თვითგანდგომითა და რელიგიური ექსტაზით იგი ისწრაფოდა ღმერთის თვითწვდომისათვის მიეღწია. იმისათვის, რომ ინსტიქტურად ზიზღით არ განმსჭვალულიყო ხელშეუხებელთა მიმართ, როგორც ყოფილი ბრაჰმანი, მათ სამუშაოებს თავად ასრულებდა ტაძარში... იგი ცდილობდა სხვა რელიგიების არსსაც ჩაწვდომოდა, რამოდენიმე ხანს ცხოვრობდა მუსულმანებთან - როგორც მუსულმანი, ხან კიდევ საკუთარ თავში ქრისტეს ხილვას იწვევდა და მთელი დღეები ქრისტეს მოძღვრებაზე საუბრობდა. შანკარას ფილოსოფიის თანახმად მას ღმერთი რეალობად მიაჩნდა, ადამიანის სული კი ღვთის ნაწილად, და გარემომცველი სამყარო ფიქციად, ილუზუად. იგი ამტკიცებდა, რომ რელიგიური ექსტაზის მდგომარეობაში თავის თავს ხედავდა გაიგივებულს ღმერთთან. მას წამდა, რომ ღვთაების ჭეშმარიტი საფუძველი არპიროვნულია და ამიტომ ღვთის კერპების თაყვანისცემის წინააღმდეგ გამოდიოდა.

მას, როგორც ჰინდუს, ღმერთები უზენაეს საწყისის (ხილვად) გამოვლინებად მიაჩნდა, მაგრამ როგორც რელიგიების ერთობის მქადაგებელი, იგი თაყვანს ცემდა ხან შივას და კალის, ხან კიდევ ალლაჰსა და ქრისტეს.

70-იან წლებში რამაკრიშნამ მთლიანად დაასრულა თავისი სასულიერო გზა, შეიცნო უმაღლესი ჭეშმარიტება და დარწმუნდა, რომ იპოვა პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც ესოდენ აწამებდნენ მის სულს და გონებას. რა თქმა უნდა, მას გააჩნდა თანდაყოლილი მდიდარი ინტელექტი, მაგრამ ცხოვრებაში იყო უბრალო, მგზნებარე, მორწმუნე ადამიანი. სისტემატურად არასოდეს არაფერი უსწავლია, გარდა სალაპარაკო ბენგალურისა, და პრაქტიკულად არ იცოდა სხვა ენები, არც სანსკრიტი და არც ინგლისური. მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას განუდგა, მისმა მოძღვრებამ უდიდესი ზეგავლენა განიცადა ყველა იმ იდეებისა, რომლებიც აღელვებდა და იტაცებდა განათლებული ბენგალური წრეების წარმომადგენლებს. ერთხელ, როდესაც დაქვინემვარის ტაძრის ახალგაზრდა ქურუმი, ის საჯაროდ მოჰყვა თავისი შეხედულებების გამოთქმას რელიგიათა ერთობის შესახებ, მის შეხედულებებს ყველაზე ფართო გამოხმაურება მოჰყვა. რამა-კრიშნასთან, ქვეყნის ყველაზე შორეული ადგილებიდან მოდიოდნენ ადამიანები, მისი სახელი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მას აღიღებდნენ, როგორც პარამაჰანსას (ე. ი. მას მიანიჭეს წოდება - პარამაჰანსა, რომელიც ყველაზე დიდ წმინდანსა და განსწავლულ ჰინდურ - მოაზროვნე ბერებს ენიჭებოდათ). როდესაც მასთან მოვიდა მისი თვრამეტი წლის ცოლი, რომელმაც თავისი ნებით უარი თქვა ოჯახურ ცხოვრებაზე (ქმართან ფიზიკურ ცხოვრებაზეც-მთ.ნ.კ.) წმინდანი ქმრის მოწაფე გახდა. მან ქმრის გარდაცვალების შემდეგ 35 წელი იცხოვრა და საკუთარი ქმრის რამაკრიშნას სახელს თაყვანს ცემდა, როგორც წმინდანს. რამაკრიშნას მოძღვრების მოსასმენლად და მასთან რელიგიურ საკითხებზე ჩამოდიოდნენ „ბრაჰმო სამაჯის“ წარმომადგენელი კეშაბჩონდრო სენი და „არია სამაჯის“ მოძრაობის ფუძემდებელი დაიანანდ სარასვატი. რამაკრიშნას მრავალი სტუმარი მისი მოწაფე გახდა.

რამა-კრიშნას სიკვდილამე (1886 წლამდე) არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობის ქადაგება. იგი ყოველ ადამიანში ღვთაებრივ არსს ხედავდა და ხშირად თავის თავს ყველას მსახურს უწოდებდა. რელიგიური ექსტაზის დროს იგი ევლინებოდა ხალხს მხოლოდ, როგორც ზებუნებრივი ძალის მქონე ადამიანი, ბევრი თაყვანს ცემდა მას, როგორც ღმერთს. მხოლოდ ღრმად რელიგიურად და მორალურად აბსოლუტურად წმინდა ადამიანის ასკეტურობამ, მისტიკურმა განწყობილებამ და ინტუიციამ მას საშუალება მისცა ისეთი გამხდარიყო, იმ პიროვნებად, ვინც იყო იგი. მისი სახე, მთლიანად შეესაბამებოდა ტრადიციულ შეხედულებების, ძველ ინდურ წმინდანებზე. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ მისი შეხედულებების ღრმა დამაჯერებლობისა და ქმედითობისა. შესწავლა ამ ასკეტის ცხოვრებისა, რომელშიც ბევრი რამ იყო საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი, მეტად მნიშვნელოვანია, რათა გავიგოთ ატმოსფერო და ხასიათი „რამაკრიშნას მისიის“ მოძრაობისა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი ღირებულება.

რამაკრიშნას მემკვიდრეობის შენარჩუნების განვითარებისა და გავრცელების ამოცანა თავის თავზე აიღო მისმა ერთერთმა მოწაფემ ნარენდრანათჰ დატამ. რამაკრიშნასაგან განსხვავებით დატას ევროპული განათლება ჰქონდა. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობისას

გატაცებული იყო და მიწერმოწერა ქონდა ჰერბერტ სპენსერთან. მცირე ხანს იგი იმყოფებოდა „ბრაჰმო სამაჯის გავლენის ქვეშ და მონაწილეობას ღებულობდა ამ მოძრაობაში, ეცნობოდა თეოსოფიების თეორიებს, რომლებიც ფეხს იკიდებდნენ მაშინ ინდოეთში, მაგრამ მთლიანად იგი მხოლოდ რამაკრიშნას მოძღვრებამ დააკმაყოფილა. დატა მყისვე ჩაწვდა დებულებას ჰინდუიზმის შიგნით სხვადასხვა რელიგიების და კასტებისადმი შემწყნარებლობის შესახებ, როგორც ღვთისთაყვანისმცემლის სხვადასხვა საშუალებებისა, კერპთაყვანისმცემლობის ჩათვლით. იგი მაშინვე მიხვდა, რომ რამაკრიშნას მოძღვრების პათოსს წარმოადგენს არა შთაგონება შეზღუდული სექტანტური მოძრაობებისა, რაც უცხოა მასებისათვის და ხელსაყრელი მხოლოდ მეტნაკლებად პრივილეგიურულ კლასთა ვიწრო წრეებისათვის, არამედ გამიყვანოს მრავალრიცხოვანი ჰინდური საზოგადოება შუასაუკუნეობრივი სზნელიდან და გააღვიძოს ხალხში უკეთესი ცხოვრების სურვილი. დატამ, რომელიც მწვავედ განიცდიდა ინდოეთის ბედ-იღბალს, იგრძნო, რომ ნაციონალური მოძრაობის საფუძველი დიდი ხანია გასცდა ბურჟუაზიული მოსახლეობის ფენების ინტერესებს. რამაკრიშნას მოძღვრებაში უპირველეს ყოვლისა იგი ხედავდა, ინდოელთა ფართო მასებზე, უსაზღვრო გავლენის შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით რამაკრიშნას სხვა მიმდევრებთან ერთად დატამ უარი თქვა პირად ცხოვრებაზე და დააარსა საკუთარი საბერმონაზვნო საზოგადოება და როგორც ბერმა (სვამიმ) მიიღო სახელი „ვივეკანანდა“ (დაწვრილებით მასზე იხ. ჩემი თარგმანი „ვივეკანანდა“ თბ. 1995. ნ.კ.) . მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ მან ექვსი წელი ინდოეთში იმოგზაურა და ახლო გაეცნო ღარიბ და სოფლის მძიმე ყოფაცხოვრებას, ჰიმალაის მთების სიღრმეში სულ სიმარტოვეში იგი ღრმა ფილოსოფიური და რელიგიური ფიქრებში იმყოფებოდა, ქმნიდა თავის ნეოვედანტიზმის დასრულებულ ფილოსოფიურ სისტემას, რომელიც მომავალში იდეურ პროგრამად უნდა ქცეულიყო. ვივეკანანდას თანახმად „ვედანტა“ (ანუ ვედების ბოლო, ანუ წმ. ლიტერატურა, რომელიც ერთვის ვედებს კომენტარებისა და სხვა სახით ნ.კ.) წარმოადგენს შედეგს ყველა იმ რელიგიური მიმართულებისა, რომლებიც კი ოდესმე დედამიწაზე არსებობდა. იგი არა ერთი ღვთიური წინასწარმეტყველის რელიგიაა, არამედ მოძღვრებაა, რომელიც აერთიანებს ყველა რელიგიურ მოძღვრებებს და წარმოადგენს შემეცნების უმაღლეს ფორმას. ის არა მარტო ეწინააღმდეგება, არამედ მთლიანად შეესაბამება თანამედროვეობის ყველა მონაცემს, რომლებიც აგრეთვე უახლოვდება მთელი სამყაროს პრინციპული ერთანობის მტკიცებას. ეს ერთიანობა უნდა გავიგოთ არა როგორც მუდმივი მატერია, არამედ როგორც ყოველივეში მწვდომი და ყოველივეს შემცველი ღვთისნიერი არსი, რომელშიც შერწყმულია მატერიალური და ინტელექტუალური სამყაროები, დამოუკიდებლად არსებული ადამიანის აზროვნების ოკეანე. ყოველივე ჭეშმარიტად არსებული, განვითარების პროცესის შედეგია, (არავითარ შემთხვევაში შექმნისა), და განვითარების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ადამიანი - მისი სული. მხოლოდ და მხოლოდ ადამიანში მომხდარი ცვლილებების წყალობით იცვლება გარემო სამყარო, ადამიანი, როგორც ღვთაებრივი არსის ნაწილი უტოლდება ღვთაებას, იგი თვითონაა ღმერთი და სამყაროს შემქმედი. ვედენტას თანახმად არ უნდა არსებობდეს უთანასწორობა არც ადამიანებსა და არც ხალხებს შორის. თანასწორუფლებიანობის დამყარებას ხელს უშლის ორი ტენდენცია - ადამიანისა და ბუნების ცხოვრებაში - გამაერთიანებელი ძალისა და დამანგრეველი ძალის განუწყვეტელი ბრძოლა. ღმერთთან ერთიანობის მიღწევა შესაძლებელია არა

ბუნების გარე სამყაროში, არამედ სულიერ სამყაროში - ინდივიდუუმის სულში. სწორედ ასევე გზა მოსპობისა გვარობრივი, კასტობრივი უთანოსწორობისა და სოციალური პრივილეგიებისა, რომელთაც ვერ გავექცევით მატერიალურ სამყაროში, გადის ადამიანის მორალური სიწმინდეზე გადის. ქვეყანა უკეთესი გახდება თუ კი ადამიანები ეცდებიან სულიერად უკეთესნი გახდნენ.

ვივეკანანდას ფართო და მრავალხმრივი რეფორმისტული მოღვაწეობა დიდხანანს არ გაგრძელებულა - შემდეგ რაც ის ჰიმალაიდან დაბრუნებული, ათი წლის შემდეგ, გარდაიცვალა ორმოცი წლის ასაკში. მან ამ წლების მხოლოდ მცირე ნაწილი გაატარა მშობლიურ ინდოეთში. 1893 წელს ჩიკაგოში გამართული მსოფლო გამოფენის გამო, გაიმართა მსოფლიო რელიგიების საერთაშორისო კონგრესი (ამი შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ჩემი თარგმანი - „სვამი ვივეკანანდა“ თბ. 1995, ნ.კ.), სადაც მომწყობი კომისიის მიერ ინდოეთიდან მოწვეული იყო „ბრაჰმოსამაჯის“ რამდენიმე წევრი, აგრეთვე ინდოელი ფარსები და ჯაინები. მეგობრებმა ვივეკანანდას შესთავაზეს რომ ისიც გამგზავრებულიყო ამერიკაში, რათა დიდი აუდიტორიისათვის მოეთხრო ვედანტური ჰინდუზმის შესახებ. ჩიკაგოში იგი ჩავიდა მოწვევის გარეშე ვივეკანანდას იქ აღარ ელოდნენ ამიტომაც კონგრესზე მოხვედრა მას დიდი ჯაფის ფასად დაუჯდა. მიუხედავად ამისა, მის გამოსვლას უსაზღვრო წარმატება ხვდა. მისი გამოჩენა კონგრესის დიდ სენსაციად იქცა.

ვივეკანანდა რამდენიმე წლით დარჩა შეერთებულ შტატებში, სადაც ვედანტური მოძღვრების გაცხოველებულ პროპაგანდას მიჰყო ხელი. ამერიკიდან ის ჩავიდა ინგლისშიც. ხოლო, როდესაც ოთხი წლის შემდეგ საბოლოოდ ინდოეთში დაბრუნდა 1897 წელს, აქ მან ჩამოაყალიბა „რამაკრიშნას მისია“, როგორც მსოფლიო ორგანიზაცია, (ყველა რელიგიების „დედის“ - ვედანტის კონცეფციის შესაბამისად) რომელსაც დედამიწის ყველა ქვეყანაში უნდა განეფითარებია მოღვაწეობა. შემდეგ წელს ვივეკანანდამ კვლავ იმოგზაურა ევროპასა და ამერიკაში, სადაც ამ დროისათვის უკვე მისი პირველი ფილიალები შეიქმნა. ამ მეორე მოგზაურობიდან, სვამი ვივეკანანდა მეტად დასწეულელებული დაბრუნდა და მალე (1902 წელს) გარდაიცვალა კიდევ.

„რამაკრიშნას მისია“, მისი დამაარსებლის - ვივეკანანდას სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდა ზრდასა და განვითარებას, მასში მრავალი ერის კაცი თანამშრომლობდა, მაგრამ ხელმძღვანელობა ყოველთვის მონაზონური თემის წევრების - ე.წ. სვამების ხელში იყო. ისინი ცხოვრობდნენ განსაკუთრებულ მონასტრებში (მათჰები, აშრამები), რომელთაგან ყველაზე დიდები მდებარეობდა ბელურში კალკატის (კალკუტის) მახლობლად. მეორე მსოფლიო ომამდე აქ აშენდა რამაკრიშნასადმი მიძღვნილი - ახალი დიდი ტაძარი, რომლის რამოდენიმე სალოცავიც დაკავშირებულია რამაკრიშნას ცოლის სახელთან (რომელასაც მორწმუნენი „წმინდა დედას“ ეძახდნენ, ასევე ვივეკანანდასა თემისა და მისიის სხვა წარმომადგენლის სახელთან. ამ მისიას ამჟამად ინდოეთის რესპუბლიკაში აქვს ოთხმოცდაათამდე ფილიალი, ხოლო საზღვარგარეთ კი ორმოცდაათამდე, ამათგან ყველაზე მეტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. იმდენად, რამდენადაც მისია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ რაიონებს, სადაც ინდოელი ემიგრანტები სახლდებიან, მას გააჩნია ფილიალები აგრეთვე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანეთშიც. მის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასკოლო განათლებასა და კულტურას, იგი ხელმძღვანელობს ათეულობით

აღმზრდელით დაწესებულებებს, საავადმყოფოებსა და ობოლთა თავშესაფარებს, ცემს წიგნებსა და ჟურნალებს, ხსნის ბიბლიოთეკებს და მართავს ლექციებს. უკანასკნელ წლებში კალკატაში აშენდა რამაკრიშნას მისიის კულტურის ინსტიტუტი, რომელიც კულტურულ და საგანმანათლებლო მუშაობას ხელმძღვანელობს.

უნდა ითქვას, რომ მისიის გავლენა და მოღვაწეობის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. მის პრესტიჟსა და პრინციპების პროპაგანდის წარმატებას რამდენადმე ხელი შეუწყო მიმდინარე სვამი ვივაკანანდას დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილმა დღესასწაულმაც, რომელიც თითქმის მთელი ერთი წელი გრძელდებდა /1963-64წ./. ეს თარიღი პრაქტიკულად აღინიშნა მთელს მსოფლიოში, რამაც ხალხის ყურადღება კვლავ მიიპყრო ვივაკანანდას ნაწარმოებებზე, რომლებსაც მრავალი თვალსაზრისით დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალურობა და მნიშვნელობა. მისი წიგნების უფრო ღრმა ანალიზმა, ჩატარებულმა მაშინდელი ეპოქის პირობების გათვალისწინებით, და მათი საზოგადოებაზე ზემოქმედების ძალამ გვიჩვენა, რომ ამ წიგნების ავტორი, ეკუთვნის ახალი ინდოეთის ყველაზე მოწინავე ადამიანთა რიცხვს.

„ბრაჰმოსამაჯი“, „არია სამაჯი“ და „რამაკრიშნას მისია“, რა თქმა უნდა არ ყოფილან ერთადერთი ორგანიზაციები, რომლებიც გაჩნდნენ გასულ საუკუნეში, როგორც გარკვეული რეაქცია ინდოეთში მიმდინარე ცვლილებებზე და მასზე გარეშე გავლენებზე. სხვა მთელი რიგი შედარებით მცირე ორგანიზაციებისა და მოძრაობების იდეოლოგიის საერთო თვისებას წარმოადგენდა ჰინდური პანთეიზმისა და გურუს კულტის ეკლექტური შერწყმა. დასავლეთის ფილოსოფიურ - რელიგიურ კონცეფციებსა და მეცნიერულ პრინციპებში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიმჩნევა ჰინდუიზმის თეისტური საფუძვლებიდან გადახრა. ამ ორგანიზაციებისა და მოძრაობების მნიშვნელობა დღეს დიდი არაა, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ქვეყნის ცალკეულ რაიონებში გააჩნიათ მორწმუნეთა გარკვეული წრე და თავიანთი ღვთისმსახურება, ან ფილანტროპული მოღვაწეობა გადააქვთ დიდი ქალაქების ულტრათანამედროვე ტაძრებში.

ნეოჰინდუიზმი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ინდოეთში

ინდოეთში XIX-XXს. დასაწყისში, როდესაც ბურჟუაზია ის-ის იყო ყალიბდებოდა და კვლავ განაგრობდა ბატონობას ფეოდალური ურთიერთობა, თავისი მდიდარი საშუალოსაუკუნოებრივი გადმონაშთებით, ამ დროს რელიგია იყო მთავარი, ზოგჯერ კი ერთად ერთი საშუალება ახალი იდეების გამოსახატავად. რელიგიური აზროვნება და გრძნობა ღრმად განმტკიცდა უძველეს რელიგიურ სისტემაში, და ეს ტრადიცია ისტორიულ განვითარების პროცესში არამც თუ არ ქრებოდა, არამედ განუწყვეტლად ცოცხლდებოდა, განსაზღვრავდა ადამიანთა ურთიერთობებს, განაგებდა მათ ქცევებსა და მოქმედებებს. ახალი, უფრო მოწინავე იდეები და მოძრაობის ახალი ხასიათი სეუძლებელია ამ რელიგიური სფეროს გარეთ წარმოშობილიყვნენ. ბუნებრივია ყველა ცდა მიმართული ქვეყნის აღორძინებისა და ინდოეთის გაერთიანებისაკენ, ასევე უცხოელ მებატონეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ყოველთვის იწყებოდა

ჰინდუიზმის რელიგიური განახლების ცდით.

ინდოეთში ბრიტანელთა ბატონობა, დასავლეთის ცივილიზაცია და წარმოების კაპიტალისტური საშუალება ინდოელი ნაციონალისტების თვალში უხეში მატერიალიზმის სიმბოლოებს წარმოადგენდა. ეს არანაკლებად აიხსნებოდა ჰინდუიზმის ჩვეულებრივი მისწრაფებით ფილოსოფიური იდეალიზმისაკენ, იგი ბადებდა შეხედულებას, რომ ინდოეთის მთავარი უპირატესობა და ძალა მდგომარეობს სულიერი ღირებულებების როლის ჭეშმარიტ გაგებაში. თუმცა შეცდომა იქნებოდა, ინდურ ნაციონალური აღორძინების უმრავლესობის წარმომადგენელთა ამ რელიგიური პოზიციის და იდეალისტური შეხედულებების მიღმა, არ დაგვენახა, მათთვის დამახასიათებელი პოლიტიკური რადიკალიზმი, და ზოგჯერ ღრმა დემოკრატიზმი და სოციალური სამართლიანობის მწვავე განცდა. განათლებულმა ინდოელებმა კარგად ესმოდათ თუ, რა წინააღმდეგობასაც წარმოადგენდა გამათავისუფლებელი ბრძოლისა და სოციალური რეფორმების გზაზე ჰინდუიზმი, რომელიც მთელი თავისი კასტობრივობით, წესჩვეულებებით, ადათებით, საზოგადოებრივი თვალსაზრისით სრულიად უპერსპექტივო და უნაყოფოა. წადილმა დაძველებული რელიგიური სისტემის შეცვლისა ნაციონალიზმისა და დემოკრატიის საკეთილდღეოდ, და სწრაფვამ რომელიც საფუძვლად ედო ამ ორგანიზაციებს რეფორმატორულ მოძღვრებებსა და მოღვაწეობაში, მათ აქტური ნაციონალური ძალის ფუნქცია მიანიჭა. სწორედ ზოგადი შეხედულება ჰინდურ რეფორმატორულ მოძრაობაზე, მთელი თავისი მრავალგვარობით საშუალებას გვაძლევს ამ მოძრაობის ცალკეული ეტაპები დავუკავშიროთ ინდური ბურჟუაზიის ეროვნული თვითშეგნების ჩასახვასა და განვითარებას, პოლიტიკურ ბრძოლას კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

პირველ ეტაპზე კოლონიალური ხელისუფლების მიმართ ჭარბობდა ლოიალობა. რეფორმაციის მომხრეები თავიანთი მასებით, ეკუთვნოდნენ იმ წრეებს, რომლებიც ეკონომიკურად დამოკიდებული იყვნენ ოსტ-ინდოეთის კომპანიაზე, და ხშირად მას ემსახურებოდნენ კიდევაც. როგორც წესი ისინი ძალიან შორს იყვნენ გაჭირვებისაგან, უბრალო ხალხზე საზრუნავსა და მათ გულისტკივი ლებისაგან. ინგლისურ კოლეჯებში ისინი იზრდებოდნენ ისეთი სულისკვეთებით, რომ მომხრეებს თაყვანი ეცათ დასავლეთ ევროპის კულტურისა და მეცნიერები სათვის, მაშინ ჯერ კიდევ ისე აშკარად არ იჩენდა თავს წინააღმდეგობები, ინდურ ბურჟუაზიასა და კოლონიალურ ადმინისტრაციას შორის, და ამიტომ ბრაჰმო სამაჯის პირველი აქციები, რომლებიც მოწოდებული იყვნენ სოციალური რეფორმების განხორციელები სათვის მხარი დაეჭირათ. ხორციელდებოდა ბრიტანული ხელისუფლების „ცივილიზატორული“ მისიისა და მისი „განათლებული“ წარმომადგენელთა დახმარების დამოწმებით. თუკი რელიგიური ლოზუნგები ივსებოდა პოლიტიკური და სოციალური შინაარსით, ეს ხდებოდა შემთხვევით, შეუგნებლად /შეუცნობლად/.

მეორე ეტაპზე ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები უფრო ნათელ სახელს ღებულობს. მისი დამოკიდებულება კოლონიალური ხელისუფლებისადმი ღებულობს კონკურენტული ბრძოლის სახეს და იწვევს უფრო მწვავე კონფლიქტს. ღრმავდება რელიგიურ-რეფორმატორული მოძრაობა, სინამდვილეში „ბრაჰმოსამაჯის“ მოქმედებებში /ყოველშემთხვევაში გარკვეული დროით/ და განსაკუთრებით კი „არიასამაჯის“, ჩნდება ამ საზოგადოებების უცხოეთისაგან იზოლაციის ტენდენციები

და სურვილი დაუპირისპირონ მათ საკუთარი ტრადიციები და ჰინდური რელიგია, თანაც „არია სამაჯის“ ლოზუნგები უკვე შეგნებულად შეაქვთ ეროვნული მოძრაობის პროგრამაში. გასული საუკუნის დასასრულს რადიკალ - კონგრესისტების ზომიერებთან შეტაკებები პირველი წარმატებებით დაგვირგვინდა, გაძლიერდა იდური საზოგადოების პროგრესული ჯგუფების ზეგავლენა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მსვლელობაზე. სწორედ ასეთ ჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი გახდა სვამი ვივეკანანდა თავისი წინასწარმეტყველებით ინდოეთის ფართო მასების გამოღვიძების შესახებ.

ასე მომზადდა იდეოლოგიურად ახალ პერიოდში გადასვლა, როდესაც ძირითადი როლი დაკისრებული ქონდათ არა წინასწარმეტყველებსა და წმინდანებს, რომლებსაც სურდათ რელიგიური რეფორმის გზით გადაეჭრათ მომწიფებული პოლიტიკური საკითხები, არამედ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი მიზნების განხორციელებისას შეგნებულად ემყარებოდნენ რელიგიას და მას საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს უკავშირებდნენ, იყენებდნენ ინდოეთის მოსახლეობის უმრავლესობის „ჰინდურ“ აზროვნებას. ასეთი მდგომარეობა სრულიად ტიპურია ინდოეთის თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრებისათვისაც.

ამგვარად, ორთოდოქსული ჰინდუიზმის რეფორმის გატარება და მის საფუძველზე ეროვნულ - პოლიტიკური ამოცანების ისტორიულად აუცილებელი გადაჭრა, არც თუ ისე იოლი საქმე იყო, რაკი მას თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნდჟა. მრავალრიცხოვანი გადმონათეების, წეს - ჩვეულებების, ჩვევების და უხეში რიტუალიზმის ძალის დამორჩილება ძალიან ძნელი აღმოჩნდა, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში კარდინალური ცვლილებები წარმოებდა თანდათანობით და ატარებდა საკმაოდ შეზღუდულ და ლოკალურ ხასიათს. ერთის მხრივ, ორთოდოქსული ძველი ასიმილაციური რეფლექსით ახალ იდეებზე, მეორე მხრივ კი იგი ტრადიციის ავტორიტეტით ზემოქმედებდა თვით რეფორმისტულ მოძრაობაზე. ყველაზე უკეთ ეს ვლინდებოდა ზოგიერთი ორგანიზაციების რელიგიური ადათ-წესების, საოჯახო და პიროვნულ რიტუალების მაგალითზე. ასევე, ის გარემოება, რომ ეროვნულ გამათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში იდეოლოგიურ ფრონტზე ძირითადი ყურადღება ეთმობოდა რელიგიურ პრობლემებს, აძლიერებდა ტენდენციას პოლიტიკური საკითხები რელიგიის საშუალებით გადაჭრილიყო. ჰინდური აღორძინება, მისი ტრადიციები, მთელი ეროვნული მოძრაობის ჰინდური ხასიათი ზოგიერთ პერიოდში, იწვევდა გარკვეულ გაუცხოებას მოსახლეობის ჰინდური ნაწილისა და არაპირდაპირი ფორმით ხელს უწყობდა კოლონიალურ ხელისუფლებას ხელოვნურად ჩამოეგდოთ შუღლი ჰინდუებსა და მუსლიმებს შორის. განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის წლებში პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც და განსაკუთრებით დღეს დამოუკიდებელ ინდოეთში, ბევრმა რამემ, რასაც რეფორმაციის პირველ სტადიაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, დაკარგა თავისი პროგრესული ნიშანთვისებები.

ამკარაა, რომ ნეოჰინდური მოძრაობის დაწყებიდანვე რელიგიურ და ეროვნულ მოძრაობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. თანმიმდევრულ, ღრმა ფიქრებს სარწმუნოების შესახებ უთუოდ უნდა გამოეწვია კრიტიკა გაქვავებული საზოგადოებრივი წყობილებისა. ვედანტური მონოთეისტური აზრი მიმართული-

ორთოდოქსულ მრავალღვთიანობის წინააღმდეგ, რელიგიური სოციალური და პოლიტიკური პრობლემების ესოდენ მჭიდრო ხლართვის პერიოდში, აუცილებლად უნდა წარმოეშვა ადამიანთა სრული თანასწორუფლებიანობის იდეა, რომელიც საბოლოოდ უნდა ქცეულიყო ინდოეთის პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლოდ. ჯერ კიდევ „ბრაჰმო სამაჯის“ დამაარსებლის რამ მოჰან რაის მოძღვრებაში, სწრაფვა რელიგიური რეფორმისაკენ განუწყვეტლად უკავშირდებოდა ბრძოლას ბენგალური საზოგადოებისა და კულტურის აღორძინებისათვის. იგი იყო პირველი, რომელმაც წამოაყენა განათლების იდეა მშობლიურ ენაზე. თავისი ნაწარმოებების წყალობით რამ მოჰან რაი გახდა პირველი ბენგალელი პროზაიკოსი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბენგალური ბეჭდვითი სიტყვის განვითარებას. რაი ძლიერ დაინტერესებული იყო საერთაშორისო საქმეებითა და საკითხებით. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს საბერძნეთის, იტალიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას. როდესაც ესპანეთში რევოლუცია მოხდა და შეიქმნა კონსტიტუციური მთავრობა, მან ამ მოვლენის საპატივცემულოდ კალკატის რატუმში დიდი მიღება მოაწყო.

ნაციონალისტური სწრაფვა, სურვილი იმისა, რომ წინ აღდგომოდნენ უცხოეთის გავლენებს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატავდა ბრაჰმო სამაჯის მოძრაობის გვიანდელ წარმომადგენელთა რეფორმატორულ იდეებში. კემაბჰონდრო სენიც კი, რომელიც ამჯერად ქრისტიანობის დიდ გავლენას განიცდიდა და იესო ქრისტეს სახით მოხიბლული იყო, არასოდეს ივიწყებდა ხაზი გაესვა თავისი ნაციონალური, ინდური მოდგმისათვის. იგი არ ცნობდა დასავლეთის, ანგლიზირებულ ქრისტეს, რომლის პროპაგანდასაც ეწეოდნენ მისიონერები, და არ უნდოდა რომ ინდოეთს თავი მოეხარა მისთვის უცხო ცივილიზაციის წინასწარმეტყველის წინაშე. მას იზიდავდა უწინდელი ქრისტიანობა, დასავლეთის მიერ ხელდაუკარებელი „ქრისტეს ცხოვრება“, - ამბობდა იგი, - ჰინდუს იდეალური ცხოვრებაა. „ფიქრი მხოლოდ ღვთაებაზე და მასთან შერწყმა ვედანტის ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი იდეაა, რომელიც გავრცელებულია მთელს ინდოეთში“. კემაბჰონდროს ესმოდა ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობა შემოღებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ბენგალელი იყო, იბრძოდა ჰინდი ენის გავრცელებაზე, როგორც სახელმწიფო ენისა. ხშირად ხვდებოდა ინგლისელებს, იგი კარგად მიიღეს ინგლისში, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ებრძოლა კოლონიალურ ადმინისტრაციის ბოროტების წინააღმდეგ. „რაც უფრო ცდილობს ინგლისი შ.) მალე დააჩოქოს ორასი მილიონი ადამიანი (ამჟამად 600 მილიონზე მეტია)., რათა ჩაკლას მათში ეროვნული ღირსება. ჩააქროს მათი დიდებული ტრადიციის ჩირაღდანი და მოსპოს მათში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, და რაკი ბრიტანეთის მიზანია, რაც შეიძლება მალე დაამყაროს ბრიტანული ბატონობა ინდოელ ხალხზე, რათა მიიღოს მეტო სარგებელი, საჭიროა მით უფრო მალე განადგურდეს ეს ბატონობა. იყავით მზად თავი შესწიროთ ქვეყნის აღორძინებას“ - მოუწოდებდა იგი თავის მოქალაქეებს მასობრივ მიტინგზე.

რეფორმისტული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლის პატრიოტულ გრძნობებზე მეტყველებს, მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში, ბომბეის „პრართჰნა სამაჯზე“, ცნობილი მართკელი იურისტისა და პოლიტიკური მოღვაწის, მაჰადევა გოვინდ რანადეს სიტყვები, წარმოთქმული ლექციაზე, ჰინდური პროტესტანტიზმის შესახებ- : „არ უნა ფიფქროთ ისე, რომ თითქოს ჩვენ მოძრაობას მხოლოდ ინგლისში

აღზრდილმა ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი და რომ იგი მოიცავს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ინგლისური აღზრდა აქვს მიღებული. ეს მოძრაობა დღევანდელ ინდოეთზე მეტი ხნისაა, მისი ფესვები ჩვენი ისტორიის შორეულ წარსულშია და მისი შესწავლა აუცილებელია იმისათვის, რომ გავიგოთ სად ვიმყოფებით და საით მივდივართ, საზღვარგარეთელებს - ჩვენთვის სისხლითა და ხორციტ უცხოებს, უნდა ვამჯობინოთ ჩვენი, ადგილობრივი ლიდერები”.

„არია სამაჯი” ატარებდა მკაფიოდ გამოხატულ ანტიინგლისურ და ანტიდასავლურ ხასიათს, რაც მისი შედარებით ფართო გავრცელების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა. ინდოელები მასში თანამედროვე განმათავისუფლებელი მოძრაობის პირდაპირ წინამორბედს ხედავენ. მრავალი ინგლისელის აზრით, ამ რევოლუციური ორგანიზაციის მიზანი ინდოეთში ბრიტანული ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში მდგომარეობდა. დღეს საზოგადოების წევრები თუმცა აცხადებენ, რომ პოლიტიკის გარეთ არიან, მაგრამ განუწყვეტლივ ხაზს უსვამენ წარსულში მის მნიშვნელობას ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მწერალი მულკ რაჯ ანანდი, რომელიც გაიზარდა იმ რაიონში, სადაც „არია სამაჯი” განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა, ამ მოძრაობას უწოდებს ისეთ მოძრაობას, რომელიც წარმოიშვა როგორც რეაქცია, ჰინდური წვრილი ბურჟუაზიის დისკრიმინაციაზე ინგლისელთა მხრიდან, რომლებიც ცნობდნენ მუსლიმანების უპირატესობას, რომელიც ისწრაფის შექმნას ჩრდილოეთ ინდოეთის წვრილბურჟუაზიული ფენები, მიმართული ბრიტანული ბატონობის წინააღმდეგ. რომენ როლანი დაიანანდის მოძრაობის დამაარსებელს უწოდებდა „ყველაზე აქტიურ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს სწრაფად იმოქმედოს ინდოელთა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების მომენტში. მისმა არია სამაჯმა, სურდა ეს მას თუ არა, გზა გაუკავა 1905 ბენგალურ რევოლუციას”.

დაიანანდს, კოლონიალური რეჟიმი, წარსული გადმონაშთების შენარჩუნების, რელიგიური რეპრესიისა და განათლების დაცემის ძირითად მიზეზად მიაჩნია. სოციალური უსამართლობისა და ჭეშმარიტი რელიგიის არსის უცოდინრობა, პოლიტიკური მონობის განადგურების გზაზე, მას ძირითად წინააღმდეგობად ესახებოდა. ამიტომ, იგი მოითხოვდა ახალი სკოლების გახსნას და ქალიშვილების აუცილებელ სწავლებას, განუწყვეტლივ ეწეოდა პროპაგანდას ჰინდი ენისას, რომელსაც იგი არიელების ენას უწოდებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჰინდი მისი მშობლიური ენა არ იყო. დაიანანდის გავლენით უდაიპურის მაჰარაჯამ თავის სამფლობელოში შეიტანა დევანაგარის დამწერლობა. წიგნში „ჭეშმარიტების შუქი”, ღირშესანიშნავი აზრია გამოთქმული: - „რაც გენებავთ ის მითხარით, მაგრამ საკუთარი ადგილობრივი მთავრობა ყველას ჯობია. უცხო ხელისუფლება, თუნდაც თავისუფალი რელიგიური სარწმუნოებისაგან, და რომელიც დამორჩილებულ ხალხს თანაბრად ეპყრობა, როგორც მშობელი შვილებს, ამ ხალხებს სრულ ბედნიერებას მაინც ვერასოდეს მოუტანს”. დაიანანდ სარასვატიმ პირველმა შემოიღო ხმარებაში სიტყვა „სავარაჯია” („საკუთარი მმართველობა”) რომელიც შემდგომში თავისუფლებისათვის ბრძოლაში მონა- წილეთა ძირითად მოთხოვნად იქცა.

რეფორმისტული ორგანიზაციის მესამე მეთაური სვამი ვივეკანანდა უკვე XX საუკუნის მრავალმხრივი მოაზროვნე იყო. თავისი თანამედროვე ზოგიერთ რეფო- რმატორთა ცდებს ის სკეპტიკურად უყურებდა. ასე მაგალითად, იგი აკრიტიკებდა რეფორმატორთა

იმ აზრს, რომ თითქოს ხალხის გადარჩენა შეიძლებოდა ქვრივთა დაქორწინების პრობლემის გადაჭრით. ვივეკანდას, ქვეყნის აყვავებისათვის მხოლოდ ერთი გზა წამდა - ფართო მასების განათლება. ცნებები „მასები“, „ხალხი“, „პროლეტარიატი“ და მათი სპეციალური ექვივალენტი „შუდრა“ სულ უფრო ხშირად ჩნდება მის ნაწარმოებებში. მოგვიანებით იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომელიც მხოლოდ ორმოცი წლის მერე გააკეთა დიდმა ბენგალელმა პოეტმა რაბინდრანათჰ თაგორმა. „დადგება დრო, როდესაც ხელისუფლება შუდრების საკუთრება იქნება“.

ვივეკანანდას მსოფლმხედველობაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ახალმა პოლიტიკურმა იდეებმა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპაში ხანგრძლივმა ყოფნამ კი გააფართოვა მისი პოლიტიკური ჰორიზონტი. მას კავშირი ჰქონდა ინდოელ ნაციონალისტებთან და კონგრესის ხელმძღვანელებთან, მოძრაობის საკითხებს იხილავდა ისეთ უკიდურეს ნაციონალისტებთან, როგორც იყო ბელ განგადჰარ ტილაკი, რომელიც პარიზში დაუახლოვდა რუს ანარქისტს - კროპოტკინს. ამ უკანასკნელმა ტილაკი დააინტერესა უტოპიური სოციალიზმის იდეებით. ტილაკი იბრძოდა ინდოეთის სულიერი იზოლაციის წინააღმდეგ, მსოფლიოს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევების გამოყენებისათვის.

თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ვივეკანანდა შთაგონებული იყო ხალხის ხვედრის გაუმჯობესების იდეით - ამაში იგი მილიონობით ხალხს გულისხმობდა და არავითარ შემთხვევაში უმაღლესი ფენების ერთ მუჭა წარმომადგენლობას. იგი პატივისცემით ლაპარაკობდა გმირობაზე ინდოეთის „პროლეტარიატისა“, რომელიც საუკუნეების მანძილზე განიცდიდა დაწოლას და ექსპლუატაციას, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საზოგადოება დამყარებულია მისი შრომის ნაყოფსა და შედეგებზე. ვივეკანანდა იყენებდა ტერმინებს „პროლეტარიატი“ და „შუდრა“, მათი ყველაზე ფართო გაგებით. მისმა შეხედულებებმა საზოგადოებრივი მნიშვნელობაზე და უმაღლესი კლასების ცხოვრების პარაზიტულ ხასიათზე (მათ იგი ფიზიკურად და მორალურად მკვდრებს უწოდებდა), ნამდვილად გაამდიდრა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგია, და გასაკვირი არაა, რომ ვივეკანდას ნაწარმოებმა ძლიერი გავლენა იქონია უფრო გვიანდელი პერიოდის მრავალ ინდოელ რევოლუციონერზე, იმ აზრმა, რომ ინდოეთის მასები, ქვეყნის სიმდიდრის ერთადერთი პატრონი და შემქმნელები არიან, წარმოიშვა რწმენა, რომ ბრიტანელი კოლონიალურ ბატონობაში იმალება სიღარიბის ნამდვილი მიზეზი იმ ხალხისა, რომელსაც წაართვეს თავისი შრომის ნაყოფი.

ჯერ კიდევ ჩიკაგოს კონგრესზე ვივეკანდა მიხვდა ქრისტიანული ეკლესიის ცბიერებას კოლონიალური ქვეყნების მიმართ და იმთავითვე თავის ერთ - ერთ საჯარო გამოსლაში აღნიშნა : „თქვენ ქრისტიანებს გიყვართ მისიონერების გაგზავნა კერპთაყვანისცემლების სულის გადასა რჩენად მაგრამ, რატომ არ ცდილობთ ისინი შიმშილისგან გადაარჩინოთ, სიკვდილს გადაარჩინოთ? ინდოეთში შიმშილის დროს ათასობით ადამიანი გაწყდა, თუმცა თქვენ, ბრიტანელებს მათთვის არაფერი გაგიკეთებიათ. შეურაცხმყოფელია მშიერ ხალხს შესთავაზო რელიგია, შეურაცხმყოფელია მშიერს დაუწყო მეტაფიზიკის სწავლება... მე აქ მოვედი იმისათვის, რომ დავეხმარო ჩემს უბედურ ხალხს, მაგრამ მე ვხედავ, თუ რა ძნელია ქრისტიანულ ქვეყანაში, კერპთაყვანისმცემელთათვის მიიღო დახმარება. მას არ დარჩენია შეუმჩნეველი დასავლეთ ევროპის სოციალური ურთიერთდაპირისპირებანი და

დასავლეთის კონტრასტების, კაპიტალი სტების ხელში სიმდიდრის დაპოლიტიკური ძალების დაგროვება, და ამით წარმოშობილი საშიშროება, რომელიც უბრალო ხალხს უქადდა. იგი თავის თანამემამულეებს აფრთხილებდა: „ამ ხალხს უდიდესი ძალა გააჩნია და მას შეუძლია სისხლით მორწყოს დედამიწა... დასავლეთში ბატონობს ერთი მუჭა შეილოკებისა. ყოველივე რაც გესმით კონსტიტუციური მმართველობა, დამოუკიდებლობა, თავისუფლება, პარლამენტი - ეს მხოლოდ დაცინვაა“. ამავე დროს იგი მოგვითხრობს ამერიკისა და ევროპის ხალხების საბრძოლველად გამოღვიძების შესახებ. ინდოეთის მუშათა კლასის პირველი გაფიცვები, მისი აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ იგივე მოხდება ინდოეთშიც. მას მტკიცედ სწამდა, რომ ყველა ქვეყანაში შუდრების კლასი იბატონებდა. ვივეკანანდა თავის თავს სრულიად გულწრფელად უწოდებდა სოციალისტს და სოციალიზმი, სოციალური გარდაქმნისათვის, მოწინავე მოძრაობად მიაჩნდა, იგი გრძნობდა რევოლუციის მოახლოებას, მაგრამ მისმა რელიგიამ და ფილოსოფიურმა იდეალიზმმა მას ხელი შეუშალა უფრო წინ წასულიყო მოძღვრებაზე ცვლილებებს აუცილებლობისა და ხალხთა მასების შეგნების გამოღვიძების შესახებ.

ვივეკანანდას შეხედულებებმა, რომლებიც ეხებოდნენ ჰინდური საზოგადოების სოციალურ პრობლემებს, გამოხმაურება ჰპოვეს მის თანამედროვე და ინდოელ ნაციონალისტებში: შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ეროვნულ - გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, ნაციონალისტური კონგრესის პოლიტიკურ პროგრამაზე და მაკათმა განდის მსოფლმხედველობაზე. ინდოეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა ახალგაზრდა თაობა ვივეკანანდაში ხედავდა არა მარტო რელიგიურ მოაზროვნესა და ფილოსოფოსს, არამედ ეროვნულ გმირს, პატრიოტს, თავისუფლებისათვის მებრძოლასა და ინდოეთის პრესტიჟს. „ის იყო პოლიტიკოსი ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით - წერდა ჯავაჰარლალ ნერუ, - მე ვფიქრობ ის იყო ინდოეთის თანამედროვე, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი დიდი ფუძემდებელი, და ისინი, რომლებიც მეტად, თუ ნაკლებად აქტიუად მონაწილეობდნენ ამ მოძრაობაში და პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ზეგავლენით, სვამი ვივეკანანდას იდეებით იყვნენ შთაგონებული. მან უზარმაზარი გავლენა მოახდინა დღევანდელ ინდოეთზე.

რამაკრიშნას რელიგიური მისიის მოძრაობისა და სვამი ვივეკანდას მიერ უძლიერესი თემის შექმნით არ ამოიწურება რეფორმატორული ცდები, რომლებიც ხელს უწყობდნენ გამანთავისუფლებელი მოძრაობების განვითარებას და მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული პოლიტიკურ ცხოვრებასთან. მაგალითად ისეთ პოლიტიკოსთა რიცხვს, რომელიც თავს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ემყარებოდა უშუალო ჰინდუიზმის მემკვიდრეობასა და ისტორიულ ტრადიციებს, ეკუთვნის ცნობილი მართჰელი რადიკალი ინდოეთის მასშტაბით და ეროვნული ლიდერი ბალ განგადჰარ ტილაკი (1856-1920). ეს ექსტრემისტული რელიგიური ნაციონალიზმის წარმომადგენელი ვედანტური მოძღვრების მომხრე იყო, ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში, მან გადმოსცა „ბჰაგავადგიტას“ საკუთარი ინტერპრეტაცია, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ ინდოეთში.

ჰინდუიზმის მრავალი ფილოსოფოსი და რეფორმატორი, რომელიც არავითარი ორგანიზაციისა და საზოგადოების წევრი არ იყო და თავის მოძღვრებას მხოლოდ საკუთარ აშრამაში ქადაგებდა, მონაწილეობას ღებულობდა გამათავისუფლებელ

მოძრაობაში და ძალიან დაახლოებული ვივეკანანდასთან. ამგვარი ჯგუფის ყველაზე ცნობილ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა აურაბინდო გჰოში (1872-1950), რომელსაც განსაკუთრებით აინტერესებდა ჰინდუიზმის პრაქტიკა. მსგავსად ვივეკანანდასი, იგი მიისწარფვოდა მსოფლიო რელიგიურ სითეზისაკენ. მან, ბენგალელმა ბრაჰმანმა, თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო გასული საუკუნის მიწურულს, როგორც რადიკალური ნაციონალისტმა, თავის პუბლიცისტური და კონსპირაციული საქმიანობისათვის ჩვენი საუკუნის დასაწყისში უკვე ციხეში იჯდა. იგი ხედავდა აგრეთვე, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის ნამდვილ გასაღებს წარმოადგენს ბედი პროლეტარიატისა, რომელიც იმყოფება უმეცრებასა და გაჭირვებაში, სიღარიბისა და გაუნათლებლობის ლიკვიდაცია მას მიაჩნდა ეროვნული მოძრაობის პირველ და უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

ჰინდური რელიგიურ - რეფორმატორული გავლენა აშკარად დაეტყო მოჰანდას კარამჩანად განდის (იგივე მაჰატმა განდის) რელიგიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. მასში გაერთიანებული იყო ჰინდუ - ასკეტის რელიგიური მოაზროვნის და თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის თვისებები და ღირსებები. ეჭვი არაა რეფორმატორთა სწრაფვა ინდოეთის მოსახლეობის ფართო მასებს მთლიანად არ შეხებია რაც სრულიადაც არ ჩრდილავს მათ დამსახურებას. რეფორმატორებმა პირველმა შეიტანეს ინდოეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაციონალურ და ლიბერალურ - დემოკრატიული იდეები და კოლონიალური რეჟიმი ულმობლად გააკრიტიკეს, რითაც ხელი შეუწყვეს ინდოეთის საზოგადოებაში პატრიოტიზმის გრძნობის გაღვიძებას. რეფორმატორულმა მოძრაობამ ნიადაგი მოამზადა ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ეტაპისათვის და ხელი შეუწყო წინ წამოწია პრინციპები, რომლებიც ეხლა პიროვნებისა საზოგადოებრივი ცხოვრების თანთადათანობითი დემოკრატიზაციისა და იმ პოლიტიკური პროგრამის შემადგენელ ნაწილად იქცა, რომელიც გამყარებული იყო თავისუფალ ინდოეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით.

თავისუფალ ინდოეთის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის გეგმიანი განვითარების და თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლის დემოკრატიული ფორმების პირობებში, რელიგიურ - რეფორმატორული მოძრაობა კარგავს თავის უწინდელ პოლიტიკურ მნიშვნელობას. თუმცა ჰინდუიზმი, ახალ პირობებშიც, ძირითადი მსოფლმხედველობის საფუძველად და მილიონობით ინდოელთა იდეურ პლატფორმად რჩება. თავად ეს ფაქტი განსაზღვრავს ჰინდუიზმის რაფორმის მნიშვნელობას ინდოეთის ბურჟუაზიის იდეოლოგიისათვის და მის როლს როლს ინდოეთის პოლიტიკური განვითარებისათვის უახლოეს მომავალში.

ჰინდური კალიედოსკოპი

წმინდა მდინარეები

წყალი უყვართ ყველგან, არა მარტო მეთევზეებსა და მოცურავეებს, რომელთათვისაც

ის საარსებო თუ სიამოვნების წყაროა. ჭყლის დონით დაინტერესებულია როგორც ნაოსნობა ასევე საოფლო სამეურნეო, სამრეწველო და ენერგეტიკის ორგანიზაციები და ა.შ. მაგრამ წყალს ისე, როგორც წმიდათაწმიდას მსოფლიოში არსად არ ეპყრობიან ისე, როგორც ინდოეთში. ამის მიზეზს გაიგებს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც უნაკავს ინდუი ზხაფხული, მისი გადამხმარი ყანები, მოწყურებია და განუცდია წყლის მწვავე დეფიციტი.. წყალი ინდოელებისათვის არა მარტო სიამოვნებაა, არამედ კურთხევაა, თვით სიცოცხლე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. არაფერია იამზე სასიხარულო, უთავბოლო გვალვიანი თვეების შემდეგ, როდესაც უძირო ლურჯი ცის კამარაზე ღრუბლები გამოჩნდება, ხალხი მაშინ წვიმის მეტს არაფერს ნატრობს. ბრაჰმანები ლოცვებით მიმართავენ ღმერთს, სხვები თავის ვედრებას ცეკვითა და სიმღერებით გამოხატავენ. გასაკვირი არაა, რომ ინდოელები თაყვანს ცემენ თითქმის ყოველგვარ წყაროს, სატადრო აუზსა თუ ღელეს. მაგრამ არც ერთი მდინარის წყალი, ან რაიმე წყალი არ არის ისეთი ცხოველმყოფელი და საშიში, როგორც ინდოეთის წყლები, მდინარეები, რომლებიც სახელგანთქმული არიან თავიანთი ჭირვეული ხასიათით, როდესაც ისინი აბოზოქრდებიან და წალეკავენ ხოლმე ყანებს, წარეცხავენ სახლებს, ადამიანებს, საქონელს, ანადგურებენ ყველაფერს, რაც კი ხვდებათ გზაში. ამავე დროს მოაქვთ სინოტივე, გვკვებავენ, გვამლევენ ენერგიას და გვწმენდენ ისინი დამლუპველნიც არიან და კეთილმოქმედნიც, სწორედ ამიტომ ინდოელებისათვის ისინი წმინდანი არიან.

წმინდაა ყველა მდინარე, ეს იქნება ჯამნა, ტისტა, გოდავარი, ტაპტი თუ რომელიმე სხვა, მაგრამ ყველაზე წმინდა ის მდინარეებია, რომელთა სათავეებიც ჰიმალაის მთებშია. იმ დროს, როდესაც პანჯაბში არიელი დამპყრობნი გაჩნდნენ, ასეთ მდინარეებს ეკუთვნოდნენ სინდჰუ („ინდი“ ამ სახელწოდების რუსული-დამახინჯებული კალკაა ნ.კ.) და ლეგენდარული სარასვატი, რომლის ნაპირებზე ამავე სახელწოდების ქალღმერთს სცემდნენ თაყვანს. მოგვიანებით დაშრა- სარასვატი, რომელმაც ლეგენდის თანახმად, ვეღარ გაუძლო ზნედაცემულობის ცქერას - ზნეობამ კი უთუოდ დასაბამიდანვე დაიწყო დაცემა - სარასვატი გაქრა დედამიწის ზედაპირიდან და ამჯობინა მიწის ქვეშ ედინა, მიწისქვეშა ქვეყნის ყველა მკვიდრის სასიხარულოდ.

მოგვიანებით არიელები უფრო შორს შეიჭრნენ აღმოსავლეთში და მდინარე განგას ნაყოფიერ ველზე დასახლდნენ. მდინარე განგამ ინდოეთის მდინარეების პანთეონში საფუძვლიანად დაიკავა პირველი ადგილი. რა თქმა უნდა (ინდოეთში, სადაც ყოველივეს ღვთაებრიობასა და ზებუნებრიობას მიაწერენ სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, ეს მდინარე ღვთაებრივი წარმოშობისაა, და ყოველთვის მიწაზე არ მიედინებოდა: მთის სამეფოს მეფე ჰიმავეანტისა და მისი მშვენიერი მეუღლის მენის ქალწული, თავისი წყლებით თითქოს სამოთხის ნაპირებს ბანდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ აიოდჰიას სახელმწიფოს საგარის სამოცი ათასი ვაჟიშვილი, ღმერთების მეფემ - ინდრამ ფერფლად აქცია, მაგრამ მათი გაცოცხლება მხოლოდ განგას წყალმა შეძლო. მაშინ მეფე, მისი ქალიშვილი და შვილიშვილის შვილი ცოდვების მოსანანიებლად გზას გაუდგნენ, მაგრამ ამაოდ: ღმერთმა ბრაჰმამ მდ. განგას უბრძანა დედამიწაზე ჩამოსულიყო. მდინარემ, რაკი მას ძალიან არ უნდოდა ციდან ჩამოსვლა, გადაწყვიტა ციდან თავისი ვარდნის ძალით დედამიწა ნამსხვრევებად ექცია, მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა შივა და მისი ძალა. შივამ თავი შეუშვირა მდინარეს (განგას), რომელიც ციდან ვარდებოდა. მდინარე შივას გრძელ თმებში გაეხვია, დიდხანს იწვალა იქ და დაიღალა.

გამოხდა დიდი ხანი, ვიდრე განგი შივას თმებში გამოსავალ გზას იპოვნოდა, შემდეგ, წყნარი და დამშვიდებული განგა დედამიწაზე „მშვიდ - დინებად“ ჩამოვიდა, ერთ - ერთმა შესართვმა გარდაცვლილი „საგარის შვილების ფერფლი“ გარეცხა და ისინი გააცოცხლა.

ასეთი ძალის მქონე მდინარეს ინდოელები, დღესაც მიმართავენ საშველად. ძველთაგანვე მდ. განგი წარმოადგენს მიწიერი მოგზაურობის მიზანს, მართლმორწმუნე ჰინდუებისათვის, რომლებიც მუდამ ცდილობენ განიბანონ ცოდვებისაგან და მიაღწიონ ცხოვრების წრებრუნვას. ბოლოს ყოველივე მათგანის ოცნებაა სიკვდილის შემდეგ მდინარე განგას ნაპირზე დაწვან და მათი ფერფლი მასში ჩაყარონ. რა თქმა უნდა ყველაზე უფრო ჰინდუები სიკვდილს ამჯობინებენ ბენარესში - შივას დიდებულ ქალაქში. აქ დიდი გზის გავლის შემდეგ მოედინება განგა -გამჭვირვალე მთის წყალი, რომლის სათავე პატარა გამოქვებულშია და „ძროხის სახე“ ქვია. გამოქვებული ყინულოვან განგოტრის კლდის ძირში მდებარეობს. აქ წყალი გრანიტის კიდეებზე გრიალით მოედინება და ველზე მღვრიე მდინარედ იქცევა. მის ნაპირზე სანიშნო ბოძებივით დგანან ცნობილი სამომლოცაო ადგილები - დევაპრაიაგი. ჰარდვარი და ალაჰბადი (მუსულმანების მიერ გადარქმეული ძველინდურ „პრაიაგი“), მეტად მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი, რომელიც განთავსებულია სამი მდინარის განგას, ჯამნასა და „უხილავ“ სარასვატის შესართავთან. ინდოეთში (ჩვეულებრივ მდინარეთა შესართავები) წმინდა ადგილებად ითვლება, მაგრამ ზემოხსენებული შესართავები ინდოეთში ყველაზე წმინდა ადგილებადაა აღიარებული.

მაგრამ ყოვლივეს ჩრდილავს ქალაქ ბენარესის სახელი, თავისი სახელგანთქმული გჰატებით (მდინარესთან მისადგომები), აურაცხელი ტაძრებით, უთვალავი მომლოცავებითა და განგის წმინდა წყლით. მომლოცავები მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ მდინარეში ყრიან სარიტუალო კოცონზე დამწვარი მიცვალებულის ფერფლსა და მის თბილ ნარჩენებს, მასში ბანაობენ, გაგის წყალს სვამენ და შინაც მიაქვთ მისი წყალი, რათა მიაწოდონ მათ, ვისაც წილად არ ხვდა ბედნიერება მომლოცაობა აქ შეესრულებინა.

ჰინდუთა ტაძრები

ინდური პეიზაჟი წარმოუდგენელია ტაძრების გარეშე. ტაძარი ამ ქვეყნის ერთ-ერთი მახასიათებელია, იგი ანიჭებს ინდოეთს თავისებურ, განუმეორებელ კოლორიტს და მომხიბვლელობას. უკიდევანო ველებზე მათი ქონგურები ცას წვდება, ზოგან კი გორაკებზე აღმართული ტაძრები, ან მაღალი მთების ჩრდილში იმალებიან თიქოს. ზოგი მათგანი უკაცურ ადგილებში დგას, მივიწყებულნი, რომელთა დიდება შორეულ წარსულს ეკუთვნის, ზოგი მათგანის სახელი კი დღესაც ქუხს, როგორც სამომლოცაო ადგილისა.

უმრავლესობა ტაძრებისა მიძღვნილია ჰინდური ღმერთებისადმი. ეს ტაძრები ზოგჯერ წარმოადგენს მთელ ქალაქს, სადაც მორწმუნენი ინდოეთის ყველაზე შორეულ კუთხეებიდან მოედინებიან. ინდოეთში ყველაზე ცნობილი და წმინდა ქალაქებია: ბენარესი, ჰარდვარი, კანჩიპურამი, მათჰურა, დვარაკა, აიოდჰია, ეს ქალაქები რუქებსა

და ცნობარებზე აღნიშნულია, როგორც კლასიკური სამომლოცაო ადგილები, რომლებიც მართლმორწმუნე ჰინდუებმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა მოინახულონ, ხოლო ჩვეულებრივად ცნობილი ტაძრების რიცხვი, გაცილებით მეტია. ტაძრები პოპულარობით ერთი მეორეს არ ჩამორჩებიან. არანაკლებ საინტერესო სანახავია ტაძრები: ბჰუბანეშვარსა და პუნაში (ურისას შტატი), სომნათჰში (გუჯარატის შტ.), კალკუტაში (დასავლეთ-ბენგალია) მაისურში, ჰაიდარაბადში, ინდოეთის ნებისმიერ შტატში. ქვეყნის ყველა რაიონშია ტაძარი, რომელთანაც რაიმე ძველი ინდური ტრადიციაა დაკავშირებული. ტაძარში დგას ქანდაკება, ან სიმბოლო ცნობილი ღმერთებისა, რომელთაც ლეგენდების თანახმად, ზებუნებრივი ძალა გააჩნია.

ტაძრების კედლებს ამშვენებენ ბარელიეფები და ფრესკები. მეტად მომხიბვლელია შუა საუკუნეებში ნაგები ტაძრები. სამხრეთ ინდოეთში, როგორც წესი მათ კონუსური ფორმა აქვთ, ხოლო ჩრდილოეთ ინდოეთის ტაძრებისათვის დამახასიათებელია მაღალი კოშკური ფორმა გარშემორტყმული პატარა კოშკურებით. ტაძრის შუაგულში განსაკუთრებული ბნელი ოთახია, სადაც დგას ღვთაების ქანდაკება ან სიმბოლო. ეს სალოცავი ადგილი სხვა სათავსოებთან დაკავშირებულია დერეფნებით, მაგრამ ზოგჯერ იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამყოფელს, რომლის შესასვლელი ჩვეულებრივ დაკეტილია. სალოცავი სათავსოს ამგვარი დაგეგმარება (განლაგება) ძირითადად ერთნაირია ყველა ტაძარში, როგორც ძველში, ასევე ახლებშიც. მათი ვარიანტები არ ცვლიან საერთო გეგმასა და სათავსოების განლაგებას, განსხვავება მათ შორის შეიძლება შეინიშნოს მხოლოდ ტაძრის მოყვანილობაში, ნაგებობის სიმაღლისა და ქანდაკებების მორთულობაში.

ჩრდილოეთ ინდოეთში შედარებით ნაკლებად შემორჩა ძველი ტაძრები: ბევრი მათგანი განადგურდა მუსულმანების მიერ. სამაგიეროდ სამხრეთ ინდოეთი - არქიტექტურისა და ქანდაკებების ნამდვილი მუზეუმი. ტაძრები მოჩუქურთმებულია შიგნიდანაც და გარედანაც - საძირკველიდან გუმბათამდე. ყოველი ტაძარი სინამდვილეში წარმოადგენს ერთიან ქანდაკებას, ჰინდური ქვია ღვთაებების სამყაროს, აღბეჭდილს არაზუნებრივი სიმშვიდისა ან მოძრაობის მდგომარეობაში. კედლებზე ძნელი საპოვნელია ისეთი ადგილი, რომ არ ამშვენებდეს მცენარეული ორნამენტი, რაც ტიპურია ყველა სამხრეთ ინდური სტილისათვის - ფალაურისათვის, რომელსაც ეკუთვნის VI-VII საუკუნეების ცნობილი ტაძრების კომპლექსი მაჰაბალიპურამსა და კანჩიპურამში, და გვიანდელი ავაღურის IX-XIII რომლის საუკეთესო ნიმუში - შივას ტაძარი ტანჯავურში პანდიურისათვის კი საყოველთაოდ ცნობილი ტაძრები მადურაისა და შრიარანგამში. უკანასკნელ სტილს დროის თვალსაზრისით წარმოადგენს ბიჯაიანგარული, ყველაზე მეტად ცნობილი ძეგლები XVI საუკუნეს ეკუთვნის. ისინი გამოირჩევა ორნამენტების სიუხვით, შესრულების შეუდარებლად დახვეწილი სტილით.

ჩრდილოეთ ინდოეთში შემორჩენილი ტაძრები აგებულია მოგვიანებით და გაცილებით ერთფეროვანია. აქ არქიტექტურული და სამშენებლო ხელოვნების ყველაზე საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს X-XIII საუკუნის ურისულ ოსტატთა ქმნილებები, რომლებიც ძირითადად თავმოყრილია ბჰუბანეშვარში. ურისულ მხატვრებისა და მოქანდაკეების მთავარ თემას წარმოადგენდა შივა, მას მიეძღვნა ბჰუბანეშვარის ყველა ტაძრები. ამათგან დღეს შემორჩენილია დაახლოებით 500-600 ნაგებობა, ეს უკანასკნელი

მორთულია ქანდაკებებით, მაგრამ სამხრეთ ინდურ ტაძრებთან შედარებით ბევრად ღარიბულად. აქ ნაკლებად ვხვდებით დეკორატიულობას, სამაგიეროდ მეტია კლასიკური გამოსახულებები, განსაკუთრებით ქალებისა. როგორცაა - „დედა შვილით ხელში“ და „ქალიშვილი წერს წერლის“.

ამავე სტილშია აგებული ცნობილი „ჯანგანათჰის რაძარი“ პურიში. ძალიან პოპულარულია „მზის ტაძარი“ კონარაკში XIII ს. ოდესღაც იგი ინდოეთის ერთ - ერთ ულამაზეს და უდიდეს ნაგებობად ითვლებოდა. მისი მაღალი კოშკი დიდი ხანია დანგრეულია, მაგრამ ტაძრის უზარმაზარი შუაგული შემორჩენილია. ძირითადი ადგილი ეროტიკულ თემას უკავია: გარდა ჰინდური ღმერთებისა და ქალღმერთების ჩვეულებრივი გამოსახულებებისა - კლასიკურ პოზაში. ასახულია აგრეთვე ღვთაებრივი არსებები - როგორ ეტრფიან ერთიმეორეს, ან ასრულებენ ვნებით აღსავსე ცეკვებს. თავისი მოტივით ეს ტაძარი გვაგონებს „ქჰაჯურაჰოსა“ და „ბუნდელაქანდის“ X-XV საუკუნის ტაძრებს. ეს უკანასკნელი ურისულ ტაძრებთან შედარებით მცირე ზომისაა და დაბალია, მაგრამ ქანდაკებების სიუხვით მათ არ ჩამორჩებიან. ნაგებობა მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არ გააჩნია დერეფნები, რომლებიც სათვასოებს ერთი მეორესთან აკავშირებს. მისი წაწვეტებული ინტერიერები დასრულებულია, ხოლო სვეტები კი თითქოს ხისგანააო გამოკვეთილი. ამ ქანდაკებების თემაა - ახალი ცხოვრების დაწყების განდიდება და ქალისა და მამაკაცის ინტიმური ურთიერთობები., იშვიათი რეალისტურობითაა შესრულე ბული უსასრულო მწკრივი კანდაკებებისა ღვთაებრივი მოცეკვავეების და ციური დამკვრელებისა საყვირებითა და წინწილებით ხელში., ამ ტაძრების წარმოშობის შესახებ ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა, აქ მომლოცავთ მთელი მასა იყრის თავს, მაგრამ აქ ხშირად მოდიან დასათვალიერებლად ცნობისმოყვარე ტურისტებიც, რომელთა ყურადღებასაც იპყრობს ტაძრებისა და ქანდაკებების იშვიათი თემატიკა.

ბაიადერთა რომანტიკა

ვინ არ იცის, რომ ინდოეთში ღმერთებისა და „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ გასართობად არსებობდნენ ბაიადერები - ტაძრის მოცეკვავეები. ამიტომაც მყისვე გვახსენდება გოეთეს ლექსი - „ღმერთი და ბაიადერა“ და ოდესღაც სახელგანთქმული ფრანგული ბალეტი ამგვარ თემებზე. ჯერ კიდევ 1598 წელს ლინდსჰოტენი მოგვითხრობდა „კერპთაყვანისმცემელ მოცეკვავე ქალიშვილებზე, რომლებსაც ბაიადერებს ეძახდნენ“. სიტყვა „ბაიადერა“ ბაიბოდერიო - პორტუგალიური წარმოშობისაა და მთელს ევროპაში იგი ფრანგული სიტყვის „ბაიადერა“-ს გზით გავრცელდა, ხოლო ინსტიტუტი ტაძრის მოცეკვავეებისა რომლებიც ღმერთებსა და ქურუმებს ემსახურებოდნენ ისევე ძველია, როგორც თვით სამხრეთის დიდი ტაძრები.

ეს ინსტიტუტი გაჩნდა ქვეყნის ტამილელთა ტერიტორიაზე, „პალავთა“ დინასტიის პერიოდში დაახლოებით VII საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე და იმ დროიდან მრავალი ცნობა შემორჩა მონებისა და დევადესების შესახებ (მათზე მეტყველებს ლიტერატურა, ქანდაკება და ფერწერა) ერთ-ერთი ისტორია, მზეთუნახავ შივაკამის შესახებ, დამყარებული ნამდვილ ამბავზე. რომანის ძირითად თემად გამოიყენა

თანამედროვე ცნობილმა ტამილელმა მწერალმა რ. კრიშნამურტი კალიმ. იგივე ისტორია - სავსე ტრაგიზმით გადაკეთებულია პიესად და იდგმება მადრასის ერთ-ერთი წამყვანი თეატრის სცენაზე.

სამხრეთ ინდური ტაძრების ზრდასა და გაძლიერებასთან, კულტისა და რიტუალის განვითარება-გართულებასთან ერთად, იზრდებოდა დევადასთა მნიშვნელობა და რიცხვი. ჩოლოთა დინასტიის ცნობილი ტამილელი მეფის რაჯა რაჯ პირველის მმართველობის წლებში. ტანჯავურის ტაძარში ოთხასამდე მოცეკვავე ქალი იყო, როგორც პირველწყაროებიდან ირკვევა, ეს ქალები საკმაოდ შეძლებულნი იყვნენ - თითოეულ მათგანს ქონდა სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელიც წლიურად ას ფუთამდე ბრინჯის მოსავალს იძლეოდა.

როგორღა წარმოიშვა დევადასის - ტაძრის მოცეკვავეთა და კურტიზანების სისტემა? რა თქმა უნდა, იგი გაჩნდა ძველი დრავიდული საღრეობო ცეკვებისა და რიტუალური თავშეყრის ფაქტორებით, რომელსაც ადგილი ქონდა სისხლიანი მსხვერპლის გაღებისას, რაც დაკავშირებული იყო მორწმუნეთა წარმოდგენაში მაგიასა და მიწის მოსავლიანობის, საქონლისა და ადამიანების განაყოფიერებასთან. მათ, აქ პოვეს გამოხატულება, სწორედ, როგორც მატრიარქატის გადმონაშთებმა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ეძლეოდა, განსაკუთრებით მოგვიანებით, წმინდა რიტუალურ ეკონომიკურ და კულტურულ მომენტებს. ათობით იოლად ხელმისაწვდომი, სასიყვარულო საქმეებში გაქნილი ტაძრის მოცეკვავე ქალი, თავისი სილამაზით, იზიდავდა მდიდარ მომლოცავებს. აქვე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, განათებულ და ლამაზ ჰეტერათა კულტურულ-ესთეტიკური მნიშვნელობა. დიდი ტამილური ტაძრების „დევადასებს“ (ტაძრის მოცეკვავე ქალები), მრავალი წლის მანძილზე ეკავათ სოციალური მდგომარეობა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ქურუმ ქალთა მდგომარეობას როგორც აფროდიტეს - კორინთოს ტაძარში და ჰეტერათა როლს საბერძნეთის საზოგადოების ცხოვრებაში.

მრავალი დევადასთაგან, ხდებოდა ცნობილი მოცეკვავე, მომღერალი, პოეტი, საზოგადოების დიდგვაროვან და მდიდარ პირთა დაქირავებული მეძავი. დრავიდული ინდოეთის ეს სისტემა უმრავლეს შემთხვევაში დაკავშირებული იყო პროსტიტუციასთან. დევადასები ბრაჰმანთა საყვარლები იყვნენ, ისევე, როგორც ქურუმების, „საუკეთესო“ მომლოცავთა და ტაძრების მეპატრონეებისა. ისინი, ჯერ კიდევ მცირე ასაკში, ჯვარს იწერდნენ ღმერთებთან და „საქორწილო ღამეს“ ატარებდნენ ტაძარში, სადაც ღმერთის „პრაქტიკულ როლს“ ბრაჰმანი ასრულებდა და შემდეგ განაგრძობდნენ შრომითა და ჯაფით სავსე ცხოვრებას, თუმცა, რაც ზოგჯერ მათ განცხრომისა და სიამოვნების წუთებსაც ანიჭებდა.

რატომ, და რანაირად ხდებოდა ქალწული, ტაძრის მოცეკვავე? ამას მრავალი მიზეზი ქონდა. მაგალითად, კანნადის მაისურში (სადაც მოსახლეობის ძირითადი ენაა „კანნადა“) , (იგულისხმება დღევანდელი მიესურის შტატი, ამ ენას ასევე „კანარასც“ უწოდებენ ნ.კ.) საკმარისი იყო ქალიშვილს კურთხევა მიეღო ტაძარში, თუ ვაჟის გაჩენის იმედი აღარ ქონდა, რომ ოჯახის ქონების მემკვიდრე თავად ხდებოდა და უფლება ეძლეოდა გარდაცვლილი მშობლების დასაფლავების რიტუალიც კი შეესრულებინა. ტაძრის როსკიპს - ბასავს, შეეძლო თავისთვის საყვარელი გაეჩინა, მაგრამ მას მაინც

უნდა ეცხოვრა მამის სახლში, ხან ტაძარში და მისი შვილები, მამის ოჯახს ეკუთვნოდა, ვაჟი დედის ქონების მემკვიდრედ და გვარის გამგრძელებლად რჩებოდა, ხოლო ბასავი კი ხდებოდა ჰეტერა.

არც ისე იშვიათად, მშობლები ტაძარში აზიარებდნენ ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს, ან გასათხოვარ ქალიშვილს, ზოგჯერ აქ აღთქმას იძლეოდნენ, რომ ავადმყოფ ქალიშვილს სამუდამოდ ტაძარს მიუძღნიდნენ, თუკი გამოჯანმრთელდებოდა იგი. ტაძრის მოცეკვავე ქალის ინტიმური ცხოვრება სხვადასხვა გზით მიდიოდა - მათ ხანმოკლე კავშირი ქონდათ ტაძარში შემთხვევით მომსვლელებთან, ან მრავალწლიანი ურთიერთობა ბრაჰმანთან, ან საყვარელთან, რომელიც იმავე, ან სხვა დაბალი კასტის წევრი იყო. მათი ვაჟები ითვლებოდნენ კანონიერ შვილებად, ხოლო ქალიშვილები კი დედის ბედს იზიარებდნენ.

ქალიშვილის კავშირი ტაძართან მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა და სარწმუნოებრივ ხასიათს ატარებდა. ქალიშვილებს ღმერთზე ათხოვებდნენ. წესჩვეულებების შესრულებისას ქალწულს საქმროს სიმბოლოს სახით, მახვილი, ან საყვირი ეჭირა ხელში, რიტუალის შესრულების შემდეგ, მახვილს იგი დებდა სალოცავზე ღვთაების ქანდაკების წინ. ქურუმი მას საქორწინო გულქანდას კიდებდა კისერზე, ხოლო ხელებზე, მკერდზე, თეძოებსა და მხრებზე გავარვარებული რკინით ამოუშნთავდა ბეჭედს: ვიშნუიტურ ტაძრებში - ნიჟარისა და დისკოს ნიშანს, შივაიტურში - კაცისა და ქალის სასქესო ორგანოების სიმბოლოს - ლინგამსა და იონს- (ზოგადად მას ეწოდება „იონილინგამი” მთ.ნ.კ.). ზოგჯერ ქალიშვილს ნიშნის ამოწვის ნაცვლად, ტატუირებას უკეთებდნენ.

სრულიად ნათელია, რომ ტაძრის მოცეკვავე ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და ადგილებში, სხვადასხვაგვარი იყო. რამდენადაც მოწმობს ტამილური გამოთქმა „ტევადიალი”, რაც „დევადასაც” ნიშნავს და „როსკიპსაც”, რომლებიც მოგვიანებით ხალხში საყოველთაო ზიზღისა და განკიცხვის საგანი გახდა, მათ ჩვეულებრივ როსკიპთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ. დევადასები დევნასაც განიცდიდნენ. 1763 წლის ცნობების მიხედვით: კარნატაკის რეგიონის „ნავაბმა” ბრძანება გასცა სიკვდილით დაესაჯათ დაახლოებით ოცდაათი მოცეკვავე ქალი იმისათვის, რომ დროზე არ გამოცხადდნენ მის გასართობად სასახლეში. ამავე დროს სწორედ დევადასებმა შეინაჩუნეს შესანიშნავი სამხრეთ ინდური კლასიკური ცეკვის „ბჰარატანატია” საუკეთესო ტრადიციები. ინდური კლასიკური სკოლის ცეკვების დღევანდელი ბრწყინვალე შემსრულებელი, უმაღლესი ჯილდოების მატარებელი, ბალა სარასვატი, წარმოშობით დევადასთა კასტიდანაა.

აღნიშნული სისტემა სახელმწიფომ აკრძალა ათეული წლების წინ, შეუფერებელი და ამორალური, მაგრამ ინდოეთში ამგვარ აკრძალვებს სერიოზული თვალთ არ უყურებენ. დღესაც მოგზაურს, თუ ბედი გაუღიმებს და მოხვდება დიდ სამხრეთ ინდურ ტაძრებში, ღვთის გაღვიძების, ან დაძინების წესჩვეულების შესრულებისას შეუძლია ნახოს სამი, ან ორი მოცეკვავე ქალი, რომლებიც მოულოდნელად ტაძრის დერეფნების სიბნელიდან გამოდიან, ცეკვავენ იდუმალი ღვთაების ქანდაკების წინ და ჩრდილივით ტაძრის სიღრმეში უხმოდ ქრებიან.

რელიგიით შენიღბულნი, ყელგან და ყოველთვის ძარცვავდნენ და კლავდნენ. ამ მხრივ, არც ინდოეთია გამონაკლისი. ბავშვობიდან ვიცით თჰაგები, ანუ უფრო სწორედ თჰაგი - მკვლელობის, ძარცვისა და ქალღმერთ კალის თაყვანისმცემელთა ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის წარმოშობა შორეულ წარსულს უკავშირდება, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი უფრო მეტად გაფართოვდა მუსლიმანთა ბატონობის წლებში. ისტორიკოსი ზია-უდ-დინი ბარანი (დაახლოებით 1356) მოგვითხრობს დელიში ათასობით თჰაგების დაპატიმრებისა და განთავისუფლების შესახებ. დაახლოებით 1290 წელს. ჯალალუდინი (XIV საუკუნეში) და მეფე აკბარი სასტიკად დევნიდნენ მათ. მიუხედავად ამისა, თჰაგების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა XVII-XVIII საუკუნეებში მომხდარი არეულობის, სახელმწიფოს შიგნით ურთიერთ შუღლისა და ომების დროს.

ამ დამნაშავეთა ბანდები, მოქმედებდნენ თითქმის ყველგან, მთელ ინდოეთში, განსაკუთრებით კი დაკასა და ქვეყნის ჩრდილოეთით. დამტკიცებულია, რომ მრავალ დიდი თანამდებობის პირს, წვრილ მესაკუთრეებსა და მსხვილ ვაჭრებს, კავშირი ჰქონდათ თჰაგებთან. მათი მეთაურები, ჩვეულებრივი გავლენიანი ვაჭარი მევახშეების ჯგუფის და ბრაჰმანთა კასტის წევრები, უფრო მეტად იყენებდნენ წვრილი მეწარმეების, ხელოსნებისა და გამათხოვრებულ მუშებს, რათა კიდევ მეტი ახალი წევრები ჰყოლოდათ თავიანთ ბრბოებში. მათთან ურთიერთობაში იყვნენ ასევე, მუსლიმანი სულთანისა და ბარათჰელი ჯარების დეზერტირებიც.

თჰაგებმა საკუთარი მითი შექმნეს თავისი „ხელობის“ წარმოშობის შესახებ. ერთხელ კალიმ, დაბერებული ბრაჰმანის სახით, ყველა თაყვანისმცემელს თავი მოუყარა და აღნიშნა ყველაზე ერთგული - თჰაგები, მათ მიანიჭა იშვიათი ძალა და ვერაგობის უნარი, რის შემდეგაც დაშაჰრას დღესასწაულზე ზიარების წესჩვეულების შესრულებისას, ისინი მსხვერპლის დასახრჩობად წვეტიან ბარსა და თეთრ ნაჭერს იყენებდნენ. ისინი თავიანთი რჯულის შესაბამისად ფიცულობდნენ რომელიმე საღმრთო ტექსტს, ან ყურანს, პირობას დებდნენ, რომ იქნებოდნენ ერთგულნი, მამაცნი და რომ თავიანთი საქმიანობის შესახებ კრინტს არ დამრავდნენ. თჰაგებს გააჩნდათ საკუთარი ჟარგონიც, რომლის ლექსიკონიც კალკატაში 1836 წელს გამოიცა.

მათ არ გააჩნდათ რაიმე განსაკუთრებული, რელიგიური დოქტრინა, ან კულტი, ვინაიდან თჰაგი შესაძლოა ყოფილიყო ჰინდუც და მუსლიმიც, ყველა ისინი თაყვანს ცემდნენ ბჰავანის, მაგრამ განსაკუთრებით თავის წვეტიან ბარს, რომლითაც დამხრჩვალ მსხვერპლისათვის საფლავებსა თხრიდნენ და რომელიც „ყურანსა და მდინარე განგზე უფრო წმიდათაწმიდად“ მიაჩნდათ. ცნობილია, რომ ფიცის დამრღვევი თჰაგი ამავე წვეტიანი ბარით, სიკვდილით ისჯებოდა ექვს დღის შემდეგ.

სამაგიეროდ არსებობდა თჰაგების ორგანიზაციის ცალკეული ჯგუფები, რომლებსაც მოქმედების ზუსტად დამუშავებული წესები ქონდათ. სოთჰები (მზვერავები), ადგენდნენ ვინ, როდის და საიდან მოემგზავრებოდა. განსაკუთრებით მათ აინტერესებდათ მდიდარი ვაჭრები, ბანკირები, მევახშეები, კურიერები - სულ ერთია

ესენი იქნებოდნენ ჰინდუები, მუსლიმანები, თუ ევროპელები, ბანდის „დაცვა“ მსხვერპლს აპატიმრებდა ხელსაყრელ მომენტში. „ფჰასინგარები“ მათ ახრჩობდნენ. მეკუბოვეები მოკლულს ადგილზევე უთხრიდნენ საფლავს, ბანდის მეთაურები მოტაცებულ სიმდიდრეს იყოფდნენ, გვამს კი მარხავდნენ. „ფჰასინგარები“ თავიანთ მსხვერპლს ახრჩობდნენ უკნიდან, მსხვერპლი კვდებოდა ერთბაშად კინჩხის მოტეხვისა და დახრჩობისაგან.

თჰაგები თავიანთ „ხელობას“ თაობიდან თაობას გადასცემდნენ წვიმიან სეზონსა და ზაფხულის მეტად ცხელ დღეებ შინ ატარებდნენ, მისდევდნენ ხელოსნობასა და ვაჭრობას, ხოლო „დამაჰრის“ დღესასწაულის შემდეგ, კვლავ მიდიოდნენ სასიკვდილო ლაშქრობებზე.

1830 წელს ინგლისელები მტკიცედ შეუდგნენ ამ ბანდიტური ბრბოების წინააღმდეგ ბრძოლას, რასაც მხარს უჭერდნენ განათლებული ინდოელებიც. „თჰაგები“ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ ვაჭრობისათვის, ტრანსპორტისათვისა და გარკვეულ როლს თამაშობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. დამსჯელმა რაზმებმა 1832-37 წლებში აღმოაჩინეს და დააპატიმრეს სამი ათასზე მეტი თჰაგი. ამ აქციამ დიდი დარტყმა აგება თჰაგებს, მაგრამ ბჰავანის კულტის თაყვანისმცემელ მახრჩობელათა მიერ ჩადენილი მკვლელობის ცალკეული შემთხვევები, აღინიშნებოდა ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც.

წმინდა ცხოველები

ზიანის მიუყენებლობის კონცეფცია, კარმის კანონი და საერთოდ ჰინდური შეხედულება სამყაროზე, განსაზღვრავს ჰინდუთა დამოკიდებულებასაც ბუნებისადმი, რაშიც აშკარად შეიმჩნევა არაარიელ ტომთა ანიმიზმი. სხვადასხვა ცხოველებს, მეტნაკლებად ზებუნებრივი ძალა აქვთ მინიჭებული, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰინდუიზმში. ინდრას სპილოს სახელი - იაირავატი, შივას ხარის - ნანდი, ვიშნუს ფრინველები გარუდები და ღმერთი განემის ვირთხა და ცხოველთა სხვა სახელები საკმაოდ გავრცელებულია ინდურ ლეგენდებსა და ზღაპრებში.

ჰინდუების ყველაზე წმინდა ცხოველია ძროხა. ამ მოვლენის ახსნა ერთი, ან ორი მიზეზით შეუძლებელია. აღნიშნული შეხედულების განვითარება, რა თქმა უნდა, მეტად რთულად მიმდინარეობდა. ვედურ ხანაში არიელები მისდევდნენ საქონლის გამრავლებას მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მსხვერპლის მოტანის შემდეგ, კიდევაც ჭამდნენ ძროხის ხორცს და ის რომ სხვა ცხოველებს შორის ძროხას განსაკუთრებული ადგილი უკავია, ამის მიზეზიც სწორედ აქედან იწყება. ძველი ინდოელებისათვის ღირებულების საზომს ძროხა წარმოადგენდა. ერთ-ერთი სანკრიტული სიტყვა, რომელიც „ბრძოლას“ აღნიშნავდა, იშიფრებოდა ასევე, როგორც „მოწადინება - მიიღო ძროხა“. ძველად ძროხებს ძალიან ფართო გამოყენება ექონდა, ამ ცხოველზე იყო დამოკიდებული, რამდენადმე, ძველი ინდოეთის არსებობაც. მოგვიანებით ბრაჰმანებმა ძროხა აღიარეს, როგორც ყველა ღვთაების განსხეულება. მორწმუნეებს მიაჩნდათ, რომ ძროხის ყველა პროდუქტი წმინდაა და აქვს ცოდვებისაგან განმწმენდის უნარი. ავი

თვალის შეხედვისაგან ფუჭდება რაიმე, მის გადასარჩენად ძროხის ახალ შარდზე უკეთესი წამალი არ არსებობს. „ვიშნუ ვაიკუნთჰას“ სამოთხესაც ხომ „ძროხების ქვეყანა“ ეწოდება. ძროხის მოკვლა არ შეიძლება. ეს ისეთივე ცოდვაა, როგორც მოკვლა ბრაჰმანისა. საქონლის ხორცის გამოყენება ჰინდუების თვალში ადიქვება, როგორც კანიბალიზმი.

შხამიან გველებს, ყველაზე უწინ კობრას, ბენგალიასა და კურალაში განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ. მიაჩნიათ, რომ გველებში განსხეულებულია სხვადასხვა კეთილი და ბოროტი ღვთაებები, თითქოს თავიანთ ბუდეებში მალავენ ისინი ყველაზე მშვენიერსა და ძვირფას თვლებს. გველებსა და გველურ ღვთაებებზე აურაცხელი ზღაპრები არსებობს. შარვანას (ივლისის დასასრული) თვის მეხუთე დღეზე მთელს ინდოეთში აღნიშნება გველების დღესასწაული - ნაგაპანჩამი.

მაიმუნებს თაყვანს ცემენ თავიანთი - ძველი მითოლოგიური წინამძღოლის ჰანუმანის წყალობით, რომელიც რამას, კუნძულ ცეილონზე, ტყვეობიდან განთავისუფლებაში მოეხმარა, ხოლო რამას ძმას დაქმნანს კი დემონებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობები მოურჩინა ვინაიდან რამა ვიშნუს განსხეულებაა, ვიშნუიტებს მაიმუნიც წმინდანად მიაჩნიათ. ჰამუმანის დღეს - ჩაიტრას (მარტი - აპრილი) თვის ბოლოს აღნიშნავენ.

რამას, დონ რავანთან ბრძოლის დროს ქება - დიდება ციყვსაც ხვდა წილად. როდესაც ცეილონისაკენ მომავალი ხიდების აგებაში ციყვი რამას მიეხმარა, ციყვს მძიმე ქვა დაეცა, რამამ მოარჩინა ციყვი მის ზურგზე თავისი წმინდა ხელის სამი თითის გავლებით. იმ დროიდან ინდურ ციყვებს ზურგზე სამი ზოლი აქვთ, და ჰინდუებს ისინი წმინდად მიაჩნიათ.

აღნიშნული ცხოველების გარდა, წმინდა ცხოველებად ითვლება ინდოეთის ფაუნის მრავალი სხვა წარმომადგენელიც. მაგალითად, ნიანგი, რომლებიც ღრმა გუბეებსა და ტაძრის წყალსაცავებში ცხოვრობს, ასევე სპილო და სხვა. ამ შემთხვევაში მათ შორის განსხვავება დაკავშირებულია ადგილობრივ ტრადიციებთან. ჰინდუები სიმპათიით არიან გამსჭვალული შინაური ხვლიკების მიმართაც. ისინი მათთვის წინასწარმეტყველის როლს ასრულებენ, ისევე, როგორც მოშინაურებელი უშხამო გველი და ზოგიერთი ფრინველი, მაგალითად თუთიყუში და სხვა.

ჰინდუიზმი და აბორიგენული მოსახლეობა

ინდოეთის პირველ მკვიდრთა ტომები და ჰინდუიზმი, მუდამ აქტუალური და საკამათო პრობლემა იყო, იგი კულტურის შერევისა და ურთიერთკავშირის მუდმივი საკითხია, რომლის დროსაც, ერთი მხარე ბევრს აძლევს მეორეს და პირიქით. ჩვენ ვიცით, რომ მთელი რიგი ელემენტები გვიანდელი ჰინდუიზმისა, თავის საწყისს იღბს ტომობრივი სარწმუნოებაში და პირიქით, ტომთა რელიგიასა და კულტებში იოლი შესამჩნევია ისეთი თვისებები, რომლებიც თავდაპირველად ჰინდუიზმი ჩაისახა. ურთიერთმოქმედება და ურთიერთზეგავლენა, მით უფრო ძლიერია, რაც ახლოა და

მჭიდრო ტომთა რეალური კონტაქტები ჰინდურ საზოგადოებასთან. ასე მაგალითად, მნელად მისაწვდომი მთიან რაიონებში მცხოვრები ტომები დამახასიათებელ ნუშან-თვისებებს უფრო დიდხანს ინარჩუნებენ, ვიდრე მცხოვრებნი ბარში, სადაც ეს თვისებები გაცილებით სწრაფად შთაინთქმება ჰინდური საზოგადოების მიერ. ამჟამად ეს პროცესი შეინიშნება დღესაც, ვთქვათ ორაონელებში და ჩჰატონატურის დაბლობზე მცხოვრებ მუნდებში. აღნიშნული დაბლობი უძველესი დროიდან სხვადასხვა რასობრივი და კულტობრივი ჯგუფების შეხვედრისა და შერწყმის ადგილი იყო.

დაახლოებით ორი ათასი წლის წინ, ძველ დრავიდულ ენაზე მოლაპარაკე ორაონელები, რომლებიც წამოვიდნენ იმ რაიონებიდან, სადაც ისინი თავდაპირველად ცხოვრობდნენ, დასახლდნენ დაკანში და აქ შეერივნენ მუნდებს, კოლთა რასის ტიპიურ წარმომადგენლებს. ორაონელებმა მუნდებისაგან გადმოიღეს ყოფაცხოვრების ყაიდა, შეერწყნენ მათ და ამჟამად ერთი მეორისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან. ერთზეც და მეორეზეც გარკვეული გავლენა მოახდინა ჰინდუიზმმა, რასთანაც მათ მრავალი რამ აკავშირებთ.

მუნდები და ორაონელები მოსამსახურეებად მუშაობდნენ მემამულე - ზამინდართა ჰინდურ ოჯახებში, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ თვალყური ედევნებიათ თავიანთი პატრონის ცხოვრებისა და ჩვევებისათვის, დღესასწაულებებისა და წესჩვეულებებისათვის, რაც მათ ერთგვარ ამალგებულად და კეთილშობილურ საქმედ ეჩვენებოდათ. თანდათან მათ დაიწყეს თავიანთი ტანსაცმლის შეცვლა იმ სამოსელით რომელიც მათი მეპატრონეებისაგან მიიღეს უარს ამბობდნენ თავიანთ პრიმიტიულ რელიგიურ შეხედულებებზე და იზიარებდნენ ახალ შეხედულებებს, რომლებიც მათ გაცილებით იზიდავდა და უფრო ავტორიტარულადაც მიაჩნდათ.

ჰინდუიზმს გამოვლინებას ისინი განსაკუთრებით ხედავდნენ ბაზარში, სადაც სახვადასხვა კულტურის მატარებელი ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ერთმანეთს ახალ ამბებს უამბობდნენ და აზრს უზიარებდნენ, ცხოვრობდნენ, ყიდულობდნენ საყოფა ცხოვრებო და რელიგიურ წესჩვეულებების შესრულებისათვის საჭირო ნივთებს. ყოველივე, რასაც ორაონელები ხედავდნენ და ისმენდნენ მათში აღვიძებდა ცნობისმოყვარეობას და მიბადვის წყურვილს. მაგალითად, თუ ჰინდუ იყიდდა ლამპარს, დივალის დღესასწაულის აღსანიშნავად, ასეთივე ლამპარს ყიდულობდა ორაონელიც, აკვირდებოდა, თუ როგორ ანთებდა მას ჰინდუ, რათა თვითონაც ისევე ანთო.

ბარის მცხოვრებთან ურთიერთობა იწვევდა იმას, ორაონელები შეუდგნენ ახალი ტიპის სახლების შენებას, დაბლობის ხალხთა სამოსელისა და სამკაულების ტარებას, იგივე საოჯახო ნივთების გამოყენებას: ეს ურთიერთობები გავლენას ახდენდა ორაონელთა საზოგადოებრივ და განსაკუთრებით რელიგიურ ცხოვრებაზე, სადაც ჰინდუიზმის გავლენას ზრდიდა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა.

ყველა ჰინდუიზირებულ ორაონელ და მუნდთა საყვარელი ღმერთია მაჰადეო (შივა), ისევე პოპულარულია მისი ქალური იპოსთასი „დევიმაი“ და ჰინდური პანთეონის კიდევ რამოდენიმე ღმერთი. როგორც ჰინდურმა, ორაონელებმაც დაიწყეს ხეებისა და მცენარეების თაყვანისცემა. გადმოიღეს ზოგიერთი ჰინდური დღესასწაულები,

წესჩვეულებები და სარიტუალო საგნები, მაგრამ ამავე დროს მათ შეგნებაში კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს, ძველი შეხედულებები. ხშირად ძველი ახალში იხლართება, მაგრამ ახალი მაინც ერევა ძველს.

რანჩისა და ბიჭარის სხვადასხვა სოფლებში მოიპოვება ტაძრები, სადაც ქურუმები ბრაჰმანთა კასტიდან მაჰადეოს მთელი სოფლის სახელით წირავენ მსხვერპლს. ამ სოფლების მკვიდრთ კვლავაც სწამთ აურაცხელი უსახეო სულებისა და ღმერთებისა, ამასთანავე ისინი თაყვანს ცემენ კეთილ სულებს, მას ლოცვით მიმართავენ და მსხვერპლს წირავენ, ხოლო ბოროტ სულს აკონტროლებენ შელოცვებისა და სხვა საშუალებებით, რომლებიც დაკავშირებულია თეთრსა და შავ მაგიასთან.

სოფელ შაგრაში, სადაც მუნდები გვერდით მაჯებიც ცხოვრობენ თაყვანს ცემენ ჰინდურ ღვთაებას, შივას, დურგას, დევის, კალის, შიტალსა და ჰანუმანს, ნიმის ხესა და ტულსის ბუჩქს. ყველა და ყველაფერი ეს ისევე წმინდად ითვლება, როგორც ძროხა, აქ აღნიშნავენ დღესასწაულს ფჰაგუნ პარაბს, რაც შეესაბამება ჰინდურ ჰოლის, ხოლო დესაი კი ძალიან ჰგავს დამაჰრას. გარდა ამისა, აღნიშნავენ მრავალ ადგილობრივ დღესასწაულსაც და ტაყვანს ცემენ სულებსა და ისეთ ღვთაებებს, როგორცა ბოროტი „დესანტი ბონგო“, რომელიც განსაკუთრებულ ხეებზე ცხოვრობს და რომლის გულის მოგებაც მსხვერპლის შეწირვით შეიძლება ყოველთვის, როგორც კი ირკვევა, რომ იგი მომხდარი უბედურების მიხეხია, ან ცხვარი ბონგო რომელმაც უნდა დაიცვას სოფელი, რომ ამ უკანასკნელს რაიმე უბედურება არ დაატყდეს თავს. ღმერთებიდან იქ ყველაზე მეტად თაყვანს ცემენ ორა ბონგოს, ბაკრისა და მარანგ ბონგოს.

სოფელ შონში შივაიტური ტაძარის მახლობლად მრგვალ, ჩრდილიან, კარგად დაგვილ-მოწმენდილ მოედანზე ძვეს რამოდენიმე ქვა, რომლებიც სულების სკამებად ითვლება. ამ საგნებს სხვადასხვა საბაბით მსხვერპლს საჭმლის სახით წირავენ, იქვე მდებარეობს დედა - ღვთაების (დევიმაის) ტაძარი. ეს დაბალი, უფანჯრო მიტოვებული სახლია, უბრალო ხის ჯკარებით, მისი გაღების ნება აქვს მხოლოდ სოფლის ქურუმს (პაჰანს), რომელიც მსხვერპლშეწირვას ასრულებს ადგილობრივ სოფლის ღვთაების თაყვანისცემის ნიშნად. ასევე დევიმაის, რომლის სიმბოლოს ამ შემთხვევაში წარმოადგენს სურინჯით შეღებილი, სამი თიხის კონუსი, მსხვერპლის სახით მასთან რეგულარულად მოაქვთ ყვავილები, ხოლო როდესაც ბრინჯის მოსავალს იღებენ, სამი მამალი: თეთრი, შავი და ლაქებიანი. რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება ადგილობრივი რელიგიის თავისებურებანი ამავე სოფელში, რომელიც მდებარეობს უკვე საკმაოდ ჰინდუიზირებულ რაიონში, სადაც მკვიდრნი კასტებად არიან დაყოფილი, ჩვენ ხვდებით ყმვაწვილების საძინებელ სათავსოს, რომლის დანიშნულება, თუმცა თავდაპირველთან შედარებით, სხვა არის. ოდესღაც ყმაწვილები აქ სწავლობდნენ ნადირობას, ცხოველთა შერეკვის გზით. ბიჭუნების და ყმაწვილების ცალკეული ჯგუფები ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ ყანების სამუშაოებში, ეწეოდნენ სოფლად სახლების შეკეთებას და საერთოდ მოსახლეობას ეხმარებოდნენ ყველგან, სადაც კი საჭიროება მოითხოვდა. მონაგრებული ფულით კი, ისინი ყიდულობდნენ საჭმელ - სასმელს ნადიმს მართავდნენ და დროს ატარებდნენ. ამჟამად საძინებელში ყმაწვილები ასაკის მიხედვით დაყოფილი არიან ჯგუფებად. მათ ასწავლიან როგორ მოეხმარონ თავიანთ სოფლებს, მაგრამ ეს უკვე მთავარი არ არის, ამ შემთხვევაში მთელი ყურადღება

გადატანილია იმაზე, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ საერთო განათლება, ამ მიზნით შენობაში განთავსებულია სკოლა. დღის საათებში აქ ჩვეულებრივი მეცადინეობა მიმდინარეობს. მასწავლებელი ჰინდუა, და შთაბეჭდილება იქმნება, რომ როგორც სხვა შემთხვევაში, ეს სკოლა წარმოადგენს ჰინდუიზმის გავრცელების ცენტრს უმცროს თაობაში. ბავშვები პატივს სცემენ მასწავლებლის ავტორიტეტს და ცდილობენ გადმოიღონ მასწავლებლისაგან არა მარტო ის, რაც ესმით, არამედ ისიც, რასაც ხედავენ მათ სანიმუშო საქციელში, ისევე როგორც წარსულში, როდესაც მათი მშობლები ცდილობდნენ თავიანთი მემამულეებისაგან გადმოედოთ სხვადასხვა ზნე-ჩვეულებები.

ჰინდუიზმი და ენა

ჯერ კიდევ ძველ დროში, ვედურ რიტუალთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ენას, რამაც გრამატიკის, მეტრიკისა და ეტიმოლოგიის საგნებად გამოყოფა გამოიწვია, როგორც დამხმარე ვედური დისციპლინებისა. ლოცვებმა და შელოცვებმა, რომლებსაც წესჩვეულებების შესრულების დროს წარმოთქვამდნენ უკიდურესად ფორმალური სახე მიიღეს, ვიანიდან საღვთო ტექსტების მხოლოდ ზუსტი წარმოთქმა აიძულებდა ღმერთს შეესრულებინა მსხვერპლის გამღების სურვილი. უთუოდ, სწორედ აქედან მომდინარეობს სტილის ფორმალიზმი, სუტრებისა და აგრეთვე სანსკრიტული პოეზიისა, თუმცა ამ უკანასკნელის შენაარსსაც დიდი როლი ენიჭებოდა.

ჰინდუიზმის საღვთო ენა სანსკრიტია, რომლის შემქმნელად სიბრძნის ქალღმერთი სარასვატი ითვლება. სინამდვილეში კი მისი ნამდვილი შემქმნელი ბრაჰმანთა კლასია. სანსკრიტი არასოდეს ყოფილა ინდოელთა მშობლიური ენა.

მაგიამ და ტრანტიზმმა გაამდიდრეს სანსკრიტი და სხვა ინდური ენები იდუმალ სიტყვებითა და ბგერათა ისეთი შეთანხმებებით, როგორიცაა „ჰრიმ“, „კრაუმ“, „ტამიტჰამნამ“, რომლებიც ხშირად იხმარება შელოცვებში. ზოგიერთი საღმრთო სიტყვები, მაგალითად „ომ“ და „სვაჰა“, ცნობილი იყვნენ ჯერ კიდევ ძველი ლიტერატურიდან. ყველაზე უფრო ტანტრიზმის გავლენა ინდურ ენებზე შეიმჩნევა იმ ტექსტებში, სადაც გარკვეული წინადადებები და სიტყვათა შეთანხმებანი ორნაირად შეიძლება იქნას გაგებული. ვთქვათ ბუდისტურ ფორმულაში „ომ მანი პადმე ჰუმ“ (ომ, საგანძური ლოტოსშია, ჰუმ) ტანტრისტები გულისხმობენ არა განძეულობას, არამედ ქალის საშოს. ეს ვარიანტი არა თვითნებობაა, არამედ მისტიკური მინიშნებაა, რომელიც სრულიად სხვაგვარად აიხსნება.

საზოგადოების კასტობრივმა დაყოფამ სამხრეთ ინდურ ენაში - ტამილში წარმოშვა ენის განსაკუთრებული სტრატეგიკაცია, რაც მეტად დამახასიათებელი მოვლენაა, ბრაჰმანები აქ რამდენადმე სარგებლობენ სხვა მორფოლოგიური საშუალებებით და სიტყვებით, ვიდრე არა ბრაჰმანები. ეს, რა თქმა უნდა, ენის მხოლოდ შეზღუდულ სფეროებს ეხებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრაჰმანისათვის მეტად ძნელი, ან სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, არაბრაჰმანთან რაიმეზე მოლაპარაკება. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებაა შივავიტურსა და ვიშნუიტურ ტამილურ ენებშიც.

ჰინდური კონცეფცია სამყაროსეულ ბრაჰმანის პიროვნულ ატმანთან (სულთან) იგივეობის შესახებ აისახა ჰინდუ ასკეტთა ენაშიც. მათ წარმოდგენაში, ყოველივე რაც კი არსებობს მათში და თვით ღვთაება რამას გამოვლინებაა. ეს წმინდა მამაკაცები თავის თავის მიმართ არ იყენებენ პირის ნაცვალ სახელს (მე) და ამბობენ „ჩემი რამა“. უპანიშადების ბრაჰმანის და ატმანის შეცვლამ, ღმერთ ვიშნუს განსხეულებითარ უნდა შეგვაცბუნოს, არსი ხომ ერთია და პროექტები შივას სახელით ხშირად ვიშნუს უმღერიან, ან პირიქით, რამას სახელი ძალიან ხშირად იხმარებოდა როგორც მისალმება ან შეძახილი გოცებისას. ბჰიჯურ ენაზე იგი გამოიყენებოდა როცხვითი სახელის „ერთის“ მაგივრად, სხვანაირად როგორ შეიძლება უკეთესად გამოიხატოს ერთადერთობა და ერთიანობა?

თუ გავიხსენებთ მრავალ მეტაფორას ჰინდური მითოლოგიიდან, ნათელი გახდება, რომ ჰინდუიზმის გავლენა ენაზე, აშკარად ჩანს ინდურ საკუთარ სახელებში, არა მარტო გვარობრივებში, არამედ სტერეოტიპურებშიც, განსაკუთრებით ბრაჰმანულებში, დვივედი, ტრივედი, ჩატურვედი (ე.ი. „მცხოდნე ორი, ან სამი, ან ოთხი „ვედისა“), ასევე შასტრი („შასტრების მცოდნეს“), აჩარია, ან უპადჰაია („მასწავლებელი“), მუკჰოპადჰაია („მთავარი მასწავლებელი“) და ა.შ. - მაგრამ პირველ რიგში, ეს მოვლენა შეინიშნება იმ პირის სახელებში, რომლებიც დიდად დამოკიდებულია ინდივიდის გემოვნებასა და სურვილზე. მეტად გავრცელებულია ღმერთებისა და მითოლოგიური გმირი მამაკაცების სახელები: ვიშნუ, კრიშნა, ჰარი, რამაჩანდრა, ლაემმანა. ქალების: ლაქშიმი, სიტა, სავიტრი, პარვატი, მაჰადევი. საინტერესოა სახელები, რომლებიც გარკვეულ რაიმეს აღნიშნავენ: ჰარიდატა (ჰარისათვის გაცემული, ანუ - ვიშნუ), რამაჯნია (რამის განგება), ბჰაგავატიჩარანი („ამაღლებულის ფეხი“ ე. ი. ქალღმერთის ფეხი), რამალინგა („რამას ლინგამი“); ასეთივე ქალთა სახელებიც: მადჰულაქშიმი - („თაფლიანი ლაქშიმი“), შანტიდევი („სიმშვიდის ქალღმერთი“); დევაბალა („ღვთაებრივი ქალწული“); გიტა („სიმღერა“ ანუ ბჰაგავატდგიტა); რამპრია, („რამას მშვენიერი ქალწული“). ასევე, საინტერესოა სახელები, რომლებიც დაკავშირებულია, ესთეტიკურ, ეთიკურ, ან ბუნების მოვლენებთან და სხვა შეხედულებებთან, მაგრამ ეს უკვე ჩვენი მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს.

განცხადება ინდური პრესიდან : „ბრძენთა სულიერი მიზანი - ალადინის ლამპარია ათასებისათვის“

„რით გადაიხდიდით სამაგიეროს, რომ მოგცეთ საშუალება დაიწყოთ ახალი ცხოვრება და გათავისუფლდეთ ნაკლოვანებასა და წარსულში დაშვებული შეცდომებისგან. ფიქრობთ, რომ კვლავ განაგრძობთ თქვენი უღიმღამო ცხოვრება? გაქვთ მომავლის იმედი? რას აღვიძებს იგი თქვენში იმედებს თუ შიშის გრძნობას?“

„თუ თქვენი ცხოვრება ისეთი არაა, როგორც უნდა იყოს. იმიტომ, რომ არ იცით როგორ შეცვალოთ იგი, ამაში კი თქვენ ვერავითარი პროფესიული სწავლა - განათლება ვერ დაგეხმარებათ“.

„თქვენ, მეოცნებენო წარმატებებზე, ურყევ ჯანმრთელობაზე, თქვენ, რომლებიც მიისწრაფით გათავისუფლდეთ წარუმატებლობისა და შიშისაგან, მეწმუნეთ, არსებობს იშვიათი ძალა, რომელსაც უნარი შესწევს დაგეხმაროთ თქვენ სანუკვარი სურვილების

ასრულებაში. ეს ნავაროზია - ის ძალა, მისტიკისა და ოკულტიზმის კვინტენსიისა, რომლის შესახებაც ივიწყებდნენ ასეული წლების მანძილზე, მაგრამ რომელიც ბრძენთა მთელმა რიგმა 1870 წელს იგი გადასცეს ჩემ წინაპარს. ეს გახლდათ გასული საუკუნის ფენომენი“.

„ამ ძალის გამოხმობა საჭიროა 21 მარტს, როდესაც მზემ თავისი გზა განვლო და შეჩერდა ოზნის ნიშნის ქვეშ. ამ დროს დგება მომენტი შესაფერისი იმისათვის, რომ ეს სასწაულმოქმედი ძალა გადმოვიდეს ათას ტანჯულებში და იხსნას ისინი დალუპვისაგან“.

მსგავსი მონაცემები და ფასები:

| მიზანი | ნავაროზი ფასები რუპიებში | |
|-----------------------------|---------------------------|----|
| 1. სამუშაო | ჩვეულებრივი | 9 |
| 2. მომატება | ხელფასის მომატება | 9 |
| 3. გამოცდები | გამოსაშვები (სკოლაში) | 9 |
| 4. ქორწინება, სიყვარული | წინააღმდეგობების გარეშე | 15 |
| 5. სასამართლო | არც თუ ისე დიდი პროცესი | 12 |
| 6. ვაჭრობა | წვრილმანი ვაჭრობა | 9 |
| 7. სხვა სამუშაოზე გადაყვანა | ჩვეულებრივი | 15 |
| 8. სიმპათიის დამსახურება | მოსამსახურის თვალში | 12 |
| 9. ფინანს-სური შემოსავალი | კანონიერი | 21 |
| 10. ავადმყოფობა | ჩვეულებრივი | 15 |
| 11. საოჯახო საქმეები | ჩვეულებრივი გართულებები | 9 |
| 12. პირადი დაცვა | მოქალაქე პირთა წინააღმდეგ | 9 |

| განსაკუთრებული ჰაბიბი | ფასი რუპიებში | ნავაგრაჰა | ფასი რუპიებში |
|----------------------------|---------------|---|---------------|
| უმაღლესი თანამდებობები | 24 | საკასუხისმგებლო, სახელმძღვანელო თანამდებობები | 126 |
| უმაღლესი თანრიგის მინიჭება | 24 | გადაყვანა ხელმძღვანელ თანამდებობაზე | 126 |
| | | უმაღლეს | |

| | | | |
|----------------------------------|----|--|-----|
| პროფესიონალური | 24 | სასწავლებელში, კონკურსებში, თანამდებობის მისაღებად | 126 |
| სიძნელეებთან | 33 | რთული ვითარებები | 180 |
| უმაღლესი სასამართლო | 36 | ხანგრძლივი პროცესი | 180 |
| დიდი საწარმოები | 25 | საბითუმო ვაჭრობა და ფაბრიკა | 126 |
| არასახარბიელო ვითარებებში | 33 | ნავაგრაჰა არ არის საჭირო | - |
| გულქვა ადამიანებს | 36 | დიდ საქმეში ან გართულებისას | 150 |
| უმაღლესი წარმოება უცნობია | 45 | მსხვილი სპეკულაცია | 195 |
| ხანგრძლივი ავადმყოფობა | 24 | განუკურნავი სენები | 180 |
| ხანგრძლივი უსიამოვნებები | 24 | სერიოზული სიძნელეები | 123 |
| სამხედრო მომსახურების წინააღმდეგ | 24 | უფროს ოფიცერთა წინააღმდეგ | 123 |

თქვენ არაფრით არ რისკავთ. თუ ნავაროზმა არ გიშველათ, თქვენ ფულს უკანვე

მიიღებთ. ისარგებლეთ მისი 85 ათასი თაყვანისმცემლის გამოცდილებით. ატარეთ ავგაროზი იმ წუთიდანვე, როგორც კი 21 მარტი შესრულდება.

ამორჩიეთ ავგაროზები თქვენი სიძნელების შესაბამისად!

აღწერა:
ნავაროზი - სპილენძის საკიდი, მოქმედების ვადა ერთი წელი.
განსაკუთრებული ავგაროზი - ჰაბიბი მაღალკონცენტრირებული, გამოიყენება უფრო სწრაფი შედეგების მიღების მიზნით, შეიცავს იშვიათ ბალახებს, და მისი მომზადება ორ დღეს გრძელდება. ეს - ვერცხლის საკიდია, მოქმედებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

ნავაგრაჰა: - ამ ავგაროზის სახეს გირჩევთ მოულოდნელ გადაულახავ წინააღმდეგობების შემთხვევაში და რაიმე სიძნელების საქმეებში განსაკუთრებით საქმეებში, რომლებც დიდი შემოსავლის მიღებასთანაა დაკავშირებული. საბოლოო წარმატების მიღწევისათვის საჭიროა ემთხვეოთ ავგაროზს სამი დღე. იგი იგზავნება პლანეტის ცხრა ქავსთან ერთად, რომლებსაც ოქროი მოვარაყებული ვერცხლის საკიდის ფორმა აქვთ. ეს ავგაროზი მოქმედებს მთელი სიცოცხლის მანძილზე. „ვაჭრის მისამართი“.

„ნავაროზი“ ერთადერთი ძალაა დედამიწაზე, რომელსაც შეუძლია ბედს შეუცვალოს მიმართულება, ბნელს ნათელი მოჰფინოს, წარუმატებლობა წარმატებით შეცვალოს, ავადმყოფობა ჯანმრთელობით, სიღარიბე სიმდიდრით.

დიდი შრომა თავისთავად არ მოიტანს სრულ წარმატებას თუ თქვენ აპირებთ უნავაროზოთ გახდეთ ბედნიერი. თქვენ მისდევთ მხოლოდ „საქორწილო ფატას“. ნავაროზი გასაღებია ზეცის კარებისა და სიცოცხლის სიამტკბილებისა.

ის არა რელიგიაა, არამედ ცოცხალი, მთრთოლვარე ძალა, რომლის ქმედითობაში ათასობით ადამიანი დარწმუნდა. მორწმუნე ხართ თქვენ თუ არა, მაინც აიღეთ ნავაროზი. ბოროტების ძალები, რომლებმაც შეგიპყროტო, მაშინვე თქვენგან განიდევენება, ისინი წამითაც ვერ უძლებენ ნავაროზის სიმხურვალეს, მრავალმა სკეპტიკოსმა, რომლებმაც ცნობისმოყვარეობის გამო, მას დახმარებისათვის მიმართა, ნავაროზის მგზნებარე თაყვანისმცემელი გახდა.

ქალი ჰინდურ საზოგადოებაში

ინდოეთის რესპუბლიკის კანონები მიმართულია ჰინდური საზოგადოების თუნდაც ყველაზე მაკნე გადმონაშთების აღმოფხვრისაკენ და ქვეყნის განახლებისა და აღორძინების გზაზე არსებული წინააღმდეგობების თანდანათანობით გადალახვისაკენ. ასეთ ხასიათს ატარებს ინდოელი ქალის სოციალური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებული კანონები და დადგენილებები. ინდოელ ქალს, გადაჭარბების გარეშე, შეიძლება ეწოდოს ჰინდური ტრადიციის ყველაზე უბედური მსხვერპლი. ორთოდოქსულმა საზოგადოებამ მას პრაქტიკულად წაართვა ყველა უფლება, გარდა იმ

უფლებისა იქონიოს პრეტენზია საკუთარი ოჯახის პატივისცემაზე და ისიც, თუ იგი უყოყმანოდ ასრულებს ერთგული ცოლისა და შვილებისათვის დედის ყველა მოვალეობას.

უკვე ბევრი რამ შეიცვალა და უახლოეს მომავალში, ცხოვრება ორთოდოქსულ ჰინდურ საზოგადოებაში, მთელს მის შეზღუდულობასა და წვრილმან პედანტიზმზე, უთუოდ კიდევ უფრო ძლიერ გავლენას მოახდენს. თუმცა სოფლად ყველა ეს პროცესი მნიშვნელოვნად ნელა მიმდინარეობს. აქ ქალები, როგორც წესი ვერ ბედავენ უცხო მამაკაცთან გამოჩენას, ტრადიცია მათ აფრთხილებთ იყვნენ ოჯახურ წრეში და არ გამოიჩინონ სახე უცხო ადამიანების თანდასწრებით, ეს ადათი, რომელსაც ეწოდება „პარდა“ (სიტყვა სიტყვით „ფარდა“ - „ჩამოსაფარებელი“, ჰინდუებმა უთუოდ მუსულმანებისაგან გადმოიღეს. თუმცა ძველ ლიტერატურულ ძეგლებში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ წრეებში, ვთქვათ მებატონების ოჯახებში გათხოვილ ქალებს აკრძალული ქონდათ გარე სამყაროსთან კონტაქტი. ეს მონაცემები ეკუთვნის არა უგვიანეს (I ს.ჩ.წ. აღრიცხვით), ე. ი. გაცილებით ადრე ვიდრე ისლამი ინდოეთში შევიდოდა. სოფლის საზოგადოება ძალიან ნელა თავისუფლდება არასრულწლოვანი ქალიშვილის (იგულისხმება ვიდრე იგი სქესობრივ მომწიფების ასაკს მიაღწევს) გათხოვების ადათისაგან, და მკაცრი დამოკიდებულებისაგან იმ ქალების მიმართ, რომლებსაც ბუნებამ ხელი შეუშალა მოეხდინათ ის, რასაც ტრადიცია მათგან პირველ რიგში მოითხოვს - გაუჩინონ ქმრებს ვაჟი, მართალია კანონით აკრძალულია, მაგრამ ტრადიცია პირდაპირ ურჩევს ქმარს, თუ ვაჟი არ გაჩნდა, ასეთ შემთხვევაში ითხოვოს სხვა (მეორე) ცოლი, შემდეგ, თუ კვლავ იგივე განმეორდა, მესამე და აასე შემდეგ, ვიდრე ცოლქმრული ცხოვრების ძირითადო მზიანი არ აღსრულდება (ე.ი. სანამ არ გაჩნდება ვაჟი. ნ.კ.)

მაგრამ, ორთოდოქსალური ჰინდური საზოგადოების ყველაზე მკაცრი გადმონაშთები დაკავშირებულია ქვრივების ბედთან: მათ მკაცრად აქვთ აკრძალული მეორედ გათხოვება. თუნდაც ბავშვობის ასაკშიც, რომ დაქვრივებულიყვნენ. ითვლება, რომ ერთ - ერთ წარსულ დაბადებებში უბედური ქალის მიერ ჩადენილი ცოდვები, ქმრის გარდაცვალების მიზეზია და ამიტომ იგი უნდა დაისაჯოს. ქვრივი ქალი პრაქტიკულად მოწყვეტილია საზოგადოების ცხოვრებას, იგი შორიდანვე გამოირჩევა შესამჩნევი გრავიანი ნიშნებით - აცვია უბრალო თეთრი კაბა, არა აქვს უფლება გამოიყენოს რაიმე სამკაულები, ან კოსმეტიკა, მთელი ცხოვრება უნდა გაატაროს გარდაცვლილი ქმრის ოჯახში, თავის შვილებთან ე.ი. ისეთ ვინმესთან, რომელიც რიტუალურად არ იბილწება მასთან ურთიერთობისას. ადგილობრივი და კასტობრივი დებულებების თანახმად მეტად შეზღუდულია მისი რაციონიც, რომლიდანაც გამორიცხულია არამცთუ ყოველგვარი ხორციანი საკვები, არამედ მრავალი ბოსტნეული, ასევე მარილიც, რეგულარულად, დაახლოებით ყოველი თოთხმეტი დღის შემდეგ, მან მკაცრად უნდა იმარხულოს, არც წყალი არ უნდა დალიოს და ეძინოს უნდა შიშველ მიწაზე და ა.შ.

ჰინდური ტრადიცია ქალებს საშუალებას აძლევს, მხოლოდ მეტად მკაცრს, განთავისუფლდეს ქვრივი ქალის არასახარბიელო ხვედრიდან - თავის გარდაცვლილი ქმრის გვამთან ერთად ცოცხლად დაიწვას თავი. ცნობილია, რომ ამგვარი წესი (სატი) ძველად სხვა სახლებშიც არსებობდა. მაგალითად, მესოპოტამიის ურსა და ჩინეთში,

მაგრამ არსად ინდოეთის გარდა, ჩვენ დრომდე არ შემორჩენილა. განათლებულ რეფორმატორთა ხანგრძლივმა ბრძოლამ, განსაკუთრებით რამ მოჰან რაიმი ინგლისის მმართველობა 1829 წელს აიძულა აეკრძალა სატი, თუმცა ეს ტრადიცია საბოლოოდ მაინც არ გაქმრა. თვითდაწვის ფაქტები დღესაც გვხვდება, ვარაუდობენ, რომ ქვრივი ქალები ამგავრ სიკვდილზე თავისი ნებით მიდიოდნენ, ხტებოდნენ გარდაცვლილი ქმრისათვის გაჩაღებულ სამგლოვიარო კოცონის ალში. ან კიდევ მოითხოვდნენ დაწვის წინ მიცვალებულ ქმარზე დაეკრათ, თუმცა მოიპოვება საბუთები იმის შესახებაც, რომ პრაქტიკულად ქვრივთა დაწვა კოცონზე მუდამ ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა. უკვე XV საუკუნეში ნიკოლო დელ კონტი აღნიშნავს, სამიათასი ცოლის შესახებ, რომლებიც დაწვეს ვიჯაიანგარის მეფის გვამთან ერთად, რათა მეფის ხსოვნა დიდხანს დარჩენილიყო. სატის შემთხვევებზე მოგვითხრობს პოლიციისა და სასამართლოს აურაცხელი ოქმები ინდოეთის ყველა რაიონებში.

ერთი სიტყვით, ჰინდური საზოგადოება კიდევ უფრო დიდ ვალშია ქალების წინაშე, და ბრძოლა ქალთა ემანსიპაციისა და თანასწორუფლებიანობისათვის ჯერ კიდევ არ დამთავრებულია.

ქორწილი წინააღმდეგობებით

ამბავს, რომელსაც გიამბობთ, ბევრი რამ საერთო აქვს კინოსთან - იგი წარმტაცია და დრამატული, თუმცა ვფიქრობ ინდოეთში ე. წ. (სალამოს) ფილმების შემქნელთა შორის ძნელი იქნებოდა მსგავსი ამბის დამდგმელი რეჟისორის პოვნა. მუხედავად ზოგიერთი ტრაგიკული სიტუაციებისა, ეს ამბავი მეტად სერიოზულია. მასში ასახულია წმინდა ადამიანური და ბუნებრივი გრძნობების შეჯახების დრამა - ჰინდური კასტობრივი საზოგადოების გადმონაშთებთან, სოციალურ უთანასწორობასა და უსამართლობასთან, რასაც ეწინააღმდეგება ინდოეთის კანონები, მაგრამ ტრადიციებთან ბრძოლაში, სამწუხაროდ, ხშირად გამოდის ვერ გამარჯვებული. ჩვენი ამბავი არ არის შეთხზული, იგი სინამდვილეა თავიდან ბოლომდე.

მოქმედი პირნი არიან: ახლაგაზრდა ჟურნალისტი, მისი მეგობრები, ორთოდოქსი ჰინდუ - მშობლები და მთავარი გმირი - ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი - უშა. იგი ოჯახთან ერთად ბომბეიში სოფლიდან ჩამოვიდა. მამამისის მართლმორწმუნე ბრაჰმანს, მცხოვრებს გუჯარატის სოფელში, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობს, როგორღაც მეგობარმა თხოვა შეეკედლებინა ძმა, რომლემაც სწავლა დაასრულა და სამსახური მიიღო ბომბეიში.

ბრაჰმანი დათანხმდა დახმარებოდა მეგობარს მალე მის ოჯახში ბაბუჰაიმ დაიწყო ცხოვრება. ახალბედა ჟურნალისტი მომავალზე დიდ იმედებს ამყარებდა. იგი ოცნებობდა სვხა ქვეყნები, ევროპა. უშას მამას ბაბუჰაი ძალიან მოეწონა და რამდენიმე ხნის მერე, ბაბუჰაი ამ ოჯახის ახლო მეგობარი გახდა. იმ დროს უშა ახალგაზრდა ჟურნალისტს „მიას“ ეძახდა.

ერთხელ მამამ, დიდი საქმის მოსაგვარებლად, სოფელში წასვლა გადაწყვიტა და

უნდოდა ქალიშვილიც თან წაეყვანა, მაგრამ მდგმურმა ბაბუჰაიმ დაარწმუნა პატრონი, რომ ამით გოგონას სწავლაში ხელი შეეშლებოდა. სინამდვილეში კი იმაზე ფიქრობდა, რომ უმასთან შეხვედრის მეტი საშუალება ქონდა. უმა ლამაზი, უბრალო და გაურყვნელი ქალიშვილი იყო. ახალგაზრდები ძალიან დამეგობრდნენ. ბაბუჰაისაც ძალიან მოსწონდა ქალიშვილი, მაგრამ მის თხოვაზე ფიქრის უფლებაც არ ქონდა, რადგან იცოდა, რომ უმა უფრო მაღალი კასტის წარმომადგენელი იყო და მისი მშობლებს ერჩივნათ გაუბედურებული (გაუთხოვარი) ქალიშვილისთვის ეცქირათ, ვიდრე იგი მდაბიო კასტის წარმომადგენელზე გაეთხოვებინათ. პიროვნული თვისებები, არც ოჯახის მის დამი მეგობრული განწყობილება, ამ შემთხვევაში, არავითარ შედეგს არ გამოიღებდა. მართალია, უმას მამა საკმაოდ თანამედროვე და პროგრესული შეხედულებების ადამიანი იყო, მაგრამ რელიგიური, საზოგადოებრივი და ოჯახური ტრადიციების წინააღმდეგ არასოდეს წავიდოდა, რაშიც ბაბუჰაის ოდნავაც არ ეპარებოდა ეჭვი.

იმ ხანებში რაც მამა არ იყო, უმა უფრო შეეჩვია ახალგაზრდა „ძიას“ საბოლოოდ ქალიშვილმა გადაწყვიტა თავისი ბედი სამუდამო დაუკავშიროს ბაბუჰაის. ბაბუჰაი შეშინდა, ჯერ ერთი მას ევროპაში მოხვედრის იმედი ჯერაც არ დაეკარგა, მეორეც კიდევ, მას სინდისი ქენჯნიდა, რომ ბრაჰმანის ნდობა ბოროტად გამოიყენა. იგი ამაოდ არწმუნებდა უმას, რომ მათი ქორწინება შეუძლებელია და წინააღმდეგობები, როლებიც მათ წინაშე აღიმართება გადაულახავია, მაგრამ ასევე ამაოდ მოუწოდებდა ბაბუჰაი ქალიშვილს რომ მათი შეუღლება შეუძლებელია და ურჩევდა მასზე ღირსეულს გაყოლოდა ცოლად. როდესაც უმას მამა სოფლიდან დაბრუნდა. ბაბუჰაიმ მას რამდენიმე შესაფერისი საქმროებიც კი დაუსახელა ქალიშვილისათვის, უმამ ბაბუჰაის განუცხადა, რომ ვიდრე სკოლას არ დაამთავრებდა, არ გათხოვდებოდა. ამასთანავე გამოუტყდა, რომ იმ წუთის შემდეგ, რაც ბაბუჰაიმ მას სიყვარული აუხსნა, იგი მის ცოლად თვლის თავს და ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე სხვას გაჰყვეს ცოლად.

მდგომარეობა გართულდა მას შემდეგ, როდესაც დედამ უმას მისამართით ბაბუჰაის მიერ გამოგზავნილი წერილების მთელი დასტა აღმოჩინა. სახლში დიდი აურ-ზაური ატყდა. ბაბუჰაი საგონებელში ჩავარდა. ორი დღე ქუჩაში დაეხეტებოდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მას ეჭვი ეპარებოდა, რომ უმას სიყვარულზე ვერასგზით უარს ვერ ათქმევინებდა, თან არც ის იცოდა, თუ რა ეთქვა მისი მშობლებისათვის, რომლებიც მათ შეუღლების უფლებას არავითარ შემთხვევაში არ მისცემდნენ. საბოლოოდ ბაბუჰაი უმას მამასთან მივიდა, შეეცადა ყოველივე აეხსნა მისთვის, პატიება თხოვა და შეევედრა ქალიშვილი შეებრალებია და მოეცა თანხმობა მათ შეუღლებაზე. ბრაჰმანის გული არ მოლბა და უმას მამამ ბაბუჰაის უთხრა, რომ თუ მისი ქალიშვილისთვის სიკეთე სურს, აწი მას აღარასოდეს შეხვდეს. ასეც მოხდა. ბაბუჰაი, როდესაც რედაქციაში ერთ დღეს მეორე ცვლაში წავიდა, მთელი ორი ღამე, თითქმის არ ეძინა. ფიზიკურად დაქანცული, თავს დაჩაგრულად გრძნობდა, ძალიან უნდოდა დაესვენა, მაგრამ არც ადგილი ეგულებოდა, რომ დაეძინა და არც სხვაგან ღამის გასათევი ფული გააჩნდა.. რედაქციაში ცუდად გახდა, თანაც, თავი კიდევ უფრო მოიავადმყოფა. მას ძალიან გაუხარდა, როცა თანამშრომლებმა იგი უახლოეს სავადმყოფოში წაიყვანეს. საექიმო შემოწმებისას ბაბუჰაიმ ექიმებს განუცხადა, რომ იგი კუჭის ძლიერ ტკივილებს უჩივის, შვება იგრძნო, რადგან ახლა მაინც რამოდენიმე დღე კარგად გამოიძინებდა, თუმცა ის კი აღარ იცოდა, თუ რა ძვირი დაუჯდებოდა ეს ტკბილი ძილი. მორიგე

ქირურგმა დიაგნოზი დასვა, რომ ბაბუჰაის კუჭის წყლული აქვს და გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეკეთებინათ მისთვის ოპერაცია. როდესაც ბაბუჰაიმ ამ გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო გული კინაღამ წაუვიდა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა. ნარკოზმა მას ცოტაოდენი შვება მაინც მიანიჭა.

უშას სახლში ჯოჯოხეთური ამბავი დატრიალდა. მშობლებმა უშას სასტიკად აუკრძალეს ახალგაზრდა ჟურნალისტთან შეხვედრა და სახლიდან გასვლაც კი, თანაც გადაწყვიტეს ქალიშვილი ბომბეიდან სადმე - შორს წაეყვანეთ, თუნდაც ბიძასთან ბორივალში: დედა, უშას შინ მაშინაც კი ჩაკეტავდა ხოლმე, როცა რამოდენიმე წუთით მაღაზიაში მიდიოდა. რაღაც ბედად უშამ შეიტყო, რომ მისმა საყვარელმა ადამიანმა ოპერაცია გაიკეთა და საავადმყოფოში წევს. ამიტომ გადაწყვიტა - რაღაც არ უნდა დაჯდომოდა - ენახა ბაბუჰაი. ამჯერად სხვაგვარად მოიქცა. თავი ისე მოიკატუნა თითქოს ძალიან დამჯერია. ერთხელ მშობლებმა იგი მარტო გაუშვეს ბორივალში. გზაზე, საავადმყოფოში შეიარა და საბედნიეროდ პალატაში ბაბუჰაი მოინახულა. როდესაც უშამ მას უამბო რაც გადაიტანა, ბაბუჰაიმ მტკიცედ გადაწყვიტა უშა ცოლად შეერთო.

ბაბუჰაი მალე საავადმყოფოდან გამოეწერა. უშა კი ბორივალში ბიძის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა. ახალგაზრდები კვლავ დაშორდნენ ერთმანეთს და ერთიმეორის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამ მძიმე წუთებში მათ უშველა ისეთმა შემთხვევამ კინოში, რომ ხდება ხოლმე. უშამ საბოლოოდ უფლება მიიღო მშობლებს შეხვედროდა, თანაც დარწმუნებული იყო, რომ ბაბუჰაი გამოსული იქნებოდა საავადმყოფოდან. უშას უცებ მოაგონდა, რომ ბაბუჰაის ძმა, სადღაც ბომბეის მახლობლად, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ, ქალაქ ანდჰერში ცხოვრობდა. უშამ აღარ დააყოვნა და პირდაპირ იქ გაემგზავრა. სადგურის ბაქანზე გამოვიდა და სკამზე ისე ჩამოჯდა, თითქოს რაღაც სასწაულს ელოდა.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, ბაბუჰაი ძმასთან ცხოვრობდა, ოპერაციის მერე თავს ძალიან სუსტად გრძნობდა და ამიტომ ჯერ კიდევ იწვა. იმ დღეს როცა ბაბუჰაი ბომბეიში ჩამოვიდა ის რედაქციიდან მეგობარმა მოინახულა და ურჩია, რომ ამდგარიყო და ცოტა გაესეირნა. ბაბუჰაი სადგურზე თავის მეგობარს აცილებდა. როდესაც იგი სადგურის ხიდზე გადადიოდა, ბაქანზე უშას მოკრა თვალი. ჯერ თვალეხს არ დაუჯერა, და ბაქანზე უშას მშობლებს დაუწყო ძებნა, ვინაიდან ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა უშა აქ მარტო ყოფილიყო. ახალგაზრდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ბაბუჰაიმ და უშამ ეს შეხვედრა საჭიროებისამებრ გამოიყენეს და მოითათბირეს როგორ ემოქმედათ მომავალში. შესაძლოა ამის აღნიშვნა საჭირო იყო, მაგრამ ეს მომენტი მნიშვნელოვანია სწორედ „კინდუიზმის“ თვალსაზრისით. უშას დეიდამ დააროგა როგორ მოქცეულიყო.

პირველ შესაძლებლობისთანავე, უშა შევიდა ადვოკატთან და ამ უკანასკნელის რჩევით, იგი ბომბეის უმაღლეს სასამართლოს კანცელარიაში შევიდა შემდეგი განცხადებით:

„მე, კუმარი უშა, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ვარ ბომბეის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, ვცხოვრობ ამა და ამ მისამართზე. შემისრულდა თვრამეტი წელი, ამგვარად ვარ სრულწლოვანი. მე მიყვარს ახალგაზრდა ჟურნალისტი ბაბუჰაი და გადავწყვიტე

მას ცოლად გავყვე. ჩემი მშობლები ჩემთვის სხვა საქმროს ეძებენ და უნდათ გამაყოლონ ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობ, არც მიყვარს. მამაჩემი მეუბნება ურჩევნია სულ არ გავთხოვდე ვიდრე თანხმობა მომცეს ჩემი და ბაბუჭაის შეუღლებაზე. ბაბუჭაი კი მე მიყვარს, მე სრულწლოვანი ვარ და ამიტომ უარს ვამბობ ჩემი მშობლების მფარველობაზე, მინდა ვიცხოვრო საერთო საცხოვრებელში, ან რომელიმე ქალთა ინტერნატში და გავყვე ცოლად მას, ვინც მე ავირჩიე და მას ვისი ერთგულიცა ვარ. ეს გადაწყვეტილება მივიღე, როგორც სრულწლოვანმა და ყოველივე ზემოხსენებულს ჩემი ნებით ვაცხადებ”.

„ოფიციალურად დამოწმებულია ბომბეიში 1953 წლის 10 სექტემბერს.”

სინამდვილეში, უმა სრულწლოვანი არ იყო და მიუხედავად ამისა, მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა. ასე, რომ არ გაეცხადება ქალიშვილს, ბაბუჭაის სასამართლოში მისცემდნენ., როგორც არასრულწლოვანი ქალიშვილის მომტაცებელს.

შემდეგი მოქმედება უფრო სწრაფად განვითარდა: ერთ დღეს უმა სკოლაში მიდიოდა, შორიანხლო მას დახვდა ბაბუჭაის მეგობარი, რომელმაც იგი სხვა ჟურნალისტის ბინაზე წაუყვანა. ყველაფერი მზად იყო საქორწილო ცერემონიისთვის, რომელიც ჩატარდა ვედური რიტუალის შესაბამისად, უმოკლეს - რეკორდულ დროში - ოცდაათ წუთში. ბაბუჭაის კოლეგებმა რეკლამაზე იზრუნეს და მეორე დღე ბომბეის გაზეთებმა ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ფოტოსურათები გამოაქვეყნეს და თან დაურთეს სტატია, რომელშიც ლაპარაკი იყო საქმროს ღირსებებზე, მის პოპულარობასა და მომავალზე. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ბედნიერებას უსურვებდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიც.

ყოველივე ამას უნდა ეშველა სიმამრისათვის, რომელსაც მთელი ეს ამბავი უნდა გადაეტანა და ქალიშვილის გათხოვებას შეგუებოდა. ქორწილის დღეს უმამ მამას მისწერა თავისი გეგმების შესახებ და წერილში არწმუნებდა, ძალიან განვიცდი შენ და დედა ასეთ მდგომარეობაში რომ ჩაგაყენეთო. რამოდენიმე ხნის შემდეგ მამა დაშოშმინდა და გულიც მოუღბა.

ამჟამად ბაბუჭაი და მისი სიმამრი ერთად და ტკბილად ცხოვრობენ. მათ ოჯახში ორი ბავშვი იზრდება.

აი, ეს ბედნიერი დასასრულიც, როგორსაც კინოში ვხედავთ ხოლმე, მაგრამ ნუ იჩქარებთ დასკვნის გამოტანას: ანალოგიური შემთხვევები როგორც წესი ასე ბედნიერად არ მთავრდება, და გარკვეული აზრით, ჩვენს მიერ მოთხრობილი ამბავი, ინდოეთისათვის მაინც დამახასიათებელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ახალგაზრდებს ინდოეთში, შეუძლიათ გადალახონ ისეთი წინააღმდეგობები, რომლებიც მათი მშობლებისათვის გადაულახავი იყო.